

114  
1960 2



მნათობი<sup>63</sup>

- 114/2

11

ს. მ. მ. მ. მ. მ.



1960

# მ ნ ა თ მ მ ბ

ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელაწადი 37-ე

№ 11,

ნოემბერი, 1960 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიგნობის კავშირის ორგანო

## უ ი ნ ა კ რ ს ი

### ლევ ტოლსტოი

დეო ქიანელი — ჭეშმარიტების დაუცხრომელი მამიებელი	3
კონსტანტინე გამსახურდია — ლევ ტოლსტოი	5
დემნა შენგელაია — მართალი მწერალი	8
ანდრე მორუა — უველაზე დიადი	13
არმან ლანო — ტოლსტოი და უკმაყოფილოთა თაობა	15
პროფ. ხ. დანელია — ომის პრობლემა ლევ ტოლსტოის შემოქმედებაში	17
ვლადიმერ ზამზაძე — საქართველო და ლევ ტოლსტოი	23
ი. გრიშაშვილი — ყური — ნიჟარა, ლექსი	29
ხუტა ბერუღაია — სიყვარული შენი, ლექსი	30
აკაკი ხელიაშვილი — შვიდაკა, მოთხრობა	31
მაცვალი მრეციფილი — ლექსები	51
თამაზ ჭილაძე — ლექსები	52
რევაზ ჯაფარიძე — ჯარისკაცის ქვრივი, რომანი, წიგნი მეორე, დისასრული	54
ოვანეს ზირაძი — დაბადება, ლეგენდა, თარგმანი მ. ფოცხიშვილისა	76
ბაგრატ შანკუბა — შინ დაბრუნება, ბილდი, თარგმანი რევაზ მარტიანიისა	80
ერნესტ ჭკინიფუცი — აღმოჩენების მზე, რომანი თარგმანი ინგლისურიდან ეახტანგ ჭეღლიძისა	83

### საბჭოთა სოხხითის 40 წელი

მხიელი ავტორები — გ. კ. ორჯონიძე სოხხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მძიმე დროში

109

იხ. მეორე გვერდი



8036





სიმონ უაუხიშვილი — შეცნიერების დიდი ქვრეში  
 პროფ. კ. ბაქრაძე — ექსისტენციალიზმი  
 პროფ. რატიანი — ქართული ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი  
 ობის ისტორიიდან, დასასრული

116  
124

**წიგნები და პლაშიანები**

შალვა აფხაძე — პაოლო იაშვილი 159

**ხელოვნების საკითხები**

შალვა ამირანაშვილი — ანდრეი რუბლევი 172

**წიგნების მიმოხილვა**

მ. ჯინჯელაშვილი — შარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრება 178  
 შალვა რადიანი — გამოკვლევა ქართველ სამოციანელებზე 181  
 გრიგოლ მაჭავარიანი — მონოგრაფია ილია ზონელზე 183

**საზღვარგარეთ**

კულტურული ცხოვრების პრობლემა 185

ახალი წიგნები გარეკანის შესაძე 23-

**რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე**

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,  
 ე. მაღრაძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფლენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42; 2-11-66.


ხელმოწერილია დასაბეჭდოდ 14/XII-60 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწეობის ზომა 7¼×12¼.  
 ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 02327.  
 ტირაჟი 6500. შეკვეთა № 2083.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიკამოწყობლობის  
 ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

საქართველოს  
საბავშვო ლიბრერია



საქართველოს  
საბავშვო ლიბრერია



დომ ქიქაძე

### ქუმბარიტების დაუცხრომელი მაძიმბელი

არ არის საკმარისი ითქვას, რომ ლევ ტოლსტოი დიდი მწერალია. XIX საუკუნის რუსულ რომანს ამშვენებს არა ერთი დიდი მწერლის სახელი, ხოლო მათ შორის ლ. ტოლსტოის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს — ის რუსული ლიტერატურის გენიაა.

ლ. ტოლსტოიზე შეიძლება მეტი ითქვას — ის ერთი მწვერვალთაგანია მსოფლიო ლიტერატურისა. ამ მწვერვალთა რიცხვი კი ისე მცირეა, რომ თითებზე ჩამოითვლება. ამავე დროს ტოლსტოი რჩება უაღრესად რუს, ეროვნულ მწერლად. მის შემოქმედებას, უწინარეს ყოვლისა, ჰყვება მშობელი ხალხის ისტორია, მისი უვრცესი და უმდიდრესი მიწა-წყალი და მრავალსაუკუნოვან უწყვეტ ბრძოლასა და უმკაცრეს შრომაში ჩამოყალიბებული სულიერ-მორალური სამყაროს თავისებურებანი. ამ გაგებით, უზუსტეს ნათქვამად უნდა მივიჩნიოთ XIX საუკუნის მეორე დიდი რუსი მწერლის ი. ს. ტურგენევის სიტყვები, რომლებითაც მან თავის დიდ თანამედროვეს მიმართა: „Великий писатель земли русской.“

ტოლსტოის გენიის ეროვნულ-ხალხურ ხასიათს უფრო ვრცლად და მკაფიოდ განმარტავს ა. მ. გორკი, რომელსაც ეკუთვნის იშვიათი ოსტატობითა და შთაგონებით დაწერილი ფსიქოლოგიური პორტრეტი მწერლისა. გორკი წერს:

„მასში (ლ. ტოლსტოიში), როგორც მე ვფიქრობ, ცოცხლობდა კადნიერი და

ცნობისმოყვარული ანცობა ვასილ ბუს-ლავეისა, და ნაწილი პროტოპოპ აბაკუმის ჯიუტი სულისა, და კიდევ სადღაც, ზევით თუ გვერდით, იმალებოდა ჩაადავეის სკეპტიციზმი. ქადაგებდა და აწამებდა მხატვრის სულს აბაკუმის საწყისი. ანადგურებდა შექსპირს და დანტეს ანკი ნოვგოროდელი, ხოლო ჩაადავეის სკეპტიციზმი დასცინოდა მისი სულის ყველა ამ თავშესაქცევს და ერთთავად მისი სულის წამებასაც.“

ასეთი იყო, გორკის თქმით, ძირითადი რუსული საწყისები ლ. ტოლსტოის გენიისა.

მაგრამ თავისი შემოქმედების უმწიფეს პერიოდში ტოლსტოი სხვა, უფრო უნივერსალურ საწყისებსაც დაეწაფა. სანამ ლ. ტოლსტოი მუშაობას შეუდგებოდა თავის უკედავ ეპოპეაზე „ომი და მშვიდობა“, ის დიდი გულმოდგინებით კითხულობდა ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეას“. აშანიარად, მისი გენიის დიდი ხომალდი, მ. გორკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „შინაური ზღვებისა“ და „მდინარეების“ დატოვებას აპირებდა და ოკეანეების უსაზღვრო სივრცეში გასასვლელად ემზადებოდა.

„ომი და მშვიდობა“ გიგანტური ქმნილებაა. ამ ნაწარმოებში ლ. ტოლსტოიმ ყველაზე უფრო სრულყოფილად გამოავლინა თავისი შემოქმედების ძლიერება. რომენ როლანი წერს:

„რა შეიძლება ითქვას „ომისა და მშვიდობის“ არაჩვეულებრივი სსსა-ცოცხლო ძალის მქონე მრავალ ასეულ

გმირზე, რომლებიც თავიანთ ინდივიდუალობას ინარჩუნებენ და ისე არიან დახატულები, რომ შეუძლებელია მათი დავიწყება, — ესენი არიან ჯარისკაცები, გლეხები, დიდკაცობის წარმომადგენლები, რუსები, გერმანელები, ავსტრიელები, ფრანგები. არაფერია აქ იმპროვიზირებული: სახეთა ამ გადურეას ბადალი არ ჰყავს მთელს ევროპულ ლიტერატურაში. მის შესაქმნელად ტოლსტოის მოთქმებული აქვს — როგორც თვითონ ამბობს — მილიონი შესაძლებელი შეხამება.

„ომისა და მშვიდობის“ სილიადე იმაში გამოიხატება, — განაგრძობს რომენ როლანი, — რომ ის აცოცხლებს ისტორიულ ეპოქას, ასახავს რა მასების ზოძრაობას და ხალხთა გიგანტურ ბრძოლებს“.

ლ. ტოლსტოის შემოქმედების დ. მახასიათებელია სიმართლის, ცხოვრების კვამარიტების დაუცხრომელი ძიება, მისი მახვილი, მარად მზვერავი და მცდელი თვალეზი სიცოცხლისა და ადამიანის სულის უსაიდუმლოეს და დაფარულ კუნჭულებსაც კი ისევე ხედავენ, როგორც დღის სინათლეზე. არც ერთი დეტალი, კვამარიტებისა და სინამდვილის დასადგენად გამოსადეგი, მათ არ გამო-

ეპარებათ. ამიტომ არის, რომ ლ. ტოლსტოის მიერ შექმნილი ცხოვრების რეალისტური ტილოები სინამდვილის უტყუარ სარკეს წარმოადგენენ. დიდმა ლენინმა სწორედ ამ საფუძველზე უწოდა ტოლსტოის „რუსეთის რევოლუციის სარკე“, რამდენადაც მის მიერ ასახული რუსეთის სინამდვილე რევოლუციის გარდუვალი საჭიროების ნიშნებს შეიცავდა.

ლევ ტოლსტოი არ იყო რევოლუციონერი, მაგრამ მისმა მხატვრულმა სიტყვამ უდიდესი სამსახური გაუწია რევოლუციას. მწერლის სიტყვებია: „მე მგონია, 1905 წლის რევოლუცია, რომლის მიზანია ადამიანების განთავისუფლება ძალმომრეობისაგან, უნდა დაიწყოს და იწყება კიდევაც სწორედ რუსეთში“.

ტოლსტოის მხატვრულ სიტყვას გვერდში ედგა მისი მოქალაქეობრივი შეგნება, რომელიც მთელი სისასიით გამომჟღავნდა 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ უღრმესი შინაგანი პათოსით დაწერილ წერილში: „Не могу молчать“.

უდიდესი მხატვარი სიტყვისა, უდიდესი პატრიოტი და მოქალაქე იყო თავისი ქვეყნისა.



## კონსტანტინე გამსახავია

### ღევ ტოლსტოი

განსვენებულ მამაჩემს თავის სამუშაო ოთახის კედელზე რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის ფოტოსურათების გასწვრივ დაკიდული ჰქონდა ლევ ტოლსტოის სურათი — მოხუცებული გრაფი, გუთნის დედა.

ამაზე მეტად მომწონდა მე მუდამ ტოლსტოი სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, ლომის ბოკვერი, ბაკენბარდებით დამშვენებული. ეს ფოტო, როგორც ჩანს, იმ პერიოდს ეკუთვნის, როცა ტოლსტოი შემთხვევით ეწვია კავკასიას, და მოხალისედ შევიდა თერგის პოლკში.

ეს თავისი საქციელი სიბერის ჟამს იწინა ტოლსტოიმ. ის, რაც მისმა დიდმა თანამედროვემ იბსენმა თავის თავზე სთქვა ოდესღაც, ზედმიწევნით ხვდება ტოლსტოისაც:

„პოეზია არის სამსჯავროს გამართვა საკუთარ თავის მიმართ“.

კაცობრიობას არეოპაგები და სასამართლოები არც დასჭირდებოდა, ყოველ ადამიანს რომ ესმოდეს, თუ რა ბრალი მიუძღვის მას ამ ქვეყნად. ტოლსტოი თავისი სიწრფელითა და კეთილშობილებით სადაც წააგავს წმინდა ავგუსტინესა და ფრანჩესკო ასიზელს.

ოთხმოციან წლებში პეტერბურგის ლიტერატურულ წრეებში ნამალევად კითხულობდნენ ტოლსტოის „დსარეზის“ ხელთნაწერს, რომელშიაც ასეთ სტრიქონებს ვხვდებით: „მე ვკლავდი ადამიანებს ომში, დუელში ვიწვევდი მათ, რათა დამეხოცა. კარტში ვაგებდი და ვფლანგავდი მშრომელი ადამიანების მონაგარს. დებოშებსა და ოინაზობას ვეწეოდი. სიცრუე, ჭურდობა და ყოველგვარი ყომარაზობა, მემთვრალეობა, ძალადობა და მკვლელობა, არაფერი დამკლებია. მოკლედ, არც დარჩენილა

არავითარი დანაშაული, რომელშიაც წილი არ დამედოს, ბოლოს, ამ სამარცხვინო საქმიანობათა გამო, მე მაქვებდნენ კიდევაც, თანაც მთვლიდნენ და მთვლიანი, ალბათ, ახლაც შედარებით მორალურ ადამიანად“.

თავისთავად ცხადია, ტოლსტოი აქარბებს აქ თავის სინანულს საქმეებში.

იბსენი და სტრინდბერგიც მოშხამულნი იყვნენ თავიანთი თანადროული ცივილიზაციის შხამისაგან, მაგრამ ასეთი სასტიკი ანათემა, რომელიც თავის თავს მიუსაჯა ტოლსტოიმ, პირდაპირ უბადლოა.

სიტყვა ჯადოსნური რამეა, სიტყვას მუდამ იმისთვის იყენებდნენ მედროვენი, მეხოტბენი და მლიქვნელნი, რათა თავიანთი პირადი ცხოვრება გაეტკბილებინათ როგორმე. მაგრამ სიტყვა ღორდ ბაირონის, გოეტეს, ილია ჭავჭავაძისა და ლევ ტოლსტოის პირში მე მაგონებს იმ მახვილს, რომელიც აპოკალიპსის იოანეს ჰქონდა გარკობილი ხახაში.

კიდევ მოვეუსმინოთ მონანიე მწერალსა და გრაფს:

„მე იმავე მსოფლმხედველობათა ქარცეხილი ვავიარე, როგორც თქვენ. ყოველგვარი ცდა წარმოებდა იმისთვის, რათა ქრისტიანული აღზრდა მოენიჭებინათ ჩემთვის. მაგრამ დრო გადიოდა და დმერთისადმი რწმენა აღარსად ჩანდა.“

თხუთმეტი წლის ვიყავი, როცა ფილოსოფიურ ქმნილებებს კვითხულობდი. მე ავეყვი ფოიერბახს, ჰეგელსა და შოპენჰაუერს

მე მოწადინებული ვიყავი მორალურ სისპეტაკეს მივწეოდი, ამ შემთხვევაში მჭირდებდნენ კიდევაც, ხოლო, როცა ვნებათა აღრევას მიეყოფდი ზელს, ქებას დამიწყებდნენ მყისვე.

უსაზმნო პატივმოყვარეობამ და ანგარებამ მაქციეს მწერლად. მიუხედავად ამისა, კმაყოფილება არსად ჩანდა, ცხოვრება არ მამძღვედა სიხარულის საბაბს. რაც უფრო ხანში შევდიოდი, უფრო და უფრო მეძალეზობდა ასეთი საკითხი: ბოლოსდაბოლოს რა უნდა იყოს ამ ცხოვრების აზრი?

რა კავშირი მაქვს მე უსაზღვროებასთან?..

...აქამდის მე თვალი მეჭირა ჩემი საზოგადოების, ჩემი კლასის მიმართ, ხოლო დიდი მასების ცხოვრებას არად ვაგდებდი. თუმცა ესეც უნდა ითქვას, ამ აურაცხელ მასებს არავითარი კავშირი არა აქვს განუსაზღვრელის მიმართ..."

„არც თეოლოგებმა იციან ამ საკითხების პასუხი,—განავრძობს ტოლსტოი,— არსებითად ორტოდოქსული ეკლესიის მსახურნიც არ არიან ჭრისტიანები. ისინი ხალსიანად აძლევენ დასტურს ყოველივე დანაშაულსა და საომარ წამოწყებებს.

ყოველი ჩვენი საქციელი, ყოველი მეცნიერება, ყოველგვარი ხელოვნება ეგ არის მხოლოდ და მხოლოდ თვალთმაქცობა. ამას ყოველივეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მშრომელი ხალხის ცხოვრებას...

...როგორ შემძლია მე ღმერთში ვიცოცხლომ მე ხომ ვმუშაობ, გულმოწყალებ ვარ, არავის არაფერს ვაწებებ და არც ერთი ადამიანის დამონებას არ ვაპირებ.

ღმერთში ცხოვრება ეს ნიშნავს ადამიანური შრომის გაწევას, ღმერთში ცხოვრებას არავითარი კავშირი არა აქვს მეტაფიზიკასთან. ღმერთი ვითარცა შემოქმედი, ღმერთი ვითარცა გულმოწყალებ, ღმერთი როგორც რისხევითა მომცემი და დამსჯელი, ეგ არის გულისამრევი ცრურწმენა“.

შემდგომ ამისა, ტოლსტოი საესებით ულოგიკოდ დაასკვნის:

„ღმერთი ეს ყოვლადობაა, რომლის ნაწილად მე შერაცხული მაქვს თავი.

ამიტომაც შეზღუდულია ჩემში ყოველივე და განვიციდი მას ყოველადობაში. მე მას განვიციდი ხისა, კაჭაქისა, ცხოველისა და ყოველგვარი არსის გამოვლენაში, განსაკუთრებით განვიციდი მას ჩემთა მოყვასთა კაცთა არსობაში.

ამიტომაც, — განავრძობს ტოლსტოი, — ძირს ყოველივე, რაც ხელს გვიშლის ჩვენ თანამომხმე ადამიანებთან ერთად გავიხაროთ იმით, რომ ჩვენთა მოყვასთა თანაარსნი ვიყვით, ძირს ე. წ. განათლების მიერ დადგენილი ზღუდენი, რომელნიც ხელს უშლიან ადამიანთა თანაბრობას. ძირს ჭონების მიერ დადგენილი უთანასწორობანი.

ყველა ბოროტებაზე უფრო დიდი ბოროტებაა ფული, რადგან სწორედ იგია თანადროული იარაღი არაპიროვნული მონობის ფორმისა, ძირს დიდი ქალაქები, ძირს მდიდარსა და ღარიბს შორის არსებული უთანაბრობა.

ძირს ეკლესიის მოძალემა, ძირს სახელმწიფო, ძირს ყოველივე ძალადობა. ადამიანის მიერ ადამიანის დანაგვრება“.

ტოლსტოი არ ეკუთვნოდა იმ ქარხვეტია ადამიანების რიცხვს, რომელნიც თავს იწუხებენ ხოლმე დანაქალების შესასრულებლად.

მერმე დაიწყო დიდი ტრაგედია იასნაია პოლიანაში. ტოლსტოიმ თავისი მამულები გლეხებს დაურთგა, ჯგვალოს საომოსი ჩაიცივა, ისეთი, როგორც სუფის დერევიშებს აცვიათ, ხენა-თესვას შეუდგა და კალატოზობას მიპყო ხელი. მოხუც დედაკაცებს ღუმლებს უნთებდა, შეშას ჩეხდა. თავის გაყეებს ურჩევდა გლეხებს დაუდექითო მოჯამაგარედ-სოფელში ჭირი ატყდა და ეს დიდი ხელოვანი თავს არ იზოგავდა, კარდაკარ დადიოდა, ხალხს ამხნევებდა და შეელოდა.

ყოველივე ამას, როგორც ცნობილია, მოპყვა ტოლსტოის მეუღლის გაგულისება, ისტერიები და ყოველივე მისთანანი, რაც ასეთ შემთხვევაში იოლად წარმოსადგენია.

ბოლოს ის იყო, მთელმა კულტურულმა კაცობრიობამ მძიმედ განიცადა



ამ გენიოსი ანაქორეტის შინიდან გაქცევა და რკინიგზის ერთ მივარდნილ სადგურზე სიკვდილი.

„ერთა ცხენსა შარა გრძელი და გამოცდის დიდი რბევა... ეს ნიშანდება რუსთაველისა ზუსტად განახორციელა ტოლსტოიმ. მისი კალმიდან გადმოინთხა სტრიქონების მთელი ზღვა, ათასობით ადამიანები, ხასიათები, სიცოცხლის ეპიფანია, რომელიც განვრცობილა იმპერატორის სასახლიდან ვიდრე გლეხის ქოხამდის. მერმე როგორი კეთილშობილი ადამიანები წარმოსახა მან — ლომგულოვანი ვაჟკაცები და უნაზესი მანდილოსნები. აგრე ჰგონია მკითხველს, ეს ადამიანები მინახავს და მყვარებიაო კიდევაც.“

არავითარი ფანტასმაგორია, არავითარი ხელისმორევა ადამიანური ფიზიოლოგიის სფეროში, თელგამისა და შეტბორებული სისხლის ჩიჩქნა. პირდაპირ ჰომეროსული „ელან ვიტალ“ მოგივლის მისი რომანების წამკითხველს. ყველგან სინათლეა და აპოლოგია კაიკაცობისა.

ტოლსტოის განგებისად მიჩქმალული აქვს ღამითი მხარეები კაცთა ბუნებისა, საერთოდ, ღამითი შხამები ბუნებისა. გოეტე და ტოლსტოი იმადაც გვახარებენ, რომ ისინი თავად არიან სინათლის მოციქულნი და სიხარულის მომნიჭებელნი.

ამბობენ, თითქოს ჰომეროსს მუდამ ქაბუჭური სული ედგაო. ან როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ რუსთაველის, ტოლსტოის და გოეტეს სიბერე.

ან როგორ დაბერდებოდა ეს განსაკვიფრებელი ნების კაცი, რომელიც თითქოს არ ემორჩილებოდა ბიოლოგიური ცვალებადობის კანონებს.

ჩვენთვის, კავკასიის მკვიდრთათვის, განსაკუთრებით საგულისხმოა ლევ ტოლსტოის „ჰაჯი მურატი“. მწერალი და მისი ოსტატობა მომეტებულად იქ გამოჩნდება, როცა იგი მისთვის უცხო გარემოში გამოცდის თავის კალამს. შექსპირი და გოეტე ისე გვიხატავენ

იტალიის, ეგვიპტის და საბერძნეთის ხალხთა ზნესა და ჩვევებს, თითქოს ეს მათი დედუღეთი ყოფილიყო.

კავკასიის კამპანიის დროს, არა ერთ მწერალს უცდია ბედი, მაგრამ ისეთი განსაკვიფრებელი ოსტატობა ადამიანების, ლანდშაფტების გამოსახვაში, როგორც გამოიჩინა ტოლსტოიმ, არავის შესძლება. იგი თავად წაესწრო საშინელ კატასტროფას, რომელიც განიცადეს ჩრდილო კავკასიის ხალხებმა. ჩვენ დღესაც გული გვტყევა, რომ ჩვენმა მთელმა თანამოქმედებმა თავის დროზე თავი ვერ დააღწიეს მიუღრიდზიმის ბანგს და საუკეთესო სისხლი შეანთხიეს ნიკოლოზ პირველის ხიშტებს. მათ ველარ უშველათ უბრწყინვალესი ვაჟკაცების გმირობამ და ბოლოს იძულებულნი გახდნენ ქედი მოეხარათ.

ტოლსტოის დიდი ჰუმანიზმი ამ შემთხვევაში ემთხვევა ჩვენი ალექსანდრე ყაზბეგისას, რომელმაც გულწრფელად იგლოვა ამ შესანიშნავი ტომების აყრა კავკასიონის მთიანეთიდან. ტოლსტოის „ჰაჯი მურატი“ ხიბლავს ადამიანს მწერლის განსაკვიფრებელი სიყვარული მისთვის სახვებით უცხო ტომებისადმი.

მწერალს მიწერ-მოწერა ჰქონდა ოდესღაც ერთ ქართულ ჟურნალისტთან და ეს გენიოსი კაცი, ყოველი ბერათის დასასრულს სწერდა მას: „თქვენნი მოყვარული მამა — ლევ ტოლსტოი“.

სამაგიეროდ ჩვენც გვიყვარს იგი, როგორც ჰომეროსის მრავალთა, რაინდი უზადო და უბადლო ბრძენკაცი, რომელმაც თავისი ჯადოსნური სიტყვით მოგვხიბლა, ხოლო მისი სიკვდილი? — სიკვდილი ვერასოდეს მიეწევა ტოლსტოის სულოს, რადგან იგია თავად უკვდავების ემანაცია.

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე მიყვარდა ლევ ტოლსტოი თავის უჩვეულო ძიებათა, ტანჯვათა გამო და ამ წუთშიც იგი დგას ჩემს თვალწინ, როგორც ისრებით დაცხრილული სებასტიანე.

დამნა შენგულია

## მართალი მწერალი

ლევ ტოლსტოი კოლოსია, ტიტანი დიდი რუსული ლიტერატურისა. ასეთი მწერლები ბევრი როდი მოეპოვება მსოფლიოს. ეს უდიდესი ჰუმანისტი, სექპტიკოსი და შეურიგებელი მორალისტი ეპიკურული შემართებით, გასაჯვირველი პირდაპირობით ებრძოდა მის დროს არსებულ ბანალობას, პირმოთნობასა და სოციალურ უკუღმართობას, დაუღალავად იბრძოდა ადამიანობის, სიკეთისა და სიმართლისათვის.

იასნაია პოლიანაში ეს სალოსივით განდგომილი და შინაგან წინააღმდეგობებით სულაწეწილი ლომი რუსული მხატვრული აზროვნებისა, უდიდესი მორალისტი და მემამბოხე, ათეულ წელთა მანძილზე შეუპოვრად ამხელდა, ებრძოდა თავისი ეპოქის შემზარავ ობსკურანტიზმს, ფარისევლურ რელიგიასა და კაპიტალისტური საზოგადოების ზნეობრივ დაცემულობას. მთელი რიგო მისი ქმნილებები პირსისხლიანმა ცარიზმმა კიდევ ამიტომ აკრძალა, ხოლო შეაბნელმა ეკლესიამ თავის მხრივ იგი შეაჩვენა, დასწყევლა, როგორც რჯულზე ხელადებული კაცო და მოიკეთა, ანათემა გამოუცხადა. ტოლსტოის შეურიგებლობა სოციალურ მოძალადეთა უხეში ძალმომრეობისადმი თუნდაც იმით გამოიხატა, რომ, როცა ქანდარმებმა, ტოლსტოის შინ არყოფნის დროს, მისი ბინა გაჩხრიკეს, მან რისხვით აღსაესე წერილი მისწერა თვით იმპერატორს და დაემუქრა: იმპერატორი რომ არ იყო, ასეთ უდიერობისთვის დღელში გამოგიწვედიო. წარმოშობით დიდგვაროვანმა გრაფმა და უმადლესმა არისტოკრატმა ზიზღი გამოუცხადა თავისივე კლასს და უარყო ყოველგვარი ფუფუნება. ის გაემიჯნა დიდკაცობას, ბურჟუაზიულ განათლებას

და ხელი მოჰკიდა სახნისს, ცელსა და „გამუჟიკდა“. კიდევ ამიტომ უწოდებდნენ მას - დიდი რუსული მიწის ველიკი მუჟიკს“.

ის გალატაკდა და განიძარცვა არა მხოლოდ ამქვეყნიურ ეგრეწარმავალ დიდებისა და პატივისაგან, განაპირდა თავისივე ოჯახის წევრებისაგანაც. ცხოვრობდა უბრალოდ, გლენკაცურად და, ასე გასინჯეთ, ფეხშიშველიც კი დადიოდა. ასევე ჩამოიბერტყა მან იმთავითვე ყველა ლიტერატურული პირობითობანი. თავის დიდ მოღვაწეობის დასაწყისშივე მწერალმა კატეგორიულად უარყო თვითმიზნობრივი ესთეტიზმი, ლიტერატურული გურმანობა და თავისი მართლაც ტიტანური შემოქმედება მტკიცედ ჩააყენა უბრალო ხალხის სამსახურში.

მისი ცხოვრება და შემოქმედება აღსაესეა შინაგანი კონფლიქტებით და ტანჯვა-წამებით. მარადიული სიმართლის ამო ძიებით გაწამებულმა ტოლსტოიმ, მისთვის ჩვეული დაურიდებლობით გაამათრახა მთელი სიყალბე და მცდარობა ლოზუნვისა „ხელოვნება ხელოვნებისთვის“. მართალია, მიხვეულ-მოხვეული, ძალზე დახლართული და ირზი ბილიკებით, მაგრამ მაინც შეუდრეკლად განვლო მან გზა გრაფობიდან მუჟიკობამდე; გამოსავალი, სულის სიმშვიდე, ვერ იქნა და მაინც ვერ ჰპოვა. ტოლსტოის ლიტერატურული მემკვიდრეობა, გარდა მხატვრულ ნაწარმოებთა, — დღიურები, პირადი წერილები, ფილოსოფიურ-რელიგიური შინაარსის ტრაქტატები და პუბლიცისტური სტატიები აღსაესეა ამ გამოსავლის ძიებათა უდიდესი ტყვილეებით. მისი ფაუსტური სული მოსვენებას ვერ პოულობდა და კიდევ ამიტომ

დაასრულა მან ასე ტრაგიკულად და შემაშფოთებლად სიცოცხლე.

როგორც სიმართლე არის მარტივი და სადა, მისი შემოქმედებაც ასევე მარტივი იყო, ძალზე სადა. მთელი სი-რთულე და სიღრმე მისი დიდი შთაგონებისა ამ გასაოცარ სიმარტივისა და ხალხურობიდან მოდიოდა, რადგან არაფერი არ არის ისე რთული და თანაც მწელი, როგორც — იყო მარტივი და სადა. არაერთი რომანტიკა და ეფექტი ლამაზი ფრაზისა, არაერთი სისხარტე და გონებაშაბეილობა, არაერთი პარადოქსი და ბრწყინვალე მხატვრულ შედარებისა, არაერთი ბრწყინვალე და იაფი ინტერესი ობიექტულ მკითხველისათვის გამოგონილი სიუჟეტური ხლარებისა, — აი მისი ლიტერატურული კრედი, მისი შემოქმედების ძირითადი პრინციპი-ყოველივე ეს, მისი ღრმა რწმენით, ხელოვნურობის, სიყალბისა და, ასე გასინჯეთ, ყალბა-ბანდობის იერს ატარებს. ამიტომ არის მისი ფაბულა ასე უბრალო და ცხოვრებისეული; ამიტომ არიან მისი პერსონაჟები ეგზომ ნამდვილნი და რეალურნი. ამიტომ არის მისი მეტაფორა, რასაც ის ასე იშვიათად მიმართავს ხოლმე, ეგზომ უბრალო და იმდენად ჩვეულებრივი, რომ ხშირად გაკრთობს კიდევაც თავის ტრუნიზმით.

მწერლობაში ფეხის პირველ შემოდგომისთანავე ტოლსტოიმ გადაჭრით უარყო ყველა ლიტერატურული ხერხები და ფოკუსები. ჯერ შეამოწმა, კბილი გაუსინჯა ყოველ მათგანს და შეუფერავი სიმართლის ასახვის სამსახურში მხოლოდ მას შემდეგ ჩააყენა. ლამაზი ფრაზის, სიუჟეტური იაფი ეფექტისა და თვალისმოშორელი ფაქიზი სტილის მას იმთავითვე ჭირის დღესვეთ ეშინოდა. მთავარი მისთვის მხატვრული სიმართლე და უაღრესი სისადავე იყო. ყოველ სტრიქონს ის ამ თვალსაზრისით განიხილავდა, ყოველ ფრაზას კიდევ ამიტომ ღრმად ამიწებდა და ძირს, სულ ძირს რეალობად დაყავდა. მისი დიდებული ქმნილებანი

შედგანი იყვნენ არა ლიტერატურულ პროფესიონალიზმისა, არამედ ჯერად-ფესიონალიზმისა, — სიმართლისა, თქმისა შინაგანად გარდუვალი მოთხოვნილებისა. ამიტომ ურჩევდა ის ყოველ მწერალს, ეწერა მაშინ, როცა არწერა არ შეეძლო. მისი ერთ-ერთი მამხილებელი წერილის სახელწოდებით — „არ შემიძლია გავჩუმდე!“ თამამად შეიძლება დავასათუროთ მთელი მისი შემოქმედება.

ლევ ტოლსტოი უაღრესად მართალი კაცი იყო. მისი შინაგანი ტრაგედიის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ, თუმცა იგი მთელი თავისი პირდაპირობით ამხელდა დამყაყებულ ცხოვრებას, ასეთივე პირდაპირობით ანგრევდა თანადროულ ბურჟუაზიული საზოგადოებისა და რელიგიის სიყალბეს, მაგრამ მაგიერს, არამცთუ იგი ვერ აშენებდა, არც ის იცოდა, როგორ, ან სახელდობრ რა უნდა ეშენებინა. მან ზედმიწევნით იცოდა მთელი მექანიზმი და ასავალ-დასავალი იმ სისტემისა, ძალმომრეობასა და სიცრუეზე რომ იყო დაფუძნებული, მაგრამ ვერ ეპოვა გზა იმ სიმართლისაკენ, რისთვისაც ასე იტანჯებოდა; იტანჯებოდა არა მხოლოდ, როგორც შემოქმედი, არამედ როგორც ადამიანიც, ამ დიდ სიმართლის გარეშე არაერთი პოეზია და სიცოცხლის აზრი მისთვის არ არსებობდა. ეს სიმართლე მაშინდელი გახრწნილი ცხოვრებისა და წესრიგის დამანგრეველი სიმართლე იყო. კიდევ ამიტომ უწოდებდნენ მას ზოგიერთნი ანარქისტს. ვერაფრით ტოლსტოიმ ვერ მოახერხა კრიტიკულ რეალიზმის დიდ პრინციპებით გაშუქებული თავისივე შემოქმედებითი სულის ასევე დიდ, მაგრამ მცდარად მოაზროვნე ტოლსტოისთან შეთანხმება. ის გააწამა, გატანჯა იმან, რომ გენიალურად მიაგნო მხატვრულ სიმართლეს და ვერ ეპოვა სოციალური სიმართლე, რასაც ის რელიგიაში ეძებდა; ეძებდა იქ, სადაც ის არ არსებობდა.

ანა კარენინას სულიერი წყვეტება და უღვთოდ დაღუპვა, ლევინის აგრა-

რული შეხედულებანი, პიერ ბეზუხოვი-  
სა და პლატონ კარატაევის წინააღმდე-  
გობის გაუწევლობა ბოროტებისადმი,  
შინაგანად გაორებულ-გააზრებულ პა-  
ჯი მურატი, ნებლუდოვის სოციალური  
სინანული და სხვადასხვა, თითქოს ტოლ-  
სტოის ორეულებად ქცეულან. მიუ-  
ხედავად იმისა, რომ ის უდიდესი  
მშენებელი იყო მონუმენტური შენობე-  
ბისა, ვერ იქნა და ვერ თავსდე-  
ბოდა, თავისი მუდამ მშფოთვარე და  
მუდამ მამიებელი სულით, მისგანვე შე-  
ქმნილ მხატვრულ სახეთა იმ ვასაოცარ  
სამყაროში, რომელიც თითქოს უკიდვე-  
განო იყო თავისი ვრცელი მასშტაბე-  
ბით. ლევ ტოლსტოიმ მთელი სიმართ-  
ლით, უტყუარად ასახა არა მხოლოდ  
შინაგანი წინააღმდეგობებით შეტარუ-  
ნებული თავისივე დაუდგარი სული,  
არამედ ის ანტაგონისტური სოციალური  
ყოფაც, რომელიც მას სულს ასე საშინ-  
ლად უხუთავდა და რომლის მართლად  
გამოხატვისათვის მის დიდ შემოქმედე-  
ბას ლენინი რუსული რევოლუციის სა-  
რკეს უწოდებდა.

ოღონდ თავისი მხატვრული სი-  
მართლით გაშუქებული სოციალური  
სიმართლე მთელი რეალობით ეჩვენე-  
ბინა და არ დაგიდევდა არავითარ ტაქტ-  
სა და შინაგან ცენზურას, რის გამო,  
ასე გასინჯეთ, ცინიზმსაც სწამებდნენ.

ტოლსტოი ამბობდა: „ჩვენ, ლიტე-  
რატორები, ხშირად არ ვამბობთ იმას,  
რაც გვევალება და რისი თქმაც გვინდა,  
იმიტომ რომ ეს უცენზუროა, და ვამ-  
ბობთ იმას, რაც ცენზურულია, თუმცა  
ის სრულიად უმნიშვნელოა, და ამგვარ-  
ად, შეიძლება მოკვდე ისე, რომ არ  
თქვა ყველაზე მნიშვნელოვანი რამეო.“  
ამ სიმართლის გამო არ ეშინოდა მას  
არც ტავტოლოგიისა და არც პროზისა-  
თვის თითქოს იმათეთვე გარდუვა-  
ლად დაკანონებულ ლიტერატურულ  
ნორმათა ჩღვევისა. იმიტომ ამბობდა ის:  
„არ მიყვარს კოროლენკო. ის „სტილის-  
ტი“ და მე კი ასეთები არ მიყვარსო.“  
სამაგიეროდ ის მუდამ აღერსიანი ღიმი-  
ლით იხსენებდა ჩეხოვს, „მე ვცოცხ-

ლობ და ვტკბები ჩეხოვით, — ეუბნე-  
ბოდა იგი შეგობრებს. — არც შესანიშ-  
ნავად იცის მან ყველაფრის... შემწინეცა  
და დამახსოვრება. რამდენად ღრმაა  
შინაარსით მისი ნაწერები, მაგრამ შე-  
სანიშნავი ის არის, რომ არავის ის  
არ ბაძევს და თავისი დამოუკიდე-  
ბელი გზით მიდისო“. იმიტომ იყო,  
რომ ტოლსტოი ვერ იტანდა ზოგადად  
წერას, ვერ იტანდა ისეთ ლიტერატუ-  
რას, სადაც ლაპარაკია და არა ხატვა.  
„როცა ვკითხულობ, ესა და ეს ცოლის-  
მასთან და ქვისლთან ერთად სასვირ-  
ნოდ გავიდაო, ასეთი მწერალი ჩემთვის  
უკვე არ არსებობსო“, — ამბობდა იგი.

ტოლსტოი გაურბოდა არა მხოლოდ  
„სტილს“ ანდა შნოიან ფრაზას, რისთ-  
ვისაც სხვანი თავს იკლავდნენ, არამედ  
იმ სიუჟეტურ ძაბვასა და ეფექტსაც, რაც  
კვითხველების უმეტესობას ასე უყ-  
ვარს და იტაკებს. ყოველ საკვანძო  
ეპიზოდს ანდა ექსპოზიციის ის ისე  
გულდაგულ ამზადებდა, ყოველ წვრილ-  
მანს, ხან აქედან ხან იქიდან, ისეთი ჩა-  
თინებით უვლიდა, აკვირდებოდა, რათა  
ყველაფერი ლოგიკური და თავისთავად  
გამომდინარე და, რაც მთავარია, ბუნებ-  
რივი და ძალდაუტანებელი ყოფილიყო,  
რომ რუსული ენის ისეთი მცოდნე და  
სტილის ისეთი ოსტატი, როგორიც  
ტურგენევი იყო, აღნიშნავდა: ბევრ  
შეტად ბევრ მისალას ხარჯავს ტოლს-  
ტოით.

ლიტერატურა უპირველეს ყოვლისა  
ტოლსტოისათვის საქმე იყო. ცხოვრება  
იყო და კიდევ იმიტომ ეშინოდა მას სი-  
ყალობისა, ეშინოდა გარეგან სამკაულე-  
ბისა, ეშინოდა, რომ „სტილის“ წყალო-  
ბით ცხოვრებისეული სიმართლე არ  
დაკარგულიყო, დიდი სტილისტის,  
ფლობერის საწინააღმდეგოდ, აზრის მე-  
ტი სიზუსტისათვის, სახის უფრო ნამდ-  
ვილობისათვის ერთსა და იმავე სიტყვას  
ერთ ფრაზაში გაბედულად იმეორებდა.  
ტოლსტოისათვის მთავარი ფრაზა კი  
არა, სიმართლე იყო. მას არ ეშინოდა  
ვრცელი, გაქიმული წინადადების, სადაც  
შემავალი ფრაზები ისე უხვად იყო წარ-

მოდგენიღი, რომ ზანდაზან მთელ გვერდს ივერდა და წერტილს დიდისხის შემდეგ მეორე გვერდზე დასვამდა მაგალითისათვის მისი „ბავშვობის“ დასაწყისი კმარა, სადაც მძინარე ბავშვს გუვერნერი სატკაცუნათი აღვიძებს (არ შეგვიძლია თავი შევიკავოთ და აქვე არ განვაცხადოთ, რომ ამ ნაწარმოებს ტოლსტოი თბილისში წერდა). სტილი კი არა, არც ფრაზის შნო და ლაზათი, უწინარეს ყოვლისა მას აზრობრივი სისავსე და შიგ მოქცეული სიმართლე იტაცებდა. მისი პათოსი, შემოქმედებითი ეროსი, სიმართლის თქმაში, მართალ ხატვაში მდგომარეობდა. ამ შინაგანი სიმართლის ხათრით ტოლსტოი ძალზე ხშირად თვით რომანის აღნაგობასაც გაბედულად ეხებოდა და არავინ ისე თავის ნაწარმოებს არ ტვირთავდა პუბლიცისტური შენაკადებით, დიდაქტიკური მსჯელობებითა და ფილოსოფიით, როგორც ეს ბუმბერაზი რუსული ლიტერატურისა. ამის ბრწყინვალე მაგალითს თუნდაც მისი „სევასტოპოლის მოთხრობები“ წარმოადგენენ, სადაც ის ამბობს, რომ მისი მოთხრობის გმირი სიმართლეა და სხვა არაფერიო. ტოლსტოის ეს პირველი ქმნილება თითქოს მანიფესტია, კრედაა, სადაც თავის ლიტერატურულ შეხედულებას ის იმთავითვე აცხადებს.

არ შეიძლება აქვე მისი ეგრეთწოდებულ „უცნურობის“ საკითხსაც არ დავუბრუნდეთ. ის პრინციპულად არ ერიდებოდა არც იმ ლიტერატურულ რისკს, რასაც დღეს ჩვენ ნატურალიზმს ვუწოდებთ. „ომი და მშვიდობა“, „აღდგომა“, „სიკვდილი ივან ილიჩისა“ და სხვა მისი ნაწერები ამას ნათლად ადასტურებენ. ის პირმოთნე და ფარისევლური „პრუდი“, რაც მისი დროის საზოგადოებრიობას ეგზომ აკრთობდა, ტოლსტოის სასაცილოდაც არ ყოფნიდა. პუბლიცისტიკა, დიდაქტიკა, პოლემიკა და, ასე ვასინჯეთ „პორნოგრაფიაც“ მას ღირსეულ, მხატვრულ საშუალებად მიაჩნდა, თუ ეს საჭირო გახდებოდა.

სიუჟეტური იაფი ძაბვა ტოლსტოის

რომ ზედმეტად მიაჩნდა, ამას მისივე გენიალური მოთხრობაც „სიკვდილი ივან ილიჩისა“ ადასტურებს, რაც მას ბოლოდან იწყებს და საკითხს, თუ რა მოუვა მის მთავარ გმირს პირველ ფრაზაშივე ხსნის და გვეუბნება „ივან ილიჩი მოკვდაო“. ამის შემდეგ სათქმელი თითქოს არაფერია, მთავარი გმირი დაღუპულა და მით საქმეც გადაეხლებულა, მაგრამ ტოლსტოი, პირიქით, ამბავს აქედან იწყებს. მას სულაც არ აინტერესებდა, მოკვდა თუ არა ივან ილიჩი. მისი ინტერესის მთავარი საგანი მხოლოდ ის არის, როგორმე სისხლსავსედ გამოხატოს, როგორ არის ადამიანი გაქირვების დროს მიტოვებული ეგოისტურ და განათლებულ საზოგადოებაში მაშინ, როდესაც უბრალო ხალხის წარმომადგენელი, მეუზოვე გერასიმე უაღრესად კაცთმოყვარე და გულითაღია. ტოლსტოის აინტერესებდა ეთქვა მთელი თავისი აღმფოთებით, რა სულმდაბალი და რა უიმედო ყოფილა ისეთი ადამიანი, როგორიც ივან ილიჩი იყო. ივან ილიჩმა მთელი თავისი კლასის ეგოიზმი და უბრალო ხალხის კეთილშობილება მხოლოდ სიკვდილის პირას დანახა. ის მხოლოდ ახლა მიხვდა, რა ბრძენია და რა სულგრძელი მშრომელი ხალხი და რა უსუსურია და წერილმანი ის საზოგადოება, რომელსაც ივან ილიჩი მიეკუთვნებოდა. განა ამავე საკითხებს არ დასტრიალებდა თავს ტოლსტოი თავის ყველა ნაწარმოებში და განსაკუთრებით „ხოლსტომერსა“ და „პოლიკოქსაში“?

რომ ის ლამაზს კი არა, „ლამაზობას“ ორგანულად ვერ იტანდა, ამის დამადასტურებელი თუნდა მისივე „პაჯი მურატია“. ცნობილია, რომ ტოლსტოი ამ გენიალურ მოთხრობას თითქმის ორი ათეული წელიწადი წერდა და მინც დაუსრულებლად მიაჩნდა. კითხვლობ ამ უბრწყინვალეს ნაწარმოებს, კითხვლობ ისეთი ვატაცებით, რომ სულთქმა გიჟირს და თან ფიქრობ, ვერ გავიგია, რა უნდა იყოს აქ დაუსრულებელი, რა არ აკმაყოფილებ-



და მის გენიალურ შემქმნელს, ან რა აკლია? ამას წინათ გამოქვეყნებულმა ტოლსტოის ახალმა ბიოგრაფიულმა მასალებმა ეს გაუგებრობა უცებ გაფანტეს. მხოლოდ ახლა გამოირკვა ყველაფერი. ეს ნაწარმოები მას სწორედ იმიტომ არ მოსწონდა, რომ ის მეტად ლამაზი ქმნილება იყო და სილამაზის კი ტოლსტოის მუდამ ეშინოდა. არაფრის მას ისე არ ეშინოდა, როგორც ლამაზად წერისა, რადგან შიშობდა, რომ სილამაზეს სინამდვილე არ მიეჩქმალა და სინამდვილესთან ერთად სიმართლე არ გამქრალიყო. განა იმიტომ არ სძულდა მას თავისივე მეორე ნაწარმოება „ლუცერნი?“ ეს მოთხრობა მან ერთ დროს თავის ერთ-ერთ მეგობრის წმინდა ესთეტიკურ შეხედულებების გავლენით დასწერა და ეს „შეცდომა“ ვერაფრით ვერ ეპატივებინა თავისთვის ამ შეცდომას ახლა მეორედ ხომ არ დაუშვებდა! კმაროდა, რომ მას „ლუცერნი“ თავისი თავის შერცხვენად მი-

ჩნდა და იმის ჯაერიც აქამდე ვერას-გზით ვერ მოენელებინა. არაერთი მოჩვენებითი ესთეტიზმი, არაერთი სილამაზე, არაერთი ესთეტიკურ-სტილისტიკური სამკაულები და ზიზილ-პიპილები. ადამიანი უიმისოდაც მშვენიერია, მშვენიერი ყველა თავისი ცენზურული და არაცენზურული მხარეებით, რადგან ეს არის სინამდვილე და რაც ნამდვილია, ის მართალია. ყველაზე ლამაზი კი, თვით სილამაზეზედაც ლამაზი, მხოლოდ სიმართლეა და არავითარ სამკაულს ის არ საჭიროებს. ლიტერატურული ხერხები და ქარგულობანი მხოლოდ ამახინჯებენ ამ სიმართლეს და არამართლად წარმოგვიდგენენ მას. ადამიანი მხოლოდ მაშინ არის წარმატებული, როცა მას ეს ძონძები ჩამოშორდება და სიმართლე მთელი სისრულით წარმოდგება.

ტოლსტოი კი მხოლოდ სიმართლის, შეუფერავი სიმართლისა და სინამდვილის მწერალი იყო.







ფრანგულმა ხალიტრატურო ეურნალმა „დე ლეტრ ფრანსეზმა“ (რედაქტორი — ლუი არაგონი) ტოლსტოის საიუბილეოდ დაიწყო ბეჭედა თანამედროვე ფრანგული პროზის ოსტატების ანკეტისა საერთო სათაურით — „ტოლსტოი დღევანდელი მწერლების წინაშე“.

გვებედავთ ა. მორუასა (საფრანგეთის აკადემიის წევრი) და ა. ლანუს გამოსვლებს. პირველი ენობილია თავისი რომანებით „დიზრაელი“, „ბაირონი“ და სხვა, ხოლო მეორეს (ლანუს) საბჭოთა მკითხველი იცნობს, როგორც პროგრესულ ფრანგ მწერალს მისი რომანით „მაიორი ვატრენი“ (დაიბეჭდა ეურნალ „ინოსტრანაია ლიტერატურაში“). სხვათა შორის, ა. ლანუ მონაწილეობდა საბჭოთა მწერლების მე-მ საკავშირო ყრილობაზე, სადაც სიტყვაც წარმოთქვა.

## ანაკი მოკაუ

### ყველაზე ღიალი

ბევრჯერ თქმულა: შექსპირის, ბალზაისა და ტოლსტოის ქმნილებანი სამი დიდი ძეგლია კაცობრიობის მიერ აღმამიანის უკვდავსაყოფად აღმართული. ეს ქეშმარიტებაა. ამ სამთა თხზულებებში (მე მათ ჰომიროსის შემოქმედებასაც დაფურთავდი) ყველაფერია: დაბადება და სიკვდილი, სიყვარული და სიმძლავილი, მეუფეობა და მორჩილება, სიღიადე და ქარაფშუტობა, ომი და მშვიდობა.

მაგრამ ტოლსტოის მიერ შექმნილი არსებანი დაბატულია ისეთი სისადავით, ისე ბუნებრივად, როგორც ამას ვერ შეხედები სხვა რომანისტთან. ბალზაი და დოსტოევსკი ყოველთვის ოდნავ სცოდავენ ამ მხრივ. ტოლსტოი კი უზადო სარკეა, რომელიც მთელ ცხოვრებას აირეკლავს ხოლმე. მკითხველს ისეთი გრძნობა ეუფლებს, თითქოს იგი წყნარმა მღინარემ წარიტაცა. აქ თვით ცხოვრება მოედინება.

აღამიანის სულში ჩასაწედომად, მის შესაძენად აუცილებელია ქეშმარიტი კაცთმოყვარეობა. მწერალმა უნდა გამოიმუშაოს ღირებულებათა დასადგენი სისტემა. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მისი წიგნები მარტოოდენ მორალს უნდა ქადაგებდნენ. პირიქით, მან უნდა შესძლოს მეცნიერული მიუდგომლობით ისე განსკვრიტოს არსი თუ საგანი, როგორც იგი სინამდვილეშია. არსს კი ბევრი რამ ახასიათებს. მიუდგომლობა

არ მოასწავებს ათვისების უნარის უქონლობას, მით უფრო იგი არც სიმკაცრეს ნიშნავს, სინამდვილეში ყველა დიდი რომანისტის წარმატება — სერვანტესიდან მოყოლებული ტოლსტოიმდე — აიხსნება იმით, რომ მათ შესძლეს ისეთი გმირების შექმნა, რომლებიც ჩვენი სიმპათიასა და სიყვარულს აღძრავენ, მიუხედავად თავიანთი ავკარგიანობისა, ყველაზე უძლურნიც კი მათ შორის არ ჰყრიან ფარხმალს და ამით განსხეავდებიან ჩვენი დროის დამარცხებულთაგან. თვით პრუსტსაც კი სწამდა რაღაც საზომი ღირებულებისა: თაყვანისცემა და მოწიწება ზელოვნებისა და ამღლებულის მიმართ, მოკრძალებული სათნოება, რაც საფუძველია მხატვრული განსახიერებისა.

ტოლსტოის რომანები მარტოდენ რომანები როდი არიან. ისინი უფრო მეტს მოასწავებენ. „ანა კარენინას“, „ომისა და მშვიდობის“, „ივან ილიჩის სიკვდილის“ მიღმა მეტაფიზიკური დრამა გვესახება. კონსტანტინე ლევინი, თავადი ანდრია ბოლკონსკი განასახიერებენ მათს შემოქმედებას, სულიერ ავლადიდებას, აეტორი თანამოაზრეა მათი იმედის გაცრუებისა, მათი სინდისის ქენჯნისა და მათი იმედებისა. ტოლსტოი, თავისი გმირებივით, ცხოვრებისეული სიბრძნის შესაძენად გლეხებს მიმართავს. ასეთია თედორე „ანა კარენინადან“, პლატონ კარტაევი „ომი და

მშვიდობიდან“ და კეთილი გერასიმე „ივან ილიჩიდან“. აი, სწორედ ისინი არიან წაბაძვის ღირსნი, როგორ და რას უნდა მიბაძო? გიყვარდეს ისე, როგორც მათ უყვარდათ!

ლევინმა, ისევე როგორც ტოლსტოიმ, იცის, რომ იგი კვლავაც დატანჯავს თავის ცოლს, კვლავ წაეჩხუბება მეეტლეს, კვლავ წამოიწყებს ამო დავას. „მერე და რა ბედენაა, ჩემი შინაგანი ცხოვრება, თუ ამიერიდან აღარ იქნება დამოკიდებული გარეშე მოვლენებისაგან. ჩემი ცხოვრების ყოველ წუთს ექნება განსაზღვრული აზრი: აზრი სიკეთისა...“

რითაა დავალებული ტოლსტოი ბალზაქისა ან ფლობერისაგან? იგი მათ კარგად იცნობდა, მაგრამ სრულებით არ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს იგი მათს ტექნიკას ბაძავდეს. იმდროინდელ რუსეთში მას „რეალისტს“ უწოდებდნენ, მაგრამ ტოლსტოის რეალიზმი არა ჰგავს ჩვენი ნატურალისტების რეალიზმს. ოთახის მოწყობილობის თუ ქალის ტუალეტის ბალზაქისებური დეტალური აღწერა მას მოწყენილობას მოჰგვრიდა. არც ფლობერის სტილის ეფექტურობა იგრძნობა მასში. ტოლსტოი თავისი გზით მიემართება. მას მხოლოდ თავისი გმირების გრძნობები და მისწრაფებანი აინტერესებს და არც კი განსჯის მათ საქციელს, ბალზაქი ჰკიცხავს ჰულოს, სამარცხვინო ბოძზედ აკრავს ფერდინანდს. ფლობერს სძაგს ბურჟუაზია. ტოლსტოი, როგორც დემიურგი და ღვთაება, ყველას თანაბარ სინათლესა და შუქს ჰგენს.

როცა ეცნობი მის ტიტანურ გმირთა სამყაროს, გებადება კითხვა: როგორ შეეძლო ზოგიერთ კრიტიკოსს მისი რომანები გამოეცხადებინა ლიტერატუ-

რის აწ გარდასულ ფორმად? არასოდეს არ შექმნილა „ომსა და მშვიდობაზე“ ან „ანა კარენინაზე“ მშვენიერი, აღამიანური, ჰუმანური და საჭირო რომანი. მე ბუნებრივად მიმანია ახალგაზრდა რომანისტების მიერ წერის ახალი ტექნიკის ძიება. ზოგიერთი მათგანის მიღწევა ამ მხრივ გამართლებულია და მისასაღმებელი, მაგრამ ისინი ვერასოდეს ვერ შექმნიან იმაზე უკეთესს, რაც მოგვცა შემოქმედმა, რომლის სტიქია არც ერთ დოქტრინაში არ თავსდება ყველაფერი, რაც დღეს ნიახლედ ითვლება, თქვენ შეგიძლიათ მონახოთ მის ნაწერებში. ზედმეტი ადამიანი? სევდა? აბავინ განიცდის მის ლევინზე უფრო მწვავედ, რომელიც, მუშაობს რა მთელი დღის განმავლობაში გლეხებთან ერთად, გაიძახის: „აბა რა გამეგება მე? სადა ვარ მე? და რა მიზანი აქვს ჩემს ყოფნას?“

ფროიდი? უმოქმედობა? აი, წაიკითხეთ:

„სტეპან არკადიჩმა ხელი წაივლო შლაპაზე, შედგა და თავის თავს შეეკითხა, ხომ არაფერი დამაუიწყდაო. დაავიწყდა კი მას მხოლოდ ის, რისი დავიწყებაც ასე უნდოდა: თავისი ცოლი“.

პრუსტი? აკოკრებული ქალიშვილები? მცირეწლოვანი ბანდიტები? ნახეთ, როგორ დაატყვევა ლევინი იმ იდუმალებით მოცულმა ატმოსფერომ, რომლითაც გარემოსილნი არიან დები შჩერბაცეები.

ყველაფერი, რაც ჩვენ გვიყვარს და მოგვწონს, უკვე აქვს ტოლსტოის. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ახალგაზრდობამ ძიებასა და ექსპერიმენტებს თავი მიანებოს.

ექიებდეთ და ჰპოვებდეთ.



## ტოლსტოი და უკმაყოფილოთა თაობა\*

უკანასკნელად ალბერ კამიუს უნივერსიტეტის ქუჩაზე, „ნუველ რევიუ ფრანსეზის“ რედაქციასთან შევხვდი. იგი გატაცებითა და ღრმა პატივისცემით ლაპარაკობდა ზოლასა და ტოლსტოიზე. მას არაფერი სწამდა იმ პრანქია, პრეტენზიებით აღსავსე სნობიზმისა, რომელიც არაფრად აგდებს ისეთ გენიოსებს, როგორიც არიან ბალზაკი, ჰიუგო, ზოლა, დიკენსი, ტოლსტოი. ის არ ვანეკუთვნივოდა უკმაყოფილო ბავშვთა რიცხვს.

მართლაც, ძალზე ადვილია აბუჩად აიგდო და უგულვებელყო ძლიერი, ღრმა და ვრცელი შთანაფიქრი, მშლეთა-მძლე მისწრაფება სოციალური ძვრების და ხალხთა ტრაგედიის ჩაწვდომისა.

...გაკვეთილი, რომელიც შეუძლია მოვეცეს ლევ ტოლსტოის გარდაცვალების 50 წლისთავმა, უპირველესად ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვაფრთხილებს: სათუთად მოვეპყროთ იმას, რაც ასე ძვირფასია ჩვენთვის. ეს გაკვეთილი განკუთვნილია მათთვის, რომელთაც არავითარი მოღვაწეობა არ სურთ და კმაყოფილნი არიან იმის გამო, რომ თავისუფალნი არიან ყველაფრისაგან. ესაა შესხენება უბრალო ჰუმანიტეტებისა: ქმნილების სიდიდესა და ცხოვრებასთან მის შეთანხმებას აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში. სიტყვა „დიდს“ აქ ორმაგი აზრი ენიჭება: „ვერსალი უფრო დიდია, ვიდრე ტრიანონი“. ტოლსტოის ეპოპეამ არ შეიძლება აღტაცება არ გამოიწვიოს ჩვენში. სწორედ ამას გრძნობდა ალბერ კამიუ.

დღეს სნობიზმი მხარს უჭერს მცირე ზომისა და უნიათო ქმნილებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ტოლსტოის

გარდაცვალების 50 წლისთავი აღინიშნება იმ ეპოქაში, რომელიც საესეა პრანქიობითა და ფორმისადმი თავყანისცემით, გონგორიზმით.<sup>1</sup>

ტოლსტოი მაგალითია სიდიადისა, მასალის სიმდიდრის, კეთილშობილებისა, საუკეთესო გაკვეთილია ხალხის გენიის აღიარებისა. „ომსა და მშვიდობაში“ განსაკუთრებული და საყოველთაო ინთქმება მოსკოვის ხანძრის ცეცხლში, რომელიც ანათებს და გარდაქმნის ორი თჯახის ბედს. კუტუზოვი ცოცხალი განსახიერებაა რუსული სულისა, ისევე, როგორც ნატაშა როსტოვა, მისი ქალური ორეული, რომელსაც გააჩნია რომანის იდეალური გმირის ყველა ნიშანი და, რომელიც მარად ცოცხლობს და დაუფიწყარია. ადამიანები, ხალხი, ისტორია.

„ომი და მშვიდობა“, მიუხედავად უკმაყოფილო ბავშვთა გრიმასებისა, ინარჩუნებს მარადიულ ღირებულებას. მაგრამ, როდესაც მწერლის ქმნილებაში მონუმენტური კარებით შედიხართ, როგორ შეიძლება არ შეამჩნიოთ, რომ ინდივიდუალურ და კოლექტიურ დიდსულოვნებაში ჩაქსოვილია ძვირფასი და მძლავრი საყოველთაო ხვედრი? ეს ტერმინი, რომელსაც შეეძლო ხალხის მასების ამოძრავება, შემცველია აგრეთვე ყველა სიმშვენიერის თავისებურებისა.

„ომი და მშვიდობა“? ჰუმანიტადი მაგრამ მთელი მისი ქმნილება შეიძლება დასათაურებულიყო ასე: „სიცოცხლე და სიკვდილი“. ეს სრულებით არაა ის, რასაც ესპანელები Viva la muerte-ს უწოდებენ. პირიქით. სიკვდილი აქ შემომქმედისათვის ისევე შთამაგონებელია, როგორც სიცოცხლე. იგი მისი შე-

<sup>1</sup> გონგორა — ესპანელი მწერალია, რომლის სტილს ახასიათებს არაბუნებრიობა და პრანქვირება.

\* იბეჭდება შემოკლებით. რ. ვ. დ.

სატყვისია. აქა მათი გასაუბრება ქმნი-  
ლებაში ისევე, როგორც თვით მწერლის  
არსებაში. ვორკიმ სწორად შენიშნა,  
რომ ტოლსტოის ქმნილებათა ცენტრში  
სიკვდილი სუფევს:

„მთელი ცხოვრების მანძილზე მას  
ეშინოდა სიკვდილის და სძულდა იგი,  
მთელი ცხოვრების მანძილზე იგი  
გრძნობდა „არზამასის საშინელებას“,  
რომელიც თრთოდა მისი სულის ირგ-  
ვლივ: განა ტოლსტოი უნდა მომკვდა-  
რიყო?“

ეს სიკვდილია, რომელიც მას გაურ-  
ბის და, რომელიც მას წამოეწევი ას-  
ტაოვოს სადგურის უფროსის პატარა  
სახლში. სწორედ სიკვდილი შეანათებს  
მას სახეში, მის სიკვდილში — ამ აგო-  
ნით აღსავევ მოთხრობაში, გამოიცი-  
ნა პერსონაჟი:

„და მან ნათლად იგრძნო, რომ ის,  
რაც აწვალებდა და აწამებდა, იფანტე-  
ბოდა, თითქოს ყოველმხრივ ეცლებოდა.  
მას ისინი ებრალებოდა. კმარა მათი  
ტანჯვა. მან ისინი უნდა გაათავისუფ-  
ლოს და თავადაც განათავისუფლდეს  
მათი ტანჯვისაგან. რა კარგია და რა  
უბრალო ეს, — ფიქრობდა იგი. მაგრამ  
აბა რა უკნა? — ეკითხებოდა იგი თავის  
თავს. მაშ ასე! სადა ხარ შენ, ნალევლო  
ჩემო? აჰ, აი, აქ ყოფილხარ. კარგი. დაე,  
აქვე დარჩი. სიკვდილი? სადაა იგი? მან  
ძებნა დაუწყო შეჩვეულ შიშს და ვერ  
კი იპოვა იგი. სადაა იგი? რომე-  
ლია სიკვდილი? მას უკვე აღარ ჰქონ-  
და შიში, რადგან სიკვდილი უკვე აღარ

არსებობდა. სიკვდილის ადგილას იგი  
სინათლეს ხედავდა“.

აქ კარგად იგრძნობა მწერლის მათ-  
ქვეყა პერსონაჟში. იგი რაღაც იღუმა-  
ლებით წინასწარ განჭვრეტს საკუთარ  
სიკვდილს, დამარცხებულ სიკვდილს.  
სინათლე, ცხოვრება მაინც იმარჯვებს.

ყველაფერია ამ დიდ მწერალში: ინ-  
ტროვერსია და ექსტრავერსია. ეს იგი-  
ვე პროცესია, რასაც ჩვენ ვხედავთ მარ-  
სელ პრესტში, რომელსაც მთელი სა-  
ზოგადოება თითქოს ხელახლა შემოკ-  
ყავს თავის ინტროვერსიაში. თუ ჩვენი  
უკმაყოფილო ბავშვები უგულვებელ-  
ყოფენ ტოლსტოისადმი თავიანთ-  
ცემას იმისათვის, რომ სოციალურად  
იგი დიდია, იმისათვის, რომ მან შეს-  
ძლო გენიალურად გაეგიგებინა ადანი-  
ნი ხალხთან, მაშ მათ თავიანთ შინაგან  
ტრაგედიაში უნდა ეძიონ ის, რაც ასე  
უყვართ ლიტერატურაში. ისინი უცნა-  
ურ რამეებს აღმოაჩენენ იქ. მაგრამ რა  
მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას. თუ,  
ბოლოს და ბოლოს, გზა ნაპოვნი იქნება!  
ყიდი, რომელიც უკიდურესი ინდივი-  
დუალისტი იყო, რომელსაც ინდივიდუ-  
ლის გარდა სხვა არა სწამდა რა, თავიანთ  
სცემდა სწორედ ტოლსტოისა და ზო-  
ლას, რადგან ხედავდა მათში იმას, რაც  
თვით არ გააჩნდა და აკლდა. ასე რომ,  
შესაძლოა, ჩვენმა მანჭიებმა ახლა მა-  
ინც გაუგონ, რისთვის უკავშირებდა  
ალბერ კამიუც კი ზოლას და მას, ვისაც  
იგი „დიდ რუსს“ უწოდებდა. ტოლსტო-  
ისა და ზოლას ერთი მორალი ჰქონდათ:  
„ბრძოლა, აი, რა არის ცხოვრება“.



## ომის პრობლემა დღე ტოლსტოის შემოქმედებაში

ლევ ტოლსტოის მდიდარ შემოქმედებაში ომის ამბებს და საზოგადოდ მთელ სამხედრო საქმეს, ომისა და მშვიდობის პრობლემატიკას ფრიალ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იგი გასდევს დიდი მხატვრის მთელს შემოქმედებით ზიგნას.

პირველი ნაწარმოები, სადაც ტოლსტოი შეეხო ომის პრობლემას, არის პატარა მოთხრობა „თადასხაში“ („Haber“), რომელიც კავკასიაში იწერებოდა. უკვე ამ მოთხრობაში გამოჩნდა ტოლსტოის ორიგინალური მიდგომა საგნისადმი; იგი აშქუბდა ომს არა იმნაირად, როგორც წინამორბედი რუსული ლიტერატურის ნაწარმოებთა უმრავლესობა, სადაც ომის რომანტიკული იდეალიზაცია ტრადიციად იყო ქვეყნული.

პუშკინი რუსული რეალისტური პოეზიის გენიალური ფუძემდებელი იყო, მაგრამ ომის სურათი, რომელიც მოგვცა მან პოემაში „პოლტავა“, უფრო რომანტიკულ იერს ატარებს, ვიდრე რეალისტურს. იმავედროს, სულ სხვაგვარი იქნებოდა პოლტავის ბრძოლის სურათი, რომ პუშკინს იეწერა არა ბედადურ ცხენზე შემჯდარ პეტრე მეფის ჯიროთი ბრძოლის ველზე, არამედ ბრძოლაში დაქრულ რიგითი მეომრის სულიერი განცდები: ეპითეტი „РАЗОЧЕН“ ამ შემთხვევაში არ მოერგებოდა ბრძოლას. პუშკინმა მოგვცა ბრძოლის საერთო სურათი, ავეიწერა ბრძოლა en grand ensemble, არ წარმოგვიდგინა ამ ბრძოლის კერძო დეტალები, ბრძოლის შემადგენელი წერილმანი ნაწილები.

მოსახეხებელია ამ გოგოლიც, რომლის ცნობილი ნაწარმოები „ტარას ბულბა“ მიეძღვნა უკრაინელი ხალხის ისტორიულ ბრძოლის პოლონელ პანებთან თავისი ეროვნული სახის შესანარჩუნებლად, მაგრამ ამ რეალისტი მწერლის თხზულებაშიც მოცემულია ომის მხოლოდ ერთი მხარე — რომანტიკა.

უფრო რეალისტური სურათი ომისა შექმნა ლერმოლოვმა, რომელიც პუშკინისა და გოგოლისაგან განსხვავებით, მსახურობდა ჯარში, თვითონ ყოფილა არა ერთი ბრძოლის აქტიური მონაწილე და, მაშასადამე, უკეთესად ცოდობა არის ომი. მიუხედავად ამისა, ლერმოლოვმაც ვერ შეძლო ომის რომანტიკული იდეალიზაციისაგან საბოლოოდ თავის დაღწევა, რასაც ცხადპყროს ლექსი „დედა“. ამ უღარესად სიზნებო ტონით არის აღწერილი რუსეთის ჯარის ძღვევამოსილი მოძრაობა წარდილოეთიდან „აღმოსავლეთისაკენ“.

სულ სხვაგვარია ომის სურათები ლევ ტოლსტოის მხატვრულ წარმოდგენაში. ტოლსტოი ძალიან კარგად იცნობდა ომს პირადად თავისი გამოცდილებით. 1851 წელს, მაისში, ის ჩამოვიდა კავკასიაში და 1854 წლის იანვრამდე მსახურობდა კავკასიის ჯარში, რომელიც იმ დროს აწარმოებდა ომს შამილთან. ტოლსტოის არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა ბრძოლაში, და ამ ვარემოებამ მისცა მას საშუალება კარგად გაესცნობოდა ომს და მოეცა მისი რეალიზტური აღწერა. ომის რომანტიკული იდეალიზაციის მცირედენ ნიშანსაც ტოლსტოის თხზულებებში აღარ შევხვდებით. პირაქით, ტოლსტოი ცდილობს ჩამოაცილოს ომს ის ბრწყინვალე შარავანდედი, რომლითაც შემოსა იგი წინამორბედი ლიტერატურულმა ტრადიციამ. ამ მიზნის ემსახურება სწორედ ის ანალიტიკური მეთოდი, რომელსაც მიმართავს ტოლსტოი ომის აღწერის დროს. თუ უწინ კმაყოფილებუბონდნენ ომის აღწერით ზოგად ხაზებში, ტოლსტოი ცდილობს გამოამჟღავნოს, რისგან შედგება ომი, როგორია მისი ნაწილები, მისი ელემენტები: ტოლსტოის აინტერესებს ომის რიგითი მონაწილეები, მათი სულიერი განცდები ბრძოლის დროს. სხეინათრად რომ ითქვას, ტოლსტოი ეწევა თავის თხზულებებში ომის ანალიზს, და ამის შედეგად ომი ხიარტება იდეალური მოვლენის სახე. ასეთია ხომ ჩვეულებრივ ანალიზის შედეგი: რაც შორიდან, ერთი თვალისმოვლებით, მშვენიერ სანახაობად გვეჩვენება, ის შესაძლებელია სრულიად აღარ მოგვეჩვენოს მშვენიერ საგნად, როდესაც მას დაეკვირვებით აბო და ვაეცნონობთ მის შემადგენელ წერილმან ნაწილებს. ლევ ტოლსტოის ანალიტიკურმა მეთოდმა წართვა ომს ის ბრწყინვალეობა, რომელიც ჰქონდა მას წინამორბედ ლიტერატურაში და რომელიც მხოლოდ მცდარი ილუზია ყოფილა; ილუზორული ომის ნაცვალ ტოლსტოიმ მიაწოდა თავის მეთხველებს რეალური ომის სახე.

უკვე ტოლსტოის პირველ სამხედრო მოთხრობა „თადასხაში“ (1852 წ.) კარგად მოჩანს ანალიტიკური და რეალისტური მიდგომა ომის საკითხებისადმი. ომი წარმოდგენილია ამ მოთხრობაში მის საყოველთაოდ, პროზაულ მოვლენებში. ტოლსტოი არ ცდილობს „შეაღამოს“ ომი, ომში მონაწილე სამხედრო პირების სახით ტოლსტოი წარმოგვიდგენს ჩვე

ომის ნაცვალ ტოლსტოიმ მიაწოდა თავის მეთხველებს რეალური ომის სახე.



ულელები ადამიანებს, მათი ზვეულებრივი ღირსება-ნაყოფიანებებით. აი, მაგალითად, კაპიტანი ხლოპოვი, რომელიც 18 წელიწადია კავკასიაში მსახურობდა, ოთხჯერ ყოფილა ბრძოლებში დაჭრილი, და ამ 18 წლის განმავლობაში ერთხელაც ვერ მოხუხრებია მივლი შევებულება და გამგზავრებულიყო სამშობლოში თავის მოხუცებულ დედას სანახავად: მსახურობს ხლოპოვი კავკასიის ჯარში, თავისი სამშობლოდან მოშორებით. მხოლოდ იმიტომ, რომ არ შეუძლია არ იშახუროს, რადგან ღარიბი კაცია და ცხოვრობს სამსახურში მალეული ჯამაგირით. ამ შვირე შემოსავლის ნაწილს იგი უგზავნის დედას და დას. როდესაც ხლოპოვს ვითხოვნიან, რატომ არჩია მან სამსახური შორეულ კავკასიის ჯარში, რომელიც ომს აწარმოებდა მთელეზიან და, მამასადაც, ყოველ დღე სიკვდილით ეწყობებოდა მას, კაპიტანი ხლოპოვი სრულიად გულწრფელად, ყოველ პოხის გარეშე, ამბობს, რომ კავკასიაში მოსამსახურე მხედარს გაორეცებული ჯამაგირი ეძლევა: „ჩემსავეთ ღარიბი კაცისათვის ეს გაორეცებული ჯამაგირი ბევრს ნიშნავს“. როგორც ვხედავთ, კაპიტანი ხლოპოვი პიროვნულად უფროებს ჯარში სამსახურს— ეს არის მისთვის არა აღმფრთხილებელი პიროვნება, არა საოცნებო სიკეთე, არამედ ისეთივე თავისსარჩენი ხელობა, ისეთივე პიროვნება, როგორც არის, მაგალითად, ხარაზისათვის წედლის კერვა ან დურგლისათვის დურგლობა.

ტოლსტოი ამ იცის, რომ სამხედრო პირობა შორის არაიშეითია ისეთებიც, რომლებსაც ჯარში სამსახური იზიდავს არა ჯამაგირით: ზოგი ეძებს ომში ასსიკვდილო ხიფათის მებრ აღძრულ ძლიერ განცლებს\*, ზოგი ოცნებობს ომში თავის გამოჩენაზე და გულადი შეომრის სახელის მოხევეება და ა. შ. ასეთი, მაგალითად, პორტუჩი როზენკრანცი, რომელიც წელეზე ფეხს იდგამს, რათა ყველას არაბეულებრივ გმირად მოაჩვენოს თავი; მას ჯამაგირი კი არ აინტერესებს, არამედ თავის გამოჩენა, შეომარი გმირის სახელი.

არ ეძებს ჯამაგირს ახალგაზრდა პირობრიშვიკი ალანინი, რომელსაც სულ რამდენიმე კვირის წინ დაოსრულება სამხედრო სასწავლებელი და ჩამოსულა საომარად კავკასიაში. ალანინს ომი ნეტარებად წარმოუდგენია. მაგრამ, საუბედროდ, პირველსავე შტაბებში ჩერქეზებთან ალანინი მოკლულ იქნა, და ასე ეულად დასრულდა მისი რომანტიკული ოცნება.

„თაღდახმაში“ ტოლსტოი ავეწერს უბრალო ჯარისკაცებსაც, მათ ჩვეულებრივს ყოფაცხოვრებებს, ავეწერს ბრძოლის დამამასიათებელ მომენტებს, ჯარის შეიარაღებას, იერიშზე ვადისეღას, დაპყრობილი აულის განადგურებას. ყველგან დაცულია სინამდვილის გამოჭების რეალისტური (ანალიტიკური) მეთოდი, რომელიც აძლევს მწერალს აბოულებას სწორი წარმოდგენა შეუქმნას მეტოხველს კავკასიის მთიე-

ლებთან წარმოებულ ომის შესახებ. ავერ მტრის ყუმბარა მოხედა ჯარისკაცს და ომის მისი სასაოწარკვეთილი კენესა, მაგრამ მძაბრობაში გამობრძედილ გენერალზე ამის დანახვა არ შესძენს არავითარ შთაბეჭდილებას, და ის განაგრძობს „მშვიდი ღიმილით“ სასამართლო საუბარს მთიართან. აი, პორტუჩი როზენკრანცი „მოხევიშე სახით გამოდის ერთი სახლიდან და მის უკან ორ ჯარისკაცს მოყავს ბაწრით შეკრული ბეგები მთიელი, რომლის მთელ ტანისამოსს შეადგენდა დაკონკალი ქრელი ახალუხი. მისი სახე დაფარული იყო ღრმა ნაოჭებით, ხოლო უბრალო პირი განუწყვეტილად ებრალებდა“. პორტუჩი როზენკრანცი თავს გმირად გრძნობდა, თუმცა არავითარი გმირობა არ იყო საჭირო ამ საწყალი მოხუცის დასატყვევებლად, რომელსაც არ უხმარია და არც შეუძლო ესმარა იარაღი.

შობლობაში „ტყის გაკაფვა“, ლევ ტოლსტოი, ეხება რა რუს ჯარისკაცთა ფსიქოლოგიას, ამბობს, რომ რუს ჯარისკაცს არ სჭირია ეფექტები, მაღალფაროვანი სიტყვები, მხედრული შეძახილები, დაფრთხილები. პირიქით, მისთვის სიკვრია სიმშვიდე, წესრიგი, ყოველი არამხედროების მოცილება. ქუშმაროტ რუს ჯარისკაცში არასოდეს არ შეიძინევა ტრაბახობა, ცრუ-ყოჩაღობა. მისი ხასიათის ნიშნებია თავშეაღობა, სისადავე და „ყოველ ხიფათში იმის დანახვა, რაც რაღაცა სხვა არის და არა ხიფათი“.

1853 წელს ატყდა ყირიმის ომი, და ტოლსტოი, თანამხედ მისი თხოვნისა, მოხსენეს კავკასიის ფრონტიდან და გადაიყვანეს დენაის არმიამში. 1854 წლის ბოლოს ტოლსტოი მოხედება ილყა-შემორტყმულ სევატოპოლში და აქტიურად მონაწილეობს მის დაცვაში. თავის სამხედრო დაკვირვებათა საფუძველზე ტოლსტოი წერს შესანიშნავ „სევისტოპოლის მოთხრობებს“, რომელშიც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე და პირველხარისხოვან მწერალთა რიგში ჩააყენა მისი ახალგაზრდა ავტორი. ნერკსაგმა და ჩერნიშევსკიმ ერთხმად აღიარეს, რომ ტოლსტოის სახით დიდი ძალა შეემატა რუსულ ლიტერატურას. „ლევ ტოლსტოის სახით,—ამბობდა ნერკსაგოვი,— ჩვენ ვხედავთ მწერალს, რომელსაც შერჩენია უნარი, დაიკვის ღრმა და ფხიზელი სიმართლე იქ, სადაც სხვები ვერ მოახერხებდნენ ამას. სწორედ ეს არის ამჟამად რუსეთისათვის საჭირო. სიმართლე, მხოლოდ სიმართლე, რომელიც ვოგოლის სიკვდილის შემდეგ ცოტადა დარჩა რუსულ ლიტერატურაში. იმ სახით, რომელიც აქვს მას ტოლსტოის შემოქმედებაში, ეს სიმართლე არის რაღაც ახალი მეთოდი. დღემდე ჩვენს ლიტერატურას, გარდა გაცვეთილი სიკრულისა, არაფერი უთქვამს ტუსი ჯარისკაცის შესახებ“.

პირითად იღვას, რომელიც ამ მოთხრობებშია გატარებული, ომის უარყოფა შეადგენს. აქ უღერო გარკვეულად, ვიდრე კავკასიის სამხედრო



მოთხრობებში, მწერალი ემიჯნება ომის რომანტიკულ იდეალიზაციას. ვამპირიანი ანალიტიკოსის კალმით ტოლსტოი აგვიწერს ომის საშინელებებს — ადამიანთა დასახიჩრებელ გვაშებს, სისხლის დაგვებულ ტბებს, მძიმედ აღჭრელ ჯარისკაცთა გულშემაზრახველ კენესას. სევასტოპოლის ციხის პირველი მოთხრობა („სევასტოპოლი დეკემბერში“) იწყება პოსპიტალის, დაჭრილთა უბედური უფის და გვიმების მძიმე შრომის რეალისტური აღწერით.

მოთხრობაში „სევასტოპოლი—მაისში“ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ოფიცერ პრასკუხინის სიყვდილის აღწერა, მოცემული ფსიქოლოგიური დაკვირვების მანამდე უცნობი სიღრმით და სიზუსტით.

ტოლსტოი წინააღმდეგობას უწყევს ომის ტრადიციულ განიღვებას. არავითარ გმირობას ტოლსტოი არ ხედავს იმ ნაწილ „გმირებში“, რომლებიც უმთავრესად ოფიცერთა წრიდან გამოდიოდნენ და ჯარის ზედდღენას“ ეუფლებოდნენ (ბარონი პესტი, თავადი ვალკინი, აზნაური კალგინი). პირაქით, ყველა ამ „გმირს“ ამოძრავებს წყრილობანი ეგოისტური ინტერესი: ერთს სურს ორდენი მიიღოს, მეორეს სურს სამსახურში ამაღლდეს, მესამეს სურს თავი გამოიჩინოს, სახელი გაითქვას, და აი ასეთი უბადრუკი სურვილების დასაკმაყოფილებლად აღინიშნა არიან წინააღმდეგენ დიდი ბუნების კონანს, გადალახონ ბუნების მიერ ადამიანში ჩანერგილი ზიზღი სიყვდილისადმი და თავს თავი განწირონ და სხვების სიცოცხლაც აღარ დაზოგონ.

ტოლსტოი ამ კარგად იცის, რა ძნელი ასეთი „გმირობა“, ვინაიდან ტყილია სიცოცხლე და არ მოიძოვება ისეთი კაცი, რომელსაც შეუძლია გულგრილად შეუშვიროს მკერდი ცხელ ტყეცას, ყოველ ადამიანს ეშინია სიყვდილის, და ეს სრულიად ბუნებრივი, სრულიად კანონზომიერი მოვლენაა. მაგრამ ზოგიერთი მაღას და ამ შიშს და ცდილობს უშიშარ გმირად მოაჩვენოს სიკვამლე, რადგან წყრილობანი პატივმოყვარეობით არის შეპატიობილი. უმბაქრესობა კი თავისებულაა ამ უანორი პატივმოყვარეობისაგან და მისი დამოკიდებულება ციკლიკლისადმი უფრო ბუნებრივია, უფრო სხვა და გონიერია. ასეთი ბუნებრივი და გონიერი დამოკიდებულება სიკვდილისადმი აქვს ხაობის მასას, რომელიც „სევასტოპოლის მოთხრობებში“ წარმოდგენილია უბრალო ჯარისკაცთა სახით. არსებითად რომ ითქვას, ეს უბრალო ჯარისკაცები მტერ ვაჟაკობით ხასიათდებიან, ვიღაც მათი უფროსი ოფიცერობა, რომლებსაც ამირაბად მოაქვთ თავი. გავიხსენით, როგორ ხუმრობენ ვალოდია კოზულკოვის ხელქვეითი ჯარისკაცები, რომლებიც ფრანგების საშინელი იერიშის დროს სხედან სინაგოგაში და ყოველ წიგნს ელიან სიკვდილს. არბისი მთავარ ძალას სწორედ ეს ჯარისკაცები შეადგენენ. მათ შეურყეველ ვიქცა-

ცობაზე, „ჯარის საერთო სულსკვეთებზე“ დამოკიდებულთა, ტოლსტოის სწრით, ომის ბედი და არა გენერლებისა და ოფიცერების მწყობარა გულგობაზე, თუმცა უიღოდ და სახელ ომში ვაძარჯვებისათვის ამ უკანასკნელებს ხედება ბოლზე წილად.

„სევასტოპოლის მოთხრობებში“ ის აზრია გატარებული, რომ ომი არის ბუნების საწინააღმდეგო და უნებური მოვლენა, რომელსაც წარმოშობს ბუნებისაგან მოწყვეტილი და მოზარდრად დაცემული არისტოკრატიის, „ხედა ფენების“ ინიციატივა. თავისი ცხოვრების პირობებით ბუნებასთან დაახლოებულ ხალხს ომი სწულს და თავისი ინიციატივით იგი მხოლოდ მაშინ ებედობს ხელს იარაღს, რომ ებედობება თავი დაიცივს მტრის შემოტრევისაგან. მდამიო ხალხს უყვარს არა ომი, არა სისხლის ღვრა, არამედ მშვიდობიანი ყოფა, რათა იმეშაოს გულმოდგინედ და თავიანი ნაოფლართი იცხოვროს ამ ქვეყანაზე. ომი კი ძალით ახევეს თავს უბრალო ხალხის მისებს კაცობრიობის არისტოკრატიული ნაწილი. ასეთია „სევასტოპოლის დაცეს“ დედანაზრი, რომელზედაც შემდეგ აწინდება ტოლსტოის დიდი რომანი „ომი და მშვიდობა“.

არსებითად რომ ითქვას, რომან „ომა და მშვიდობაში“ ორი ომა წარმოდგენილი: ერთია 1805 — 1807 წლების ომი, რომლის ცენტრალური ეპიზოდით იყო აუსტერლიცის ბრძოლა, ხოლო მეორეა 1812 წლის ომი, რომლის ცენტრალური ფაქტს ბოროდინოს ბრძოლა წარმოადგენდა. ეს ორი ომი უპირისპირდება ერთმანეთს თავისი ხასიათით. 1805—1807 წწ. ომი იყო მეფის თეომაპრობულური მთავრობის და არა რუსი ხალხის ომი. ეგი წარმოებდა სადღაც შორს, რუსეთის მოკავშირე სახელმწიფო აუსტრიაში, რუსეთის საზღვრებს იქით. რუს ხალხს ეს ომი არ ესაჭიროებოდა, მისი აზრი არ ესმოდა. ამიტომაც წაავს ეს ომი რუსეთმა ძალიან ადვილად. „ჩვენ აუსტერლიცთან საჩხუბარი არა გვექონდა რა. ვესურდა ჩვენა გამოსულიყავით ბრძოლის ველიდან, და ჩვენც გამოვიყვიეთ“, — ამბობს ტოლსტოი თავისი რომანის ერთ-ერთთ გმირებს — ანდრეი ბოლკონსკის პირით.

ბევრად განსხვავებული იყო ამ ომისაგან 1812 წლის ომი, რომელიც იყო არა მხოლოდ მთავრობის, არამედ მთელი რუსი ხალხის შებრძონლება მტერთან, ე. ი. სახალხო ომი. ნაპოლეონი შემოიჭრა შეაგულ რუსეთში, ააოხრა იქ უწყლადური და დაპირა მოსკოვი, რუსეთის გული. არ დაჩრწენილა თითქმის არც ერთი ოჯახი, რომელიც მტერს არ გაემარცხოს, არ აწიოყებინოს. ამ რუსმა ხალხმა უშუალოდ იგარძნა თავის თავზე მტრის უღმრთებლობა და ეკვეთა მის საყუთარს თავის დასაცავად. არ იყო ისეთი კუთხე, სადაც პატივანული რაზმი არ მოქმედებდა. ამიტომ იქნა ეს ომი მოგებული: რუსმა ხალხმა, უმთავრესად კი გლეხობამ (ე. ი. ვლასებმა, კარებმა, ვასილისებმა, ტიხონებმა და

სხვა ასეთმა გლეხებმა) დაიცვა თავისი თავი და გარკვეულ შემოსული მტერი განდევნა. შეიძლება იდვილად ხედება, რომ ტოლსტოის გაგებით მთავარი ძალა, რომლისაგანაც დამოკიდებულია ომის ბედი, არის არა ბრძანებნათა გამოცემა მოაზრობა, არამედ ხალხის მასა, მისი მოქმედება. ღმერთმა ჩაქმნა ხალხისადმი და სრული უნდობლობა მთავრობისადმი — აი, რა უღვევს საჩივრად ომის იმ ორიგინალურ გაგებას, რომელსაც ტოლსტოი ატარებს თავის რომანში და რომელიც აღგ-აღგ ტოლსტოისათვისა დამახასიათებელ ანარქისტულ ელფერსაც კი იღებს: მთავრობა სრულიად არაფერია, ხალხია ყველაფერი. ცხადია, რომ ეს იყო გადაჭარბება, მაგრამ ცალსიტყვად რუსეთში ამ გადაჭარბებას ჰქონდა თავისი ვასამართლებელი სოციალური საფუძველი.

რომანში აღწერილია ორი ბრძოლის სურათი განსაკუთრებით საყურადღებოა ზვენოვის. ესენია — შენგრაბენისა და ბოროლინის ბრძოლები. შენგრაბენში, რომელიც მღებარეობს ავსტრიაში, რუსების შეკრებიცხოვანმა რაზმმა, სხელგანჭმულ პეტრე ბაგრატიონის შეთაერთობით, გმირული წინააღმდეგობა გაუწია რიცხვობრივად ბევრად უფრო დიდსა და უკეთესად შეიარაღებულ ფრანგ ჯარს, რომლის შეთაერთი იყო მამაცო სარდალი იოჰანე მიურატო.

„თავადი ბაგრატიონი, — წერს ტოლსტოი — არავითარ ბრძანებას არ აძლევდა ჯარს, ოღონდ ცდილობდა ისე დაეჭირა თავი, თითქოს ყველაფერი, რაც შემთხვევით ან უმცროს შეთაერთა განკარგულებით მოხდა, გაკეთებულ უფილიყო, თუ მისი ბრძანებით არა, მაინც მისი ზრახვების თანახმად.“

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ სიტყვებში მოჩანს ერთგვარი ტენდენცია, რომელიც კიდევ უფრო გარკვეულად იჩინებს თავს მთავარსარდალ კურტუზოვის დახასიათებაში. იგი არაფერს არ გამოიგონებს, არაფერს არ წამოიწყებს, — ამბობს ტოლსტოი ანდრეი ბოლკონსკის პირით კურტუზოვის შესახებ, — მას ესმის, რომ არის რაღაც, რაც მის ნებულობაზე უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანია: ეს არის მოვლენათა აუცილებელი სვლა, და მას აქვს უნარი მათი მნიშვნელობა სკედილთან და ამ გავების გამო შეუძლია თავი შეიკავოს ამ მოვლენებში ჩარევისაგან, თავი შეიკავოს პირადი ნებისაგან... „შრავალწლიანი სამხედრო გამოცდილებით კურტუზოვი იცოდა და თავისი ბებრული ჭკუით ესმოდა, რომ ერთ კაცს არ შეუძლია უხელმძღვანელოს სკედილთან მებრძოლ კაცთა შრავალ ასეთელ ათასებს; იცოდა ისიც, რომ ბრძოლის ბედს წყვეტენ არა მთავარსარდალის განკარგულებანი.“

ცხადია, რომ ამ მოცემულია ბაგრატიონისა და კურტუზოვის ისეთი დახასიათება, რომელსაც ეტყობა ტოლსტოის ფილოსოფიური მსოფლმხედველობისათვის ნიშანდობლივი ფაქტორი-

მი. რომ კურტუზოვი და ბაგრატიონი, ისეთი უნიციატეო მეთაურები უფილავებენ, რა გარც ისინი წარმოდგენილი არიან რომანის ცენტრულ სიტყვებში, მაშინ ისინი დიდა სარდლებად არ იქნებოდნენ: ვანა შეიძლება დიდი სარდალი ეწოდოს ისეთ მეთაურს, რომელსაც არ სურს არაფრის გამოგონება, არაფრის წამოწყება, არავითარი ბრძანების გაცემა, არაფერში ჩაირევა და ყველაფერი თვითდინებაზე მიუძღვის? ცხადია, რომ არ შეიძლება.

მართალია, სარდალი არ უნდა ერეოდეს წერალმან მოვლენებში და თავისი გადაჭარბებული განკარგულებებით მან არ უნდა მოსპოს თავისი ხელქვეითი შემოგონების ინიციატევა; მაგრამ არც ეს ვარჯი, რომ სარდალმა სრულიად აიღოს ხელი თავის ინიციატევაზე და ყველაფერი მიუშვას თვითდინებაზე. თვითდინებაზე დამყარება საზოგადოებრივი ყოფის არც ერთ უბანში არ არის მარცხელი, განსაკუთრებით კი მაგნებელია იგი სამხედრო საქმეში. არც ისტორიული ბაგრატიონი, არც ისტორიული კურტუზოვი თვითდინების პრინციპით არ ხელმძღვანელობდნენ თავის სტრატეგიასა და ტაქტიკაში.

„კურტუზოვს არაბრძალ მიჩნდა ცოდნაც, ჭკუაც, მან იცოდა რაღაც სხვა, რასაც უნდა გადაეწყვიტა საქმე, — რაღაც სხვა, ჭკუისა და ცოდნისაგან დამოუკიდებელი“ — წერს ტოლსტოი. „ნაცვლად ცოდნისა და ჭკუისა, კურტუზოვს აქვს მოვლენათა მშვიდი ჭკუების ნიჭი“, — ასე ახსიათებს კურტუზოვს (არა გარეშე ავტორის თანხმობისა, პიერ ბუზუხოვი). რომანის ამ სიტყვებმა დიდი კამათი გამოიწვია: „კურტუზოვი“, და ტოლსტოის შემოგონილი სიტყვების ახსნა-განმარტება; ვფიქრობთ, არ იქნება ზედმეტი.

ზენე შეცდომას ჩავიდენდით, თუ პიერ ბუზუხოვის სიტყვებს ისე გავაგებდით, თითქოს, ბუზუხოვის აზრით, კურტუზოვი იყო უცილი და გონებამყვალადი იდამიანი. უნდა ვიცოდეთ, რომ პიერ ბუზუხოვისათვის (მამასადაამე, ლევ ტოლსტოის გაგებითაც) სიტყვა „ცოდნა“ ნიშნავს მხოლოდ მწიგნობრულ ცოდნას, სკოლაში შექმნილ და კონკრეტული სინაფილიტისაგან განყვებულ თეორიულ ცოდნას, ხოლო სიტყვა „ჭკუა“ ნიშნავს განსჯას ან დასკვნების გაკეთების უნარს, ე. ი. დისკურსიული აზროვნების უნარს. ამრიგად, როცა პიერ ბუზუხოვი ამბობს, რომ კურტუზოვი სხვა სარდლებისაგან არ გამოირჩეოდა — არც ცოდნით, არც ჭკუით, მას ამით მხოლოდ იმის ცოდნა სურს, რომ კურტუზოვის უპირატესობას სხვა სარდალთა წინაშე არ შეადგენდა არც სკოლაში შექმნილი მწიგნობრული, განყვებული ცოდნა, არც განსჯა, ე. ი.

1 მხედველობაში მაქვს უმთავრესად გენერალ-დრაგომიროვის სტატია, Разбор „Войны и мира“. იხ. М. Драгомиров, Очерки, Киев, 1896 г.

მოცემული წინამძღვარებიდან დაცვის ვაჟობის უნარი ან დისკურსიული აზროვნების უნარი. სამხედრო საქმეთა დარგში მწიგნობარული ცოდნა და განსჯა კერძოებზე ნაკლები არ ჰქონდათ სხვა გენერლებსაც, რომლებსაც კერძოებზე უფრო მკირე სწავლა-განათლება როდი მიუღიათ. ერთი ასეთი გენერალი იყო, მაგალითად, ბარკლი დე-ტოლი, რუსეთის სამხედრო მინისტრი, რომელიც მთავარსარდლობა და რუსეთის ჯარის ნაპოლეონთან ომში, სანამ მის მაგივრად, ზალხისა და ჯარის სურვილის თანახმად, მთავარსარდლად არ დაინიშნებოდა მიხეილ ილარიონისძე კერძოები.

მაშ, რით სჯობდა კერძოები სხვა გენერლებს? რატომ უჭერდა მას შხარს ზალხი და ჯარი? რა შედეგენდა კერძოების განსაკუთრებულ ძალას? პიერ ბუხუჟოვის სიტყვით, კერძოების განსაკუთრებულ ძალას შეადგენდა „მშვიდი ჰერტის ნიჭი“, ეს კი შეშლევს ნიშნავს: როცა კერძოები ხედავდა (ჰერტად) ომის ამა თუ იმ ფაქტს, ამა თუ იმ კერძო ეპიზოდს ან კონკრეტულ მოვლენას, მაშინ იგი მხოლოდ ამ კერძო ეპიზოდს, ომის ამ კონკრეტულ მოვლენას კი არ ამჩნევდა, არამედ ამჩნევდა ამავე დროს ამ მოვლენის კავშირს სამამულ ომის წარსულ და მომავალ მოვლენებთან. სხვა გენერლები კი, როცა უცქერდნენ ომის ამა თუ იმ მოვლენას, ხედავდნენ მხოლოდ ამ მოვლენას და ვერ ხედავდნენ მის კავშირს ომის სხვა მოვლენებთან, ე. ი. უბნად, უშუალოდ, დასკვნების გაუყოფებლად, განსჯის დაუხმარებლად, ვერ ხედავდნენ, რა შედეგი უნდა მოყვეს აუცილებლად ამ მოვლენას: ხედავდნენ მოვლენას, მაგრამ ვერ ხედავდნენ მის აზრს, ვერ ხედავდნენ „მოვლენათა აუცილებელ სელას“, მათ კანონზომიერებას. ტოლსტოის ენა რომ ეხმარათ, მათ არ მოეპოვებოდათ „მოვლენათა მომავალი მნიშვნელობის შეგნება აწმყოში“, ე. ი. არ გაანდათ ის, რაც კარგად ჰქონდა კერძოებს. მიხეილ კერძოები იყო „ერთადერთი კაცი, რომელსაც ესმოდა მაშინ ომის — მთელი უზარმაზარი აზრი“. იგი ომის პერსპექტივებს მარტო „პკუთი“, მარტო განსჯით, მარტო დისკურსიული აზროვნებით როდი წედავდა, არამედ „გრძნობდა მთელი თავისი აზრებით“.

აი მაგალითიც. ბორცოდინოს ბრძოლის ერთ-ერთ მონაწილე გენერალს ეხვეწებოდა, რომ ბორცოდინოს ბრძოლა იყო რუსეთის დამარცხება, რადგან ეს გენერალი ამჩნევდა ამ ბრძოლის მხოლოდ ერთ კუთხეს, ვერ იხედავდა ბორცოდინოს ბრძოლის ზოგად არსებაში, მის კანონზომიერებაში. რაც უნებნა კერძოებს, იგი უნებდა მიხვდა, რომ ბორცოდინოს ბრძოლა იყო რუსეთის დიდი გამარჯვება და ნაპოლეონის დამარცხება, რადგან კერძოები მხოლოდ ამ ბრძოლას კი არ ხედავდა, არამედ ხედავდა მის აუცილებელ შედეგებად, მის კავშირს მთელ

სამამულო ომთან, ე. ი. კერებდა „მოვლენათა მსვლელობის აუცილებლობას, მათ კანონზომიერებას. მოკლედ რომ თქვას, ტოლსტოის აზრით, კერძოების უმარტესობას — შედეგება ანა „ყოფნა“ (ე. ი. მწიგნობარული ცოდნა), არა „კვირა“ (ე. ი. არა განსჯა ან მოცემული ფაქტებიდან დაცვის ვაჟობის უნარი), არამედ „მშვიდი ჰერტის ნიჭი“, ე. ი. ერთ მოვლენაში სხვა მოვლენებთან მათი აუცილებელი კავშირის უშუალო დანახვის უნარი. შეცნობების ენაზე ამის ეწოდება ინტუიცია. ამრიგად, რომანის კონცეპციით, კერძოების უმარტესობას შეადგენდა სამამულო ომის დიდი ინტუიცია. ამ დიდი ინტუიციის გამო კერძოებს არ სჭირებოდათ თავის მტრებზე, რაღაც სწორი ხელმძღვანელობა გაეწია რუსეთის ჯარისათვის. მიხეილ კერძოებისათვის სრულიად ადვილი საქმე იყო ვეებერთელა ჯარის სარდლობა — იმდენად ადვილი, რომ კერძოები ომის ძალიან კრიტიკულ მომენტებშიც კი მსუბუქად გრძნობდა თავს: წერდა ბარათებს თავის ნაცობებს, ეარმეცბოდა ლამაზ მანდილოსნებს და ფრანგული რომანების კითხვით ერთობოდა, ხოლო სამხედრო საბჭოს სხდომაზე ზოგჯერ თვლევდა. მტრები კერძოებს „გარყვნილ ბებრუტებს“ ეძახდნენ, მაგრამ მან გააღარჩინა რუსეთი. რით გაღარჩინა? თავისი „მშვიდი ჰერტის უნარით“, თავისი ინტუიციით — გვიანსუბებს ტოლსტოი.

ბაღება კითხვა: როგორ არის ახსნილი რომანში კერძოების ასეთი ძლიერი ინტუიცია, ჰერტის ასეთი განსაკუთრებული ნიჭი? რამ დააწერა კერძოები „ყოფნაზე“ და „კვირაზე“ უფრო შალა? რა აღწევდა კერძოებს უნარს სამამულო ომის ყოველ კონკრეტულ ან კერძო მოვლენაში უშუალოდ დაეხება მისი ზოგადი არსება, მისი კანონზომიერება, მისი აუცილებელი კავშირი ამ ომის ყველა სხვა მოვლენებთან? რომანის კონცეპციით, ასეთ უნარს კერძოებს აღწევდა საკუთარი მისი ბუნება, ე. ი. ის, რომ იგი იყო კერძოები და არა სხვა ვინმე, რომ ბედმა ან „უნებერსალურმა გონებამ“ იგი კერძოებად დაბადა, კერძოებად გააჩინა...

როცა ბორცოდინოს ბრძოლის შემდეგ სოფელ ფილიში (სოფელი ფილი ზედ ეკრა მოსკოვს) დაისეა სამხედრო საბჭოზე საერთო რუსეთის ჯარის მომავალი მოქმედების შესახებ, მთავარსარდლამ კერძოებმა ჯერ მოიშინა საბჭოს წევრთა აზრები, შემდეგ კი ადგა და განაცხადა: „მე ვბრძანებ უკანდახევას“. ეს იყო 1812 წლის სამამულო ომის განვითარების უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტი. სწორედ ამ საყენიშო მომენტში გადაწყდა ამ შოთღლით-ისტორიული ომის ბედი და ამავე დროს რუსეთისა და მთელი ევროპის ბედიც, ხოლო ყველაფერი ეს გადაწყვიტა მთავარსარდლმა კერძოებმა თავისი უაღრესად საკმატესსმებლო ბრძანებით, რომელიც იმას ნიშნავდა, რომ რუსეთის ჯარს თავისი უსაზიზღრესი მტრისათვის უბრძოლვე-

ლად უნდა დაეთმო რუსეთის გული, „ოქროს-თავიანი“ მოსკოვი.

ჯარის უკანდახევებში მოცემული იყო ნაპო-ღონის განდევნის აუცილებლობა. თავისი ძლიერა ინტუიციით ან შიშველნათა „მშვიდი პერატის“ უნარით კერტუზოვმა უცბად დაინახა ეს აუცილებლობა, უკანდახევებში დაინახა მო-მავალი შეტვება. სხვა მოთაქსარდალი რომ უფილყო კერტუზოვის ადგილზე, იგი ვერ უბრძანებდა ჯარს უკან დახვია, რადგან ვერ გახედავდა ასეთი დიდი პასუხისმგებლობა აე-ლო თავის თავზე, კიდევაც რომ სცოდნოდა მას განსჯის საშუალებით, რომ ამ ნაპოვის გა-რეზე რუსეთს მოელოდა დამარცხება.

მართლაც და, რატომ უნდა უბრძანებინა, რო-დესაც საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ ალექსანდრე აშქვატორი სრულიად არ თანა-უბრძანებდა ჯარის უკანდახევას? რატომ უნდა დაეშახტებინა აშქვატორის წყრომა და, შე-საძლებელია, მოთაქსარდლის მალაღობა პოეტის დაეარგავა? რატომ უნდა გაეღო პირადი ინტე-რესების ასეთი დიდი მსხვერპლი? ამგვარი საქ-მის გაკეთება შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ მიხილ კერტუზოვს, მხოლოდ მას იყო ნებისყო-ფის ძალა მოეგო სამამულო ომი თვით ალექ-სანდრე აშქვატორის წინააღმდეგ, რომელიც არ იცნობდა არც ომის საქმეს, არც რუს ხალხს. ალექსანდრე აშქვატორი (ე. ი. რუსეთის თვით-მყრობელური მოთაქრობა) ხალხისაგან თავისი მოწყვეტილობის გამო, შეუგუნებლად აპირებდა დაეღობა რუსეთი, მაგრამ მიხილ კერტუზოვმა თავისი ისტორიული ბრძანებით ვადაარჩინა რუსეთი — ასეთია აზრი, რომელიც ადვილად ამოიკითხება რომანში „ომი და მშვიდობა“.

ჰქონდა თუ არა თვითონ კერტუზოვს ნათელი შეგნება იმ დიდი პასუხისმგებლობისა ისტო-რიის წინაშე, რომელსაც იგი კისრულობდა თა-ვისი ბრძანებით? უეჭველად ჰქონდა, რადგან ტოლსტოი აქმევეინებს მას სამხედრო საბჭოზე ასეთ ფრასას: „მამ, კარგი, ბატონებო, ვხედავ, რომ სწორედ შე მომიხილება გატეხილი ქოთნე-ბის ფასის გადახდა“<sup>1</sup>.

ამრიგად კერტუზოვმა მთელი ომის სიმ-ძიმე თავის თავზე აიღო, ასე რომ არ ყო-ფილიყო, რუსეთი აუცილებლად წააგებოდა სა-მამულო ომს, რადგან სხვა მოთაქსარდალი ვერ გახედავდა უბრძოლველად მოსკოვის და-ტოვებას (კიდევაც რომ სცოდნოდა მას გან-სჯის საშუალებით, რომ ამასია რუსეთის ხსნა) და გაანადგურებინებდა ნაპოლენს რუ-სეთის ჯარს, ამით კი წაართმევდა რუს ხალხს საშუალებას განედევნა ნაპოლენი. ასეთია-რომანის აზრი.

როგორც ვხედავთ, ლევ ტოლსტოის რეალის-ტურ რომანში „ომი და მშვიდობა“ მოთაქს-არდალი კერტუზოვი წარმოდგენილია უღრმესი ისტორიული გმირის სახით. ლევ ტოლსტოის მხატვრული ნიჭის უბაღლო ძალამ შეასლო შე-მოქმედების რეალისტური მეთოდის დაცვით შეენარჩუნებია გმირობა დიდი სამხედრო მოღ-ვაწევების — პეტრე ბაგრატიონისა და მიხილ კერტუზოვისათვის (თქმცა მათ დახასიათებისას ელინდება ტოლსტოის ფილოსოფიის შეზღუ-დულობაც).


სწორედ მოეგნათა ასეთი ღრმა რეალისტ-რი წარმოსახვისათვის აფასებდა ასე დიდად ლ. ტოლსტოის ვ. ი. ლენინი.

— ევროპაში ვინ შეიძლება მის გვერდით იქნას დაყენებული? — ჰკითხა ერთხელ მაქსიმ გორკის ვლადიმერ ლენინმა, არ დაელოდა პა-სუხს და თვითონვე უპასუხა თავის თავს — არაიქნ!

ესოდენ განუზომელია ლევ ტოლსტოის მხატ-ვრული რეალიზმის ძალა.

ნურმა ცხენმა (რომლის ქვეშ ალექსანდრე ან-გელისმხვევი) და როგორ ბრძნულად მიიტანა დანაშნულ ადგილზე ქოთნები ბრძენმა ცხენმა (რომლის სახით კერტუზოვია გამოყვანილი). განსაკუთრებით სინტერესთა იმავე არაქმი ფრასა „Конь добрый на кресте почти его понил“.

<sup>1</sup> შესაძლებელია, რომ კერტუზოვის ამ სიტყვებში ჩააგონა ი. ა. კარლოვს დაე-წერა იგივე-არაქი „ალალი“, სიდაც მოთხრო-ბილია, თუ როგორ დამსხვრია ქოთნები უგ-





პალინაზ ზამბახიძე

სამართველო და იუკ ტოლსტოი

„მე ძალზე შევიცვალე ზნეობრივად... ერთი წლის წინათ, ბედნიერებასა და სიამოვნებას მოძრაობაში ვეძებდი, ახლა კი, პირიქით, ფიზიკური და მორალური დასვენება ისაა, რასაც მე ვნატობ. მგონია, რომ აზრი კავკასიაში გამოვჩაგრების შესახებ ზენამ შთაბრძნობა... ვგრძნობ, რომ აქ უკეთესი შევიქნენი (ეს კიდევ ცოტაა, რადგან მე ძლიერ ცუდი ვიყავი) და ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ის, რაც აქ შემემთხვევა, ჩემთვის უკეთესი იქნება, რადგან, ჩანს, ღმერთს ასე სურს“.

ასე წერდა ლევ ტოლსტოი თავის მამიდას — ტ. ერკოლსკაიას 1852 წლის 12 იანვრით დათარიღებულ ბარათში თბილისიდან, რომლის მიწაზე მან 1851 წლის შემოდგომაზე დადგა პირველად ფეხი.

მამის ტოლსტოი 23 წლის ქაბუკი იყო და დარღმინდულად გატარებულ ცხოვრებაზე მწარე მოგონებებზე და ამით გამოწვეულმა ზნეობრივმა რეფლექსებმა აღუბრუნა მას დაუბრუნებელი სურვილი, დაეწერა თავისი ცხოვრების ისტორია, ერთხელ კიდევ „თვალი გადავღო“, როგორც თვით ამბობდა, საკუთარი „მორალური განვითარების გველივი გზისათვის“.

ამ სურვილმა ჩააწერინა მას დღიურში 1851 წლის 18 იანვარს: „უნდა დაეწერო ჩემი ბავშვობის ისტორია“.

ახალგაზრდა და მწერლობაში ჯერ კიდევ გამოუცდელი ლ. ტოლსტოი იასნათა პოლიანა-შივე შედგომია ამ დიდი ჩინაფიქრის ხორც-შესხმას, მაგრამ ამოდ, რადგან, როგორც ჩანს, მისი სული სხვაგან ეძიებდა იმ ნავსაყუდელს, სადაც იგი მთელი ხმით შესაძლებლა ამღერებას. და, აი, ოლენინის წინამორბედმა ციკასიანს-ეცნ, საქართველოსაგენ მიაპყრო თავისი გულის-ყური. ეტყობა, გრძობედოვის, ბუშკინის, ღრ-მონტოვის მსგავსად, ქაბუკი ტოლსტოი ცვე-შეცნეულად გრძნობდა, რომ კავკასია, საბარ-თელაო გახლებოდა მისი პოეზიის აყენი, რომ ღერმონტოვის შესახებ, ბელინსკის თქმისა არ იყოს, „კავკასიონის მოუღწეველ მწვერვალებზე პპოეებდა იგი თავის პარანას, მის მიქინვარე თერკში, მისი შიების ჩანჩქერებში, მის მკურ-ნავ წყაროებში პპოეებდა იგი თავის კასტალის წყალს, თავის იპოკრენას“.

ამ შთაგონებამ წამოიყვანა იგი 1851 წლის გაზაფხულზე იასნათა პოლიანიდან ჩრდილო კავკასიაში, სიღინაე იმავე წლის შემოდგომა-ზე თბილისს ესტუმრა და, ნახვის უმაღლე მას-

ზე გამოეჯერებულე, 1852 წლის ზამთრამდე დარჩა აქ.

თბილისამდე ლ. ტოლსტოიმ საქართველოს სამხედრო გზით ამაზავრა არსებობს ციობა, რომ მთიულეთის ზვიად ბუნებასა და სამების ეკლესიას მომავალ მწერალზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია.

გერმანელთა კოლონია და ის სახლი, სიდაე ახალგაზრდა ლ. ტოლსტოი ცხოვრობდა მაშინ თბილისში, ახლანდელ პლეხანოვის პარასექტზე მდებარეობდა. ნინო ნავაშიძე თავის მოგონება-ში შენიშნავს, რომ იგი „პატარა, ყუთოლად შე-ღებილი სახლი იყო და ამქამად მის ადგილზე, ნაცრისფრად შეღებული, ახალი სახლი დგასო“. ლ. ტოლსტოი აქედან წერდა მამიდას: „ეს ადგილი წარმოადგენს ქალაქის გაერთა უბანს, მაგრამ იმას ჩემთვის იორი დიდი სარგებლობა მოაქვს. ერთი, რომ ეს მშვენიერი ადგილია, ირგვლიე ბაღებსა და ვენახებში ჩაფლული, ასე რომ, აქ თავს ვგრძნობ უფრო სოფელში, ვიდრე ქალაქში (აქ ჯერ კიდევ ძალიან რბა და ნათელი, მხიარული დღეებია, არ ყოფილა არც თოვლი, არც ყინვა). ამ ადგილის მკორე უპირატესობა ის არის, რომ აქ ორს საკმაოდ სუფთა ოთახში ვისდი ზუთ მანეთს... ვარდა ამისა, გერმანული ენის უფასო პრაქტიკე მაქვს. მაქვს აგრეთვე წიგნები, სამეცადინო და მოცლაც, რადგან ხშირი სტუმრობით არავინ მა-წუხებებს“.

ამ ბარათიდან ნათლად ჩანს, რომ თბილისი ლ. ტოლსტოის ძალზე მოსწონებია. იგი მას „დაწინაურებულ ქალაქს“ უწოდებს, უტებს „ჩრდილ, მრეალოცხოვან საზოგადოებას“, რუ-სოლ თეატრსა და იტალიურ თეატრას. მწერალი მხოლოდ ნაცნობთა სიმკირეს უჩივის, თუმც ამის სისწორეში ძალიან გვაეჭვებს თვით ამ ბარათის შინაარსი და უმთავრესად „პაჯი მურტი“, რომელშიაც დიდი მწერალი იმღრო-ინდელი პართოლად, არისტოკრატის ყოფა-ცხოვ-რების საფუძვლიან ცოდნასა და ნაცნობობას ამუღავნებს.

ლევ ტოლსტოი არც თუ მხოლოდ თავისი სურვილით ესტუმრა მაშინ თბილისს. იგი აქ კავკასიის ფრონტის იმღროინდელმა მოთავარსარ-დალმა ბარიატინსკიმ გამოვზავნა არტოლოგოის ოფიცერთა სკოლაში, რომელიც ტოლსტოიმ დაამთავრა კიდევ სათანალო ჩინით. მაგრამ, თქმა არ უნდა, სამხედრო სამსახური არ იყო და ვერც იქნებოდა მისთვის ის „კასტალის წყა-



რომ, რომლიდანაც ახალგაზრდა ტოლსტოის თავისი უზომო სულიერი წყურვილი უნდა მოგვლა. ამიტომ ატყობიხებდა იგი მძაილას ზემოხსენებულ ბარათში: „ჩვენი შეცადინებომა რის შესაფერავად გწერდით, ლიტერატურულ შრომებში გამოიხატება. მე უკერ კიდევ არ ვიცი, დამბეჭდება თუ არა როდესმე ჩემი ნაწერი, მაგრამ ამ სამუშაოს, რომელიც მე მართლმად და რომელმაც უკვე ძალიან შორის ვგაბატე, თავს ვეღარ დავაგებებ“. თბილისში დაწვებული ეს საძებნო მან, მართლაც, დაასრულა აქვე. თბილისში დაწერა პირველი ნაწილი „ბავშვობისა“, რომლის შესახებ სიცოცხლის მიწერულში ტოლსტოი მღელვარებით ამბობდა: „როდესაც „ბავშვობას“ ვწერდი, მენგებებოდა, რომ ჩემამდე სიყრმის მთელი მშვენიერება და პოეზია არავის ისე არ უტარებინა და არ გამოუხატავს, როგორც მე“. ამ განცდას კი, მწერალში ბუნებრივად უნდა გამოეწვია მადლობისა და სიყვარულის გრძნობა საქართველოსადმი, თბილისისადმი, ამ ქვეყნისადმი, სადაც ასე ლაღად გაშალა ფრთები პირველად მისმა მხატვრულმა გენიამ. შემოქმედებით სიხარულს პირველად წაზიარებდა ტოლსტოიმ კატეგორიულად მიწერა მანის თავისიანებს, რომ „თუ სამხედრო საზღვარში ვერ მოვეწყებ, ვუდღებ ჩემთვის რაიმე სამოქალაქო სამსახური გამოვიგებნო აქვე, რუსეთში კი არა“.

მაგრამ ეს იყო ახალგაზრდა მწერლის მხოლოდ პირველი სიხარული. ბედნიერების ნამდვილ გრძნობას კი იგი მხოლოდ მაშინ ეზიარა, როდესაც ნ. ნეკრასოვმა „სოცრემენკოში“ დაბეჭდა მომავალდობელი „ბავშვობა“, რომლის ქართულ თარგმანს, ნინო ნაყაშიძის მადლიანი კალმით შესრულებულს, ათასობით ქართველი ადამიანი ეცნობა ახლა სიყვარულითა და გატაცებით.

1852 წლის ზამთარში ლ. ტოლსტოის თბილისიდან ჩრდილო კავკასიას გაემგზავრა და იქ, ზვეს თანამემამულეს, მწერალსა და მოღვაწეს, კონტარტინე შამაიშვილსაც გაეცნო და დაუახლოვდა.

თქმა არ უნდა, „სხვაგვარი ოცნებებით“ გატაცებული ახალგაზრდა ტოლსტოის სულითაღვის უცხო იყო ბედის საძებნელად მივებში ჩამოსულ ოდიცრთა ცხოვრება და მისწრაფებანი, და ამ სულმაც ზაღბის სულში ჰყოვა თავისი დიდი მეგობარი და თანამოზიარე, სიმართლის მაძიებელი მწერალმა აქ, ამ ხალხში ცხოვრებისას დასწერა „თავდასხმა“ და „ტყის ვაკაფევა“, კავკასიის ზეიანი ბუნების ვეახებური სურათებითა და იმ ჰუმანური ქადაგებით დამშვენებული, რომ ადამიანის სულში არ უნდა ისაღვრებდეს პორტების გრძნობა, შერისიება და სურვილი, თავისი მსგავსი ადამიანის მისს პობისათა“.

ზაღბის სულთან ამ თანამოზიარებამ შეაყვარა ახალგაზრდა ტოლსტოის პირიანდელი უბიწოებით აღსავსე, მიაში ნაშობი, ხოლო მწერლის

მიერ უდღდესი სიყვარული შეგროვებულა და საითთად შენახული ის თქმულებანი და ზღაპრები, რომლებსაც შემდგეში [გრაფიკური გამოსახულება] პოეტური გატაცებით უკითხავდა, შეწყვიტა, ლიანას გლეხის შეილებს. აქ, მივებში, მოსიწინა მან პირველად, ზეადამიანური პოეტური ფანტაზიით შექმნილი ის ხალხური სიმღერები და ლექსები, რომლებთაც აღტაცებული პოეტი ფეტი უფრო გვიან ეუბნებოდა მას: „ამ ლექსების კითხვისას, თავს იმ დამშვეულ მიმიჩოდ ვგრძნობ, რომელსაც ეს არის, ნედლი ხორცი დანახვესო“. და ისევ აქ, ამ მარად ყინულოვანი მწვერვალების, უღრანი ტყეებისა და აღალი გულის ადამიანებს შორის უფრისას ჩაიხსება ლ. ტოლსტოის სულში, შემდგეში მისივე გულის სისხლით დაწერილი, „კახაკები“, აქ გაიღვეს მწერლის ცნობიერებაში „ომისა და მშვიდობის“ პირველმა მონახაზებმა.

სულ ორიოდვე წელი გაატარა ტოლსტოიმ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგრამ ეს ორი წელი მისი სულიერი განახლებისა და ნათელდების იმ დაუფიწყარ ხანად იქცა, რომლის შესახებ იგი ხანდაზმულობისას საოცარი გულახდილობით წერდა: „არასოდეს, არც წინა და არც შემდგომ, მე არ ვესულვები აზრის ისეთ სიმადღებზე, რომელზედაც ასეღა მე შევძელი იმ ორ წელს. და იგი, რაც მაშინ ემოვე, დარჩა ჩემს მუდმივ რწმენად“.

ხანმოკლე იყო ლ. ტოლსტოის სტუმრობა საქართველოში, მაგრამ მისიან სიყვარულის გრძნობა სამუდამოდ შეინახა მწერლის დიდმა სულმა. და ეს არც არის საკვირველი, რადგან იგი პირველად სწორედ აქ ჩაუფიქრდა ღრმად თავის წარსულს და გამოეყვითა უფრო ნათლად „სიმათლეზე აგებული სხვაგვარი ცხოვრების“ ის აზრი, რომლის არსი მან კაცობრიობას ამცრო ოლენინის იმ სიტყვებით, რომ „ადამიანი ბედნიერებას სხეებისათვის შეწირულ სიცოცხლეში უნდა ჰპოვებდესო“.



ამ სტუმრობის შემდეგ, თითქმის ოთხ ათეულ წელიწადს შეწყდა ლ. ტოლსტოის უშუალო კავშირი და ურთიერთობა საქართველოსთან. ქართველ საზოგადოებასთან.

ეს წლები მისი გეგანტური ზრდის ხანა იყო. განსულთ საოყენის სამოცდაათიანი წლებისათვის მწერალი მხატვრული სიტყვის გენიოსად იქნა აღიარებული, ხოლო ოთხმოციანი წლებიდან იგი ცხოვრების მისწრაფებლადაც მოველინა ქვეყანას და შეუდგა იმ პასივისტური ფილოსოფიის ქადაგებას, რომლის კრიტიკის ელასტერის ნიშნებში დატოვა გ. ა. ლენინმა.

მსოფლიოს თითქმის ყველა ეკთბიდან მემართოდენენ დიდ მწერალს რჩევისა და დარგებისათვის. ერთი ბარათი დარიგებთ თხოვნით



1867 წელს მისთვის თბილისიდანაც გაეზავნა ნათ უცნობ ქალიშვილებს. ლ. ტოლსტოის ამ წერილზე პასუხი შემოუთვლია, რომელიც ნ. ნიკოლაის გახეთმა „ნოვოე თობრენიემ“ პირველ გვერდზე მოათავსა. თბილისელა ქალიშვილები დიდ მწერალს თხოვდნენ, ესწავლებინა მათთვის თუ რა უნდა გაეყვებინათ ქვეყნისათვის შვეტი სარგებლობის მოსახტანად და მწერალიც ურჩევდა მათ, რომ „მცირე“, მაგრამ ყოველდღიური პრაქტიკული კვლევითი მოღვაწეობით დახმარებოდნენ ხალხს მისი სულერი და ზნეობრივი დონის ამაღლებასში.

შესაძლებელია, ეს ფაქტი განსაკუთრებული ყურადღების ღირსი არც იყოს, მაგრამ ჩვენ პასუხე მხოლოდ იმის გამო შევიჩრდიოთ, რომ ამით მკითხველისათვის შეგვეხსენებინა ლ. ტოლსტოის მიერ საქართველოსთან უშუალო ურთიერთობის განახლების მიზეზი და თარიღი. ეს თარიღი, როგორც დაინახეთ, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებშია და სწორედ იმ ხანებში, უფრო კონკრეტულად კი, 1890 წელს, იმავე „ნოვოე თობრენიემ“ დაიბეჭდა ნიკოლაის ბრწყინვალე კრიტიკული წერილი ლ. ტოლსტოის „კრეიციერის სონატაზე“. წერილის ავტორი არ იმურობდა საღებავებს მწერლის მხატვრული გენიის საღიდეზად, მაგრამ მკაცრად ამხელდა ამ ნაწარმოების ანტირეალისტურ ტენდენციებს და ქალის ეგზისტენციის იმ ტოლსტოურ ქადაგებას, რომელშიაც, ვ. ი. ლენინის გამოთქმით, ნათლად იგრძნობოდა მწერლის ერთგულება „აღმოსავლური წახობილების იდეოლოგიისადმი“.

ნიკო ნაეაშიძის გადმოცემით, ლ. ტოლსტოიმ ოთხმოცდაათიან წლებში ვაიკო ქართველი მისწავლე ახალგაზრდას, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც სხედასხვა ღრის ეწვეოდნენ ხოლმე მას მოსკოვსა და იასნია პოლიანაში. იგი ამ ქართველ ახალგაზრდებს ხშირად ზედმოთდა თავის მეგობრის, ცნობილ ტოლსტოელს, ა. ნ. დუნაივის ოჯახშიაც.

სხვა ქართველებიც ჰყავდა ახლო მეგობარი ლ. ტოლსტოის. ერთი მათგანი გიორგი ილქნანდრეს ძე დადიანი იყო, ყოფილი ბრწყინვალე ოლეიკრი, პოლონიეცი, რომელმაც ტოლსტოის გაუღენთ სამხედრო სამსახურს თავი მიანება და ყაზარდონი ტოლსტოელთა კოლონია გაშართა.

მაგრამ ქართველ ნაენობთაგან ლ. ტოლსტოისთან ყველაზე ახლო იყოფებოდა ზენა მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ნაეაშიძე, შვილი ილია კავკაიძის უახლოესი მეგობრის და „საქართველოს მოამბის“ თანამშრომლის, პეტრე ნაეაშიძისა, რომელსაც მწერალმა თვისი ორი პოემა — „ღმირტი თავდადებული“ და „ქართველის დედა“ მიუძღვნა.

ლ. ტოლსტოის ისე უყვარდა და აფასებდა ილია ნაეაშიძეს, რომ, როდესაც იასნია პოლიანაში საქართველოდან ჩასულ ერთ ჩვენ თანამემამულეს მის ნაცნობობაზე უარს უთქვამს მწერალი ამას გაუოცებია და გამომშვიდონებისას სტუმრისათვის დაუბარებია: „როდესაც სამშობლოში დაბრუნდებით, უწყველად გარცხნით ა. ნაეაშიძე და მასთან დაახლოვებაც სცადეთ“.

ლევ ტოლსტოისთან ი. ნაეაშიძის პირველი შეხვედრისა და შემდგომი დამეგობრების უშუალო მიზეზი დუბობორთა დევნა იყო. მეფის აღმინისტრაციამ 1895 წელს მათი ოჯახები მტყუარად დაარბია საქართველოში იმის გამო, რომ დუბობორთა ახალგაზრდებმა მეფის სამსახურზე უარი განაცხადეს. დევნილ დუბობორთებს დახმარება სჭირდებოდათ და სწორედ ამისათვის გაემგზავრა ი. ნაეაშიძე ტოლსტოისთან.

დუბობორთა მოძრაობის გაძლიერებამ გამოიწვია ილია ნაეაშიძის გაძევება საქართველოდან და ისიც გაემგზავრა მოსკოვს, სადაც, ლ. ტოლსტოის დახმარებით, სამუშაოზე მოეწყო. შემდეგ ი. ნაეაშიძეს ნინოაც ჩაეკითხა მოსკოვს და ამ დროიდან დაიწყო ის გულითადი მეგობრობა ლევ ტოლსტოისა და ნაეაშიძეთა ოჯახებს შორის, რომელმაც დიდხანს გასტანა. ნიკო ნაეაშიძე თავის მოგონებაში მღვდელად მოგვიხსნობს იმ ინტერესებზე, რომელსაც ტოლსტოი ქართველი ხალხის დიდი და გმირული წარსულისადმი იჩენდა. ერთხელ, შეხვედრისას, მას თვით უამბნია საქართველოზე პომპეუსის ლაშქრობის შესახებ და იმ წერილის თავგადასავალზე, რომელიც ვარდლებში გარბინალი, ვაუხაზუნე იტალიაში. როგორც იმავე მოგონებებიდან ჩანს, იმ ხანებში ლევ ტოლსტოი საოცრად გატაცებული ყოფილა „ეფთხისტეაონით“, რომლის სიუჟეტს იტალიაში მოუყვანია იგი და ამიტომ პომპეის ტექსტის გაცნობისა და შესწავლის სურვილიც გაუმეღვანება.

ეს იყო გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში. ამ ხანას ეკუთვნის დასაწყისი იმ დიდი, უანგარო, კვშიართად დაუღალავი დახმარებისა, რომელსაც მრავალ წელს ი. ნაეაშიძე და ქართველი ისტორიკოსი ი. ესაძე უწყველად ლ. ტოლსტოის, „პაიე მურატისათვის“ საპირო მასალების მიწოდებაში.

„როდესაც ისტორიულს ეწერ, — ამბობდა ლ. ტოლსტოი, — მიყვარს, რომ უღერეს წერილმანებშიაც ირ ვლალტობდეს სინამდილეისა“. და ისიც საეტირეული მონღოლებით აგროვებდა „პაიე მურატის“ შესაქმნელად საჭირო ზელნაწერებს, სხედასხვა დოკუმენტს და ცდალობდა ათასგვარი წყაროს საწილელებით კიდევ უღერო დაწერილებით გაცნობოდა მთიელთა ყოფი-ცხოვრებას, მათს ზნე-ჩვეულებებს, საყვარელი გმირისა და მისი შრობელი ხალხის თავ-

გადასვლის დეტალებით გატაცებული მწერალი ხარბად იყო დაწვავებული ზინტინის, პოლტორაკის, პოტოს ხაჭერებს, მაგრამ მისი დიდი ჩაახფორის ზორცმსმისათვის, ჩამს, ეს მისალა არ ემართა. ამიტომ, ლ. ტოლსტოი დაუკავშირდა სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებას, ისტორიკოსებს, ყრძო პირებს, და კავკასიის ამბების ცოცხალ მონაწილეებსაც რამაც მას ფასდაუღებელი დახმარება ილია ნაკაშიძემ გაუწია.

ეს მოხდა 1902 წელს, მოსკოვში. „ერთხელ, ხუთი საათი იქნებოდა, — იგონებს ნინო ნაკაშიძე — ილია (ილია ნაკაშიძე — ვ. ზ.) ისინი იყო სამასტრიდან დაბრუნდა, კახი გაიღო და ლევ ტოლსტოი შემოვიდა. მაშინ ჩვენ პლიუმინახზე ვესტოვრობდით.

— რამდენიმე წუთით შემოვედი, ილია პეტრის ძე, — სთქვა მან მისალმების შემდეგ. — მინდა ექსპლორაციუა გაგიწიოთ, დაემხაროთ, თუ ძალიან არ შეწყობდებით, „პაჯი მურატის“ შესახებ ზოგიერთი ცნობის შეგროვებაში. აჰ, მოსკოვში, არის მოხეტია თვეშესაფარი. იქ უნდა ცხოვრობდნენ დალესტინის ომის მონაწილენი. მინდა გავიგო, მართალია თუ არა ეს და აქნებ მათ იციან რაიმე. შემდეგ კი თვითონ ვნახე. ამის გარდა, ვგებ თქვენა გუყავი ვინმე ნაცნობი კავკასიაში, რომ არქივში (იქ უთუოდ იქნება რაიმე) ცნობები გამოიხაოს და მომწოდოს“.

ღოდ მწერალს ამ „შეწუებებისათვის“ ბოდიში მიუღებია ი. ნაკაშიძისთან, მაგრამ ილია დეტინენბა, რომ ამ უიარეხად მნიშვნელოვან საქმეში დახმარების ყველაზე მეტი იმედი თქვენი მქვსო. ი. ნაკაშიძემ დიუკუნებელი შედგომია ტოლსტოის თხოვნის შესრულებას. „მე, ერთი ჩემი მეგობრით, — წერს იგი თავის მოგონებაში, — დონიტი გავსწიე, რომ ლევ ნიკოლოზის ძინთვის ამ შემთხვევაში საჭირო კაცი გვეჩვენა. მიგვასწავლეს: მოსკოვის განაპირას არის უზარმაზარი თავშესაფარი ომის მოხეტელებული ირვალდებისათვისო. ჩვენ პირდაპირ წავედით მიმოთხულები ადგილისაკენ ამ იმედით, რომ სწორედ იქ გამოვებნადით ჩვენთვის საჭირო გეოგრაფს“.

როცა ადგილზე მივედით, ჩვენს წინაშე საოცარი და ორიგინალური ბუკათი გადამავალა. ვეებრთედა სახლი სახე იყო ღრმად მოხუცებული, ინვალიდი ჯარისკაცი... ამ ძველ გეოგრაფს შორის, ჩვენ მალე გამოვებნად ჩვენთვის საჭირო ადამიანები, აღმოსავლეთ კავკასიის დასურბის მონაწილენი, რომლებსაც ძალიან დიდხანს ემსახურნათ კავკასიაში. როცა ჩვენ მათ გავესაუბრეთ შიშობლ, დაღუბტრანზე და მათ მიერ გამოყოფილ წარსულ ამბებზე, ისინი გამოყოცხდნენ და გავიზიარეს თავისი მოგონებანი კავკასიაში გატარებულ სალაშქრო ცხოვრებაზე. ლევ ნიკოლოზის ძის სახელს ეს მოხუცები კარგად იცნობდნენ, ბევ-

რი რამ სმენობდით მისზე. როცა ვუამბეთ, რომ ღიდ მწერალს სურს პირადად მათთან შეხვედრა და კავკასიის ძველ ლაშქარბნებზე გამოკვებრებაო, ინვალიდები სიამოვნებით დახმარებდნენ „ისინია პოლიანაში“ გაშვებავებაზე.

და აი ახლა, ლევ ნიკოლოზის ძის მოთბრობის, „პაჯი-მურატის“, ბევრ შეიხვეულ სვეიც არ ვბრება იმაში, რომ ზოგჯერ ამ მოთბრობაში, ავტობის პირთი კავკასიის ომების ეს ძველი, მოხუცი ვეტერანები ლაბარაკობენ“.

ასე იქედებოდა „პაჯი-მურატი“, ეს პოეტური ნაწარმოები, რომლის წინასიტყვაობაში ლევ ტოლსტოი წერდა: „და მომავლდა ერთი ძველი-ძველი კავკასიური ამბავი, რომლის ნაწილი მე თვითონ ვნახე, ნაწილი მომწერათგან გავიგეთ“.

თქმა არ უნდა, მოთბრობაში გადმოცემულ ამბებიდან მწერალს ბევრი რამ ჰქონდა ნახული საკეთარი თვლით. უსდა ვიფიქროთ, რომ მას ნახული ყუოლებოდა თვით პაჯი-მურატიც, რომელიც 1851 წლის ნოემბერს, ლევ ტოლსტოის თბილისში ყოფნისას, ჩამოვიდა აქ მეფის მთავრობასთან შესარჩებლად და ამის გამო მწერალი თავის ძმას, სერგის, გულმოსული ატყობინებდა: „თუ გინდა თავი ისახელო კავკასიის ამბების ცოდნით, შეგიძლია უამბო სხვებს, რომ შამილის შემდეგ მეორე პირი, პაჯი მურატი, ამ დღებში არუესის მთავრობას ჩაბარდა. მთელი ჩანჩეთის პირველი გმირი და ვეჟაკი იყო იგი და სიამაველე კი ჩაიღინა“.

თითქმის სამოც წელს „მწიფდებოდა“ „პაჯი მურატი“ მწერლის სულში. სამოცმა წელმა განვლო ამ მოთბრობის სიძირკვლად დაღებულ პირველ ამბავთა ფიქსაციიდან, „პაჯი მურატის“ დამთავრებამდე, თუმცა ღიდი ავტობი მის დამთავრებულად არასოდეს არ სთვლიდა და თავის სიცოცხლეში ბუჭდურად არც აქვეყნებდა იმ უღმობული შინაგანი ბრძოლის გამო, რომელიც შამილის ნაიბის თავიდასახელის აღწერამ ტოლსტოი მორაღისტრა და ტოლსტოი — ვახტვარის შორის გამოიწვია თავიდანვე. მკითხველი მაშინ მართლც საკვირველი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა, რადგან „ბოროტების ბოროტებით დათრგუნვის“ უარყოფელი ლევ ტოლსტოი თავისი „პაჯი მურატი“ დაღუბწეარ ჰიმნს უგალობდა ძალმობრობისათვის სასკვილოდ შექილვებულ ვეჟაკს.

ენობილია, რომ კავკასიაში ყოფნისას, ტოლსტოი — მწერალს სამხედრო ამბების რომინტიც არ იტაცებდა. ამიტომ ჩაუწერია მას მამინ თავის ღღიურში ღღის გულსტკივილი: „აქ კავკასიაში, გღვება ყოფის აღწერა ვერ შეეძლება და ეს მღღილესსო“. მაგრამ მწერალი ამ ყოფის აღწერა უფრო გვიან შეძლო „პაჯი-მურატიში“, რომელშიაც გამოკვეთილად დაგვიხატა თავისი გმირის გღვებურ-ბოროტესტინული ბუნება. გმირთა გღვებვაში პაჯი მურა-

ტის შემოყვანით კი ლ. ტოლსტოი, ვიტყობით ჩვენ, ერთგვარად გაემიჯნა „ქართაქეანისის“ ფილოსოფიის და სინამდვილეს ახალი კუთხით შეხედა.

იფექტა 1905 წლის რევოლუციამ და ამ ბო-  
ბოკის დღეებში შეწერალმა თავისთავს „სამი-  
ლონიანი მიწის მშრომელი ხალხის დამცველი“  
წერდა.

შოელ საქართველოს მოედო მაშინ რევოლუ-  
ციის ცეცხლი, რომელიც განსაყურებელი ძა-  
ლით გერიაში ვიხივებდა. ყველა განაცოფრა  
საქართველოს ამ კუთხის რევოლუციურმა თავ-  
დადება და ვეცაკობამ. გერულების ბრძო-  
ლით აღტაცებული იყო ლევ ტოლსტოი, რომ-  
ელმაც ილია ნაკაშიძეს საგანგებო წერილიც  
გამოუგზავნა მათთვის. ტოლსტოის მოძღვ-  
რების იდეებით იყო ეს წერილი სავსე, მაგრამ  
არც სწორი და ხალხს გამამხნეველი აზრები  
აქვდა მას. „გადაეით გერულებს, — წერდა  
ამ ბარათში ლ. ტოლსტოი, — რომ არა თუ შე,  
მრავალი სხვანიც შეხარბიან ამ საქმეს და მზად  
აზიან, რითაც შესაძლებელი და საქარო იქნება,  
ყოველგვარი დამხარება ვაუწიონ მათ. გადაე-  
ყოთ კიდევ, რომ ჩვენ ყველანი დარწმუნებულ-  
ნი ვართ, რომ რაც მათ ასეთი დიადი საქმე  
წამოაწყეს და ბევრი რამ ვააკეთეს კიდევ მი-  
თვის, ახლა უკვე მასზე ხელს აღარ აიღებენ,  
ერთხელ არცულ ვხსნა ბოლომდე გაკვეთიან და  
ხალხებს მისაბად მავალითაც უჩვენებენ“.

ლ. ტოლსტოი მუდამ ვეცაკურად და ვაბე-  
დულად თანაუგაძრობდა ცარიზმის მიერ დამო-  
ხრებულ ხალხთა ერთგულ-განმათავისუფლებელ  
მოძრაობას. ამ კეთილშობილმა გარწმობა და-  
წერინა მას 1906 წელს საოცრად ვართალი მო-  
თხრობა „რისთვის?“, რომელშიაც ვედლის სიღ-  
რემიდე ჩამწვლილადა აღწერილი პოლიციელი  
ხალხის გმირული, თავგანწირული ბრძოლა და-  
მოუკლებლობისათვის, ერთგული არსებობის  
შენარჩუნებისათვის, იმისათვის, რომ „დარჩე-  
ნილიყვნენ იმავე, რადაც დაიხადენ — ბოლო-  
ნელხად“.

ლ. ტოლსტოი, თავისი ქვეყნის ეს ქვეშარი-  
ტი პატრიოტი, მუდამ სისულელედ სთვლიდა  
ამა თუ იმ ხალხის ერთგული განსაკუთრებუ-  
ლობის აზრს. დიდი ჰუმანისტი ამიტომ ილაშ-  
ქებდა ასე სასტიკად კოლონიზატორის წინააღ-  
მდეგ აფრკასა და აზიაში, ჰკმობდა მრისხანედ  
ცარიზმის ანტიემპირტურ სიველურეს, მის მიერ  
მცირე ერების ჩაგვრას, რის გამოც თავიან დიდი-  
ურხმა ერთხელ ჩაუწერია: „იმპერიალიზმის  
მოსპობა, თვითმმართველობა ფინეთს, პოლო-  
ნეთს, საქართველოს“. შეწერალი უდიდეს თანაგ-  
რძობას აჩენდა ჩვენი ხალხის ბრძოლისადმი  
დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.  
სხვა მრავალ შემთხვევათა შორის, ეს თანაგ-  
რძობა გამოაქვლავნა მან მაშინაც, როდესაც  
კნობილმა ბუბლიცისტმა შეველემ (დ. მიქელ-  
აქა) დიდ შეწერალს, 1908 წელს მისი „წყვილი-

დის მუდგების“ ქართული თარგმანი ვაუგზავნა  
და ბართიც ვააყოლა, რომელშიაც თხოვდა  
სახელოვან ადრესატს, რომ თავისი აზრი გამო-  
ეთქვა ქართველი ხალხის ერთგულ თავისუფ-  
ლებამზე. ამის საპასუხოდ ლ. ტოლსტოის დე-  
ვალებაა ნ. გუსევისათვის, რომ დ. მიქელაძე-  
სათვის მიეწერა: „ლევ ნაკოლოზის ძე მადლო-  
ბელა თარგმანისა და ბართის გამოგზავნისათ-  
ვის, რაც შეეხება საქართველოს მდგომარეობას,  
ლევ ნაკოლოზის ძემ მთხოვა ვადმომეცა, რომ  
იგი, განსაყურებით უკანასკნელ დროს, ნათ-  
ლად ხედავს იმ ბოროტებას, რომელსაც მცირე  
ერების ჩაგვრის სახით სჩადიან დიდი სახელმ-  
წიფობები, რომ ამ საკითხით იგი ძალზე დაინ-  
ტერესებულია და მასზე წერს კიდევ“.

ლ. ტოლსტოის სიკვდილამდე შერჩა სიყვარ-  
რული და პატივისცემა საქართველოსადმი. ამი-  
ტომ უთქვამს მას ერთხელ ი. ნაკაშიძისათვის:  
„მე ჩამოვალ თქვენს სამშობლოში, ჩამოვალ  
და ერთხელ კიდევ ვნახავ საქართველოს მზე-  
სო“. თუმც ამ სურვილის განხორციელება მას  
აღარ დასცდლა.

1908 წლის 26 აგვისტოს (ძვ. სტილით) რე-  
სეთმა ლევ ტოლსტოის დაბადების 80 წლისა  
და სამწერლო მოღვაწეობის 55 წლისათვის  
იუბილე ვადაიხადა. ამ თარიღს ზემოთ შეეგება  
მთელი მოწინავე კაცობრიობა. გულწრფელი  
სიყვარულითა და სიხარულით აღნიშნა მაშინ  
ეს დღესასწაული საქართველომ, მოწინავე  
ჩვენმა საზოგადოებრიობამ, პერიოდულმა პრე-  
სამ, მწერლობამ, მთელმა ქართველმა ხალხმა.

1910 წლის 20 ნოემბერს, ვანთიადზე, მიყ-  
რებულ სადგურ ასტაპოვოს ციქნა სამორიგო  
ოთახში დასრულდა დიდი პროტესტანტი შეწერ-  
ლის სიკვცხლე. შოელი ცივილიზებული სიყვარ-  
რო შესძრა მაშინ უჩვეულოდ რომანტიკულმა  
ლტოლვამ და ვარდაცვალვამ ამ ზეკარია, რომ-  
ელმაც თავისი სიციცხლის უკანასკნელი წუ-  
თები, როგორც ერთი ქართველი შეწერალი  
შენიშნავდა, „შვენიერის ტრაგედით შემოსა  
და პარწონის ვიგრივინით შეამკა“.

მთელმა კაცობრიობამ, ყველამ, როგორც  
ერთმა კაცმა, მოწინავეთ თავი დახარა მაშინ  
ამ დიდებულ ადამიანის ხსოვნის წინაშე. ანა-  
ტოლ ფრანსმა, ასტაპოვოს ტრაგედის ცოტა  
ხნის შემდეგ, სორბონის მადალი კათედრიდან  
მოუწოდა ხალხებს, რომ მათ „ტოლსტოის სა-  
ხით პატრი ვიკით შებარახტრისათვის იმ დიდი  
და მთლიან აზრებისა, რომლებიც თავს დასტ-  
რიალებენ მთელ კაცობრიობასო“. ამ კათედ-  
რიდან სახელგანთქმული ფრანგი შეწერალი

მგზნებარედ ირწმუნებოდა, რომ ინტელიტუალური კეთილშობილებით, ვაჟაკური შეპყრობებითა და დიდხელოვნებით აღსავსე ტოლსტოის შემოქმედება დარჩებოდა მარად დაუწყვეტელ წყაროდ, საიდანაც აკიდვდნენ სრული საუკუნის მანძილზე მოკლავენ თავიანთ წყურვილს ბავშვები, ვაჟაკნი და კაცობრიობის მოძღვარნიო.

მთელ მსოფლიოსთან ერთად, ქართველმა ხალხმაც გულით დაიტირა მამინ დიდი მწერლისა და მწვობრის დაკარგვა. ქართული პრესა მკითხველებს დღემდე ამ იტყობინებდა იმ საპროტესტო დემონსტრაციებსა და შეტაკებებზე პოლიციასთან, რომლებიც სიმვლვიანო კვირას იმართებოდა მთელი რუსეთის ქალაქებსა და დაბა-ადგილებში.

დამწუხრებელი იყო ქართველი ხალხი და მისი ეს მწუხარება ყველაზე სრულად გამოხატეს მამინ ჩვენი დიდი პოეზიის ორმა დიდმა ქრტიმმა, აკაკიმ და ვაჟამ.

აკაკი წერდა: „...ტოლსტოის სიკვდილმა დიდად შეაძრწუნა ყველა ადამიანი. ტყუილად კი არ მყავდა ის ტურგენევის საოცრად წარმოდგენილი გრავტოლსტოის ხელოვნური ნაწარმოებები, პატარ-პატარა მოთხრობები 'ვეესტო-პოლის ბრძოლის შესახებ, კავკაზის ამბების აწერა, 'კახაბევი' და სხვანი, მართლაც საოცრად მზობლავნ მკითხველებს. დიდმა რამანებმა: 'ომი და ზაგი', 'ანა ვარენინა' და სხვათა, საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი, როგორც გენიოს ხელოვანი. სიბერის დროს ააფილოსოფიო გზას დაადგა და შეიძლება ზოგი რამ მისთანა წასცდა, რაზედაც არ დაეთანხმოს მკითხველი, მაგალითად 'კრეციერის სონატა', საჭურისებური რამ, ბუნების წინააღმდეგი მოძღვრება, როგორც დრამატურგის შექმნილის ვაკიხეი, მეცნიერების უარყოფა, ხელოვნების გადაჯგომა და სხვანი. მაგრამ, მოუხედავად ამისა, მთლიან მის მოსაზრებას ზედ სიბრძნის ბეჭედი ახის. წარსულმა თავის პური მოსჭამა და ზოგიერთი მისი წესწყობილებათაგანი, დღისათვის არასანარგებლო, საგინებელიც არის: 'აკვირაო ბბალი გზა და სხვა მიმართულებამ. ძველნი რაც მალე დაემშობიან, ისა სჯობს. ამას, რასაც ვირველია, ბევრი გრძნობს, მაგრამ ისე შევინებულად და გამხედავად შებრძოლს, როგორც ტოლსტოი იყო მთელს მის სიცოცხლეში, ძვი-

რად ვხედავთ... იგი ჰქადაგებდა 'ერთობას, თანასწორობას და სიყვარულს'. წინააღმდეგი იყო ძლიერისაგან სუსტის დამაჯვრისა, დიდსაგან პატარის ჩაყლაპვისა. ბევრ რამ წერილ-მან, სსასაცილო მოვლინებას ეურჩებოდა. ამ ამით მოიზიდა მან ყველა დამაჯვრელი გული და გაიჩინა მიმდევრები არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპასა და ამერიკაშიც, როგორც მოციქულმა და მახარობელმა მოჰაელიამ. მაშ რა საკვირველია, თუ ქართველებიც დღეს მის გულწრფელად ივლოვებენ? — კითხვალდა აკაკი და ამ კითხვაში ნათლად ამქლავებდა არა მარტო თავის, არამედ მთელი ქართველი ხალხის პატივისცემისა და სიყვარულს ადამიანთა განუყოფელი გულთაში ილევლისადმი.

ამ ბრწყინვალე, ღრმავაროვან წერილში, როგორც ვხედავთ, აკაკი მიუდგომილად, მართებულად აფასებს ბევრ რამეს ღ. ტოლსტოის შემოქმედებაში, მაგრამ მისთვის, როგორც ქვეყნისა სადარაჯოზე მყოფ ფხიზელი გუმაგისათვის, ყველაზე ძვირფასი შინიც ის იყო, რომ დიდი მწერალი მთელი თავისი მოძღვრებითა და მოღვაწეობით ილაშქრებდა 'წინააღმდეგ ძლიერისაგან სუსტის დამაჯვრისა, დიდისაგან პატარის ჩაყლაპვისა' და, ამგვარად ჰკმობდა სისამაგლეს ადამიანთა იმ სოციალური და ეროვნული ჩავერისა, რომლის მოსაპობისათვის იბრძოდა მამინ მთელი მოწინავე საქართველო.

იმ დღეებში, აკაკის ხმას, თავისი ხმა და გრძნობა შეუწყო ვაჟა ფშაველამაც. მან სავანგებო ლექსით დაიტირა მისი სულის უკუდავი თანამოზიარე, რომელმაც სხვა ვითარებაში, ისე როგორც ქართველმა პოეტმა თავის სამშობლოში, 'სიყვარული პაერად შექმნა, რომ მის სუნთქავდეს სულდგმული ყველა'.

ვაჟა ამ ლექსის სევდიან სტრიქონებში თანაგრძნობას უტყავდებდა საქართველოს და მთელ ქვეყანასაც, რადგან

მარტო რუსეთმა? მთელმა ქვეყანამ დაქარცხა მამა, თენი აღმზრდელი, ვინაც მოჰქინა ჩვენს გულ-გონებას და ჩვენს ვნებათა უხედა ნათელი.

უკუდავი მწერლის ეს ნათელი დაქარცხებას ამჟამადაც ჩვენს ქვეყანას, რომელიც ღრმა მადლობის, სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით იგონებს დღეს ტოლსტოის დიად სახელს.



ი. გრიშაშვილი

ყური — ნიჟარა

„მე, საყურეო, გრძნებით ამრევო,  
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტყბარუნოს“.

ნ. ბარათაშვილი

აგრემც შენს გზაზე მენახოს  
გაშლილი ვარდნი, იანი,  
დამაკოცინინე ეგ ყური —  
ნიჟარა მინანქრიანი.

მინდა შევსვა და შემერგოს,  
ყური — თბილისის ფიალა,  
დაეუყურადო რას ამბობს,  
ასე რამ ააწკრილა.

ან რა გუგუნი მოისმის,  
მტრების მუქარა მზებნელი,  
ან რატომ გავხდი მგოსანი,  
ახალი ხმების მძებნელი.

ყურის ნიჟარა მივიდღე  
ყურთან კი — არა, ბაგეზე,  
საყურე — კოცნის დარაჯი,  
ლექსის საწერად მაქვხეზს.

აგრემც შენს გზაზე მენახოს,  
გაშლილი ვარდნი, იანი,  
დამაკოცინინე ეგ ყური —  
ნიჟარა მინანქრიანი.





## ხუთა ბერიძე

### სიყვარული შენი...

შენი მზე და მთვარე, ღიახვი და მტკვარი,  
ეს ქუქუნა წვიმა, ეს ციმციმა ცვარი,  
ეს შრიალი ხეთა, ლოცვასავით წყნარი,  
შენებური ქარი, მშვენიერი დარი, —  
ყველაფერი მიყვარს, რაც კი შენი არი!

ცრემლით დანამული შენი სალამური,  
გაღიმება გულით და სალამი ძმური,  
ნარიყალის ნარი, გალავანი შურის,  
სამხოდ გატეხილი შენი შოთი პური, —  
ყველაფერი მიყვარს, რაც კი შენი არი!

შენი რუსთაველი, თამარის წინ მდგარი,  
და რუსთავეის რვალი, რომ არა აქვს ბზარი,  
შენი დედა ენა — დიდი სიბრძნის კარი,  
ცაზე დაკიდული სვეტიცხოვლის ზარი, —  
ყველაფერი მიყვარს, რაც კი შენი არი!

საქართველოვ, დედავ, ხედავ, რამდენს ვბედავ,  
სიყვარული შენი დამყოლია ბედად.  
ჩემი წუხილია შენი ძველი სევდა.  
სიამაყევ ჩვენო, მაშ, დიდება შენდა!  
... ყოველივე ჩემი მხოლოდ შენი არი!



## აპაქი ბალიაშვილი

### შვიდკაცა

ჩვენ, ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში შეიღკაცას გვიწოდებდნენ, რადგანაც მართლა შეიდი ბიჭი ვიყავით დაამხანაგებულნი. თანაც სიმღერა ვიცოდით გლეჯვაზე და რაიონული თვითმოქმედი ანსამბლის ხელმძღვანელი ზაური ლურჯაია თავს იკლავდა ჩვენთვის, პირდაპირ კარზე ტალახი აუყენა რაიკომის მდივანს, ან სულ გამათავისუფლეთ, ან ეგ ბიჭები ჩემს ანსამბლში ჩამარიცხვენეთო.

მაგრამ ჩვენ რაღაც არ გვაინტერესებდა მოჯღარკული ჩოხახალოხით ესტრადაზე გამოსვლა და „ჩაგუნია მურს, მურს“ — ძახილი. ყველას საკუთარი ვზა ჰქონდა არჩეული ცხოვრებაში, ვის ინჟინრობა სურდა, ვის ექიმობა და ვის ფილოლოგობა ან ურნალისტობა. ზოგიერთი ჩვენგანი არც კი ფიქრობდა უმაღლესი ცოდნის მიღებაზე, გამოგვიღაყა თავი ამ ფორმულებმა და უგემური ლექსების ზეპირობამ, ჩვენში გონებრივი და ფიზიკური შრომა ერთნაირად ფასდება და ვისაც ძალიან უხარია ყოველი ადამიანის მუცლის დიჯუნა და ნაწლავებში ხელების ფათური, ან ოცდაოთხი საათი ლოგარითმებით ტვინის გამოშრობა ღმერთმა ხელი მოუშართოს, მე აგერ ეენახში ჩავდგები სუფთა ჰაერზე მკლავს ავამუშავებ, გინდა მაღაროშიაც ჩავალ, არც მამაჩემი, არც პაპაჩემი და პაპისპაპა მოუკლავს თოხს და ნიჩაბს და კაიბიჭობაში თუ ვინმემ მაჯობოს, იმასაც ენახავო.

ჩვენი სოფელი ზემომიერეთის ზეგანზეა გაშენებული და ჭიათურის რაიონს ეკვრის. აქაა ძველებური ციხესიმაგრე, რომელსაც ჩვენივე სოფლის სახელი ჭორბუდე ჰქვია. იგი მაღალ კლდის წვერზეა აშენებული. ქვემოთ კი გამოქვაბულებია. ერთ ადგილას კლდი-

დან ანკარა წყარო ვადმოქუხს. მისში იმ წყაროს, ლამით, კალათა რომ მიუდგადილამდე წერილი თევზებით აივსება. ტყეში კი საქვეყნოდ ცნობილი სოკო ნიყვი იზრდება. ჭორ ბუდის ციხის მიღმა მთლიანად წაბლნარით დაფარული მთაა, ხევეში პატარა მდინარე ჭორბუდის წყალი მიიკლავება. ეს წყალი, როცა მოდიდდება, მტრისას, ყველაფერს ლეწავს.

პოდა ამ სოფელში არის მწვანე მთლით დაფარულ მინდორზე საშუალო სკოლა, სადაც ამ რამდენიმე წლის წინათ ესწავლობდით ჩვენ... მაგრამ ვინ ჩვენ... სოფლის ბიჭები და მათ შორის, აი, ის შვიდი ამხანაგი — „შვიდკაცას“ რომ გვიწოდებდნენ: სინუს ლაშაძე, კოსინუს ხედელიძე, ტანგენს ტაბატაძე, კოტანგენს კოტრიაძე, პიერ კვადრატ ჭავჭავაძე და ნაწეიარი კენჭოშვილი. ჩვენიან გოგოებიც სწავლობდნენ, მაგრამ მათ შორის მარტო ერთი იქცევა ყველას ყურადღებას — რატომ? ეს. ალბათ, გასაგებია ყველასათვის. ამიტომ ეს გოგო ცივი იყო, ვით მყინვარი და უკარება, ვით ჩიჩენბური ეკონის ბუჩქი, ტანზე რომ ტანსაცმელს შემოგახვეს. ყველას კოსმიური სიმაღლიდან გვიცქერდა და თვალი გაცილებით უფროს ოა სახელმომხვეჭილ მამაკაცებისაკენ გაუბრუნდა. ის გოგო ხომ ასეთი იყო, მაგრამ არც ჩვენ ვიყავით ნაკლებად ჯიბიდან გავარდნილები და მის მიერ ამგვარ ათვალწუნებაზე, სიცილით ვიჭაჩობოდით.

შეიძლება ჩვენს შორის ბიერი სულაც არ იყო სიცილის გუნებაზე და მგონი ყველანი ერთად იყვნენ დაავადებული ამ გოგოს სიყვარულის უკურნებელი სენით, მაგრამ ყველანი მე მბაძავდნენ. მე კი ისე ვუცქერდი ამ

წერილკანკებზე, ტანწერწერა და თვალმბრიალა გოგოს, თითქოს ჩალის ზეინისათვის შემეხედოს. თავიდანვე მოვერიე ჩემს თავს და ვირწმუნე, რომ ასეთი ცხვირიბზეკია ქალიშვილის შეყვარება საკუთარი თავის დაღუპვას ნიშნავდა: სიყვარული მე ისეთი აღამიანისა მწამს, რომელსაც მეც ისეთივე წრფელი გრძნობით შევეყვარდები. ვანა შეიძლება ისეთი ქალის შეყვარება, რომელიც თანაგრძნობას, როგორც მოწყალეებს ისე გიბოძებს? ასეთი ქალის თვალში ცამდისაც რომ გაიზარდო ცხოვრებაში, მაინც მუდამ მათხოვარი იქნები და არასოდეს კაცად არ დაგაფასებს. აი ეს სიბრძნე რომ შევაგნებინე ჩემს თავს, წელში გავიმართე და სხვები თუ თვალს ვერ ამორებდნენ ცისანას და თავს არ იზოგავდნენ, რომ მისი ყურადღება მიექციათ, მე ერთხელაც არ გამომიჩენია ასეთი სისუსტე. თანდათანობით სხვებიც ამყვენენ, ახლო ამხანაგები, ცხადია, და თუმცა შეიძლება გულში ყოველ მათგანს ბობოქარი ალი უტრიალებდა, გარეგნულად მაინც თავი ვაჟკაცურად ეჭირათ. სხვებივით არ წამბდარან და თანაგრძნობაზე ცივი უარის მიღების შემდეგ თავგანწირულ ხეწნა-მუდარაზე არ გადასულან. პირიქით, თვითონაც გულები ქაში ჩაკიდული ღვინით სავსე დოქებივით ვაიცოცხეს, თუმცა ყოველი მათგანი, ჩემს გარდა, ამას ნამდვილად ვამბობ, მაინც იმედს არ კარგავდა, რომ ეს გოგო ოდესმე რომელიმეს საბოლოოდ გაუღიმიებდა.

„ცისანა, დედა დაიფიცე, პროფესორი რომ გავხდები ნუთუ მაშინაც აღარ გვიკადრებ“, ეუბნება სინუსა (სინუსას სინო ჰქვია და ჩვენც მისი მიმსგავსებით შევარქვით ეს ტრიგონომეტრიული მეტრსახელი, ასევე კოსინუსას კოსტა ჰქვია ტანგენსას — ტარიელი, კოტანგენსას — კალენიკე, პიერკვადრატს — პიერი, მარტო კენჭოშვილს დაერქვა ნაწევარი იმიტომ, რომ ძალზე პატარაა, თორემ მამამისს მალხაზად მოუნათლავს). ოჰ, დიდი ოხერი ვინმე იყო ეს სინუსა. აბა

იმას შეეძლო გოგოებთან ლაპარაკი, თუ ვინმეს დიმიარტობელებდა. ისე დაუწყებდა ქლურტულს, იმისთანა სასიამოვნო ხუმრობებს ეტყოდა, ისე გემოზე გააცივებდა რომ საბოლოოდ მოხიბლავდა. იმ ხანებში ჩვენში, ქალიშვილი არ დადიოდა, რომ ამ ბიჭის სიყვარული გულში არ ჩაეარდნოდა. სამაგიეროდ კოსინუსა გოგოს როგორც კი დაინახავდა, კიდეც და მუხუჯღებოდა, კიდეც დაყრუვდებოდა და ნამდვილ საპყრად გადაიქცეოდა. გამწარებული იწმენდდა ოფლს და სულ თვალი ეჭირა, როგორმე გაპარულიყო. ერთხელ ოჯახში ვიყავით სტუმრად. კამოდის თავზე ძველებური „ფლირტი“ ანუ საფლირტო ფურცლები ვნახე კოლოფში ჩაწყობილი (ახლა „ყვავილნარი“ დაარქვეს, მგონია.) და გავაბით ერთმანეთში ამ ფურცლებით საუბარი. დიდი სასაცილო რამე კია ეს საფლირტო ფურცლები. გაუწოდებ ქალიშვილს და ეტყვი: არჯაკელი. ქალიშვილი დახედავს, ეძებს ამ სიტყვას და იქვე პოულობს მინაწერს: მე თქვენ მომწონხართ. ცოტა ხნის შემდეგ ახლა ქალიშვილი გამოგიწოდებს ფურცელს და გეტყვის: ქუნჯრუკო, დაადებ ხელს გულისფანქალით და კითხულობთ პასუხს: მეც მომწონხართ. ერთი სიტყვით, მისწრებაა კოსინუსასთანებისათვის თავის გულისნადების გადასამლეულად, მაგრამ საქმე არა გაქვთ? მივეცით ხელში ფურცელი, ამოიკითხა შიგრადაცეები, მაგრამ გაწოდებით ვერა, დაება ხელი და გაწოდება კი არა, გოგოებისკენ გახედვაც ვერ მოახერხა. მერე დაავლო ქუდს ხელი, მომაგონდა, გადაუღებელი საქმე მაქვსო და მოუსვა.

— მოდი, ბიჭო, ეს გოგოები კი არ შეგჭამენ, — ეუბნებოდა ხოლმე სინუსა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, თითქო მეხს გაქვავებოდა, იდგა ეს უბედური, ვეღარც წასვლას ახერხებდა ვეღარც დარჩენას.

სამაგიეროდ სწავლაში, ვერა ძმაო, კაცი არ იყო მისი მჯობნელი. ხუთიანები სულ ტანკისტებივით ყავდა ჩამწკრივებული. ჩვენ არცერთს არ შეგვეძლო

მას გავტოვებოდი, მაგრამ ყველას მაინც თავის კოზირი აქვს ცხოვრებაში. მაგალითად, პიერკვადრატის ბუნებას იმისთანა ღონით დაეჯილდოებია, მთელ კლასს ისე მიგვახვეტდა კუთხეში, ძალიანაც რომ გედომოდა, ერთი ვერ დაუსხლტებოდა. ბექებზე არსენას არშინსაც ვერ გადააწვდენდი.

— ბიჭო, ჰკვამიაც რომ მაგდენი ღონე მოეცა შენთვის განგებას, არც შენს ბელს დაყფდა ძალო, არც ჩვენსას, — ეტყოდა ხოლმე ჩვენი ფიზიკის მასწავლებელი პორფილე ჩინჩალაძე.

ტანგესა და კოტანგესა მათემატიკის ღმერთნი იყვნენ. სახელმძღვანელოში რომელ ამოცანაზე უნდა დაგედვა ხელი, მათ რომ ვერ ამოხსნათ. ნაწევარას ლექსების წერა უყვარდა, ყოველ დღე გზავნიდა თბილისში თავის ნაცოდ-ვილარს, ახალგაზრდა მწერლების რაიონის შეკრებასაც კი დაესწრო და ზეპირათ ბევრი ლექსი მოუწონეს, მაგრამ არცერთს არ უბეჭდავდნენ.

ერთის სიტყვით, ვიყავით ეს შვილი ბიჭი ასე შეთანხმებული. დავამთავრეთ საშუალო, დაგვირიგეს ატესტატები. კოსინუსსა გარდა ოქროს მედალი არცერთს არ გვრგებია, მაგრამ საგამოცდოთ წასვლა ყველამ გადავწყვიტეთ. ხუმრობა ხომ არ იყო აბითურიენტები გავხდით. ამ სიხარულში რომ ვართ, მოვიდა ამ დროს ნაწევარა და გვეუბნება:

— ბიჭებო, აბითურიენტები კი არა, გვაბითურიენტი ვართ მგონია.

— ეჰ, მონახე რითმა! — ეუუბნებოდა ჩვენ, მაგრამ ნაწევარას სახეზე ვატყობთ, არ ხუმრობს.

— ვისაც ორწლიანი საწარმოო სტაჟი აქვს, პირველ რიგში იმათ ღებულობენ თურმე. ოღონდ ჩაბარონ, სულ სამიანებაც რომ მიიღონ, მაინც იმათ ჩარიცხავენ, დანარჩენები, ოქროს მედალოსნებაც კონკურსზე უნდა გავიდნენ.

ამ ამბავმა ყოველი ჩვენგანი სულ სხვადასხვაგვარად ააფორიაქა. ზოგს თავზარი დასცა, ზოგი, პირიქით, გაახარა.

— აბა, ბიჭებო, დოურტყით ახლა

ენტუზიაზმი და სულ სიმღერით წადით მალაროში, — გესლიანად წამოიძახა პიერკვადრატმა და ჯიბეში ნაგდები წელსში გაწყვეტილი პაპიროსი გააბოლა.

— უნდა გითხრა, ეგ საქმე მომეწონა, გინდა დაიჯერეთ, გინდა არა. — თქვა სინუსამ და პიერს ხელი გაუწოდა — ახევარი დამიტოვე, შე უსინდისო.

პიერკვადრატამ პაპიროსის ბოლი წვრილად გამოუშვა და სინუსას ზევიდან დახედა.

— მოგეწონა ბიძია, რატომაც არ მოგეწონება, შენი დღე-წუთისოფელი სამიანებზე სწავლობდი და რისი იმედით უნდა წასულიყავი გამოცდების ჩასაბარებლად! — უთხრა მან სინუსას — ახლა გავიხსენს გზა თქვენისთანებს და რატომ არ გაგებარდება!

— შენ არ გეკადრება მალაროში მუშაობა? ნამეტანი ბუმბულებში ხარ გაზრდილი და...

— ბუმბულებში რო არ ვარ გაზრდილი, სწორეთ იმიტომ არ მინდა მალაროში წასვლა. იქ რომ მუშაობა მდომოდა აქ კი არ ვიბლავუნებდი თერთმეტ წელიწადს. ბარის და ნიჩბის ხელში დაჭერას რაში ჭირდება ტელიორის ფორმულების ცოდნა.

— არც რუსთაველის პროსპექტზე მოყოლისათვისაა აუცილებელი ნიუტონის ბინომი. ბარი და ნიჩბია სწორეთ შენი საქმე, ათი კაცის ღონე გაქვს.

— ყიალი მე სულაც არ მაინტერესებს და თუ გასეირნებაზე წავა საქმე, კუპატაძეების ორღობეს მაინც რუსთაველის პროსპექტი მიჩჩევნია. თბილისში შილიონი ადამიანი დადის, იმ მილიონში ერთი მეც მინდა ვიყო, არ მაქვს უფლება თუ?

— შენ რა გიჭირს, მამაშენს ორი შვილი ყავხართ. თვითონ მალაროში მუშაობს და თვეში ორასი თუმანი მოაქვს სახლში, კოლმეურნეობაშიაც მუშაობს და ასოცი შრომადღე ყოველ წელიწადს აქვს გამომუშავებული. თუ ის კარგად გეყოლა, ჩაცმა არ დაგაკლდება და დახურვა, სასმელი და საჭმელი. მე უნდა ვიკითხო, მამა ფრონტზე დამედუ-

პა. დედაჩემს ხუთი შეილი ყავს სარჩენი და კოლმეურნეობაში წელი აქვს მოწყვეტილი მუშაობით. თუ არ მივეშველე სული აღარ შერჩება. ამიტომ ეს კანონი ჩემთვის პირდაპირ მისწრებაა. შენ ნახირში წაბრძანდი მე ქორწილში წავეთრევიო, წაგბრძანდები მაღაროში, რას იზამ, — დაამთავრა სინუსამ, — ვინ იცის იქნება შენზე ადრე მე გავხდე ინკინერი.

ერთი სიტყვით, საბოლოოდ გამოირკვა, რომ მხოლოდ სამი მიდიოდა მაღაროში — სინუსა, ნაწევარა და მე. დანარჩენებმა გადაწყვიტეს მომზადებულიყენენ და კონკურსში მიეღოთ მონაწილეობა. ამათგან მარტო კოსინუსას ჰქონდა ცოტაოდენი შანსი, დანარჩენები ტყუილბრალოდ დროს ჰკარგავდნენ.

ამაზე გეჰონდა საუბარი იმ დღეს, როდესაც ატესტატები დაგვირიგეს. ჩვენ ერთად ვიდექით, ჩვენი შეიდეკას ჯგუფი. ოქვე გვერდით დანარჩენები საუბრობდნენ. მოულოდნელად ცისანა მომიბრუნდა, გულდაწყვეტილად მითხრა:

— შენ წარმოიდგინე, არ მიხარია. — რა თვალები ქონდა იმ ჩემი ცოდვით საესეს!

— რა არ ვიხარია, გოგო! — გულცივი უღარდებლობით ვკითხე და ისე ავხედ-დავხედე, ვითომ დიდი ყარამან-ყანთელი ვადექი თავზე, მაგრამ ვატყობ, რომ ჩემს ამდენი ხნის სიმტკიცეს სადღაც ბზარი გაუჩნდა.

— არ მიხარია, რომ უნდა ნივატოვო ჩემი სკოლა, ამხანაგები და წავიდე აქედან. — მიპასუხა მან, მერე უცბად საყულოზე მომწვდა, შემისწორა და მითხრა, — რა არი ბიჭო, პატარა წესიერად ვერ მიხედე ამ შენ ტანსაცმელს. შენ გგონია მარტო ჩვენ უნდა ვიცვამდეთ კოსტად. გოგოებსაც მოგვწონს კარგად ჩაცმულ-დახურული ბიჭები.

— როცა ვიშოვი, მეც კარგად ჩავიცვამ და დავიხურავ.

— როცა იშოვი კი არა, რაც გაქვს, თუ იმისი მოვლის და კარგად ტარების

შნო არა გაქვს, მილიონის ქონება რომ შემოიფინო ტანზე, მაინც უშნო იქნები.

სხვა დროს უნდა გადავრეულიყავი ამისთანა ჰკუის დარიგებაზე, მაგრამ ახლა ეს ისეთი გულწრფელობით მითხრა, ისეთი მეგობრული განწყობილებით, რომ ბზარმა კატასტროფულად იმატა და ლამის შუშასავით ბოლომდი გაადინა, მგონია, ტყეცა.

— შენც რჩები? — მკითხა მცირე სიჩუმის შემდეგ მან.

— ვრჩები. არ მაქვს ისე საქმე, რომ ტყუილბრალოდ დრო დაეკარგო და კონკურსში რომ ვერ გავალ, ვიცი, წარბოებაში ვიმუშავებ და დაუსწრებელზე შევალ.

— მგონია, ჩემი საქმეც ასე დარჩეს საბოლოოთ! — მიპასუხა მან. თავისი ზღვასავით უძირო თვალებით კიდევ ამხედ-დამხედა, ამრი-დამრია და ეს იყო, მეტი არაფერი უთქვამს. შეტრიალდა და წავიდა. მეორე ჯგუფში გაერია. რა იყო, რა მოეჩვენა იმ უღმერთოს, ხომ იცოდა, რომ ჩემთან არაფერი გაუვიდოდა. სხვებსავით თავბრუს ვერ დამახვევდა და რაღა ამ წასკლის წინ ჩამომიჭროლა ხოხობივით, არასოდეს არ შემოუხედნია ჩემთვის, იშვიათად დამლაპარაკებია, არც დახმარებისთვის მოუმართავს, დადიოდა, დააბრიალებდა ცეცხლის მოკიდებულ თვალებს, ყველას წვავდა და ხრაკავდა ჩემს მეტს, ხომ იცოდა ეს და რა მოეჩვენა ახლა.

— ბიჭებო, გულახდილად მითხარით, რომელს გავიხეთქით გული ახლა, მე რომ მომელამუნა ეს გოგო? — ვკითხე ამხანაგებს.

— ყველას, ალბათ, ჩემს გარდა, — წაიღუდუნა კოსინუსამ და გაწითლდა.

— ასეა საქმე? — მრავალმნიშვნელოვნად ვადახედა ტანგესამ კოსინუსას, — ახლა რას გაწითლდი ბიჭო? ნუ გრცხვენია შე უბედურო და ნურც ტყუილს ამბობ, ყველა შეყვარებული ვართ და ყველას უხარი გვითხრა. ამაზე იყო გულდაწყვეტილი, რომ ვერ მოტეხა, — ჩემზე მოუთითა მხარხემოდან.



ცერთ, — მარა, ახლა, უთოდო მონადირეს რომ გვრიტი ჩაურბენს წინ, ისე ჩაურბინა და გატრიტა გულზე. ასე არაა, ნოდარ, ჩემო? იცის, რომ აქ რჩები, თბილისში არ მოდიხარ, იფიქრა, არ დაგტოვებ ასე არხეინად, ჩაგინთებ გულში გენიასო, რაეა საქმე, მოგვიკიდა?

— ვის, ბიჭო, მე? — ჩაეციხე, ოპ, რა ვაუკაცური უღარდებლობით ჩაეციხე! ძალიან ვწუხდი, რომ ცისანა არ მიცქეროდა და ვერ ხედავდა თუ რა სეტყვას რა ქეა დახვდა. მე მხოლოდ იმაზე მწყდებოდა გული, რომ ჩვენი კოსინუსა, ეს საწყალი უენო კოსინუსაც ყოფილა ამ გოგოზე შეყვარებული და რა ეშველებოდა მაგ უბედურს. სინუსასთანა ენაელდრტულა თუკი ვერაფერს ახერხებდა, მაგ ენადაბმულს რა უნდა გაეწყო. მე შენ გეტყვი და ქონება გააჩნდა იმდენი, რომ ჩაცმა-დახურვით მოეჭრა ამ გოგოსთვის თვალი ანდა სახელი ჰქონდა მოხვეჭილი რაიმე დიდ საქმეში, რომ ამით მაინც მიეჭვია ცისანას ყურადღება. იქნება იმის იმედი ჰქონდა, მის ოქროს მედალზე გადაირეოდა ჩვენი მზეთუნახავი და იმიტომ მიიჩქაროდა თბილისში, აქ თუ ვერ მხედავს, იქ მაინც დამინახავსო? ეპ, ტყუილად წვალობდა ჩვენი კოსინუსა.

ჩვენ, ვინც მაღაროში წასვლა გადავწყვიტეთ, ბევრი არ დაგვიყოვნებია, ავიკარით გულა-ნაბადი და გავსრით ჰიათურისაკენ. დანარჩენები, ბიჭებიც და გოგოებიც ზოგი თბილისს გაემგზავრა, ზოგი ქუთაისს, ნათესავებთან, უნდოდან ზაფხულის თვეებში საგამოცდოდ მომზადებულიყვნენ. ჩვენ კიდევაც დაგვიცინოდნენ, ნადარეგ ენტუზიასტებს გვიძახდნენ.

წავედით. ჰიათურაში სამივე ნამყოფი ვიყავით, მაგრამ მაღარო არცერთს არ გვენახა. გავიარ-გამოვიარეთ, ხიდის-თაეში სოფლის დედაკაცებისაგან ბალა ვიყიდეთ და ტრესტის სამმართველოში ჰამა-ჰამით შევედით. რა ვიცოდით, რომ ეს უზრდელობა იყო, მით უმეტეს კუნწებსა და კურკებს იატაკზე ვყრიდით.

შევედით და ჩვენი ჰკუთ ტრესტის დირექტორთან გვინდა შესვლა. ხუმრობა ხომ არაა, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პირდაპირ წარმოებაში მივდიოდით და გულწრფელად გვეგონა, რომ ტრესტის მმართველი, როგორც კი გაიგებდა ჩვენს გამოცხადებას, თვითონ გამოგვეგებებოდა და სათითაოდ გადგვებოდა ყველას. გვჯეროდა გავხეთების, სადაც მხურვალე მოწოდებები იყო, რომ საშუალო სკოლის მოსწავლეები ატესტატის მიღების შემდეგ წარმოებაში წასულიყვნენ და ყოველ დღე წერდნენ, თუ რა ალტაცებით ეგებებოდნენ ასეთებს წარმოებათა ხელმძღვანელები.

შევედით ტრესტის შენობაში. ავიარეთ კიბეები, შევალეთ მისაღები ოთახის კარი, ვეკითხებით მდივან გოგონას ტრესტის მმართველი გვინდა-თქო. იმან არც შემოგვხედა. ტელეფონის მილი მიედგა ყურზე, მაგრამ, მგონია, დავიწყნოდა, რომ ორკაპზე უნდა დავედო, რადგან კითხვით იყო გართული და ყურმილს ეტყობა არ უსმენდა. კითხვა გაუუმეორეთ, მაშინ კი დააგლო ყურმილი ორკაპზე და ჩვენთვის არ შემოუხედინა ისე გვეკითხა:

— რა საქმეზე?

ჩვენ გული მოგვივიდა. თავი ვაუკაცებად მიგვანჩნია, ეს ზედაც არ გვიყურებს. ვითომ ამას თუ არ მოვასხენეთ რისთვისაც მოვსულვართ, ისე უფლება არა გვაქვს მმართველთან შევიდეთ?

— რა საქმეზე, ამას მმართველს ვეტყვით, შენ გვითხარი, არის თუ არა. — უთბრა გულმოსულმა სინუსამ და ბლის კურკა ისე მოხდენილად ისროლა პირით კუთხეში, თითქო მისი პირი თოფის ლულა ყოფილიყოს. კურკამ საფანტით მოადინა წვეტა.

ქალიშვილმა სწრაფად შეხედა სინუსას.

— შენ გეტყობა თავლაში გგონია შენი თავი. როდის გამოდი ტყიდან. ბლის საკმელი აღგილი ველარ მონახე?! წახდენა ამას ქვია თუ ქვია. სადმე თავგის სორო რომ დაგვენახა, უსინდი-

სო ვიყო, მე და ნაწევარა თავისუფლად ჩაქვრებოდით შიგ. სირცხვილით მოვიკუნტეთ და დაეპატარავდით. სინუსა კი უღერს არ იტეხს და უტიფრად უცქერის ქალიშვილს.

— რავე, ბალის ჭამა აკრძალულია თუ? — ხუმრობაში უნდა გადაატაროს სინუსამ, მაგრამ შეკრული წარბი ქალიშვილს ვერ გაახსნევინა.

— შენ, ჯერ წესიერად თავის დაქერა ისწავლე და მერე მოდი აქ. — მღივანმა ქალმა ახლა ჩვენ შემოგვხედა და გვითხრა — თუ სამუშაოს ეძებთ კადრების განყოფილებაში მიდი. მეოთხე სართულს. მარჯვნივ, ოცდამეშვიდე ოთახი.

— აგრე თქვი, შე დალოცვილო, რას გვეჩხუბები. — სცადა სინუსამ საზავო მოლაპარაკება დაეწყო და შერიგებოდა ამ მრისხანე არსებას, მაგრამ ქალიშვილმა არც კი შეხედა და ისევ წიგნში ჩაკიდა კულულები.

ღერეფანში ჩვენს მეგობარს მუჯღუნები ვუთავაზეთ.

— ბიჭო, ლაბაძეების ფერმის საჩენში ხომ არ გეგონა შენი თავი, — უთხრა ნაწევარამ.

სინუსა აშკარათ გუნებაზე აღარ იყო და თავის მეგობარს ისე მოუქნია მკლავი, თითქო მართლა უპირებდა უკუღმა სილის გაწევას.

— გაჩუმიდი თორემ, კიდევ დაგანაწვევრებ. აბა, შესავით ხომ არ დავიწყებ ბალის კურკიანა ყლაპვას.

— ისე გემოს ვერ ვატან, — დუღუნით იმართლა თავი ნაწევარამ.

კადრების განყოფილებაში უფროსმა აგვხედა, დაგვხედა და მეორე მაგიდასთან კარტოტეკის ყუთებში ჩამალულ ქალარაშერულ დეიდას კითხა:

— ბილასი, ამ ხალხს რა ვუყოთ, მოდიან და მოდიან ეს საშუალო დამთავრებულები. ლიპიტი შეივსო უკვე?

— გუშინ შევაჯამე, ოთახსი უნდა მიგველო, ექვსასზე მეტი მიგვიღია.

— ოცდახუთ ნომერ მალაროში იყო, მგონია, ადგილები, ახალი ლავები უნდა გაეხსნათ.

— ათი კაცი უკან დააბრუნა წიფში და ჩვიდმეტმა ნომერმა ძლივს მიიღო.

— აბა ამით რა ვუყოთ?

— რა ვიცი.

— ჩავუნავა მეუბნებოდა ხალხი მჭირდებაო.

— ოცდათერთმეტში? იმას ადგილობრივი მცხოვრებლები უნდა. მოსულებისათვის საცხოვრებელი ბინები არ ყოფნის და სანამ ახალს ააშენებდნენ...

— გავუშვათ კარტნებში, იქ ბინაც ბევრია და...

— აჰ, ნესტორი ხალხს პირიქით ჩვენ გვიგზავნის მოსაწყობათ.

— არა. ამ დილას დამირეკა ახლა გამახსენდა, ოცი კაცი მჭირდებაო, გიგლიძათ, ბიჭებო, ბედმა, — გვითხრა უფროსმა, ქალაღი დაგვიწერა და გვასწავლა, როგორ უნდა ავსულიყავით კარტნებში.

გამოვედით, ჯერ საპაერო-საბაგირო სადგურს მივადექით, სინუსამ რომ შეხედა ბაგირზე დაკიდულ ვაგონს გადმომხედა და მეუბნება:

— ამაში უნდა ჩავეჯდეთ? რო გაწყდეს, რას შევბი მერე.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, წადი, აგერ ბილეთი იყიდე.

— რავე, ამაში ჩავეჯდე და ფულიც უნდა გადავიხადო?

— აბა, უფასოთ, კომუნისმში რომ შევალთ მაშინ ვგასეირნებენ.

— მეტი არ ადგა შენი გვერდები, მე მაგაში ჩამჯდომი არ ვიყო.

ჩამოვიდა ვაგონი და გადმოფრთქილდნენ ჩვენი ტოლი გოგონები, კისკისით ჩაგვიარეს გვერდი და თავის გზას გაუდგნენ. გადავხედე სინუსას, აიწურა. ვიყიდეთ ბილეთები, შევედით ვაგონში, აჰ, რა სანახაობა გადაიშალა ჩვენს თვალწინ, მივდივართ მაღლა, ქალაქი მიდის და მიდის ქვევით. ზღაპარში გვეგონა თავი.

ზედა სადგურში გვითხრეს, ასფალტით მოგებულ გზას დაადექით და მიადგებით კარტნებსო. მივდივართ, მივდივართ, არ უჩანს გზას დასასრული, გავიარეთ ერთი მაღაროს ბაქნები, მეორე

მალაროს ბაქნები, ბოლოს ჩვენი გზა შიდადა ერთი უფსკრულის პირს. ვხედავთ, ამ უძირო ხეობაზე გაბმულია ბავირის და ზედ დაკიდებულია რაღაც გალიის მაგვარი ვაგონი, თუკი შეიძლება მას ასეთი სახელი ეწოდოს. ესაა ბავირზე მოძრავ ბორბლებით დაკიდებული რკინის კეტი, რომელზედაც ქვემოდან მიმაგრებულია კალათის მაგვარი რკინის რიქულეებიანი ბაქანი. ბაქნის მოაჯირი წელამდე წვდება ადამიანს. ასეთ ვაგონში ჯდება ექვსი კაცი და უფსკრულის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადადის.

— ბიჭო, სად წამოვედით აქ, — დუდუნებს სინუსა და ნაწევარას დამცინავ დიმილზე სულ ირევა.

— შენ, ბიჭო, ემაზე კი არა, ბეწვის ხილზე რომ შეგაყენონ, მაინც ვერ ჩაწყიტავ, — ეუბნება იგი ნაწევარას. — მე უნდა ვიკითხო...

— წამო, წამო, ბევრს ნუ ლაპარაკობ, — ეუბნები მე და პირველი შევდივარ იმ წყეულ ბაქანზე თუ კალათაში, რა დავარქვა, არც კი ვიცი.

სინუსა არც აპირებს ადგილიდან დაძვრას.

როგორც ზღაპრებშია ნათქვამი, — ამბობს იგი, — ამის შემდეგ, ალბათ, ჯერ დიდი მორევი დაგვიხვდება გადასალახავი, მერე ცეცხლი, მერე გენია, მერე...

შევიტყუეთ, როგორც იქნა სინუსა, წასრიალდა ვაგონი, მივექანებით ამ უფსკრულის თავზე. ჩავვალეთ ხელები მოაჯირს, მაგრამ თქვენ ჩახედვა თქვით ამ უძირო უფსკრულში, მუხლები ამიკანკალდა და თავბრუ დამეხვა. მალა ახედვა ვცადე და... დედა, ეს მთლად უარესი ყოფილა, კინაღამ გადაყირავდა მთელი ქვეყანა ჩვენს თვალწინ. მაშინვე დავხუჭე თვალები, რომ წონასწორობა აღმიდგინა. მერე ჩუმჩუმად გავხედე სინუსას, ის უფრო ქვიანი ყოფილა ჩემზე. მას სულ არ გაუხელია თვალი, მარტო ნაწევარა ჩამოყრდნობია მოაჯირს, ცალი ფეხის წვერი რიქულებს შუა გაუყვია და არხინად ათვალიე-

რებს მიდამოს. მერე ხეობაში ჩააფურთხა და უყურებდა რამდენ ხანში მიადწევდა იგი ფსკერამდე. შუაგზაში ჩინარდაო, დამიწყო მტკიცება.

გავედით მეორე მხარეს, დავადექით გზას, ვიარეთ, ვიარეთ და მივაღწიეთ კარტნებამდე. გავიხედეთ, გამოვიხედეთ, კლდეებზე და კლდისპირებზე სამსართულიანი სახლებია, ქვეით საფეხბურთო მოედანი მთელი მოწყობილობით, კარზე გადაქიმული ბადეებით და მინდორზე გავლებული თეთრი ხაზებით. იქით ნამდვილი სასახლე დგას, დიდი, სვეტებიანი მისასვლელით — იგი თურმე მართლა კულტურის სასახლე ყოფილა, სადაც ხან კინოს უჩვენებენ, ხან წარმოდგენებს და უფრო ხშირად კი კრებები და მოხსენებები ტარდება.

სახლებს იქით, კლდეზე გაყოლებით, მარგანეცის საბაგრო გზა მიყვება, რომელზედაც ჩამოკიდებული რკინის ქვაბები მისრიალებენ. საბაგრო გზა ზევიდან მოყვება და კლდისპირიდან ყვირილის ხეობაში ეშვება. გვითხრეს, იქ გამაუხვებელი ქარხანააო. მალარო კი ზევით ყოფილა. კანტორაც იქაო. ავეყვეით აღმართს. შორს არ ყოფილა. ვხედავთ, გვირაბია შეჭრილი მიწაში. შიგნით ელექტროლაშქები კილია. ორმაგი ლიანდაგი აგია და ერთი ელმავალი რომ მოაქროლებს მარგანეცით დატვირთულ ვაგონებს, მეორე ცარიელს მიაბრუნებებს შიგნით.

გვირაბისპირიდან გადახურული ფარული მიუყვება და ღარტაფს გადაადგება. იქ ცლიან ვაგონებს ბუნკერებში (ჩვენებურ წისქვილებს რომ ხეიმირები აქვს, ისეთებში, მხოლოდ ამაში ასი იმისთანა ხეიმირა ჩატევა თავის წისქვილიანათ).

— იმაში უნდა შევიდეთ? — მეკითხება სინუსა და მითითებს გვირაბზე.

— ვერ შევალთ, თუ? — ამაყად ეუბნება ნაწევარა.

— შენ, ბიჭო, იქ კი არა თავის სოროში შეეტყვი. მე ვიკითხო, ემ საელმავლო მავთულს რომ თავი გავარტყა უნებურად, იქვე გამაცხებიებს სულს.

— შე სულელო, ვერ ხედავ, საგანგებო რეზინის ქუდები რომ ახურავს მუშებს? — მიუთითა ნაწევარამ ერთ მუშაზე, რომელიც უცნაური ლამპით ხელში გვირახისაგან აჩქარებული ნაბიჯებით მიემართებოდა. მას ფეხზე რეზინის მალაყელიანი ჩექმები ეცვა, ტანზე კი ბრეზენტის საკმაოდ ჭუჭყიანი ქურთუკი. მუშამ ერთი კი გადმოგვხედა და სწორედ მაშინ შევამჩნიეთ, რომ მას წარბზე და ლოყის ნაწილზე ძველი ჭრილობის ნაჭდევი აჩნდა.

— ეტყობა მალაროში მუშაობის კვალი, ხედავთ? — მოგვიბრუნდა სინუსა და მუშაზე მიგვიითთა.

— რა იცი, რო გვირახში დასახიჩრდა? — შევედავე მე.

— მიდი, კითხე თუ ტყუილია.

მაგრამ სანამ გვითხავდით რამეს, მუშა უკვე მიიშალა გვირახში.

ჩვენ მოვძებნეთ მალაროს დირექციის კანტორა, მაგრამ დირექტორი არ დაგვიხედა. ერთი სამ საათს მაინც დაავიანდებო. ვკითხეთ ისევე კადრების განყოფილება. მიგვასწავლეს. იქ ავეხედ-დაგვხედეს, ცოტა ეჭვი შეეპარათ რომ მუშებთან გამოვადგებოდით, ნამეტანი ჭყინტლები ხართო, მაგრამ მაინც მიგვიღეს, საერთო საცხოვრებელში სამი რბილი საწოლი გვაჩვენეს, ეს თქვენი იაო; მოგვცეს სპეცტანსაცმელი, რეზინის ჩექმები, რეზინისავე ქუდები, კარბიდის ფარნები (ამის ხმარება, ამხანაგებს კითხეთ, ისინი გასწავლიან). მერე გვითხრეს დილას ცვლის უფროსთან; იასონ წერეთელთან გამოცხადდით და ის გაგიშვებთ, დაგაყენებთ სამუშაოზეო.

მივიხედეთ, მოვიხედეთ, ადგილი არაა ცუდი. მართალია მუშათა სახლები ხრიოვ კლდეზე აგებული, მაგრამ გზებზე ასფალტია. ოთახებშიაც რადიო დგას. მოვძებნეთ სასადილო და ლაზათიანად გამოვიბესკეთ ხარჩოთი და კატლეტებით. მერე კინოშიაც წავედით.

შინ რომ დაებრუნდით, ოთახში სამუშაოდან მოსული მუშები დაგვიხედნენ. შხაბებქვეშ ტანი დაებანათ, ერთი

ლოგინზე წამოწოლილიყო, გაზეთს კითხულობდა, მეორე რადიოს უჩხიკინებდა, ორი ჭადრაკს თამაშობდა, შევედით თუ არა, დამხედურებმა აგვხედ-დაგვხედეს და ჩვენს მისალმებაზე არც თუ ისე ხალისიანად გვიპასუხეს.

— აქ აპირებთ მუშაობას? — გვკითხა ტახტზე წამოწოლილმა, გაზეთი განზე გადადო და დაჯდა. — სადაურები ხართ?

— ქობულდელები.

— გასასტაფავად მოხვედით? — ისე უცნაური კილოთი გვკითხა თითქო ეთქვას, გასალახავათ მოხვედითო?

— ძნელია? — ვკითხე მე.

— ნახავთ! — ცოტა არ იყოს მუქარით გვითხრა მეზობელმა და მერე დიმილით დაუმატა, — მალაროში მუშაობა რო კარგი იყოს, სილიონა ბრეგვაძეს შენ შეასწრებდი შიგ?

— სილიონა ბრეგვაძე ვინაა?

— რაიკომის ავტატორი. ჩვენ, იცოცხლე, გვაქვზებს, სამშობლოს ბევრი მარგანეცი ჰირდება, პატრიოტული შრომით ვიბრძოლოთ საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისთვისო და თვითონ ქუდი რო შეუვდო, გვირახში არ შევა.

მოჭადრაკეებმა გაიცინეს. თურმე ჩვენც გვიგდებდნენ ყურს.

— მელავს არ აყენებს ძალას, — სთქვა ერთმა მოჭადრაკემ, ისე რომ ჩვენსკენ არც გამოუხედია, — სამაკიეროდ, ენას, იცოცხლე, ამუშავებს. რო არ ელლება მაინც იმ ჩემი ცოდვით საესეს.

— ბედი არ მაქვს მე უბედურს, თორემ ენის ტარტალში რო ქირას მაძლევდნენ, არ გვეყეთდებოდი კაცი! — სთქვა ჩვენმა მეზობელმა. მერე მომიბრუნდა და მეკითხება.

— სახელი რა გქვია?

— ნოდარ.

— რა გვარი ხარ?

— ტყემალაძე. შენ?

— მე, შენი ჰირიმი, ტყემალს რაც ჰირდება ისა ვარ, ნიორაძე. სახელად

მქვია პარმენი, ეგერ ჭადრაკს რომ თამაშობენ, ერთი ლეჟავაა, აი, ის თავდასიებული. სახლში ჩვენ კნაქას ვეძახით, ნათლიამ რა დაანათლა არ ვიცი. ის მეორე ნეფარიძეა. სახელათ ნოლი დავარქვით, იმიტომ რომ ყველაფრათ ნოლია ცხოვრებაში, მოხაზულობითაც, ვაქაცობითაც, სმაშიაც, მარა თუ ვინმე ჩემისთანა კარგი ბიჭი ამოუდგა გვერდში ერთიანივით, მაშინ იმ ერთს ათათ იქცევს და გაუშვი სადაც გინდა, მთას გადმოაბრუნებს. მარტო თუ დატოვე, ისევე ნოლად იქცევა.

— შენ, ბიჭო, იმისთანა ერთიანი ხარ, ნოლს მარცხნიდან რო უდგას და მათ შორის მძიმე რაა. ასე რომ ათად კი არა, შეათედად არ გამოდგები — წაიბურტყუნა ნეფარიძემ, სვლა გააკეთა და მოწინააღმდეგეს გამოუცხადა — დავბასე!

— თქვენ, უკაცრავათ, სამეგრელოში ხომ არ ვისწავლიათ ჭადრაკის თამაში? — კითხა სინუსამ მოთამაშეებს და მერე ნიორაძეს მოუბრუნდა, — რაღა გაცნობაა, ეს მესამე ამხანაგიც გაგვაცანი.

— ეს, ბატონო, რადიოს რო უჩიკიენებს აგერ, გამოგონებელია, იმისთანა რამე უნდა გამოიგონოს, რაც აქამდე არ ყოფილა გამოგონებული, მარა ბედი არ წყალობს უბედურს. სახელათ ედიშერი ქვია და ჩვენმა ბიჭებმა ედისონა შეარქვეს. გვარი აქვს მაგ უბედურს ნამეტანი ცუდი, ფხალაქე! ამიტომაც რომ არცერთი გამოგონება არ უმართლებს საწყალს. სულ ფხალივით მოუდის ხელიდან. პირველად გამოიგონა... რა იყო რომ გამოიგონა? ჰო, მართლა გამახსენდა, საათი გამოიგონა, რომელსაც მომართვა არ ჭირდებოდა, სულ იმუშავებდა და იმუშავებდა...

— ატომური საათი? — კითხა სინუსამ.

— ატომი რა იცის მაგან, წყლის საათი გამოიგონა, ჩვეულებრივი წყაროს წყლის საათი, იდენდა წყალი წისქვილის ღარივით, აატრიალებდა ბორბალს, ის კიდევე ისრებს და... ერთი სიტყვით,

გამოიგონა საათი, რომელიც თურმე ჯერ კიდევ ეგვიპტის ფარაონებს ჰქონიათ ხუთიათასი წლის წინათ.

— სულ უნდა იციგნო, ბიჭო, შენ. ერთი მაგრათ დაგნაყავდი, ნიორი რომ არ იყო, მარა ამყრალდები და მისი მუშინია, — გულმოსულად გადმოხედა ფხალაქემ თავის ამ ლაქლაქა მეგობარს და რადიო ისე ააყვირა, ყურში თუ ჩასძახებდა ორი მოსაუბრე ერთმანეთს, თორემ ისე ვერაფერს გაიგონებდით.



დილას ის მუშაკაცი დაგვეცა თავს, წინადლით რომ დაეინახეთ გვირაბისკენ მიმავალი. თურმე ის ყოფილა მთავარი ინჟინერი და ჩვენ რა ვიცოდით.

— ესენი არიან? — კითხა მან მოყოლილ ცვლის უფროსს და ისე აგვხედ-დაგვხედა, თითქოს მოცეკვავეთა ანსამბლში გვლებულობდა სამივეს. მე და სინუსა ეტყობა თვალში მოვეუფედით. ნაწევარას რომ შეხედა, ერთი კი წაიფრტუტუნა, მერე მხარზე ხელი მოუთათუნა და უთხრა, — შენ ელმავლის შემანქანედ გამოდგები, პროფტექნიკურ სკოლაში უნდა იარო. მალე ისწავლი, არაა ძნელი. თქვენ კი ამითთან წახელოთ და მეზიგეთ იმუშავებთო, მიგვითითა ნიორაძეზე და მის ამხანაგებზე, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთო.

წავედით გვირაბში, მაგრამ ახლა ჩემს საზრუნავს და სადარდებელს სინუსა შეადგენს, ვაი თუ გაოჩნდა ვირივით და გვირაბში არ შემომყვია, ამისას რას გაიგებ.

მივედით. მოდის სინუსა, ხმას არ იღებს. ეტყობა რცხვენია, ვინმემ რაიმე არ შემამჩნიოსო, ისე კი, ფერი აქვს დაკარგული. ვხედავთ, მიდიან ცვლის მუშები გვირაბში. ორი თუ სამი ქალიც დაეინახეთ და გაკვირვებით გადავხედეთ ერთმანეთს.

— ესენი ვენტრილიაზე მუშაობენ, — აგვიხსნა პარმენმა.

აქამდე სინუსა თუ ფეხს ითრევდა, ახლა ნაბიჯს აუჩქარა.



— ახლა კი მივხვდი, — სთქვა მან.

— რას მიხვდი? — ვეკითხებო მე.

— მამაკაცი ქალმა გააფაქცია თურ-  
მე. ქალი არის მამაკაცის ვაჟკაცობის  
ფუნქცია. — მათემატურად ფილოსო-  
ფოსობს სინუსა.

შევედით გვირაბში. ჰერზე დაკიდულ-  
ლი ელექტროლაშპების მწყრივი სად-  
ღაც სიღრმეში ბნელ ნისლში იკარგება.

— აუჰ, სად წასულან ეს შობელ-  
ძაღლები! — წამოიძახა სინუსამ.

— რაგვა სტაენიკებო, თქვენი საქ-  
მე, — გუხუმრება პარმენა, — ხომ არ  
დაფრთხით? არ შეგეშინდეთ, ახლოსაა  
ჩვენი სამუშაო, ეს, ასე შორს რო მო-  
ჩანს, თვალს ატყუებს.

ეტყობა პარმენას ძალიან უნდა ამთა-  
ვითვე შეგვატყოს წახდენა და გულ-  
მოდვინეთ გეითვალთვალებს. ჩვენ მაგ-  
რად მივაბიჯებთ. ცხვირში გვცემს ნეს-  
ტიანი, ოდნავ მძიმე ჰაერი, დამპალი თუ  
ობმოკიდებული ხის სუნით შეზავებუ-  
ლი, ხანდახან ჰერიდან წვეთები ცვივა.  
რეზინის ჩექმები აზელილ ტალახში  
ცურავს და ყოველ ნაბიჯზე მტლაშა-  
მტლუშით კოცნის მიწას.

მივდივართ და გზა არ იღვება.

— სტაენიკებო, ხომ არ დაიღა-  
რეთ, — გვეკითხება პარმენა. — აი, მი-  
ვედით საცა არი.

მივდივართ... მივდივართ, მივდივართ.  
დამძიმდა ჰაერი და მე და სინუსას  
ოფლი სულ წურწურით ჩამოგვდის.

კიდევ მივდივართ და მივდივართ.  
ბოლო მაინც არა ჩანს. მეც და სინუსა-  
საც სული მიგვდის, ისე გვინდა ვიკი-  
თხოთ, კიდევ ბევრი დარჩა თუ არა  
ბოლომდე, მაგრამ ვიკით, რომ ჩვენი  
თანამგზავრები მოუთმენლად მოელიან  
ამ კითხვას და ამიტომ ვდუმვართ. ბო-  
ლოსდაბოლოს, სადაც ესენი მიდიან,  
ხომ ჩვენც უნდა იქ მივიდეთ. მაშინ რა-  
ღაზე უნდა ვიკითხოთ, შორსაა კიდევ  
თუ არაა თქო.

მივდივართ, დაუსრულებლად მივდი-  
ვართ, გუნებაში ვიფიქრე, ორმოც-  
დაათ ელექტრონის ლამპას რომ დავი-

თვლი გზადაგზა, იქ იქნება ბოლო მეთ-  
ქი — და დავიწყე თვლა.,

ას ორმოცდაათი რომ დავხტვალე,  
თვლა მომზეზრდა, გვირახს დასასრული  
არ უჩანდა და თავი დავანებე.

გრიალით და ხმაურით წამოგვეწია მა-  
დნის საზიდი ვაგონებისაგან შემდგარი  
მატარებელი, მას ელმავალი ეზიდებო-  
და. ჩაგვიქროლა დასიბნელებაში ჩაიძირა.  
მაღე მისი ხმაური სულ მიწყდა. ჩვენ კი  
მივდივართ და მივდივართ.

— რატომ ასეთი მატარებლით არ  
გადაწყავთ მუშები სამუშაო ადგილამ-  
დე? — იკითხა სინუსამ, რეზინის მუ-  
ზარადი მოიძრო და ოფლი მოიწუ-  
რა.

— ქუდი დაინტრე, — უთხრა პარმენ-  
მა, — ამ დაკიდებულ მავთულს ხომ ხე-  
დავ, ერთი ბეწოთი თავზე რომ მოგვ-  
ხედეს, იქვე გაგვაცხებივებს სულს, ასეთ  
მატარებელზე მუშების დასმა აკრძალუ-  
ლია, ერთი ვაგონი რომ სადმე ჩავარ-  
დეს, ერთმანეთს მიესრისება ყველა.  
დაიღალე? ერთი მესამედი გვაქვს ჯერ  
გავლილი.

ჩვენ გვეგონა ხუმრობდა და თურმე  
მართალს ამბობდა. სანგრევებამდე თით-  
ქმის ხუთი კილომეტრი ყოფილა. მიწის-  
ქვეშ ამ მანძილის გავლისას, გგონია,  
ორმოცდაათი კილომეტრი გაიარე.

როგორც იქნა მივედით. დასასვენებ-  
ლად, იქვე, კედელთან მიყრილ საბიგე  
მორებზე ჩამოვსხედით. მუხლები მიბ-  
ეუსის და რატომღაც ხერხემალი მტკიცა.  
აქედან გვირაბების მთელი ლაბირინტი  
იწყება. ზოგი პირდაპირ მიდის, ზოგი  
მარჯვნივ უხვევს, ზოგი მარცხნივ.

სინუსა ძლივს სუნთქავს. იბრჩობა ისე  
სცხელა. ქურთუკი გაიძრო, ქუდიც  
მოიშველია.

— რას არ სჩადის ადამიანი, იმისათვის  
ამ ქვეყანაზე, პური რო ჰამოს, — ამ-  
ბობს ის. — ამ სიშორეზე მიწისქვეშ  
მოდერება, მიწას ჩიჩქნის, როდის ჩა-  
მოენგრევა თავზე და მოსრისავს წაწი-  
ლივით ეს ჰერი არ იცის და...

— რა იყო, ბიჭო, შეშინდი? — ეუბ-  
ნება პარმენა, — წამოდი ახლა, ჩვენ

რომ სამუშაო გვაქვს, იმას რომ ნახავ, აგრე აღარ ილაპარაკებ.

წავიყვანა და ერთ განიც გვირაბში შეგვიძღვა. ჩვენს თვალწინ მართლა რომ შემზარავი სურათი გადაიშალა, ჰერი დამრულიყო, ერთმანეთზე მიჯრილ ჩარჩოებით, შეკრულ ბიგებს დასწოლოდა და ეს ამსისხო ხეები ასანთის ღერებით დაეღწეა. წელში გატეხილი, დაფრჩხილული ბიგები შიგნით შემოხენქილიყვენენ, ზევიდანაც ჩამოღწევილ ჩამოკიდებულაყვენენ და გზა შეეკრათ. ჩვენ უნდა შევდგომოდით და ეს დაღწეილი ბიგები გამოგვეცვალა. მათ მაგიერ დაგვედგა ახლები, გაგვემაგრებია ჰერი, რომ მარგანეცის გასაზიდავათ ვაგონებისათვის გზა გაგვეხსნა.

მე და სინუსას ხერხი მოგვეცეს და პირველად იოლი საქმე დაგვავალეს. უნდა ზომაზე გადაგვეხერხა სამივე მორების ბოლოები, სხვები ბიგების ცვლას შეუდგენენ.

— მოდი ბარემ, შევეუდგეთ საქმეს, — ელოხარი სინუსას და ბირდაბირი მოვიმარჯვეთ.

— დამაცა ერთი, თუ ძმა ხარ. გული მერევა და თავბრუ მეხვევა.

— მოდი, ნუ გეშინია, შეეჩვევი.

— რაღა ამ საშინელებას უნდა შევეჩვიო, შე რჯულძაღლო, კარგს მაინც ვეჩვეოდე. გულთმისანი ყოფილა ის პიერკვადრატა, ჩვენი ენტუზიაზმი რომ არაფრად მიაჩნდა. საღ ვარ ახლა შემძვრალი რო იცოდეს, რაღა მოკვდება სიცილით! თითონ ალბათ დასეირნობს ახლა რუსთაველის პროსპექტზე, ოცნებად მქონდა გადაქცეული იმაზე გავლა და არ მეღირსა, დადის და ათვალეირებს ამ ლამაზ გოგოებს...

— მოკიდე ამ ხერხს ხელი, მოკიდე! — მომივიდა გული, რუსთაველის პროსპექტზე გავლას შაშინ აქვს ჰეჟა, როცა ჯიბეში გიჭყავა რამე და კაცი გქვია. პიერკვადრატა სახლიდან ჩატანილ ქაღს რო მიამღება და მერე გავა სასეირნოთ, ნამეტანი მოჭრის თვალს თბილისელ მზეთუნახავებს.

— აბა, თუ ეს ჯობია, შევეუშვიროთ

ამ დაკიდულ ლოდებს! თავი, როდის დაგვეცემა და გავგვსრისავს, ცაცმა — არ იცის და, მივაწყვიტოთ! გულმტკიცელი შრომას: ქოსას კვერიო და ობოლს...

გავუსვით ხერხი. დიდი უცნაური ხმა აქვს ამ ბირდაბირს. რაღაც ისე ხრიალებს, ზედ თავისებურ წყრიალს აყოლებს, გეგონება მღერისო. ხრა... ზინგ... ხრ... ზინგ...! გინდა თუ არ გინდა, მაინც მუშაობის ხასიათზე გაყენებს, გახალისებს. მახსოვს, ბავშვობისას რაჭველი ხუროები ჩვენს სახლს რომ ამუნებდნენ, ოცნებად მქონდა გადაქცეული ნეტავი ერთი ბირდაბირს გამაუწეინებდნენ მეთქი. ვინ მიმაკარა. ახლა, გაგიხარიათ, ვიჯერებ გულს.

გადახერხეთ ბოლოები, მაგრამ ამ სისხო სვეტის, ისიც სველის, აწევა სთქვით თქვენ და ადგილამდე მიტანა. მივათრიეთ ძლივძლივობით. მორი ბრუნავდა, ხელიდან გვისხლტებოდა, სულ ამოვიზოხნეთ და დავისვარეთ, მაგრამ რაღა მოვერიეთ, ასეთებს ვინღა ჩიოდა. აბა, ახლა სასწრაფოდ მეორე სვეტი მოგვიმზადეთო, დაგვეყვილეს პარშენმა და ეღიშერმა. ჩვენ გვეგონა, პატარას დაგვასვენებენ-მეთქი, გაგიგონია, სულის მოთქმას არ გვაცლიან. რახან ახალი მოსულები ვართ, ახლა უნდათ სიქა გავვართვან. უხარიათ ამ ციგნებს ჩვენი გასაქირი. სინუსას კი ვატყუებ, მართლა უჭირს, სულ ოფლად იღვრება და ქოქინობს.

— სინუსა, — ჩურჩულით ვეუბნები, — ემათ დასაცინათ ნუ შევიქნებით და, რა გინდა, შენთვის თავს არ დაეზოგავ.

— ჰერი არ მყოფნის, ეს უღმერთო, — მეუბნება ის, — შეჩვეული რო არ ვარ, თვარა, ეგენი მაჯობებენ!

— მოდი, მოდი აგერ რავარმა სიომ დაუბერა, იამუშავეს ვენტელაცია, ქალებმა, — ვანუგეშებ სინუსას, თუმცა არავითარი სიო არ უბერაგს.

ვამზადებთ მეორე ბიგას. გადახერხეთ ზომავზე თავი და ბოლოები აფრეთ, მაგრამ იმსიმძიმეა, სადაცაა მიწაში ჩაგვიტანს. ძლივს მივლასლასებთ, ფეხი

ცურავს და ერთერთი ჩვენგანი რომ წაიქცეს, ეს მორი ჭიასავით გაგვსრესს, ერთსაც და მეორესაც.

— რაღა ძხნიქებით, ბიჭო, წელში, გაუხუნდავი მოზერებებით, — დაგვიცინის პარმენი — ორმეტრიან ბივას ვერ ერევით, ოთხმეტრიანებზე რომ გადავალთ, მაშინ რას აპირებთ. ვაიმართეთ წელში!

— ერთი, შენ შემოგველოს ჩემი თავი, შენ დამანახვე რაფრათ დაგაქვს გამართული წელით ამსიმძიმე სვეტი და მერე შეც ვეცდები, — ბრაზიანათ ეუბნება სინუსა და ოფლს მარცხენა მკლავით იწმენდს.

— ენა დამოკლე, ფეხი არ დაიდგაზედ, წაიქცევი, — უმატებს ცეცხლს პარმენი, — ხუთი კილომეტრი გამოიარე ამ გეორაბში და დათვლა თუ არ შეგიძლია ისე მაინც ვერ შეხედდე დადგმულ ბიგებს? შენი ჭკუით თავისით გაკეთდნენ ისინი? ჯერ არ მოგვიკიდია საქმისათვის ხელი და ახლავე კენესი, შენ, ბიძია, სტაქისთვის მოხვედი, ორი წელიწადი გინდა იკირკიძალო აქ, ჩვენ რალა უნდა ვთქვათ მთელი ჩვენი სიცოცხლე ამ სვეტიებს უნდა ვეძიდაოთ...

მერე მოვიდა, შემოგვიდგა შუაში, ასწია, აგვართვა სვეტი, ორივე ხელით თავისუფლად შეატრიალა და დასადგმელ ადგილზე კოხტად მიადგა. სინუსა პირდაღებული უცქეროდა, ეს ვინ ყოფილაო. ხმა არ გაგვიღია. უსიტყვოდ მივბრუნდით, რომ დანარჩენი ბიგები გაგვეშხალდებია. ნელნელა შევეჩვიეთ, მაგრამ სამუშაოს დამთავრებისას ისე დავიღალეთ, ფეხზე ძლივს ვდგებოდით.

— შენ ის თქვი, უკან რა გავილის ამსიგრძე გვირახს, — კენესოდა სინუსა, მაგრამ დღის სინათლე დამანახვა და აღარ ვჩივი.

მართლდა ძლივს გამოვლასლასდით გვირაბიდან. დაბრუნებული მუხლები და მკლავები გეტკიოდა, თავბრუ გვეხვეოდა, ოღნავ გულიც გვერეოდა.

სალამოს გრილმა ნიაგმა ცოტა გამოგვაცოცხლა. მერე შხაპქვეშ რომ დავედქით და ნელთბილი წყალი საპნით

დაგვეფრქვია მთელ სხეულზე, კიდევ უფრო მოვსურსუმაღავდით. ჩვენს სიცოცხლეში პირველად ვიდექით შხაპქვეშ.

— რას მოესწარი, ნოდარა, სახლში ამას ვინ გაღირსებდა, — მეუბნება სინუსა, — დედა დაიფიცე, ჩვენს გუბულაში ბანაობის გარდა ტანი თუ დაგიბანია როდისმე? რას ეღირსე, შე უბედურო!

— კაცმა რომ თქვას, ამისთანა რამე რატომ არ უნდა შეგვეძლოს მოვაწყოთ სოფელში, ვუთხარი მე, — ცხელი წყალი თუ არა, ცივი გადაივლე კაცმა, კოდო უკეთესი ჯანმრთელობისათვის. ქალაქში ყოველ სახლში უდგათ ამისთანა შხაპი და აბაზანა.

— ქალაქში, ჭირიმე, სხვაც ბევრი აქვთ, მარა შენ რა. ჩვენს სოფელში შხაპი კი არა, წყალი სულ არა გვაქვს. ერთი დამშრალი წყაროა და ყოველ დილას ჩაფების რიგი რომ დაგანახვა იმ წყაროსთან, გავიქდები, კილომეტრი აქვს სიგრძე.

ვიბანავთ. მერე კინოშიაც წავედით. გოგოებიც გავიცანით, მაგრამ ისე ვიყავით დაღლილები იმათთან ლაილის თავი აღარ გვქონდა და დასაძინებლად წავლასლასდით.

მეორე დილას სინუსამ ვაბაჯაჯგინა ფეხი და მალაროში აღარ უნდოდა წამოსვლა. პარმენმა არ გაგვიგონოსო, მოწიე ყურით და მეჩურჩულემა: წამო, ბიჭო, სოფელში წავიდეთ, კოლმეურნეობაში ვიმუშაოთ, რა ჯობია, ამ გრილ ნიაგზე გავიდეთ ყანაში და ვუბაყუნოთ ეს თოხი, მე შენ გეტყვი და არაფერი ჩამოგვენგრეს და თავზე არაფერი დაგვეცეს ან ტყვიასავით მძიმე მორები არ გვექნეს საზიდი. იქ ბალახზე მაინც წამოგვორდები და ამ მალაროში სული მეხუთება და თავბრუ მეხვევაო.

ერთი კი წამოვუთაქე კისერში და გავიგდე წინ. შენ გიყი ხომ არა ხარ, რამდენჯერ კაცს გაგიპირდება, აგრე თუ ადგილი იცვალე ყოველ წუთს, მის

დღეში ხელმოცარული იქნები შენს ცხოვრებაში მეთქი.

მართლაც, მეორე დღეს ისე არ გაგვიკირვებია. ვხაც თითქო დამოკლდა, აღარც სული გვეხუთებოდა, მართალია დაღლით კი კარგა ლაზათიანად დავიღალეთ, მაგრამ თავს მაინც უკეთ ვგრძნობდით.

ადამიანი, შეილო, ყველაფერს ეჩვევაო, იტყოდა ხოლმე ბაბუაჩემი. ჩვენც ნელნელა შევეჩვიეთ და თანდათან გუნებაც გამოგვიკეთდა. ახლა ფეხბურთის თამაშშიაც ვერეოდით და სინუსამ საგანგებო ბუცებიც კი შეიძინა. მერე ერთი ხუთიოდე გოგო გაიცნო და მეც გამაცნო. ვინ იყვნენ ახლა ეს გოგოები: დოდო კვიციანიძე — ჩვენსავეთ ახლად საშუალო დამთავრებული, თვალგზებდღვრიალა და კისკისა. კარგი კბილები ქონდა და უყვარდა იმის გამოჩენა. ჩვენ კარგად გვეპყრობოდა და გვიღიმოდა. მაგრამ უზნის ახალგაზრდა ინჟინერი თამაზ ქელბაქიანი რომ ჩამოგვივილიდა, ამ ჩვენს დოდოს ერთი კი მოეკეცებოდა მუხლები, აერეოდა ნაბიჯი უცბათ, მოიშლებოდა ყოველ სახსარში და მერე აღარც ლაპარაკი შეეძლო, არც სიცილი. სადისპეტჩეროში მუშაობდა.

მეორე ღია ქველიძე იყო. ჩუმი და ხმაამოუღებელი. წაბლისფერი ნაწნავები ისევე ჰქონდა, არ იკრეჭდა, ქართველ ქალს ნაწნავები უნდა ამშვენებდესო! მეც და სინუსაც დაედინით ეს რომ გვითხრა. ვენტილაციასზე მუშაობდა და გვირახში ჩვენთან ერთად მოდიოდა ხოლმე. ტანმკვრივი გოგო იყო და ლოყები შემოდგომის თბილივით ჰქონდა დაბროწილი. სინუსამ იმას თავისი ბუქსირი დაარქვა, შენ რომ არ იყო, გოგო, მალაროში მეორედ კაცი ველარ შემიტყუებდაო. ღია ქვეშქვეშად იღიმებოდა და ყოველ დილას, როცა დაგვინახავდა, რომ მალაროს პირას ველოდებოდით, ეტყობოდა სიამოვნებდა და წამოდით ვის უცდითო, გვეტყოდა. კარგი გოგო იყო, რაც მართალია მართალია.

მესამე ანიკო სიკინჭილაშვილი გახ-

ლდათ, რო გამაცნეს ძლივს შევაწვდინეთ თვალი; იმ სიმაღლე გოგო ჯერ არ მინახა, წარბები კი ქონდა აქნეული მერცხლის ფრთებივით გადახაზული. მე და სინუსამ, ავერ თქვენი შესაფერისი ვაყაყი გვყავს მეთქი და წარვუდგინეთ ნაწევარა. გვინდა ერთი ვიცინოთ და ისიც ვაცინოთ, პატარა ცინდალი რომ კანჭალა შველს დაესვა წინ, ისე გაიჩინდა ეს ჩვენი ნაწევარა ამ გოგოსთან. ჩვენ გვეგონა სიცილით გაიგუდებოდა ამისთანა გორგასალის დანახვაზე, მაგრამ ეს გოგო ერთი კი აიწურა, ჩამოართვა ხელი, მოხარული ვარ თქვენი გაცნობითო, როდის დამთავრეთ საშუალო, წრეულს? მე შარშან, მაგრამ ექვსი წლის ვიყავი რომ შემეიყვანეს სასწავლებელში, ტანი მქონდა დიდი და იმიტომ მიმიღეს ადრე, ახლა მეთვრამეტეში გადავდექიო.

დედაია, ბიჭო, მგონია მართლა მოწონს ეს ჩვენი ნაწევარო, წამერა მუჯულუგუნი სინუსამ და ორივემ ვუგანეთ. მივატოვეთ მარტო. ჩუმჩუმით ვიხედებოთ უკან. ელურტულეებენ დიდებულად. ეს გოგოც მალაროში მუშაობდა, კურსები დაუმთავრებია მედიცინის დად. თუ რა ქვია ახლა, არ ვიცი, ექთანის თანამემწედ მუშაობდა და მალაროს მედბუნქტში მორიგეობდა ხოლმე.

— ბედი გაქ, ბიჭო, ბედი, — ახელებდა სინუსა იმავე საღამოს ნაწევარას, — ამ სიგრძე გოგო შენთვის ორი ნორმია. ელმავლის მემანქანე რომ გახდები, მერე გამოუარე ყოველ დილას, დაიჯინე მალაროს ელმავალზე და მიავრიალე თავის ბუნქტთან... მარა, რაფერ უნდა დატოვო, ბიჭო, ელმავალში ამ სიგრძე გოგო? ძველი დურგლის არშინივით თუ დაკეცავ, თვარა ისე, მეტი არაა შენი მტერი, ის იმაში ვერ გაიმართოს...

— შენ, მაგ კი არა, კოცნა თქვე მისი, — ვუმატებ ცეცხლს მეც, თუმცა ნაწევარა აინუნშიაც არ ავღებს ჩვენს ენამწარე ზუმრობას — სკამს თუ დიდგამ, მაგრამ ისიც რომ არ გეყოფა. ბიჭო, ნოქრებს რომ კიბეები აქვთ მალაზიებში, მხატვ კიბეები, გადაიდევო

მხარზე და სდიე ისე. საცა გაჩერდეს, გამართე ხელად კიბე, აირბინე კოხტად და პროსტი ლოყახე.

თურმე პარმენა ყურს გვიგდებდა. ერთი კი დაიჭექა და გვიფრინა ორივე.

— მასხარად თქვენი თავი ეიგდეთ თქვენ! — გვიყვირა მან, — ვინ ვის მოეწონება, თქვენ ვისი ტიკი-ტომრები ხართ, რო ეჩრებით, რა თქვენი საქმეა. მაგისტანებზე რომ ხუმრობა არ შეიძლება, არ იცით. მარტო ახლა გვიგეთ, რომ ტანმაღალ ქალს ტანმორჩილი კაცი მოწონს? მაქსია ქურცაძე იყო წინათ, საჩხერეში ცხოვრობდა, წერეთლების „ნახლებნიკი“, ისე პატარა იყო ლაჯებში გაუძერებოდა კაცს, ერთი მეტრი ჰაიდაპაი, თუ იქნებოდა, ცოლი ყავდა, აქედან რო ვადაეხედა თბილისში რა ამბებიო, იმას გეტყოდა.

— ეგ, დარვინის თეორიით, ბუნებრივი შერჩევის კანონის მიხედვით ხდება, — შენიშნა სინუსამ. ვითამ დიდი ნაკითხი ვინმე ბრძანდებოდეს და დარვინიზმს ზეპირად აბულბულდებდეს. მაგრამ მაინც გაჭრა ამ დიდი მეცნიერის ხსენებამ. პარმენამ აღმაცერად ახედდახედა სინუსას და მის თვალებში ერთგვარი მორიდების ელფერი გამოკრთა. ეს ბაჭები, ეტყობა, მთლად როდი გვახსნიან სოფლის საშუალო სკოლადაშთავრებულებსო.

— ეგ მეც გამიგონია, — სთქვა მან. — გრძელ ცხვირიანს თურმე სულ უცხვირო მოსწონს, სქელს თხელი, კუზიანს ბრუციანი (კუზი არა აქვსო); ბრუციანს კუზიანი (კარგი თვალები აქვსო) მელოტს გრძელთმიანი, მსხვილფეხას წვრილთეხა, სულელს, ჰკვიანი და ასე, სულ! მარტო მე მერგო ცხოვრებაში ჩემსავით გლახა.

— ჰმ, გლახა! — ჩაიციანა მოულოდნელად წამოაწერებულმა დიდთავა ლეჟავამ. თურმე შორიახლო მდგარა და ყურს გვიგდებდა, — შე უბედურო, მართლა კარგი გგონია შენი თავი? — მერე ჩვენ მოგვიბრუნდა, — აქაო და მზეთუნახავი ქალი მყავსო, ცოლს ეტოლება ეს ლეთის გლახა. დარვინის კა-

ნონი მართლა შენზე ყოფილა ზედგამოკრილი, თორემ შენისთანავე დრანქის ისეთი მშვენიება რაფერ ტუნდა წაყაროდა.

— შემომატყუეთ ბიძია ქალი ლეჟავებმა და ახლა მეტი რაღა დაგრჩენიათ...

— შემოგატყუეთო?! ერმილეს ფილთათოფით რო იკლავდი თავს ნაგუთში და ბაწრით რო შეგერეს, ის დაგავიწყდა?

— თქვე უღმერთოებო, ყარანას გამოვეკიდე მოსაკლავათ, ციგნები და არტისტები რო ხართ ყველა, ასტენეთ განგაში, — არიქა ჩვენი ქალისთვის თავს იკლავსო, ქვეყანა შეჰყარეთ, მომპყრით თავი, გინდოდათ ეს ნამიღღეჩვარი ქალი გაგესაღებიათ და მე თუ არ შეეცდებოდი, იქნება სხვა მაინც შეცდეს, ხომ ზედავთ, მისი გულისთვის თავს იკლავენო..

მერე ნაწევარას მოუბრუნდა და უთხრა:

— შენ არ შეგეშინდეს, ყველა ქალი ამ ქვეყნად თავს იფასებს და ისე უნდა მოგაჩვენოს, ვითომ იმის ფასი ამ ქვეყანაზე არავინ დადის, ნამდვილად კი თურმე შენი გულისთვის... თუ ვანიცობაა იუარა, ცოლად არ წამოგყვებიო, კარგი, რა გაეწყობა-თქო. უთხარი და გამობრუნდი. ტიპსავით მოგვეკრობა, იმ განსხვავებით, რომ ტიპას ადვილად მოიცოლებ, ხოლო იმას კი ველარაფრით ვერ მოიწიწენი.

ნაწევარას იმედინად აუციმციმდა თვალები.

• •  
•

თითქოს ყველაფერი დალაგდა, მაგრამ ჩვენი გამოცდა ცხოვრებაში თურმე ახლა იწყებოდა.

ლავებში გასასვლელი გვირაბი ჩამოწვა, დაღეწა ბიგები და თითქოს მიწამდე დაეკიდა ჰერიდან დაძრული მძიმე ლოდები, შემოვლაც არ შეიძლებოდა. სასწრაფოდ უნდა გამოგვეცვალა ბიგები, გაგვეწმინდა გასასვლელი და აღგვედგინა მოძრაობა. მთელი ბრძგადა



მივადქით, ჭიანჭველებივით ვფუსფუსებდით, წერაქვეებს და უროებს ვარახუნებდით, ნიჩბებს ღონიერად ვაწვებოდით ჭვიან გროვებში, მაგრამ წინ ძალიან ნელა მივიწვედით.

შუამდისაც არ ვიყავით მისული, სინუსამ საათს დახედა და გახარებულმა დაიძახა:

— შაბაშ... გასულა უკვე სამუშაოდრო, — ნოდარ, მივალავოთ ახლა იარაღები და წავიდეთ.

— სად წავიდეთ, შენ გიყი ხომ არა ხარ, — შეუტია პარმენამ, — ამას საინამ არ მოვითავებთ, აქედან ფეხის გადაგმა არ შეიძლება.

— როგორ?

— როგორ და ისე, ნიშა-ნიკორად.

— რატომ?

— რატომ და არ შეიძლება ამის მიტოვება ასე, შე სულელო. ხვალ რო მოხვალ ყველაფერი ჩამოქცეულ-ჩამონგრეული დაგხვდება.

— ი!

— ზმუკი შენ!

— სხვები მოვიდნენ და გააკეთონ.

— ვინ სხვები?

— რა ვიცი ვინ! ჩემი რა საქმეა, მე ვიმუშავე რვა საათი და მივდივარ. მერე ცელამ აკეთოს.

— მეორე ცელა ახალ სანგრევზე იმუშავეს. ამის წმენდას თუ მოუნდა, გეგმა რით უნდა შევესრულოთ. ჭვეით სარეცხი ქარხანა დევივით ხახადაფრინილი ელოდება მადანს. ეჰ, შენ მთლად ჭყინტლი ხარ, გეტყობა, მოდი, მოდი, ჯერ ეს მოვითავოთ, მერე საცა გინდა წადი და „იგულავე“.

მალაროდან რომ გამოვედით, ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ფეხებს მორებივით მივათრევდით. აღარც ჭამა გვინდოდა, აღარც სმა. მოწყვეტილებივით დავეყარეთ ლოგინზე და დილაშდ ისე გვეძინა, ჭვეყანა რომ დაქცეულიყო ვერ გავიგებდით.

დილას ნაწევარამ სინუსას ამბავი დაახვედრა, დოდო კვიციანიძემ, ერთი ცხრაჯერ გიყითხა, რა საქმე ჭონდა ასეთი, არ მითხრაო.

— იმას ვენაცვალე მე, — გაიზმორა სინუსამ და ფეხზე წამოიჭრა — სულ დამავიწყდა, პაემანი დამტყნინა, რავე ვიფიქრებდი თუ მოვიდოდა... მარა რა ოხრად მინდა ან პაემანი, ან ლამაზი გოგო. ამ მალაროში სიკვდილი მწერებია და ეგ არი. ბიჭებო, თუ რომელიმე მოესწროთ კომუნისში შესვლას, უთხარით ხალხს ერთი კაი ბიჭი შეეწირა ამ თქვენს ბედნიერებას-თქო.

— ადექი ზეზე, ბევრს ნუ ტლიკინობი — დაგვწყვილა პარმენმა, — ვერ ხედავთ, რომ დაღამებულა ეს დღე!

— ამაზე მეტი აღგომა თუ შეიძლება ნეტავი, — შეუღრინა სინუსამ, — ფეხზე არა ვარ, აბა რა ვარ.

— ღროზე უნდა წავიდეთ, გვაგვიანდება, არ გვეშვება პარმენი, — ხედავთ ნულიც კი წამოგორებულა სამუშაოზე. იმან რავე უნდა გაგასწროს, არ გრცხვენია.

დავიბანეთ პირი, წავეცუნეთ საჭმელი და წაველასლადით ისევ მალაროში. აქამდე მანძილი გელლიდა, მაგრამ ახლა გზას ვინდა ჩივის. მივედით და, თქვენს მტერს იმისთანა, რაც იქ დაგვხვდა. მთელი ჩვენი გუშინდელი ნაშრომი და ნაწვალევი მთლად ხელახლა იყო დაღეწილ-ჩამოღეწილი. სულ თავიდან უნდა დაგვეწყო გვირაბის შეკეთება. თქვენ წარმოიდგინეთ, ახლა პარმენმაც კი შეუტურთხა მაგრაოთ, მაგრამ რა გაეწყობოდა, დავიკაბიწეთ და ვეძგერეთ ისევ სამუშაოს. მერე ეს გასაოხრებელი, დღეს უფრო გაძნელებული იყო იმით, რომ მთელ ამ ჩამოქცეულ ჭერზე წყალი ჩამოდიოდა და მთლად ატალახებული იყო ყველაფერი. ნახევარ საათში ისე ამოვიბიწეთ. რომ ერთმანეთს ველარ ვცნობდით. ვინაც არ უნახავს მარგანეცის კუბრივით შავი ტალახი, იმან რა იცის, რა დახატული ბიჭები ვიყავით ისედაც ჩაბნელებულ ამ გვირაბში. ღეთის წინაშე კბილები კი გვიჩანდა თეთრად.

სინუსამ ტალახიან ბიგას რომ მოხვია ხელი და გულში ჩახუტებულს მით-

რეცდა დასაყენებლად, ხენეშით წაიბურტყუნა:

— შე მეგონა ცისანას ჩახუტება მეღირსება-თქო და ბედმა მგონია დოდო კვიციანიძეც არ მაღირსოს. იმის მაგიერათ ვის ჩამახუტა, ამ ტალახიან სვეტს...

მერე მიადგა ბიგა კედელზე, ოფლი მოიწმინდა და შე რომ შემომხედა, სიცილი აუტყდა:

— რას გიგავს სახე, სარკეში ჩავახედა ერთი. ცისანას დანახვა შენი თავი, მეტი არაფერი მინდა...

ამ მამაძალს ენამ უყვილა თუ რა იყო, გავიხედე, ფარანი მოკიაფობს, ვილაკეები მოდიან, ვხედავ ცვლის უფროსი მოაბიჯებს და მას ვილაკა ქალი მოყვება, ისეთი, რომ ანათებს, ნამდვილათ ანათებს! მართალია მღალაროში ჩასაცმელი ქურთუკი ჩაუცმევიათ, ფეხზედაც რეზინის ჩექმები და თავზე კაუჩუკის ქული ჩამოუფხატებიათ, მაგრამ ასეთ სამოსში უფრო დახატული მოჩანს. დავაკვირდით ცისანა.

თვალებს არ ვუჯერი. თანაც ეხლა თავის სორო მილიონი მიღირს. მაგრამ არც მილიონი მაქვს და არც თავის სორო სადმე. ერთი კი დავაპირე მიმალვა, მაგრამ — აგერ თქვენი სტაჟიორებიო — უთხრა ცისანას და ჩვენზე მიუთითა.

ცისანამ შემომხედა, ეტყობა ვერ მიცნო, მერე სხვებიც შეათვალიერა, ისევე შემომხედა.

— დედა, ღმერთო, შენ რომელი ხარ! ველარ გცნობთ. ნოდარი ხარ? უი, სინუსა, შენც აქა ხარ? სხვები სად არიან? გამარჯობათ.

— შენ რა გინდა აქ, ცისანა? — ძლივს ამოვღერდე. მოვიხედე იქნება სინუსამ გამომიყვანოს ამ მდგომარეობიდან, ვხედავ ის უფრო წახლა.

— თქვენს სანახავად მოვედი, ხომ არ გეწყინათ?

— რას ამბობ, გვეწყინა კი არა... — ვამბობ მე, მაგრამ ახლა კი ამოიდგა სინუსამ ენა.

— ფეხი მოგტეხოდა და აქ არ მო-

სულიყავი, შე უღმერთო. რას გვერჩობდი? იმაზე ვოცნებობდი საშუალოდ და ვამთავრებ ვალსტუკს გაიკვამება! — ცისანას თავს მოვაწონებ შეთქი და ახლა ხო მხედავ რას ვგავარ... — უთხრა მან.

— ვაი, გასწყვი შენ, — გაიცინა ცისანამ, — ვალსტუკით რო ვიხიბლებოდე, ვიყიდდი და სახლში ჩამოვიტყებდი...

— ვაი, შენ კი შემოგველოს, ვისაც ყველაზე მეტად უყვარხარ, — გამობურბუსალდა სინუსა, — შენ ეს მითხარი, გამოცდებზე რა ქენი? კრიტი?

— პირველ დღესვე. იმისთანა ორიანი მღეწეს...

— სად არის ის გამოცდელი, მისამართი არ იცი?

— რად გინდა, ბიჭო?

— ხელები უნდა დავუკოცნო. ახლა რალას აპირებ?

— ახლა მოვედი აქ, სტაჟიორად. გავიქე, თქვენც აქ ყოფილხართ. მითხრეს მღალაროში თუ შეძლებ, ვენტილატორზე ჩვენთან ქალიშვილები მუშაობენ, დავილიაო და წამოვედი სანახავათ.

— არ გადამრიო... მღალაროში რა გინდა. — გულწრფელი დამაჯერებლობით უთხრა სინუსამ, — განა ასე გასამეტებელი ქალი გყავხარ.

შე გამეცინა.

ცისანამ სწრაფად შემომხედა და მიხედა რომ მის განზრახვას დავცინოდი. ერთ წუთს ჩაფიქრდა, თითქო თავის თავს ეკითხებოდა რალაცას, მერე ზურგი შემაქცია და სინუსას უთხრა:

— წამოდი, შენთან პატარა საქმე მაქვს.

ორთავენი მომშორდნენ და გვირახის მოსახვევში მიიმაღენ.

არ ვიცი მომეჩვენა თუ მართლა დიღხანს ჩურჩულებდნენ, კარგა ბევრი დრო გავიდა სანამ სინუსა უკან მობრუნდებოდა.

შე საბიგე მორს ვთლიდი. სინუსამ მიტოვებულ საქმეს მოკიდა ხელი. ჯიბრზე ჩუმათ იყო, არაფერს მეუბნებოდა. მეც გავჯიუტდი და არა ვკითხე

რა. ამ დღესაც მუხლების მოწყვეტამდე ვიმუშავეთ და კიდევ კარგი, რომ მეორე ცვლა მოგვაგებეს, თორემ ცუდათ იყო ჩვენი საქმე.

უკან რომ გამოვბრუნდით, მთელი გზაც ისე გამოვიარეთ, სინუსსა ერთი სიტყვა არ უთქვამს ცისანაზე და მე ვერ გავიგე, რჩებოდა აქ სამუშაოდ, არ რჩებოდა, რა ურჩია სინუსსამ, სხვა სამუშაოს ძებნა თუ ჩვენთან ახლოს, ამავე მაღაროში დარჩენა.

ვცდილობდი, სხვა რამეზე მეფიქრა, მაგრამ სულ ამ კითხვების გარშემო ვტრიალებდი. თუ ხმამალა დავიწყებდი ლაპარაკს, პირველად ჩემს სიცოცხლეში თითონ მე მესმოდა საკუთარი ხმა და იგი ოდნავ შეცვლილად მეჩვენებოდა. მერე თანდათანობით გული მომივიდა ჩემს თავზე და, რომ შემძლებოდა, ეს საკუთარი პიროვნება ანუ „მე“ ერთი მაგრად მიმებრძოდა, გავიხარიათ, იმას დღეს დავაყრიდი.

ოჰ, რა სიამოვნებით დავიბანეთ ტანი შხაპქვეშ, გავსუფთავდით, გავლამაზდით, ჩავიცვით ჩვენი ბლუზა-შარვალი, მოვიდა ნაწევარაც და გავწიეთ სასადილოსაკენ პურის საჭმელად.

— შენ, ბიჭო, ახალი ამბავი თუ იცი, — უთხრა სინუსსამ ნაწევარას.

— რა?

— ცისანა რომ აქ არის.

ნაწევარას გაუკვირდა. მე კი გული მომივიდა და სინუსსამ მედიდურად ვესროლე:

— მოგვეში ახლა ამ შენი ცისანათი. ჩვენი გაჭირვება გვეყოფა.

— ვაი, ნეტავი მართლა იყოს ჩემი, — გულზე ხელი დაირტყა სინუსსამ სინანულის ნიშნად და ჩემი პროტესტის მიუხედავად მიინც უამბო ნაწევარას. ცისანა აქ იმუშავენ სტაჟის მისაღებად, ზევით, მუშათა დასახლების უბანში დეიდა ყოლია ვათხოვილი, იმასთან იქნება ბინად და მაღაროში იმუშავენს დროებით, მერე პირდებიან თურმე კანტორაში გამუშავებთო, თანაც დაუსწრებელზე ჩაგრიცხავთ, თუ მისაღებ გამოცდებს ჩააბარებო.

მე ხარბად ვუგდებდი ყურს, მაგრამ არ ვიმჩნევდი, ხამეტანი ვიყავი ვართული ჰამა-სმით. მერე ბიჭებს ვთხარი:

— წამოდით ახლა სტადიონზე წავიდეთ.

ორთავემ უარი მტკიცა. აღმოჩნდა რომ ისინი კინოში აპირებდნენ წასვლას. თავის გოგოებთან ერთად.

— რა სურათია? — ვიკითხე მე.

— რა ვიცი, სურათი ფეხებზე მკილია. მე მინდა ჩემს დოდოსთან გავისეინრო.. — მიპასუხა სინუსსამ.

— შენ არ წამოხვალ? — მეკითხება ნაწევარა.

— თქვენ თქვენს გოგოებთან იქნებით, მე სულ ზედმეტი ბარგი ვარ.

— ზედმეტი რაზე იქნები, იქნება ლიაც წამოვიდეს და... — მითხრა სინუსსამ.

— ლია! — ახლა გამახსენდა რომ ის ვენტილატორზე მუშაობდა. ეს საქმე ჭკუაში დამიჯდა, — მოვდივარ.



ჩემს დღეში არ ჩამითვლია ისე გემრიელათ ფული, როგორც მაშინ, როდესაც პირველი ხელფასი ავიღე. არც ამდენი ფული მქონია ოდესმე. ორი კვირის მუშაობაში ექვსი ტყეცინა ასმანეთიანი და რალაც წვრილი ფული მივიღე. ზოგი ვალი მქონდა, ზოგი ნასესხები, ყველაფერი მივისტუმრ-მოვისტუმრე და კიდევ დამრჩა იმდენი, რომ თვის მეორე ნახევარს თავიც გამეტანა, პატარპატარა მეყიდა რამე და თუ გოგოებთან თავის მოწონება დამჭირდებოდა, ან კინოში დამეპატიყა, ან თეატრში, ან ტკბილეული მეყიდა მათთვის, არც მაშინ შემერცხვინა თავი. სინუსსამ ერთი ორასიოდე მანეთი დედამისსაც კი გაუგზავნა სოფელში. ერთი სიტყვით, კარგ გუნებაზე დავდექით.

გადაწვევით ეს დღე რაიმეთი აღგვენიშნა. გვეყიდა თითო ბოთლი ღვინო, ერთი გუნდა პური, ერთი კილო ძეხვი, ჩვენებური, იმერული ყველი, პატარა მწვანილი, ორიოდე კონსერვი

და ასეთ მეფურ სუფრაზე მიგვეწვია ჩვენი უფოოსი ამხანაგები, პარმენ ნიორასე, ელისონა ფხალაზე, კნაპა ლუკოვა და ნულ ნეფარძე. მალაზისკენ რომ მივდიოდი გზაზე შემოგვეფეთა პიერკვადრატა.

— სადა ხართ, ბიჭო, თქვენ, გავსკლი თქვენი ძებნით — გვითხრა მან და სათითაოდ ჩამოგვართვა ხელი.

საოკრად გაგვეხარდა მისი ნახვა. ვკითხეთ საიდან, როგორ; დაჯდა და დაწვრილებით გვიამბო:

— თბილისში გლახათ წაგვივიდა საქმე. კოაინუასას გარდა ყველა ჩაიჭრა. იმასაც ოქროს მედალმა ვერ უშველა. ვასუბრებში უთხრეს, ნიკროკნაკროკ ნასელარია შენ საქმეს. საერთო გამოცდაში გადიო. გავიდა და იქაც ბეწვზე ვადარჩა, ძლიეს ჩარაცხეს. ტანგესა და კოტანგესა, რომ გვეგოა ე. — თემატიკა გლეჯვაზე იციანო, ძლიეს მიიღეს ოთხიანები. არ ეყოთ ნიშანი, ისინი კი არა, ხუთიანები რჩებოდნენ გარეთ.

— სად არიან ახლა? — კითხა სინუსამ.

— არ ვიცი, რას აპირებენ. მე ვიცი — ალე ერთი ათი დღე, მერე, რო შემომელა ფული, იცოცხლე მოვეუსვი უკან. თბილისში თუ ფული არა გაქ, ისე სული ამოგძვრება შაშვივით. ვიფიქრე იქნება სამსახური ვიშოვო სადმეთქო, ასე უცებ რას ვიშოვიდი.

— ახლა რას აპირებ. მოდი ჩვენთან, ერთად ვიმუშავოთ, — ვუთხარი მე.

— თქვენ რას აკეთებთ?

— მალაროში ვმუშაობთ.

— ვაი თქვენს პატრონს, არ მიგიგნიათ საქმისთვის! მე მეგონა მართლა რამე ხეირიან სამუშაოზე დადგენ მეთქი... მალაროში რა მინდა. საშოფრო კურსებზე შევედი. სამ თვეში „პრავას“ მომცემენ...

— შენც მიგიგნია საქმისთვის — გამეცინა მე, — სტაქისთვის თუ გამოგადგება?

— რატომ არა, ყოველნაირი სამუ-

შაო გამოგადგება, ოღონდ მართლა მუშაობდე, მარა — მე არც ატყვი მინდა არც მაგი, შოფრები ვინცაა ყველა — დამკვიტდა ხალტურით. აგერ, ივლიაეცა ბიჭი ტაქსზე მუშაობს. სახლები ხო ეიშენა, ახლა „ზიმი“ უყილია საკუთარი.

— შენ მსუბუქ მანქანაზე ვინ დაგაჯენს, ბიჭო, შეგადგებენ საბარგოზე...

— იმაზე კილო უკეთესი.. იქ მეტი ფული კეთდება.

— რითი?

— რითი და დოქორტყამ თურმე ერთ რეისს ან ხილს წაიღებ, ან სხვა რაცხას, ლენოს, სპირტს, არაყს და ოციათასი ჯიბეში გაქვს. ერთის სიტყვით, შნო თუ გაქვს ყველგან ივარგებ. წამოდით ახლა აქ სადმე სასადილო ან რესტორანი არ არი? მე გეპატიყებით სუყველას. თქვენსავით გატყაული კი არა ვარ.

მერე ხმას დაუწია და ჩურჩულით გვკითხა:

— ცისანა მართლა აქ არი?

— აქ არი, რა გინდა მერე? — დაცინვით ვკითხე მე და თავს შევატყვევ, რომ ავირიე.

— ერთი თუ დოქორტყი სადმე კაი კომბინაცია და პატარა ფულები მოვიგდე ხელში, მერე მე ვიცი, რაც მინდა.

— ეცადე, იქნებ ფულმა დააბრმავოს, რა იცი.

— ეგ მე მკითხე, — ვითომ დიდი მცოდნე იყოს ქალთა ხასიათებისა, ისე ამაყად ამბობს პიერკვადრატა, — ფული თუ გაქვს კაცს, ყველაფერი ხარ. არც ის იფიქროთ რომელიმემ, რომ პატროსანი შრომით რამეს შეიძენ, ან ვინ-მე შემოგხედავს, თუ ფული არა გაქვს. ერმილე ჩოჩიელას არ იცნობთ? შოფერია. იმისთანა მარლი და მახინჯი ქვეყანაზე არ დაიარება, ძალი კულს არ შეაზოცავს, გოგო ყავს, საყვარელი, მოწვეტილი ვარსკვლავი, რო დამანახვეს, ჩვენი ცისანა რა გამოჩნდება მასთან, კინალამ გავგიჟდი. მე ვთქვი, ეს ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი რაფერ უწევდა გვერდით ამ ფეთხუმს, ამ ღვთისგლახას. ფული, ძმაო, ფული. არ დაიჯერო თუ ვინმემ დაიწყოს თქვენთან

ტრამპი, ეს გოგო იმიტომ მეხვევა, მოვწონვარო. იმას, ბიძია, სხვა რაღაცა მოწონს შენი: ან ჯიბე, ან ქონება, ან ისე ჭირდები, პროტექციას იკეთებს, სამსახურში დაწინაურება უნდა, ან მის ნამდვილ საყვარელს დახმარება ჭირდება...

— ბიჭო, სად განათლდი ასე უცებ, სად ისწავლე ამდენი? — ეკითხება სინუსა.

— თქვენც ისწავლით, მარა ცოტა მოგვიანებით, აქ რო მოითრევეთ წელს კეტდაკრულ ძაღლივით. წამოდით ახლა თუ მოდიხართ. ან იქნება გირჩევნიათ კლუბში წასვლა და ლექციის მოსმენა, აფიშაზე ამოეკითხე მეტრისმეტად საინტერესო თემა: „როგორ ვიბრძობოთ საწარმოო მაჩვენებლების გასაღივებად“. ნამეტანი მოგიხდებათ მუშაობის შემდეგ, პირში კა გემოს დაგიტოვებთ.

მოგვხვია ხელი სამივეს, მოგვტორა და მაყვლარას სერზე, გზაჯვარედინზე პატარა დუქანში წაგვიყვანა. აღმოჩნდა, რომ აქ რა ვინდა სულო და გულო ის იშოვებოდა, შემწვარი წიწილები, გოჭის ხორცი, მწვადები, საუკეთესო ღვინო, იმერული და კახური, დავსხედით ეს ცხრაშეტი წლის ბიჭები. დაელიეთ, ვჰამეთ, სიმღერები დავაგუგუნეთ და ასე გვეგონა მთელი ჭეჭყანა ჩვენი იყო.

— ა, ძმაო, შემწვარი წიწილი ნიორწყლით, მწვადი, კამკამა ცოლიკაური, კომუნისში ვითამ ამაზე მეტს დავახვედრებენ? თქვენი არ ვიცი, მაგრამ ამის მეტი არც მინდა და არც ვეძიებ. გვიტხრა პიერკვადრატამ, — მე ამისთანა სუფრაზე დამტოვეთ და თქვენ თუ გეხალისებათ გავარდით კომუნისში.

გადახდაზე რომ მიდგა საქმე, გავისვით ჯიბეზე ხელი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდით, გადაგველობა და კარგი ექვსასი მანეთი ჩაუჭმუჭნა ხელში ფარეშს.

— საიდან გაქვს, ბიჭო, ამდენი ფული, — ვერ მოვითმინე და შევეკითხე.

— რას კითხულობ, საიდან. არ მი-

ქურდნია, არ მომიპარავს, არც არავინ გამიცარცვავს და შენ რაში გგვიფხვები, მე საიდან მაქვს.

— ჩვენი გვასწავლე, შე რჯულძაღლო, იქნება ყრია სადმე და არ ვიცი.

— თქვენთვის არ ყრია, თორემ მარჯვე ბიჭისთვის, სადაც არ დააბიჯებს, ყველგან ყრია.

სამთავეს გულში ჭია ჩავგიჯდა. ჩვენი ამდენი ვიმუშავეთ, ხელები დავილიტეთ, მკლავები და მუხლები დავეითეჭეთ და აღებული ხელფასიდან ოც-ოცი მანეთი ძლივს გავიმეტეთ ჩვენი პარმენის, ელიშერის და კნაქას დასაპატივებლად, მერე რა პურმარილზე ვპატივებდით! კონსერვით გვინდოდა თავი გვესახელებოდა. ეს მამაძალი ექვსას მანეთს ერთი ხელის მოქნევით ხარჯავს.

— პატიოსანი შრომით არა აქვს მაგას ეგ ფული ნაშოვნე, — თქვი მე, როდესაც პიერკვადრატს დავეშვიდობეთ და სამთავენი კარგა შეზარხოშებულნი შინ დავბრუნდით.

— წადი, ერთი შენი პატიოსანი შრომაც და შენი მალაროც, — შემომიღრინა სინუსამ, — მე და შენ პატიოსნად ტყლიბი ჩავიქციეთ და პიერკვადრატამ შემწვარი წიწილები ჰამოს?

— აყვიე ახლა სპეკულიანტს და აფერისტს გადავუბრიალე თვალები.

— ჰო, იმაზე აგრე, ის სპეკულიანტი, ის აფერისტი, ის ხალტურჩიკი, ის მექრთამეო, ის კომბინატორი, ის მახინციების ოსტატი, ის წამღლეჯი, ის წამღლეტი, იმათ ამ ძახილით არაფერი აკლდებათ, ზოგი სასახლეს იშენებს, ზოგი გამოჩენას ვერ ბედავს და ბრილიანტებს და ოქროს ყიდულობს, ზოგი ყელამდე ცურავს სიმდიდრეში, მე და შენ კი შევძვერით ამ შეიდკილომეტრიან გვირაბში, ვხილოთ შავი ტალახი, რომ რამეფერად თითო პორცია უნივეზო ლობიო გვაჰამონ სასაღილოში და საქმე რომ მიდგეს ორ მანეთს ვერ ვიმეტებდეთ ამხანაგის პატივსაცემად? არ მინდა, ძმაო, თქვენ გქონდეთ ეს თქვენი მალარო, მე მივიღვარ.



— სად ჯანდაბის ორღობეთში მიდისხარ, — ახლა მართლა მომივიდა გული. სამუშაოზე დავდექით, იანვარში დაუსწრებელზე დაიწყება ჩარიცხვა. აქვე გვიკითხავენ ლექციებს, შენ ქუაზე ხარ?

— შენ თუ გგონია ინეინერი რომ ვახდები, მეტი ხელფასი გექნება. ხომ ხედავთ, რა გვითხრა ცვლის უფროსმა. ათასი მანეთი ქონია ხელფასი. შენ ახლა დაიწყე და ათასორასზე მეტს ლეზულობ. არა, ძამია, არც თქვენი ინეინრობა მინდა, არც თქვენი მაღარო.

იმ ღამეს მართლაც არც აცივა, არც აცხელა, შეგრა თავიანი ბარგი და დილას სოფელში აპირებდა დაბრუნებას, რომ ამ დროს მოულოდნელად თავზე დაგვესხენ ტანგესა და კოტანგესა. ორთავეს გაგვიცხადეს, ჩვენც თქვენთან მოვედით და დაგვეხმარეთ სამუშაოზე მოგვაწყონო. სინუსა წახდა, ბარგი ბარხანა ხელიდან გაუვარდა. მე კი სათითაოდ გადავეხვიე ჩემს გულითად ამხანაგებს და ბარგი ჩამოვართვი.

— მოდი, ბიჭებო, მოდი. იგერ სინუსა აპირებდა ნულ გრადუსამდე

დასვლას, მაგრამ თქვენ ხომ მოხვედით, ეს წავიდეს თუ უნდა.

— რატომ მიდიოდა? — იკითხეს მათ.

მე ვუამბე მიზეზი. ორთავეს სიცილი აუტყდა.

ბიჭო, პიერკვადრატს რას უყურებ. მაგან „კარტოქენიკობა“ დაიწყეო. ჩაჯდება შოფრებში და ჩითავს ოცდაერთს. თქვენთან არ უთამაშნია? ნუ გეშინია, არ დაგწყვეტავს გულს. არ გაბრიყვდეთ, არ ეთამაშოთ. იბარავს კარტს. ერთი ორჯერ მოუყევიათ შოფრებს. გუშინ აქ ხელფასი ხომ არ დაურიგებიათ? მოსუნული ექნებოდა და იმიტომ ამოვიდა ალბათ. — სიცილით გვითხრა ტანგესამ.

— ჩვენთან არც უხსენებია კარტი — ისე შენიშნა სინუსამ თითქო ცდილობდა ამხანაგის გამართლებას. — ისე კი მარიფათიანი ბიჭი როა, ამას არ უნდა ბევრი ჩიჩინი.

— მიდიხარ თუ რჩები? — გკითხე მე.

— ჯერ დავიციდი კიდევ პატარას და მერე ვნახოთ. — წაიღუდუნა უცმაყოფილოდ და მძიმედ ამოიხრა.

(გაგრძელება იქნება)

მეხველა მკაცრი

განდობის საკონსტრუქციო განაკი

ვერ დაიძალა თოფი ხალთაში, —  
ჭრილობა დარჩა მავთულხლართებად...  
ომიანობას

წამით გადაშლის —  
წლებმა რომ დასწვეს გაუხარებმა.

ამ რკინის ზღარბთა ბუქვის მახლობლად  
ომს გაეიხსენებთ სხვებზე უკეთა —  
რომ ჩაგვიშხამა ყმაწვილქალობა  
და სიხარული ამოუკვეთა.

ჩვენი დედების მღულარე ცრემლებს  
წილს დებენ თურმე ბელგიელებიც...  
გმირებო, ყველას თავს შემოგვევლეთ —  
მსხვერპლს დღევანდელი ბედნიერების.

ამ პირის ქარის ქროლვას გავანდოთ  
ნაიარევი ამოუქსები.

დედაე! — წინ გვიძვეს  
ახლა გზა-ფართო  
ბაშვებით საესე ავტობუსებით.

შვილებს უწიოს სათნოებამ, და  
არც ტყვედ გავწიროთ,

ალარც თბლებად, —  
დედაკაცები საბჭოეთიდან  
მოვალთ

მშვიდობის  
მახარობლებად.

კავილიონები

დალოცვილ შავმუშებს აქაურს  
ეს თურმე წლითი-წლად უგიათ...  
რამდენგვარს შეხედავ სამკაულს,  
შუშებქვეშ რამდენი შუქია!  
გაგონებს ზღარების სალაროს  
ამ ხუროთმოძღვრების ფარღული:  
მაროკო — ირაკლის იბანოს.  
ასაფრენ პეპელას — ფრანგული.  
ფებს წადგამ —

სად მოხვდი, საიდან,  
ისურვებთ, სტრიტებზე გაივლით!  
ბეჭობზე წერილებს ტაილანდ,  
ბამბუკის ხარატულ აივნიო.

სერს ახვალ სუროთი შებურვილს —  
ფიორდი ლივლივეებს ტალღებად.

— შებრუნდი, — გეძახის მელბურნი, —  
მოასწარ სახსოვრის წაღება!  
ინგლისურ მანქანებს ჩაუვლით  
დაზვინულს უახლეს დაზგებით:  
და ოქროს ნაპირის

ჩალურით

რომაულ ფრესკებთან დადგებით.

ღამღება. დაისი კასკასებს  
რეკლამის ნათელი მაზარით...

კისკასი ერევათ კასკადებს.  
არ ცხრება მსოფლიო მაზარი.



თამაზ ჭილაძე

## ინგლისური გვეზღიდნა

სემაფორები და სველი გზები,  
მძიმე ღრუბლები — რკინის ეტლები,  
და ნისლი, ნისლი — ობობას ქსელი  
და ვესტმინსტერის შავი კედლები  
თითქო ჭატეხილ ძილში შფოთავენ...  
და ღამეები თეთრი და გრძელი  
განწირულ კაცის თავგამეტებით  
უვარდებიან ფეხქვეშ ორთქლმავლებს.

და საღდაც დარჩა, და საღდაც დარჩა  
მწუხარე, როგორც ღრუბლის  
ნაფლეთი,  
ამაო ცრემლი, ამაო ტანჯვა  
გადარეული ბრძენი ჰამლეტის.

და მოწყენილი, ვით პასიანსი,  
შლაგბაუმებთან ღამე გაშლილი  
თითქო საესეა, თითქო საესეა  
მოხეტიალე ჩემი აჩრდილით.

მესმის მეძახი, შენი ძახილი  
როგორც ტკივილი ძარღვებში ელაგს  
და ვით ბრმა, უცებ თვალახელილი.  
ხელის ფათურით მოვდივარ ნელა.

და ამაყები, როგორც ტუზები,  
სემაფორები სხვადასხვა ფერის  
ცაში ქრებიან მინაზებულნი  
დიდი ჩიტების ლამაზი ფრენით...

## ეგვიპტური წარწერა

(ბრიტანეთის მუზეუმში)

ყვითელ ნაპირზე ფეხშიშველა მიდის  
იზიდა  
და ხარის რქებზე წვრიალებს მთვარე  
და გაბედული, ვით სიყვარული,  
ქოხებში მღერის ნილოსის ქარი.

მე მქონდა გული, მხოლოდ გული...  
და კრილობებზე  
შენი ღიმილის ფერფლი მეყარა...  
ყვითელ ნაპირზე ფეხშიშველა მიდის  
იზიდა  
და ხარის რქებზე წვრიალებს მთვარე...

## კოეტაგის კუთხე პესტმინსტერში

ვხედავდი სანთლით ჩამოსხმულ  
სხეულს,  
ხელისგულებზე ლურსმნის ნაკვალევს,  
ვხედავდი თვალებს — გემებს  
დამსხვრეულს,  
ზედ რომ მიმქრალი წვიმა კანკალებს.

ვით მოგლეჯილი ქარით დარაბა,  
ეხეთქებოდა გრანიტებს ჩქამი,

ვიდაც იძახდა ბნელში: „ბარაბა!“  
და გულისცემა ისმოდა ჩქარი.

ეძინათ წყნარებს და ფერმიხდილებს,  
ეძინათ, როგორც სძინავთ  
ორთქლმავლებს,  
როგორც ვეება ქარის წისკვილებს  
ან გემებს — ხვალ რომ კვილის  
მორთავენ.

და არ ამჩნევდნენ თითქოს არავის,  
 ეძინათ, როგორც სძინავს სიჩუმეს,  
 ვით უდაბნოში დაღლილ ქარავანს,  
 ან მთებს, ნისლებით გადამიჯნულებს.

მე ვუყურებდი და ვიხსენებდი  
 ჩაცვენილ თვალებს, გარინდულ ღარებს  
 და მათ ეძინათ და ისვენებდნენ,  
 როგორც ისვენებს სანთლებში ღამე.

იყო ცხოვრება — პური და წყალი,  
 იყო სიცოცხლე — ქარი და ზღვები  
 და მიდიოდნენ გრიგალში წყნარად,  
 როცა ამაოდ ღელავდნენ სხვები.

და ქალებივით ნებიერ ლექსებს  
 ალქიმიკოსის დიდი მოთმენით  
 დიდხანს ეძებდნენ, როგორც ელექსირს,  
 ტკივილით, ცრემლით და შემფოთებით.

ვით მოგლეჯილი ქარით დარაბა  
 ეხეთქებოდა გრანიტებს ჩქამი,  
 ვიღაც იძახდა ბნელში: „ბარაბა!“  
 და გულისცემა ისმოდა ჩქარი.

და უკვდავების ნექტარით მთვრალნი  
 იწვნენ და ქვების ჯავშანი ეცვათ  
 და ნაწამები, ვით ღმერთის ტანი,  
 ვიწრო სარკმელში ბრწყინავდა ზეცა...



## ჭარისკაცის ქმრივი\*

რომანი

### წიგნი მორა

#### თავი ორმოცდამეთექვსმეტი

ხათუნას ბედისწერა სწამდა. თუნდ ბედისწერას ნუ დაეარქმევთ — სწამდა რაღაც იღუმელი ძალა, რომელიც ადამიანის სვე-ბედს განაგებს. ქალის გონება ყოველთვის როდი ემორჩილება ამ ბრმა რწმენას, მაგრამ ძნელ წუთებში უხილავის და წინასწარ დადგენილის ყუხსნელი შიში იპყრობდა.

ლუხუნას რიყიდან დახოცილები ამოვიდნენ. მთელი გზის მანძილზე სპირიდონი სულ განუმეხებული იყო. ძლივს მოათრევდა დამძიმებულ ფეხებს. როგორც კი სახლს მოაღწიეს, ლოგინის გაშლა მოითხოვა. ხათუნამ უმაღლე გაუშალა ლოგინი.

— ავად არის? — წასჩურჩულა ზურამ დედას. როცა სპირიდონი დაწვა და კედლისკენ გადაბრუნდა.

კრიკაშეკრულმა ხათუნამ მოხუცის სველი ტანსაცმელი აკრიფა და პასუხის გაცემის მაგიერ გარეთ გავიდა.

— წყალი მოგიტანო? — კითხვის გამოთრება რომ ვეღარ გაუბედა, ზურამ დახმარება შესთავაზა დედას.

— შედრ, შენც გამოიცვალე, — ხათუნა ზომიზე მეტად გაღიზიანებული იყო.

ზურია უხმოდ შებრუნდა ოთახში და კარს უკან ჩამოკიდებული ხვანჯრიანი გალიფე ჩამოიღო. სანამ მუხლებზე შემოსხეპილ სველ შარვალს იხდიდა და მამისეულ გალიფეს ჩაიცვამდა, თვალი და ყური ბერიკაცისაყენ ჰქონდა მიპყრობილი.

სპირიდონს თავზე საბანი წაეხურა და გაუნძრეველად იწვა.

ზურიას გულში ატეხელი შფოთი ცალკერძ შიშის გვრემა იყო და ცალკერძ ცნობისმოყვარეობა. ამ უკანასკნელს ზურია არანაკლები სიმწვავეთ გრძნობდა და ცდილობდა თავიდან ამოეგდო აკვიატებული ფიქრები. საკუთარი წარმოდგენების წინააღმდეგ ბრძოლა არცთუ ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა: ზურიას წამდაუწუმ ეჩვენებოდა მოხუცის ნაცრისფერი, რატომღაც ოფლიანი სახე და უსიცოცხლო ჭიქის თვალები, რომლებიც ოდნავ ღიად დარჩენილ ქუთუთოებს შორის იმზირებოდნენ. ბაბუა სპირიდონი, ალბათ, ასეთი იქნებოდა სიკვდილის სარეცელზე. ზურიას თან ზარავდა ეს წარმოდგენა, თან, როგორც ცხადლივ დანახულს, ხარბად აკვირდებოდა. ამგვარი ფიქრი სულმოკლეობა იყო. ზურამ ეს კარგად იცოდა მაგრამ ვერ იმორჩილებდა აკვიატებულ წარმოდგენებს. როდესაც ჩაემა მოათავა და ფეხაკრეფით გარეთ გავიდა, ხათუნა სუფთა წყალში გავლებულ ზოლიან შარვალს ჰკიდებდა ბოძსა და ბოძს შუა გაჭიმულ მათეთლზე. ზურამ ბაბუას შარვალი იცნო და სინდისის ქენჯნამ ხელფეხი შეუკრა.

— სად მიდიხარ, ბიჭო? — ჰკითხა ხათუნამ.

— არსად, გამოვედი...

— ხარებს აიყვან?

— ავიყვანი — ზურია უცებ გამოცოცხლდა, — იქიდან შალიკოს გამოუფული გოიოიჯვარზე.

— სიმინდი არსად გაგიფუქონ ხარებმა.

\* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 10.



— ნუ გეშინია.

— ეგ ხვანჯარი ქე ჩაიტანე, აგრე კონწიალ-კონწიალით უნდა ატარო?

მობუზულმა ზურია მწითელი ხვანჯარის ბოლოები შარვლის სათავეში ჩაიჭურთა და საწნახელზე მიყუდებულ სახრეს ხელი წამოავლო.

— მალე მოდი, — დაადგენა ხათუნამ, — სერგო თუ ნახო სადმე, უთხარი, ასე და ასეა ჩვენი საქმე-თქო.

— წამოვიდეს?

— თავათ იცის, წამოვა თუ იქ დარჩება. ზურია თუმცა... ჰო. მოდი, მოდი აქ!

ჭიშკართან მისული ზურია უხალისოდ დაბრუნდა უკან.

— აგრე იყავი, — როგორც იქნა გადაწყვიტა ხათუნამ, მოლურჯო წყლით საესე ტაშტს ხელი წამოავლო და როცა დერეფნის ბოლოში გაიტანა, ფრთხილად დააფერდა. მოლურჯო წყალი თქიფინით იღვრებოდა მიწაზე, — ხარებს აჟამე რამე, — კვლავ აბუზულ შვილს მოჰხედა ქალმა, — ნუ წაივანჯერ დავიცადოთ საღამომდე. ვაითუ ხელახლა დაგვეჭირდეს ჩამოყვანა.

ზურია მიხვდა, რასაც გულისხმობდა დედა ამ ვაითუში და თვალი ოთახის ღია კარისაკენ გაექცა.

ხათუნამ ცარიელი ტაშტი ქვის სკამ-ლოგინზე დადგა და ოთახში შევიდა.

„არაფერიც არ მოუვა, — ჯიუტად გაიფიქრა ზურია, — ადგება და ისევ ის ბაბუა იქნება!“

ოთახში მაინც არ შეჭყოლია დედას. ვარეთ დაუცადა. ლოგინში მწოლარე მოხუცის დანახვა რატომღაც წონასწორობას უკარგავდა. თავში ცუდი აზრები ერეოდნენ. ზურიას ვერ გაეგო, როგორ ებადებოდა ეს აკვიატებული აზრები და მთელ ნებისყოფას ძაბავდა მათს გასაფანტად.

ხათუნამ მალე გამოიხედა. ზურია მ გაუბედავად შეხედა დედას დაღვრემილ თვალებში. ხმის ამოდება ვერც ერთმა ვერ მოასწრო — ოთახში სპირიდონის ჩაბჭირებული ხელება გაისმა. ზურია

იქვე გაიყინა, სადაც იდგა, ხათუნა კი მაშინვე გატრიალდა. სპირიდონი კვლავ ჩაბჭირებულად ახველებდა სულთქმულარ მოებრუნებინა.

— წყალი — დაიძახა ხათუნამ.

ზურიას რეტი დაესხა. ოთახში ჩრდილივით შეიძარა და ჭიქა ძლივს იპოვნა. სპირიდონმა წყალი მოსვა. ორი იმდენი ლოგინში ჩაიქცია. თავგზააბნეულმა ხათუნამ ჭიქა ისევ ზურიას მიაწოდა და ხელი საბნის ქვეშ ჩაჰყო.

მობუცი გახურებულ თორენსავით გიზგიზებდა.

— სიცხე აქვს? — აღმოხდა ზურიას.

— დადგი ეგ ჭიქა, ხელში უნდა გეჭიროს სულ?

— თერმომეტრი ამოვილო?

— წადი, იქნება სერგო მონახო სადმე.

ზურია ჭიქა დადგა და მაშინვე გარეთ გაიჭრა.

— მამა! — წაიჭურჩულა ქალმა, — ხომ არ გვემდური, ხმა ამოიღე. გესმის, მამა?

— მესმის, — ღრმა ოხვრას ამოაყოლო სპირიდონმა.

— რა დაგეშარათა, გტყივა რამე?

სპირიდონმა თავი გააქნია და გულ-აღმა დაწვა.

— გაციუნებს?

— არა.

— აბა რა დაგეშართა? — ქალი ძლივს იმაგრებდა ცრემლებს.

— არაფერი. ბიჭები სად წავიდნენ?

— ზურია ექიმის მოსაყვანად გავგზავნე. პავლე ჯერ არ მოსულა სკოლიდან. ძალიან გლახად ხარ?

— არა, — სპირიდონი მძიმედ სუნთქავდა..

— გრილი ხელი გსიამოვნებს? თუ გინდა ტილოს დაგადებ შუბლზე.

— არ მინდა, ნუ მალაპარაკებ.

„აღბათ, თავი ტყივა, — გაიფიქრა ქალმა და საწოლს მოსცილდა, — ეს რა მიქნეს, ეს რა ცეცხლში ჩამაგდეს ამ ჩემი ცოდვით საცხებმა!“

— ხათუნა! — მოისმა სიჩუმეში.

— ჰო, მამა, — ქალმა კვლავ საწოლ-თან მიიბრინა.

— შალიკო სად არის?

— გორიჯვარზე დაეტოვე, მამა. გინ-და მოვიყვანო?

— მოვიდეს..

— ნუ გეშინია, კაცო, ეგრე რამ შეგა-შინა?

— დედაშენს შეატყობინე.

— მამა! — ხათუნა ლოგინზე დაიხარა და თხელ საბანში გახვეულ ბერიკაცს ხელები შემოაქდო.

სპირიდონს ჰაერი არ ჰყოფნიდა — ხმაშავი, ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნ-თქავდა.

— სული გეხუთება? — ჩაკითხა ქალმა.

— ჰო, ცოტა..

— დაწყნარდი, ექიმი ახლავე მოვა. გაცივებული ხარ. რა გტკივთ, ძეგლები გაქვს?

— ნუ მალაპარაკებ.

— მოიცა, სალაცა სკიპიდარი მქონ-და! — ხათუნამ წამოიწია და ქურჭლის განჯინასთან მიიბრინა.

— სად დაიკარგა ბიჭი ამდენ ხანს..

— შალიკო? — კისერი მოიღრიჯა ხათუნამ და მამას გულაფანცქალებული მიანიჩრდა.

სპირიდონმა აღარ უპასუხა. თვლები ოდნავ გაახილა, მაგრამ, ალბათ, დღის კაშკაშა სინთლემ შეაწუხა და ისევ და-ხუჭა.

— მამა! — შეეხმინა ქალი.

მოხუცმა მხოლოდ წამწამები შეაქანა.

— ცოტათი ვერ გადაბრუნდები?

— ნუ გამანძრევ.

— ფერდებს და ზურგს დაგიხელ სკიპიდარით.

სპირიდონმა ოხვრით იცვალა გვერდი და ხათუნას უცნაურად გამოკუთვნილი ბებრული ზურგი მოუშვირა. ხათუნა გამალებით შეუდგა საქმეს. მარჯვენა ხელისგული სკიპიდარში დაისველა და ღონიერად გაუსვა ავადმყოფს ზურგზე. სპირიდონი ყრუდ კენესოდა. ხათუნა

გრძნობდა: ხელის ყოველი შეხება თუ-ტანელ ტკივილს აყენებდა მამას.

— მეყოფა, — გაისმა ბოლოს მოხუ-ცის მუდარა, — საბანი დამახურე. იქნე-ბა დამეძინოს.

— ცოტაც, მამა, ცოტაც მოითმინე.

— მეტი აღარ შემიძლია, შვილო.

ხათუნამ შეისმინა მამის ვერბება — საბანი ჩაუთბუნა და ერთხანს მოუხვეწ-რად წრიალებდა: კიდევ რა შეეძლო, კი-დევ რა მოემოქმედა? სანამ მამას ზურგსა და ჩურდებს უხელდა, თავადვე პოულობდა შეელას — ავადმყოფს ვეხ-მარებიო, უსაქმოდ დგომა ერთიათად მტანჯველი იყო.

— დაგეძინა? — ვედარ მოითმინა და კიდევ ჩასძახა მოხუცს.

— ასე ვიქნები, — სპირიდონი კვლავ უთანაბროდ სუნთქავდა და ეს ხმაზე ემ-ჩნეოდა, — ბავშვებს ნუ შეაშინებ.

ამის გამგონე ხათუნამ გულხელი დაი-ქდო და ბავშვ მოიკვნიტა. მერე გაახსენ-და, რომ გულხელის დაქდობა ავის მო-მასწავებელი იყო და რათა ხელებისა-თვის რაიმე საქმე გაეჩინა, სკიპიდრის შუშა აიღო და განჯინაში ძველი ადგი-ლი მოუხანა.

ბავშვები გვიან მოვიდნენ. სერგო წიფლისწყაროში ყოფილიყო წასული. ზურია კარგა დიდ მანძილზე გასდგომო-და, მაგრამ შინ ხელცარიელი დაბრუნ-და. მართას და მავალას დაებარებინათ, რა დროსაც არ უნდა გამოჩნდეს, უსი-კვდილოდ ამოვაო. ხათუნამ მაინც ვერ მოისვენა. ახლა დაბინდებულზე კიდევ აფრინა ბავშვი ლაბაძეების უბანში. სერგო ჯერ კიდევ არ იყო მოსული.

„ბედი უნდა ყველაფერს, — ფიქრობ-და ხათუნა და ყოველ ათ წუთში ტი-ლოს უცვლიდა ავადმყოფს, — რალა მა-ინცდამაინც ახლა მოეხასიათა ცხრა მთას იქით გადაკარგვა!“

უმცროსი ბიჭები ქოტებივით ათე-ვდნენ ღამეს დერეფანში. ამით მოსახე-დავად ვისლა ეცალა! ზურია ჭიშკართან დაბორილებდა. ყოველ წამს მოსალო-დნელი იყო სერგოს გამოჩენა. გულდამ-

დღღრღული ბიჭი თავს ირწმუნებდა — ჭიშკართან დგომით და ლოდინით საქმეს ვაკეთებო. ბოლოს ამასაც მოეწყინა ამო ყურყუტი, დერეფანში შებრუნდა და თვლემამორეულ ძმებს ლმობიერად მიმართა:

— დაიძინეთ. თქვენი ღამისთევა ბაბუას უშველის?

— არ გვეძინება, — უფროსი ძმის ლმობიერებამ შალიკოს გული აუჩუყა: ზურია კარს მიუახლოვდა და ოთახში შეიჭვრიტა, მაგრამ ავადმყოფის სასთუმალთან დახრილ დედას არ გამოლაპარაკებია. ოთახიდან საშინელი სიციხე, ოფლისა და აბრჩოლებული კვარის სუნის გამოდიოდა. ზურიამ დიდხანს ვერ გაუძლო შემაწუხებელ სუნს და კარს მოსცილდა.

— რომელი ხარ? — დაიძახა შიგნით ხათუნამ.

— მე ვიყავი, დედა, — ზურიას ხმაში მშობლისადმი უსახლერო თანაგრძნობა და ღრმა ნაღველი ისმოდა.

— მოდი, შვილო, აქ.

მიუხრადებელი პავლე და შალიკო წამოხტნენ. ზურიას ცივმა ყრუანტელმა დაუარა ტანში: იქ შესვლა არ უნდოდა, მაგრამ რა ექნა, თუკი დედა უძახდა.

— ახლოს მოდი, — ხათუნა სკამზე გადმოჯდა და უფროს შვილს საწოლზე დაუთმო ადგილი.

ზურიას გორგალი აწებოდა ყელში, ხმა ველარ ამოვლო.

— ჩვენი ბაბუა... — თქვა ხათუნამ და მაჯაზე ცრემლის წინწყალი დაეცა.

ზურიას მოეჩვენა, რომ ღაწვები და თვალთა უბეები უსასრულოდ ებერებოდა, უნდოდა დედისთვის ეკითხა, ამბობს რამეს თუ არაო, მაგრამ რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ ამ სიტყვებს ბაბუა გაიგონებდა და კითხვა ვერ გაბედა.

ხათუნამ შეატყო, როგორ უჭირდა შვილს აქ ყოფნა, როგორ უჭირდა ყელზე მობჯენილი ქვითინის შეკაევბა, მას კი — ხათუნას ახლა გამხნეებდა და გვერდში ამოდგომა ესაჭიროებოდა. მა-

მა ცუდად იყო. ძალიან ცუდად იყო მა-  
მა. ვაითუ სერგოს გამოჩენა ამას ვლოდა სული..

— გადი, თუ გინდა გარეთ იყავი, — ხათუნამ მუშტით შეიხოცა ცრემლი და გაღვლილ მკერდზე მამას თავისუფალი ხელი დაადო.

სხვა დროს ზურია ვერ მიატოვებდა გასაქირში ჩავარდნილ დედას, ვერ მიატოვებდა თვით სიცოცხლის ფასადაც კი, მაგრამ ახლა, როგორც კი მშობლის თანხმობა მიიღო, თითქოს ვიღაც დასდევნებია და ხელის წავლებას უბირებსო, მაშინვე დერეფანს მიაშურა. ძმები კართან იდგნენ და გაფართოებული თვალებით იყურებოდნენ ოთახში. ზურიამ უხმოდ აუარა გვერდი პატარებს და დერეფნის ბნელ კუთხეში ქვის სკამლოგინზე დაჯდა კარისაკენ ზუოგშექცეული. მისი წარმოდგენით, ოთახი, სადაც ახლა ბაბუა იწვა, ღრმა მორევით იყო, ბაბუა კი, საყვარელი ბაბუა — ღონემიხილი მგზავრი, რომელიც ადიდებულ წყალს მორევში შეუთრევია და ყოველ წამს დაღრჩობით ეშუქრება საშინო ბაბუას მიკარება. დასაღრჩობად განწირული კაცი მშველელსაც არ დაინდობს და თუ ხელი მოატანა, მდინარის სიღრმეში ჩაიყოლებს. ზურიას ცხადლივ ჩანსოდა საკუთარი გულის შეწხარავი ყვირილი: „დედა, ჩემო დედა, მოცილდი ბაბუას!“

მაღალი ვახშმობა მოტანებული იყო, როდესაც ჭიშკარმა გაიჯახუნა. საწნახლის ინდურზე ჩამოხსნადარი მთვლემარე ბიჭები ზეზე წამოცვიდნენ და უანგარიშოდ დაიწყეს აქეთ-იქით თვალების ცეცება.

ზურია ეზოში გავიდა შეგვიანებულ ექიმის დასახვედრად. იმედი ახლაც გაუცრუვდა: მოსულები ქალები აღმოჩნდნენ. ზურიამ ძლივს იცნო წინ მომავალი მართა ლაბაძე, რომელსაც შორი-ახლო მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი ჯალი მოპყვებოდა ეს უკანასკნელი მარგალიტა მოანგარიშე იყო.

— რასა იქ, სპირტიდონ, ვა შე კა-

ცო — გამამხნევებლად ჩასძახა ავად-  
მყოფს მართამ, — ლოგინში საკოტრია-  
ლოდ გვეწვიე აქეთ?

— არ ესმის, ბიცოლა, არა, — თვა-  
ლებგამოღამებულმა ხათუნამ თავი გა-  
აქნია და ბერიკაცს ძმარში დასველებუ-  
ლი ტილო გადაუბრუნა შუბლზე.

სპირიდონი ოფლში ცურავდა. ხათუ-  
ნას აღრევე უნდოდა თეთრეულის გა-  
მოცვლა. მარტო ვერას ვახდა, ხელის  
გამმართავი კი არაფერს ჰყავდა. ამჯერად  
ქალები წამოეშველნენ. ავადმყოფს  
ფრთხილად გამოაძვრეს ქვეშიდან ნო-  
ტიო ზეწარი.

სპირიდონი როდილა კენესოდა. ბუ-  
რანში იყო. ახალ, გრილ ზეწარზე დაწ-  
ვენისას შეთხელებული ქალარა წამწა-  
მები აახამხამა და ვერცხლის კბილების  
ვიწრო ზოლი გამოაჩინა.

— რალაცას გეუბნება, დედა, ხათუ-  
ნა... — ისე ხმამაღლა წაიჩურჩულა მარ-  
თამ, რომ ბავშვებმაც კი გაიგონეს დე-  
რეფანში და კარს მოცვივდნენ.

ხათუნამ ამოიხზრა: ტყუილი იმედი  
იყო — მამა აწი ველარაფერს ეტყოდა.

### თავი ორმოცდამეჩვიდმეტე

გარეთ ჰიშკრის ჯახუნი მოისმა.

— ზური! — გამოსძახა შეილს ტირი-  
ლით დაოსებულმა ხათუნამ, — ვინ მო-  
ვიდა?

— ზაქარა ბიძია და სერგო არიან,  
დედა.

— მადლობა ღმერთს! — ძლივს თავ-  
ვისუფლად ამოისუნთქა მართამ, რომე-  
ლიც სერგოს ამდენი ხნის მოუსვლე-  
ლობას შეეშინებინა, — რაკილა ცო-  
ცხალია...

კაცები დერეფანში შეყოვნდნენ. ალ-  
ბათ იქ ზურისთან გააბეს მასლაათი.  
მერე ზაქარამ ქუდი მოიხადა და ოთახ-  
ში შემორგო კუნძის ნამწვავივით გა-  
ტუსული თავი, — რა ამბავია, ხათუნა?

— ვერ ხედავ? — ყველას მაგიერ  
წაიჩურჩულა ავადმყოფის ფერხთით  
დაკუთხულმა მარგალიტამ.

— ნუ გეშინიათ, იმისთანა არაფერი

იქნება. სერგო ქე მოვიყვანე, მარა ნაღ-  
ვინევია ეს შერცხვენილი.

— ღმერთო, შენ მომკალი! — შეიცხა-  
და ღამისთევით გაცრეცილმა მართამ,  
ეს გვინდოდა ახლა ჩვენ?

— ელეფთერისას გამოველო რალაცა  
ეშმაკად, — სიძეს ბოდიშს ხდიდა ზაქა-  
რა მკვდელი, — ელეფთერიც წიფლის-  
წყაროში ყოფილიყო და გზაში დადარე-  
ბოდნენ ერთმანეთს.

— რალას უდგია იქ, ველარ შემოვა?

— ხელს იბანს. შემოვა ახლავე. გა-  
ცივდა აბა სპირიდონი? — ზაქარა თავა-  
დაც ნასვამი ჩანდა, — რა უჭირს, გრი-  
ბი იქნება. ხათუნა! — წამოიძახა უცებ  
მან და სახის უღარდელი გამომეტყვე-  
ლება უმალვე შეეცვალა, — რა მოგივი-  
და, ქალო?

ხათუნას პირი მიეგრუნებინა და ღვა-  
რად ჩამოსულ ცრემლებს ყლაპავდა.

— ნუ ტირი, გაგიგონია ავადმყოფის  
ლოგინათ ტირილი?

— ძალიან გლახად არი, ზაქარა ბი-  
ძია..

— ღმერთმა ნურაფერი გაუჭირ-  
ვოს! — ზაქარა ოთახში შემოვიდა და  
ძმამე ნაბიჯით მიუახლოვდა იმედდაკა-  
რგულ ჰიურისუფალს, — ძინავს?

— არა... — ცრემლებს და ცრემლებს  
შუა გამოსტრა ხათუნამ, — უგონოდ  
არი.. შენი მტერი...

— სერგო!

ყმაწვილი ექიმი ხელების მშრალეებით  
შემოვიდა. ნაღვინეობისა არაფერი ემჩ-  
ნეოდა. გზაში თუ გამოფხიზლდა. მარ-  
თამ კინალამ იქვე უსაყვედურა შვილს,  
რა დროს ღვინის სმა იყოთ, მაგრამ კო-  
პებშეკრული სერგო ისე თავდაჯერე-  
ბით შეუდგა საქმეს, სიტყვაც ველარ  
შეჰბედა.

ქალები და ზაქარა მკვდელი სულგა-  
ნაბული იდგნენ ნახევრად ბნელ ოთახში  
და თვალს ადევნებდნენ ექიმის ყოველ  
მოძრაობას. მართას ნაღვლიანი სიამა-  
ყით უბრწყინავდა ღრმად ჩამჯდარი  
წვრილი თვალები. კუთხეში, წიგნებით  
დახვავებულ მაგიდასთან ატუზული ზუ-

რია ბექებში ოდნავ მოხრილიყო და სერგოს თეთრ ხელებს ხარბად უყურობდა.

სერგო დიდხანს სინჯავდა ავადყოფს, სასმენი მილი, რომელსაც ძველი ექიმები დღენიადღე ჯიბით ატარებენ, თან არ ჰქონდა. ბერიკაცს რამდენიმე ადგილას დაადო ყური უცნაურად გამოკუჭულ ზურგზე და ფილტვები ისე მოისმინა.

ზაქარამ ჩამოწოლილ მყუდროებას ველარ გაუძლო, ავადყოფის ფერხითი ჩაკეულ მარგალიტას რაღაც ანიშნა და ქალიც მაშინვე მიუახლოვდა.

— ვარგა ე ბოეშვების აქანა ყოფნა? — წასჩურჩულა ზაქარამ, — მოკიდე ხელი და წაიყვანე.

— ქე ვფიქრობდი, ბატონო, მეც, მარა... — მარგალიტა მონაგარიშე რატომღაც შეეყოყმანდა.

— ზურია! — ხმას ოდნავ მოუმატა მკედელმა, — გეყურება, ბიჭო?

ზურია მთლიანად ჩაეთრია ოთახში დატრიალებულ ამბავს. გაიგონა კი არა, უფრო იგრძნო, რომ ეძახდნენ.

— მოდი აქ! — ზაქარამ თავი დაუქნია და როცა ბიჭი გვერდში ამოუდგა, წასჩურჩულა: — მარგალიტას გავატანოთ ბავშვები. სხვა რომ არა, თვალის მოტყუება ხომ უნდათ ამდამ, — მერე უცებ შესცვალა გადაწყვეტილება, — ანდა მარგალიტა რაღაზე შევანუხნოთ: შენ თვითონ აირბინე ჩვენსა და აიყვანე ბიჭები, — ამ სიტყვებით ზაქარა გარეთ გავიდა და საწინაზღვის ინდურზე ობლად ჩამომსხდარი პავლე და შალიკო წამოაყენა, — ფარანი ეგერ დევს, ბიჭო, — მიუბრუნდა ისევ ზურიას, — აბა შენ იცი, რა მარჯვედ მოიქცევი. თინიას უთხარი, არ შეგეშინდეთ, მამა შეიძლება გათენებამდე ვერ მოვიდეს-თქო.

ამრეზილი ზურია უხალისოდ დამორჩილდა უფროსის ნებას. საწინაზელზე შემოდგმულ ჯარანს ზღაზვნით მოუკიდა.

— დედას არ ვკითხო? — მკედლის გასაგონად წაიღუდღუნა ბოლოს, მაგ-

რამ ზაქარა უკვე შებრუნებულიყო ოთახში, სადაც საწოლზე ჩამომჯდარი სერგო ავადყოფის გასინჯვას ამსახვრებდა.

— ზურია, სად მივდივართ? — კითხა ძმას პავლემ.

— ზაქარა ბიძიასას.

— ჩვენც?

— თქვენ, აბა მე?

— რათ მივდივართ?

— გამოიძიე ახლა ყველაფერი! რათა და ასეა საჭირო — ზურია თავის ოსტატზე იყო ვულმოსული და ჯავრს პავლეზე იყრიდა, — შალო, წამოდი!

ბიჭები მორჩილად აედევნენ წინ წასულ უფროს ძმას.

— გზას ხედავთ? — მოიხედა ზურია.

— ვაიმე, ეს რა არის! — წამოცდა შალიკოს და პავლეს მიეკრა.

— ხარებია! ხარებმა შეგაშინეს?

ყანის პირას წამოწოლილმა ხარებმა ზანტად გამოაყოლეს თვალი იქვე გავლილ ბავშვებს, ტკბილად დაიხმუვლეს და კვლავ ძილს მისცეს თავი.

ზაქარა მკედლის ჩაბნელებული ოდა ჩაძირულ ზომალდევით იდგა ღამის ფსკერზე. ზურია ორჯერ დაიძახა ჭიშკართან.

— ძინავთ, — თქვა პავლემ.

ეტყობა, ტყულები შინ არ იყვნენ. მავალასთან თუ ათევდნენ ღამეს.

— წამოდი! — ზურია კვლავ წინ გაუძღვა ძმებს.

— სად მივდივართ, ზური? — ტირილნარევი ხმით იკითხა შალიკომ.

პასუხად ზურია ფარანი პავლეს გაუწოდა და უმცროს ძმას ხელში ხელი ჩასჭიდა. შუკას თავდაღმა დაუყენენ, — ერთი ორჯერ მიუხვ-მოუხვციეს, გრძელ ხიმეს გაუარეს და ფიცრულ ჭიშკართან გაჩერდნენ.

— პავლე, აქ დამიცადეთ, მე ახლავე მოვალ, — თქვა ზურია, — ძმები გზაზე დასტოვა, თვითონ კი ჭიშკარი გააღო და ეზოში შევიდა.

— სად მიდის? — რათა ზურიას არ



გაგონა და არ გამწყრალიყო, ჩურჩულით იკითხა შალვამ.

— ჩუ! — პაველ ეზოს აკვირდებოდა და ცდილობდა რაიმე გაერჩია.

— პალიკო, მწყურია, — აჭუჭყუნდა შალვა.

— ჩუ, ბიჭო!

— მწყურია და რა ვქნა.

— მოიცა, ზურია მოვა და დაგალევი-ნებს.

— წყლის ხმა გესმის?

— სად?

შალიკი უკან მიიხედა. ფარნის სუსტი შუქი კანდაბეთქილ ტირიფებს მისდგომოდა.

— ეგ ღელეა, — ახსნა პაველმ. თან თვალს არ აშორებდა ჩაბნელებულ ოდას, რომლის მეორე სართულზე სწორედ ამ დროს სინათლე აინთო, — შემოდი, ჩვენც შევიდეთ. ეგნატე ბიძიას სახლია.

— ძალი გვიკბენს.

— სად არის ძალი, რატომ ზურიას არ უკბინა შოდი!

პაველ ზურგით მიაწვა ფიცრულ ჭიშკარს და გააღო.

— პალიკო, — წაიჩურჩულა უმტროსმა ძმამ, — ახლა ისევ სახლში უნდა წავიდეთ?

— მარტო ზურია წავა. შეიძლება მეც წავყვე.

— მე?

— შენ გვანცასთან დარჩები.

— არ მინდა მე გვანცასთან, მე დედასთან მინდა!

— დედა ხვალ მოვა.

— მე მარტო დავიძინო? — შალვას ცრემლები აღრჩობდა.

— გვანცასთან დავიძინო.

— არ მინდა მე გვანცასთან. მე დედასთან მინდა! — ახლა კი მოწეული წაბლის ბუქცივით დაიფჩხალა შალიკო. აივანზე ზურია გადმოდგა. დაინახა, ბავშვები უკვე შემოსულიყვნენ და კიბე მაშინვე ჩამოირბინა.

— ზურია, მე მართლა უნდა დავრ-

ჩე? — შეკავებული ტირილით მიაკვია პატარამ.

— აბა არ იცი?

— არ მინდა მე, ზურია, დარჩენა, მე დედასთან მინდა.

— სუ! დედას ახლა შენთვის ცალია?

შალიკო, ხვალ დილას უჩემოდ ფეხი არსად გაადგა, გესმის? მომეცი ეგ ფარანი აქ!

### თავი ორმოცდამეთხრამეტე

ზურია მარჯვედ გაძვრა ხეხილის ბაღის ღობეში. ქვემოთ, სახატოს ჭალაზე უმთვარო ღამის წყვილადს დაებუდებინა. უფრო შორს, თითქოს ქვესკნელში თეთრად კიაფობდა ლუხუნისა რიყე. წყალი, ალბათ, დამცხრალი იყო. მდინარის ჩუმი შრიალი ძლივს აღწევდა აქამდე.

ზურია ადლიანი ნაბიჯებით მიიჩქაროდა სიმიდის ყანაში. ახსოვდა, სადღაც ქვემოთ ის დიდი კაკლის ხე იდგა, რომელსაც მოთხრას უპირებდნენ ამ ზამთარში. თუ პირდაპირ ივლიდა, კაკალი მარჯვენე, ლუხუნისა მხარეს უნდა დაეტოვებინა. სიბნელეს დააკვირდა, მაგრამ ამჯერად კაკლის ხეს როდღია ეძებდა. მოპირდაპირე კალთის თხემზე, საიდანაც ორმოციოდე ქცევა ვაკე იწყებდა, მათი სახლი უნდა მდგარიყო. მართალია, აქეთა გვერდიდან სახლს ყორეში ამოსული ტყემალი ფარავდა, დამლამობით მაინც შეიძლებოდა ფანჯარაში მოკიფე სინათლის გარჩევა. ახლა სინათლე არ ჩანდა და ზურია სწორედ ამან შეაშფოთა. ჯერ იფიქრა, იქნებ მხარი მეცვალო, მაგრამ მხარი როგორ ეცვლებოდა — პირველად ხომ არ იყო სახატოს ჭალაში! გზა შლიგინ-შლიგინით განაგრძო, ბოლოს, როგორც იქნა, დალანდა თვალი განმარტოებულ კაკლის ხეს.

„შეიძლება ლამპას დაუწიეს — თავის დასამშვიდებლად გაიფიქრა ბიჭმა — სერზე ავირბენ და შუქი, ალბათ, გამოჩნდება.“

შუქი ვერც კალთის ათაგებისას დაი-

ნახა. მთლად დაეჭვებულმა ნაბიჯს აუჩქარა და ხუთიოდე წუთის შემდეგ ყორეს მიადგა.

„არა, ნამდვილად არ იყო სინათლე! ზურია ყოყმანობდა — შესულიყო ეზოში თუ არა.“

ყორე აქედან მცირე დაღმართზე ეშვებოდა და ქვემოთ, ვენახის თავისაკენ უხვევდა. ზურია ფარანი ჩააქრო, ფეხაკრეფით გაჰყვა ყორეს. ვის ეკრძალებოდა? რატომ უჭირდა საკუთარ ეზოში გაბედულად შესვლა?

ის ანლა სახლის უკან იყო. აქ ვერავინ დაინახავდა. ფარანი ფრთხილად დასდო ყორეზე და სარს მოეჭიდა. ფეხქვეშ ქვა დაიძრა. ზურია ძლივს მოასწრო ეზოში გადახტომა. საბედნიეროდ, წერილი როჰკის ჩხრიალი, რაც ყორიდან ქვის გადმოვარდნამ გამოიწვია, მალე შეწყდა და ირგვლივ კვლავ სიჩუმე დამყარდა. ზურიას გაახსენდა რომ ფარანი ყორეზე დასტოვა, უკან აღარ დაბრუნებულა. სახლის კედელთან მიიკრბინა და სული განაბა.

„აღბათ, ბაბუა უკეთაა და ძინავს..“

ამის გაფიქრებამ ზურიას გამბედაობა შეჰმატა. სამალავიდან გამოვიდა. ეგონა, ბეზობლები ღერეფანში დამიხვდებიანო. არამცთუ ღერეფანში, ოთახშიაც არავინ დაუხვდა. კარი ბოქლომით დაეკეტათ. ზურია ბოქლომს მოეჭიდა და ერთხანს ასე დარჩა გარინდებული. უცებ ხარები გაახსენდა. აქი დედა ამბობდა — ნუ წაიყვან, ვაითუ ხელახლა დაგვჭირდეს ჩამოყვანაო? ბოქლომს ხელი უშვა და ეზოში გაიჭრა.

ხარები ვილაცას გაერეკა, აღარც მდინარეში ნათრევი აჩაჩა ურემი იდგა ჭიშკართან.

ზურია მსწრაფლ მიხვდა ყველაფერს და რათა დრო არ დაეკარგა, მაშინვე აედევნა ურმის კვალს. ურემს ბილიკზე ევლო, მაგრამ ბილიკზე ცხადია, ვერ დატეულიყო და ჩქოლა სიმინდები წაეჭცია. ფერმის ჭიშკართან გავლისას ზურია ჩალის კონას წამოჰკრა ფეხი და წაბორძიკდა. აქ, აღბათ, ურემი გაჩე-

რეს და ლეიბს, რომელზედაც მომაკვდავი იწვა, ხმელი ჩალა დაუფინეს ქვეშ.

„შორს არ იქნებოიან. სამკედლოსთან ან ცოტა იქით დავეწვი, — გაიფიქრა ზურია და სირბილით დაეშვა თავდაღმართში, — ნეტა რა დრო იქნება ახლა: რაღა შუალამისას შეგვემთხვა ეს უბედურება! შინ რომ მომესწრო, დედას არ მიეცემდი ბაბუას წაყვანის ნებას. სერგო რომელ ექიმზე ნაკლებია, ვითამ წიფლისწყაროელმა ექიმებმა მეტი იციან? იქნებ ვერც ვერავინ ნახო შენს ნებაზე. იდექი და უცადე ქუჩაში, როდის მოგხედავენ! ჩუ, მგონი ვილაცა დგას გზაზე!“

მგონი კი არა, სამკედლოსთან მართლა იდგა ვილაცა.

— ეი! — შეეხმინა ზურია.

— ეი! — უპასუხეს გზიდან, — ზურია ხარ?

— ჰო, მე ვარ, ეგნატე ბიძია.

— რაღა არი, ბიჭო, საქმე?

— წიფლისწყაროში წაუყვანიათ.

— მანქანის ხმა რომ არ ყოფილა?

— ურმით. შენც მოდიხარ, ეგნატე ბიძია?

— კი, მოვდივარ, რას გავუკეთებ თუ არა... გაიქეცი, გაიქეცი შენ!

ზურია სამანქანო გზაზე ამოვიდა და მოჰკურცხლა. გზა აქ აღმართზე მიიწედა, ძველ ნაკალოვარს ნახევარ რკალად უვლიდა გარს და მერე დაღმა ეშვებოდა. ნაკალოვარი შემადლებულ ადგილას იყო. აქედან მთელ სიგრძეზე მოჩანდა დაბა წიფლისწყარო. სანამ ნაკალოვარს ააღწევდა, ზურია ნაბიჯი შეანელა. აღმართი მაინც აღმართი იყო — ბიჭი დაიღალა. როდესაც სერს გადაადგა, მთელი წიფლისწყარო თითქოს ხელის გულზე გამოჩნდა. უბირი კაცი ძნელად თუ დაიკრებდა, რომ იმ მოციმციმე ნათურებამდე ორმოციოდე წუთის სარბენი იყო.

ზურია გარკვევით არჩევდა თავდაღმა დაშვებულ გზას. შორეული ნათურების შუქზე გზა გასანთლულივით ბზინავდა.

ქვემოთ, სადაც უხვევდა და კვლავ დამის წყვილიაღში იკარგებოდა.

„ნუთუ ასე ჩქარა იარეს ხარებმა? — გაიფიქრა ზურია, — იქნებ წიფლისწყაროში სულაც არ წაუყვანიათ ავადმყოფი, იქნებ გუდელისში წაიყვანეს?“

ამ ეპეს როდი აკლდა საფუძველი. გუდელისის ძველთა-ძველი საავადმყოფო ჰქონდა, სადაც განთქმული ექიმები მკურნალობდნენ. თუ ბაბუასათვის სასწრაფო ოპერაცია იყო გასაკეთებელი, დედა, ცხადია, გუდელისში წასვლას არჩევდა.

ეს ვარაუდი ზურიას სარწმუნოდ მოეჩვენა, მაგრამ წინ მაინც მიდიოდა. „ცოტას კიდევ ვაიველი და დაებრუნდები. ურემი ასე შორს არ წაივლიდა.“ ამის გაფიქრებაც იყო და უურს ნაცნობი ხმა მოსწვდა. ეს იყო ქვაზე ასხლტეილი ფეხის თუ შოლტის გატყლაშუნების ხმა, რომელიც ასე შორს გაისმის ხოლმე წყნარ ღამეში. ზურია შედგა და სმენდა იქცა. ქვევით, ას თუ ასორმოცდაათ ნაბიჯზე ურემი ჰრიალებდა. სულგანაბულ ბიჰს მოეჩვენა, რომ მეურმის შეძახილიც ვაიგონა. გულმა დაგადუგი დაუწყა. „ისინი იქნებიან, მამ ვინ უნდა იყოს!“

ურემი ქვა-ღორღით ჩარიხულ ღელეში იდგა. კისერდაძაგრული ხარები წყალს დასწაფებოდნენ.

— ფრთხილად, ზაქარა, თუ ღმერთი გწამს, ამ ლოდებზე ფრთხილად გადაატარე, — უთხრა ხათუნამ მჭედელს, რომელსაც სახრე ილიაში ამოეჩარა და გაღვითქულ ხარებს აპურებს უსინჯავდა, — ხიო! — დაიძახა ქალმა, — წავიდეთ ახლა რაღას ვუცდით!

— ო, მამო! აქ მოდი ერწამა, ხათუნა, ხარებს წინ დაუდები.

ხათუნა ურემის თვალს მოსცილდა და ქვებზე ზელების ყვითურით მივიდა იმ ადგილამდე, სადაც მჭედელი იდგა.

— აგერ სახრე! — ზაქარამ ჯოხი მიაწოდა, — მარგალიტა!

— ბატონო!

— თუ ქალი ხარ, იქნება ეს ქვა ვადა მებრუნებინო.

— რომელი ქვა, ბატონო? — ზაქარამ ასანთი გაჰკრა და თავსხმა წვიმის დროს ზემოდან ჩამოგორებულ ლოდი გაანათა. ლოდი მართლაც უხერხულ ადგილას ევლო. ხარ-ურემს გაღმა გადასასვლელ გზას უღობავდა. ზაქარა დაიხარა და ლოდს ქვემოდან ამოსდო კამეჩის ტყავგადაკრული ლონიერი ხელები.

— აბა ჰე, მარჯვედ, ქალო, თითი არ დაიწეწკო!

— რა ვქნა, ვერსაით მივედები... — სუსტი და ტანთხელი მარგალიტა მოუხერხებლად ებოტინებოდა ლოდის კედელს.

— მოიცა, ზაქარა, მგონი ვილაც ღვთისნიერი მოდის! — დაიძახა ხათუნამ, — რომელი ხარ მანდ?

— მე ვარ, დედა, — დაირხა სიბნელეში.

— შენი ჰირიმე, ბიჭო, რა დროს მოგვეწე!

— აქ ვის უცდით, დედა?

— გამოდი, გამოდი, იქნება ზაქარას მოეხმარო, ქვა არის გადასაგორებელი.

ზურია სწრაფად გადახტა ლოდიდან ლოდზე და ზაქარას მხარში ამოუდგა. ტყვიასავით მძიმე ლოდი რის ვაივაგლახით დასძრეს ადგილიდან, მაგრამ გადაბრუნება მაინც არ მოხერხდა.

— მოდი, მარგალიტა, ქემანც მოგვინათე! — ზაქარამ ეტყობა რაღაც იტყინა.

— ასანთი, ბატონო?

— გულისჯიბეში მიდევს. ამოიღე, ჰე, ჩქარა, შე ქალო, გაკარი ახლა!

მარგალიტამ ასანთი გაჰკრა. ლოდი სანახევროდ აყირავებულყო, მაგრამ ცერზე დაყენება და მერე უკან გადაბრუნება ვაორკეცებულ ლონეს მოითხოვდა.

— დავეშვა? — წამოცდა ზურია.

— ქვა შევუყენოთ ქვეშ მარგალიტა... — მჭედელმა უმწეოდ მიიხედ-მოიხედა, — მოიცა, მოიცა, ვერ იხამ შენი

დაუშვი, ბიძია, ფრთხილად აგრი! ფეხზე ხომ არ გაწეება?

— მაგ მხარეს დაშვებულაი?

— ჰო, ჰო, დაუშვი!

— ზაქარა, ვერსაით შემოვუვლით? — იკითხა მოთმინებადაკარგულმა ხათუნამ, რომელიც თავს ძლივს იკავებდა.

— ამ წუთში! ამ წუთში მზად იქნება ყველაფერი! — ზაქარამ წალდი ამოიძრო ქამრიდან და ხელების ცეცებით დაბურულ თხილნარში შეაბიჯა.

— დედა, სერგო სად არის? — მოუბრუნდა ხათუნას ზურია.

— წიფლისწყაროში წავიდა, შვილო.

— ველარ დაგიცადათ?

— სანამ ჩამოიყვანდეთ, საქმეს მოვაგვარებო. ბავშვები დააბინავე?

— კი, ზურიას უკან ჩამოტოვებული ეგნატე გაახსენდა, მაგრამ ამის ვარშემო რატომღაც არაფერი თქვა, — ბაბუას დვიძეს?

— ისე გაიღვიძა, შვილო, შენმა მტერმა!

თხილნარიდან ზაქარა გამოძვრა, თან კარგა მოზრდილი გაუსხებავე ტოტი თუ ძირეული ხე გამოათრია. მარგალიტამ ასანთი გაჰკრა. ხარებს ნორჩი ფოთლების გამაღიზიანებელი სუნი ეცათ და ურემი ააჰრიალეს.

— თფრჩა! დაკავდით, თქვე სამგლეე-ბო! — გონს მოეგო ფიქრში წასული ხათუნა.

— დაიჭი, ბიძია, ეს, — უთხრა ზურიას ზაქარა მკვდელმა, როდესაც ტოტი გასხება და თავიც წააჭრა, — მე ფრთხილად ავწევ ქვას, შენ კეტი ამოსდევ.

— მძიმე ლოდმა კეტის პირველ დაძვრებისთანავე იწყო წამოწევა. ზაქარამ მხარი შეუყენა ქვემოდან და კბილები დაკრიჭა ზურიაზე საყრდენი მოუნაცვლა კეტს. მთელი ლონით მიაწვა. ლოდი გაიმართა, უკან გადაიზნიჭა და ერთბაშად ყრუ ძლავუნმა შესძრა იჭურობა. ლოდი გამაყრუებელი ხათქახუთქით ჩაიჩეხა უფსკრულში.

— აბა ჰე, წავიდეთ! — ტანსაცმელ-შემოლანძღულმა ზაქარამ ქამარში გაიჩარა წალდი, — მოიტა სახრე, ხათუნა! ხარები დაიდრნენ. ხათუნა, ზურია და მარგალიტა აქეთ-იქით ამოუდგნენ ურემს.

— დამშეულები არიან ეს საცოდაეები, — თქვა ზაქარამ, — ლობე-ყორეს აწყდებიან.

პასუხი არავის გაუცია. ყველას ყურადღება ურემზე იყო მიჯკვეული.

ზაქარა წინ მიუძღვოდა ხარებს. აქ ზრამის პირას უნდა გაეგლოთ. ზაქარამ ხარები გააჩერა, თვითონ კი წინ წავიდა გზის დასახედავად, წუხანდელმა დვართქაფმა აქაც ხომ არაფერი გააფუქაო.

ხათუნა ურემის თვალთან იდგა და მოთმინებით უცდიდა ზაქარას დაბრუნებას. უცებ შენიშნა: ზეწარგადაკრებული საბნის ყური ზედადგარზე ჩამოცურებულიყო და ტალახიანი თვლის სოლებს ედებოდა. მაშინვე დაიხარა საბნის გასასწორებლად.

ზურიას მოეჩვენა, რომ დედამ შეჰკივლა. ალბათ, მარგალიტასაც იგივე მოეჩვენა, რადგან უმაღლე დაწინაურდა და ხათუნას მიაშურა. ქალს იქვე, ურემის თვალთან ჩამეშხლა და სუნთქვაშეგუბებული ჩუმად ტიროდა. მარგალიტამ ზედმეტად ჩასთვალა ნუგეშის ცემა საბანს თავად წაეტანა და სწორედ ამ დროს შემზარავი კივილი აღმოხდა.

ურემზე სპირიდონის ყინვასავით ცივი ხელი იყო გადმოკიდებული.

ერთ აღვილას გაქვავებულმა ზურია იმსე მწარედ იკბინა ქვედა ტუჩზე, პირში სისხლის გემო იგრძნო.

გულგახეთქილი ზაქარა მკვდელი ყვირილ-ყვირილით მოიჭრა ურემთან:

— უბედურება ხომ არაფერია, ხალხო?

ხათუნა გულზე დამხოზოდა მამას, მარგალიტა კი მოთქმით ტიროდა.

— ვაი, შენ ჩემო თავო! — ზაქარამ ქული მოიგლიჯა და ხელებში მოკმუნხა.

— ჩემო მამა... ველარაფერი გიშვე-  
ლე... — ჩურჩულებდა ხათუნა.

ურემი გაშლილ ადგილას გაიყვანეს  
და მოაბრუნეს. სპირიდონს აღარ სჭირ-  
დებოდა საავადმყოფო, საერთოდ, არა-  
ფერი აღარ სჭირდებოდა...

### თავი ორმოცდამეცხრამეტი

— პეტრეშა!

პეტრემ წაუყრუა.

— პეტრეშა!

პეტრემ საბანი ჩაიჭიმა კისერთან და  
შუბლით კედელს მიეზღინა.

— პეტრეშა, კაცო, დაყრუვდი?

— დაყრუვდი! — დაიღრინა პეტ-  
რემ.

— ვიღაცა მოთქვამს ქვევით, ადამი-  
ანო!

— აღარ მაცლი ახლა დაძინებას?

— რა დროს ძილია, კაცო, აშავდი,  
იქნება რა უჭირს მეზობელს!

— ჰირმა გადავაშენათ შენც და  
სიცი! — ბრავზმორეულმა პეტრემ საბანი  
გადაიგდო და უღვთოდ მოთელილ ლო-  
გინზე წამოჯდა, — ვინ მოთქვამს, გე-  
ლანდება?

— გამოდი და დაუგდე ყური! —  
ელუკიმ ქმარი ლოგინში დასტოვა და  
დერეფანში გავიდა, — იმანო, პეტრე-  
შა! — დაიძახა ახლა იქიდანაც, — ადე-  
ქი, ადექი, ნამდვილად მოკვდა ვიღაცა.

თუ მოკვდა, ბჭვე იყოსო, გაიფიქრა  
პეტრემ და ზანტად შეუდგა ჩაცმას-  
ორჯერ შეატრიალა-შემოატრიალა ხაკის-  
ფერი გალიფე-შარვალი, თათები ძლივს  
უპოვნა.

— შენ ეი! — დაუყვირა ცოლს, —  
მოდი აქ!

— რა გინდა? — ელუკიმ ფქვილით  
გაბუმბლული თავი შემოჰყო ოთახში.

— ამ სატიალეს როდის დააკერებ?

— გაინძერი, კაცო, ახლა მოგაგონდა  
ყველაფერი?

— მომაგონდა! — პეტრემ გიმნას-  
ტურა წამოიცივა და საყელოში თავი  
ამოჰყო, — რა დღეა დღეს?

— სამშაბათი.

— ფუ!

ელუკი გაკვირებული ეზიდატქერდა  
ქმარს.

— ჩლატები დავყარე საღაცა, — პე-  
ტრე შარვლის დილეგს იბნევედა, —  
გაინძერი რას მომჩერებხარ!

— რისთვის მეითხე, რა დღეაო?

— გკითხე და ამომამძვრე სული!

— პეტრეშა... ლალი დაგიმიწდეს თუ  
მომატყუო: ი ღვინო რისთვის გამოარ-  
თვი ზაქარას?

პეტრემ თვალები მოჰუტა და დაიჯ-  
ღანა, რასაც მხოლოდ მაშინ მიმართავ-  
და როცა თავის გასამართლებელი საბუ-  
თი ხელთ არ ჰქონდა.

— ჩემი გაუგებარი რა დარჩება, —  
ყოვლის მცოდნე მოსამართლის კილოზე  
განაგრძო ცოლმა, — გაჩუქებს, გგონია?  
— შენ ნუ ჯავრობ მაგას, მაჩუქებს  
თუ...

— კაცი ნემსში მახათს გამოვლის და  
შენ ღვინოს გაჩუქებს? რა ჯანდაბად  
გინდოდა, რისთვის წამოიკიდე ვალი?!

— ჩლატები მომეცი შენ, ვალს თავი  
დაანებე!

— რაფა, პეტრეშა, ამ ოჯახის ასავალ-  
დასავალი მე არ მეკითხება?

— ოჰ, ლალის ვახლავარი! — პეტრემ  
ლოგინზე წამომჯდარ გოგონას გაუ-  
ცინა და საჩხუბრად აფოფრილ ცოლს  
ზურგი შეაქცია, — გაიღვიძე, მამა?

თმაგაბურძგული ბავშვი თვალებს  
მჯიღებით ისრესდა და ამთქნარებდა.

— პეტრეშა, — ხმას დაუწია ელუკიმ,  
მაგრამ შიგ უფრო მეტი გესლი გამო-  
ურია, — შენ თუ აქანა ღრეობის გამარ-  
თვის აპირებ, იცოდე, ცოცხალი თავით  
არავის შემოვლუშვებ ბაკეში. წვითა და  
დაგვით ორად-ორი ინდოური გამიზრ-  
დია და ბავშვების ლუკმა სხვას გინდა  
შეაქამო?

— იწექი, მამა, აღრეა ჯერ, — პეტრე  
პატარას უღიმოდა და ხერხის მაგვარ  
კბილებს აჩენდა.

— ვის ვეუბნები მე, პეტრეშა? — გაწ-  
ბილებულმა ელუკიმ დოინჯი შემოიყა-



რა, — აქამდე რო არაფერს ვამბობდი, მაგიტომ დამიბრძოვე? ვაი, დედა, ჩინჩალაძის ქალო!

— ბზიკმა ხომ არ გიკბინა ამ დილას! — დამცინავად მოჰხედა ცოლს პეტრემ და თხელი ტუჩები, რომლებიც ჯერ კიდევ იღიმებოდნენ, ნელ-ნელა მოკუმა.

— მაგიტომ დამიბრძოვე, აქამდე რო არაფერს ვამბობდი? — ცოტა არ იყოს შეცბა ედუკი, — მაგიტომ წამომაძვექი თავზე?

— ვინ წამოგაჯდა, ქალო, რას მიდამოდები!

— იმას მაინც ვერ იტყვი, გაუგებელი ცოლი მყოლიაო.

— დიდი გაგებული მყავხარ! შენ ჩხუბის გუნებაზე ამდგარხარ დღეს. დამანებე თავი!

— აქეთ შემომხედე, აქეთ. თუ პირი არ გეწვის, თვალს რაზე მარიდებ!

— ჩლატები მომიძებნე, ის გირჩევნია. დაწეკი, შამა, მაგას უყურებ? მაგან აგრე იცის სულ!

— ეჰ, რა გაეწეობა, — ედუკიმ ფევილიანი ტომრის უკან მიმალული ჩლატები იპოვნა და ქმარს ცხვირწინ დაუყარა, — ისე კი, მე ედუკი არ მერქვას, ჩინჩალაძის ქალი, თუ არ გაზანაო!

— გესმის, რას მეუბნება? — უმისამართოდ იკითხა პეტრემ, — მე უნდა მაზანაო, შე დაჯარდნილო?

— მოცილიდი ბოვშს, არ კირდება მაგას შენი მოფერება!

— ი! — პეტრეს გულმა რაღაც ავის მომასწავებელი უგრძნო და ყიყვი აუთამაშდა.

— გიკვირს, განა? — ღრმად ჩამარსულმა ზიზღმა და მძულვარებმა გადმოხეთქა ედუკის თვალებიდან, — მუნჯიას რო გვერდში მოუწეკი, მაშინ არ გიკვირდა? ფუ, შენს კაცობას!

პეტრემ ფურთხი მოიწმინდა და გაშტერდა: ედუკისაგან ყველაფერს მოელოდა, ამას კი არა.

— ადი, ააკითხე, წუხელ საღამოს

გადმოგიყვანა ელეფთერმა, ვერ შეღვეიან შენს ნაკაიკაცევს.

— რას ამბობ, ქალო?!

— გეგონა, არ ვიცოდი?

— ეგ თუ ბარუსის მოგონილი არ იყოს, თავს მოვიჭრი!

— თავი აქამდე უნდა მოგებრა, მარავინ გაყვდა პატრონი, — წითელსარჩულიანი დაკონკილი საბანი ედუკიმ კედლისკენ მიადგო და ნაადრევად გამოღვიძებული ბავშვი ფეხზე წამოაყენა, — უნამუსო!

— დაველავ ჩემი ხელით! — პეტრეს თვალები გაუჩერდა, მერე უცებ ადგილს მოწყდა და ჯერ კიდევ ფეხბაუცმელი კარს ეცა.

— სად მიხვალ? — მოასწრო ცოლმა, მაგრამ პეტრე უკვე დერეფანში იყო,

— პეტრეშა! ვაი, შენ გაგიწვრა ჩემი გამჩენი!

ლალიმ ტირილი მორთო. ქალმა თავი გაანება ბავშვს და ქმარს გამოუღდა.

— პეტრეშა, სად მიხვალ, კაცო, აღარ გეყურება ადამიანის სიტყვა?

პეტრე ტყრულულ ღობეს მივარდნოდა და მთელი ძალღონით არყევდა აქეთ-იქით.

— რას ერჩი ღობეს, ახლა სახლი ჩამოგაქციე თავზე! — დაიძახა ქალმა.

პეტრემ სარი მოტეხა და გაცოფებულნი მიიჭრა ქიშკართან.

— სად მიხვალ, სად, შე არდასაცალებელო?! — ედუკი ქიშკარში იღგა,

— დაბრუნდი უკან! დაბრუნდი უკან, მე შენ გეუბნები!

პეტრე ქშინავდა, ნიდაყვებით ცდილობდა ცოლის ჩამოცილებას.

— გაჩერდი, კაცო, სად მიდიხარ, რამ გადაგრია!

— მაგის სამასხარაო ვარ მე? მაგის ის ვარ მე? — ბრდღვინავდა პეტრე.

— დაბრუნდი უკან! გაჩერდი, მე შენ გეუბნები!

ლიად დარჩენილ კარში პერანგწამობილი ლალი გადმომდგარიყო და ქიშკართან ამტყდარ გაწამაწიას დაფეთებული უყურებდა.

— ყოველთვის შენ დამიდგები წინ? არსად შემხედება? დედას ეუბნებ? — ბობოქრობდა პეტრე.

სად იყო და სად არა, გზაზე ფეხისხმა გაისმა.

— ჩუმაღ, შე დასამიწებელი, საქვეყნოდ მაინც ნუ გამომიყვანი — წაიჩურჩულა ედუკიმ და ქმარს მჯიღი ჩასცხო ფერღობი.

ის ეილაჲ ფიცრულ ჭიშკართან გაჩერდა და მგონი ყურს უგდებდა მიროტაძეების ეზოში ატეხილ აყალმაყალს.

— შენ მაინც გაჩუმდი, დედა, ლალი — მტრალ ბავშვს მოუტრიალდა გაცეცხლებული ედუკი და პეტრეს კეტი გამოსტაცა ხელში.

— პეტრე! — გაუბედავად დაიძახა ეილაჲმ ჭიშკრის უკან.

— ბატონო! — შეეხმიანა ედუკი და ოჯახის შემარცხენელი ქმარი უკან მიავლო.

— უიმე, ამას ვის ხედავს ჩემი თვალებში — გულწრფელად აღმოხდა ჭიშკრის გაღებისას, — პორფილე, ჩემო ძამიკო!

პეპიჩა, რომ იტყვიან, მოკვდა და აღარ დარჩა: გზაზე მართლაც პორფილე ჩინჩაღაჲ იდგა და საჩხუბრად ალუსილ ცოლ-ქმარს ოდნავ შუბლშეკრული მისჩერებოდა.

— ასე რანაირად მოგვეპარე, ბიჭო? — ლიმილად დამდნარმა ედუკიმ სანატრელი სტუმარი ჭიშკარშივე გადაჰკოცნა, — მობრძანდი, მობრძანდი!

— გამაჩჯობა, პეტრე! — პორფილემ ჩემოდანი დადგა და საქციელწამხდარ სიძეს, რომელსც ცოლისამებრ ნაუცბათევად ვერ მოესწრო არეული გუნების გამოკეთება, ხელი გაუწოდა.

— დედა, დედა, მოგვეპარა თავი, ფეხშიშველი ყოფილა ეს ოხერი! — შეიცხადა ედუკიმ და რათა სტუმარი აღარ შეეწუხებინა, მძიმე ჩემოდანს თავად დასწვდა, — ლალი, შეილო, გადმოუყარე მამაშენს ფეხსაცმელები!

გაოცებული ლალი სლუჟუნ-სლუჟუნით მიიმალა კარს უკან.

— მობრძანდი, — როგორც იქნა ამოიდგა ენა პეპიჩამ და შეწუხებული სტუმარს წინ გაუძღვა. *ხიზლინიშენა*

— რაღა, ქე წაეჩხუბე თუ? — პორფილემ, ეტყობოდა, ამჯობინა თქმა — ზოგი რამ გავიგონეო და დაწინაურებულ პეტრეს ზურგს ნაძალადევად გაუღიმა.

— წაეჩხუბე? — ედუკი მიუხედა, — მომკლა, იმანო, პორფილე, გამათავა, აღარ მიდგია სული. მაგას ვდიო თუ ოჯახს მივხედო რაღაცა ეშმაკად მეზობლის ღორი შემოპარულა ბოსტანში. კელები მოუსარგალებია. წამოავლო ხელი, იმანო, კეტს და მირბოდა — უნდა მოგვლო. აგერ, აგერ, აქეთ მოვეუაროთ, წყალი გადმოვაქციე ამ დილას და ამისთანა შეჩვენებულია. ლალი, შეხედე, დედა, ვინ მოვიდა!

— ლალია ეს? — კარის ღირებე ატუზულ ნამტრალევე გოგონას დაჰხედა პორფილემ და ხელა მოჰხვია, — რამხელა გაზრდილა!

— აკოცე, გოგო, ბიძაშენია, პორფილე ბიძია.

პორფილემ თვითონ აკოცა პირდაუბანელ ბავშვს და მოუსვენრად გაიმართა.

— სად გაქრა ის! — ქმარი მოიკითხა ედუკიმ, — პეტრეში!

— რა გინდა!

— გამოდი, კაცო, სკამი აღირსე ადამიანს. მეც რას ვგავარ, ღმერთო კი მომკალი, ამისთანა არეულობაში მოგვისწარი, იმანო, პორფილე. აგერ დაჯექი, შემოგველე, ა, ხელათ მივალაგმოვალაგებ აჭაურობას. რაღაი მოდიოდი შე კაცო, ბარემ თალიკოც წამოგყვანი.

— სკოლას ვერ მოვაცდინე, — დაღვრემილმა პორფილემ, რომელიც სულ სხვა ფიქრებში იყო გართული, ძირს დაიხედა.

— პო, ეგეც არის, — უმალვე დაეთანხმა ედუკი, თან გამომცდელად ზვერავედა სტუმარს, — გაიზრდებოდა.

— კი, დილია.

— უბედურია!

პორფილემ მხრები აიჩეჩა და თავი ჩაღუნა.

— რას შერება ახლა ამდენ ხანს ეს კაცი — ცნობისმოყვარეობით აღგზნებული ედუკი ერთ ადგილას ველარ დაკავებულიყო, — იმანო, პეტრეშა!

— რა გინდა!

— ჩქარა ქენი, შე კაცო, გამოგვხედვ გარეთ.

— ლობესთან ვაშლები გედგათ, მახსოვს, — უხალისოდ დაიწყო პორფილემ.

— გახსოვს? — გამბროცხლდა ედუკი, — უყურე! კიტრა ვაშლები გვედგა კი. დავჭერი, ძამია ისე, მართალი ვითხრა, — თითქოს დიდ საიდუმლოს ამხელსო, ქალმა ხმას დაუწია, — აღარც აღარაფერს ისხამდა. აედექი და ძირში მოვაჭრევინე პეტრეშას. მაგ ვაშლების შეშამ გაგვატანინა მთელი ზამთარი. მართლა, რამდენი ხანი იქნება, იმანო, პორფილე, რაც შენ აქ აღარ ყოფილხარ?

— ლალი გყავდა პატარა, ძუძუს წოვდა.

— ძუძუს ახლაც ქე წოვს ეს არდასაცალებელი!

— მართლა, ვოგო? — პორფილემ დარცხვენოდ ბავშვს მოჰხედა და გაიღიმა.

— პეტრეშა!

— მოედვიარ, პო, რამ ვადაგრია!

— ძლივს არ მოვესწარი თ ამის მოკაზმვას? — სტუმარს თვალი ჩაუკრა ქალმა.

— ძალიან მოკაზმული ვარ, შენმა გახარებამ!

— მე მამბრალი თუ? — ჩახმახივით შემართულმა ედუკიმ დოინჯი შემოიდგა, მაგრამ წამსვე გაახსენდა, მარტო რომ არ იყვნენ და პირზე კვლავ დაშაქრული ღიმილი მოიფინა, — ეჰ, ძნელია, ძნელი, ჩემო პორფილე, ცხოვრება.

— უშანგი სად არის? — იკითხა სტუმარმა.

— უშანგი? იმას მოუკვდა დედამისი. მთაშია.

— მთაში?

— ხო, მწყემსებს გაეყოლებო.

— აღარ სწავლობს?

— ვერ ქნა, იმანო, პორფილე, რამდენი ვეჩინინეთ, მარა...

პეტრეს ტილოს ჩაშვებული შარვალი და ხამის გიმნასტურა ეცვა. გიმნასტურას საყულო გვერდზე ჰქონდა მიკერებული და შავი დილების მწყრივი სწორედ იმ ადგილას ჩამოსდევდა, სადაც მარჯვენა გულსჯიბე უნდა ყოფილიყო. პეტრეს ღირსეულად ექირა თავი. ბალთიანი ქამრის გასწვრივ დაყრილ წვრილ ნაოჭებს წამდაუწუმ ისწორებდა.

როდესაც ქმარი დერეფანში დაიგულა, ედუკიმ ერთხანს კიდევ იტრიალა კაცების შორიახლო, მერე ბოდიში მოიხადა და ოთახში შევიდა, რათა, სანამ სტუმრის საკადრის სუფრას გაშლიდა, სახელდახელო საუზმის თადარიგი გაეწია.

მარტო დარჩენილი პეტრე და პორფილე ნაძალადევად გადასწვდნენ აქეთურ-იქეთურს. ეზოში გაიარ-გამოიარეს. პორფილე ნამეტურ სიტყვაძვირობდა. მასპინძლისათვის ერთხელაც არ გაუსწორებია თვალი.

„რაგა კუდიანივით მივხვდი, — ფიქრობდა მიროტაძე, — მართლა სამშაბათ დღეს არ ჩამოვიდა?“

— პეტრე, — უეცრად დაიწყო სტუმარმა, როცა ბოსტნის ალაგესთან ლონაშოს ქვეშ გაჩერდნენ, — ხათუნა ხომ არსად გინახავს ამ ორ დღეში?

— ვნახე, აბა! — პეტრე კარგა ხანი იყო მოელოდა მინდელის ქვრივის ხსენებას და ყურები სცქვიტა.

პორფილემ წკირი წაატეხა ლობეს და ალაგეზე ჩამოჯდა. ძნელი მისახვედრი არ იყო: უჭირდა სიტყვის გაგრძელება.

— სპირიდონია აქ, — საიდუმლოსავით გაუმყდავანა პეტრემ.

— ვიცი, — პორფილე სადღაც განზე იყურებოდა და თითხა და თითხ შუა მოქცეულ წკირს ამტვრევდა.

— გინდა ნახო? — შეაპარა მიროტაძემ.

პორფილემ თავი გადააქნია.

— აქ ისე ამბობს ხალხი, სპირიდონი ქალის საპატრონოდ ჩამოვიდაო.

— რავე, საპატრონოდ? — სტუმარმა მოიხედა.

— ეე, — თვალი თვალში გაუყარა მიროტამემ და ჩაფტკენილი კბილები გამოაჩინა — მე რას მიმაღავ, შენ გგონია არ ვიცი?

— რა უნდა იცოდე?! — პორფილე გაწითლდა.

— ერთი სიტყვით, შენი ხმალი და ჩემი კისერი — რაეარც დაგვირდე, ისე წინსახურე!

— ოღონდ ელუკის ნურაფერს ეტყვი ჯერ...

— მაგის ჯავრი გაქვს?

— სპირიდონი... დავითანხმე. ახლა ხათუნაზეა საქმე.

„მართალი ყოფილა! ეშმაკივით მიეხვი: მართლა საქმის მოსაკვარაბჭინებლად ჩამოსულა ი ბებერი!“ — გაიფიქრა პეტრემ.

— ხათუნა უნდა შემახვედრო, — დაასრულა სტუმარმა და, ეტყობოდა, გულზე მოეშვა.

— ახლავე?

— მე მგონია საღამოს აჯობებს.

— ერიდები ვისმე თუ?

— ჯერჯერობით მოსარიდებელია. რა ვიცი, რა გუნებაზე შემხვდება.

წამით სიჩუმე ჩამოეარდა. გარინდებული პორფილე ამწვანებულ ბოსტანს გადაპყურებდა. უცებ დერეფანში ლაღიმ დაიძახა.

— რა ბჟო, მამა? — შეეხმინა შეილს პეტრე.

— დედამ თქვა, მოვიდესო.

— პორფილე, წამოდი შენც, აქანა ხომ არ იქნები.

— თუ ღმერთი გწამს, ელუკისთან არაფერი წამოგვდეს.

— სად არი, გოგო, დედაშენი? — მიძახა ბავშვს პეტრემ და თქარათქურით გასწია ქოხისკენ.

— ლობიანებს აცხობს.

პატარა ლალი კარის ზღურბლზე იჯ-

და, მუხლებზე ნაწნავების გასაქრავი ჭრელ-ჭრულა ქინძები დაეყარა და ხის წმინდა სავარცხლით ქერა თმას იწიწიქნიდა.

— გაიწი იქით! — დაუღრინა პეტრემ, — ელუკი!

— წყალი წამოიძვანე, იმანო, პეტრე, ხელებს გადავიბან, — ოთახიდანვე მოაძახა ცოლმა.

პეტრე კართან მიდგმულ სველ ჩაფს დასწვდა და ნახევრად ბნელ ოთახში შეიტანა, სადაც წყვილ მუგუზალივით ანთებულიყვნენ ცნობისმოყვარე ქალის თვალები.

— რავე არი საქმე? — ხმამალღი ჩურჩულით ჰკითხა ქმარს ელუკიმ.

— რავე იქნება?

— თქვა რამე?

— მაგას მიხედე შენ! — პეტრეს ჯერ კიდევ არ გამონელებოდა დილანდელი დეარძლი და, ჩვეულებისამებრ, ცოლს გაღმა ედავებოდა.

— თავი ნუ მოგიკვდება, მითხარი! — ჩააცივდა ფეხელში მეწისქვილესავით ამობუმბულული ელუკი.

— ღვინო ჩამოვასხა?

— იმე, აპა!

— ზაქარასეული?

— ეგნატეს ღვინოც კაია, მარა პატარა პეე აქვს მოკიდებული.

— ზაქარასეულს ჩამოვასხამ.

— აგრე ქენი რაო მაინც, არაფერს ამბობს?

— სპირიდონი გამოუგზავნია შუამავლად.

— ვისა, კაცო? — განცვიფრდა ელუკი.

— ვისა და მამაჩემს, ბივენტის! — პეპიჩამ კბილები დაკრიჭა და წვრილი თვალები დააკვესა, რითაც, თუკი საქიროება მოითხოვდა, შიშის ზარს სცემდა ხოლმე ცოლ-შვილს.

ქალმა მეტი ჩაციება ვეღარ გაბედა, ნაცოშარი გობი სოხანეზე ჩამოდგა და ჩაფს პირი წაუქცია. პეტრე ბოთლებს აწკარუნებდა კედლის განჯინაში, ბოლოს სკამი მიიდგა და ზედა თაროდან

ალაგ-ალაგ კუბრით მოსვრილი ძაბრი ჩამოიღო.

თავი მესამე

მარგალიტა მონანგარიშემ ორჯერ ზედინზედ დაიძახა მიროტაძეების ჭიშკართან. მიროტაძეები საუზმეს უსხდნენ და ძახილი არ გაუგონიათ. ედუკი დროდადრო წამოდგებოდა ხოლმე, სუფრას ხან წნილს, ხან გაზეთის ქაღალდის ხელსახოცს და ხანაც თხლად დაჭრილ ყველს მოუმატებდა. პეტრე ლაზათიანი მჭამელი იყო. არც ახლა დაუკლია ხელი, დამშუულ საქონელივით ბალახობდა, გათლილ ჭიქაში ჩასხმულ წითელ ღვინოს საჩვენებელა თითით პეკს აცილებდა, სველ თითს შარვლის ჯიბეზე მისევ-მოსივამდა და სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე სვამდა. სტუმარიც ცდილობდა აყოლას, მაგრამ მასპინძლის მხიარულება ვერ იქნა, ვერ გაიზარა. ლუკმა ყელში არ ვადადიოდა, ღვინო კი მომეკეთო იყო და აშმორებული თიხის გემო დაჰკრავდა.

ყველაზე ადრე ისევ სახეგაციისკროვნებულ ედუკის მოესმა მარგალიტას ძახილი. ამ ქალს — ედუკის კარგი ნათესაობა ჰყავდა ქვემოთში და, როდესაც რომელიმე ახლობელს გვერდით დაიგულებდა, საკაურლებში, თვით პეტრეს წინაშეც კი თავი მოჰქონდა, დახე, რა ხალხის სახლიშვილი ვარო.

— ჩუ, ვილაცა იძახის! — ახლად დაწყებული სადღეგრძელო შეაწყვეტინა ქმარს ქალმა და წამოდგა. დედასავით ცნობისმოყვარე ლალი, ჩვეულებისამებრ, პირველი გაიქცა კარისაკენ.

— ედუკი! — მოისმა კვლავ.

— ჩქარა, ქალო, ვინ ეშმაკია, ლუკმას აღარ შეარგებენ კაცს! — გაწყრა პეტრე და საესე ჭიქა, რომელიც ცოლის თანდასწრებით უნდა გამოეცალა, სუფრაზე დადგა.

— ვინ იძახი? — დერეფანში გამოსვლისთანავე გააგრძელა ედუკი.

— მარგალიტა ვარ, მარგალიტა, მო-

დექი ერთი აქეთ, თუ არ გეზარება.

— მობრძანდი, იმანო, მარგალიტა, გამოყავი ხელი ჭიშკარში.

ქალმა მართლაც გამოყო ხელი და ჭიშკარი გააღო.

— სტუმარი დაგვეცა მოულოდნელად და კი ველარ გამოგხედე დროზე, — მიეგება ეზოში შემოსულ მეზობელს ედუკი.

— პეტრე წასულია? — სასწრაფოდ იკითხა დაღვრემილმა მარგალიტამ.

— აგერ არი ეგ სამიწე-სტუმარი გვეყავს და ხომ ვერ მიატოვებს დღეს. მობრძანდი, შენც დაგვეწვიე.

— წიფლისწყაროში ვინ წავიდა აბა?

— რაზე?

— ყინულია გადმოსატანი.

ყინულია გადმოსატანიო? ედუკის გააფრეოლა, რადგან ეს ამბავი ცუდად ენიშნა. მერე უცებ რაღაც გაახსენდა და ლოყაზე ხელი შემოირტყა.

— ტირილი მომესმა ამ დილას. მე უბედურს სულ გადამვარდა გულზე. ხომ არავინ მომკვდარა, ქალო, ჯვარი აჭაურობას!

— რავა, არ გაგიგიათ? — მოსულს უცხო ნაპერწყალი გაუერთა თვალეზში.

— ჩვენიანი ხომ არავინ არის?

— საწყალი სპირიღონი მოკვდა, ყანჩაველი, ხათუნას მამა.

— უიმე, რა მითხარი ეგ! — თავისდაუნებურად დაშოშმინდა ედუკი, — პეტრეშა როდის, რანიარად, ქალო?

— წუხელ ღამ.

— დედა, ღმერთო, ჩვენ სად ვიყავით ნეტა, რატომ ვერაფერი გავიგეთ, — ხმამაღალი ვიწვიშითა და მუხლებზე ხელების ცემით ედუკი რაღაცის გამოსწორებას ლამობდა, — პეტრეშა, კაცო, გესმის? გამოდი გარეთ!

პეტრეს ცოლის ვიწვიში გაეგონა და დამდურულივით გამოვარდა დერეფანში.

— ვაი მის მოსწრებას, ვაი საწყალი ხათუნას მოსწრებას, ეს რა შავი დღე ვასთენებია! — მოთქვამდა ედუკი.



პეტრე გაოცდა, როდესაც ცოლი ამ ყოფაში დაინახა.

— რა გაყვირებს, ადამიანო?!

— რალა რა მაყვირებს, პეტრეშა, რალა რა მაყვირებს, საწყალი სპირიდონი მომკვდარა...

— ვინ სპირიდონი? — პეტრეც, ალბათ, უარესს მოელოდა და ლეინონასვამი ერთბაშად გონს ვერ მოეგო.

— ვინ და ყანჩაველი, ხათუნას მამა ვუი-ვუი-ვუი!

— სპირიდონ ყანჩაველი მომკვდარა? — პეტრემ საკუთარ ყურებს ვერ დაუჯერა. — ვინ გითხრა, ქალო?

— აგერ მარგალიტამ მოიტანა ამბავი.

— მართლა თუ? — პეტრემ ახლალა დაინახა ჭიშკართან ატუზული ქალი, — შენ ვინ გითხრა, მარგალიტა?

— ვინ მეტყოდა, წუხელ მთელი დამე თავზე ვადექი.

— აუჰ! — დაიძახა პეტრემ და შუბლში ხელი იტყია, — პორფილე!

კარის ზღურბლზე ფერნაკრავი ჩინჩალაძე გადმოდგა.

— მომკვდარა, კაცო, ის...

პორფილე გაშრა, მასპინძელს უაზროდ მიაჩერდა.

— სპირიდონი... — თვალი თვალში გაუყარა პეტრემ.

ჩინჩალაძეს სახის გამომეტყველება არ შესცვლია, მხოლოდ კირით შეფეთქილ კედელს მიაყრდნო მხარი და ასე დარჩა.

— წიფლისწყაროში არავინ წასულა ნეტა ჯერ? — წუთით ჩამოვარდნილი სიჩუმე ისევ მარგალიტამ დაარღვია, თან ნამალევად ზეერავდა მიროტაძეების სტუმარს, — თუ არავინ წასულა იქნება ახლავე წახვიდე, პეტრე, შენ გენაცვალე, ყინულია გადნოსატანი.

— ფუ, რა ვუთხარი მე კაცის ცხოვრებას! — გულწრფელად შეწუხებულმა პეტრემ ქვედა ყბა მოისრისა და თვალი მიწას გაუშტერა, — ეს არი საქმე? იწვალე, იწვალე და — არაფერი!

— შუბლზე სწერებია იმ საცოდავს,

ეს ყოფილა იმისი ბედი! — მოთქვამდა ელუკი.

— მივდივარ მე, პეტრე, — ჩაუბრო მარგალიტამ, — ვიქონიოთ შენი იმედი?

— ხარებით წავიდე? — მიუბრუნდა ცოლს პეპიჩა.

— იქნება ცხენი გეშოვა სადმე, ვინ დაგიკავებს ამისთანა დროს...

— შენ რას იზამ, პორფილე, აქ დარჩები?

— დარჩება, პო, აბა სად წავა ახლა! მარგალიტამ ჭიშკარი გაიხურა.

— იპ, რა ვუთხარი მე კაცის ცხოვრებას! — პეტრემ ხელი ჩაიქნია და საგარეო ჩაბალახის მოსაძებნად ოთახში შევიდა.

— იმანო, პეტრეშა! — დაადევნა ქალმა, — ხათუნას გაუარე, იქნება სხვა რამეცა აქვს დასაბარებელი.

პეტრემ ზინთიანი ლეიბის ქვეშ იპოვნა დამკუმუნული ჩაბალახი, სინათლეზე გაჰყვდა-გამოჰხედა, ჩუმად შეიგინა და როცა დარწმუნდა, ამის უთობას ღიდი დრო დასჭირდებო, კეფაზე ნაბდის ძველა წამოიკოსა.

— პეტრე, — წასჩურჩულა პორფილემ დერეფანში გამოსვლისას, — ერთ წუთს დამიცადე ჭიშკართან, სიტყვა მაქვს...

კაცებმა ჭიშკარი გაიარეს და იქ, გზაზე, კარგა ხანს იდგნენ.

„მე რას მიმალავენ, — ფიქრობდა ლობესთან მიყურადებელი დიასახლისი, — ვითამ ჩემი გაუგებელი დარჩება რამე?“

— ელუკი! — პეტრემ ჭიშკარი შემოაღო და თავი შემოჰყო, — პიჯაკი გამოუტანე პორფილეს!

— უიმი, ეგეც მოდის თუ? — გაიოცა ნამტირალებმა ქალმა.

— ჩქარა, ჩქარა!

ელუკიმ პიჯაკი გამოატუსტუსა და ქმარს მიაჩნია.

— სად მიგყავს მაინც, არ უნდა ვიცოდე?

— ახლავე მოვალ, დაია, ელუკი, პეტრეს გავეყვები ცოტაზე, — ლობივი-



რად მიუგო ქალს პორფილემ და შავი პიჯაკი მკლავზე გადაიდო.

### თავი სამოცდამეერთი

იმ დღეს გასაკეთებელი საქმე ახლო მეზობლებმა საღამო ეამზე მოითავეს, შინ წასვლის წინ ჭირისუფალს დაინახენ და სათითაოდ გაიკრიფნენ მინდვლების ეზოდან. ხათუნასთან მხოლოდ ორი მეზობლის ქალი დარჩა ღამის გასათევად.

მიცვალებული ჯერ კიდევ ლოგინში იწვა, გულზე ხელებდაჭდობილს თავით ფეხამდე თეთრი ზეწარი ეფარა.

ჯავრით გათანგული ზურია შორიახლო გაუღვიდა ხოლმე ოთახის მოხურულ კარს. ვერც ერთხელ ვერ გაბედა კარის გაღება და ოთახში შესვლა-გონა, ყველა მე მიუყრებს და ხედება, იქ შესვლა რატომაც მინდაო.

ბიჭს ცალკერძ ზარავდა მიცვალებული წარმოდგენა, ცალკერძ ცნობის-მოყვარეობას ვეღარ უძალიანდებოდა. გარდა ზეწრისა, ბაბუას თავდაღმა დამხობილი საცერი ეფარა პირისახეზე. ზურიას არ დაუნახავს, როგორ ეფარა, მაგრამ იმას კი მოატანა თვალი, როგორ შეიტანა მართა ბებიაჲ საცერი და უკან ხელცარიელი გამობრუნდა.

ზურია ვერ მიხვდა, საცერი რა საჭირო იყო, კითხვით კი ვის კითხავდა. ვილაცამ თქვა, კატა თუ სადმე დაინახოთ, ეზოში არ გაიჭაპანოთო. ზურიას სულ კატის კნავილი უდგა ყურებში. ზოგჯერ ისე ცხადლივ ჩაესმოდა ხოლმე ძუძუთა ბავშვის ტირილის მსგავსი ხმა, რომ დაფეთებული მიიხედ-მოიხედავდა და კატას ეძებდა.

საღამოთი, როცა ყველა წავიდ-წამოვიდა და მგლოვიარე დედა-შვილთან მხოლოდ ორი შუაუბნელი ქალი დარჩა მიცვალებულის ოთახში ღამის გასათევად, ხათუნამ დერეფნის ბოტთან ატუხული ზურია დაინახა და ჩრდილივით უხმაუროდ მიუახლოვდა.

— გეძინება? — ჩურჩულით ჰკითხა

დედამ შეიღს, — წადი ბიჭებთან, ცოტა დაისვენე, ხეალ ბევრი საქმეა გასაკეთებელი.

— შენ მარტო დაგტოვო? — ზურიას ყელში გორგალი მოაწვა, რადგან ამ დროს დედის თბილი ხელის შეხება იგრძნო.

— რა მიჭირს, მარტო ხომ არა ვარ.

— შენც წამოდი!

— შერე ბაბუა?

— ბაბუა მკვდარია, — ზურიას გააერკოლა. ეს ის ორი სიტყვა იყო, რომელიც მთელი დღის მანძილზე თავში უტრიალებდა და მხოლოდ ახლა წამოცდა ხმამაღლა, ისიც დედის თანდასწრებით.

— არ გეცოდება? — ჰკითხა ხათუნამ, თითქოს ამით საყვედურს ეუბნებო, შეიღს თბილი ხელი მოხვია და ყვრი-მალით მხარზე მიეყრდნო.

— მე შენ მეცოდები! — გული აუჩუყდა ზურიას.

— აწი ჩემი ჯერია, — ფიჭრიაანდ თქვა ხათუნამ, — ჩემი ჯერიც მოვა. შენ და ბიჭები დარჩებით. ვიღრე ბაბუა ცოცხალი იყო, მე არაფრის არ მეშინოდა, არც სიკვდილის და არც არაფრის. ახლა მეშინია...

— შენ ახალგაზრდა ხარ, დედა!

— როცა მე აღარ ვიქნები, შენც აგრე შეგეშინდება. აქამდე არ ვიცოდი, სიკვდილი რა იყო. ახლა ვაპიგმ!

— მამა? — ზურიაჲ სახე მიაბრუნა და დედის ცხელ შუბლს ლოყით შეეხო.

— მამა... — ხათუნა მგონი სიზმარში ჩურჩულებდა, — მამას ტყვიით მოუსწრაფეს სიცოცხლე. თავისი დლით არ მომკვდარა. ის სხვა სიკვდილია.

— გაჩუმდი, დედა, გეხევეწები.

— გავჩუმდები, — მორჩილად თქვა ბედს შერიგებულმა ხათუნამ და თავი ასწია, — ოღონდ შენ წადი და დაიძინე.

— ცოტა ხანს ვიქნები.

— გახედე, ვილაცა მოვიდა, — ხათუნას თვალები მოეწყურა და ჭიშკრისა-

კენ. იყურებოდა, — გახედე, შვილო, ხომ ხედავ, ვერ გააღო.

მოსული მართლაც აწვალებდა ჭიშკარს. ზურია ეზოში გავიდა და მალე ჭიშკართან გაჩნდა.

— ვინ არის? — ჰკითხა ხათუნამ შვილს, რომელმაც მოსულს დერეფანში შემოასწრო.

— ვილაცა კაცია.

ხათუნას აღმურმა აღუარა სახეზე, მაგრამ ფეხი არ მოუცვლია. დერეფანში სახელდახელოდ გამოყვანილი სინათლე ენთო. ხათუნა ნათურის ქვეშ იდგა და ეზოში დინჯად მომავალ ლანდს თვალს ადევნებდა.

„ღმერთო... — გაუელვა უცებ და კინალამ შეჰკივლა, — ის არის!“

პორფილე ჩინჩალაძე ორიოდ ნაბიჯის მოშორებით გაჩერდა. შავ თმაზე ხელი მძიმედ გადაისვა და გაქვავებულ ქალს დააკერდა. ხათუნამ მეტს ვეღარ გაუძლო, ტუჩები მოკუმა და სახეზე ხელები აიფარა. როდესაც კაცი განათებულ დერეფანში შემოვიდა, ქალი ყრუდ, ძლივს გასაგონად ქვითინებდა.

— „ალბათ, მამას ნათესავია,“ — გაიფიქრა ზურია.

მიცვალბულის ოთახიდან ლამის მთველებმა გამოიხედეს — ასე გვიან ვინ მოვიდა სამძიმარზეო.

პორფილეს გულხელი დაეჭდო და სოხანეს ჩაშტერებოდა.

ხათუნას გული ამოუჯდა. ამ წუთამდე გაკერებული იყო: სხვათა დასანახად ერთი ცრემლიც არ გადმოუვლია. ახლა თავშეკავებამ უღალატა და მწარედ დასტიროდა ვინ იცის, ვის — მამას თუ თავისთავს...

— კარგი, დაწყნარდი, — ძლივს დასძრა ხმა პორფილემ, — რა გაეწყობა...

უცნობის წრფელმა კილომ და მწუხარებამ ზურია უმაღლ მოისყიდა. ამ ადამიანისადმი არაჩვეულებრივი სიახლოვე იგრძნო. კარში ჩამდგარი ქალები რაღაცას პუტუნებდნენ, მაგრამ ზურიას არ გაუგია, კერძოდ, რას, რადგან უცნობის ვინაობის გახსენებას ლამობდა და ვერ გაეხსენებინა.

პორფილე ოთახში არ შესულა, რადგორც სხვები; მხოლოდ თვალის ერთი გადაკერით შეათვალიერა ის კუთხე, სადაც მიცვალბული ესვენა.

ქალებმა მოისაზრეს — სკამი გამოუტანეს მოსულს. პორფილე იჯდა და თავიჩინდრული მუხლებს ნიდაყვებით დაეყრდნო.

ხათუნა უკვე აღარ ტიროდა, კვლავინდებურად ნათურის ქვეშ იდგა და შავი თავსაფრის ყურით აბზინვებულ ლაწვებს ისრესდა. ბოლოს კაცს წინ გაუარა, ოთახში შევიდა და მერე იქიდან აღარ გამოსულა. ზურია და პორფილე მარტო დარჩნენ დერეფანში. რადგან ლამის მთვეული ქალები ხათუნას ვეღარ შორდებოდნენ. ზურიას ცოტა არ იყოს უცნაურად მოეჩვენა დედის საქციელი. ბიჭის აზრით ხათუნა უმადურობას იჩენდა „ამ კაცის“ მიმართ.

„ალბათ, შორიდან მოვიდა, — ფიქრობდა ზურია და დროდადრო შეფარულად ზეერავდა სტუმარს, — გათენებამდე ასე ხომ არ იქნება!“

ირგვლივ სრული სიჩუმე იყო. საწინახლის ინდურზე მიკნუქული ზურია ბურანმა წაიღო, მაგრამ უეცრად კატის გაბმულმა კნავილმა შეაკრთო და ზეზე წამოაგდო. კატის კნავილი შეწყდა. მოჩვენება თუ იყო...

მამას ნათესავი, ზურია ამ ასე მონათლა გულში პორფილე ჩინჩალაძე, კვლავ გაუძრევლად იჯდა მუხლებზე ნიდაყვდაყრდნობილი. ნათურა სწორედ მის ასწვრივ ეკიდა დამკილულ ქილიშზე და კაცის წინ გადახრილ თავსა და მხარბუქს ზემოდან ანათებდა. სახეს ოდნავ ჰედარამერეული თმის ჩრდილი ადგა და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს კაცს ეძინა.

— ბიჭია, — ზურია ამ გამბედაობა მოიკრიბა და წასჩურჩულა პორფილეს.

ჩინჩალაძეს როდი სძინებოდა. ბიჭმა მიახლოებისთანავე დაინახა ფართოდ გახელილი თვალები, რომლებიც უმიზ-

ნოდ გაშტერებულიყვენ და არავეითარ აზრს არ გამოჰხატადნენ.

— იქნება მოსვენება გინდა, ბიძია, ზაქარა მჭედლისას ძაყუები.

— არა, მე წავალ, — გადაწყვეტილად თქვა კაცმა და საულვაშეაღინდლული ბიჭი თითქოს ახლა დაინახა პირველად, — შენ ხათუნასი ხარ?

— კი.

— რომელი?

— ზურია.

კაცი გაირინდა და სახის ქვედა ნახევარი კვლავ ჩრდილმა დაუფარა.

— აქ ვერსად მოგასვენებთ. ზაქარა მჭედელი სულ ახლო ცხოვრობს, — ზურიას განუზომლად უნდოდა რითიმე ესამოვნებინა ეს კაცი, — ხელათ მივალთ.

— არა, წავალ, — იუარა პორტილემ და სკამზე გაიმართა.

— სულ?

კაცი ადგა, მოხურულ კარს გაჰხედა და ოფლით დაცვარულ შუბლზე ხელის ზურგი აისვა. ოთახიდან ჩამიჩუმი არ გამოდიოდა. თითქოს საღათის ძილს მისცემოდა ყველა და ყოველი.

— არც დასაფლავებაზე მოხვალ, ბიძია?

— შეიძლება მოვიდე, — კაცს ისევ მოხურულ კარზე ეჭირა თვალი.

— ახლა სად მიდიხარ?

— წავალ სადმე. შენ თუ გინდა, კიშკრამდე გამომყევი.

— მერე უსინათლოდ ივლი? — ზურიას წინა ღამით ყორეზე დატოვებულნი ფარანი გაახსენდა.

— არა მიშავს, გზას გავაგნებ.

პორტილე კიშკართან გაჩერდა და ერთხელ კიდევ მოხედა ქოხს. ზურია მის სახეს ველარ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რაგვარი სამსალა ჩაპღეროდა გულში ამ კაცს.

„ბაბუას ნათესავი თუა, — გადათქვა ბიჭმა წელანდელი გუმანი, — მერე რატომ სახლში არ შევიდა ან ახლა სად მიდის?“

— კალოსუბანში წასვენებთ? — იკითხა უცებ პორტილემ.

— არა... არ ვიცი, — ზურია დაიბნა, რადგან ამგვარ შეკითხვას არ მოელოდა, — ხვალ დილას პაპუნა ბაბუა ჩამოვა...

— თუ რამე... — წაიჩურჩულა კაცმა და ნერწყვი გადაყალბა.

ზურია ყურადღებად იყო გადაქცეული. ცდილობდა არაფერი გამოჰპარვოდა.

მისდა გასაკვირლად კაცი უეცრად დადუმდა და კიშკარი ხელუკუღმა გააღო, თან თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა ქოხის ვიწრო ფანჯარას, რომელიც მოვარდისფრო სინათლით იყო განათებული, მაგრამ შუქი თითქოს ოთახში დაეგუბებინათ და გარეთ არ უშვებდნენ.

— დედას გამოვიყვანი — აჩქარდა ზურია და გაქცევა დააპირა.

— არა, არა, — პორტილემ სიბნელეში ზურიას აკანკალებული ხელი მოქებნა და მაგრად ჩამოართვა, — მშვიდობით!

ბიჭმა ფეხის წვერებზე აიწია და თვლებით გააცილა სიმინდის ყანაში მიმავალი შავი ლანდი. ერთხანს მწვანე ფოთლების შარბილური ესმოდა, მერე ყანაც და შიგ მიმავალი ლანდიც სიბნელემ ჩაყალბა და იქაურობას სამარისებური მყუდროება დაეუფლა. სადღაც შორს, მგონი ლაბაძეების უბანში, მამალმა იყივლა. ხმა თითქოს ქვესკნელიდან მოისმა და უმალვე განიბნა უკუნეთში. ღამე ზღვასავით ღრმა და უნაპირო იყო. ახლა შუაუბანში იყივლა მამალმა. ამქვეყნიური ხმები ზურიას იმედს უნერგავდნენ: დილის მოახლოება მიწის გამოჩენას ჰგავდა ზღვაში უგზოუკვლოდ ხეტიალის შემდეგ.

### თავი სამოცდამეორე

სპირიდონს ოდნავ დამცინავი სახე ჰქონდა კუბოში. ჩალურჯებულ ტუჩებს შუა ვერცხლის კბილებს ვიწრო

ზოლი მოუჩანდა. კორფლიანი, დაბუ-  
ვებული ხელები გულზე დაეკრიფა და  
თვალბის ვიწრო კრილებიდან თითქოს  
გამკილავად იმზირებოდა.

საფლავთან ბავშვები მიიყვანეს და  
ბაბუა უკანასკნელად აჩვენეს. შალვას  
შეეშინდა, მაგრამ იქვე დედა და ზურია  
დინახა და მამინევე იმათ მიაწყდა. ხა-  
თუნამ გულში ჩაიხუტა შვილი.

სამარის ირგვლივ შემოჯარულ ხალხს  
პეტრე მიროტაძე გამოეყო და სახედა-  
ძმარებულმა კუბოსთან ჩაიჩოქა. პეტ-  
რეს ხელში გაღესილი სანამყენო დანა  
ეჭირა. ხათუნამ სახე მიიბრუნა და ატი-  
რებულ ზავშეს უბძგა, რათა მიწაყრი-  
ლიდან ძირს ჩაეყვანა.

კუბოსთან ფხრეწის ხმა მოისმა. ეს  
პეტრე მიროტაძე იყო. მიცვალებულს  
მოუთელავი ტყავის ჩექმებს უსერავდა.

— რას შერებდი, პეტრე ბიძია?! —  
ველარ მოითმინა თვალგამღვრეულმა  
ზურია, რომელიც მიცვალებულს თავ-  
ით უდგა.

— მოიცა, აგრე უნდა, — ვილაყამ  
მხარზე ხელი წაავლო და უკან დასწია.

პეტრე დინჯად და ერთგულად გა-  
ნაგრძობდა დაწყებულ საქმეს. ალბათ,  
პირველად როდი სჩადიოდა ამას. ჩექ-  
მები, ჩოხა და შავი სატინის ახალუბი,  
რომლებიც უბედურმა ეკამ მიცვალე-  
ბულის შესამოსავლად ჩამოიტანა, ნაფლე-  
თებად იქცა. სპირიტონს თვალები  
მიელულა და დამკინავად ილიმებო-  
და.

პეტრე გაჩერდა. ორზროვნად დაჰხე-  
და მიცვალებულს სახეზე.

— ზურია, წამო! — ბიჭმა იგრძნო,  
რომ ვილაყამ ხელი ჩასჭიდა ხელში.  
ფეხქვეშ ნაყარი მიწა ჩაიშალა. ზურია  
წამოიძვიდა.

— წამო, აქ აღარ შეიძლება გაჩერე-  
ბა, — კიდეც მოესმა ბიჭს, — წამო,  
გეხვეწები.

ხაესიან ლოდთან, სადაც მწვანე ბა-  
ლახი ყვითელ სილაში ამოსვრილი ფე-  
ხებით იყო გაჯვავილი, ხათუნა და შა-  
ლიკო იდგნენ. პავლე არსად ჩანდა. ალ-  
ბათ, ხალხში ვერ გამოაღწია.

— წამო, დედასთან მივიდეთ —  
წასჩურჩულა იმავე ხმამ ზური-  
ას.

ზურია ცრემლებით იყო გაგულდულო.  
არასოდეს ისე არ უგრძენია თავისი  
უმწეობა, როგორც ამ წუთში. თვალწინ  
კვლავ პეტრე მიროტაძის ლაპლაბა დანა  
უტრიალებდა. საყვარელ ბაბუას, რო-  
მელსაც თავის დღეში არავინ გაუძარ-  
ვავს, სამარეში ჩასვენების წინ ტანსაც-  
მელს აგლეჯდნენ, მას კი შველა არ  
შეეძლო.

— გამიშვი! — გაიბრძოლა, რაც ძა-  
ლა და ღონე შესწევდა და წინ გასხტა.  
მიწაყრილზე მკიდრო რკალად იდგა  
ხალხი.

— ვინ იზამს მაგის მეტი — ღვარძ-  
ლიანად შენიშნა ვილაყამ.

ზურია ამ სიტყვების აზრი ვერ გაი-  
გო. საფლავთან შემოჯარულ ხალხში  
წინ მიიწვიდა.

— ზური, წამო, გეხვეწები, დედა  
გეძახის, — გაცეცხლებული ბიჭის ხელს  
ქალურად თმაკრეფილი გვანცა დაე-  
ბლაუტა, — წამო...

ღრმა მუდარა და ჯერ კიდევ ბავშვეუ-  
რი წუხილი აღბეჭდვოდა გვანცას სახე-  
ზე. ზურიასათვის გვანცა თითქოს სიზ-  
მარეული გამოცხადება იყო. ბიჭმა თვა-  
ლები დახუტა და მეგობრის ხელს მიენ-  
დო. ამდენ ხალხში ისინი ახლა სულ  
მარტო იყვნენ, ესმოდათ ერთიმეო-  
რის გულისძგერა და რალაცას ელოდ-  
ნენ.

ისაია ჩუბინძემ ორწვერად გაკეცი-  
ლი თოკი ვაშალა მიწაზე და კუბოს თა-  
ვი აუწია. ჯუჯა-პარმენამ მარჯვედ  
შეაცოცა თოკი, რათა სასახლის გად-  
გმული ფეხების შიგნით მოექცია, ისა-  
იამ კი კუბო დაუშვა და გაიმართა. მის  
ზურგს უკან ღრმა სამარე იყო გათხ-  
რილი.

ხალხი ორად გაიბო.

მოიტანეს სწორედ იმ დილით შეღე-  
ბილი თავი და კუბოს მოარგეს.

— წავიდეთ! — ხელახლა ჩაებლაუტა  
მეგობარს გვანცა.

— მე ვავალ, შენ პალიკო წამოიყვა-

ნე, — ზურიას მარტო დარჩენა უნ-  
დოდა.

სამარესთან მკახე და ამავე დროს  
ყრუ ბრავუნი ატყდა. დურგლები თავს  
აქედებდნენ კუბოს.

— „მშვიდობით, ბაბუა!“ — წაი-  
ჩურჩულა ბიჭმა.

ცრემლგამშრალი ხათუნა ხავსიან  
ლოდთან უცდიდა შვილებს. როდესაც  
ზურია ლოდთან მივიდა, პავლე და  
გვანცა უკვე იქ იყვნენ.

— წამოდით ახლა, — თქვა ხათუ-  
ნამ, — ბაბუას თითო პეშვი მიწა მი-  
ვაყაროთ.

სამარე სწრაფად ივსებოდა ფხვიერი  
მიწით. ხალხი უკვე წასულ-წამოსული-  
ყო და აქა-იქ, რკინის მესრით შემო-  
ღობილ ახალ საფლავებთან ჭირისუ-  
ფალთა ხმამაღალი მოთქმა-გოდება ის-  
მოდა.

მინდელის ბიჭები გვერდში ამოს-  
დგომოდნენ დედას და შინ მიდიოდნენ.

შორიახლო მოაბიჯებდა ქალურად თმა-  
აკრეფილი გვანცა, რომელსაც დროდა-  
დრო გაჰხედავდა ხოლმე მინდელებს  
და სასაფლაოზე ვილაცას ეძებდა. მალე  
იპოვნა კიდევ. მუშტის ტოლად დაპა-  
ტარაგებული ეგნატე სივსივადე სასაფ-  
ლაოს ჭიშკრის ნანგრევთან იდგა. რო-  
დესაც მინდელებმა გაუარეს, მგონი ხა-  
თუნასთან მისვლა უნდოდა, მაგრამ არ  
განძრეულა: მინდელებმა ვერ შენიშნეს  
მისი აქ ყოფნა. გზაზე გასულმა ზურიამ  
უკან მოიხედა და გვანცა დაინახა.  
გვანცას სიწითლემ გადაჰკრა სახეზე და  
რათა ეს მამას არ შეემჩნია, მშობელს  
დაშავებულ მკლავში გამოსდო ხელი და  
თვალეები დაჰხარა.

ხათუნა შვილებს მიუძღვოდა. წინ  
ყორიდან გადმოცვენილი უსწორ-  
მასწორობ ქვებით აჩინჩხლული შარა-  
გზა იყო, უკან კი გარდასულ თაობათა  
სამუდამო ადგილსამყოფელი.



*[Faint, illegible bleed-through text from the reverse side of the page.]*





# მვანეს შირაზი

## ღაკადეზა

ლექსები

„მთებმა ვერ იტანეს სევდა-ნალღელი...  
მარტოოდენ ადამიანებმა სძლიეს იგი“.

დედის ნაპობი

ამბობენ, ოდეს უცხო რამ სულმა,  
რომელსაც შემდგომ უწოდეს ღმერთი,  
შექმნა ეს დიდი სამყარო სრულად  
თეთრი მთებით და ცისფერი ზეცით;

ოდეს სიცოცხლე შთაპბერეს თიხას  
და მიწა იქცა ადამიანად,  
წყალი წყალს მიჰყვა, წამი წამს მიჰყვა  
და ტყე ნიაგმა აახშიანა.

მოდგა უფალი და რაც ებადა,  
რაც რამ სიკეთე გააჩნდა წმინდა,  
რაც შეეძლო და როგორც შეეძლო,  
გაუნაწილა სუყველას მშვიდად:

შარავანდელით შემოსა ზეცა,  
მთებს მიაწიჭა ბრწყინვა მზიერი,  
ღურჯი ღიმილი გაჰფინა ზღვებზე,  
თოვლი სითეთრით ჰყო ბედნიერი.

ფრინველთ უბოძა გალობის მაღლი,  
ქართ დაულოცა სივრცე დიდების,  
ამო სურნელით აღავსო ვარდნი,  
ვარდ-ყვავილებით მორთო მინდვრები.

დედობის მაღლით გაათბო მიწა,  
დააწყებინა ხეხილთ შრიალი,  
ყველას საამო სახე რამ მისცა,  
ყველა აღაგზნო ვნებით, ტრფიალით.

ჩამობერტყა სიუხვის კალთა,  
სრულჰყო ბუნება სინაზით, ეშხით...  
და უცებ ჰხედავს მეუფე ცათა,  
რომ მხოლოდ სევდა შემორჩა ხელში.

ფიქრ-საგონებელს მიეცა ღმერთი,  
ღმერთი ბუნებით გულმეცნიერი,

სიტყვა: — ვინ არს იგი,  
ვინც უღრტვინველად  
აიტანს სევდის ტკივილ-სიმწარეს,  
ვინ იქნებაო ესრეთ ძლიერი...

ასე ეჭვით და სევდით აღვსილმა  
ხილული ქვეყნის მოვლა ინება, —  
დაჰყვა სამყაროს, ეამთა დინებას,  
წინ წარიმძღვარა სიმართლის კვერთხი.

და რა ისმინა ფრინველთ გალობა,  
სევდის ეკალი უბოძა ჩიტებს...

უმალ დამუნჯდნენ ჩიტები, ვიღრე  
გაუჯდებოდათ გულში ტკივილი,  
მათ ჩამოჰყარეს ფრთები და იქვე  
ქვეყანა შესძრეს ქვივლ-წივილით, —  
და შეიცოდა უფალმა ჩიტნი...

და რა იხილა მაღალნი მთანი,  
სიტყვა: — რომ მთებს ძალუძთ სევდის  
ატანა,

მათ ხომ ამაყად უჭირავთ თავი?! —  
და მამა-ღმერთმა უხმოდ, უჩინრად  
სევდა-ნალღელი მთებს მიუჩინა.

მწარედ აკვნესდნენ  
მაღალნი მთანი —  
ველარ გაუძლეს დარდს და ტკივილებს,  
ერთი ხმამაღლა წამოიკივლეს,  
და ვულკანებად იქცნენ უკლებლივ;  
უცებ დააჩნდათ ტანზე წყლულები,  
გაჩნდნენ ხრამები და უფსკრულები,  
მდინარეებად ექცნენ ცრემლები,  
რღვევა დაიწყეს გულგახელებით,  
ამოანთხიეს ბოლმით ლავა და  
იქცნენ საზარელ სანახავადა, —  
და შეიცოდა უფალმა მთები...



ისევ მიეცა უფალი ფიქრებს,  
და აი, თითქოს რაღაც სიავით,  
ადგა და სევდა უბოძა მინდვრებს,  
რამეთუ იყვნენ ხალისიანნი.

უმაღ დაჩნდათ მინდვრებს იარა,  
იქცნენ კვნესად და იქცნენ ღრიალად,  
განწირულები აბავლდნენ ერთხმად,—  
და შეიწყალა მინდვრები ღმერთმა...

შორით ზღვის სიცილს შეასწრო თვალი  
და სევდის მეხი ზღვისკენ შემართა.  
ზღვა აბობოქრდა, აზვირთდა წყალი,  
ზვირთნი ემსგავსნენ შფოთვას მერანთა.

ზვირთნი აენთნენ ირგვლივ ალებრივ,  
შმაგად მიეცნენ წუხილს საშინელს  
და ვარსკვლავები, როგორც თვალეხი  
ჯიქურ დასთხარეს ზეცას მაშინვე.

ვით ქირვეული, თავნება ბავშვი,  
რომელსაც შუქი ჩაუჭრეს სახლში,  
უვარსკვლავებოდ ატირდა ზეცა  
და, რაღაც დიდი საშინელებით,  
ძირს გადმოღვარა ცხარე ცრემლები...

ო, ეს ცრემლები, ცხელი ცრემლები  
სულ თეთრ კენჭებად ჩალაგდნენ  
ზღვაში, —  
ზღვაც შეიწყნარა უფალმა მაშინ.

ცაზე აგზავნა სევდის ეკალი,  
ცაზე ღრუბლებმა იწყეს წრიალი,  
უცებ გაიხსნენ ცათა ბჰეკარნი  
და წამოვიდა ზათქით, თქრიალით  
სეტყვა, თოვლი და წვიმის მორევი,  
რაღაც ქაოსის გაჩნდნენ ტბორები...

წვიმდა და თოვდა გადაულებლივ,  
ცა ლულულულებდა, მოსთქვაძადა  
მწარედ, —  
ო, ვით ყინულად ქცეული ცრემლი,  
მალა მას შემდეგ ციმიმებს მთვარე.

ცაც შეიცოდა უფალმა მაშინ...

და უცებ ბზარი გაუჩნდა ხმაში,  
ხვედრის წინაშე იდგა შემერთალი,

შიშით აღმოსთქვა: ვაი, თუ ბოლოს  
მევე შემრჩესო სევდის ეკალი...  
გონიერებისა

ის იყო უნდა ეყვირა უფალს,  
რომ შემოესმა შორით ღრიალი —  
ვეფხი შემოდა, გლეჯდა მზეჭაბუკს,  
მაგრამ, რას ხედავს,  
ვეფხის კლანჭებშიც  
ილიმებოდა ადამიანი.

მოთქრიალებდა მკერდიდან სისხლი  
და, თუმც მკლავები ღვევებოდნენ  
მისნი,  
მანც იბრძოდა ქცეული რისხვად...  
და გააკვირვა უფალი ღმერთი  
ამტანობამ და სიმშვიდემ მისმა.

და სთქვა უფალმა:  
— ბოლოს და ბოლოს,  
რასაც ვეძებდი, ვიპოვე, ვხედავ,  
მას, რასაც ჰქვია სახელად სევდა,  
ადამიანი გაუძლეხს მხოლოდ!

და რა სთქვა ესე,  
სევდის ეკალი  
სტყუარცნა მზეჭაბუკს, როგორც ისარი,  
მერე დააგლო ობლად ის არე  
და სადღაც ბნელში გაუჩინარდა...

თქმულა და ახლაც ამბობენ ჩვენში,  
რომ ადამიანს სევდა-ნალველი  
მას შემდეგ მდულრავს, როგორც გენია:

რომ ის მოიცვა გაჭრობის შიშმა,  
ოღეს მის მკერდში ტკივილი იშვა,  
ოღეს პირველად სთქვა, რომ „ჩემია“  
და მიითვისა წყაროც, ხეხილიც,  
ვაზნი ერთურთზე გადაგრეხილნი...

თქმულა და ახლაც ამბობენ მასზე,  
რომ ერთხელ სევდა-ნალველით სავსე  
ის შედგა დიდი ცხოვრების გზაზე.

სევდამ აქცია იგი გარჯად და  
სევდამ აქცია იგი ოცნებად,  
და მოველინა, სამყაროს ასე  
ადამიანი ვით საოცრება.

თუ მას ეამამდე  
ხარბი, ველური,

უტყვი, უგონო და დამშეული  
ცხოვრობდა იგი მღვიმეში სადღაც,  
შემდგომ მის სულში სული გრძნეული  
საქმედ აღსდგა და შეგნებად აღსდგა.

მან აიელვა თვალები რისხვით  
და განიღიდა სავალი ვიწრო,  
ის შეებრძოლა სიკვდილით სიკვდილს,  
რადგან სიკვდილში სიკვდილი იგრძნო.

თუმც, როგორც ხელი მიჯნური მარად,  
წყალში იღვა და იწოდა გზნებით,  
მანაც გაუძლო ეამთა სვლას მზარავს,  
მანაც გააგნო სიცოცხლის გზები.

აკვანი დასდო საფლავსა ზედა  
და დაარწია იმედი—ბაეშვი.  
მან ქვეშ ლეიბად  
გაიგო სევდა,  
ფეხი გაიდგა მთასა და ბარში.

კლდეებს, ვით ღმერთებს,  
მოსტაცა ცეცხლი,  
იგრძნო სიამე გულის აღმვსები,  
და, როგორც თესლი,  
მიწას მადლიანს  
ჩაებლაუქა მთელის არსებით.

გაუძლო დედის გაქრობის ტკივილს,  
გასძლო, როდესაც დაჰკარგა შვილი...

უბედურება იქცია ძიძად —  
სევდის ქარცეცხლში მთაში თუ ბარად,  
ის იწოთობოდა დღითა და ღამით  
ფხაალესილი ფოლადის დარად.

ასე გაუძლო ყოველგვარ ვარაშს  
და გააკვირვა უფალი მამა.

და აი, ღმერთმა,  
შეშით თუ რისხვით,  
ისევ ინება გამოცდა მისი.

რაც კი რამ ქვეყნად ნაღველი იყო,  
რაც კი რამ სევდა ღუოდა ირგვლივ,  
გადმოანთხია დედამიწაზე,  
რათა მწუხარე ეხილა იგი.

ღმერთმა ველები გადასწვა გვალებით,  
გაახმო ხენი, დააშრო ზღვები;  
მთები დახეთქა წყურვილის ვნებით,  
არ დაიშურა ღონე და ძალი...  
წყალიო, წყალი! —  
არ იყო წყალი...

წყურვილი თხრიდა ყველაფერს  
დინგით,

და დედო-გველი  
თავის წიწილას  
ცრემლებსა სწოვდა,  
რამეთუ იგი  
უკლავდა წყურვილს წუთით თუ  
წამით...

იღვა საშინლად საზარი ეამი.

ველები, მთები, ბალახნი, ჩიტნი,  
განწირულიყენენ ყველანი ერთობ,  
და იყო ერთი ადამიანი,  
ვის გულშიც ისევ იმედი ენთო.

მან, როგორც ორი უღელი ხარი,  
კვერში შეაბა აედარიც, დარიც,  
არხები ვასკრა, ვასთხარა ქები  
და დაუბრუნა მწირ მიწას წყალი.

ბალ-ვენახებით სამყარო მორთო,  
მზით ამოტიფრა, რაც შეხვდა ხინჯი,  
სთქვა გულმხიერად:  
„იყავნ ქალაქნი...“  
და აღმოცენდნენ ქალაქნი მიჯრით.

სიბრძნით შეიცნო ვარსკვლავთ სამყარო,  
სიბრძნითვე ახსნა მთვარის იგავი,  
და, ერთ დროს ბედის მორჩილი, მონა,  
ბედის წინ დადგა გულით გრიგალი.

სთქვა, რომ სიცოცხლე სრბოლაა დიდი,  
და რომ ყოველი მოდის და მიდის.  
და რომ თუ ყველა დიწვის მზისებრ,  
არვის არ მართებს მოთქმა და ძრწოლა,  
რომ ყველაფერი კვდება, რომ ისევ  
დაიბადოს და განაგრძოს ბრძოლა.

პირველთაგანმა, მან იგრძნო მხოლოდ,  
რომ ყოველ არსში, ვით ორი ფერი,  
ბოროტიც ღუღს და კეთილიც მღერის;

და რომ ერთსა და იმავე ყვავილს,  
რომელშიც ორი საწყისი არის,  
მოისურვებენ რა ერთსა ჟამსა,  
გამოსწურავენ  
წამალსაც მხამსაც...

მან შეიტანა ზეცაში ექვი,  
აზარსებობა შეიქნო ღვთისა,  
იგრძნო, რომ ღმერთებს ხალხში ქმნის  
და ყველა საგანს სახელი მისცა.

იქცა მიჯნურად და კიდით კიდე  
მან რაინდულად იმღერა კიდევ.

საკუთარ სულში დათრგუნა მხეცი,  
სხვათა ტკივილი შეიგრძნო თვისად,  
და, როგორც სიბრძნის  
ნორჩი ხის ლერწი,  
სასწაულების საწყისად იქცა.

როგორც მჭედელი სჭედს გრდემლზე  
ფოლადს,  
თავის ბედ-იღბალს ის სჭედდა წლებით,  
ეს იყო ბრძოლა, დიადი ბრძოლა,  
რომ შემდგომ კაცთა შთამომავლობას  
ეცხოვრა ყველგან შვებით, სიამით,—

პირველყოფილი მღვიმიდან ცამდე  
ასე ამაღლდა ადამიანი.

პირველყოფილი მღვიმიდან ცამდე  
გზა გაიარა დიადი, ძნელი,  
მერე ვარსკვლავთაც ესროლა ბადე,  
მერე მთვარესაც შეახო ხელი.

მის რბილ თითებში ჰყვაროდნენ ნუში,  
ხეებს შეენოღათ ამო რხევანი,

მის წინ ბუნება, მკაცრი და ქუში,  
მუხლებზე დადგა, როგორც მხეველი

მას შემდეგ დიდი პლანეტა ჩვენი  
უანკარესი ზღვებიდ — თვალებით  
მორჩილად უმხერს ადამიანებს:

როგორც წარბები,  
ცისარტყლედი  
გადაფენილან ამ ზღვებზე მუდამ,  
და ცათა შინა მზე ბრწყინავს მშვენი,  
ვითარ ამ თვალთა მგზნებარე გუგა.

და, აი, ერთხელ, როდესაც სევდა  
მთლად დაამარცხა ადამიანმა,  
როცა მხესავეთ ამაღლდა ქვეყნად  
და ძლიერ დიდმა დრომ გაიარა,  
მოესურვილა ხილვა უფლისა...

სთქვა: „სად არს ღმერთი, მიჩვენეთ  
ერთი!“

ადგა, მიეცა ძიებას დიადს,  
ყველაფერს გასწედა სინათლით  
მკვეთრით,  
ყველაფერს, რასაც სახელი ჰქვია.

გააპო სივრცე,  
გასტობა წყალი,  
ლამის მსტოვარი აწვია მზესაც,  
ეძება ყველგან, ეძება, მაგრამ  
ღვთის ნაკვალევით ვერ ჰპოვა ვერსად...

და მიხვდა მაშინ,  
რომ ცათა მაღლა,  
მზეზე მაღლა და ცთომილთა მაღლა  
არ არის, ვისაც უფალი ერქმის,  
რომ ღმერთი  
თვითონ მასშია ახლა!

თარგმანი მ. ფოცხიშვილისა



ბაგრაჟ შინაუბა

შინ ღაბრუნება

(ბ ა ლ ა დ ა)

შორი გზიდან მომავალი  
ვაგონის კარს ვაღებ ფრთხილად,  
ლამე გახდა ფერმიმკრთალი  
და ჯერ ისევ სოფელს სძინავს.

უკვე ვისმენ მამლის ყვირის  
და ძლივს აღწევს ძაღლის ყეფა,  
მალალ მთიდან სიო გრილი  
საალერსოდ შემეგება.

თუ დადლილი მგზავრი მოვა  
აფხაზეთის ღამეს ნახავს,  
არ შეიმჩნევს დადლილობას,  
ცხრა მთას კიდევ გადალახავს!

სამი წელი სხვაგან დავყავ,  
ჩემი მხარის წამყვა დარდი,  
დავდიოდი ნაღვლიანად  
მთელი სამი წელიწადი.

ვისაც მშობლის, მშობელ მხარის  
სიყვარული თან არ ახლავს,  
ვინც არ იცის წინაპარი  
როდის, ან სად დაიმარხა,

მან იცოდეთ არა შექმნა  
უსაფუძვლოდ სხვას ემდურის,  
ის კაცია ამა ქვეყნად  
უბედურზე უბედურის!

აი, ჩემი მხარის მთები  
ღრმა ძილშია, ნისლი ფარავს,  
მათი მკაცრი მპრძანებელი  
მთა ერცახუც გაღმომდგარა.

პანავის ქედს და ჩანჩქერებს  
ცის ლაქეარდში ლურჯად მპრწყინავს,  
დიღხანს მზერას შევაჩერებ  
მე ჩემს კლოუს პაწაწინას!

ცეცხლი სადღაც იწყებს ციმციმს,  
ღამის ბურუსს ფანტავს ლალად,  
სადღაც სახლში ფიჩხი იწვის,  
იქნებ მამამ გააჩაღა?

აღბათ მამის ფაცხას ღვიძევს,  
მოუხურავს ჩოხა მამას,  
ცეცხლის პირას ფიქრობს ფხიზლად,  
ყალიონის კვამლი ფარავს.

ყალიონის ცეცხლზე ცერი  
თითქოს ვერ გრძნობს სიმხურვალეს,  
ჩაახველებს ბედნიერი,  
გაიხედავს შემდეგ გარეთ.

დედაც დგება ვერცხლისფერად  
უკვე ელავს მისი თმები,  
საოცნებოს ხდიან კერას  
აღდაკრული ნაკვერცხლები.

ფიცობს რცხილა, იწვის ჯირკვი,  
აღის ენა თითქოს წივის,  
კვამლი ბოლავს კერის ირგვლივ,  
სხვევზე მოსჩანს ღრუბელივით.

ორნი სხედან კერის პირას,  
ოცნებობენ ნაღვლიანად,  
ყოველ ღამეს, ყოველ დილას,  
მელის დედა, მელის მამა.

ვინაც მშობლებს ცოცხალს ხედავს,  
ახსოვს დედის ძუძუ ტკბილი,  
ვაჟკაცია მამას, დედას  
ვინც აცილებს ვალმოხდილი.

ყალიონის კვამლი ბურავს,  
შეებარა ბზარი ხმაში:

— ეს ზაფხულიც მიიწურა,  
მაგრამ არსად არ სჩანს ვაჟი!

აკი გეწერდა: მოვალ მალე,  
ამ ზაფხულზე ადრიადად,  
როცა სწავლას დავამთავრებ...  
გული დაგვიდარდინა...

— მეთხუთმეტე მიღის წელი,  
სწავლა მაინც აღარ ყოფნის,  
ყველა ჩვენი მეზობელის  
ვაჟი გახდა თვალი სოფლის.

სიყრმის ყველა მეგობარმა  
დაასრულა უკვე სწავლა,  
მას რა ქვია, ეს მითხარი,  
რომ მუშაობს ბეთაღად?

ჩვენი ჩაგუ თურმე კლასში,  
ერთი კვირაც არ ამყოფეს,  
გახდა სოფლის თავი კაცი,  
მიუძღვება კარგად სოფელს.

ყველა ვაჟი მამას შველის  
ამოუდგა მამას მხარში.  
ნეტავ ვიყო ბედნიერი,  
მათნაირი მყავდეს ვაჟი!

ჩვენი? თუ გინდ ჩამოვიდეს,  
ჩვენს ოჯახში გაჩნდეს მალე,  
მთვარიანშიც როგორც ჩიტებს,  
ცაზე ვარსკვლავს უთვალთვალებს.

ჩაპყროკიტებს წიგნებს მხოლოდ,  
ეს ასწავლეს შრომის ნაცვლად?..  
ზღაპარს უსმენს უთავბოლოდ,  
ხიბლავს მხოლოდ აფხიარცა.

მეზობელი ჩამაცვიდა:  
— რასა სწავლობს შენი ვაჟი?  
— „მწერლობს“, მეთქვა გამიჭირდა,  
სხვა რა მეთქვა მისთვის, მაშინ?

მასზე ფიქრით დავიღალე.  
არაფერი მესმის მისი,  
ვკითხავ: — როდის?  
მეტყვის: — მალე მეც გავხდები ქების  
ღირსი!

ველოდები. ბოლო არ ჩანს,  
არ ჩანს სწავლის დასასრული.  
სწავლა მემეკვიდრე მე კი არ მწყვეტს  
დავალ ასე დაზაფხულში!

— ბერიკაცო! — დედამ შიშით  
მოიხვია თავსაფარი, —  
იქნებ მოხვდა გასაჭირში,  
ვაი მისი დედის ბრალი!

იქნებ ბიჭი უცხო მხარეს,  
ავად გახდა, ვერვინ ხედავს,  
ვაი დედიშენის თვალებს,  
დაგენაცვლოს შენი დედა!

სიზმრად ვნახე: მღვრიე წყალთან  
ბრუ დამესხა გზის ნაპირას,  
წინ მამალი აფრთხილდა,  
ურცხვად სამჯერ დამაყვილა...

როდის მოვა ჩემი შვილი,  
ერუანტელი ტანში მივლის,  
ხილით, თაფლით დატენილი  
ელოდება ძველი სკივრი.

ლბობა იწყო უკვე ხილმა,  
იქნებ ეს ცუდს მოასწავებს!  
ელირსება შენი ხილვა,  
მომლოდინე დედის თვალებს?!  
შუადღისას მზემ რომ მადლით  
დააცხუნა მთების კალთას,  
შემეგება ჩემი სახლი  
და ჭიშკარიც აჭრიალდა.

მამამ ხელი მოიჩრდილა  
დგას, არ იძვრის, მიმზერს მამა.  
დედამ ერთი მომაკივლა,  
ცრემლით ლოყა დამინამა.

ხბო ზღაველით შემხვდა კართან,  
და შეწყვიტა ძალღმაც ყეფა,  
მიცნო, ჩემსკენ გამოქანდა  
ჩემი ამბის გასაგებად!

გავიარე ფეხშიშველამ,  
ბალახებში ჩავრგე თავი,  
გამიხსენა თითქმის ყველამ,  
მოდის ყველა ნათესავი.

მე ჩემს დარგულ მურყანს ვხედავ  
 გაუშლია ტოტი ფართოდ,  
 ღელავს ჩემდა საამებლად,  
 თითქოს მიწვევს სათამაშოდ.

ყნუი რაა, ისიც კი მცნობს,  
 აქ მოვსინჯე ჩემი ღონე,  
 შემიძლია დავივიწყო,  
 რაც ბავშვობას მომაგონებს?!

და რომ ვიყო ცხრა მთას იქით  
 მოვისწრაფვი შენსკენ მხოლოდ,  
 შენთანა ვარ ჩემი ფიქრით,  
 შენსკენ მოვქრი საამბოროდ.

შენთან თავს ვგრძნობ მუდამ ლაღად,  
 თავისუფლად სუნთქავს მკერდი,  
 რომ ვიცოდე შეტს ვერ გნახავ  
 დღესვე სიკვდილს ვინატრებდი.

გესალმებით ჩემო მხარეც,  
 სოფელს, ყანას, ქედებს, მინდვრებს,  
 უფრო მეტად გამახარეთ,  
 მკვიდრი უფრო გამიმდიდრეთ!

გესალმები ჩემო ფაცხავ,  
 დრომოკმელო, ძველთა ძველო,

შენი ცეცხლი გზაში დამხვდა,  
 შენი შუქით უნდა მეველო.

ფაცხავ, ჩემთა წინაპართა  
 აქ ცხოვრება წარიმართა,  
 შენი საუკუნე გაქრა,  
 ბედმა აღარ გაგიმართლა!

იმ დღეს, როცა გავჩნდი ქვეყნად,  
 გიხაროდა ჩემო ფაცხავ,  
 ყველას გულის საამებლად  
 აღულუნდა აფხიარცა.

გამოვარდა ბიძა კარში,  
 სროლით გული მოიჯერა,  
 ჩემო ფაცხავ, გახსოვს, მაშინ  
 ენთე განთიადის ფერად.

რა იცოდი, ჩემო ფაცხავ,  
 მომელოდი დიდხანს, დიდხანს,  
 არ იცოდი ჩემი ზრახვა,  
 არც შეგეძლო რომ გეკითხა.

ჩემო ძველო ნატვრის თვალო,  
 არ იღარდო, არ ინაღვლო,  
 მსურს მუზეუმს ჩაგაბარო,  
 მუზეუმში დაგასახლო.

თარგმანი რევაზ მარანიანისა





აქანს კვირეული

# ალმონების მზე

(ფიხსტა)

რომანი

„თქვენ დაღუპული თათბა ხართ“.

გერტრუდა სტენა

წიგნი პირველი

თავი I

რობერტ კონი ოდესღაც კრივის ჩემ-  
პიონი იყო პრინსტონის კოლეჯში. არ  
იფიქროთ, მე დიდ რაღმე მიმანდეს  
ეს წოდება, მაგრამ კონისათვის მართ-  
ლაც დიდი რამე იყო. გატაცებული თა-  
ვის დღეში არ ყოფილა კრივით. სი-  
ნამდვილეში ეგავრებოდა კიდეც, მაგ-  
რამ დიდის გულმოდგინებითა და  
გამწარებით სწავლობდა, რომ ამით გა-  
ეჭარწყლებინა თანდაყოლილი სიჯაბნე  
და საკუთარი ღირსების სიმდაბლე, რა-  
საც მას — როგორც ებრაელს — მუ-  
დამ აგრძნობინებდნენ ხოლმე კოლეჯ-  
ში. უფრო გულდამწვინებული ვახდა,  
როცა შეიგრძნო, რომ შეურაცხმყო-  
ფელს ადვილად დაანარცხებდა ძირს,  
თუმცა მეტისმეტად ჯაბანსა და ბუნე-  
ბით მშვიდს სასპორტო დარბაზს გარეთ  
ერთხელაც არ უჩხუბნია. იგი სპაიდერ  
კელის ყველაზე სანაქებო მოწაფე იყო.  
სპაიდერ კელი თავის ახალგაზრდა მო-

წაფეებს — განურჩევლად ყველას —  
უმჩატესი წონის ილეუებს ასწავლიდა,  
არც კი დაგიდევდათ — ეს მოწაფე ას  
ხუთ გირვანქას იწონიდა თუ ორას  
ხუთს. კონისთვის კი, ეტყობოდა, ზედ-  
გამოჭრილი გამოდგა. მართლაც ძა-  
ლიან მარდი იყო. ისეთი სიყოჩაღე გა-  
მომამკლავნა, რომ სპაიდერი თვითონვე  
შეეგებრა და სამუდამოდ გაუბრტყელა  
კიდეც ცხვირი. ამან უფრო შეაძულა  
კონს კრაივი, მაგრამ თან რაღაც უცნაუ-  
რი კმაყოფილება მიანიჭა, და ცხვი-  
რიც უდავოდ გაუკოხტავა. კოლეჯში  
სწავლის უკანასკნელ წელს ძალიან  
ბევრს კითხულობდა და სათვალევ წა-  
მოიცვა. ვისაც არ შეეხვდი, ვერც ერთ-  
მა მისმა კლასელმა ვერ მოიგონა იგი,  
არც ის ახსოვდათ, რომ ოდესღაც სა-  
შუალო წონის ჩემპიონი იყო კრივში.

გულდია და გულწრფელი ხალხისა  
არაფერი მჯერა, განსაკუთრებით მაშინ,  
როცა მათი ნაამბობი ერთმანეთს ემთხ-  
ვევა, ამიტომ რობერტ კონის ჩემპიონ-  
ობაში მუდამ ეჭვი მეპარებოდა, — აღ-  
ბათ ცხენმა დაარტყა ტორი საბუზე, ან  
იქნებ დედამისი დაფეთდა, ან არა და  
ბავშვობაში რამეს დაჰკრამეთქი ცხვი-

ცნობილი ამერიკელი მწერლის ე. ჰემინგუე-  
ის ანტიმილიტარისტულ ნაწარმოებთა შორის  
ყველაზე მნიშვნელოვანია „მშვიდობით, იარა-  
ღო!“ და „ალმონების მზე“. რომელსაც უფრო  
„ფიხსტის“ სახელწოდებით იცნობენ. პირველში  
ნახევრებია ომის მიზეზები, ხოლო მეორეში —  
სავალაოდ შედეგი. „ფიხსტა“ პირველი რომა-  
ნია, რომელმაც ავტორს მსოფლიო სახელი და  
ღირება მოუტანა. ამ მოცემულა ომისაგან  
ფიხსტრად დაუმღერებულ და სელიერად გა-  
ხადდურებულ იამაიანთა სიყვარულის უცნაური  
ისტორია. ნახევრებია ბურჟუაზიული საზოგადო-  
ების მთელი ე. წ. „დაღუპული თათბა“, რომელ-  
საც აწმყო მოშაბელი აქვს, მოშაბელის პერ-  
სპექტივები კი — დამსხრევული. ამაოდ ცდი-

ლობენ ისინი ღვინოში ნაჰკლან და თითქოს  
უღარდელი გართობით გააღანტონ თაინათი  
თათბის საშინელი სევედა და განწირულება. ომი-  
თა და განწირული უპერსპექტივობით გამოწვე-  
ული დიდი ტრალიდია გამოცემულია არა გამ-  
ძაფრებელი გარეგნული ეფექტებით, არამედ  
ორმად გააზრებული ქოტექსტით, რომელიც  
შავ ფონად გასდევს რომანს.

ჩედ.

რი, — მაგრამ საბოლოოდ თვით სპაიდერ კელიმ დამარწმუნა. სპაიდერ კელის არა თუ ახსოვდა კონი, ხშირად ფიქრობდა კიდევ თურმე მასზე, ნეტა რა მოუვიდაო.

მამის მხრით რობერტ კონი შთაბრძნავალი იყო ნიუ-იორკელ ებრაელთა ყველაზე უმდიდრესი გვარისა, ხოლო დედის მხრით — ყველაზე უძველესისა. სამხედრო სასწავლებელში — სადაც იგი პრინსტონის კოლეჯში შესასვლელად ემზადებოდა და ფეხბურთის გუნდშიაც კარგი სახელი ჰქონდა მოპოვებული — არავისგან არ განუცდია რასობრივი დამკირება. მანამ კოლეჯში გადავიდოდა, არავის უგვრძობინებია. ებრაელი ხარო, და საერთოდ არავითარი განსხვავება არ ყოფილა მოწაფეთა შორის. მშვენიერი ბიჭი იყო, კარგი სამეგობრო და ძალიან მორცხვი, მაგრამ შემდეგ ასეთმა დამოკიდებულებამ გააწიწარა. გულის მოსაოხებლად კრივი შეისწავლა და პრინსტონის კოლეჯიდან გამოვიდა ავადმყოფური თავმოყვარეობით შეპყრობილი, ცხვირგაბრტყელებული, და პირველივე ქალმა, რომელიც მას აღერსიანად მოექცა, შეირთო კიდევ ქმრად. ხუთ წელიწადს ჰყავდა ცოლი, სამი შვილი შეეძინა, მამის დანატოვარი ორმოცდაათი ათასი დოლარი თითქმის სულ გაფლანგა (დანარჩენი ჰქონება დედას ერგო) და მდიდარ ცოლთან გატარებულმა უსიხარულო ცხოვრებამ ზაქმაოდ პირქუშ და მიუჯარებელ არსებად აქცია. როგორც იქნა გადაწყვიტა, ცოლს გაეშორებოთ, მაგრამ ქალმა დაასწრო, შიატოვა და მინიატურების მხატვარს გაჰყვა. მთელი თვეები ეპირებოდა ცოლის გაშვებას, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა: ეცოდებოდა — გულჰვაობა იქნება, ჩემი თავი რომ დაუჯარგოთ, ახლა კი ცოლის გაქცევა ჰკუისსასწავლებელი გაქვეთილი გამოდგა.

გაყრას რომ მორჩინენ, რობერტ კონი დასაუღლეთ სანაპიროებისაკენ გაემგზავრა. კალიფორნიაში იგი ლიტერატორთა წრეში მოხვდა და მალე ორ-

მოცდაათი ათასი დოლარიდან შემორჩენილი თანხით მხატვრულქურნალის გამოცემას შეუდგა. ქურნალობაში იწყო გამოსვლა, კალიფორნიაში, და პროვინსტაუნში კი, მასაჩუსეტის შტატში, დაიხურა. ამასობაში კონი, — რომელიც წმინდა ანგელოზად იყო მიჩნეული და თავის გვარს თავმდაბლურად კოლეჯის სხვა წევრთა შორის აწერდა სატიტულო ფურცელზე, — ქურნალის ერთადერთი რედაქტორი გახდა. ბოლოს და ბოლოს, მისი ფულით გამოდიოდა ქურნალი და რედაქტორის სახელიც მოსწონდა გული დასწყდა, როცა ქურნალის გამოცემა მეტისმეტად გაძვირდა და იძულებული გახდა, თავი გაენებებინა.

თუმცა ამასობაში სხვა საქმეც გაუჩნდა. ხელში ჩაიგდო ვიღაც ქალმა, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ქურნალთან ერთად მისი სახელიც განდიდდებოდა. ეს იყო ძალიან ყოჩაღი ქალი, კონის ხელში ჩაგდებას კი ბევრი არაფერი უნდოდა. თანაც გული დააჯერა, ქალი მიყვარსო, ქალმა რომ ნახა, ქურნალის საქმეს კარგი პირი არ უჩინდა, ცოტა არ იყოს, შეიძულა კონი და გადაწყვიტა, მანამ კიდევ რამე გამოდნებოდა, ბარემ ბოლომდე ვისარგებლებო. ასე, რომ ჩიჩინი დაუწყო — ევროპაში წავიდეთ და იქ მწერლობას მოჰკიდებ ხელსო. ჩავიდნენ ევროპაში, სადაც ქალს აღზრდა-განათლება მიეღო. და მთელი სამი წელიწადი იქ დაჰყვეს. ამ სამი წლიდან, პირველი წელიწადი მოგზაურობას მონადომეს, ხოლო ორი კი პარიზში გაატარეს. რობერტ კონმა ორი მეგობარი შეიძინა — ბრედოკსი და მე. ბრედოკსი მისი ლიტერატურული მეგობარი იყო, მე კი — ჩოგბურთის მეგობარი.

მეორე წლის ბოლოს კონის ხელში ჩამგდები ქალი, რომელსაც ფრენსისი ერქვა, მიხვდა სილამაზეს ვკარგავო, და ის უღარდებლობა, რითაც აქამდე კაცსა ყველფდა, ერთბაშად შეეცვალა მტკიცე გადაწყვეტილებით — ბარემ ცოლად ვაჰყოლოდა მას. იმხანად დე-

დამისმა ყოველთვისად სამას სამასი დოლარი დაუნიშნა კონს. ვერას დიდებით ვერ დავეიჯერებ, რომ ამ ორწლიანხვედრის განმავლობაში კონს სხვა ქალისათვის შეეხედოს. თავს სავსებით ბედნიერადა გრძნობდა, გარდა იმისა, რომ ევროპაში მცხოვრებ ბევრ ამერიკელთა მსგავსად, მასაც ამერიკაში ყოფნა ერჩივნა, მწერალიც გახდა. დასწერა რომანი, და არც თუ ცუდი. როგორც კრიტიკამ შეაფასა ბოლოს. თუმცა ძალიან უბადრუკი რომანი კი იყო. კითხულობდა და კითხულობდა წიგნებს, თამაშობდა ბრიჯს, თამაშობდა ჩოგბურთს და ერთ-ერთ სასპორტო დარბაზში კრივიდაც ვარჯიშობდა.

თუ რა განწყობილება ჰქონდა ქალს კონთან, ეს მე პირველად იმ საღამოს გავიგე, როცა მათთან ერთად ესადილობდი. ლავენიუში ვისადილეო და ყავის დასალევად იქიდან კაფე ლევერსალში გავსწიეთ. ყავის შემდეგ ცოტაოდენი კონიაკი დავლეეთ და, უნდა წავიდე-მეთქი, განვაცხადე. ცოტათი უფრო ადრე კონმა მითხრა, კვირა დღეს მე და შენ სადმე გავისეირნოთო. ქალაქიდან გასვლა და ერთი ლაზითიანი გასეირნება მონატრებოდა. სტრასბურგში გავფრინდეთ და იქიდან კი ფეხით სანტ ოდილში ჩავიდეთ, ან სადმე სხვაგან, ელზას მიდამოებში-მეთქი, მე ვუთხარი.

— ერთი ნაცნობი ქალი მყავს სტრასბურგში, და ქალაქს დაგვათვალეირებინებს.

ვილაცამ მაგიდის ქვეშ ფეხი გამკრა. ვიფიქრე, ან ცოლს ან ქმარს შემთხვევით მოუხვდა ფეხი-მეთქი, და განვაგრძე:

— მთელი ორი წელიწადია იქა ცხოვრობს და რაც კი რამ ღირს ნახვად, სუყველაფერი იცის. მშვენიერი გოგოა.

კიდევ მოხვდა ფეხი მაგიდის ქვეშ, და თავი რომ აეწიე, დავინახე ფრენსისს—რობერტის ქალბატონს — ღრანჭი მოქცეოდა და სახე გაშეშებოდა.

— თუმცა, რაღა სტრასბურგში? — ვთქვი მე. — არა სჯობია, ბრიუგში ან არდენში წავიდეთ!

კონს გულზე მოეფონა. აღარავის უკრავს წიხლი. მე გამოვემშვიდობე და გამოვედი. კონმა თქვა, გაზეთს ვიყიდი და მოსახვევადე გამოგყვებიო.

— ეს სტრასბურგელი ქალი რაღად კინდოდა, თუ ღმერთი გწამს, — მითხრა კონმა, — ვერ ნახე ფრენსისს რა მოუვიდა!

— რა უნდა მენახა?! ან რა ესაქმება ფრენსისს, თუკი მართლაც მყავს სტრასბურგში ამერიკელი ნაცნობი ქალი?!

— სულ ერთია. რა ქალიც არ უნდა ყოფილიყო. ვერ წამოვიდოდი და მორჩაო.

— ნეტა რას სულელობ!

— შენ ფრენსისს არ იცნობ, რა ქალიც არ უნდა ყოფილიყო! სახეზე მაინც ვერ შეხედე?

— კარგი, სენლისში წავიდეთ.

— კი ნუ გაბრაზდები.

— სულაც არ ვბრაზობ. სენლისი მართლაც მშვენიერი ადგილია. გრანდ სერფში ჩამოვტებით, ტყეში ვიხეტილებთ და უკანვე დავბრუნდებით.

— ძალიან კარგი, მშვენიერი იქნება.

— მაშ ხვალ კორტზე გნახავ.

— ნახვამდის, ჯეიკ, — თქვა მან და უკანვე გაბრუნდა.

— გაზეთი დაგაიწყდა. — მივაძახე მე.

— ჰო, მართლა, — მოსახვევადე გამომყვა, — ხომ არ ბრაზობ, ჯეიკ? — თქვა და შეჩერდა.

— რას ამბობ, რამ უნდა გამაბრაზოს!

— ჩოგბურთზე გნახავ, — თქვა მან. მე თვალი გავაყოლე. ხელში გაზეთი ეჭირა და კაფესკენ მიემართებოდა. მომწონდა ეს კაცი, მაგრამ ეტყობოდა, დალაგებული ცხოვრება ვერ ექნებოდა იმ ქალთან.

თავი 11

იმ ზამთარს რობერტ კონი ამერიკაში გაემგზავრა და თავისი რომანი საქმად ღიღ გამოცემლობას ჩააბარა. რო-

გორც გავიგე, ამ გამგზავრებამ თურმე საშინელი ჩხუბი გამოიწვია ოჯახში, და ფრენისსამა, მგონი სწორედ მაშინ დაპყარგა იგი, რადგან ნიუ-იორკში რამდენიმე ქალი ძალიან ალერსიანად მოქცეოდა კონს, და პარიზში სულ სხვა კაცი დაბრუნდა. ამერიკით ახლა კიდევ უფრო აღფრთოვანებულიყო, და აღარც ისეთი გულალალი და მომხიბლავი ჩანდა. გამომცემლებს ისე შეექოთ მისი რომანი, რომ თავში ავარდნოდა. ამას გარდა, რამდენიმე ქალი ლამის ზედ გადაეგო, და კონის პორიზონტიკ ვაცილებით უფრო გაფართოვდა. მთელი ოთხი წელი მხოლოდ და მხოლოდ ცოლით იყო შემოხლდებული მისი პორიზონტი, მერე სამი წელი ისე გავიდა, რომ ფრენისსის გარდა არავინათვის შეუხედავს. დარწმუნებული ვარ, სიყვარული ერთხელაც არ განუცდია სიცოცხლეში.

კოლეჯში გამოვლილი ტანჯვის შემდეგ — დაქორწინება ერთგვარი შვება გამოდგა; მერე როცა დარწმუნდა — პირველ ცოლს ჩემზე მზე არ ამოსდიოდაო, ფრენისსმა მიანიჭა შვება. შეყვარებული არც ახლა ყოფილა, მაგრამ უკვე მიხვდა — ალბათ მაქვს რაღაც მომხიბლაობა, ქალები რომ ასე მესვევინაო. თვით ის ფაქტიც, რომ ქალები გულგრილად არ ყოფილან მის მიმართ განწყობილნი და მასთან ცხოვრებასაც ესწრაფვოდნენ, სულაც არ ეჩვენებოდა სასწაულებრივ მოვლენად. ისე შესცვალა ამ ფაქტმა, რომ მასთან ახლოს ყოფნა უკვე აღარ იყო სასიამოვნო. ამას გარდა, თავის ამერიკელ ნაცნობებთან ბრიჯს თამაშობდა და იმაზე დიდ თანხას ჩამოდიოდა, ვიდრე ამის საშუალებას საკუთარი ჯიბე მისცემდა — მოიგო კიდევ რამდენიმე ასეული დოლარი და ისე გაყოყონდა, რომ ამბობდა, ოდესმე ცუდად რომ წამივიდეს საქმე, ბრიჯის თამაში მაცხოვრებსო.

ამას სხვა ამბავიც დაერთო. კონი უ. ჰ. ჰაღზონსა კითხულობდა. ერთი შეხედვით თითქმის არაფერიო, მაგრამ

რამდენჯერმე გადაიკითხა „მეწამული ქვეყანა“. ხოლო „მეწამული ქვეყანა“ საბედისწერო წიგნია, მოგვიანებით წაიკითხავ. აქ მოთხრობილია უნაკლო ინგლისელი ჯენტლმენის ბრწყინვალე სატრფიალო თავგადასავალი საოცრად რომანტიკულ ქვეყანაში, რომლის ბუნებაც დიდებულად არის აღწერილი. ოცდაათობმეტი წლის კაცმა სახელმძღვანელოდაც რომ გაიხადოს ეს წიგნი ცხოვრებაში, ამით არაფერი დაშავდება. ისეთივე უხიფათო საქმე იქნება, თუნდაც ამავე ხნის კაცი ფრანგული მონასტრიდან გამოსულიყოს და ალყერის წიგნთა სერით შეიარაღებული პირდაპირ უოლ სტრიტზე გამოცხადებულიყოს. კონმა ისე სერიოზულად მიიღო ყოველი სიტყვა, თითქოს „საფინანსო ბიულეტენი“ ყოფილიყოს. ზოგი რამ, რაღა თქმა უნდა, თავისებურად ახსნა, მაგრამ მთელი წიგნი საერთოდ სერიოზულად მიიღო. კიდევ ეს ეპირვებოდა! ვერც კი წარმოედგინა, რა ზომამდე იყო მისული, მანამ ერთ დღეს რედაქციაში არ გამომიეცხადა.

— ჰელო, რობერტ, — მივმართე მე, — ჩემს გასამხიარულებლად მოხვედი?

— სამხრეთ ამერიკაში არ წამოხვალ. ჯიკი?

— არა.

— რატომ?

— არ ვიცი, ჩემს დღეში არ მივიქრია. ძალიან ძვირი ჯდება. პარიზში რამ გამოლია სამხრეთ ამერიკელები!

— ეგენი ხომ ნამდვილი სამხრეთ ამერიკელები არ არიან.

— მე კი მგონია, მეტისმეტად ნამდვილები არიან.

შეთანხმებული ვიყავი, შატარბელს უნდა დაგხვედროდი და მთელი კვირის კორესპონდენციები გამეტანებინა. ჯერ ნახევარიც არ მქონდა დაწერილი.

— კორები არაფერი იცი? — ვკითხე მე.

— არა.

— შენს ნაცნობთაგან ცოლს არავინ ეყრება, ვინმე დიდი კაცი?

— არა. იცი რა, ჯეიკ—შენი ხარჯე-ბიც რომ ვიკისრო, მაინც არ გამოძყ-ვები სამხრეთ ამერიკაში?

— მე რა უნდა გავიკეთო?

— შენ ესპანური იცი და ისედაც ერთად რომ ვიქნებით, არ მოგვეწყო-ნება.

— არა, — ვუთხარი მე, — აქ მირჩე-ნია, ზაფხულში კი ესპანეთისკენ გავ-წვივ.

— მთელი ჩემი დღე და მოსწრება ამისთანა მოგზაურობას ენატრობ. — თქვა კონმა. სკამზე ჩამოჯდა, — ალბათ სულ დაეჩანაყდები, მანამ მოვახერ-ხებდე.

— რამ გავასულელა, — ვუთხარი მე, — საითაც მოგებრიანება, იქით წახ-ვალ, ფული ჩეჩქივითა გაქვს.

— ჰო, მაგრამ ადგილიდან დაძვრა არ მოხერხდა.

— გამზიარულდი, — მიემართე მე, — საცა არ უნდა წახვიდე, ყველა ძვეყანა კინო-სურათსა ჰგავს.

მაგრამ შემეცოდა. მართლაც ძალიან გაფუჭებოდა გუნება.

— გული მიკვდება — სიცოცხლე მიჰქრის, მე კი ნამდვილი ცხოვრება რას ჰქვია, არ ვიცი.

— მატადორების მეტი არც არავინ ცხოვრობს რიგიანად.

— მატადორები სულაც არ მაინტე-რესებს. ეს ხომ არანორმალური ცხოვ-რებაა. მე მინდა მთელი სამხრეთ ამე-რიკა მოვიარო. დიდებული მოგზაურო-ბა გვექნებოდა.

— ბრიტანეთის აფრიკაში ნადირო-ბას არ ისურვებდი?

— არა, გული არ მიმიწევს.

— იქ კი ნამდვილად წამოგყვებოდი.

— არა სულაც არ მაინტერესებს.

— იმიტომ, რომ არაფერი წაგვი-თხავს აფრიკაზე. აბა ერთი წადი და მშვენიერი შავი პრინცესების სასიყვარ-ულო ამბები წაიკითხე.

— მე სამხრეთ ამერიკაში მინდა წა-სვლა.

გაუტყუელი ებრაული სიჯიუტე ჰქო-ნდა.

— დაბლა ჩავიდეთ და რამე დავ-ლიოთ.

— გცალია?

— კი, — ვუთხარი მე. პირველი სარ-თულის კაფეში შევედით. იმ დასკვნამ-დე მივედი, რომ მეგობრებისაგან თავ-დასაღწევად ყველაზე კარგი საშუალე-ბა ეგ არის. დალევ ერთ ჭიქას და იტყ-ვი: „ახლა კი უნდა წავიდე, დამეშები მაქვს გასაგზავნი“... და მორჩა. საგაზე-თო მუშაობაში, სადაც ეთიკა მოი-თხოვს, არავის ეჩვენო მუშაობის დროს, ამისთანა აღმოჩენები ძალიან მნიშვნე-ლოვანია. ერთი სიტყვით, დაბლა ჩავე-დით და სოდანი ვისკი დავლიეთ, კონ-მა კედლებთან ჩამწყრივებულ ბოთლი-ან ყუთებს გადახედა.

— მშვენიერი კაფე ყოფილა, — თქვა მან.

— ბევრი სასმელი აქვთ, — დავეთან-ხმე მე.

— მომისმინე, ჯეიკ, — დახლს გა-დააწევა, — ნუთუ არასოდეს გიფიქრია, რომ ცხოვრება მიდის და შენ კი ჯერ არაფერი მოგისწრია? წარმოგიდგენია, თითქმის ნახევარი ცხოვრება უკვე წა-ვიდა!

— ხანდახან ვფიქრობ ხოლმე.

— წარმოგიდგენია, კიდევ რალაც ოცდათხუთმეტი წელი, და უნდა მოვკ-ვდეთ.

— რა ჯანდაბა მოგივიდა, რობერტ, რა ამბავია!

— სერიოზულად გეუბნები.

— მადლობა ღმერთს, ეს ერთი რამე მაინც არ მაწუხებს.

— უნდა გაწუხებდეს.

— შესაწუხებელი ჯერაც არ მომკ-ლებია. მეტი რა ვიცი!

— ერთი სიტყვით, სამხრეთ ამერი-კაში წასვლა მინდა.

— იცი რას გეტყვი, რობერტ, სწვა ქვეყანაში წასვლა არაფერს არა შვე-ლის. ეგვე მიცდია. რამდენიც არ უნ-და იხეტილო, შენს თავს მაინც ვერ გაქეცევი. მაგისი საშველი არ არის.

— ჰო, მაგრამ ერთხელაც ხომ არ ყოფილხარ სამხრეთ ამერიკაში!



— რას ჩააცვიდი ამ სამხრეთ ამერიკას! ასე ცხვირჩამოშვებული გინდა წასულხარ და გინდა არა! პარიზი მშვენიერი ქალაქია. რატომ არ გინდა, აქ იცხოვრო და ნამდვილი ცხოვრებით დატკბე?

— პარიზი უკვე გულს მირევს, ლათინური კვარტალი გულს მირევს.

— შენც ნუ გავკარგები მაგ კვარტალს. იხეტიალე მარტოდმარტო და ხახე რა მოგივა.

— არაფერიც არ მომივა. მთელი დამე ვიარე ერთხელ და არაფერი მომსვლია. ეგ იყო, რომ ველოსიპედისაზე პოლიტიკაში გამაჩერა და საბუთები მომთხოვა.

— მერე კარგი არ იყო ქალაქი ლამით?

— არ მიყვარს პარიზი.

ეგვეც თქვენ! ძალიან კი მეცოდებოდა, მაგრამ რას ვუშველიდი! რაც არ უნდა გემეცადინა, ორ აკვიატებულ აზრს ვერ შევაცვლევინებდი: სამხრეთ ამერიკა თულა იხსნიდა მას, და პარიზი ეჯავრებოდა. პირველი აზრი წიგნებში ამოვიკითხა, და მეორეც წიგნებში ჰქონდა ამოკითხული.

— წავედი, — ვთქვი მე, — მაღლა უნდა ავიდე და დეპეშები გავაგზავნო.

— მართლა უნდა წახვიდე?

— ჰო, დეპეშები უნდა გავაგზავნო.

— მეც რომ ამოგყე სამსახურში და ცოტა ხანს დაგვადე, ხელს ხომ არ შეგიშლი?

— არა, წამოდი.

წინა ოთახში დაჯდა და გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტირებისა და გამოცემის კითხვა დაიწყო, მე კი მთელი ორი საათი თავი არ ამიღია. მერე დაბეჭდილი ეგზემპლარები ცალ-ცალკე დავალაგე. შენიშვნები გავუკეთე, დიდ კონვენტებში ჩაეწყვე და შიკრიკი გამოვიძახე, რომ სენ ლაზარის სადგურში წაეღო. მეორე ოთახში გავედი. რობერტ კონს სავარძელში ეძინა. თავი მკლავებზე ჰქონდა დადებული. მეძინებოდა გაღვიძება, მაგრამ რედაქცია უნდა დამეკეტა და წავსულიყავი. ბე-

ჭებზე დავადე ხელი. თავი გააქნია.

— მაგას ვერ ვიზამ, — თქვა მან და უფრო ღრმად ჩარგო მკლავებში თავი, — არა. არას დიდებით არ ვიზამ.

— რობერტ, — ვთქვი მე და შევანჯღრიე. ამომხედა, გამიღიმა და თვალი ჩამიკრა.

— ხმამაღლა ვლაპარაკობდი?

— ჰო, მაგრამ ვერ გავარჩიე, რას ამბობდი.

— ღმერთო, რა საძაგელი სიზმარი ვნახე!

— ჩემი საბეჭდი მანქანის ხმაზე ჩაგეძინა?

— ალბათ. წუხელის თვალის არ მომიხუტავს.

— რატომ?

— ვლაპარაკობდით, — თქვა მან.

ჩემთვის ადვილი წარმოსადგენი იყო მათი სიუბარო. საძაგელი ჩვეულება მაქვს — მეგობრები საწოლ ოთახში წარმომიდგებიან ხოლმე. კაფე ნაპოლიტენისკენ გავსწივთ აპერიტივის და სალევად და ბულვარში მოსეირნე ხალხის საყურებლად.

## თავი III

გაზაფხულის თბილი საღამო იყო, რობერტი წავედა, მე კი კაფე ნაპოლიტენის ტერასაზე ვიჯექი, მაგიდასთან, და შევეყურებდი სიზნელის ჩამოწოლას. ვლექტრო-რეკლამების ანთებას, შექნიშვნების მწვანე და წითელ სინათლებს, მოსეირნე ხალხს, ტაქსების გრძელი მწკრივის გასწვრივ ჩაქჩაქით მიმავალ ეტლებს და ეახშმის საშოვნელად გამოსულ „ვარიეტებს“, რომლებიც ხან ცალ-ცალკე და ხანაც წყვილ-წყვილად დაწრიალებდნენ. ერთმა მშვენიერმა გოგამ ჩაუბრა ჩემს მაგიდას, თვალი გავაყოლე — ქუჩას შეჰყვა და გაუჩინარდა. ახლა მეორეს გავაყოლე თვალი, მაგრამ ვნახე, რომ პირველი უკანვე ბრუნდებოდა. ერთხელ კიდევ ჩამიარა, თვალი რომ გავუყარე. მოვიდა და ჩემს მაგიდას მოუჯდა. ოფიციალტიც მოვარდა.



— რას დალევ? ვკითხე მე.

— Pernod.

— პატარა გოგონებისათვის პერნო როგორ შეიძლება?

— შენ თვითონა ხარ პატარა გოგო.

— Dites, garçon, un pernod<sup>1</sup>.

— მეც მომიტანე ერთი პერნო.

— რაო? — მკითხა მან, — გინდა დრო გაატარო?

— რა თქმა უნდა. შენ?

— რა ვიცი. ამ ქალაქში რამეს გაიგებ კაცი!

— არ გიყვარს პარიზი?

— არა.

— რატომ სხვაგან არ წახვალ?

— არა მაქვს წასასვლელი.

— სულერთია, აქაც ბედნიერი ხარ.

— როგორც ჯოჯოხეთში!

პერნო აბსენტის მომწვანო სუროგატი. ცოტა წყალი თუ გაურთი, რძის ფერს მიიღებს. ძირტკბილას გემო დაპკრავს და პირველად აღგაგზნებს ხოლმე. მაგრამ მერე ერთბაშად მოგშლის. ვისხედით და ვსვამდით, გოგოს ცხვირპირი ჩამოსტიროდა.

— პა, — მივმართე მე, — იქნებ ვახშამზე დამპატიო!

გაიჭყანა და მაშინვე მივხვდი, რატომ ერიდებოდა გაცივნებას. პირმოკუმული, მშვენიერი გოგო ჩანდა. ფული გადავიხადე და ქუჩაში გავედით. ეტლს ვაგძახე და მეეტლემ ზედ ტროტუარზე მოაყენა. გადავწეკით ნელსა და რბილად მიმავალ ფიაკრში და დელოპერას ავენიუსკენ გავწიეთ. მალაზიების ვიტრინები განათებული იყო, კარები — დაკეტილი, განახჩახებულ ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. ეტლმა ჩაუარა „ნიუ-იორკ პერალდის“ რედაქციას, სადაც ყველა ფანჯარაში საათი იყო ჩასმული.

— რის მაქნისია ამდენი საათი? — მკითხა გოგომ.

— ამერიკის სხვადასხვა კუთხეების დროს აჩვენებენ.

— რას მახითურებ!

რიუ დე პირამიდის ავენიუსკენ შევუხვიეთ, გავიარეთ ხალხურ, გაქვდილი რიუ დე რივოლი და ბნელმა ქაშყარი ტიულრიში გავედით. მკერდზე მომეხუტა და ხელი მოვხვიე. თავი ასწია და ტუჩები საკოცნელად მომიშვირა, ხელი მომიკიდა, მაგრამ მოვიშორე მისი ხელი.

— ტყუილა იწუხებ თავს.

— რა მოგივიდა? ავად ხომ არა ხარ?

— ჰო.

— ვინდა არ არის ავად! მეც ავად ვარ.

ტიულრიდან სინათლეზე გავედით, სენა გადავკერიით და რიუ დე სენტპერისკენ შევუხვიეთ.

— ავად თუ იყავი, პერნო არ უნდა დაგვლია.

— არც შენ.

— ჩემთვის სულერთია. ქალისთვის სულერთია.

— რა გქვია?

— ეორეეტ. შენ რა გქვია?

— ჯეკობ.

— ფლამანდიური სახელია.

— ამერიკულიც.

— ფლამანდიელი არა ხარ?

— არა, ამერიკელი.

— კიდევ კარგი. ფლამანდიელები მძულს.

ამასობაში რესტორანსაც მივადექით. გააჩერე-მეთქი, მეეტლეს ვაგძახე. ჩამოვხტით. ეორეეტს ვერაფრად ებიტნავა რესტორანი.

— ეს რა რესტორანია!

— რას ამბობ, — ეუთხარი მე, — იქნებ ფოაიო გირჩევნია. რატომ არ დაიდევინე ეტლს — ბარემ ჩაჯდებოდი და გასწევდი!

იმიტომ წამოვიყვანე, რომ რაღაც ბუნდოვანი სენტიმენტალური აზრი გამიჩნდა, ვინმესთან ერთად უფრო გემრიელად ვივახშმებ-მეთქი. დიდი ხანია „ვარიკასთან“ აღარ მევახშმნა და დავიწყებული მქონდა, რა მოსაწყენიც არის ეგ. შევედით რესტორანში, ჩავუარეთ მაღამ ლავინს, რომელიც საანგარიშო მიგვიდასთან იჯდა, და პატარა

<sup>1</sup> ვაკსონ, ერთი პერნო! (ფრანგ.).

ოთახში გავედით. საკმელმა ცოტათი გაახალისა ქორეტი.

— არც ისე ცუდი ყოფილა. — თქვა მან. — თვითონ რესტორანი ვერაფერი შეილია, მაგრამ კარგი საკმელები ჰქონიათ.

— ერთი ლიეჟში გაქმევენ ასე გემრიელად!

— ბრიუსელი უნდა გეთქვა.

მეორე ბოთლი ღვინოც დავლიეთ და ქორეტიმა ხუმრობა დაიწყო. გაიღიმა, გამაჩინა თავისი უხეირო კბილები. და ჩვენ ჰიქები მივაჯახუნეთ.

— კაი ბიჭი ყოფილხარ. — თქვა მან, — აფსუსია, ავად რომ ხარ. კარგად შევეწყობოდით ერთმანეთს. მაინც რა მოგივიდა?

— ომში დავიჭერი.

— ოჰ, ეს ბინძური ომი!

აღბათ შევეყვებოდით ომზე მსჯელობას, და იმ დასკვნამდე მივიდოდით, რომ ომი ცივილიზაციის დამლუბველია, და უმჯობესია თავიდან ავიცილოთ. მე ხომ ყელში ამოვივიდა! უცებ მეორე ოთახიდან გაისმა:

— ბერნს! ჰეი, ბერნს! ჯეკობ ბერნს!

— მეგობარი მეძახის, — ვთქვი და გამოვედი.

დიდ მაგიდას ბრედოკსი და მთელი კომპანია შემოსხდომოდა: კონი, ფრენსისი, კლანინი, მისის ბრედოკსი და კიდევ ვიღაცები.

— საცეკაოდ არ წამოხვალ? — მკითხა ბრედოკსმა.

— სადა?

— დანსინგსში, რა თქმა უნდა. ჩვენ ისევ განვახლებთ ცეკვა, არ გაგივიბათ? — ჩაურთო მისის ბრედოკსმა.

— წმოდით, ჯეიკ, ყველანი მივდივართ, — გამოძახა ფრენსისმა სუფრის ბოლოდან. წელში გამართულიყო და იღიმებოდა.

— წამოვა, აბა რას იზამს, — თქვა ბრედოკსმა, — შემოგვიერთდი, ყავაზე დაგვეწვიე.

— კარგი.

— თქვენი მეგობარიც მოიყვანეთ, — სიცილით მითხრა მისის ბრედოკსმა.

კანადელი იყო და კანადური სილამდე და უშუალობა ჰქონდა.

— გმადლობთ, ახლავე გამოცხლთ, — ვთქვი მე და ჩვენს პატარა ოთახში შევბრუნდი.

— ვინ არიან ეს შენი მეგობრები? — მკითხა ქორეტიმა.

— მწერლები და მხატვრები.

— მთელი გამოღმა მხარე სულ მაგათია.

— ძალიან ბევრნი არიან.

— ძალიან. თუმცა ზოგ-ზოგი მაინც კარგად აკეთებს ფულს.

— ო, იცოცხლე!

მოერჩით ვახშაშს, ღვინოც გამოვცალეთ.

— წავიდეთ, — ვთქვი მე — ყავა იმათთან დავლიოთ.

ქორეტიმა ჩანთა გახსნა, სარკეში ჩაიხედა და პულარი წაისვა. მე რე ტუჩებზე პომადა წაიციო და ქუდი წამოსწია.

— წავიდეთ.

ხალხით გაჭედვილ ოთახში შევედით, ბრედოკსი და სხვა მამაკაცები წამოდგნენ.

— ნება მომეცით წარმოგიდგინოთ ჩემი fiancée<sup>1</sup>, მადმუაზელ ქორეტი ლებლანი, — ვთქვი მე. ქორეტიმა თავისი მომხიბლავი ღიმილით გაიღიმა. ყველას ჩამოვართვით ხელი.

— მომდერალ ქორეტი ლებლანისა ხომ არაფერი ხართ?! — მკითხა მისის ბრედოკსმა.

— Connais pas<sup>2</sup>, — უპასუხა ქორეტიმა.

— ერთნაირი რომ გაქვთ სახელიცა და გვარიც! — გულწრფელი დაინტერესებით ჩაეკითხა მისის ბრედოკსი.

— არაფერიც, — მიუგო ქორეტიმა, — სულაც არა. ჩემი გვარი ჰობენია.

— მისტერ ბერნსმა რომ მადმუაზელ ქორეტი ლებლანად გავაცნო თქვენი თავი? ასე არა თქვა? — არ ეშვებოდა მისის ბრედოკსი და ფრანგულის ლაპარაკით ისე აღგზნებულიყო,

1 სიცილე (ფრანგ.). 2. ვერა ეცნობ (ფრანგ.).

რომ აღარც კი ესმოდა თავისივე წარმოთქმული სიტყვების შინაარსი.

— ეს სულელია, — თქვა ჟორჟეტმა.

— აჰ, იხუმრა? — იკითხა მისის ბრედოკსმა.

— დიახ, გასაციანებლად, — მიუფო ჟორჟეტმა.

— არ გესმის, ჰენრი — სუფრის ბოლოში გასძახა მისის ბრედოკსმა ქმარს, — მისტერ ბერნსმა თავისი fiancée მადმუაზელ ლებლანად გაგვაცნო, ნამდვილად კი ჰობენი ყოფილა.

— რა თქმა უნდა, ჩემო ძვირფასო, მადმუაზელ ჰობენია, რამდენი ხანია ვიცნობ.

— ო, მადმუაზელ ჰობენ, — მიმართა ფრენსის კლინმა, რომელიც ფრანგულს სხაპასხუპით ლაპარაკობდა, მაგრამ მისის ბრედოკსისაგან განსხვავებით, არც უკვირდა ეს და არც დიდად ამყობდა, — დიდი ხანია პარიზში ხართ? მოგწონთ აქაურობა? ხომ გიყვართ პარიზი? ჰა?

— ვინ არის ეს ქალი?! მომიბრუნდა ჟორჟეტი, — უსათუოდ უნდა ვუპასუხო?

მერე ფრენსისკენ მიბრუნდა, რომელიც გულხელდაკრეფილი იჯდა, იღიმებოდა, თავი მომალლოდ დაქვირა მაღალ კისერზე და ტუჩები ისე მოეპრუწა, რომ, ეტყობოდა, კვლავ სალაპარაკოდ იყო გამზადებული.

— არა, არ მიყვარს პარიზი. ძვირია და ჭუჭყიანი.

— მართლა? მე კიდევ, ძალიან სუფთა მეჩვენება — მთელს ევროპაში ყველაზე უსუფთავესი ქალაქი.

— მე კი მგონია, რომ ჭუჭყიანია.

— რა უცნაურია! ალბათ, დიდი ხნის ჩამოსული არა ხართ.

— კარგა ხნის ჩამოსული ვარ.

— მაგრამ კარგი ხალხი კია, ეს უნდა ვეღიარო.

ჟორჟეტი მე მომიბრუნდა.

— მშვენიერი მეგობრები გყოლია.

ფრენსისი შემთვრალი იყო და ლაპარაკი ეხალისებოდა, მაგრამ ყაფა შემოიტანეს, მერე ლავინმა ლიქიორი მო-

გვართვა, რის შემდეგაც ბრედოკსს ხათრი აღარ გავუტეხეთ და საცეკვაო კლუბისაკენ გავემართეთ.

ეს საცეკვაო კლუბი bal musette იყო, რიუ დე ლა მონტენ სენ ენვიზე. პანთეონის უბანში მცხოვრები მუშა ხალხი კვირაში ხუთ დღეს იქა ცეკვავდა. ერთი საღამო დანსინგ — კლუბად ჰქონდათ გადაქცეული, ხოლო ორშაბათობით კეტავდნენ. ჩვენ რომ მივედით, კლუბში კაცის ჰაჰანება არ იყო — მარტო პოლიციელი ჩამომჯდარიყო კარებთან, და კლუბის პატრონი და მისი მეუღლე დახლში იდგნენ. შევედით თუ არა, ზემოდან პატრონის ქალიშვილი დაეშვა. ოთახში გრძელი სკამები და მაგიდები იდგა. ბოლოში კი საცეკვაო მოედანი ჰქონდათ მოწყობილი.

— ნეტა უფრო ადრე იკრიბებოდეს ხალხი, — თქვა ბრედოკსმა. ქალიშვილი მოგვიახლოვდა და გკითხა, დასალევი რა მოგართავთო. კლუბის პატრონი მოედნის ახლოს ტაბურეტზე წამოჯდა და აკორდონი გაწეოდა. კანაფზე ასხმული ევენები ცალ კოჭზე შემოეკრა და მუსიკის ტაქტს ფეხსაც აყოლებდა. ყველა ცეკვავდა. ცხელოდა და მოედნიდან გაოფლიანებულები გამოვედით.

— ღმერთო ჩემო, — თქვა ჟორჟეტმა, — ეს რა კოლოფია. სულ ოფლად გავიღვარე.

— ცხელა!

— ჯოჯოხეთური სიცხეა!

— ქული მოიხადე.

— კარგი გამახსენე.

ჟორჟეტი ვილაცამ საცეკვაოდ გაიწვია, მე დახლს მივაღექე. მართლაც ძალიან ცხელოდა და აკორდონი სასიამოვნოდ ჟღერდა ამ ცხელ ლამეში. ღია კარებში ვიდექე, ლუდი დავლიე და შუბლი ქუჩიდან მონაბერ გრილ ნიავს მიფუშვირე. დაღმართზე ორი ტაქსი დევსვა. კლუბის წინ გაჩერდა ორივე. ყმაწვილი კაცები ჩამოხტნენ — ზოგს ჯემპრი ეცვა და ზოგსაც მოკლესახელოანი პერანგები. კარებიდან გაჭრილ

1 იაფფასიანი საცეკვაო დარბაზი (ფრანგ.).

სინათლეზე კარგად ვხედავდი მათ ხელებსა და ახლადდაბანილ, დახვეწულ თმებს. კარებთან მდგომმა პოლიციელმა შემომხედა და გამიღიმა. ყმაწვილები დარბაზში შემოვიდნენ მანქვა-გრეხითა და ყბედობით, სანთლის შუქზე კარგად გავარჩიე თეთრი ხელები, დახვეწილი თმები და თეთრი სახეები. ბრეტიც მათ ახლდა. ძალიან ლამაზი ჩანდა და, ეტყობოდა, კარგად იყო შეწყობილი ამ ბიჭებთან.

ერთმა მათგანმა ჟორჟეტი დაინახა და მაშინვე წამოიძახა: „აბა, ნამდვილი კახა. ლეტ, აბა გვიყურე, უნდა ვაქცევო“.

მალაშა, შეგვერემანმა ბიჭმა, რომელსაც ლეტი ერქვა, უთხრა: „კარგი ერთი, აყალმაყალი არ ასტეხო“.

თმდახვეულმა ქერა ბიჭმა უპასუხა: „შენ ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო კარგო“. და ბრეტიც ამითან იყო.

გული ყელში მომეზვინა. თავს ვერ ვიკავებდი, მუდამ საშინლად მაბრაზებდა მათი მანქვა-გრეხა, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ სასაცილოდ მიჩინათ ხოლმე და, უნდა მოუთმინოთ, ამბობენ. მინდოდა, ერთი მაგრად ჩამეფარებინა რომელიმესთვის, სულერთია ვინც იქნებოდა, და ეს უტიფრული მანქვა დამევიწყებინა. ამის ნაცვლად, გარეთ გავედი, ქუჩას დავუყვები და მეზობელ საცევაო დარბაზში ლუდი დავლიე. ცუდი ლუდი შემხვდა და გემოს გამოსასწორებლად კონიაკი დავაყოლე, მაგრამ ეს კიდეც უფრო უარესი აღმოჩნდა. უკან რომ დავბრუნდი, მოედანზე გახურებული ცეკვა ჰქონდათ. ჟორჟეტი ცეკვავდა იმ მალაშ, ქერა ბიჭთან, რომელსაც თავი გვერდზე გადაედრიცა, თვალები მალაშა ჰქონდა აბრეცილი და თეძოებს აქეთ-იქით გრეხდა. შეწყდა თუ არა მუსიკა, ახლა მეორემ გაიწვია საცევაოდ. სულ წამართვეს, ვიცოდი, რომ სათითაოდ ყველა იცეკვებდა მასთან. ასეთი ჩვეულება აქეთ.

მაგიდას მივუჯექი. კონიც იმ მაგიდასთან იჯდა. ფრენსისი ცეკვავდა. მი-

სის ბრედოქსმა ვიღაც მოიყვანა და გავაცნო — რობერტ პრენტისი არის. ნიუ-იორკელი იყო, ჩიკაგოში დაბადებული, და მწერლობაში კარგი პირი უჩანდა. რალაც უცნაური ინგლისური აქცენტით ლაპარაკობდა. ღვინოზე მოვიწვიე.

— გამაღობთ, — მიპასუხა მან, — ეს არის, დავლიე.

— კიდეც დავლიე.

— გამაღობთ, დავლიე.

კლუბის პატრონის ქალიშვილს მოევხმეთ და თითო ჰიქა წყლიანი კონიაკი დავუყვეთეთ.

— როგორც მითხრეს, თქვენ კანზას სიტიდან უნდა იყოთ, — თქვა მან.

— დიახ.

— პარბი მოგწონთ?

— დიახ.

— მართლა?

შემთვრალი ვიყავი; ძალიან კი არა, მაგრამ ისე ვიყავი, რომ დიდი წილადობილის თავი არა მქონდა.

— დიახ, ღმერთმანი, — ეუთხარი მე, — თქვენ?

— რა მომხიბლავი გაბრაზება გცოდნიათ! — თქვა მან, — ნეტა მეც შემეძლოს!

ავდექი და საცევაო მოედნისაკენ გავემართე. მისის ბრედოქსიც გამომყვა.

— რობერტზე ნუ გაბრაზდებით, — მითხრა მან, — ხომ ხედავთ, ჯერ კიდეც ბავშვია.

— არც გავბრაზებულვარ. ისე გავიფიქრე, გული არ ამერიოს-მეთქი.

— თქვენს საცოლეს დიდი წარმატება ხვდა, — თქვა მისის ბრედოქსმა და საცევაო მოედნისაკენ გაიხედა, სადაც ჟორჟეტი მალაშ, შეგვერემან ბიჭს ჰყავდა ჩაბლუჯული. ცეკვავდნენ.

— მართლა?

— ნამდვილად, — მიპასუხა მისის ბრედოქსმა.

კონი შემოგვიერთდა.

— წამოდი, ჯეიკ, — თქვა მან, — დავლიოთ, — დახლთან მივედით, —

რა მოგივიდა? თითქოს რაღაცას შე-  
უწყებინებო.

— არა, ეს კვილბახობა მირევეს  
გულს, მეტი არაფერი.

ბრეტცი მოვიდა დახლთან.

— გამარჯობათ, ბიჭებო.

— გამარჯობა, ბრეტ, — ვუთხარი  
მე, — რატომ მთვრალი არა ხარ?

— მორჩა, აღარც დავთვრები. სო-  
დიან კონიას არ დააღვეინებთ კაცს?

იღვა, ხელში ჭიქა ეჭირა, და მე ვხე-  
დავდი, რომ რობერტ კონი მას მიშტე-  
რებოდა. ოდესღაც, ალბათ, ასევე იყუ-  
რებოდა მისი წინაპარი, როცა აღწქმუ-  
ლი ქვეყანა დაინახა. კონი, რაღა თქმა  
უნდა, ვაცილებით უფრო ახალგაზრდა  
იყო. მაგრამ ისეთივე გაფაციცებული  
თვალეებით შეჰყურებდა.

— ძალიან ბრწყინვალე ხალხი კი  
გახლავს, ბრეტ!

— მართლა კარგები არიან, არა?  
შენ ჩემო ძვირფასო! შენ სადღა გადა-  
ეყარე?

— ნაპოლიტენში.

— კარგი საღამო გაატარეთ?

— ო, დიდებული.

ბრეტმა გაიცინა.

— ასე როგორ იქნება, ჯეიკ! ეს ყვე-  
ლას შეურაცხყოფაა. ხედავ, ფრენ-  
სისიცი აქ არის, ჯოუცი.

ეს კონის გასაგონად იყო ნათქვამი.

— გაჰირებინაა, — თქვა ბრეტმა  
და კიდევ გაიცინა.

— სულ არ გეტყობა სიმთვრალე. —  
ვუთხარი მე.

— მაშა! ხომ მართლა არ მეტყობა?  
ამისთანა ხალხში რომ მოხვდები, შე-  
გიძლია გულდამშვიდებით სვა.

მუსიკა დაუკრეს და რობერტ კონმა  
ბრეტს მიმართა:

— ჩემთან არ იცეკვებთ, ქალბატონო  
ბრეტ?

ბრეტმა გაუღიმა.

— ჯეკობს შევპირდი, — გაიცინ-  
ნა, — ნამდვილი ბიბლიური სახელი  
გაქვს, ჯეიკ.

— ამის შემდეგ?

— უნდა წავიდეთ, — უბასუხა ბრეტ-  
მა, — მონმარტრზე მივდივართ.

ცეკვის დროს ბრეტის მხრებიდან  
გაეხედე და ვნახე, რომ კონი ისევ დახ-  
ლთან იღვა და კვლავ ბრეტს შეჰყუ-  
რებდა.

— ერთი კიდევ წამოეგო, — ვუთ-  
ხარი ბრეტს.

— კარგი, თუ ღმერთი გწამს, —  
საწყალი ბიჭი. აქამდე არც შემინიშ-  
ნავს.

— დიახ, რა თქმა უნდა, — ვთქვი  
მე, — ვითომ სულაც არ ვიყვარს მა-  
გისთანების შეგროვება.

— ნეტა რას ჩმახავ!

— თორემ, არ ვიყვარს!

— ვთქვათ მიყვარს! მერე რა?

— არაფერი, — ვუთხარი მე. ჩვენ  
აკორდონის ხმაზე ვცეკვავდით. ვი-  
ლაცამ ბანჯოსაც ჩამოჰკრა. ცხელოდა,  
მაგრამ თავს ბედნიერად ვგრძნობდი.  
ჟორჟეტს ჩაუღარეთ, ახლა ვილაც  
სხეასთან ცეკვავდა, იმავე ყმაწვილთა-  
გან.

— ნეტა რამ წამოგაყვანიან!

— მე თვითონ არ ვიცი. ავდექი და  
წამოვიყვანე.

— რომანტიკამ წამოგიარა?

— არა, მოწყენილობამ?

— ახლაც?

— არა, ახლა არა.

— წავიდეთ აქედან. არ მოგიწყენენ,  
ნუ გეშინია.

— მართლა გინდა წასვლა?

— რომ არ მინდოდეს, რატომ გეტ-  
ყოლი?

მოედანს მოეშორდით, მე პალტო  
ჩამოგხსენი კედლიდან და ჩავეცვი.  
ბრეტი დახლთან იღვა. კონი ელაპარა-  
კებოდა. მეც დახლთან შევდექი და  
კონვერტი მოვითხოვე. ჯიბიდან ორ-  
მოცდაათფრანკიანი ამოვიღე, კონვერ-  
ტში ჩავდე, დავბეჭდე და დიასახ-  
ლისს გადავეცი.

— იმ გოგომ თუ მიკითხოს, ვისთან  
ერთადაც მოვედი, ეს გადაეცით, —  
ვუთხარი მე, — იმ ახალგაზრდა ყმაწ-



ვილებს თუ გაპყვეს, მაშინ ისევ მე შე-  
მინახეთ, კარგი?

— C'est entendu monsieur, —  
მითხრა დიასახლისმა, — უკვე მიდი-  
ხართ? ასე ადრე?

— დიახ, — მივუგე მე.

კარებისაკენ გავემართეთ, კონი  
კვლავ რაღაცას ეჩინებოდა ბრეტს.  
ბრეტი გამოემშვიდობა და ხელი გა-  
ნომლო.

— ნახვამდის, კონ, — ვთქვი მე.

გარეთ რომ გამოვედი, ტაქსის  
დავეუწყეთ ძებნა.

— შენმა ორმოცდაათფრანკიანიმა  
ჭირი მოგვამა, — მითხრა ბრეტმა.

— რა თქმა უნდა!

— ტაქსის ჰვაენგაც არ არის.

— პანთონისკენ ავინაცვლოთ და იქ  
ვიშოვით.

— აქვე ბარში შევიდეთ სადმე, და  
მანამ დავედევნეთ, ტაქსისაც გამოვუძა-  
ხებთ.

— ქუჩაზე გადასვლასაც კი ერიდე-  
ბი!

— რატომაც არა, თუკი შეიძლება არ  
გადავიდე.

მეზობელ ბარში შევედი და ოფი-  
ციანტი ტაქსისთვის გავგზავნე.

— აჰა, — ვთქვი მე, — ძლივს და-  
ვალწიეთ თავი.

თუთიაგადაკრულ მაღალ დახლთან  
ვიდექით უხმოდ და ერთმანეთს შევეყუ-  
რებდით. ოფიციანტი მოვიდა და, ტაქ-  
სი გელოდებათო, გვითხრა. ბრეტმა ხე-  
ლი მომიჭირა. ოფიციანტს ფრანკიანი  
ვაჩუქე და გარეთ გამოვედი.

— საით წავედეთ? — ვკითხე მე.

— სადმე გავისეირნოთ.

შოფერს ვუთხარი, მონსურის ბალი-  
საკენ წავედეთ-მეთქი და კარები მოვი-  
ჯახუნე. ბრეტი კუთხეში მიიყუტა და  
თვალეები დახუჭა. მეც შევედი და გვერ-  
დში მივეუჯექი. მანქანა აძიგვიგდა და  
დაიძრა.

— ო, რა უბედური ვარ, ჩემო კარ-  
გო! — თქვა ბრეტმა.

## თავი IV



მარნაბ ზამინდუბი

ტაქსიმ გორაკი აიარა, განათებული  
მოედანი გადასვრა, მერე ისევ სიბნე-  
ლეში შეუყვავა აღმართს, სიბნელეშივე  
აივავა, სენტ ეტიენ დიუ მონს შემოუა-  
რა და ასფალტზე გასრიოდა, გასცდა  
ხეივანსა და ავტობუსის გაჩერებას  
კონტრესკარპის მოედანზე, და რიუ  
მუფტარის ქვაფენილზე გავიდა. ქუ-  
ჩის აქეთ-იქით გაჩახახებული ბარები  
და ჯერ კიდევ ღია ღუქნები მოსჩანდა.  
ერთმანეთის მოშორებით ვისხედით,  
მაგრამ ძველ ოღრო-ჩოღრო ქუჩაზე  
რომ გავედით, მანქანამ შეგვანჯღრიო  
და ერთმანეთს მიგვახალა. ბრეტმა ქუდი  
მოიხალა, თავი უკან გადასწია. ვიტრი-  
ნიდან გამოჭრილ შუქზე მისი სახე გა-  
მოჩნდა, მერე ისევ დაბნელდა. ავე-  
ნიუ დე გობელენზე რომ გავედით, უფ-  
რო გარკვევით დავინახე მისი სახე. ქუ-  
ჩა სულ დათხრილი იყო და აცეტრილე-  
ნის შუქზე მუშებს ტრამვაის ხაზი გამ-  
ყავდათ. ამ ელვარე შუქზე ბრეტის სა-  
ხე და მაღალი კისერი ქათქათა თეთრი  
მოჩანდა. ისევ ჩაბნელდა, და მე  
ვაკოცე. ჩვენი ტუჩები ერთმანეთს მი-  
ეწება, მერე ბრეტი მომშორდა და რამ-  
დენადაც კი შეიძლებოდა კუთხეში მი-  
იყუტა. თავი ჩაქინდრა.

— ნულარ მომეკარები, — თქვა  
მან, — თუ ღმერთი გწამს, ნულარ მო-  
შეკარები.

— რა მოგივიდა?

— აღარ შემიძლია.

— ბრეტი!

— ნუ! ხომ იცი, რომ არ შემიძლია.  
არ შემიძლია, და რა ვქნა! ნუ, ჩემო  
კარგო, დამიჯერე.

— არ გიყვარვარ?

— გიყვარვარო? ხელს რომ მახლებ,  
ლამის ფაფალ ვიქცე.

— ვერაფერს ვილონებთ?

ისევ გასწორდა. მე ხელი მოვხვიე,  
იგი ზურგით მომეყრდნო, და ასე წყნა-  
რად ვისხედით. თვალეებში ჩამაშტერდა  
სწორედ ისე, როგორც მან იცოდა ხოლ-  
მე; დიდხანს რომ გაუსწორებდი თვალს,

<sup>1</sup> კარგი, ბატონო (ფრანგ.).



ექვი შეგებარებოდა, ხედავს რამეს თუ არაო. ქვეყნად ვერავის თვალები ვერ გაუშლებდნენ ამდენხანს ცქერას, ისინი კი მოგმტერებოდნენ და მოგმტერებოდნენ. ისე გიყურებდნენ, თითქოს ქვეყანაზე არაფერი იქნება ისეთი, ასევე არ გაუსწოროს თვალიო, სინამდვილეში კი ბევრი რამისა ეშინოდა.

— მაშ არაფერი შეგვიძლია ვიღონოთ, სულ არაფერი? — ვთქვი მე.

— არ ვიცი, აღარ მინდა კიდეც გავიარო ის ჯოჯოხეთი.

— სჯობს აღარც შევხედეთ ერთმანეთს.

— უშენოდაც რომ ვერ გავძლებ, ჩემო ძვირფასო! შენ რომ გგონია, მართო იმაზე არ არის საქმე.

— ჰო, მაგრამ საბოლოოდ მაინც იქამდე მიდის ყველაფერი.

— ეგ ჩემი ბრალია. რასაც კი ვაკეთებთ ხოლმე, ყველაფრის სამაგიერო გადაგვხდება.

ერთთავად მე მომშტერებოდა. მისი თვალები სულ სხვადასხვა სიღრმისა ჩანდა, ზოგჯერ საესეებით ბრტყელი გჩვენებოდა. ახლა კი თითქმის ფსკერსაც ვხედავდი.

— რომ გავიხსენებ, რა ჯოჯოხეთურად გამიწამებია ხოლმე ეს ყმაწვილები, იმის სამაგიეროს ახლა ვიხდი.

— რა სულელივით ლაპარაკობ, — ვუთხარი მე, — ეგეც რომ არ იყოს, ხალხს ამისთანა საქმე, მე რომ მჭირს, სასაცილოდ აქვს გახდილი. მე სულაც არ ვფიქრობ ხოლმე ამაზე.

— რაღა თქმა უნდა. ადვილი დასაჯერებელია.

— მოდი, მოვეშვათ.

— იყო დრო, მე თვითონვე ვიცინოდი ამაზე, — მე აღარ მიყურებდა, — ჩემი ძმის მეგობარი დაბრუნდა სწორედ ასე, მონსიდან. სასაცილოდაც არა ჰყოფნიდათ. ახალგაზრდებს აბა რა ესმით! არა, განა?

— ასეა. — ვუთხარი მე, — არავისაც არ ესმის.

მე უკვე შევეგუე ამას. ჯერ ალბათ ათასნაირად ავწონ-დავწონე, ისიც გა-

ვითვალისწინე, რომ სხვისი ნაკლი და ხეიბრობა ხალხს სალაზღანდაროდ გაუხვდია, მაშინ როდესაც თვითონ იმ კაცს სულაც არ აქვს სალაზღანდაროდ საქმე.

— სასაცილოა, — ვთქვი მე, — ძალიან სასაცილოა. და კიდეც უფრო სასაცილო — სიყვარულია.

— ვითომ? — თვალები ისევ გაუბრტყელდა.

— სასაცილო სულ სხვა თვალსაზრისით. თორემ ისე, იცოცხლე, სასიამოვნო გრძნობაა.

— მე კი მგონია, რომ ნამდვილი ჯოჯოხეთია, — თქვა მან.

— კარგია ერთმანეთის სიახლოვე.

— არა. არა მგონია.

— შენ არ გსიამოვნებს?

— მე უშენოდ არ შემიძლია.

ახლა უკვე უცნობებივით ვისხედით. მარჯვნივ მონსურის ბალი გადაშლილი იყო. რესტორანი, სადაც ცოცხალი კალმანები ჰყავდათ აუზში, და სადაც შეგძლო მჯდარიყავი და ბალისთვის გეცქირა, დაკეტილი და ჩაბნელებული იყო. შოფერმა თავი მოაბრუნა.

— საით წავიდეთ? — გკითხე ბრეტს.

— სელექტში.

— კაფე სელექტი! — ვუთხარი შოფერს, — მონპარნასის ბულვარზე. — წავედით. ჩაგუარეთ ბელფორის ლომს, რომელიც მონრუჟის ტრამვაის ხაზსა სდარაჯობს. ბრეტი პირდაპირ იყურებოდა. რასპაის ბულვარს რომ მივაღეჭით, საიდანაც მონპარნასის ჩირაღდნები გამოჩნდა, ბრეტმა მითხრა:

— ძალიან ზომ არ გამიბრაზდები, ერთი რამე რომ გთხოვო?

— რას სულელობ!

— მანამ ჩამოვიდოდეთ, ერთხელ კიდე მაკოცე.

ტაქსი რომ გაჩერდა, ჩამოვედი და ფული გადავიხადე. ბრეტი ქულის სწორებით ჩამოვიდა. ჩამოსვლისას ჩემს ხელს დაეყრდნო. ხელი უკანკალებდა.

— ძალიან აჩაჩული ვარ, არა? — მამაკაცის თქმის ქული შუბლზე ჩამოიფხატა და კაფეში შევიდა. დახლსა და

მაგიდებს თითქმის იგივე ხალხი შემოხვეოდა, ვინც ცეკვაზე იყო.

— ჰელო, ყმაწვილებო! — შესძახა ბრეტმა, — უნდა დავლიო.

— ბრეტ! ბრეტ! — მოიბრინა პატარა ბერძენმა პორტრეტისტმა, რომელიც თავის თავს ჰერცოგს უწოდებდა, სხვები კი ზიზის ეძახდნენ, — კარგი რამე უნდა გითხრა!

— ჰელო, ზიზი.

— მინდა მეგობარი გაგაცნო, — უთხრა ზიზიმ. მსუქანი კაცი მოგვიახლოვდა.

— გრაფი მიპიპოპულო — ჩემი მეგობარი ლედი ეშლი.

— გამარჯობათ, — უთხრა ბრეტმა.

— როგორ გიკითხოთ, ქალბატონო? კარგ დროს ატარებს თქვენი ბწყინვალება პარიზში? — ჰკითხა გრაფმა მიპიპოპულომ, რომელსაც საათის ძეგვზე ირმის კბილი ჰქონდა გამოხმული.

— არა უშავს რა, — მიუგო ბრეტმა.

— რაც არ უნდა იყოს, პარიზი მშვენიერი ქალაქია, — თქვა გრაფმა, — მაგრამ, როგორც ვატყობ, თქვენ ლონდონშიაც ბრწყინვალედ ატარებთ დროს.

— რა თქმა უნდა, — მიუგო ბრეტმა, — დიდებულად.

ბრედოქსმა მაგიდასთან მიმისმო.

— დალიე, ბერნს, — მითხრა მან, — შენი გოგოს გამო საშინელი ჩხუბი ატყდა.

— რანაირად?

— დიასახლისის ქალმა უთხრა რაღაც. ჯოჯობეთური ჩხუბი დატრიალდა. ყოჩაღი გოგო გამოდგა, იცი. მაშინვე ყვითელი ბილეთი ამოაძრო და დიასახლისის ქალსაც მოსთხოვა — შენიც გვაჩვენეო. საშინელი ჩხუბი ატყდა.

— მერე?

— ვილაცამ წაიყვანა. არ არის ურიგო გოგო. ისე სხაპასხუბით მიაყარა პარიზული ქარგონი! დაჯექი, დავლიოთ.

— არა, უნდა წავიდე, — ვუთხარი მე, — კონი არ გინახავთ?

— ფრენის გაპყვა სახლში, — მიპასუხა მისის ბრედოქსმა.

— საწყალი ბიჭი, ცხვირპირი ჩამოსტირის, — თქვა ბრედოქსმა. <sup>მანუელ ბერიძე</sup> ბრეტს დაბლთან გამოეწეშებოდა. გრაფი შამანურს ახსენებდა.

— ერთ ჭიქას არ დავგილევთ, სერ? — მკითხა მან.

— არა. დიდი მადლობელი ვარ. უნდა წავიდე.

— მართლა მიდიხარ? — მკითხა ბრეტმა.

— ჰო, — ვუთხარი მე, — თავი მისკდება.

— ხვალ ვერ გნახავ?

— რედაქციაში შემოიარე.

— ვაი თუ ვერ მოვახერხო.

— მაშ სადა გნახო?

— სადმე, ხუთი საათისთვის.

— გალმა შევხვდეთ.

— კარგი. ხუთ საათზე კრიიონთან ვიქნები.

— არ დაგავიწყდეს, — ვუთხარი მე.

— ფიქრი ნუ გაქვს, — მიპასუხა ბრეტმა, — როდის მომიტყუებინხარ.

— მაიკისა რა იცი?

— წერილი მივიღე დღეს.

— ღამე მშვიდობისა, სერ, — მითხრა გრაფმა.

ქუჩაში გამოვედი და სენ მიშელის ბულვარისაკენ გავსწიე. ჩავეუარე კაფე როტონდის მაგიდებს, სადაც ისევ ბლომად იყო ხალხი, ქუჩის გადაღმა კაფე დოუმს გავხედე: ზედ ტროტუარზე გამოედგათ მაგიდები. ვილაცამ ხელი დამიქნია, მაგრამ ვერ გავარჩიე, ვინ იყო, და გზა განვაგრძე. სახლში მიმეჩქარებოდა. მონპარნასის ბულვარი დაცარიელებული იყო. ლავინი უკვე დაეკეტათ. ზოლო კლოზერი დე ლილას წინ მაგიდებს ალაგებდნენ. ჩავეუარე ნეის ქანდაკებას, რომელიც ახლად შეფოთლილ წაბლებს წინ დგას და რკალ-ნათურები ანათებენ. კვარცხლებეზე შემეკანარი წითელი გვირგვინი იყო მიყუდებული. შევჩერდი და წარწერა წავიკითხე: ბონაპარტისტთა ჯგუფისაგან, და რაღაც თარიღი ეწერა. აღარ მახსოვს. დიდებული ჩანდა, მარ-

შალი ნეი, თავის ჩექმებში, ამოდებულ  
ლი ხმალი წაბლის ახლად გაშლილ  
მწვანე ფოთლებამდე უწევდა. მე იქვე  
ეცხოვრობდი, ქუჩის გადაღმა, სენ მი-  
შელის ბულვარის დასაწყისშივე.

კონსიერჯის ოთახში სინათლე ენთო.  
კარებზე დავაკაკუნე და ჩემი ფოსტა  
გადმოძვდა. ღამე მშვიდობისა ვუსურვე  
და მალა ავედი. ორი წერილი და რამ-  
დენიმე გაზეთი იყო. გაზის სინათლეზე  
გადავთვალე რე, სასადილო ოთახში.  
წერილები ამერიკიდან იყო. ერთში  
ბანკის ანგარიში იღო. ნაშთი 2, 432. 60  
დოლარს უდრიდა. ჩემი ჩეკების წიგ-  
ნაკი ამოვიღე, ამ თვის პირველი რიც-  
ხიდან გამოწერილი ოთხი ჩეკის თანხა  
გამოვიანგარიშე და ვნახე, რომ ნაშთი  
1, 832. 60 დოლარი იყო. ეს რიცხვი  
ბანკის ანგარიშს მივაწერე, მეორე  
გვერდზე. მეორე წერილი ქორწინების  
ბარათი აღმოჩნდა. მისტერ და მისის  
ალოიზიუს კიბრი იუწყებოდნენ თავი-  
ანთ ქალის — ქეთრინის ქორწინების  
ამბავს. არც იმ გოგოს ვიცნობდი, არც  
იმ კაცს, ვისაც იგი მისთხოვდა. ალბათ  
მთელს ქალაქს აუწყეს ეს ამბავი. სასა-  
ცილო გვარი კია. დაწმუნებული ვარ,  
მართლა რომ მცნობოდა ვინმე ალოი-  
ზიუსი, არაფრის დიდებით არ დამავიწყ-  
ყდებოდა. ნამდვილი კათოლიკური გვა-  
რია. უწყებაზე გერბის გამოსახულებაც  
იყო. რაღა ეს და რაღა ზიზი — ბერძენი  
პერცოგი. ან ის გრაფი. რა სასაცილო  
გრაფია. ტიტული ბრეტსაც აქვს. ლედი  
ემლი! ჯანდაბას ბრეტის თავი! ჯანდა-  
ბამდისაც ვხა ვქონია, ლედი ემლი!

სასთუმალთან ღამა ავანთე. გაზი  
ჩაეაქრე და ფართო ფანჯრები და-  
ვადე. საწოლი ფანჯრების მოშორებით  
მდგა, ლოგინთან ახლოს ჩამოვეჯექი  
და ვახდა დავიწყე. ვარეთ, ტრამვაის  
ხახუ, ღამის მატარებელმა გაიარა,  
რომელსაც ბოსტნეული მოჰქონდა ბაზ-  
რებისათვის. საშინლად გრუხუნებენ  
ეს მატარებლები ღამით, როცა არ ვძი-  
ნაეს. ვახდას რომ მოვრჩი, იქვე საწოლ-  
თან მდგარ დიდი კარადის სარკეში ჩა-  
ვიხედე. ნამდვილი ფრანგული სტილით

იყო ოთახი მოწყობილი. თან მოსახერ-  
ხებელიც არის. საგანგებოდ უნდა მე-  
ცადო კაცი, რომ ასე დიდხანა მარ-  
თლაც რომ სასაცილოა. პიუჟა ჩავიცი-  
ვი და ლოგინში ჩავწექი. ორი სასპორ-  
ტო გაზეთი მქონდა და ბანდეროლები  
შემოვადქრე. ერთი ნაირიჯისფერი იყო,  
მეორე — ყვითელი. ორივეში ერთი და  
იგივე ამბები იქნებოდა, და რომელიც  
არ უნდა წამეკითხა პირველად, სულერ-  
თია, მეორეს გემოს დაუქარავდა. „ლე  
ტორილი“ უფრო კარგი გაზეთი იყო და  
ის ვაგშალე. თავიდან ბოლომდე გადა-  
ვიკითხე, პატარა კორესპონდენციები და  
ხუმრობა-გამოცანებიც არ გამომიტო-  
ვებია. ღამა ჩაეაქრე. იქნებ როგორმე  
დამეძინოს.

მაშინვე აუშავდა ტვინი. ძველი ნაღ-  
ველი ამეშალა. მართლაც რა საძაგლო-  
ბაა გაქვეყნის დროს დაქრა და ისიც იმ-  
ნაირ სასაცილო ფრონტზე, როგორც  
იტალიის ფრონტი იყო. იტალიის პოს-  
პიტალში რაღაც საზოგადოების დაარ-  
სება დავაპირეთ. იტალიურად სასაცი-  
ლო გამოდიოდა მისი სახელწოდება.  
ნეტა, სხვებს რა მოუვიდათ, იმ იტალი-  
ელებს! ეს იყო მილანის Ospedale  
maggiore<sup>1</sup>-ში, პონტეს კორპუსში.  
ჩვენს გვერდით ზონდას კორპუსიც  
იღა. იქვე იყო პონტეს ქანდაკება. ანდა  
იქნებ ზონდასი იყო! სწორედ იქ მომი-  
ნახულა მეკავშირე განაყოფის პოლკოვ-  
ნიკმა. სასაცილო იყო, პირველად მაშინ  
ვამეცინა. მე სულ სახვევებში ვიყავი.  
მაგრამ იქ უთხრეს ჩემი ამბავი. და სწო-  
რედ მაშინ წარმოთქვა ის საოცარი სიტ-  
ყვა: „თქვენ სიცოცხლეზეც მეტი ვაი-  
დეთ, უცხოელო, ინგლისელო!“ ყვე-  
ლას ინგლისელს ეძახდნენ, ვინც კი  
უცხოელი იყო. რა სიტყვა იყო! ნეტა  
ნათურის ასობით ააწყონ და რედაქ-  
ციაში ააღლვარონ. განა სასაცილოდ  
თქვია ალბათ ჩემს დღეში წარმოიდგინა  
თავი. Che male fortuna! Che male  
fortuna.<sup>2</sup>

<sup>1</sup> შთავაზი პოსპიტალი (იტალ.).

<sup>2</sup> რა უბედურებაა! (იტალ.).

ადრე ერთხელაც არ დაფიქრებია არ ამას. ვცდილობდი, ახაფრად ჩამეგდო და სხვები არ შემეწუხებინა. ალბათ არც არასოდეს ვიგონებდი ჩემს სივალგასეხს, შემთხვევით ბრეტს რომ არ გადავყროდი, როცა ინგლისში გამაგზავნეს. მე მგონი, იმან შეუძლებელი მოინდომა. ასე მოსდის ხოლმე ხალხს. ჯანდაბანს ხალხის თავი კათოლიკურ ეკლესიას ძალიან კარგი წესი აქვს ასეთ დროს. მართლაც რომ კარგი რჩევია. არ უნდა იფიქრო. დიდებული რჩევას მაგრამ, სცადე და მისივე მაგ წესს. აბა, სცადე!

ვიწევი და ვფიქრობდი. სად არ გადამახტუნეს ფიქრებმა. ველარ დავთრგუნე, და ისევე ბრეტი გავიხსენე. სხვა ყველაფერი ერთბაშად გაქრა. ბრეტზე ფიქრი დავიწყე და ფიქრები უკვე აღარ მახტუნებდნენ აქეთ-იქით, თითქოს წყნარ ღინებას მიჰყვნენ. მერე უცებ ტირილი წამსკდა. ცოტა ხნის შემდეგ გულს მომეფონა, ვიწევი ლოგინში და ქუჩიდან შესმოდა მძიმე ვაგონების გრუხუნი. მერე ჩამეძინა.

გამომღვიძა. გარეთ ჩხუბი იყო. დავაყურადე და თითქოს ხმა მეცნაურა. ხალათი ჩავიცვი და კარებს მივადექი. ქვემოთ კონსიერჯი ქაქანებდა. ძალიან გაბრაზებული ჩანდა. ჩემი სახელი მომეყურა და ჩავძახე.

— თქვენა ხართ, მუსიე ბერნს? — ამომძახა კონსიერჯმა.

— დიახ, მე ვარ.

— აქ ვილაც ქალია, მთელი ქუჩა ფეხზე დააყენა. ამ შუალამისას ასეთი თავისაგდეშა ვაგონილა! თქვენი ნახვა უნდა. სძინავს-მეთქი, მე ვუთხარი.

მერე ბრეტის ხმა ვავიგონე. ნამძინარეგს, პირველად ყორეკტი მეგონა. არ ვიცი, რატომ. ჩემს მისამართს საიდან გაიგებდა!

— გამოუშვით ჩემთან.

ბრეტი კიბეზე ამოვიდა. გამობრუქული იყო.

— რა სისულელეა, — თქვა მან, — საჩხუბარი რა იყო. არა სძინავს-მეთქი, ვეუბნები, ხომ არ გეძინა?

— შენ როგორ გგონია, რას ვაქებდი?

— რა ვიცი. რა დროა? — კედლის საათს ავხედე. ხუთის ნახევარი იყო.

— ახრზე არ ვიყავი, რომელი საათი იქნებოდა, — თქვა ბრეტმა, — არ შეიძლება კაცი დაჯდეს? ნუ გამიბრაზდები, ჩემო ძვირფასო. ეს არის, გრაფს დავშორდი. იმან მომიყვანა აქა.

— რა კაცია? — კონიაკი და სოდა გამოვიტანე და ქიქები მოვაშხადე.

— ერთი ყლუბი, — თქვა ბრეტმა, — რატომ გინდა დამათრო! გრაფზე მეკითხები? ისე რა. ჩვენი კაცია.

— მართლა გრაფია?

— შენ გაგიმარჯოს. მე მგონი, რომ პო. ყოველ შემთხვევაში, გრაფობის ღირსია. ხალხის ასავალ-დასავალი სულ ზეპირად იცის. საიდან, არ იკითხავ? ტკბილეულის დუქნების ქსელი აქვს ამერიკაში.

კონიაკი მოსვა.

— მგონი ქსელით, ასე თქვა. თუ ამის მაგვარი რაღაცა. ვადაბმული აქვს ერთმანეთზე — ცოტ-ცოტა რაღაცეები მიამბო. ძალიან საინტერესო იყო. მაგრამ ჩვენი კაცია. სულ ჩვენია. ეპვიც კი არ შეგეპაროს. ზედვე ეტყობა.

კიდევ მოსვა.

— თუმცა მე რაში მეკითხება! ხომ არ მიბრაზდები? ზიზისაც მაგრად ეხმარება, იცი!

— ზიზიც ნამდვილი ჰერცოგია?

— რა ვასაკვირია. ბერძენი არ არის! ბითური მხატვარია. გრაფი უფრო მომწონს.

— სად წახვედით?

— სად არ ვიყავით! ბოლოს აქ მომიყვანა. ათი ათასი დოლარი შემომძლია, ბიარიცში გამომყვევო. ეს რამდენი გირვანქა გამოდის?

— ორიათას გირვანქამდე.

— დიდძალი ფულია. ვერ გამოგყვები-მეთქი, ვუთხარი. ბიარიცში ქვეყნის ნაცნობები მყავს-მეთქი.

ბრეტმა გაიცინა.

— რა მიძიმე-მიძიმედა სვამ, — მითხრა

მან. მე ჯერ მხოლოდ პირი გავისველე კონიაკით. ახლა კარგა ბლომად მოვსვი.

— ასე არა სჯობს! ძალიან სასაცილო კი იყო, — განაგრძო ბრეტმა, — მაშინ კანში გამომყევითო. კანშიაც ქვეყნის ნაცნობები მყავს-მეთქი. მონტე კარლოშიო. მონტე კარლოშიაც ქვეყნის ნაცნობები მყავს-მეთქი. ყველგან ქვეყნის ნაცნობები მყავს-მეთქი. მართლაც ასე არ არის! და მერე აქ მოყვანა ვთხოვე.

მე შემომყურებდა. ხელები მაგიდაზე დაეყრდნო. ჭიქა ასწია.

— ასე ნუ მიცქერი, — თქვა მან, — შენზე ვუთხარი, მიყვარს-მეთქი. ეგეც მართალი არ არის! ასე ნუ მიცქერი. არც ეს სწყენია. ზვალ სადღაც ვახშმად გვეპატიყვება. არ წამოხვალ?

— რატომაც არა!

— ახლა კი სჯობს წავიდე.

— რატომ?

— შენი ნახვა მინდოდა. სულელურმა აზრმა გამკრა. არ გინდა, ჩაიცვა და წამოხვიდე? აგერ მანქანით გველოდება ქუჩაში.

— გრაფი?

— გრაფი და ლივრეიანი შოფერი. ჩემთან გასეირნება სურს. მერე კი ბულონის ტყეში ვისაუზნებთ. საესე კალათი მოაქვს. ზელისგან წამოიღო მთელი დუქანი, მუშის ბოთლები. სულმა არ წაგძლია?

— დილით სამუშაო მაქვს, — ვთქვი მე, — ეგეც რომ არ იყოს, ძალიან ჩამოგრიხით და ვეღარ დაგეწევით, მხარს ვერ ავიბამთ.

— ნეტა რას ტუტუტობ!

— მართლა არ შემიძლია.

— კარგი. შენგან ნაზი მოკითხვა არ გადაეცე?

— უნაზესი.

— ღამე მშვიდობისა, ჩემო ძვირფასო.

— ძალიან ნუ გამინაზღდები.

— ო, როგორ მომშალე.

გამოსამშვიდობებლად ერთმანეთს ვაკოცეთ და ბრეტს გააჩრეოლა.

— ჯობს წავიდე, — თქვა მან, —

ღამე მშვიდობისა, ჩემო ძვირფასო.

— სულაც არ იყო საჭირო მშვიდობის-  
გლა.

— უნდა წავიდე.

კიბეებზე კიდევ ვაკოცეთ ერთმანეთს, და კონსიერეს რომ გავძახე, ზონარი გამოსწიე-მეთქი, თავისი კარების უკან რაღაც ჩაიდუღდუნა. მალლა ავბრუნდი და ღია ფანჯრიდან გადავხედე, როგორ გაჰყვა ბრეტი ქუჩას და დიდ ლიმუზინთან მივიდა, რომელიც ტროტუართან უცდიდა, რკალ-ფანარის ქვეშ. შევიდა, და მანქანაც დაიძრა. მე ფანჯარას მოვშორდი. მაგიდაზე ერთი ცარიელი და მეორე ნახევრად სავსე ჭიქა იდგა. სამზარეულოში გავიბანე და კონიაკიანი ჭიქა ბაკანში მოვაპირქვავე. სასადილო ოთახში გაზი ჩავაქრე. ლოვინზე ჩამომჯდარმა ფაჩუჩები წავიდრე და დაეწევი. ესეც შენი ბრეტი — მაგის ვულისთვის ეტროდო! მერე წარმომიდგა, როგორ გაიარა ქუჩა და როგორ ჩაჯდა მანქანაში. რალა თქმა უნდა, ისეც ძალის გუნებაზე დაედევი. დღისით ძალიან ადვილია გულგრილად უუურო ყველაფერს, ღამით კი სულ სხვა საქმეა.

## თავი V

მეორე დილას ბრიოსის შესაჭმელადა და ყავის დასალევად ბულვარი გადავქერი და სუფლოს ქუჩაზე გავედი. მშვენიერი დილა იდგა. ლუქსემბურგის ბაღებში წაბლის ხეები ჰყვავდა. იგრძნობოდა ცხელი დღის მომასწავებელი ადრიატიკის დღის საამური სიგრილე. ყავის სმაში გაზეთები გადავიკითხე და სიგარეტი გავაბოლე. მეყვავილე ქალებს ბაზრიდან ყვავილები მოჰქონდათ და მთელი დღის მარავს ალაგებდნენ. სტუდენტებიც გამოშლილიყვნენ — ზოგი იურიდიულ სასწავლებელში მიდიოდა, ზოგიც სორბონში. ტრამვაებს და სამსახურში მიმავალ ხალხს ბულვარზე გვერდს ვერ აუქცევდი.

ავტობუსში ჩაჯექი და მადლენის



ეკლესიამდე მივედი, უკანა ბაქანზე ვიდექი. მადლენის ეკლესიიდან ოპერამდე კაპუცინების ბულვარი გადავჭერი და იქიდან კი რედაქციისაკენ ვავსწიე. მსტუნავი ბაყაყუბითა და სათამაშო მოკრივეებით მოვაჭრეებს ჩავუარე. ფრთხილად გავიარე ქუჩის კიდეზე, რომ ფეხი არ გამბლანდოდა ძაფებში, რომლითაც ვაჭრის თანამემწე გოგო მოკრივეებს ამოძრავებდა. ძაფის თავები გადაჯვარდინებულ ხელებში ეჭირა, თვითონ კი განზე იყურებოდა. სათამაშოებით მოვაჭრე ორ ტურისტს ეჩინებოდა — იყიდეთო. სამი სხვა ტურისტიც შეჩერებულყო და ათვლიერებდნენ. ჩემს წინ კაცი მიდიოდა და რალაცნაირ სავგორავს მიაგორებდა, რასაც ტროტუარზე სველი ასობით გამოჰყავდა სიტყვა CINZANO. ხალხი სამუშაოზე მიეშურებოდა. სასიამოვნო იყო სამსახურში წასვლა. აგენიუ გადავჭერი და რედაქციაში შევედი.

ზემოთ რომ ავედი, ფრანგული ვაზეთები გადავიკითხე, თამბაქო გავაბოლე, საბეჭდ მანქანას მივუჯექი და კარგა გვარიანად ვიმუშავე. თერთმეტ საათზე კეღ, ორსეისკენ ვავსწიე ტაქსით, სამინისტროში შევედი და ბარე თორმეტამდე სხვა კორესპონდენტებთან ერთად, ახალგაზრდა დიპლომატს — საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს — ვუსმენდი, რომელსაც რქის ჩარჩოიანი სათვალე ეკეთა: მთელი ნახევარი საათი ლაპარაკობდა და შეკითხვებზე უპასუხებდა. მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ლიონში წასულიყო სიტყვის წარმოსათქმელად, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ახლა ალბათ უკანვე ბრუნდებოდა ლიონიდან. რამდენიმე კორესპონდენტმა თავიანთივე ხმის მოსასმენად მისცა შეკითხვა, დეპუტათა სააგენტოს ორიოდ წარმომადგენელმა კი — პასუხისათვის. ახალი არაფერი თქმულა. სამინისტროდან საზიარო ტაქსით დავბრუნდით უოლსი, კრამი და მე.

— ლამ-ლამობით რას აკეთებდი ხოლ-

მე, ჯეიკ? — მკითხა კრამმა, — რალაც არ ჩანხართ.

— ვალმა გავდივარ, ლათინურ კვარტალში.

— მეც უნდა წავიდე ერთ დამესდინგოში, დიდებული ადგილია, ხომ?

— კი. ან იმაში და ან ახალ რესტორანში — სელექტში.

— რამდენჯერ დავაპირე წასვლა, — თქვა კრამმა, — მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ცოლი, ბავშვები.

— ჩოგბურთს არ თამაშობთ? — ჰკითხა უოლსიმ.

— არა, — თქვა კრამმა, — წელს თითქმის სულაც არ მითამაშნია. არ იქნა და ვერ მოვაბი თავი, კვირაობით მუდამ წვიმს, კორტები კიდე ხალხითაა გაქვდილი.

— ინგლისელები შაბათობით ისვენებენ ხოლმე, — თქვა უოლსიმ.

— ბედნიერი ხალხია, — თქვა კრამმა, — არა უშავს რა. სულ რედაქციას ხომ არ შევაბერდები: ერთხელაც იქნება, თავს დავენებებ და დრო ბევრი დამრჩება ქალაქგარეთ სასიძინოდ.

— ყველაფერს ის აჯობებს, ქალაქგარეთ ცხოვრობდე და პატარა მანქანა გქონდეს.

— საგაისოდ ვფიქრობ სწორედ მანქანის ყიდვას.

მინაზე დავაკაუნე. შოფერმა გააჩერა მანქანა.

— მე მოვედი, — ვთქვი მე, — ჩამოდით, თითო ჰქიპა დავლიოთ.

— გმადლობთ, მეგობარო, — მითხრა კრამმა. უოლსიმ თავი გააქნია, — იმისი ამდღიანდელი ნალაპარაკევი უნდა შევავაოწიო.

კრამს ორფრანკიანი ჩავუდღევი ხელში.

— გავიყლით, ჯეიკ? ფულს მე ვიხდი.

— ეს ხომ რედაქციის ხარჯებია.

— კარგი ერთი. მე უნდა გადავიხადო.

გამოსამშვიდობებლად ხელი დავუქნიე. კრამმა თავი გამოჰყო.



— ოთხშაბათს საუზმზე შევხვდებით.

— უსათუოდ.

რედაქციაში ლიფტით ავედი. რობერტ კონი შელოდებოდა.

— ზელო, ჯეიკი, — მითხრა მან, — არ ვისაუზმობ?

— ვისაუზმობ, ჯერ ვნახო, ახალი ხომ არაფერია.

— სად ვისაუზმობ?

— სადაც გინდა.

ჩემი მაგიდა გავსინჯე.

— შენ თვითონ სად გინდა?

— გეტყვობ რას იტყვი? კარგი საუზმე აქვთ ხოლმე.

რესტორანში საუზმე და ლუდი დავუკვეთეთ. ოფიციატმა თიხის მაღალი ტოჩებით მოგვიტანა ლუდი, ისეთი ცივი, რომ გარედან სულ შიშვები დააჯარა. ათასნაირი საუზმე მოგვართვეს.

— წუხელ ბევრი იმხიარულეთ?

— ა-რა. არც ისე.

— წერის საქმე როგორ მიდის?

— საძაგლად. მეორე წიგნს ვერა და ვერ მოვაბი თავი.

— ყველას ასე მოსდის.

— ვიცი. მაგრამ მოსვენება მაინც დაკარგული მაქვს.

— სამხრეთ ამერიკაში წასვლაზე კიდევ ფიქრობ?

— კიდევ ფიქრობ.

— რაღა გიშლის?

— ფრენისი.

— ისიც წაიყვანე.

— არ წამოვა. ამისთანა რამეები არ უყვარს. ხალხში ტრიალი უყვარს.

— აიღე და ჯანდაბაში გააგზავნე.

— არ შემიძლია. ერთგვარ ვალდებულებას ვგრძნობ.

დათლილი კიტრი იქით გასწია და დამარჩილებული ქაშაყი გადაიღო.

— ლედი ბრეტ ეშლისა რა იცი, ჯეიკი?

— ლედი ეშლი — გვარია მისი, ბრეტი — სახელი. მშვენიერი გოგოა, — ვუთხარი მე, — ქმართან გაყრას აპირებს და მაიკ კემბელს უნდა მისთხოვ-

დეს. ის კაცი ახლა შოტლანდიაშია. რას კითხულობ?

— სიოცრად მომხიზლავდა.

— მართლა?

— რალაცნაირი განსაკუთრებული სიფაქიზე აქვს. ძალიან გულსისხმიერი და პირდაპირი ჩანს.

— შესანიშნავი ქალია.

— ვერც კი გამომოთქვამს, — თქვა კონმა, — კარგი ოჯახიშვილი უნდა იყოს.

— შენ ისე ლაპარაკობ, ეტყობა გულში ჩაგვარდნია.

— ნამღვილად. ასე მგონია, მიყვარს-მეთქი.

— ლოთია, — ვუთხარი მე, — მაიკ კემბელი უყვარს და ცოლად მიჰყვება. მალე დიდი ქონების პატრონი გახდება ის კემბელი.

— არა მგონია, გაჰყვეს.

— ვითომ რატომ?

— არ ვიცი. რალაც არა მჯერა. დიდი ხანია მაგ ქალს იცნობ?

— ჰო, საცა მე ვიწეკი, იმ ჰოსპიტალში მოწყალების დად მუშაობდა, ომის დროს.

— სულ პატარა გოგო იქნებოდა მაშინ.

— ახლა ოცდაათობმეტისაა.

— ეშლის როდისღა გაყვა?

— ომის დროს. მაგის შეყვარებულს ის იყო დიზენტერიამ გააფშეკინა ფეხი.

— რატომ ენამწარობ ასე?

— მაპატიე. უნებურად გამომივიდა. მინდოდა ფაქტები მეთქვა.

— ვერ დავიჯერებ, რომ ვინმეს უსიყვარულოდ ვაპყროლოდეს.

— ორჯერ უკვე მოასწრო უსიყვარულოდ გათხოვება.

— არა მჯერა.

— თუ პასუხი არ მოგწონს, მაგისთანა სისულელეებს რალას მეკითხები!

— მე ეგ არ მიკითხავს.

— აკი მეკითხე, ბრეტ ეშლისა რა იციო.

— შეურაცხვევ-მეთქი, როდის ვითხარი!

— ჯანდაბამდის გზა გქონია!

წამოდგა. ერთიანად გაფითრებულიყო, და იდგა ასე გაფითრებულ-გაბრახებული.

— დაჯექი, — ვუთხარი მე, სისულელეს თავი დაანებე.

— უკან წაიღე შენი სიტყვები.

— კარგი ერთი, ბალები ხომ არა ვართ.

— უკანვე წაიღე-მეთქი.

— სიამოვნებით. რასაც გინდა, გეტყვი. ბრეტ ეშლისა ჩემს დღეში არაფერი გამიგონია. ახლა?

— არა, ამას არ გუუბნები. მე რომ ჯანდაბანი გამგზავნენ!

— ო, წუ წაბეულ ჯანდაბას, შენი პირივე, — ვუთხარი მე, — აქვე დარჩი. ჯერ საუზმეზე პირი არ დაგვიკარები.

კონმა ისევ გაიღიმა და დაჯდა. ეტყობოდა, გაეხარდა. დაჯდომის საშუალება რომ მიეცა. მაინც რა ჯანდაბა უნდა ექნა, რომ არ დამქდარიყო!

— საშინლად ილანძლები ხოლმე, ჯიკი.

— მაპატიე. ასეთი ყიამყრალი ვარ. წამოვროშავ, და კი აღარ ვუფიქრლები.

— ვიცი, — თქვა კონმა, — შენთანა კარგი მეგობარი მგონი არცა მყავს.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — გავიფიქრე ჩემთვის.

— ნულარ გაიხსენებ ჩემს ნათქვამს, — ვუთხარი ხმამაღლა, — მე თვითონვე მწყინს.

— არა უშავს რა. უკვე გაიარა. მხოლოდ ერთი წუთით მეწყინა.

— ძალიან კარგი. რამე კიდევ მოვატანიხოთ.

საუზმეს რომ მოვრჩით, კაფე დე ლა პე-ში წავედით და ყავა დაველიეთ. შევატყვე, რომ კონს ისევ უნდოდა ბრეტზე ჩამოვგდო სიტყვა, მაგრამ საშუალება არ მიეცეო. ვილაპარაკეთ აქეთ-ურზე, იქითურზე, მერე გამოვეთხოვე და რეაქტორში წავედი.

## თავი VI

ხუთ საათზე სასტუმრო კრიიონში ვიყავი და ბრეტს ველოდებოდი. რაკი

შეავგიანდა, დაეჯექი და რამდენიმე წერილი დაეწერე. ვერაფერი მშვენიერი წერილები გამომივიდა, მაგრამ იმდენი მქონდა, რომ კრიიონის შტაბში უშველიდა საქმეს. ბრეტი მაინც არა სჩანდა, და ექვსს რომ თხუთმეტი დააკლდა, ბარში ჩავედი, ბარმან ყოველთა ერთად ჯეკ როზი დავლიე. არც ბარში დამხედრია ბრეტი, ამიტომ წამოსვლისას კიდევ ავედი ზევით, მერე ტაქსი დავიჭირე და კაფე სელექტისაკენ გავსწიე.

სენაზე რომ გავდიოდით, მდინარეში გამწკრივებული, ზედაპირზე ამოტივტივებული ცარიელი კარკაპები დავინახე, რომელთაც ბუქსირით მიათრევდნენ. მდინარე ლამაზი ჩანდა. პარიზში ყოველთვის სასიამოვნოა ხიდეებზე გავლა.

ტაქსი როტონდის წინ გაჩერდა. რა კაფეც არ უნდა უხსენო ტაქსის შოფერს მონპარნასზე, სულერთია, სენის მარჯვენა სანაპიროდან წამოგიყვანს და როტონდასთან ჩამოგვამს. კიდევ ათი წელი, და ალბათ დოჟის ადგილს დაიკავენ ეს როტონდა. მე მაინც ბევრი აღარა მქონია გასაელელი. ჩაეუარე როტონდის მოსაწყენ მაგიდებს და კაფე სელექტში მივედი. შიგნით, დახლთან, რამდენიმე კაცი იყო, გარეთ კი კენტად დამქდარიყო ჰარეი სტოუნი. წინ თეფშები ჰქონდა დახვავებული, გაუპარსავე იყო.

— დაჯექი, — მითხრა ჰარეიმ, — სწორედ შენ გეძებდი.

— რა მოხდა?

— ხუთი დღეა პირში არაფერი ჩამიკარები.

უცებ გამოვიანგარიშე ჩემთვის. სამი დღის წინ ნიუ-იორკის ბარში ორასი ფრანკი მომიგო ჰარეიმ, ბოკერის კამათლებით.

— რა მოგივიდა?

— უფულოდ ვარ. ფული ვერ მივიღე, — ცოტა ხანს შეიცადა, — უცნაური კია, ჯიკი, ასეთ დღეში რომ ვარ, მინდა სულ მარტო ვიყო. ოთახიდან გამოსვლაც მეზარება. კატასავით ვარ.

ჯიბე მოვიქექე.

— ასი გიშველის რამეს?

— როგორ არა.

— წავიდეთ, ვისადილოთ.

— რა გეჩქარება. ცოტა დავლიოთ.

— ჯობია რამე შევკამო.

— არა. ასეთ დღეში რომ ვარ, ფეხებზე მკილია — გვამ თუ არა გვამ.

დავლიეთ. ჩემი თეფშიც თავის თეფშების ხროვას დაადო.

— მენკეეს თუ იცნობ, ჰარევი?

— ვიცნობ. რა იყო?

— რა კაცია?

— არა უშავს რა. სასაცილო რამეების მოყოლა იცის. ამასწინათ ერთად ვსადილობდით და ჰოფენჰეიმერზე ჩამოვარდა სიტყვა. „უბედურება ის არის, რომ ღვთის მოსავედ მოაქვს თავიო“. ხომ კარგად უთქვამს?

— კარგად უთქვამს.

— უკვე მოგკამა ჭირი, — განავრძო ჰარევიმ, — რაც იცოდა ყველაფერი დაწერა, ახლა კი მოდგა და, რაც არ იცის, იმას წერს.

— მე მგონი, მართლაც არა უშავს რა, — ვთქვი მე, — ოღონდ გული ვერ დაეუღვეი.

— ნეტა ვინ უღებს გულს! — მითხრა ჰარევიმ, — მარტო იმისთანა ხალხი თუ წაიკითხავს, რომელსაც თავის დროზე ალექსანდრე ჰამილტონის ინსტიტუტის შრომები წაუკითხავს.

— რას ერჩი, ეგვეც კარგი საქმეა.

— რა თქმა უნდა, — დამეთანხმა ჰარევი. ერთხანს უხმოდ ვისხედით, ფიქრებში გაგვიტაცეს.

— კიდევ დავლიოთ პორტვეინი?

— დავლიოთ.

— აჰა კონიცი მოდის, — ვთქვი მე. რობერტ კონმა ქუჩა გადმოჰკრა.

— გამოთავყანებული! — თქვა ჰარევიმ. კონი ჩვენთან მოვიდა.

— გამარჯობათ, უქნარებო.

— გამარჯობა, რობერტ, — მიუგო ჰარევიმ, — ეს არის, ჯეიკს ვეუბნებოდით შენზე, გამოთავყანებულია-მეთქი.

— ვითომ რაო?

— უცებ გვიპასუხე. ნუ დაფიქრდები. იმედი რომ გქონდეს, ახლავე ამის-

რულდებო, რას ინატრებდი?

— კონი ჩაფიქრდა.

— ნუ ფიქრობ. ერთბაშად წამოაყრებნტალე.

— არ ვიცი, — თქვა კონმა, — რაში გაგახსენდათ?

— მაინტერესებს, რას გააკეთებდი, პირველად რა მოგივა თავში. რავინდ სისულელე იყო.

— რა ვიცი, — მიუგო კონმა, მე მგონი აჯობებს ისევე ფეხბურთს დავუბრუნდე.

— შევემცდარე, — თქვა ჰარევიმ, — გამოთავყანებული არ ყოფილხარ. ამას ჰქვია ზრდა-განვითარების ერთ წერტილზე გაყინვა.

— ძალიან ენაკვიმატობ, ჰარევი, — უთხრა კონმა, — ერთხელაც იქნება, მაგ სიფათს გაგობრტყელებენ.

ჰარევი სტოუნს გაეცინა.

— ასე გგონია? ვინ გამიპრტყელებს! ფეხებზე არა მკილია მე ხომ მოკრივე არა ვარ!

— ფეხებზე თუ გკილია, მაგასაც ნახე.

— ნამდვილად. შენი შეცდომაც სწორედ ეგ არის. იმიტომ რომ ჰქუა გაკლია.

— გეყოფა, მე მომეშვი.

— ფიქრი ნუ გაქვს, — უთხრა ჰარევიმ, — ფეხებზე არ მკილია! სწორედ შენთვის მცხელა!

— მოეშვი, ჰარევი, — ვუთხარი მე, — პორტვეინი დავლიოთ.

— არა, — თქვა მან, — უნდა წავიდდე და გვამო სადმე. მოგვიანებით გნახავ, ჯეიკ.

გამოვიდა და ქუჩას დაუყვა. დავინახე, როგორ გადასტრა ქვაფენილი და ტაქსებს ჩაუარა — პატარა, ჯმუხი, დინჯი და თვითდაჯერებული იყო.

— დღეს რამე გააკეთე?

— არა. ვერა და ვერ დავძარი. პირველი წიგნის წერა არ გამჟირვებია ასე, ვერასდიდებით ვერ ავაწყვე.

ის მხნეობა და გულდაჯერება, რაც ამერიკიდან ჩამოჰყვა ადრიან ვაზაფხულზე, უკვე გაჰქრობოდა. მაშინ დიდი რწმენა ჰქონდა თავისი მწერლობისა

და თავგადასავლების ენინლა სტანჯავდა: ახლა კი ეს რწმენა გამჭრალიყო. ვგრძნობ, რომ ხეირიანად ვერ დავახასიათებ რობერტ კონი. ამის მიზეზი ის არის, რომ მანამ ბრეტი შეუყვარდებოდა, ერთხელაც არ დასცდენია ისეთი რამ, რაც მას სხვებისაგან განასხვავებდა. ჩოგბურთის თამაში შეგნოდა, ტანადი და მარჯვე იყო. ბრიჯს ყოჩაღად თამაშობდა და რაღაც უცნაურად ჰგავდა სტუდენტს. შეკრებულებაში უჩვეულოს არაფერს იტყოდა. „პოლოს“ რომ ვეძახდით სტუდენტობაში (და ალბათ ახლაც ისე ეძახიან), იმ ყაიდაზე შეკერილი პერანგი ეცვა, მაგრამ სულაც არ ცდილობდა თავის ზნოვანებაზე უფრო ახალგაზრდა გამოჩენილიყო. მე მგონი, ჩაცმაზე არც ყოფილა გადაყოლილი. ვარგუნულად პრინსტონში ჩამოყალიბდა, სულიერად კი ორმა ქალმა გაწვრთნა და ჩამოაყალიბა. რაღაც ბევრფერად, მომხიბლავი სიხალისე ჰქონდა, რაც ვერც ერთმა ქალმა ვერ გამოუფიტა, და რაც, ალბათ, მე თქვენ ვერ გაჩვენეთ. ჩოგბურთის თამაშის დროს მოგება უყვარდა. ალბათ, ლენგლენზე არა ნაკლებ უყვარდა მოგება. მაგრამ არც წაგება გააბრაზებდა. ბრეტი რომ შეუყვარდა, მისმა ჩოგბურთმა ჭირი მოგქამათ. ადრე ერთი ხელიც რომ არ გამოურევიათ, ისეთი ხალხი უგებდა. მაგრამ თითქოს არაფერი, შეეგუა.

ერთი სიტყვით, ჩვენ კაფე სელექტის ტერასაზე ვისხედით, ჰარვი სტოუნმა ქუჩა გადასჭრა.

— მოდი ლილაში წავიდეთ, — ვთქვი მე.

— ფრენსის უნდა შევხვდე.

— რა დროს?

— რვის თხუთმეტზე.

— აჰა, აგერ მოდის.

ფრენსის კლავინო ქუჩა გადმოსჭრა და ჩვენკენ წამოვიდა. წერწერტა ქალი იყო და ჩქარი ნაბიჯითა და ფართოფურთით დადიოდა. ხელი დაგვიქნია და გავვილიმა. ვუყურებდით, როგორ გადმოდიოდა ქუჩაზე.

— ჰელო, — თქვა მან, — ძალიან

გამეხარდა, რომ აქა ვნახეთ, ჯეიკ, რაღაც უნდა მეთქვა.

— ჰელო, ფრენსის, — უთხრა კონსი და გაილიმა.

— აჰ, ჰელო, რობერტ, შენც აქა ხარ! — და სხაპასუხობით განაგრძო ლაპარაკი. — დღეს ჯოჯოხეთი დღე გამოთენდა, — ეს ვაქაბატონი, — თავით მანიშნა კონსე, — საუზმეზე არ მობრძანებულა.

— არც უნდა მოვსულიყავი.

— დიხ, ვიცი, მაგრამ მზარეულიც არ გაგიფრთხილებია. მერე პაულას უნდა შევხვედროდი, და არც ის დამხვდარედაქციაში. რიტცში წავედი და იქ ველოდე; არც იქ გამოჩნდა. რაღა თქმა უნდა, ფლდიც არ მეყო, რომ მესაუზნა მინც რიტცში...

— ამა რა ქენით?

— რას ვიზამდი, წამოვედი, — ნაძალადევი სიხალისით ლაპარაკობდა, — მე სიტყვის ქალი ვარ. სხვა კი, კაცი აღარ იწუხებს თავს, სიტყვა არ გავეტხოვ. თქვენ როგორღა ხართ, ჯეიკ?

— კარვად.

— კარგი გოგონა მოიყვანეთ ამას წინათ საცეკვაო კლუბში, მერე კი ადექით და იმ ბრეტს გაჰყევით.

— არ მოგწონს? — ჰკითხა კონმა.

— ჩემის აზრით, მომხიბლავია, შენ რას იტყვი?

კონს არაფერი უთქვამს.

— ჰოდა თქვენთან მაქვს-მეთქი რაღაც სათქმელი, ჯეიკ. იქნებ დოუმში წამოხვიდეთ. შენ კი აქვე დაიცდი, რობერტ, ხომ? წავიდეთ, ჯეიკ.

მონპარანასის ბულვარი გავიარეთ და მაგიდას მივუჯექით. მეგაზეთე ბიჭი მოგვადგა, მე Paris Times ვიყიდე და გავშალე.

— რა მოგივიდათ, ფრენსის?

— ისეთი არაფერი, მიტოვებას მიბირებს.

— როგორ თუ მიტოვებას?

— მთელს ქვეყანას მოსდო, უნდა ვიქორწინოთო. მეც ავდექი და ვუთხარი დედაჩემს, ყველას... ახლა კი უარზეა.

— მაინც რა მოხდა?

— ეს რა ცხოვრებააო, დაუყენია. ნიუ-იორკში წასვლა რომ დააპირა, მაშინვე შეუზნებოდა გული.

ანთებული თვალებით შემომხედა. ცდილობდა ისე ელაპარაკნა, ვითომც არაფერიო.

— თუ მას არ უნდა, არც მე გავყვები რატომ უნდა გავყვე? არაფრის დიდებით არ გავყვები. მაგრამ რაღა დროსია — სამი წელიწადი ამის ლოდინში ვიყავით, ის იყო გაყრის ქალღლიც მივიღე...

არაფერი მიპასუხნია.

— დიდი ღრეობა უნდა გადაგვეხადა, და სცენები არ მომიწყო! ეს რა ბავშვობაა. საშინელი უსიამოვნება გვაქვს. ბალღივით ტირის. და მელიჯინებ! — ჭკუით იყავი, ნუ ინერვიულებ, რა ჭენა, აღარ შემოდლიაო.

— უიღბლო ყოფილხართ.

— უიღბლო და რანაირი უიღბლო! ორწელიწადნახევარი მაგას შეეწირე. ახლა ვინღა მოინდომებს ჩემს შერთვას. ორი წლის წინ, კანში რომ ვიყავი, ვისაც დავადებდი ზელს, ყველა შემირთავდა. ბერიკაცები — კობტა ქალებს ვინც ეძებდა და დაოჯახების მოსურნე იყო — შეშლილებივით დამდედნენ. ახლა არა მგონია, ვინმე ვიშოვო.

— რა ბრძანებაა, ახლაც გაპყვებით, ვისაც მოისურვებთ.

— არა, არა მგონია. ეგეც არ იყოს, კონი შემეყვარდა. შეილები მინდა, სულ იმისი იმედი მქონდა, შეილებს გავაჩენთ-მეთქი, — თვალგზაბრწყინებული მიყურებდა, — ბავშვები დიდად არასოდეს არ მყვარებია, მაგრამ არც უშვილოდ გადაგება მინდოდა. ვფიქრობდი, გავაჩენ და მერე შემეყვარდებიან-მეთქი.

— მაგას ჰყავს შეილები.

— ო, როგორ არა. შეილები მაგასა ჰყავს, ფული მაგასა აქვს, მდიდარი დედა მაგასა ჰყავს, წიგნი მაგან დაბეჭდა, ჩემს ნაწერს კი ზედაც არ უყურებენ. კაციშვილს არ უნდა. თუმცა არც ისე ცუდად ვწერ. ფულიც სულ აღარ მამა-

ღია. ალიმენტის მიღებას მოვახერხებდი, მაგრამ გაყრა მეჩქარებოდა. ისევე შემომხედა ანთებული თვალებით.

— ეგ არის სამართალი?! თუმცა ჩემი ბრალიცაა, და არცაა ჩემი ბრალი. თავიდანვე უნდა მივმხდარიყავი. რამეს რომ ვეტყვი, მაშინვე ბლავილს მორთავს — დაქორწინება არ შემოდლიაო. რატომ არ შეუძლია? მშვენიერი ცოლი ვიყავი, ადვილად შესაგუებელი ხასიათი მაქვს, სულ თავის ნებაზეა... მაგრამ შენც არ მომიყვდე.

— სამარცხვინოა.

— მართლაც რომ სამარცხვინოა. მაგრამ ლაპარაკი რას უშველის. უშველის რამეს? წამო, ისევე კაფეში დაებრუნდეთ.

— მეც რომ ვერაფერს გიშველი!

— არა. ნურც ეტყვიო, რომ ამაზე გელაპარაკებო. მე ვიცი რასაც აპირებს, — პირველად ახლა გატყდა, ის ნაძალადევი სიხალისეც დაეკარგა და თვალებიც ჩაუქრა, — უნდა, რომ მარტო წავიდეს ნიუ-იორკში და წიგნის გამოსვლის დროს იქ იყოს, თავი მოაწონოს პატარა ვარიკებს. ეს არის და ეს.

— იქნებ სულაც არ მოეწონოთ იმ ვარიკებს. არცა მგონია, ამის კაცი იყოს. ნამდვილად.

— თქვენ მაგას ჩემსავით ვერ იყნობთ, ჯეიკ. ეს უნდა-მეთქი, გეუბნებით. მე ვიცი. ვიცი. დაქორწინებასაც ამიტომ გაუტრბის, უნდა, რომ მთელი გამარჯვება მარტო თვითონ იგემოს ამ შემოდგომაზე.

— კაფეში დაებრუნდეთ?

— ჰო. წავიდეთ.

მაგიდიდან წამოვდექი — არც მოუტანიათ რამე სასმელი — ქუჩაში გამოვედი და სელექტისაკენ გავსწიეთ. კონი იქვე იჯდა და მარმარილოს მაგიდიდან გვიღიმოდა.

— ნეტა რას იცინი? — მიმართა ფრენსისმა, — თავს ძალიან ბედნიერად გრძნობ, არა?

— თქვენს საიდუმლოზე მეცინებოდა.



— რაც მე ჭეიხს ვუთხარი, სულაც არ არის საიდუმლო. მალე მთელი ქვეყანა გაიგებს. ოღონდ მე მინდოდა, უფრო წესიერ ფორმებში გაეგო ჯეიხს.

— მაინც რა? შენი ინგლისის გამგზავრების ამბავი?

— ჰო, ჩემი ინგლისის გამგზავრების ამბავი. ჰო, ჭეიხ, სულ არ გადაამაგიწყდა! ინგლისში მივდივარ.

— დიდებული საქმეა.

— აბა რა გეგონათ. კარგ ოჯახებში მუდამ ასეა ხოლმე. რობერტი მგზავნის. ორას გირვანქა სტერლინგს მამლევს და მეც ჩემს მეგობრებს მოვიწახვლებ. ხომ კარგი საქმეა? თუცა მეგობრებმა ჭერ არ იციან ჩემი გამგზავრების ამბავი.

კონს მიუბრუნდა და გაუღიმა. კონს უკვე აღარ იღიმიებოდა.

— ჭერ ასი გირვანქის მოცემას აბიზრებდა. ხომ, კონ? მაგრამ ორასზე დავიყოლიე. იცით, რა ხელგაშლილი კაცი! ხომ, რობერტ?

ვერც კი წარმოვიდგენდი, ამისთანა საშინელი რამეების თქმა თუ შეიძლება რობერტ კონსთვის. არის ხალხი, რომელთაც შეურაცხყოფას ვერ გაუბედავ. წინასწარ გაგრძობინებენ—თუ რამე გამიბედე, იცოდე ქვეყანა დანგრევა, აქვე, შენს თვალწინ დაინგრევაო. მაგრამ კონმა ახლა ყველაფერი შეიტყაუნა. ჩემს წინაშე მოხდა ყველაფერი, და არც კი შემჩერებია. მაგრამ იმასთან შედარებით, რაც შემდეგ მოხდა, ეს მეგობრული ოხუნჯობა იყო.

— რა გული გაძლევს, ამისთანა რამეებს რომ ლაპარაკობ, ფრენსის?! — შეაჩერა კონმა.

— გესმით, რას ამბობს?! მე ინგლისის წავსვლას ვაპირებ. მეგობრები უნდა მოვინახულო. ისეთ მეგობრებს თუ სწვევიხარ ოდესმე, ვისაც არაფრად ეპიტხავენა შენი სტუმრობა? ო, სულერთია. უკან ხომ არ გამოვებრუნებენ. „როგორ გიკითხობთ, ძვირფასო? რამდენი ხანია აღარ გვინახიხარ. დედათქვენი როგორ ბრძანდებან?“ დიან, დედაჩემი როგორ არის? მთელი ფული საფრანგეთის

სამხედრო სესხში დააბანდა. დიან, დედაჩემმა დააბანდა. მისი გარდა, ალბათ ძეხორციელს არ გაუტყუებინა ასეთი საქმე. „რობერტი ხომ კარგადაა?“ ანარადა, უფრო მიკობულ-მიკობულად იკითხავენ რობერტის ამბავს. „ფრთხილად, შენი ჰირიმე რობერტს ნუ უხსენებ. საწყალმა ფრენსისმა ბევრი გადაიტანა“. კარგი თავშესაქცევი არ იქნება, რობერტ? თქვენ რაღას იტყვიან, ჯეიხ, კვი თავშესაქცევი იქნება?

ახლა მე შემომხედდა იმ საშინელი ღიმილით. დიდ კმაყოფილებას განიცდიდა, რომ მსმენელი იშოვნა.

— შენ კი საით გასწევ, რობერტ? ასეა, ჩემი ბრალია. სულ ჩემი ბრალია. იმ პატარა გოგოს რომ გავაშორე, შენი ჟურნალის მდივანს, მაშინვე უნდა მცოდნოდა, რომ მეც იმასვე მიზამდი. ჭეიქმა არ იცის ეს ამბავი. ვუთხრა?

— გაიუმდი, ფრენსის, თუ ღმერთი გწამს.

— არა, უნდა ვუთხრა. რობერტს ერთი პატარა გოგო ჰყავდა ჟურნალში მდივანდ. მშვენიერი გოგო იყო, და ამათაც მომხიბლავად ეჩვენებოდა მაშინ. მერე მე გამოვჩნდი და მეც მომხიბლავი მოვეჩვენე. ავდექი და გავაშვებინე. ჟურნალი რომ აქეთ-იქით გადაჰქონდა, მაშინდელი ჩამოყვანილი ჰყავდა ის გოგო პროვანსტაუნიდან, კარმელიდან, და უკანდასაბრუნებელი გზის ფულიც კი აღარ მისცა. სულ ჩემი ხათრით. მაშინ ლამაზი ვეჩვენებოდი. ხომ რობერტ?

— სხვაგვარად კი არ გეგონათ, ჯეიხ. იმ მდივანთან პლატონური გრძობა ჰქონდა და სხვა არაფერი. პლატონურიც არ ითქმის. საერთოდ არაფერიც არა ყოფილა. ესაა რომ ძალიან ლამაზი გოგონა იყო. თავიდან იმიტომ მოიცილა, რომ მე მასიამოვნა. ასეა, ვინც მახვილი აღილოს, მახვილითა წარსწყმდესო. სწორედ ამაზეა ნათქვამი, არა? დიანსომე, რობერტ, შენს მეორე წიგნში გამოგადგება. რობერტი ამჟამად ახალი წიგნის მასალებს აგროვებს. ხომ, რობერტ? იმიტომაც მტოვებს. ნახა, რომ სურათში კარგი არ გამოვდივარ. რაც ერთად



ვცხოვრობთ, ისეა ხოლმე გართული თავისი წიგნით, რომ არც თავი ახსოვს და აღარც მე ვახსოვარ. ახლა კი უნდა წავიდეს და ახალი მასალები შეაგროვოს. მაშა. ექვეიც არ შეპარება, რომ საშინლად საინტერესო რამეებს წააწყდებო.

— მომისმინე, რობერტ, ჩემო ძვირფასო. რაღაც უნდა გითხრა. შენ არ გეწყინება, ხომ? ახალგაზრდა სატრფოებს სცენები არ უნდა გაუმართო. ეცადე არ გაუმართო. ამას იმიტომ გეუბნები, რომ ასეთ დროს ტირილი იცი, და ტირილს რომ ამოუშვებ, ისე შეგებრალება ხოლმე შენი თავი, რომ იმის ნათქვამი აღარ გესმის. ასე შენს დღეში ვერ დაიხსომებ სხვის ნათქვამს. ეცადე, წყნარად იყო. ვიცი, ძალიან გაგიძინელდება. მაგრამ მწერლობის ხათრით ყველაფერი უნდა აიტანო. მწერლობისათვის ყველამ უნდა გავილით მსხვერპლი. აბა შემომხედე. ენის შემოუბრუნებლად მიედივარ ინგლისში. მწერლობის ხათრით. ყველამ უნდა შეუწყოს ხელი ახალგაზრდა მწერალს. ხომ ასეა, ჯეიკ? მაგრამ შენ რომ ახალგაზრდა მწერალი არა ხარ ახალგაზრდა მწერალი ხარ, რობერტ? უკვე ოცდაათობმეტს გადააბიჭე. მაგრამ დიდი მწერლისთვის, მე მგონი, მაინც ახალგაზრდა ითქმის. აბა, ჰარდი გაიხსენე. ანატოლ ფრანსი გაიხსენე. სწორედ ამ ეოტახნის წინ მოკვდა. თუმცა რობერტი ამბობს, რა მწერალიაო. ზოგ-ზოგმა ფრანგმა მეგობრებმა უთხრეს ასე. თვითონ ისე კარგად ვერ კითხულობს ფრანგულს. შენისთანა კარგი მწერალი ვერ იყო, ხომ, რობერტ? როგორ გგონია მასალების საძებნელად ისიც დადიოდა სადმე? ან შეყვარებულებს რას ეუბნებოდა, შენის აზრით, როცა გადაწყვეტდა, ცოლად არ შევირთავო? ნეტა ისიც თუ ტიროდა! უი, რა მომაგონდა,—თათმანიანი ხელი ტუჩებზე მიიდვა,—ნამდ-

ვილი მიზეზი გინდათ, ჯეიკ, რატომ არ იწერს რობერტი ჩემზე ჯვარს? ახლა გამკრა, უკებ. კაფე სელექტში მომივიდა ეს ზეშთაგონება. მისტოქური ამბავი არ არის? ერთ მშვენიერ დღეს აიღებენ და დაფასაც გამოაკრავენ. ლურღა რომ არის, ისე. გითხრა, რობერტ? გეტყვი. სულ უბრალო ამბავია. მივიჩნის, აქამდე როგორ არ მომაგონდა. რობერტს ხომ ძალიან თავი მოაქვს საყვარლებით, და თუ არ შემირთო, მეც საყვარელი გამოვდივარ. ორ წელიწადზე მეტი საყვარლად ჰყავდათ, ასე იტყვიან. ხომ ხედავთ? ხოლო თუ შემირთო,—როგორც მუდამ მპირდებოდა ხოლმე,—მაშინ რომანტიკასაც ბოლო მოეღება. რას იტყვით, ხომ დიდებული აზრი მომივიდა? თან სრული ჰემოპიტებაც არის. შეხედეთ და თქვენ თვითონ ნახეთ, თუ არა. საით, ჯეიკ?

— ბარში უნდა შევიდე და ჰარვი სტოუნი ვნახო ერთი წუთით.

როცა გამოვდიოდი, კონმა თავი ასწია და შემომხედა. სახეზე სულ გადატეტკილი იყო. ნეტა რას უჯდა იქ? ასე გატრუნული როგორ უსშენდა?

დახლთან რომ ვიდექი, გავხედე და ფანჯარაში დაეინახე ისინი. ფრენსისი ისევე ელაპარაკებოდა, იმგვარადვე იღიმებოდა და რამდენს ჰკითხავდა—„ხომ, რობერტ?“, იმდენს თვალებში შეხედავდა. თუმცა, იქნებ ამას აღარ ეკითხებოდა ახლა. იქნებ ახლა სულ სხვა რამეს ელაპარაკებოდა. ბარმენს ვუთხარი, არაფერი არ მინდა-მეთქი, და გვერდის კარებიდან გავედი. კარებში, რომ გავდიოდი, კიდევ გავხედე ორმაგი ფანჯრის სქელ მინებში და ვნახე, იქვე ისხდნენ. ფრენსისი კვლავ ელაპარაკებოდა. მოსახვევიდან რასპაის ბულვარზე გავედი, ამ დროს ტაქსიმაც ჩამოიარა. ვაჩაჩერე და შოფერს ჩემი ბინის მისამართი მივეცი.

მინილ პაპაიანოვი

ბ. კ. ორბონიკიძე სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების  
ღამყარებისათვის ბრძოლაში

ოქტომბრის დღმა სოციალისტურმა რევოლუციამ მრავალტანჯულ სომეხ ხალხსაც გაუბნა ვნა ბურჟუაზიულ-შემამულურ ჩაგვრისაგან განთავისუფლებისაგან, მაგრამ სომეხმა დამნაყებმა, ისე როგორც ქართველმა მენშევიკებმა და აზერბაიჯანელმა მუსავეიტელებმა, უცხოელი იმპერიალისტების დახმარებით მოსწყვიტეს სომხეთი და მთელი ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთს.

ამიერკავკასიის კომისარიატის კონტრრევოლუციურმა პოლიტიკამ და მის შემდეგ სეიმა საშუალება მისცა გერმანულ-თურქ დამპყრობლებს შემოკროლდნენ ამიერკავკასიაში. 1918 წლის მაისში სეიმი გაუქმებულ იქნა. შეიქმნა სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის ფერათფრადებული „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკები. სომხეთში ძალა-უფლება დამნაყებმა ჩაიგდეს ხელში.

1918-1920 წლებში პერიოდში დამნაყებმა სომხეთის მოსახლეობა ტერიტორიით დააშინეს, მხვერად ექცეოდნენ გლეხებს, ანადგურებდნენ აზერბაიჯანის სოფლებს, გლეხობას კი აძევებდნენ დასახლებულ ადგილებიდან და მათ მიწა-წყალს თავიანთ დამქაშებს აძლევდნენ. დამნაყების მიერ აზერბაიჯანელი მოსახლეობისადმი ამ რბრესიებმა და დევნამ სომეხ მშრომელ გლეხობაში მძაფრი აღშფოთება და წინააღმდეგობა გამოიწვია.

სომხეთში დაცა ეკონომიური ცხოვრება. დამნაყრმა ხელისუფლებამ ვერ ვადასწყვიტა მიწის საკითხი. გლეხები უმიწაყლოდ დარჩნენ, მიწები კი ძველებურად შემამულეთა და მონასტრების ხელში დარჩა. სომხეთის სოფლის მეურნეობა უჩვეულო დეგრადაციას განიცდიდა. ტრანსპორტი განადგურებული იქნა. ვესპლოტაციამო იყო რკინიგზის მხოლოდ რამდენიმე კილომეტრი.

1918-1920 წლებში პერიოდში დამნაყები ჯერ თურქ-გერმანელთა სათამაშოდ იქცნენ, მერე კი ინგლის-ამერიკელ იმპერიალისტებისა, და მონერად ასრულებდნენ მათ ნება-სურვილს.

1918 წლის 4 ივნისს დამნაყური მთავრობის საჯანგებო დეკლარაციამ ხელი მოაწერა ფურქეთთან შეთანხმებას, სადაც დანიშნული იყო „დამოუკიდებელი“ სომხეთის საზღვრები.

ე. წ. ბათუმის მშვიდობიანი ხელშეკრულების თანახმად დამნაყრმა ხელისუფლებამ თურქეთს დაუთმო მათ მიერ დაპყრობილი მთელი

ტერიტორია 20 ათასი კვ. კილომეტრი 900 ათასი მცხოვრებით, და სომხეთს დარჩა 9 ათასი კვ. კილომეტრი ფართობის ტერიტორია (I) გერმანია-თურქეთის კოალიციის დამარცხების შემდეგ, თურქი დამპყრობლები შეეცადეს ინგლისელმა ოკუპანტებმა. ინგლისურ-ამერიკული იმპერიალიზმი ამოცანად ისახავდა თავის კოლონიალ გადაქცევა ამიერკავკასიაში.

ამერიკელი იმპერიალისტებიც უდიდეს ინტერესს იჩენდნენ სომხეთისა და მთელი ამერიკავკასიისადმი. ისინი ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ ამ ქვეყნების ბუნებრივი სიმდიდრენი.

1919 წლის 6 ივლისის გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ვილაც ჯერარდი იღწერდა სომხეთის ბუნებრივ სიმდიდრეებს — ნახშირს, სპილენძს, ვერცხლს, თუთიას და სხვას. ეურნალი „ნიურეპალი“ მოწინავე სტატიაში წერდა, სომხეთში არსებობს დიდი შესაძლებლობა ამერიკული კაპიტალის დასაბანდებლად.

ინტერვენცია ამიერკავკასიაში და კვირიოდ სომხეთში, ძირითადად ზორციელდებოდა ინგლისური ოკუპანტების მიერ, რამდენადაც ამერიკის შეერთებულ შტატებს ამ რაიონში არ გააჩნდა თავისი ჯარი. მათ მიალწიეს იმას, რომ 1919 წ. მაისში ინტანტის უშაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ამერიკის მიერ სომხეთის მართვის „მინდიტის“ გადაცემისა. 1919 წლის აგვისტოში ამერიკის სამსახურის პოლკოვნიკი პასკელი დანიშნული იქნა სომხეთში უშაღლეს კომისარად.

დამნაყური სომხეთის ეკონომიური მდგომარეობა უფრო და უფრო მიმეხდებოდა და ამ დროს ქვეყანა არსებობდა უმოავრესად სურსათის ძველი მარტის ნარჩენებით. ამერიკელი იმპერიალისტები ზანდაზან ვადმოუფედებდნენ დამნაყებს უმნიშვნელო საჩუქრად სურსათისა და ძველ ტანსაცმელს. ასეთი ზერხით ცდილობდნენ ამერიკელი იმპერიალისტები ხელი შეეფუთოთ დამნაყური ხელისუფლებისათვის სომხეთის მშრომელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ დროს ვრევიანში, ბაქოსა და თბილისში გახსნილი იყო ამერიკული ორგანიზაციები „წითელი ჯვარი“ და „ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის დახმარება“. მაგრამ ყველა ეს „განყოფილებები“ და „წარმომადგენლობა“ დამხმარე ორგანიზაციებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ იყვნენ ჯამუშობისა და დივირსიის ცენტრები.

ინგლის-ამერიკის იმპერიალისტები ეროდნენ

დაშნაეკური მთავრობის საშინაო საქმეებში. თავიანთ დირექტივებში ისინი წინადადებას აძლევენ დაშნაეკურ მთავრობას, მოხდინათ სომხეთის ბოლშევიკური მოძრაობის ლიკვიდაცია. მაგალითად, 1919 წლის დეკემბერში, ტომსონის შტაბის დაეალებით, ბრიტანეთის სამსახურის პოდპოლკოვნიკი სტაფი წერდა სომხეთის შინაგან საქმეთა მინისტრს ა. ოგანჯანინს: „ამიერკავკასიაში ბრიტანეთის ძალების სარდალი, გენერალი გატუობინენთ, რომ ალექსანდროპოლში დაარსდა ბოლშევიკური კომიტეტი და იგი რამდენადმე აქტიურ პროპაგანდის ეწევა შუშესსა, არშაისა და რუინგულთა შორის... გენერალი მოხარული იქნება, თუ შექვნი აღმატებულება, დაეყოვნებლივ, ახლავ, მიიღებს გადამჭრელ ზომებს ბოლშევიკური კომიტეტის ლიკვიდაციისათვის. ეფიქრობთ, რომ ამ კომიტეტის ლიდერები მიიღებენ სათანადო სასჯელს“<sup>1</sup>.

ინგლისი დაშნაეკური მთავრობისაგან მოთხოვდა ანგარიშს სომხეთის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ.

მაგალითად, ინგლისის სამსახურის კაპიტანმა გრეისმა, თავისი მთავრობის სახელით, 1920 წლის 22 ივნისს შეეთხოვა გუგუზაენა სომხეთის პრემიერ-მინისტრს ა. ოგანჯანინს:

„მიეცით თუ არა კონკრეტი ვერობულ და ამერიკულ დირემბს? თუ მიეცით, როგორი ხასიათისაა? ზამბის როგორი მოსავალი მიმდინარე წელს? არის თუ არა ტუფისა და სხვა ნედლეულის დიდი მარაგი? რომელ საქონელზე ან ნედლეულზეა დღეს დღევინი მთავრობის მონოპოლია და რომელი საქონელია თავისუფალი მონოპოლიისაგან? მიღებულია თუ არა რაიმე ზომები სომხეთში ზღაროების ექსპლუატაციისათვის? თუ მიღებულია, მაშინ რომელ მანერულს და რა რაოდენობით აღებენ?“<sup>2</sup>.

სომხეთის დაშნაეკები საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის დროს თანამოაზრე და მოკავშირე იყვნენ რუსი თეთრგვარდიელებისა და სომხეთის მთავრობას კავშირი ჰქონდა კოლჩაკთან, პეტლიურასა, ვრანგელთან და სხვა თეთრგვარდიელ გენერლებთან. დენიკინელების ბევრ ოფიცერს ეკავა მაღალი პოსტი სომხეთის დაშნაეკურ არმიაში, დაშნაეკები კი თავის მხარე ვხმარებოდნენ გენერალ დენიკინს იარაღით, ხალხითა და ფულთ.

დაშნაეკურ მთავრობას თავისი მისია და საკონსულო ჰქონდა ყველა თეთრგვარდიულ მთავრობაში.

1919 წლის 22 მაისს ა. ი. მიქოიანი წერდა რკ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომ სომხეთის მთავრობა საიდუმლო სამხედრო კავშირშია

დენიკინთან და რომ სომხეთის მეორე დენიკინელებს თადარიგში ჰყავთ, და ამახადუნენ გამოსვლებისთვის<sup>3</sup>.

დაშნაეკებმა ქალაქებისა და სოფლების უმრავლესობა ნანგრევებად აქციეს, რესპუბლიკის მეურნეობა სრულ კატასტროფამდე მიიყვანეს. სომხეთი, რომელიც განადგურებული იყო უკვე კიდევ პირველი იმპერიალისტიკა ომის პერიოდში, ლტოლვილია და ოპოლია ქვეყანად იქცა, თურქეთის სომხეთში მართლად მოსახლეობას ანადგურებდნენ თურქები, რადგან სომხები უარს აცხადებდნენ რუსებად ომზე.

1918 წლის 12 ოქტომბერს ვ. კ. ორჯონიძემ ვ. ი. ლენინს დებუთი ატყობინებდა: „სომხეთის მდგომარეობა ტრაგიკულია, ვრეყნის გუბერნიის ორი მაზრის პატარა ნაწილებზე თავი მოთყარა 600 ათასმა ლტოლვილმა, რომლებიც მასობრივად იღუპებან შიშხილისა და ქოლერისაგან. დაკრობილ მაზრებში თურქებმა ამოწყვიტეს მოსახლეობის ნახევარი“<sup>4</sup>.

გაზეთი „ეოგოურდი“ 1920 წ. 3 მარტის ნომერში აღწვოთებულად წერდა:

„შიშხილის სურს მთლიანად გაანადგუროს ზენი ენერგული და სიცოცხლისუნარიანი გლეხობა. უზარმაზარი ნაყოფიერი იყოს მინდვრები, რომლებიც დაფარული იყო ნათესებით, ახლა ცარიელია. ომამდე სოფელში 1450 სული იყო, 903 სული შიშხილის მსხვერპლი შეიქმნა. ახლა სოფელში ძლივს დაითვლით 500 კაცს“.

თბილისის სომეხ კადეტთა გაზეთი „მშაიკი“ კი იძულებული შეიქნა ელიარებინა, რომ სომხეთი დაღუპვის პირას არისო. „არმია, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს ძალასა და დასაყრდენს, თითქმის არ არსებობს, მიჯღს მზარეში გამეფებულია ქაოსი და ანარქია. ზენამდე მოღწეული ცნობები მოწმობენ, რომ დაშნაეკიტუნის მარტია საყსებთ დისკრედიტირებულია ხალხის თვალში და, არ მოიპოვება ქვეყანაზე აღიამანი, რომელიც მას არ წყველოდეს“<sup>5</sup>.

„დაშნაეკების დროინდელი ერთგული პოლიტიკა, — ამბობდა ა. ი. მიქოიანი, — ესაა მზეცური აღენა ერთი ხალხისა მეორის მიერ“<sup>6</sup>.

დაშნაეკები, ქართველი შენმევიკებისა და აზერბაიჯანელი მუსაეატელების მსგავსად აღეებდნენ შოიინიზმს, ცდილობდნენ სომხეთის მშრომელებისათვის ჩაენერგათ სიმუღვილის

<sup>1</sup> კაცე არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის აზერბაიჯანის ფილიალის შრომები; 1948 წ. ტ. 9, გვ. 59.

<sup>2</sup> ვ. კ. ორჯონიძემ, სტატიები და სიტყვები, გვ. 57.

<sup>3</sup> გაზეთი „მშაიკი“, 1920 წ., 3 დეკემბერი.

<sup>4</sup> გაზეთი „კომუნისტი“, სომხეთის საყ: (ბ) ორგანო № 283, 1937 წ., 11 დეკემბერი.

<sup>1</sup> სომხეთის სსრ ცენტრალური სახ. არქივი, ფ. 55, საქმე 12/2.

<sup>2</sup> სომხეთის სსრ ცენტრალური სახ. არქივი, ფ. 66, საქმე 418/237, 1920 წ., ფ. 89.

გრძნობა ქართველებისა და აზერბაიჯანელებისადმი.

1918 წლის დეკემბერში, ერთი მხრივ, დანაყვებისა, მეორეს მხრივ კი — ქართულა ენის შეფიცვამა, მოაწიეს ქართველ-სომეხთა პარიუაკაციული და სამარტყვინო მშათა მქლქო სხსლისმღერო ომი.

ქართულმა და ოსმა ბოლშევიკებმა სსსტრეფ ვილაშქრეს ამ დანაშაულებრივი ომის წინააღმდეგ. ამხილა რა შოვინიზმის პოლიტიკა და მენშევიკები, გ. კ. ორჯონიკიძემ 1921 წლის 22 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის საერთო საქალქო კრებაზე მოხსენებაში თქვა: „თუ საქართველიას და სომხეთის ურთიერთ-დამოკიდებულების მთელი ისტორია არასოდეს არ იცნობდა ოსს ან ორ მოჭვე ხალხს შორის, საქმარისი გახდა ხელისუფლების წათვეში გამოჩენილიყვენ, უკაცრალეუ პასუხია, სოციალისტები — მენშევიკები და დანაშაულები, რომ ორი მოძვე ხალხი ჩაება სამეკდრო-სასოცოხლო ბრძოლაში მიწის რაღაც ნაჭერისათვის და ასობით გლეხისა და მუშის—სომხებისა და ქართველების სისხლი იღვრებოდა, ინგლისელი ვაჭრებისა და მრეწველების საამებლად“<sup>1</sup>.

1919 წლის ბოლოს დანაყერ და მესაეტერ ჯარებს შორის დაიწყო ბრძოლა. 1920 წლის დამდეგს ეს ბრძოლები გადაიზარდა სომხეთის და აზერბაიჯანის ბერეუზიულ-ნაციონალისტურ არსებობიკებს შორის ომად.

დანაყების ჯაღათერმა რევიმმა მჭაფრი უმყოფილება გამოიწვია მუშებსა და გლეხთა ფართო მასებში. სომხეთის მშრომელები კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით დამხულ ბრძოლას ეწეოდნენ თავიანთი განთავისუფლებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის და „დამნაყეტურის“ კონტრარევილუციური პარტიის დეკტატურის წინააღმდეგ.

მუშათა კლასმა ამ ბრძოლაში, — ამბობდა ნ. ს. ხრეშჩოვი თავის გამოხვლაში აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის შექმნის ოპოდე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სსლიმაზე ბაქოში, — ბვერი საკუთარი სისხლი დაღვარა. ამიერკავკასიის კაპიტალისტებმა და მემპელებმა, ყველა ბერეუზიულ-ნაციონალისტურმა პარტიამ, მათ შორის. მუსავაკტელებმა, დანაყებმა, ესერებმა, მენშევიკებმა, გააერთიანეს თავიანთი ღონისძიებანი მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების წინააღმდეგ საბრძოლველად. მათს დასახმარებლად მოვიდნენ უცხოელი ინტერვენტები. მუშათა კლასმა განიცადა მკაცრი რეპრესიები, მავრამ იგი სულით არ დატყვევდა და იარათ არ დაუყრია,

სინამ ბოლქოთა ხელისუფლებამ არ გაიმარჯვეს“.

1919 წლის დამდეგს გ. კ. ორჯონიკიძემ ა. ი. მიქოიანთან ერთად ჩაატარა მნიველკეპანი სიის ბოლშევიკების ორგანიზაციის წინააღმდეგ თათბირი, ორჯონიკიძემ აცნობა ამიერკავკასიის ბოლშევიკებს რკ (ბ) ც. კ. -ის მითითებითა შესახებ, რომელიც ეხებოდა ამიერკავკასიის კონტრავოლუციური ნაციონალისტური „მთავრობის“ და ინგლისელ ოკუპანტთა წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მზადებას.

სომეხ კომუნისტებს პარტიული, ორგანიზაციული და პროპაგანდისტული მუშაობის ჩატარება ძალზე ძნელ პირობებში უხდებოდათ. ეს სძინელები გამოხატებოდა პირველყოფიის პროლეტარიატის სიმცირესა და პარტიული ორგანიზაციების მკერეცილობრივობაში, აგრეთვე გლეხობის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩამორჩენილობაში. მაგამ მოხუცადელ ყოველგვარი სძინელებისა, სომეხი ბოლშევიკები დღითიდღე აჯანყებდნენ მუშებსა და გლეხებს პარტიის გაგრძელო და მაყუადათ ისინი სოციალისტური რევილუციისათვის საბრძოლველად. 1920 წლის 6 მარტს ა. ი. მიქოიანი ს. მ. კიროვი ატყობინებდა: „...სომხეთში პარტიის მუშაობა მწეწრავდამ“<sup>2</sup>.

1920 წელს სომხეთში თანდთან სწრაფად გაიზარდა რევილუციური შოძრაობა. წითელი არმიის მიერ დენიკინის ჯარების დამარცხებამ და ჩრდილოელ კავკასიასა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ კიდევ უფრო აღმტოიანა სომეხი ხალხი დანაყერი ხელისუფლების განადგურებისათვის ბრძოლის საქმეში.

აზერბაიჯანის კომუნისტურ პარტიას მკიდრო კავშირი ქიქნდა სომხეთის კომუნისტურ პარტიასთან და მას ძმერ დახმარებას უწევდა დანაყების წინააღმდეგ ბრძოლასა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

1919—1920 წლებში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით სომხეთში ხდება ალექსანდროპოლის რკინეზულებისა და ასოთამწეობების, კაფანის — მღაროელების, ერევნის, ფოსტატელებგაფის მუშა-მოსამსახერეებოსა და სხვათა შოელი რიგი გაფიცივა და შეტაკებები.

მრავალ რაიონში ფართოდებოდა გლეხთა აჯანყება დანაყების ბატონობს მიმართ, 1920 წლის 1 მაისს სომხეთის მშრომელებმა, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, უდიდესი პოლიტიკური დემონსტრაცია ჩაატარეს ერევანსა, ალექსანდროპოლსა და სხვა ქალაქებში.

1920 წლის 10 მაისს აჯანყებულმა ჯარისკაცებმა და მუშებმა აიღეს ქალაქი ალექსანდროპოლი და საბჭოთა ხელისუფლება გამოაც-

<sup>1</sup> გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, გვ. 266.

<sup>2</sup> ა. ი. მიქოიანი, „კომუნისტი“, 1960 წ., 26 აპრილი.

<sup>3</sup> ს. მ. კიროვი, სტატიები, სიტყვები და ღოემენტები, ტ. 1, 1936 წ.

ხადეს. ამავ დღეს შექმნილი იქნა რევოლუციური კომიტეტი.

ილექსანდროლის მოძვეა აჯანყება საჩაფშიში, ყარსში, ნორბაიაზეთში, ზანგეზურში, ყარაღისში, ყაგიზმანში და სხვ. ვარ, სადაც აჯანყებულებმა გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება. მიღწიარობდა გააფთრებული სამოქალაქო ომი. მაგრამ ილექსანდროლის რევოლუციის წვერთა უმარადესობის მიერ გამოვლენილი მურყობისა და გუბერდაობის გამო სომეხი ხალხის აჯანყება მკაცრად იქნა ჩაშობილი დაშინავესს მიერ. აჯანყებულთა ხელმძღვანელები დახვრიტეს, აჯანყების მრავალი მონაწილე ცხებებში ჩასვეს. აჯანყებულთა ნაწილებმა კი დაშინავების მიერ დევნასა და რეპრესიებეს საბჭოთა ძებრაბაჯანში გადასვლით დააღწია თავი.

1920 წლის 22 მაისს სერგო ორჯონიკიძე მაისის აჯანყების შესახებ საბჭოთა მთავრობას ატყობნებდა: „...ათი რიცხვისათვის ილექსანდროლში სომხების მხრიდან ადგილობრივი მუშების, განხიზონისა და ჯავშნოსანი მატარებლის დახმარებით გამოცხადებული იქნა სომხეთის რესპუბლიკა. საბჭოთა ხელისუფლებამ ოთხ დღეს ვაძლო, რის შემდეგაც აჯანყება ჩაახშეს. დელოჯანის რაიონიდან მოვიდნენ სომეხი კომუნისტები თხოვნით, რათა მხარი დაგვეჭია მათთვის“<sup>1</sup>.

გ. კ. ორჯონიკიძე სომხების ამბების გამო წერდა რკმ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს: „...მაისის აჯანყების მხედერი ჩაშობისა და აჯანყებულების დახვრეტის შესახებ დაშინავების მიერ.“

გ. კ. ორჯონიკიძეს აუცილებლად მიაჩნდა შრომული მასებისათვის დახმარების გაწევა. ამ მიზნით ყაზან-შამშადინის რაიონში მაისის აჯანყების დღეებში შემდეგი დეპეშა ვაგზავნა მოსკოვში:

„მოსკოვი, კრემლი, ლენინს, სტალინს, ჩიჩერინს. ბაქო, 23 მაისი, 12 საათი, ქარავენ-სარაის შაბრაში გამოცხადებულია საბჭოთა ხელისუფლება.“

სომხეთის რევოლუციური ჯარების ორი ლეგიონი აჯანყებულების მხარეზე გადავიდა. რევოლუციონერ ვეზოვს დახმარებას. ვოხოვთ თქვეს დღეულებლიე და ზუსტ მითითებებს. პასუხის მიღება სასურველია სადამომდე, რადგან ლამით ვფიქრობ ორი დღით ენზელში წასვლის.

ორჯონიკიძე<sup>2</sup>

სომხეთში მაისის აჯანყებებთან დაკავშირებით უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის სულის

<sup>1</sup> სივარეო საქმეთა სამინისტრო, ჩიჩერინის საფონდო არქივი, (ვაეკისია) საქ. 56822, გვ. 98, დეპეშის ბლანკი.

<sup>2</sup> ბ. ლ. ო. სომხ. ფილ. პარტარქივი, ფ. 5, საქ. 17.

ჩამდგელი და ორგანიზატორი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ უ. ჩერჩილი. დევის. 1921 წლის 26 სექტემბერის შემორჩენულში „სანტერმინით და თურქეთი“, დევიარლით აღნიშნავდა, რომ „მაისში ბოლშევიკურმა რაზმებმა დოკავეს და საბოლოოდ დაამორჩილეს ერევანის რესპუბლიკა“<sup>1</sup>.

ბოლშევიკების მიერ მოწყობილი აჯანყება დაფარული ხასიათს ატარებდა. აჯანყებულები არ იყვნენ დაკავშირებულნი მოქმედებებით. ილექსანდროლის რევოლუციისა და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის წვერთა უმარადესობამ მკაცრება და გაუბედობა გამოამყვალა და თავდაცული პოზიცია დაიკრია. აჯანყებულთა რაზმებში, მიუხედავად მათი ბრძოლის უნარიანობისა, არსავემარისი ორგანიზაციული მუშაობა იქნა ჩატარებული. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ უზრუნველყო პროლეტარიატისა და გლეხობის მტკიცე კავშირი.

სომხეთში მაისის აჯანყების ჩაშობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ინგლისელმა და ფრანგმა იმპერიალისტებმა. ამასვე ცდლობდნენ ქართველი მენშევიკებიც. რომლებმაც ჩაეტრეს ყველა სატრანზიტო გზები, რომლითაც აჯანყებულებს უნდა მიეღოთ დახმარება საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის გ. კ. ორჯონიკისაგან. საქართველოს მენშევიკური მთავრობა ხელს უწყობდა სომხეთში თეთრგვარდიელთა რაზმების გადასროლის საქმეს, რომლებიც ამ დროს საქართველოში იყვნენ მოკალათებულნი.

სომხებსა დაშინავებმა, ჩაახშეს რა მშრომელთა გამოსვლები, მკაცრად გაუსწორდნენ აჯანყებულებს. აჯანყებულების ხელმძღვანელები, ს. ალავერდიანი, ბ. ლაჩიჯანიანი, ს. მუსაელაიანი, ო. სარტუნიანი და სხვ. დახვრიტეს, მუშათა მოძრაობის მრავალი მონაწილე ცხებებში ჩაყარეს.

სომხეთსა და საქართველოში მაისის აჯანყების შემდეგ შექმნილი მდგომარეობის გამო, შინა ცხაკათა წერდა: „თეთრი ტერორი უნგრეთის ჯვალათის ზორტის ტერორზე უაქსია. დაშინაველი სომხეთი და მენშევიკური საქართველო, ტამს უყარავს ასეთი რეპრესიებისათვის კომუნისტების მიმართ.“

მაგრამ კომუნისტები ცოცხლობს დაშინავების მიერ გათვლილ სომხეთსა და საქართველოში. ათობოდ პროტესტის რეზოლუციები და კომუნისტური უჯრედის აღმუშავებები საქართველოს ქალაქებისა და მკაცრებულ სოფლებიდან წინააღმდეგნი არიან სომხეთში თეთრი ტერორისა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> უ. ჩერჩილი. მსოფლიო კრიზისი, სამხ. გამ., 1932 წ.

<sup>2</sup> უფრნალი „კომუნისტური ინტერნაციონალი“, № 15. 1920 წ.



გ. კ. ორჯონიძემ უშუალო მონაწილეობა მიიღო ბაქოში ყაზახზე გავლათ დელიჯანის, ოჯევიანის და შამშადინის აჯანყებულთა გადაჯვანის საქმეში. ორჯონიძის მხრულელობით აჯანყებულებისაგან შექმნილი იქნა განსაკუთრებული სომხური ლეგიონი, რომელიც შემდგომ სომხეთის რევოლუციის სამხედრო დასაყრდენად იქცა.

სომხეთში მისის აჯანყებამ დიდი როლი ითამაშა მასების გარვეოლუციურების საქმეში და ასწავლა მათ ბრძოლა. სომხეთის მშრომელთა ეს გამათავისუფლებელი ბრძოლები დაწინაყების წინააღმდეგ განუწყვეტლივ გრძელდებოდა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე.

1920 წ. 24 სექტემბერს, ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტების ბრძანების თანახმად, გზალეზული იქნა ომი ქვეშაის თურქეთისა და დასავლურ სომხეთს შორის. ნოემბრის შუა რიცხვებში თურქეთის ჯარებმა თოქმის მთელი სომხეთი დაიკავეს. თურქმა ოკუპანტებმა შეუბრალებლად აიხრეს სომხეთის ტერიტორია, ძაბიყვედნენ და სპობდნენ სომხეთის მისახლეობას. სამეხ ხალხს სრული ფიზიკური განადგურება ელოდა. იქვე მოგვიხდება მარტვი სომხეთის გადარჩენის საქმეში-ო, წყაროა გ. კ. ორჯონიძემ 1920 წ. 26 ნოემბერს კავკასიის ფრონტის რევ. სამხედრო საბჭოს წევრებს.

გ. კ. ორჯონიძემ რკმ(ბ) ცკ-ის წინაშე დააქნა საკითხი სომეხი ხალხის გადარჩენისათვის ზომების მისაღებად. 24 ნოემბერს ორჯონიძემ უღებუმა რკმ(ბ) ცკ-ს „სომეხი ამხანაგებისა და ნარბმანოვის ახრით მეტი ლოდინი შეუძლებელია. თურქებს, როგორც ეტყობათ, სურთ სომეხებს ანგარიში გაუსწორონ და სურთ ხელემა გახსნილი ჰქონდეთ ამ მხრეიცი. დაშინაკებმა, რასაკვირველია ყოველგვარი ავტორიტეტი დაყარეს. ეს ლეგრიანის ცნობიდანაც ჩანს. ჩვენი უსახლეროდ მომლოდნელი მდგომარეობა სომეხთა მასებს საბოლოოდ ზაუენებს ყველასაგან მოტოვებულ მდგომარეობაში, ახლა გავხელო „შშაიცი“ კი უღდის ჩვენი მოსელს“.

1920 წლის ნოემბრის ბოლოს თურქეთისა და სომხეთს შორის ომი დასნაკური ჯარების სრული განადგურებით დამთავრდა.

ოტოა გვიან მე-11 წითელი არმიის რევ. სამხედრო საბჭოს წევრმა შ. ელიავამ მოახსენა პირდაპირი მეთუღლით გ. კ. ორჯონიძემის თურქეთის ჯარების თეთანდუბური მოქმედების შესახებ: „თურქებს აღექსნადრომოლისა და ყარსის რაიონებიდან ვაკეთ რაინიგებს ტელფონისა და ტელეგრაფის ქონება“.

რკმ(ბ) ცკ-ის კავკასიის ბიურო ხელმძღვანელობდა სომხეთის პარტიულ ორგანიზაციის და ყოველგვარ დახმარებას უწევდა მას. საბჭოთა რუსეთიდან, საბჭოთა აზერბაიჯანიდან გავზავ-

ნილი იქნა სომხეთში პროფესიული რევოლუციონერები, აგრეთვე საბრძოლო იარაღი, სურსათ-სანოვავე, ტანსაცმელი და სხვა საჭიროება.

სომხეთის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა ენეგვიელი მოქმედება დაიწვეს შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად. დიდი შემოაზმა მიმდინარეობდა რკინიგზაზე, სპილენძის მადარობებშია მშრომელი გლეხებსა და სამხედრო ნაწილებს შორის.

21 ოქტომბერს სომხეთის კომუნისტური პარტიის ცკ-მა მიუწოდა მშრომელებს მკიდროდ დარახმულიყვენენ პარტიის გარშემო და ყოველმხრივ გაეძლიერებიათ ბრძოლა დასნაკებისა და მათი ამერიკელ-ინგლისელი ბატონების წინააღმდეგ.

1920 წ. 4 ნოემბერს რკმ(ბ) ცკ-ის კავბიუროს და აზერბაიჯანის კკ(ბ) ცკ-ის ერთობლივ სხდომაზე, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა სომხეთის კომპარტიის ცკ-ის წარმომადგენელი, რკმ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი ი. ბ. სტალინი და რკმ(ბ) ცკ-ის კავბიუროს წევრი გ. კ. ორჯონიძემ, განხილული იქნა საკითხი სომხეთში პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება.

1920 წ. 22 ნოემბერს გ. კ. ორჯონიძის ხელმძღვანელობით შედგა რკმ(ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს თათბირი სომხეთისა და აზერბაიჯანის კკც-ის პახუხისმგებელ მუშაკებთან ერთად. თათბირის მონაწილენი საკიროდ თვლიდნენ, რომ სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გადაუღებელ ამოცანას წარმოადგენს.

27 ნოემბერს რკმ(ბ) ცკ-ის პოლიტბიურომ ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით განიხილა ი. ბ. სტალინის მოხსენება კავკასიის საქმეების მდგომარეობის შესახებ, დაავალა გ. კ. ორჯონიძეს მიეღო თავისთავებზე საერთო პოლიტიკური ხელმძღვანელობა და დააყენეს იგი კავკასიაში ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებისათვის ბრძოლის ცენტრში<sup>1</sup>.

თურქეთის ომში დასნაკების სამარცხვინო დამარცხების შემდეგ, სომეხი ხალხი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. გ. კ. ორჯონიძემ შესწავლა სომხეთის პოლიტიკური მდგომარეობა და პირდაპირი ზახით მოახსენა ვ. ი. ლენინს რევოლუციური სატუტაციის დადგომის შესახებ. სომხეთში აჯანყება იწყებოდა.

1920 წ. 29 ნოემბერს სომეხმა ბოლშევიკებმა შექმნეს რევოლუციური კომიტეტი სომხეთის კომუნისტური პარტიის თეალსაჩინო მოღვაწის ს. კასარის მეთაურობით. რევოლუცია გამოსცა დეკრეტი სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შესახებ.

<sup>1</sup> მლიას ცხა უ. 17, საქ., 5489, მ.ს.



ამვე დღეს 14 საათს და 30 წუთზე გ. კ. ორჯონიძემ ვ. ი. ლენინს დეკრეტით აცნობა, რომ ვახაში მოქმედებს სომხეთის რევკომი, რომელიც ხელმძღვანელობს აჯანყებებს და მან სომხეთი საბჭოთა ქვეყნად გამოაცხადაო<sup>1</sup>.

30 ნოემბერს სომხეთის რევკომმა ვ. ი. ლენინს გაუგზავნა დეკრეტი, რომლითაც იტყობინებოდა, გლხთა რევოლუციურ აჯანყებებსა და სომხეთში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადებას. რევკომი იხზოვდა აჯანყებულ ხალხისათვის დახმარების აღმოჩენას. ამვე დღეს ვ. ი. ლენინმა უპასუხა დეკრეტზე რევკომის თავმჯდომარეს ს. კასიანს, რომელსაც წერდა: „თქვენს სახით მივესალმები იმპერიალიზმის მხრივ ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ მშრომელ საბჭოთა სომხეთს. ექვი არ შეპარება, რომ თქვენ ყოველ ღონეს იხმართ მშერი სოლიდარობის დასამყარებლად, სომხეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის შრომელთა შორის“<sup>2</sup>.

1920 წ. 2 დეკემბერს გ. კ. ორჯონიძემ ბაქოდან ატყობინებს რკ(პ) ც-ს: „გადაციით ამხანაგებს ლენინსა და სტალინს შემდეგი:

ეს არის ვრცელდამი მღვდელთა ცნობა, რომ სრევანში გამოცხადებულა საბჭოთა ხელისუფლება, ძველი მთავრობა გადაყენებულა.

1920 წ. 1 დეკემბერს გ. კ. ორჯონიძემ გამოვიდა ბაქოს საბჭოს საზეიმო სკლამზე, რომელიც მიეძღვნა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. ამ სიტყვაში იგი ამბობდა სომეხი გლეხობის უდიდესი სურვილის შესახებ, სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო<sup>3</sup>.

სომხეთის რევკომის მუშაობის უშუალო მართვით, გ. კ. ორჯონიძემ ეხმარებოდა მას თავისი რჩევითა და პრაქტიკული მითითებებით. მან დადი მუშაობა ჩაატარა ნორჩი საბჭოთა სომხეთის განმტკიცებისათვის. მუშაობის მოსაწესრიგებლად იგი ბაქოდან სომხეთში აგზავნიდა პარტიულ მუშაებს, სომეხ ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის კი ჩრდილოეთ კავკასიიდან პურისა და სხვა საკვები პროდუქტების ორგანიზაცია მოაწყო. მაგრამ საქართველოს მენშევიტური ხელისუფლება ყოველნაირად ეხმარებოდა დაშინებულ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა სომხეთის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებისათვის, საქართველოს მთავრობამ აკრძალა სომხეთში პროდუქტებით მიმავალი ემულონების გავლა. მაშინ გ. კ. ორჯონიძემ მოთხოვნა გააკეთა უფრო წითელი არმიის სატრანსპორტო საშუალებებს და აზერბაიჯანის

ნის მოსახლეობის საქაპანო ტრანსპორტი და პური და სხვა სასურსათო და სამრეწველო სოქონელი გაგზავნა აქსტაფა-დელაქანთან: გ. კ. ორჯონიძემ დაუკავშირა ზარდამირი მკაცრული რევკომის თავმჯდომარეს ს. კასიანს და ვადაცა: „70 პარტიული მუშაი გამოგზავნა აქსტაფადან, თან მოაქვთ 8 ცისტერნი წყლით, ორგანიზაცია გაუყავით მღვდების საქმეს. 50 ევროს პური თქვენთვის უკვე მზადაა. თუ თქვენ პურის გადაზიდვას საქაპანო ტრანსპორტით უზრუნველყოთ — აქსტაფაში ჩამოვიტანთ. პურის მოწოდების სხვა საშუალება არა გვაქვს“<sup>4</sup>.

გ. კ. ორჯონიძემ აგრეთვე მიმართა სომეხ ხალხს მოწოდებით, რომელშიც ნათქვამია: „სომხეთის მუშებმა და გლეხებმა უნდა იცოდნენ, რომ საბჭოთა რუსეთისა და აზერბაიჯანის შიღლი ძალა და ენერჯია მიმართულია საბჭოთა სომხეთის სამსახურისათვის; უნდა იცოდნენ, რომ რუსეთის მუშები, გლეხები და წითელი არმია გატყუებენ თავის უღუფა პურის მარაგს სომხეთის მუშებსა და გლეხებს“<sup>5</sup>.

ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტების მიითვებოდა, ქართველი მენშევიტების დახმარებით სომეხმა დაშინებულმა ვრცელის მეთაურობით 1921 წ. თებერვალში სომხეთში მოაწყვეს სანტისაბჭოთა ამბოხება, რომელიც ისტორიაში შევიდა „თებერვლის დაშინებული ავანტიურის“ სახელწოდებით. ამ ანტისაბჭოთა გამოსვლებში მონაწილეობას აღებობდა თურქეთი.

გ. კ. ორჯონიძემ დაუყოვნებლივ შეუდგა ზომების მიღებას. მისი წინადადებით 1921 წლის 26 თებერვალს შეიქმნა დელეგატიონი კლასის მართვის სახმედრო-რევოლუციური კომიტეტი გ. ათარბეკოვის მეთაურობით.

ვ. ი. ლენინს თვალს აღვნიშნა სომხეთის მდგომარეობას. გ. კ. ორჯონიძემც თავის მხრივ სისტემატურად ატყობინებდა მას სომხეთის ამბებს. ერთ-ერთ დეპეშაში გ. კ. ორჯონიძემ ატყობინებდა ვ. ი. ლენინს: „კავკასიის მდგომარეობას დადი სირთულე მოელს. ზანგუზურში ჩამოვალბდა დამოუკიდებელი მთავრობა, რომელსაც ინგლისელები ემაგრებენ ზურგს თავრიზიდან, თავრიზში ინგლისელების მიერ ფალობდება სომხეთის ნაწილები ყოფილი სომხური დიდუბიდან, რომლებიც მომუშყედენ სპარსეთში იმპერიალისტური ომის დროს. დამნაყები ქმნიან ზანგუზურში ბაზებს ჩვენს საწინააღმდეგოდ საბრძოლველად, უფრო სწორად ინგლისელები გვიმზადებენ დარტყმას დაშინების დახმარებით ზანგუზურიდან“<sup>6</sup>.

გ. კ. ორჯონიძემ ბაქოს რადიოსადგურის საშუალებით დაუკავშირა სომხეთის პარტიულ მუშაებს და მოითხოვა კომუნისტური რაზმე-

<sup>1</sup> მლი-ს პარტ. არქივი, ფ. 85.  
<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი—თხულებანი, ტ. 31, გვ. 536.  
<sup>3</sup> გ. კ. ორჯონიძემ, სიტყვები და სტატრები, გვ. 176.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 174.

<sup>5</sup> „ბაკინსკი რაბოჩი“, 1920 წ., 12 დეკემ.  
<sup>6</sup> ვაზ. „კომუნისტ“, ბაქო, 1920 წ., 12 დეკემ.  
<sup>7</sup> მლი პარტ. არქივი, ფ. 85.

მა და წითელა არმიის ნაწილებს შედგარდებამათ დაშვებებთან, რათა დაეცათ საბჭოთა ხელისუფლება. უმარლოს ფრონტის კომისარი ა. სვირიდოვი თავის მოგონებებში წერს: „პირადად ამხანაგ სერგო ორჯონიძისაგან ბავშვანდ მივიღე დამიწერული საბრძოლო დავალება, რადეუ არ უნდა დაგვედომოდა შეგვეზარუნებინა საბჭოთა ხელისუფლება მამელების მიღებამდე“.

გ. კ. ორჯონიძემ ერთდროულად მისცა დავალება XI წითელი არმიის სარდლობას, რომ გაეგზავნათ რიონში განლაგებულ საბჭოთა სომხეთის ნაწილებში თვითმფრინავი პერისა და სხვა საცვები სურსათის შესაქმნად.

1921 წ. 20 მარტს გ. კ. ორჯონიძემ გუგუზავანა ვრაციანს რადიოგრაჰმა, რომელშიაც მოითხოვდა ფანტორის შეწყვეტას. იგი წერდა: „ჩემთან გამოცხადდა სომეხი ამხანაგების ვაჭრეუ და თავიანთი ინიციატივით შემოიპოვებენ მოგზაობით თქვენ წინადადებით. რათა ბოლო მოეღოს უაზრო, უმიზნო და ხალხისათვის დამღუპველ ომს, ყველასათვის ცხადია და არც არავითარი ეჭვი არ არსებობს ამისა, რომ დადგა დრო მთელ ამიერკავკასიაში შეშინა და გლეხთა ხელისუფლების ბატონობისა. აი რატომ ვლუბებლობ სომეხ-ამხანაგთა მომართვის და წინადადებებს გაძღვეთ თქვენ დაუყოვნებლოდ შეწყვიტოთ უიმედო ომი, უსიტყვო განაირალების მიღების საფუძველზე“.

გ. კ. ორჯონიძის წინადადებით ერევანში თბილისიდან გაემგზავრა გამთინეილი სომეხი პოეტი ოვანეს თუმანიანი ვრაციანთან მოსალაპარაკებლად ომის შეწყვეტის საკითხზე. მაგრამ ვრაციანმა უარყო ორჯონიძისა და მისი წარმომადგენლის ოვანეს თუმანიანის წინადადება. კიდევ შერტი, ოვანეს თუმანიანს წინაფრთხილად შეესაუბრა მისი საყრდენი პარტიის პარტიზანთა მეთაურისა და ათასი კორპები შეთხზეს მის შესახებ. წითელმა არმიამ მალე გაანადგურა დაშვებები ჯარები, ორ აპრილს წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს ერევანი. ვრაციანის ავანტიურა ლევიტირებული იქნა.

1921 წლის 17 მარტს გ. კ. ორჯონიძემ მოახსენა რკპ(მ) ც-ის კავბიუროს პრეზიდიუმს სომხეთის კკც-ის თხოვნა საქართველოში მომუშავე სომეხ-კომუნისტების მობილიზაციისა და მათი სომხეთში დაბრუნების შესახებ. აქედან გამომდინარე, რომ საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობის პერიოდში არა ერთი სომეხი კომუნისტი აღზარდა, კავბიუროს პრეზიდიუმი დაითანხმა გ. კ. ორჯონიძის წინადადების დონისძიებას და გამოაცხადა საქართველოში მომუშავე სომეხი კომუნისტების მობილიზაცია.

<sup>1</sup> ვახ. „კრასნაია ზევდა“, თბილისი, 1921 წ., 23 მარტი.

სომხეთი სასურსათო მდგომარეობის მხრივ მძიმე მდგომარეობას განიცდიდა.

1920 წლის 8 დეკემბერს რეპროდუქციონის ს. კასიანის პირველი ბრძანებით გამოცხადდა ყველა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებას, აგრეთვე კერძო პირებს, რომ ისინი ვალდებული არიან მისცენ ცნობა მომარაგების უფროსს ან. ლომიძეს მითითარსებული გასაყიდი სურსათის, სათბობისა და სხვა მასალების შესახებ<sup>1</sup>.

1921 წლის 6 აპრილს რევკომის თავმჯდომარე ს. კასიანმა და საქომმა ან. ავისმა მიმართეს გ. კ. ორჯონიძეს დეპუტით, სადაც ითხოვდნენ ქვეყნისათვის ფინანსური დახმარებას, რადგან გაქცეულმა დაშვებებმა თან წაიღეს სახელმწიფო სიმდიარე და ფულის ნიშნები<sup>2</sup>.

გ. კ. ორჯონიძემ ყოველგვარ ზომებს დებულბდა სომხეთში სასურსათო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

1921 წ. 21 აპრილს ერევანში ჩავიდა გ. კ. ორჯონიძე, გაეცნო გლეხობის მძიმე მატერიალურ მდგომარეობას და დაუყოვნებლოდ მიიღო აუცილებელი ზომები დახმარების აღმოსაჩენად.

მიუხედავად სომხეთში მცირე ხნით ყოფნისა, გ. კ. ორჯონიძემ შეისწავლა სომხეთის კომუნისტური პარტიის შინაპარტიული წინააღმდეგობანი, შეფასება მისცა ცალკეულ პარტიულ და საბჭოთა მუშაკთა მოქმედებას, მიიღწა ცხოვრებაში ლენინური ხაზის თანმიმდევრულად გატარებას.

1921 წ. 22 აპრილს გ. კ. ორჯონიძემ ერევანში პარტიულ და პროფკავშირული ორგანიზაციების სახეობა სხდომებზე სიტყვით გამოვიდა, რომელშიც მოუწოდებდა სომეხ ხალხს და ამიერკავკასიის ყველა მშრომელს ხალხს მეგობრობის განმტკიცებისათვის და მთელი ქალების გამოყენებას ომით დაწვრთულ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახალხო მებრუნეობის აღდგენისათვის.

„ჩვენნი ძალა იმამია, რომ ჩვენ სიმართლიანათვის ვიბრძვით, — ამბობდა ან. ორჯონიძე, — მოწინააღმდეგეებს ხელთ მხოლოდ ერთი იარაღი აქვს — სიცრუე და მას ჩვენს საწინააღმდეგოდ იყენებს... მთელი სიცრუე რუსეთზე, მის წითელ იმპერიალიზმზე“ სიცრუეა და უსუნურობა. მთელს მსოფლიოში მხოლოდ საბჭოთა რუსეთი ატარებს ცხოვრებაში პარტიონსად და გულწრფელად თავისუფალი ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპებს, ეხმარება ჩაგრულ ხალხებს... საბჭოთა რუსეთთან

<sup>1</sup> იხ. სომ. სსრ. ბრძანებისა და დეკრეტის ცნობების პირ. ამონაწერი.

<sup>2</sup> წით. არმ. ცენტრ. სხ. არქივი., ფ. 195.

კავშირში, ჩვენ გამედულად ვებრძოდით საერთაშორისო იმპერიალიზმს<sup>1</sup>!

რუკ(ბ) ცუ-ის ბრძანებით 1921 წ. 5 მაისს სომხეთში სამუშაოდ ჩამოვიდნენ პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები და მათ რიგებში ა. ფ. მისანიკოვი (მისანიკიანი). სომხეთის ბოლშევიკური ორგანიზაციის სხვა ადგილობრივ ხელმძღვანელებთან ერთად დაძლიეს ანარქიზმის არსებობა სომხეთის კომპარტიის რიგებში, განამტკიცეს პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

21 მაისს სომხეთის რევკომი გარდაიქმნა სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოდ. რომლის თავმჯდომარედ და სამხედრო საქმის სახალხო კომისარად დამტკიცებული იქნა ა. ფ. მისანიკოვი.

გ. კ. ორჯონიძემ დაუღალავად იღვევებდა თვალს სომხეთის კპცუ-ის და სახკომსაბჭოს მუშაობას. იგი მრავალჯერს ჩამოდიოდა სომხეთში და მათ ხელმძღვანელებთან ერთად წყვეტდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მშენებლობის ამოცანებს...

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ იხსნა სომეხი ხალხი ფეხიერი განადგურებისაგან.

პროლეტარული რევოლუციის ისტორიულ გამარჯვებას სომეხი ხალხი პირველ რიგში უმადლის კომუნისტურ პარტიას და მის დიდ ბელადს გ. კ. ორჯონიძეს, რომლებმაც სომხეთის მშრომელებს უდიდესი დახმარება აღმოუჩინა, გადაარჩინა ის დაღუპვას.

დაშინების უღლისა და უცხოეთის ინტერვენტების ოკუპაციისაგან სომეხი ხალხის განთავისუფლების საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულა გ. კ. ორჯონიძემ. მისი სახელი მკიდროდ და განეყრება და დაკავშირებული სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან. გ. კ. ორჯონიძემ დაეხმარა სომეხ ხალხს არა მარტო მტერზე გამარჯვების საქმეში, არამედ სიმშინის და წგრევის დაძლევის საქმეში, სახალხო მეურნეობის აღდგენის ორგანიზაციაში. მან დიდი მუშაობა ჩაატარა ეროვნული მშვიდობის დამყარების საქმეში სომეხ, აზერბაიჯანულ და ქართველ ხალხთა შორის, ამიერკავკასიის ხალხთა შეგობრობის განმტკიცებისათვის დიდ რუს ხალხთან.

გ. კ. ორჯონიძემ ხელს უწყობდა სომხეთში თუჯის, ქიშიურის, მანქანათმშენებლობის წარმოების განვითარებას, ამ საქმეს მან დიდი ძალა და ენერჯია შეანდოდა.

ახლა სომხეთმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რუსი და სსრკ(სსრ) ხელმძღვანელებთან ერთად დახმარებით მიიღწია კომუნისტური და კულტურის არსებულ აუვაუებას.

სომხეთის მიღწევები განუყრელია და დაკავშირებული სსრკ სოციალიზმის გამარჯვებასთან და ჩვენი პარტიის მიერ განხორციელებული ეროვნული პოლიტიკის პირდაპირ შედეგს წარმოადგენს.

სკპს XXI ყრილობამ ჩვენი ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის განდითხული პროგრამა მიიღო, 1959—1965 წლის შეიღწევის სახალხო მეურნეობის გეგმა, ეკონომიკისა და კულტურის განვითარების უდიდეს პერსპექტივებს გვისახავს საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა კეთილდღეობის აღმავლობისათვის.

სომხეთის მშრომელები თავდადებულად იბრძვიან სკპ XXI ყრილობის ბრძნული გადაწყვეტილებების ცხოვრებაში ვატარებისათვის და თავიანთი წვლილი შეაქვთ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გაშლის საქმეში.

აი როგორ განდიოხულ ვასაქანს დებულობს 1959—1965 წ. სომხეთის სახალხო მეურნეობის განვითარება, რომლის აღორძინებისათვის ასე ბევრი იშრომა თავის დროზე გ. კ. ორჯონიძემ.

კომუნისტური პარტიის საქმისათვის შეუდრეკელმა მებრძოლმა გ. კ. ორჯონიძემ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა ხალხის სამსახურს, კომუნისტების გამარჯვებისათვის თავდადებული ბრძოლის საქმეს.

„ამხანაგმა სერგომ ჩვენი ბოლშევიკური პარტიის მოწინავეთა რიგებში, პროლეტარული რევოლუციონერების ეკლიანი გზა ვანელო, არც ერთი წუთით არ შეუშვია ხელი ბოლშევიკური დროშისათვის, მან არ იცოდა შიშა და შერყეობა, არ დრეებოდა არავითარი დაბრკოლების წინაშე და არა ერთხელ გაუწირავს სიცოცხლე, ის მთელ თავის ძალას, ენერჯიას, ნებისყოფისა და ბრწყინვალე შესაძლებლობას ანდომებდა მუშათა კლასს, პარტიას, რევოლუციას“<sup>1</sup>, ამბობდა ამხანაგ ნ. ს. ზურაბიანი.

სომეხი ხალხი არასოდეს არ ივიწყებს დიდი ღწინის ერთგულ მოწაფესა და თანამებრძოლს, მგზნებარე და ბრწყინვალე ბოლშევიკს. სომეხი ხალხის საყვარელ მეგობარს აპ. სირგო ორჯონიძეს და მდიდრეების გრძნობით და სიყვარულით პატივს სცემს მის ხსოვნას.

<sup>1</sup> „ქრსანი ეოანი“ № 89, 1921 წ. 26 აპრილი.

<sup>1</sup> გ. ზ. „კომუნისტ“, 1937 წ., 23 თებერვალი.

სიომე ყავახიშვილი

მეცნიერების დიდი ქუჩაში

(აკად. ი. ჯავახიშვილის გარდაცვალების 20 წლისთავის გამო)

მოდისარ სიბრძნით წელგამართული,  
ითელი წარსულმა ჩვენს ხალხს რა მისცა...  
სიღარბაისლე მოგაქვს ქართული,  
მოგაქვს მზნეობა ამირანისა.

ა. აბაშელი, ივ. ჯავახიშვილის

1940 წლის 18 ნოემბერს, საღამოს 9 ს. და 40 წუთზე ანაზღეულად გარდაიცვალა დიდბუნებოვანი ადამიანი, ქართული მეცნიერების ღვაწლმოსილი მოჭირნახულე, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი—აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი.

დიდი იყო ის ტკივილი, რომელიც მიაყენა ამ ფაქტმა ივ. ჯავახიშვილის ოჯახს, მის რიცხვმრავალ მოწაფეებსა და მთელს საზოგადოებას. მდუმარე გლოვით მიაცილებდნენ ისინი აკადემიკოსის ნეშტს მისი საუკუნო განსასვენებლისკენ, რომელიც მაღლიერმა ხალხმა მიუჩინა მას მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტის ეზოში.

დიდი იყო ეს ტკივილი, მაგრამ ფართო იყო ის გზა, რომელიც გაუკაფა ივ. ჯავახიშვილმა ქართულ მეცნიერებას, და მის მიერ აღზრდილებმა აღთქმა დადეს, რომ თავიანთ ძალღონეს შეაღწევენ იმ საქმეს, რომელიც ასე უყვარდა განსვენებულს — მეცნიერების აყვავებას და ქვეყნის სამსახურს. და მათ არ უღალატნიათ ამ აღთქმისათვის: მისი აღზრდილები თავდადებით განაგრძობენ მის გზას და დადეს ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების ოცი წლისთავს პირნათლად ხვდებიან ჩვენი ისტორიკოსები, არქეოლოგები, სამარ-

თლის მეცნიერები, ენათმეცნიერნი, ეთნოგრაფები და კიდევ სხვა დარგის წარმომადგენლები, რომელთაც ამ ოცი წლის განმავლობაში მაღლა ეჭირათ ქართული მეცნიერების დროშა, სახელოვნად აღმართული თავის დროზე ივ. ჯავახიშვილის მიერ.

• •

ივანე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის 11 აპრილს ქალ. თბილისში, სოფ. ხოვლის (ქართლში) მცხოვრების პედაგოგ ალექსანდრე ჯავახიშვილის ოჯახში.

საშუალო განათლება ივანე ჯავახიშვილმა მიიღო თბილისის შესამე და პირველ გიმნაზიებში. გიმნაზიაში ყოფნის დროსვე იჩენდა ის ქართული ენის და საქართველოს ისტორიის კარგ ცოდნას. საქართველოს წარსულის გაცნობის მიზნით ის ბევრს მოგზაურობდა ხოვლეს მიდამოებში და ეცნობოდა ისტორიულ ძეგლებს.

1895 წელს, ვინაზიის დამთავრების შემდეგ, ივ. ჯავახიშვილი შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე და ნ. მარის, ალ. ცვაგარლის, ვ. როზენის, პ. კოკოვცევისა და სხვათა ხელმძღვანელობით

შეუდგა მუშაობას ქართულ-სომხური ფილოლოგიის დარგში. სპეციალურ საგნად მან აირჩია საქართველოსა და სომხეთის ისტორია. თუ რა ინტენსიურად მუშაობდა იგი ამ ხნის განმავლობაში, ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტის დამთავრებისას თავისუფლად შეეძლო ბერძნულ-ლათინური, სომხური, სპარსული და სირიული წყაროების გამოყენება. მის მიერ წარდგენილი საკონკურსო შრომა — „წმინდანთა ცხოვრებანი გრიგოლ წერენცის სომხურ სალიტერატურო ძეგლებში“ — უნივერსიტეტის საბჭომ დააჯილდოვა ოქროს მედლით. ნ. მარის წარდგენით იგი დატოვებულ იქნა უნივერსიტეტთან საპროფესორო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად. ნ. მარი თავის მოხსენებაში ფაკულტეტის საბჭოსადმი წერდა:

„პატივი მაქვს მოგახსენოთ შემდეგი: მიმდინარე სასწავლო წელს სომხურ-ქართულ-სპარსული განყოფილების კურსი დაამთავრა ივანე ალექსანდრესე ჯავახიშვილმა, სერიოზულმა ასპირანტმა სამეცნიერო მოღვაწეობისათვის.“

რვა სემესტრის განმავლობაში ის იჩინდა შეუსუსტებელ სიბეჯითეს მისთვის უცხო სომხური ენის შესწავლაში და უაღრესი წარმატებაც მოიპოვა ამ საქმეში. ამავე დროს, მას არა ერთხელ ჰქონია შემთხვევა დამტკიცებინა ჩემთვის თავისი ცოდნა ქართველოლოგიის დარგში და გამოეჩინა მხურვალე მისწრაფება, რათა შეემუშავებინა მკაცრი მეცნიერული მიდგომა არმენისტიკისა და ქართველოლოგიის საკითხებისადმი. ივ. ჯავახიშვილის შრომა, რომელიც წარსულ წელს დაჯილდოებულ იქნა ოქროს მედლით, მკირე, მაგრამ ნკაფიო ნიმუშია მისი ნათელი კრიტიკული გონებისა და მისი უნარისა სამეცნიერო საკითხებში ერკვეოდეს გარეშე ნაციონალისტური აკვირებული აზრებისა. რუსულ ენას ფლობს ზედმიწევნით. ახალს ენებზე (ფრანგ. და

გერმან.) კითხულობს წიგნებს. ზადგან მან იგრძნო აუცილებლობა გერმანული ენის ცოდნისა, უკვე უნივერსიტეტში<sup>1</sup> მიჰყო ხელი მის შესწავლას, ხოლო შემდეგ, ამ ენაში გავარჯიშების მიზნით, ზაფხულის თვეები გაატარა გერმანიაში. მთელი ოთხი წლის განმავლობაში ის ისმენდა ლექციებს ფილოლოგიურ ფაკულტეტზედაც, კერძოდ, ხელოვნების ისტორიის ლექციებს, და ცდილობდა შეეესო თავისი ორიენტაციონალური და ზოგადი განათლება ლექციებზე დასახლებული წიგნების შემწეობით. არმენისტიკის ზოგიერთ საკითხებთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილმა ისწავლა პრივატ-დოცენტ კოვცეცეთან სირიული ენა: კოვცეცეს არა ერთხელ გამოუთქვამს თავისი დადებითი აზრი ივ. ჯავახიშვილის წარმატებებზე სირიულ ენაში. ზემოხსენებულის გამო და ჩემი სპეციალობის ინტერესების გულისათვის, მოვალედ ვთვლი ჩემს თავს, ვთხოვო ფაკულტეტს, საშუალება მისცეს ივ. ჯავახიშვილს დაწინაურდეს აღმოსავლეთ-მცოდნეობის მის მიერ არჩეულ დარგში და დასტოვოს იგი უნივერსიტეტში სტიპენდიით სომხურ-ქართული განყოფილების სომხური სიტყვიერების სპეციალობაზე<sup>2</sup>.

სპბ, 1899 წლის 20 მაისი  
პრივატ-დოცენტი ნ. მარი“

პრივატ-დოცენტ ნ. მარის ეს შუამდგომლობა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტმა შეიწყნარა და ივ. ჯავახიშვილი დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში სომხური სიტყვიერების დარგში, იმ დროს, როდესაც იგი აპირებდა სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მომ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილის დროს გიმნაზიებში მხოლოდ ერთ უცხო ენას ასწავლიდნენ (შემდეგ წლებში გიმნაზიაში ორივე ენა იყო სავალდებულო — ფრანგული და გერმანული); ივ. ჯავახიშვილი საშუალო სკოლაში ფრანგულ ენას სწავლობდა.

<sup>2</sup> უნივერსიტეტის ოქმის სახ. ისტ. არქივი. პეტერბურგის უნივერსიტ. ფონდი 14, საქმე 1089.



ზადებულიყო ძირითადად ქართველოლოგიის დარგში. რომ აქ რაღაც გაუგებრობას უნდა ჰქონდა ადგილი, ეს ჩანს იქიდანაც, რომ უნივერსიტეტში დასატოვებლად ივ. ჯავახიშვილი წარადგინა პრიატ-დოცენტმა ნ. მარმა და არა პროფესორმა ალ. ცაგარელმა, რომელსაც შეეხებოდა ამ დროს ქართული სიტყვიერების დარგის საქმეები. ჩვენს განკარგულებაში არავითარი დოკუმენტი არ არის, ჯერჯერობით, ამ გაუგებრობის ასახსნელად, მაგრამ ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმა შეიძლება იმ ზეპირი მასალის მიხედვით, რომელიც ჩვენთვის ცნობილია.

საყოველთაოდ ცნობილია ურთიერთობა ალ. ცაგარელსა და ნ. მარს შორის; სტუდენტობის დროიდანვე ვერ დაიშასხურა ნ. მარმა თავისი მასწავლებლის ალ. ცაგარლის სიმპათიები (ისევე როგორც პირუტყვ): ალ. ცაგარელს არ მოსწონდა სტუდენტ მარის დამოუკიდებელი მეცნიერული მსჯელობა, მისი ახალი, ქართველთა შორის დამკვიდრებული დებულებების საწინააღმდეგო აზრები, და აქი დაიწუნა კიდევ მარის სადიპლომო შრომა „11-12 საუკ. ქართული პროზული ნაწარმოების ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვა“ (1888 წ.), რომელშიც ნ. მარი ამტკიცებდა საშუალო საუკუნეების ქართული ლიტერატურის დამოკიდებულებას სპარსულისაგან, ქართული საერო მწერლობის ძეგლთა (ვისრამიანის, ამირან დარეჯანიანის, ვეფხისტყაოსნის) სპარსულ წარმოშობას. ეს ურთიერთობა დაგვირგვინდამით, რომ 1889 წელს, როდესაც ნ. მარმა დაამთავრა უნივერსიტეტი, იგი უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად დასტოვა არმენისტმა პროფ. პეტკანოვმა (და არა ქართული სიტყვიერების დარგის ხელმძღვანელმა პროფ. ალ. ცაგარელმა), რასაკვირველია, სომხური სიტყვიერების კათედრასთან.

ივ. ჯავახიშვილი შევიდა უნივერსიტეტში 1895 წელს, როდესაც ალ. ცა-

გარელს, რომელიც უკვე 1872 წლიდან ქართული სიტყვიერების კათედრას გაბაგებდა, შენელებული სიტყვიერების პედაგოგიური მუშაობა უნივერსიტეტში, განსაკუთრებით 1897 წლიდან, როდესაც მას უკვე დამსახურებულ პროფესორის წოდება ჰქონდა მოპოვებული და, მაშასადამე, ოფიციალურადაც უფლება ჰქონდა ლექციები არ წაეკითხა. ამიტომ, ივ. ჯავახიშვილი ნ. მართან მუშაობდა უკანასკნელმა დასტოვა იგი საპროფესოროდ მოსამზადებლად, რადგან ივ. ჯავახიშვილი ქართული სიტყვიერებისა და ისტორიის დარგში მუშაობას ამირებდა უმთავრესად, ნ. მარიც შემომოყვანილ წარდგენაში, ალბათ, წინდახედულად, სამომავლოდ. აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილის კარგ ცოდნას ქართველოლოგიის დარგში და, მართლაც, ივ. ჯავახიშვილმა ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები ქართველოლოგიის დარგში. პეტერბურგის უნივერსიტეტის არქივში დაცულია ამის დამამტკიცებელი შემდეგი მასალა:

„სხდომა 1901 წლის 27 იანვრისა.

მუხლი 2. ჩატარდა გამოცდა ჯავახიშვილისა ქართული სიტყვიერების მაგისტრის ხარისხზე. მიცემული იქნა შემდეგი კითხვები:

ქართულ ენაში:

- 1) წაკითხვა, გადათარგმნა და ვარჩევა ტექსტისა „ქართლის ცხოვრებიდან“.
- 2) წაკითხვა, გადათარგმნა და გრამატიკული ვარჩევა ტექსტისა ვახტანგის „დასტურლამიდან“.

ქართულ სიტყვიერებაში:

- 1) ვახტანგ VI „დასტურლამი“ როგორც სიტყვიერების ძეგლი.

საქართველოს ისტორიიდან:

- 1) როდის მოვიდნენ პირველად საქართველოში ოსმალის თურქები როგორც დამპყრობნი? როდის იიღეს ქუთაისი, თბილისი?
- 2) ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა. (ზელს აწერს) პროფესორი ალ. ცაგარელი“.

ამგეარად, სომხური სიტყვიერების დარგზე საპროფესოროდ დატოვებულმა ივ. ჯავახიშვილმა, 1901 წელს მოაპოვა „ქართული სიტყვიერების მაგისტრანტის ხარისხი“.

ამავე 1901 წელს, უნივერსიტეტი აგზავნის ივ. ჯავახიშვილს გერმანიაში



სამეცნიერო მუშაობის განსაგრძობად და იგი რამდენსამე ხანს მუშაობს ბერლინში პროფ. ა. პარნაიან. გერმანიაში ყოფნის დროს იგი ჯავახიშვილმა გაპოსცა გერმანულად „ესტატე მცხეთელის წამება“ და მონაწილეობა მიიღო „აბო თბილელის წამების“ გერმანული თარგმანის მომზადებაშიც.

გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ, 1902 წელს (აპრილიდან ნოემბრამდე) იგი ჯავახიშვილი, პროფ. ნ. მართან ერთად, მოგზაურობს სინას მთაზე იქაური ქართული ხელნაწერების შესასწავლად. გარდა ოფიციალური ანგარიშისა, ამ ექსპედიციის შესახებ არსებობს აგრეთვე ნ. მარის კერძო წერილები, რომლებიდანაც ჩანს, თუ როგორ ზრუნავდა ნ. მარი თავის მოწაფეზე; არა მარტო მის მეცნიერულ მუშაობას ადევნებდა თვალყურს, არამედ მის საყოფაცხოვრებო საჭიროებაზედაც ზრუნავდა. ამ წერილებიდან ნათლად ჩანს, თუ რა მალაღ შეფასებას აძლევდა ის იგი ჯავახიშვილის ნიჭსა და უნარს, მის სიბეჯითეს მუშაობაში. მას ისიც აწუხებდა, რომ ჯავახიშვილი მგზაურობაში სუსტი აღმოჩნდა, რომ ჯავახიშვილი სურსათ-სანოვაგის მხრივაც მგზაურობის დროს გასაჭირში ჩავარდა. 1902 წლის 9 აგვისტოს წერილში ალექსანდრიიდან იმსახე კი იწერება ნ. მარი, რომ „განსაკუთრებით გაუჭირდა ჯავახიშვილს... იძულებული ვიყავი მთელი ფული, რაც მქონდა, ჯავახიშვილისათვის მიმეცა, რომ ის მაინც გამემგზაურებინა შინ“<sup>1</sup>.

სამეცნიერო ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ იგი ჯავახიშვილმა მოიპოვა პრივატ-დოცენტის წოდება და ლექციების კითხვის ნებართვა.

1903 წლის იანვარი უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვან თარიღად იგი ჯავახიშვილის ცხოვრებაში. ამ დროიდან იწყებს იგი ლექციების კითხვას პეტერბურგის უნივერსიტეტში; ამ დროიდან ეძლევა საშუალება შეუდგეს იმ მიზნის განხორციელებას, რომელიც მას თავიდანვე ჰქონდა დასახული: 1) ერთი მხრით, შეექმნა ჰუმანიტ მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული „საქართველოს ისტორია“; 2) მეორე მხრით, ეზრუნა მომავალი სამეცნიერო კერის ქართული უმაღლესი სკოლის შექმნაზე.

პირველი ლექცია იგი ჯავახიშვილმა წაიკითხა 1902 წლის 18 ნოემბერს. იგი ჯავახიშვილის არქივში აღმოჩნდა მისი პირველი, შესავალი ლექციის დედანი რუსულ ენაზე, (ის ჩვენ გადმოგვცა იგი ჯავახიშვილის კაბინეტის გამგემ ნათელა ჯავახიშვილმა და ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება იგი ჯავახიშვი-

იგი ჯავახიშვილი, — დაუღალავი შრომის უნარი და აღფრთოვანებული მუშაობის სიღრმე, პროფ. ნ. მარმა ქართული და სომხური ფილოლოგიის დიდი ერთბაშად იმ სიმაღლეზე აიყვანა, რომელზედაც დასავლეთ ევროპის თანამედროვე ფილოლოგიაა“ (შესავალი, გვ. 10).

ხოლო მარის ენათმეცნიერული მუშაობის განხილვის შემდეგ, მისი დებულებების გაკრიტიკების შემდეგაც:

„ვიცე კი ავად, ნ. მარის ნაშრომების თუნდაც მარტო სიას გადაშინჯავს, შეუძლებელია მისი შემოქმედების ნაყოფიერებით მისდამი განცვიფრებისა და პატივისცემის გრძობა არ აღეძრას. ხოლო, ვისაც ეს ნაშრომები წაითხელს აქვს, მას ისიც ეტოლინება, რომ მის ენათმეცნიერულ ცოდნის მოყვარებობას საზღვარი არ უჩანს; მისი კვლევა-ძიების თემათა მრავალფეროვნება სწორედ რომ გასაკვირვებელია, იმ ნაშრომებშიც-კი, რომელთა ზოგად შინაარსსა და დასკვნას ადამიანი ვერასგნობ

<sup>1</sup> იგი ჯავახიშვილს არასდროს დაიფიქნია თავისი მსწავლებლის ნ. მარის ზრუნვა მის სამეცნიერო მუშაობაზე, ისედაც, იგი ჯავახიშვილი ნ. მარის, როგორც ხელმძღვანელის და როგორც მეცნიერის დიდ ნიჭს ყოველთვის თაყვანსა სცემდა. ამის დამაბტკიცებელი საბუთი მრავალი მოიპოვება იგი ჯავახიშვილის ნაწერებში. ასე, მაგალითად, 1939 წელს გამოცემულ „შესავალ ტომში“ იგი ჯავახიშვილმა 34 გვერდი უძღვნა ნ. მარის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასებას და განხილვას.

თავის საშავალითო ენერჯით, — წერს

ლის შრომათა პირველი ტომის დამატებად). ამ შესავალ ლექციაში, რომლის თემა არის „აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია და საქართველოსა და სომხეთის ისტორიის მონაცემები“, ივ. ჯავახიშვილი ახლებურად სვამს საკითხს აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის მეცნიერული საფუძვლებისა და ამოცანების შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთის ისტორიკოსებმა ჯერჯერობით ვერ შექმნეს განსაკუთრებული ახალი მიმართულება, ვერ შესცვალეს არსებითად ის თანამედროვე შეხედულება, რომელსაც ჩვენ დასავლეთის ისტორიის მკვლევარები გვათავაზობენ ხოლმე.

„რაკი ინდოევროპული მოდგმის მეტი ნაწილი — ამბობს ივ. ჯავახიშვილი — ბინადრობს უმთავრესად, ევროპაში, ხოლო კაცობრიობის დანარჩენი ჯგუფები მოსახლეობენ აღმოსავლეთში, ამიტომ ამის ძალით აღმოსავლეთის ყველა კულტურის საერთო ნიშნებად ითვლება მეტად თუ ნაკლებად ერთ წერტილზე გაყინვა, კარჩავეტილობა,

ვერ ეთანხმება, არა ერთი გონება-მახვილი შედარება ვაფანტული და არა ერთი საინტერესო პარალელია წამოყენებული, რომელთა სისწორის დამტკიცება სულ სხვა გზითა და სხვა საბუთიანობით შეიძლება. გონებამახვილობა და ენამახვილობა დაუშრეტელი წყაროს მსგავსად სჩქედს უფად მის ნაწერში და ამტომაც არის, რომ ის „განწირული სულისკეთება“, რომლითაც გამსჭვალულია პროფ. და ვაჟ. ნ. მარის უამრავი ნაწერები, უამველია ცუდად ზრ ჩაივლის და მომავალი მკვლევარი იმ ნაწილში, სადაც ძირითად დებულება დამაჯერებელი არ არის, არა ერთს „პატიოსან თვალს“ აღმოაჩენს.

ავად. ნ. მარის უმთავრეს ღვაწლს ქართული და სომხური ფილოლოგიის შექმნა შეადგენს ისევე, როგორც იგივეა ქართული და ქართველური ენათმეცნიერების დეტცრომელი. გატაცებული კლავა-ძიების ნამდვილი სულის ჩამდგმელიც. ვინც გაითვალისწინებს, რასაც ეს ორი დარგი ნ. მარამდე წარმოადგენდა, მისთვის ცხადი შეიქმნება, რომ ქართველთა და სომეხთა მცოდნეობის ისტორიაში ნ. მარის სახელი სამარადისოდ აღიბეჭდება...“ (შესავალი, გვ. 76—77).

წოდებათა და კლასების უქონლობა, წოდებრივისა და კლასობრივი პრძელების არქონება, ერთი სიტყვით, სულელიერი და სოციალური უძრაობა. ამ აზრს ზოგიერთი ამჟარად გამოთქვამს და წერს, სხვანი კი ამას მარტო ჰეულისხმობენ, ოღონდ მათ თხრობაში იგი ცხადად გამოსჰვივის“.

ივ. ჯავახიშვილი შეცდომად თვლის ასეთი ჰიპოთეზების წამოყენებას აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის შესახებ. მისი აზრით, „მსგავს დახასიათებათა ავტორები თითქმის ყოველთვის არიან არაორიენტალისტი ისტორიკოსები. სპეციალისტთა ორიოდ-სამიოდენ მშენიერი გამოკვლევა, რომლებიც შეეხება აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხებს და სხვადასხვა ხანისას, საქმორაოდნობით შეიცავს ისეთ მონაცემებს, რომელნიც ზემოხსენებულ ჰიპოთეზებს ნიადაგს საგრძნობლად ურყევენ. ამიტომ არავითარი საფუძველი არ მოიპოვება იმის ვარაუდისათვის, რომ აღმოსავლეთის შემდგომი შესწავლა მსგავს ცაქტებს არ გაზრდის და არ გაამრავლებს. ამრიგად, ორიენტალისტ ისტორიკოსს არ შეუძლია იხელმძღვანელოს, არ ძალუძს გაიზიაროს დიდ, არსებით შესწორება-დამატებათა გარეშე ის დებულებანი, რომელნიც წამოყენებული აქვს ისტორიის ფილოსოფიას“.

ამ აზრის სისწორის საილუსტრაციოდ ივ. ჯავახიშვილი ეხება საქართველოსა და სომხეთის ისტორიის მონაცემებს და ამბობს: „კიდევაც რომ დავეჯერდეთ ჩვენი სპეციალობის ფარგლებს, შეიძლებოდა, დეტალებსა და გამოწვლილვას რომ არ გამოგვიცდოთ, საქართველოსა და სომხეთის ისტორიის მონაცემთა მიხედვითაც გვეჩვენებია თუ რელი სიმდარე არა, ყოველ შემთხვევაში გაზვიადება მაინც იმ დახასიათებისა, რომელიც ეძლევა აღმოსავლეთის ხალხთა კულტურას, არაინდოევროპულ მოდგმათა წარმომადგენლების თავისებურებას“.

1902 წლის ნოემბრიდან, ვიდრე 1917 წლამდე, ივ. ჯავახიშვილი კითხულობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში ლექციებს ქართველი ერის ისტორიის სხვადასხვა დარგიდან, ქართულად და რუსულად. ყოველი მისი ლექცია წარმოადგენდა ახალ გამოკვლევას საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხზე. და ბუნებრივია, რომ ამ ლექციების შედეგად გამოქვეყნებული ნაშრომები წარმოადგენდნენ სრულიად ახალ სიტყვას ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ამ ლექციების შედეგად, იმავე წლებში, გამოქვეყნა ივ. ჯავახიშვილმა ქართველი ერის ისტორიის ორი წიგნი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ქართული სამართლის ისტორია, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. ამავე წლებში დაბეჭდა მან რამდენიმე მონოგრაფია მეცნიერულ ჟურნალებში.

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ქართული მეცნიერების განვითარებას მარტო პეტერბურგის უნივერსიტეტში ლექციების კითხვა კი არ ესაჭიროებოდა, არამედ საქართველოს ისტორიის საკითხები უნდა ყოფილიყო გამოტანილი ფართო საზოგადოებრივ წრეებში და ამ გზით შემოწმებულიყო კამპინეტში მიღებული დასკვნები. სწორედ ამ მიზნით იყო, რომ ივ. ჯავახიშვილი თბილისში, პეტერბურგიდან არდადეგების დროს ჩამოსვლის შემდეგ, კითხულობდა საჯარო ლექციებს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხზე.

1907—1914 წლების ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აუარებელი მასალა მოიპოვება ივ. ჯავახიშვილის მიერ თბილისში წაკითხულ საჯარო მოხსენებათა შესაბამე და ჩვენ იქიდან ვტყობილობთ თუ როგორ ითვისებდა ხალხი ივ. ჯავახიშვილის მოხსენებათა წყალობით ქართული საისტორიო მეცნიერების მიღწევებს. ამ თავის საჯარო

ლექციებით ივ. ჯავახიშვილი ორჯერ მიზანს ისახავდა: ერთი მიზანი გულისხმობდა ქართველ საზოგადოებრივ წრეებში საისტორიო მეცნიერების მიღწევების შემოწმებას; მეორე მიზანი კი უფროდ ის იყო, რომ ამ გზით უნდა მომზადებულიყო ნიადაგი მომავალი ქართული უნივერსიტეტისათვის. სრულიად სამართლიანად ითქვა ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ სამეცნიერო სესიანზე: „ქართული მეცნიერება რუსულ უნივერსიტეტში ვერ აყვავდებოდა და ვინც ქართული მეცნიერების სამსახურს აპირებდა და ამ საქმის მომავალი სწამდა, მას უნდა ქართული უნივერსიტეტის შექმნის ფიქრი ჰქონოდა. ეს იმ დროს უნიადაგო ოცნება სრულიადაც არ იყო: ვისაც ქართველი ერის მომავალი სწამდა, ვისაც რუსეთის რევოლუციური აზვირთება სჩხარულს გვირდა და აიძულებდა, მას ისიც სწამდა, რომ რეაქცია განწირულია, რომ მომავალი რევოლუციისა და თავისუფლებისაა. ამიტომაც ქართული უნივერსიტეტის აადარივი რეალური, მეცნიერულ-რევოლუციური მოღვაწეობა იყო“ (ენიშკის მოამბე, ტ. 13, გვ. 266).

არა მარტო თბილისში, არამედ თვით პეტერბურგშიც, როგორც კი მოხვედებოდა ის საქართველოდან ჩასულ ქართველთა წრეში, ივ. ჯავახიშვილის საუბრის თემა იყო ქართული მეცნიერების მიღწევები და მომავალი ქართული უნივერსიტეტი. ამ მხრივ საგულისხმოა დ. კლდიაშვილის მიერ მის მოგონებებში გადმოცემული ცნობა. 1902 წელს დ. კლდიაშვილი პეტროგრადში მოხვდა როტშილდის ქარხნის (მათუმში) მუშების გამოსვლის გამო დანიშნული გამოძიების საქმეზე, როგორც მოწმე. აქ იგი შეხვედრია მრავალ ქართველს, მათ შორის ვაჟუცენია ივანე ჯავახიშვილიც. „ერთ საღამოს ნიკო თავდგირიძემ მითხრა პრიატ-ლოცენტი ივანე ჯავახიშვილი ავად არისო და წავიდეთ, ვნახოთო. მე არ ვიცნობდი

პირადად ჯავახიშვილს, მაგრამ დაეუ-  
ჯერე ნიკოს, რომ იმას ეამება ჩვენი  
ნახვო და წავედით მასთან. იგი მართ-  
ლა ავადმყოფი დაგვიხვდა, მაგრამ ზეზე  
იყო. პატარა ოთახი, რომელშიც იგი  
ცხოვრობდა, სასიამოვნო შთაბეჭდილე-  
ბას ახდენდა. სასიამოვნო იყო ჩვენი  
მასპინძლის ტბილი ლაპარაკი, მალე  
მან მიივიწყა თავისი ავადმყოფობა და  
გაგვაცნო თავისი უკანასკნელი ნაშრო-  
მი გიორგი მთაწმინდელის შესახებ.  
მოხიბლულნი ახალგაზრდა მეცნიერით,  
კარგა ხანს დავრჩით ჯავახიშვილთან.  
შემდეგმა ხშირად ვხვდებოდით მას  
რევიშვილთან (ეს იყო ახალგაზრდა  
ქართველი ტექნიკოსი გრიგოლ რევი-  
შვილი, ს. ყ.) და კვირა დღეებში გამო-  
ვიდოდით ზოლმე ნევის პროსპექტზედ,  
სადაც ვსიამოვნობდით, მის ლაპარაკს  
რომ ყურს ეუფდებდით. თავისებური  
ტბილი ენით, იგი ამ დროს ყველგადა  
სინას მთაზედ მოგზაურობის ამბავს,  
იმ მდიდარ ქართულ მონუსკრაიტებ-  
ზედ, იქ რომ აღმოჩნდა; ამ დროს გა-  
ვიგონე და გაფაციცებით ყურს ეუფ-  
დებდი გიორგი მერჩულის, „გრიგოლ  
ხანძთელის ცხოვრების“ აღწერიდან  
სხვადასხვა ადგილების ვადმოცემას.  
ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყებდა ეს  
ტბილი წამები. ღრმა სიყვარულით  
განსჭვალეს ჩემი გული ივანესადმი;  
უნებლიედ ვიზიდავდა მისი სინახე,  
მისი გულწრფელი სიტყვა, აზრი —  
ალბათ ამ თვისების გამო შემდეგში  
შეძლო უდიდესი საქმის მოგვარება —  
ქართული \* უნივერსიტეტის დაარსება,  
მშენებით მისი გაძლიერება — რამაც სა-  
ქართველო დაამშვენა და თვით ივანე  
ჯავახიშვილი საერთო სიყვარულით  
შემოსა“ (დავით კლდიაშვილი, ჩემი  
ცხოვრების გზაზე, 1947 წლის გამო-  
ცემა, „მოთხრობები და პიესები“,  
გვ. 794 — 795).

ჩამოაყალიბა პეტერბურგში ქართული  
უნივერსიტეტის დაარსების ინციტორ-  
თა ჯგუფი, მხოლოდ თბილისში დაბ-  
რუნების შემდეგ დააარსა „ქართული  
უნივერსიტეტის საზოგადოება“, რომ-  
ლის დამფუძნებელ კრებაზე, 1917  
წლის 12 მაისს, წაიკითხა ვრცელი მოხ-  
სენება უნივერსიტეტის დაარსების აუ-  
ცილებლობის შესახებ. გადაწყდა უნი-  
ვერსიტეტის დაარსება თბილისში, რის  
შესახებაც აღიძრა შუამდგომლობა კე-  
რენსკის მთავრობის წინაშე. მაგრამ ეს  
შუამდგომლობა კულმოკვეცილად იქნა  
დაკმაყოფილებული.

კერენსკის მთავრობის დადგენილე-  
ბით: 1. თბილისის უნივერსიტეტს არ  
უნდა ჰქონოდა სამეცნიერო ხარისხე-  
ბის მინიჭების უფლება და 2. სტუდენ-  
ტებს არ ეძლეოდათ შეღავათი, რომ  
სამხედრო ბეგარა სწავლის დამთარგ-  
ბის შემდეგ მოეხალათ. ოქტომბრის  
რევოლუციამ განათავისუფლა „ქართუ-  
ლი უნივერსიტეტის საზოგადოება“ ამ  
შეზღუდვისაგან.

1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა თბი-  
ლისის ქართული უნივერსიტეტი, რომ-  
ლის საფუძველზე შემდგომ წლებში  
დაარსდა ოცამდე უმაღლესი სასწავ-  
ლებელი და შეიქმნა მეცნიერების უმა-  
ღლესი კერა — მეცნიერებათა აკადე-  
მია.

ამ საორგანიზაციო მუშაობას ოდნე-  
ვადაც არ შეუწყობდა ივ. ჯავახიშვი-  
ლის სამეცნიერო მუშაობა. პირიქით,  
ივ. ჯავახიშვილი, საქართველოში სა-  
მეცნიერო და სასწავლო კერების დაარ-  
სებით აღფრთოვანებული, გაათკეცე-  
ბული ენერგიით განაგრძობდა ისტო-  
რიული ძეგლების შესწავლას. ივ. ჯა-  
ვახიშვილმა დავეიტოვა მდიდარი მეც-  
ნიერული მემკვიდრეობა. დღემდე და-  
ბეჭდილია ივ. ჯავახიშვილის 97 ხაზ-  
რომი, რომელთაგან 36 წიგნად არის  
გამოცემული.

დიდი მეცნიერის მოღვაწეობა შესა-  
ფერისად იქნა დაფასებული. საბჭოთა  
კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ

1917 წლის თებერვლის რევოლუციის  
პირველ ხანებშივე ივ. ჯავახიშვილმა

ივ. ჯავახიშვილი 1939 წელს აირჩია თავის ნამდვილ წევრად. საბჭოთა მთავრობამ ფასდაუდებელი მეცნიერული მუშაობისათვის, 1938 წელს დააჯილდოვა იგი შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო საქართველოს მშრომელებმა 1939 წელს ერთსულოვნად აირჩიეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, უმაღლესმა საბჭომ კი აირჩია იგი თავის პრეზიდიუმის წევრად.

ასეთი გზა განვლო ივ. ჯავახიშვილმა იმ ორმოცი წლის მანძილზე, რომლებიც მან მთლიანად მოახმარა ქართული მეცნიერების აღორძინებას და ჭეყენის სამსახურს.

როგორც ისტორიკოსმა, მან ახალი ეტაპი შექმნა ქართულ ისტორიოგრაფიაში: ისტორიული პროცესების უკეთ შეცნობისათვის მან თავისი კვლევების ქვაკუთხედად დასაბა საისტორიო წყაროების ძიება და გამოძიება, მათი პირუთენელი შეფასება და უღმობელი კრიტიკა; წყაროების შეფასების გაადვილების საშუალებად აღიარა ისტორიის დამხმარე დისციპლინების ფუნქცია დაყენება. საბუთთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, დამწერლობათა მკოდნეობა ანუ პოლეოგრაფია, საფას-სახომთამცოდნეობა ანუ მეტროლოგიანუმიზმატიკა, — ამათი შესწავლა მან დაავიკრავინა ფუნქციონირებელი ნაშრომების გამოქვეყნებით, ხოლო საისტორიო ძეგლთა გამოცემებში მოგვცა ბრწყინვალე ნიმუშები ტექსტის კრიტიკისა და ინტერპრეტაციისა. წინათ დამხმარე დისციპლინად აღიარებული არქეოლოგია მან გვერდით ამოუყენა ისტორიას, როგორც თვითთავადი მეცნიერება და თვითონვე ჩაუდგა საფუძველი მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიურ გათხრებს, და აქი ბედნიერმა შემთხვევამაც მას

არგუნა წილად არმაზის პიტრიაშვილის ძეგლთა აღმოჩენა.

მაგრამ განა მარტო ქართულ საისტორიო მეცნიერებაში შექმნა მან ახალი ეტაპი. მისგან ძალიან არის დავალებული ქართული სამართლის მეცნიერება, ეკონომიური ისტორია, ქართული ლიტერატურის ისტორია, ენათმეცნიერება, ქართული მუსიკის ისტორია... ჩვენი იურისტები, ეკონომისტები, სოფლის მეურნეობის ისტორიკოსები თავიანთ მუშაობაში დღესაც ივ. ჯავახიშვილის მიერ გაკვლეულ გზას მიჰყვებიან.

განუზომელია ივ. ჯავახიშვილის დედაწლი ქართული უმაღლესი განათლების საქმის აღორძინებაში. დიდი ტრადიციები ჰქონდა ქართულ უმაღლეს განათლებას: კოლხეთის რიტორიკული სკოლა IV საუკუნეში, პეტრიწონის სემინარია XI საუკუნეში, იყალთოს და გელათის აკადემიები XII საუკუნეში (და ბევრი სხვა). რომლებიც ჯერ გამოკვლეული არა გვაქვს) — ეს ის კერებიცა, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს ისეთი ეპოქის წარმოქმნა, როგორიც იყო დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ხანა თავისი ჭკართო დიპლომატიისა და გრცელი რეზონანსის მქონე კულტურით. ივანე ჯავახიშვილის დაუცხრობელი შრომისა და დაუშრეტელი ენერჯის წყალობით შეიქმნა თბილისის უნივერსიტეტი, რომელსაც იმდენად მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა ივ. ჯავახიშვილმა თავისი წინასწარი მუშაობით 1900—1917 წლებში, რომ მან გაუძღო ახალი სართულების დაშენებას და ოცამდე უმაღლესი სკოლის გამოყოფის შემდეგ, ქართული მეცნიერების იმ პირველ შენობას მეცნიერებათა აკადემია დაედგა.

არასოდეს დაივიწყებს მადლიერი ქართველი ერი ივანე ჯავახიშვილის ამავს.



პროფ. კ. ბაქრაძე

## მეხსიერების დღე

1. ფილოსოფიის ძირითადი საკითხი, როგორც ცნობილია, არის „საკითხი აზროვნების დამოკიდებულებისა ყოფიერებისადმი, სულისა ბუნებისადმი“ (ენგელსი), ამ საკითხს ორი მხარე აქვს:

1. საკითხი ეხება ჯერ-ერთი მთელ სამყაროს: უნდა გადაწყდეს პრობლემა, რა რას უსწრებს წინ, რა რას განსაზღვრავს, აზროვნება ყოფიერებას, თუ ყოფიერება აზროვნებას. ეს პრობლემა ონტოლოგიური (ბერძენული ფილოსოფიაში მას ხშირად მეტაფიზიკურ პრობლემას უწოდებენ<sup>1</sup>). მისი გადაწყვეტა ან მატერიალისტურია—ყოფიერება განსაზღვრავს აზროვნებას, ცნობიერებას, ან იდეალისტურია — აზროვნება, სული წინ უსწრებს ყოფიერებას, განსაზღვრავს მას. ბუნება, ყოფიერება, მოკლედ, სინამდვილე აზრის, სულის, იდეის გამოვლენა — ასეთია იდეალიზმის პრინციპი.

2. საკითხის მეორე მხარე ეხება არა მთელი სინამდვილის არსებას, არა იმას, არის სამყაროს არსება მატერიალური თუ სულიერი, არამედ სამყაროს შექმნების საკითხს. ამ შემთხვევაში პრობლემა გნოსეოლოგიური ხასიათისაა: შეუძლია თუ არა ადამიანის აზროვნებას შეიცნოს ნამდვილი სამყარო, შეგვიძლია თუ არა ჩვენ ჩვენი წარმოდგენებით და ცნებებით სამყაროს შესახებ სწორად ავსახოთ ეს სამყარო (ენგელსი).

XIX ს. დამლევს და XX ს. დასაწყისში ბერძენული ფილოსოფიის უმთავრესად ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მეორე მხარე აინტერესებდა: ფილოსოფია დაეჯინა იყო გნოსეოლოგიური, მატერიალისტური და იდეალიზმი მეტაფიზიკად, ე. ი. მცდარ, არამეცნიერულ მიმართულებად იყო გამოცხადებული. ემპირიოკრიტიციზმი და მახიზმი, იმპერატორი სკოლა, ნეოკანტონური მიმართულებანი და სხვ. ბრძენი მეტაფიზიკის წინააღმდეგ, ცდილობენ გადალახონ მატერიალიზმისა და იდეალიზმის წინააღმდეგობა და დადგენენ ამ

<sup>1</sup> ტერმინი მეტაფიზიკა ორი მნიშვნელობით იხმარება: მეტაფიზიკა—დიალექტიკის საწინააღმდეგოდ — არის მოძღვრება, რომელიც უარყოფს სამყაროს განუყოფლობას პრინციპს. ამ მნიშვნელობით იხმარება ეს ტერმინი მარქსისტულ-ლენინისტურ ფილოსოფიაში. მეტაფიზიკა მეორე მნიშვნელობით არის ფილოსოფიის ძირითადი ნაწილი, რომელიც არაკვევს სამყაროს არსებას, მის მოძღვრებას, ან იდეალიზმს, ამ არსით იხმარება მეტაფიზიკა ბერძენულ ფილოსოფიაში.

მიმართულებათა მხლდა, მაგრამ საბოლოო ანგარიშში — გნოსეოლოგიური პრობლემებით შემოსაზღვრულნი — ან სუბიექტურ იდეალისტურს ან ეკლექტიკურ პოზიციას იცავენ.

უკანასკნელ პერიოდში ბერძენული ფილოსოფიის მრავალი წარმომადგენლისათვის ნათელი გახდა, რომ შექმნების პრობლემა (გნოსეოლოგიის პრობლემა) ორგანულად დაკავშირებულია ონტოლოგიურ (მეტაფიზიკურ) პრობლემასთან, — ჩვენი ტერმინებით: ფილოსოფიის ძირითადი საკითხის ორი მხარე ორგანულად დაკავშირებულია ერთმანეთთან, — რომ შექმნების პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია სინამდვილის არსების პრობლემის გადაწყვეტის გარეშე.

თანამედროვე ბერძენულ ფილოსოფიაში არსებობს მრავალი მიმართულება, მრავალი სხვადასხვაობა. ეს მიმართულებანი ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისს ანეითარებენ; მათი წარმომადგენელი ერთმანეთს ეკამათებინ და ეს კამათი ხშირად საკმაოდ მკაცრ ფორმებს იღებს.

საქმე ის არის, რომ განსხვავებული და ხშირად საწინააღმდეგო ფილოსოფიური მიმართულებანი განსაზღვრული არიან კაპიტალისტური საზოგადოების კლასებისა და ამ კლასების შიგნით განსხვავებული ფენების არსებობით.

წმინდა ფილოსოფიური თვალსაზრისით, რომელიც, რასაკვირველია, საბოლოო ანგარიშში განსაზღვრულია გარკვეული კლასისა და ხშირად კლასის შიგნით არსებული ფენების სოციალურ-ეკონომიური პირობებით — დღეს არსებული ბერძენული ფილოსოფიური მიმართულებანი ორ დიდ ჯგუფად იყოფა: ერთი ჯგუფი ცდილობს ფილოსოფიის ყველა პრობლემა დაიჯინოს შექმნების თეორიაზე; საკითხი სამყაროს არსების შესახებ, მეტიც, თითო ობიექტური, ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი სამყაროს არსებობის საკითხი გამოცხადებულია მეტაფიზიკურ, მცდარად დასმულ საკითხად, ამ ხაზს ანეითარებს, მაგალითად, ნეოპოზიტივიზმი, პრაგმატიზმი და სხვ. მეორე ჯგუფისათვის მთავარ პრობლემას წარმოადგენს არა შექმნების საკითხი, არამედ თვითონ სინამდვილე, სამყარო, არსებული. ამ მხით ყველაზე გაფრთხილებულია ნეოთომიზმი, ფენომენოლოგიის კუსერლიანული სკოლა და ექსისტენციალიზმი.

არის გარკვეული გარკვეული ნიშანიც, რომელიც ეს მიმართულებები განსხვავებულად ერთმანეთისაგან პრაგმატიზმიც და ნეოპოზიტივიზმიც საკმაოდ ვარკვევლად ფილოსოფიური

მიმართულებებია, მაგრამ მათი გავრცელების არც მარცხ შემოფარგვლით: ამ მიმართულებებს იზიარებენ ფილოსოფოსები „პროფესიონალები“ და სპეციალური მეცნიერების წარმომადგენელნი. ასე, მაგალითად, ფიზიკოსებისა და მათემატიკოსების გარკვეული ნაწილი ბურჟუაზიულ ქვეყნებში ნეოპოზიტივიზმის სხვადასხვა სახეობის მიმდევრები არიან. რაც შეეხება ნეოთომიზმსა და ექსისტენციალიზმს, ამ მიმართულებათა გავრცელების სფერო სცილდება „აკადემიურ“ წრეებს: ნეოთომიზმი რომის კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური ფილოსოფიაა, ხოლო ექსისტენციალიზმი გავიდა ფილოსოფიის ფარგლებიდან და მხატვრულ ლიტერატურაში, ფაქტურაში, საერთოდ ხელოვნებაში მოიკიდა ფეხი.

ჩვენი მიმოხილვის მიზანია ექსისტენციალიზმის როგორც ფილოსოფიური მიმართულების პრინციპების გაშუქება და კრიტიკა<sup>1</sup>.

უკვე 30 წელზე მეტია, რაც ექსისტენციალიზმი წარმოიშვა და დაიწყო გავრცელება. დასაწყისში ის იყო ცალკეული ფილოსოფოსების თვალსაზრისი. ის თანდათანობით იწყებს გავრცელებას, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უკიდურეს მსვლესად გავრცელდა კაპიტალისტურ ქვეყნებში, პირველ რიგში დასავლეთ გერმანიაში — ექსისტენციალიზმის საშობლოში — და საფრანგეთში, ერთ-ერთი ფილოსოფიის ისტორიკოსი (მაიერ), რომელიც, მართალია, არ ეთანხმება ექსისტენციალიზმის პრინციპებს, მაგრამ მას სერიოზულსა და წამყვან მიმართულებად თვლის თანამედროვე ფილოსოფიაში, წერს, რომ „ექსისტენციალიზმი ნამდვილად ძალიან სერიოზულ პრობლემებს ეხება“<sup>2</sup>. მაგრამ ამჟამად დროს აღნიშნავს, რომ ეს მიმართულება იმდენად გავრცელდა, ისე ზნაშაილა ყვერის თავის თავზე, რომ იჭვი იხადება, არის თუ არა ის ნამდვილი, სერიოზული ფილოსოფია; ჩნდება შიში იმისა, რომ ნამდვილი, სერიოზული ფილოსოფია შესაძლოა სირცხვილსაგან გაწითლდეს ამგვარი მიმართულების გავრცელების გამო. ექსისტენციალიზმი მოადგა გადამკეცა. გაზრთები მის ხორბლს ასაჰმენ, მეცნიერული ჟურნალები მის შესახებ წერალებსა და გამოცემავეებს აქვეყნებენ. ექსისტენციალიზმის წარმომადგენელნი თავის აზრების პროპაგანდას იწყვიან რომანებში, დრამებში, არსებობს არა მხოლოდ ექსისტენციალური ფილოსოფია, არსებობს ექსისტენციალური თეოლოგია, მხატვრულ ლიტერატურა, არსებობს ექსისტენციალური ლანდშაფტიც.

ფილოსოფიის დასახელებული ისტორიკოსი წერს: საქმე იქამდე მივიდა, რომ მწერალი, თუ მას სურს თანამედროვე მწერლის სახელი მოიხვეჭოს, ექსისტენციალიზმს უნდა ვაპყვეს.

ექსისტენციალიზმის ასეთი გავრცელება, მისი ასეთი პოპულარობა ბურჟუაზიულ ქვეყნებში თითქმის გაუგებარია უნდა იყოს. საქმე ასაზრის, რომ ექსისტენციალისტების შრომებში „საბუნებრივ პოპულარული ენით არ არის დაწერილი, არამედ კარგად გაწვრთნილ ბურჟუაზიულ ფილოსოფიის წარმომადგენლებისათვისაც გაუგებარია. საკმარისია იმ ვარაუდების აღნიშვნა, რომ არსებობს ექსისტენციალისტური ფილოსოფიის სკოლა, რომლის წარმომადგენლებს ხშირად ერთმანეთის არ ესმით; ისინი ერთმანეთის პრინციპულად საწინააღმდეგო დებულებებს იზიარებენ. ზოგიერთი მათგანი ექსისტენციალიზმის პრინციპებიდან ათეისტამდე მიდის, ზოგიერთი კათოლიკური რელიგიის დებულებებამდე, ხოლო ზოგიერთი ფაქტობს, რომ ექსისტენციალიზმის პრინციპები არ გვაძლევს საფუძველს იმისათვის, რომ საკითხი გადაწყვიტოთ რელიგიისა თუ ათეიზმის სასარგებლოდ. ზოგიერთი მათგანი ფაისტი, პატერის მომხრე იყო, ზოგიერთი აქტიურად იბრძოდა ფაისტიზმის წინააღმდეგ.

არცერთი ძირითადი ფილოსოფიური ცნება, შემუშავებული ფილოსოფიის ისტორიის განვიითარების პროცესში, ექსისტენციალისტებისათვის არ არის სავალდებულო: ისინი ქმნიან ახალ ტერმინებს ანდა ფილოსოფიაში დამკვიდრებულ ტერმინებში განსხვავებულს, ხშირად ბუნდოვანსა და გაუგებარს შინაარსს გულისხმობენ. ამერიკელი პროგრესული ფილოსოფოსი და შესანიშნავი პუბლიცისტი დან ე. მ. თავის წერილში ექსისტენციალიზმის შესახებ აღნიშნავს, რომ „ექსისტენციალიზმი როგორც მოვლენა ინტერესს წარმოადგენს მედიცინის თვალსაზრისით უფრო მეტად, ვიდრე ფილოსოფიური თვალსაზრისით. მე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი ამოცანა მდგომარეობს ამ დავალების ნიშნების აღწერაში, დეამტიკო, რომ იგი (ექსისტენციალიზმი, კ. ბ.) არის დაავადება და ზელი შეეუშალო მის გავრცელებას“.

მეთხველისათვის გასაგები უნდა იყოს ამის შემდეგ, თუ რა ძველ მდგომარეობაში აღმოაჩინი, რომელიც აძირებს ექსისტენციალიზმის შესახებ წერას: ეს მიმართულება თითქმის არავის არ ესმის, ექსისტენციალისტებს ერთი მეორის არ ესმით, წერენ უცნაური ენით, იგი ფილოსოფია კი არ არის, არამედ დაავადება. და ამჟამად დროს გუგუდებარ, უცნაური ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ასეთი პოპულარობით სარგებლობს კაპიტალისტურ ქვეყნებში. დაავადება ის, თუ ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, გაუგებარია თუ გასაგები — ერთი რამ ცხადია: ექსისტენციალიზმი გარკვეული კლასის სულთერ განწყობილებას გამოხატავს და ამიტომ ის თავისი ზოგადი ტენდენციებით ამ კლასისათვის გასაგები გახდა და გავრცელდა. მართალია, ათეიზმის განსხვავება ექსისტენციალისტური ფილოსოფიის წარმომადგენლებს შორის, მაგრამ

<sup>1</sup> მისი გამოვლენა მხატვრულ ლიტერატურაში ჩვენი შემდეგი წერილის საგანი იქნება.

არის საერთოც, სწორედ ის, რაც მათ ერთ სკოლადა აერთიანებს.

✦ (3) ექსისტენციალიზმის მთავარი წარმომადგენლები არიან შ. ჰაიდეგერი (დაიბადა 1889 წ.)<sup>1</sup>, ე. იასპერსი (დაიბადა 1883 წ.), ე. ჰ. სარტრი (დაიბადა 1905 წ.), გ. მარსელი (დაიბადა 1889 წ.). მხატვრულ ლიტერატურაში — რომანებში, დრამებში — ექსისტენციალური ფილოსოფიის პრინციპებს ატარებენ ე. ჰ. სარტრი, ა. კამიუ, სიმონა დე ბოვუარ, ფ. ჟაჟა და სხვ.

ექსისტენციალიზმი ირაციონალისტური ბუროკრატული რაციონალური შეშვეცნებას, მეცნიერულ ცოდნას ექსისტენციალიზმის მიხედვით თითქმის არავითარი ღირებულება, არავითარი მნიშვნელობა ანა აქვს. „მეცნიერების ასტრონომია არასოდეს არ ყფილა და არც არის აუცილებელი“ — ამტკიცებდა ჰაიდეგერი თავის სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა მისი რექტორად დანიშნებასთან დაკავშირებით (ე. წ. Rektoratsrede 1933 წ.). მეცნიერულ ცოდნას საქმე აქვს კერძო საგნებთან და არა თვით ყოფიერებასთან (Sein) და ამიტომ ის არ გვაძლევს ცხოვრებისათვის არავითარ მიზნებს, წერდა იასპერსი.

ფილოსოფიაში საერთოდ და კერძოდ შეშვეცნების თეორიაში დადგენილი განსხვავება სემბიოტისა და ობიექტის შორის, რომელთა ვარკვეული კავშირში განხორციელება შეიმეცნება, მოხსნილია ექსისტენციალიზმის მიერ. ნამდვილი ცოდნა მიიღწევა რეალობის პირადი — უფრო სწორედ — პიროვნული გამოცდილებიდან, ე. ი. თავის თავის „მიგნებიდან“, აღმავანის არსებობიდან. თუ რას წარმოადგენს ეს პიროვნული გამოცდილება, რომელსაც „ექსისტენციალური გამოცდილება“ ეწოდება, ჩანს ექსისტენციალისტების თავისებური გამოთქმებიდან. რეალობა განიცდება როგორც „გულისამრავი“ (La nausea, სარტრი), ყოფნა სიკვდილის წინაშე (ჰაიდეგერი), „არის მყიფე, მსხვერპლია“ (იასპერსი). ამ თავისებური განცდის საფუძველზე განიხილება ყოფიერება. ფილოსოფიის ძირითადი პრობლემა ექსისტენციალიზმის ყველა წარმომადგენლისათვის არის არსებობა, არა საერთოდ არსებულად, არამედ არსებობა, როგორც აღმავანის არსებობა (Existencia არსებობას ნიშნავს). რიგი პრობლემებისა, დაკავშირებული ექსისტენციასთან, შემდეგია: აღმავანის არსებობა როგორც არსებობის განხორციელება, აღმავანის „მარტობა“ და „მტკიცებულება“, უიმედობა და „მუქარის ქვეშ დგომა“, უძლურება და უსუსურობა, აღმავანის არსებობის გაკოტრება და ანარაობის წინაშე დგომა, მისი ყოფ-

ნა სიკვდილისათვის (Sein zum Tode), მისი თვისებულება და სხვადასხვა.

4. ჰაიდეგერი — ამ წერილში წვენი საქმე გვაქვს მის ექსისტენციალიზმთან — სწავს საკითხს: ვიცი რა დღეს, თუ რას გვეულისებობთ არსებულის ცნებაში? და უპასუხებს: არ ვიცი. და ამიტომ უნდა დაისვას ხელახლა საკითხი არსის (Sein) აზრის (смысл) შესახებ. როგორც ის აღნიშნავს, მისი მთავარი შრომის „არის და დრო“ მიზანია არსის აზრის<sup>1</sup>, მნიშვნელობის გარკვევა.

ჩვენ, მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში, ვხმარობთ მთელ რიგ ტერმინებს — არის, ყოფიერება, არსებობა, არსებული, სამყარო, სინამდვილე. ხშირად ეს ცნებები ერთი მნიშვნელობით იხმარება, ხშირად მათ განსხვავებულ მნიშვნელობას მივწერთ. ჩვენ ხშირად ერთი მნიშვნელობით ვხმარობთ სიტყვებს „არის“ და „არსებობს“. მაგალითად, „ჩემს ბაღში არის ვაშლის ხე“ — „ჩემს ბაღში არსებობს ვაშლის ხე“, მაგრამ სიტყვა „არის“, რასაკვირველია, ყოველთვის არსებობსაც გამოხატავს ის სხვადასხვა მნიშვნელობის მქონეა; მაგალითად, გამოთქმაში „დევი არის ბორბლი“, სიტყვა „არის“ სრულიად არ გამოხატავს არსებობას. ჰაიდეგერის მიზანია არსებობის ცნების მნიშვნელობა დაადგინოს და განასხვავოს ის სხვა მსგავსი ცნებებისაგან.

არსებობა, რომელიც ვაგებულა, როგორც აღმავანის არსებობა, მდგომარეობს მის ექსისტენციაში. „არსებობის არსება მდგომარეობს მის ექსისტენციაში“, — წერს ჰაიდეგერი. იმ.სათვის, რომ გავიგოთ, რისი თქმა უნდა ჰაიდეგერს, უნდა გავითვალისწინოთ ექსისტენციალიზმის თვალსაზრისი მატერიალიზმზე და იდეალიზმზე. მატერიალიზმი (რომელსაც ექსისტენციალისტები უფრო ზოგად სახელს, „ნატურალიზმს“ უწოდებენ) ბუნებას, მატერიალურ არსს მთელ არსამდე ბერავს, ეს არის არის არის თავის თავად; გონებით მიღწეულ კემშარტებებს იგი მიიჩნევს ერთადერთ კემშარტებად, კემშარტების იდეალად. ნამდვილად არსებობს ის, რაც მიიღება გრძნობის ორგანოების — საშუალებით და რასაც ამ მიღებულის საფუძველზე გონება აღმოაჩენს. რეალური მოვლენა, რომელსაც გონება გაითვალისწინებს როგორც ზოგადი კანონის შემთხვევას, ხელმძღვანელობს რა მიზეზობრიობის კანონით, არსის მთლიანობა და ბურული, გამჭვირვივლე სისტემა, აღმავანი მხოლოდ წყვეტა, წვეთია ზღვაში.

ასეთია ბუნებრივი თვალსაზრისი ახალი დროის აღმავანის. ასეთია მისი წინასწარ მიღებული პარიზონტი, რომელსაც ის გააცნობიერებს, თუ მას მოსთხოვს მისი მსოფლმხედველობის გაშლა, აღმავანი უმნიშვნელო წერტილია უსასრულო სამყაროში. ყველაფერი ხდება ისე, რომ

<sup>1</sup> ჰაიდეგერის მთავარი შრომაა „არის და დრო“ („Sein und Zeit“, გამოქვეყნდა 1927 წ. მერკურ გამოცემა, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ, გამოქვეყნდა 1957 წ. ეს შრომა ტექსტში აღნიშნული აქნება ასე: S. u. Z.

<sup>1</sup> „არისის აზრი“ — СМЫСЛ БЫТИЯ.

გორც უნდა მოხდეს, ხდება ზუსტი აეცლებლობით. „შენზე არაფერი არ არის დამოკიდებული; როგორც ადამიანი ადამიანთა შორის იყავი ვიყოფილი, იყავი ადამიანური. ნატურალში ერთი მხრე დამამშვიდებელი თუა ჩოია, რადგან ანთავისუფლებს ადამიანს შიშისაგან თავისუფლების წინაშე, ანთავისუფლებს სინილისის ქენჯნისაგან; მეორე მხრით მის საწინააღმდეგო ნიშანიც აქვს: ადამიანს ის გადაგვარებულ ცხოველად თვლის; ადამიანს არა აქვს მცენარისა და ცხოველის ბუნებრივი არსებობა და არც არსებობა ბუნების მიღმა.“

არსებობას როგორც ადამიანის არსებობას ნატურალისმი-მეტერალისში ვერ არკვევს. ასეთია ექსისტენციალისმის შესახება ამ თვალსაზრისით. მეტერალისში ასეთ დახასიათებას ჩვენ კრიტიკის გარეშე დაეტოვებთ. ჩვენ ამ შემთხვევაში გვიანტერესებს ექსისტენციალისტების პოზიტიური თვალსაზრისი, რომლის გასაგებად საჭიროა ცოდნა იმისა, თუ როგორ აფასებენ ისინი მეტერალისმისა და იდეალიზმს, და როგორ ცდილობენ ამ მიმართულებათა გარეშე დგომას.

იდეალიზმი დაიყვანს არსებულს ცნობიერებაზე: ცნობიერება იქცევა ყოველივე რეალობის ჩარჩოდ. ცნობიერების გარეშე არც არსებული არსებობს, რასაკვირვლია, ეს ცნობიერება არ არის ცალკეული ადამიანის ცნობიერება, ეს არის „ცნობიერება საერთოდ“. არსი (бытие) არის ცნობიერების გასაგნობრივებული არსი. ადამიანი არ არის საგანი საგანთა შორის, ის ენტერშია მოთავსებული: იგი იდეა (აბსოლუტური იდეა, ჰეგელის თეორიის შესავსად) და ადამიანი არის იდეის საშახურში მდგომი ადამიანი. ამდენად იდეალიზმს ზოგადსა და უსასრულო იდეაზე ფიქრში ავიწყდება, რომ ადამიანი ერთდელი და ბოლოვადია. ორივე მიმართულებას — ნატურალისმისა და იდეალიზმისა — დავიწყებული ჰყავს ადამიანი, როგორც ადამიანი: ერთს ბუნება აქვს მხედვლობაში, მეორეს იდეა.

ადამიანის არსებობის გაუქმების წინააღმდეგ ილამჭერბა ექსისტენციალისში, რომელიც ნამდვილი რეალიზმია: (P. eiffier. Existenzphilosophie, 1949). ის უძებნს ადამიანის არსებობის დამალულ სიღრმეს.

5. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სიტყვა „არის“ არ გამოხატავს ყოველთვის არსებობას და პირველის მიორით შეიქცა ხშირად უარობამდე მივდიყვანს. ასე, მაგალითად, გამოთქმა „ძალი არის ძუძუწოვარი“ ან „აფროდიტა არის ღმერთი“, უარობად გადაიქცევა, თუ „არის“ შევცვლილთ „არსებობით“: „ძალი არსებობს ძუძუწოვარი“ და „აფროდიტა არსებობს ღმერთი“. მაგრამ, ჩვენი აზრით, გამოთქმა „ხე არის“ იმსავე გამოთქმას, რასაც გამოთქმა — „ხე არსებობს“. ჰაიდეგერის მიხედვით გამოთქმა „ხე არსებობს“ არ არის მართებული, რადგან ზეს „არსებობა“ არ ახასიათებს. ეს იმას როდი ნიშ-

ნავს, რომ ჰაიდეგერი უარყოფს ხეების არსებობას: ხეებიც არსებობენ და ძალიებიც, მაგრამ ცნება „არსებობისა“ სხვა აზრის მქონეა. ბუნების საგნები არიან, მაგრამ ისინი არ არსებობენ: კლდე არის, მაგრამ ის არ არსებობს, ხე არის, მაგრამ ის არ არსებობს, ცხენი არის, მაგრამ ის არ არსებობს, ანგელოზი არის, მაგრამ ის არ არსებობს, ღმერთი არის, მაგრამ ის არ არსებობს“. მხოლოდ ადამიანი არსებობს!

დებულება „მხოლოდ ადამიანი არსებობს“ არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ადამიანი არის ნამდვილად არსებული და სხვა არსებული არის არა ნამდვილი, არის მოხვედნება ან ადამიანის წარმოდგენა. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობა მხოლოდ ადამიანს ახასიათებს, უფრო სწორედ ადამიანი თვითონ არის არსებობა. არსებობის (Dasein) ცნებაში იგულისხმება მხოლოდ ადამიანი. არსებულის, ყოფიერების სახეები განსხვავებულია: ერთერთი და ყველაზე ძირითადი არის არსებობა, რომელიც ადამიან ა: ეს არსებობა ვართ ჩვენ. საკითხს ამ არსებულის შესახებ ვსვამთ ჩვენ თვითონ და საგანიც, რომელსაც შევხება საკითხი, ისევე ჩვენ ვართ. საკითხი ეხება იმას, თუ რა ჰქმნის ადამიანს ადამიანად: ადამიანმა უნდა გაიგოს თავისი თავი თავისი თვლიდან და არა ბუნებიდან ანდა ღმერთიდან გამოსული. ადამიანის ცნებაში იგულისხმება „ფორმალური“ ნიშანი ადამიანად არსებობისა, გარეშე გარკვეული შინაარსული განსაკუთრებულებებისა. უკანასკნელში იგულისხმება მამაკაცის, ღვდაცაცის ნიშანი, რასის ნიშანი და სხვ. საჭიროა არსებობის ცნების გარკვევა, განსაზღვრება. ჰაიდეგერი განსახვავებს არსის (бытие) ძირითად გარკვეულობებს არსებობის გარკვეულობებისაგან. ფილოსოფიურ სისტემებში არსის ძირითად გარკვეულობებს კატეგორიებს უწოდებენ. ასე, მაგალითად, არისტოტელის ჩამოთვლის არსის რამდენიმე კატეგორიას — არსება, თვისობრიობა (როგორი), რაოდენობა (რაქდენი), სიერცე (სად), დრო (როდის) და სხვ. კანტი ასახელებს 12 კატეგორიას — მიზეზი-შედეგი, საგნი-თვისება, აუცილებლობა-შემთხვევითობა და სხვ. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიური თვალსაზრისით კატეგორიები წარმოადგენენ სინამდვილეს, მოვლენათა კავშირის უზოგადესი ფორმის ასახვის ჩვენ ცხოვრებაში.

ჰაიდეგერიც უწოდებს არსის ძირითად გარკვეულობებს კატეგორიებს, რაც შეეხება არსებობის ძირითად „ახასიათებს“ (Characere), ნიშნებს, ის მათ ექსისტენციალებს უწოდებს. ამ ექსისტენციალების დახასიათებით შესაძლებელია იმის გაგება, თუ რას გულისხმობს ჰაიდეგერი არსებობის ცნებაში?

1 M. Heidegger, Was its Metaphysik, 1955. გვ. 15, „არსებობს“, existiert.

2. კატეგორია ეხება „რას“, ექსისტენციალთა ეხება „იეს“.

ჯერ-ერთი — ეს ჩვენ უცვრ ვიცით — საკითხი ეხება ადამიანს, ადამიანს როგორც არსებობას, იმას, რაც ადამიანს ადამიანად ხდის. ეს ვართ ჩვენ. „ეს არსებული, რომელიც უოველთვის ჩვენ თვითონ ვართ და რომელსაც შეუძლია საკითხი დასვას არსის შესახებ, არის არსებობა“ (S. u. Z. გვ. 7). კონკრეტული ადამიანი სვამს საკითხს თავის თავის შესახებ, ანდა სხვანაირად, ის საკითხს უყენებს თავის თავს და ის **გარემოება**, რომ ადამიანი თავის თავის მიმართ სვამს საკითხს და ცდილობს უპასუხოს ამ კითხვას, **თვითონ ეს გარემოება** არის არსებულის თავისებური გარკვეულობა, არსის არსებობის გარკვეული სახე, არის სწორედ არსებობა.

ის, რაც არის განსხვავდება იმისგან, რაც არსებობს. „არის“ ეხება საგნებს, რომლებიც „სახეზეა“ (Vorhanden — Налицо); არსებობა ადამიანი, რომელიც მე ვარ, არსებობა არის ის, რაც **უოველთვის ჩემია**. ექსისტენციალი, კატეგორიისაგან განსხვავებით, არის არსებობის — ადამიანის არსებობის — სტრუქტურული გარკვეულობა. „უოველთვის ჩემია“, „უოველთვის ჩემობა“ (Je meine Jeneinigkeit) არის დამახასიათებელი (ექსისტენციალი) ადამიანის არსებობისთვის.

ჰაიდეგერის სუბიექტური იდეალისტიკა, მგერამ ეს რღვი ნიშნავს იმას, რომ ის სოლიფსაზმის თვალსაზრისზე ღვას და აღიარებს მხოლოდ თავის თავს, თავის ცნობიერების არსებობას. ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი გარკვევის გარეშე სრულიად გაუგებარი იქნება ექსისტენციალიზმის შინაარსი. ზნორად ჰაიდეგერის სოლიფსაზმის დაამტკიცებლად მოჰყავთ ერთი ადგილი მისი წიგნიდან, რომელიც თითქმის დასტურებს მის მიერ სამყაროს უოფნის უარყოფის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. ეს ადგილი ასეთ ფორმში მოჰყავთ: „უარყოფის საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა სამყარო საერთოდ და შეიძლება თუ არა დამტკიცება მისი არსებობისა (უოფნისა)“<sup>1</sup>. ჰაიდეგერის დეცვა სრულიადაც არ წარმოადგენს ჩვენს მიზანს — მის თვალსაზრისს ჩვენ ქვემოთ შევიყვანებთ — მგერამ რომელიმე თეორიის კრიტიკა მშინ იქნება შრთაბული, თუ ეს თეორია სწორედ არის გაგებული და გადმოცემული.

ჯერ-ერთი — მოყვანილი ციტატი არსებითად დამახინჯებულია და ამიტომ ჰაიდეგერს შაწყურენ პრინციპულად განსხვავებულ აზრს. ჰაიდეგერი წერს: „საკითხი, არის თუ არა საერთოდ

სამყარო და შეიძლება თუ არა მისი უოფნის დასაბუთება, არის როგორც საკითხი, რომელსაც არსებობა (ე. ი. ადამიანი, ე. ს.) როგორც **სამყაროში ვიოფნი** (ხაზი ჩემია, ე. ბ.) სვამს — აბა სხვა იმ ვინ უნდა დასვას ეს საკითხი? — უარყოფა. სამყაროს უარყოფაზე ეს არ არის აქ საუბარი, რადგან ამოსავალი წერტილი არის ადამიანის (არსებობის) **უოფნა სამყაროში**. არც სამყაროს უოფნის დამტკიცებაა სპირო, რადგან ვიოფნებთ სწორედ იმ პრინციპით, რომ არსებობა არის უოფნა სამყაროში. არსებობა არის ისეთი არსი (უოფიერება), რომელიც მე ვარ, რომელიც უოველთვის ჩემია, მგერამ რომლის ექსისტენციალი არის „უოფნა სამყაროში“. ამის გარეშე სრულიად გაუგებარი იქნებოდა ექსისტენციალური ფილოსოფია.

საკითხი სამყაროს უოფნას ან არ უოფნას არ ეხება, არამედ გამოსული არსებობიდან — ადამიანიდან, ეხება სამყაროს უოფნის სახეს. არსებობის — რომელიც „უოველთვის მე ვარ“ — ექსისტენციალური სტრუქტურა მდგომარეობს იმაში, რასაც ჰაიდეგერი უოფნებს „უოფნას სამყაროში“. მგერამ იბადება საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის სამყარო. არსებობის — ადამიანის გარდა არის არსებული; ეს არის ნივთი. არსებობა არის მოქმედი ადამიანი — შერე გამორკვევა, რომ ის ამ მოქმედებას ჰქნის თავის თავის იმით, რაც ის არის — ის სვამს კითხვას იმის შესახებ, რაც მის გარეშე არის და ამით სვამს კითხვას თავის თავის შესახებ.

ადამიანის გარეშე ნივთები „სახეზე“ (Vorhanden — Налицо) არის ის, რაც არის, მის არა აქვს აზრი (Sinn — смысл), მის არა აქვს მნიშვნელობა. მის არსებობა აძლევს აზრს, მნიშვნელობას. ხე, ქვა, რკინა, სახლი, და სხვა — ყველა ნივთი — უარყოფა, მის ადამიანთან მიმართებაში აქვს აზრი. ნივთს აქვს აზრი (Sinn). რამდენადაც მის ადამიანი გამოიყენებს: ნივთი, რამდენადაც ის არის „სახეზე“, არაფერია, არარაა. სამყარო შედგება არა ნივთებისაგან, არამედ იარაღებისაგან, იმისაგან, რაც „ხელთ გეაქვს“ (Zuhanden — под рукой), ისინი არიან იმდენად, რამდენადაც მათ გამოიყენებთ, ისინი არიან იმდენად, რამდენადაც ისინი არიან „რაიმესათვის“.

„ხერმანებს ჰქონდათ შესაფერისი ტერმინი „ნივთებისათვის“: პრაგმატა, ე. ი. ის, რითაც ადამიანს აქვს **მარტუნავი** მიმართება რაიმესთან; ჩვენ ვუოფნებთ არსებულს, რომელიც ჩვენ გვხვდება ზრუნვის პროცესში, იარაღს... ის არის ის, რაც გვემსახურება, ხელს გვიწყობს, გამოიყენება, რაც ხელთ გეაქვს“ (S. u. Z. გვ. 66—67).

ადამიანი გარემოს შიშობს არის homo faber. შარქის თავის ცნობილ თეზისებში ფოიერბახის ფილოსოფიის შესახებ აღნიშნავდა, რომ ძველი მატერიალიზმი ფოიერბახამდე, ფოიერბახის ჩათვლით, მჭერტელობითი მატერიალიზმი

<sup>1</sup> პროფ. მენდეს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) მოჰყავს რა ეს ადგილი, ცდილობს დაიყვანოს ჰაიდეგერის ნაზრევი ბერკლეანურ თვალსაზრისზე. ასევე იქცევა შერშენკო უმალვეის პარტიული სკოლის შერე გამომცემელ სახელმწიფიანელოში „Диалектический материализм“, თბ. თავი XI, დაწერილი შერშენკოს მიერ. გვ. 452.



ყო, რომ ის განიხილავდა სამყაროს ობიექტის სახით, არა სუბიექტურად, რომ მას არ ესმოდა პრაქტიკის როლი. საქმე ის არის, რომ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის მსხველდით აღდგინა პირველი რიგში პრაქტიკოსია; შრომის პროცესში, პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში აღმართა ახლანდელი ბუნებაზე ზემოქმედებას, გარდაქმნის ბუნების მოვლენებს, აძლევს მათ დიდი სახეს, რომლითაც მას შეუძლია თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ამ პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში ის თანდათანობით შეიცნობს ბუნებას, მის მოვლენებს. შეშველების ძირები პრაქტიკაშია. აღნიშნის ცნობიერება პრაქტიკულად განსაზღვრული ცნობიერებაა: აღმართის ცნობიერება გულგრილი სარკე კი არ არის, რომელიც ყველაფერს ერთნაირად არეკლავს; მის ცნობიერებაში გველადერი ერთნაირად კი არ „შედის“. აღმართი მიაქცევს ურთიდას პირველ რიგში იმ საგანს, ამ სურუნას, მოვლენის იმ მხარეს, რომელიც მას სწორდება, რაც მისი პრაქტიკული ინტერესების წრით არის განსაზღვრული, რაც მის საზრუნავს წარმოადგენს.

ჰაიდელბერგი თითქოს ამას ამბობს, ნიეტებს თავის თავად არაერთიანი აზრი, მნიშვნელობა არა აქვს, მათ აღმართი აძლევს აზრს, რამდენადღაც ისინი მას „ხელთ აქვს“, გამოიყენებს, რამდენადღაც ისინი მას ემსახურება. მაგრამ აქედან ჰაიდელბერი დასკვნის, რომ საკანთა ყოფნა არსებობაზე, ე. ი. აღმართზე დამოკიდებული, რადგან სამყაროს აზრი აქვს მხოლოდ აღმართი: სამყარო არსებობდა არსებობაზე — აღმართზე დამოკიდებული. ამიტომ როგორც არსებობა არის „ყოველთვის ჩემი“, ასევე სამყაროს აღმართი იცნობს (განიცნის) როგორც ყოველთვის ჩემს.

გასაგებია ის ძირითადი შეცდომა, რომელიც დამახასიათებელია ჰაიდელბერგის მთელი ნააზრებისათვის: „ხელთ ყოფნა“, „იარაღის სახით არსებობა“ არის ამა თუ იმ ნიეტის, საგნის მოცემულობის გარკვეული სახე, და არა ამ საგნის ყოფნა, ამ საგნის არსი (DAS SEIN); საგნის, მოვლენის იარაღად არსებობა, მისი მომარჯვება და გამოყენება და მისი ყოფნა (ჩვენი ტერმინები — არსებობა) არ არის, რასაკვირველია, ერთი და იგივე. მოკლედ საგნის ყოფნა არ დაიყვანება მის გამოყენებაზე, მის „ხელთ ყოფნაზე“. საგნის, ნიეტის „ხელთ ყოფნას“, გამოყენებას წინ უსწრებს მისი ნამდვილად ყოფნა, მისი თავის თავად ყოფნა, მისი — ჰაიდელბერგის ტერმინები რომ ვიხსოვროთ — მისი „სახეზე ყოფნა“ (Vorhanden). ამის შესახებ კიდევ გვეჩვენება საუბარი ჰაიდელბერგის ნააზრების შეფასებისას.

მაგრამ ექსისტენციალური ფილოსოფია, როგორც აღვნიშნეთ, „არსებობიდან — აღმართიდან — იარაღის, მისი ამოხსნა ის, თუ როგორ განვიცილებ შე ჩემ თავს და აქედან სამყაროს, რომელიც ყოველთვის ჩემია და უჩემოდ

უაზროა. და ეს პირველი ექსისტენციალური გამოცდილება მიჩვენებს სამყაროს როგორც ყოველთვის ჩემს, იარაღების მოვლენობას (Zeuganzes). აქედან გასაგებია ის, რასაკვირველია დეგერი აღნიშნავს, როგორც არსებობის (აღმართის) ძირითად ნიშანს — ექსისტენციალ — ზრუნავს (d. Sorge) <sup>1</sup>.

ყველაფერი ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღმართი ჩაექცეოდა თავის თავში; აღმართი დაკავშირებულია სამყაროსთან. ეს კავშირი არის არსებობის კავშირი იარაღებთან („რისთვის“), სხვა არსებობასთან — სხვა აღმართებთან — „მითითან ყოფნა“ და ამით ხორციელდება თავის თავთან ყოფნა. ეს მიმართება, საკმარისად გვეგებობა, არ არის ჩვეულებრივი მიმართება სუბიექტისა ობიექტისადმი, ეს მიმართება განიცდება როგორც „ზრუნვა“. არსებობა არის ყოფნა სამყაროში, სამყარო ჩარჩოა არსებობისა და აღმართის ყოველთვის მისია. „ყოფნა სამყაროში“ არის არსებობის ყოფნის ფორმა. სამყარო კი არ არის სამყარო, ის „სამყაროში“ (Weltel — „Mittler“) არსებობასთან დაკავშირებით, ხოლო არსებობა „იქ“ არის, სამყაროშია, რომელიც ყოველთვის მისია და რომელიც განიცდება როგორც ზრუნვა. არსებობა გადის თავის გარეთ. სად გადის? სამყაროში? დაახ. სამყაროში, რომელიც მისია და ამიტომ ეს გასულია არის მისული თავისთავად.

ეს უცნაური დებულებები გერმანული ენის თავისებურებით არის „გამართლებული“. არსებობა, — რომელიც აღმართი — გერმანულად Dasein-ია; Sein — არის, ყოფიერება; „da“ ნიშნავს „იქ“. ჰაიდელბერი მთელ თავს უთმობს „იქ“-ის პრობლემის („იქ“-ის ექსისტენციალური კონსტიტუცია“, გვ. 130-166). აღმართი იმყოფება სამყაროში — სამყარო გაგებულია როგორც იარაღები და სხვა აღმართები — იმყოფება „იქ“. „იქ“ ყოფნა გახსნის, გაანათებს, „გავისნის“ იმას, თუ რას წარმოადგენს აღმართი. აღმართი ყოფილა თურმე „გადაგდებული“ (geworfen — заброшен). „იქ“, სამყაროში, მითითებული. ეს მითითებულობა, „გადაგდებული“ უპატრონობა, რისაც „სამყაროში ყოფნა“ გამოხატავს, არის არსებობის (აღმართის) სტრუქტურა (S. II, Z. გვ. 180).

არსებობა, ე. ი. „იქ“ ყოფნა, იმას კი არ ნიშნავს მხოლოდ, რომ აღმართი როგორც არსებული განმუდებული „გამგებია“, არსებულთან მიმართებაშია. არსებულთან მიმართება ნიშნავს თავის თავიდან გასვლას, თავის თავის გადალახვას, რაც შეეხება „გაგებას“, ეს ნიშნავს სუბიექტის მიერ ობიექტის შეშველებას. გასულია თავის თავიდან („über sich hinaus“) ნიშნავს გასულს მიღმურ-

<sup>1</sup> ჰაიდელბერგის რთულ მსჯელობას შე ხშირად ვამარტყებ და მისი ნააზრების თანმიმდევრობას გვერდს ვუხვევ, რათა მკითხველისათვის გასაგები გახდეს მისი კონცეფცია-ც. ზ.

ში, ტრანსცენდენტურში, მაგრამ მიღმიერი, ტრანსცენდენტური ღმერთი ან რაიმე ზებუნებრივი როდია, ისევე როგორც „გაგება“ მართლაც გაგება კი არ არის.

ამ უნაყოფო ტრანსცენდენციისა და გამოთქმების (შინაარსი ასე უხდა იყოს გაგებელი: არსებობა (აღამიანი) კი არ არსებობს, ის ჰქმნის თავის თავს, თავის არსებობას; არსებობა არის არსებობის შესაძლებლობა. აღამიანმა უნდა შექმნას თავის თავი აღამიანად, იმად, რაც მას აღამიანად აქცევს. ჩვეულებრივი მარტივი და მოკლე დახასიათება ექსისტენციალიზმისა როგორც ისეთი თეორიისა, რომლის მიხედვით არსებობა წინ უსწრებს არსებას, აქ პოულობს თავის ახსნა-განმარტებას.

პრობლემა არსებისა და არსებობის (კლასიკურ ფილოსოფიაში და მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში გამოთქმული როგორც დამოკიდებულება არსებასა და მოვლენისა) ძირითადი პრობლემაა ფილოსოფიისა. პლატონის, პეგელისა და სხვ. თეალსაზრისით არსება როგორც იდეა წინ უსწრებს არსებულს, მოვლენას; არსებულში, მოვლენაში არსება გამოვლენდება თვითსებური სახით. კერძოდ, აღამიანის არსება ერთია, ხოლო მისი გამოვლენების ფორმება კონკრეტული აღამიანებია; აღამიანის არსება როგორც აღამიანის იდეა წინ უსწრებს კონკრეტული აღამიანების არსებობას.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის მიხედვით არსება და არსებულობა მოვლენა სინამდვილეში არ არის მოწვევითი ერთმანეთს, ისინი ერთ მთლიანობას წარმოადგენენ; ჩვენი თეალსაზრისით ისინი არ უსწრებენ ერთმანეთს დროში. არსება არის ის ზოგადი, იგივეობრივი, კანონზომიერი, რაც არსებულ მოვლენაში თავისებურად გამოვლენდება გარკვეული პირობებით განსაზღვრულა. კერძოდ, აღამიანის არსება, როგორც ცხოველის, რომელსაც აქვს უნარი იარაღების კეთების, არის ის ზოგადი, იგივეობრივი, კანონზომიერი, რომელიც ყველა არსებულ კონკრეტულ-ინდივიდუალურ აღამიანში ასე თუ ისე განმარტებულია. ასევე, კაპიტალისტური საზოგადოების არსება, როგორც გარკვეული საზოგადოებრივი ფორმაციის, რომელშიც წარმოება ატარებს საზოგადოებრივ ხასიათს, ხოლო მთავრდება კერძო-ინდივიდუალურად, ყველა კაპიტალისტური საზოგადოების ზოგადი, იგივეობრივი ნიშანია, მისი კანონზომიერებაა, იმისდა მიუხედავად, რომ ეს არსება არსებულ კაპიტალისტურ საზოგადოებებში თავისებური სახით ვლინდება.

ექსისტენციალიზმი არსებითად განსწავებულ თეალსაზრისს იცავს: არსებობა წინ უსწრებს არსებას. რადგან არსებობაში ექსისტენციალიზმი აღამიანის არსებობას გულისხმობს, ამიტომ ფორმულირება ამ დამოკიდებულების ასეთი იქნება: აღამიანის არსებობა წინ უსწრებს მის არსებას.

ათვისტური ექსისტენციალიზმისათვის ეს დებულება შემდეგ ინტერპრეტაციას მიიღებს. ღმერთი რომ ყოფილიყო აღამიანის შემოქმედელი, ის მას გარკვეულ არსებას მიწვევებდა; მაგრამ რადგან ღმერთი არ არის, აღამიანი არსებობის როგორც კონკრეტული აღამიანი უფრო სწორად, ის ჯერ არ არსებობს ნამდვილად, მან უნდა დაადგინოს, შექმნას თავისი არსებობა, შექმნას თავისი თავი იმად, რაც ის არის და ეს იქნება მისი არსება. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ არსებობა არის აღამიანი, აღამიანის არსებობაა. ახლა იტყვიან, რომ აღამიანი კი არ არსებობს, არამედ ის არის არსებობის შესაძლებლობა (Seinsmöglichkeit — возможность бытия).

ზემოთ აღნიშნული განსწავება, რომელსაც ექსისტენციალიზმი დაადგენს ორი სიტყვის შინაშენლობის შორის, სახელდობრ „არის“-სა და „არსებობას“ შორის, ახლა შეიძლება ასე გამოვხატოთ: რომელიმე ნივთი, საგანი — ხე, ძაღლი და სხვ. — არის, რადგან ის წინასწარ განსაზღვრულია იმით, რაც ის არის, მას არ შეუძლია თავისი თავი გახადოს იმით, რაც ის უნდა იყოს, მას არა აქვს თავისუფლება თავის თავის არჩევანის. არსებობა—აღამიანის არსებობა—„გადასროლილი“ სამყაროში და იგი თვითონ ჰქმნის იმას, რაც ის უნდა გახდეს, ის თვითონ ჰქმნის თავის არსებას, ის თვითონ ირჩევს თავის არსებას. ის ვადის თავის თავიდან. ის არის ის, რაც ის შეიძლება იყოს. თავის თავიდან გასვლა ნიშნავს თავის თავის არჩევის შესაძლებლობას, თავის თავის სხვებთან ყოფნის შესაძლებლობას, სამყაროსთვის აზრის (смысла) მიცემის შესაძლებლობას. ის ყოველთვის არსებობს ფაქტობრივად და ამავე დროს ყოველთვის ვადის თავის იქნით: აღამიანი ქმნადობა (Werden) იმით, რაც ის შეიძლება გახდეს და თვითონ ჰქმნის იმას, რაც ის შეიძლება გახდეს.

ყველაფერი ეს გამოიხატება ზრუნვაში: ყველაფერი, რასაც ის აკეთებს, მისწრაფვის, იღრტვის და სხვ. არის ზრუნვის გამოხატულება. აღამიანის არსებობის ექსისტენციალი არის ზრუნვა!

„ზრუნვა კი არ გამოიმდინარეობს ისეთი ფენომენებიდან (მოვლენებიდან — კ. ბ.). როგორც არის ნებელობა, სურვილი, ლტოლვა, მისწრაფება, პირიქით, ისინი ზრუნვის გამოვლენებს წარმოადგენენ“ (S. u. Z. გვ. 182).

6). იმ პრობლემიდან, რომლებსაც ვაჩიხაოვს პილდგერი—შიში, არსებობის ყოფიერება როგორც ზრუნვა, „სამყარობა“ და რეალობა, არსებობა, თავის თავის ვანათება-გახსნა (Erschlossenheit), ზეშეპირება — ჩვენ მხოლოდ ერთ გაერმოებას მივაქცევთ უპირაღებას, სა-

1 არსებობა როგორც „სამყაროში ყოფნა“ იმყოფება (არის) როგორც მზრუნავი ყოფნა (S. u. Z. გვ. 141).

ხელმოტარების ცნებას, მის განცდას. ჩვენი წერილისათვის დანარჩენი პრობლემების გარჩევა ძალიან შორს წაგვიყვანდა და გარდა ამისა მთლიან პრობლემა დალაგებისათვის — თუ კი ეს საერთოდ შესაძლებელია — მთელი გამოკვლევის დაწერა არის საჭირო.

ადამიანის (არსებობის) სტრუქტურა გამოიხატება იმაში, რასაც ჰაიდეგერი უწოდებს „ყოფნას სამყაროში“. როგორც აღვნიშნეთ, „ყოფნა სამყაროში“ არ ნიშნავს იმას, რაც შეიძლება ჩვეულებრივად ვიგულისხმოთ ამ გამოთქმაში<sup>1</sup>. სამყაროში ყოფნა ჩვეულებრივად ნიშნავს: ადამიანი იმყოფება სამყაროში, ბუნებაში, საზოგადოებაში, იღებს მონაწილეობას — ასეთსა თუ ისეთს — საზოგადოებაში, ის ნაწილია ბუნების, წევრია საზოგადოების და სხვადასხვა.

ადამიანის სტრუქტურა როგორც „ყოფნა სამყაროში“ არის შიში. შიში არის მისი ყველაზე მთავარი, დამახასიათებელი (ausgezeichnete) მდგომარეობა (S. II, Z. გვ. 184). შიში ორნაირად რა ჩვენ ვერ გამოვთქვით ტერმინოლოგიურად ეს განსხვავებული განცდა. გერმანული die Angst და die Furcht ორივე შიშს ნიშნავს (რუსულად — страх და боязнь). ჰაიდეგერი პრინციპულად განასხვავებს Angst (страх) Furcht-საგან (боязнь) (S. II, Z. გვ. 184, და შემდეგ).

შიში (Furcht — боязнь) არის ის, რაც გამოწვეულია რაღაც მეტად თუ ნაკლებად გარკვეული მიზეზით. ის რაღაც გარკვეულია, რაც შეგვიძრება, ის ლოკალიზებულია.

რაც შეეხება ნამდვილ შიშს (Angst — страх), ის არ არის გამოწვეული რაიმე ასე თუ ისე გარკვეული მიზეზით. ის, რის წინაშე არის შიში, არის „ყოფნა სამყაროში“, თვითონ სამყარო, სრულიად გაურკვეველი. შიში არის იმის გამო, რომ ადამიანი „გადასტროლია“, „შეტოვებულია“, „უპროტრონა“ სამყაროში. ის, რაც აშინებს, არსად არ არის. ადამიანი განიცდის შიშს, ძრწოლვას, რადგან ის „სამყაროში ყოფნაშია“ და იქ განიცდის ძრწოლვას (жужоство), ის არ არის „თავის სახლში“ (Das Un — Zuhause), „უსახლკაროა“. ჰაიდეგერის ტერმინოლოგიით ადამიანი კი არ განიცდის შიშს, არამედ ადამიანის არსებობა თვითონ არის შიში: „შიში შიშობს“ სამყაროში ყოფნის გამო, ადამიანის არსებობის ძირითადი შესაძლებლობა გამოიხატება შიშში. „უსახლკაროა“ წარმოადგენს ექსისტენციალურ-ანტროპოლოგიურ თვალსაზრისით არსებობის პირვანდელ ფენომენს“ (S. II, Z. გვ. 184—191).

ჰაიდეგერი მუთითებს ქრისტიანულ თეოლოგებს — ავეუსტინეს, ლუთერის, კირქვევრის შრომებს, — სადაც შიშის პრობლემა ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად იყო გადაქცეული. თვითონ ჰაიდეგერი განასხვავებს თავის თვალსაზრისს თეოლოგიისაგან, მაგრამ როგორც საპარტიკლარო იყო აღნიშნული, მთელი მისი თვალსაზრისი „სექულარიზებულ თეოლოგიას“ წარმოადგენს.

ჰაიდეგერი უკავშირებს შიშს არარაობას (Nichts — ничто). შიში არის შიში არარაობის წინაშე, ის, რაც ვაჟიმენუს შიშში, არის იღვრება ნაგრძობი შესაძლებლობა არარაობისა (ადამიანი ერთბაშად დაინახავს ყოფიერებას ყოფიერების შიშში მყოფი ადგილიდან). (??)!

არსებობის — ადამიანის — ექსისტენციალური გაგება ამით არ არის დამთავრებული. მანამ არსებობა არის არსებული, ის ჯერ არ აღწევს თავის მთლიანობას. ამ მთლიანობის გარკვევის ცენტრში დგას ანტროპოლოგიური დამახასიათებელი არსებობისეულის „ყოფნა ბოლომდე“, ე. ი. გარკვევა სიყვდილის ექსისტენციალური ცნებას.

ადამიანის არსებობა მდგომარეობს იმაში, რომ ის უკვე არსებობს როგორც ის არსებობს და ამევე დროს გადის თავის თავის იქით და ზღვბა იმათ, რაც მას შეუძლია გახდეს; მისი არსებობა გაკომულია დაბადებიდან სიყვდილამდე, „სამყაროში ყოფნიდან“ „სამყაროში მეტი აღარ უფრნამდე“ (Nicht—mehr—in—der—welt—sein) (S. II, Z. გვ. 240).

ადამიანის არსებობა ქმნალობას წარმოადგენს. ქმნალობა აქ არ უნდა გავიგოთ როგორც ეს ესმოდა ჰეგელს ან როგორც ეს გაგებულა მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში, სახლ-ლოქის როგორც განვითარება. „დაუშვითეული ნაყოფი მიღის თავის სიმწიფემდე. მისი სიმწიფე არის მისი ყოფიერება როგორც ნაყოფის. სიმწიფით მთავრდება, სრულდება ნაყოფი“.

არსებობაც სიყვდილით ასრულებს, ამთავრებს თავის სვლას. მაგრამ ამოიწერება თუ არა არსებობის სექციციური შესაძლებლობა სიყვდილით? (გვ. 244). საგანს, ცხოველს ბოლო აქვს, თავდება (кончается), ადამიანი კი კვდება დაბოლოება, დამთავრება არ არის ადამიანის სიყვდილის ნიშანი. სიყვდილი არის ყოფიერების თავისებური ფორმა, რომელიც არსებობას თავიდანვე ახასიათებს: „დაიბადება თუ არა ადამი-

<sup>1</sup> საერთოდ ჰაიდეგერის ნაშრომებში თითქმის ყოველ ცნებას, ტერმინს არსებითად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს იმასთან შედარებით, რა მნიშვნელობითაც იმპრობოთ ჩვენ ამ ცნებებს. ეს საშინლად ართულებს მისი შრომების გაგებას და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ექსისტენციალისტებსაც კი ხშირად ერთმანეთის არ ესმოთ.

<sup>2</sup> ჰაიდეგერი ხშირად აღნიშნავს, რომ ექსისტენციის პრობლემა ღრმად შოაზრებული ჰქონდა ის. კირქვევრის. მაგრამ მის თეორიულ შრომებში — გარდა შრომისა „შიშის ცნების შესახებ“ — ნაკლებად არის ფილოსოფია; ფილოსოფიური პრობლემაში უფრო მეტად არის „თეოლოგ“ შრომებში.

ანი, ის უკვე საკმარისად მოზრდილია სიკვდილისათვის\*.

მაღდეგერი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აქ მსჯელობა ეხება ადამიანის სიკვდილს და არა იმას, თუ რა ზღვება სიკვდილის შემდეგ შეიძლება თუ არა თეორიული გადაწყვეტა სავითობისად, არა თუ არა ყოფნა სიკვდილის შემდეგ მაღდეგერი ამას არ ეხება. აქ საუბარია იმაზე, რომ სიკვდილი არის საკუთარი, დამახასიათებელი, შეფარდების ვარსებობა, ისეთი, რასაც ვერ გაასწრებს, ვერ გადაახტება ადამიანი, (გვ. 250). ეს „გადასარჩობლობა“ სიკვდილში არის მისი შიშის მდგომარეობა, შიში სიკვდილის წინაშე არის შიში მისი არსებობის დამახასიათებელი, გარდევადი, უპირო შესაძლებლობა (გვ. 251). ადამიანი ვერასოდეს ვერ განიცდის სხვის სიკვდილს: სიკვდილი — ისევე როგორც არსებობა — ყოველთვის „მეშია“ (Je meine). სიკვდილი არ არის რაღაც გარეგანი არსებობისათვის (ადამიანისათვის), ის არ ემართება ადამიანს როგორც რაღაც გარეგანი, ის მისი არსებითი მოქმედი. ადვანტიზმი ასე დაახასიათებს ყოფნა სიკვდილის წინაშე: პირველი წამიდან, რაც ჩვენ ვიპოვეთ — მთელი მსოფლიო სტრუქტურა, ადამიანი მიიღო გზით, რომელსაც სიკვდილისაკენ მივყავართ. სიკვდილი მისთვის ახლა ერთი წლის შემდეგ, ვიდრე ერთი წლის წინაა, ხედავს უფრო ახლა, ვიდრე დღეს ან გუშინ, უფრო ახლა ცოტა ხნის შემდეგ; ვიდრე ახლა და ახლა უფრო ახლა, ვიდრე ცოტა ხნის წინათ. ყოველ დღე მცირდება ვადა სიკვდილის მოახლოვებისა.

ადამიანის არსებობა არის ყოფნა სიკვდილის წინაშე. ეს არის ის, რაც მას შიშს ვერის. ეს არ ეწინააღმდეგება იმას, რომ შიშის მიზეზი არ არის რაიმე გარეგანი, არსებული სამყაროში. შიშის მიზეზი არ არის სამყაროში, ის თვითონ ადამიანის „გულშია“.

ადამიანი ცდილობს გაეცქერას ამ შიშს. ის გაიქცევა საზოგადოებაში. იქ, საზოგადოებაში ის ზღვება ისეთი, როგორც სხვა: ის არ განსხვავდება სხვებისაგან; ის სხვებთან მიმართებაშია. იქ კარგავს ადამიანი თავის ნამდვილ არსებობას; ის კითხულობს გზებებს, როგორც ამას აცხადებენ სხვები, ის მსჯელობს ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე, როგორც სხვები მსჯელობენ. ჩვენ განვიცდიდით სიამოვნებას და კმაყოფილებას როგორც სხვები.

ადამიანი ითქვიფება სხვა ადამიანებში, ის გადიქცევა საშუალო, ჩვეულებრივ ადამიანად (იმათ, რასაც რუსები უწოდებენ „ошибка-სა“), ის ვთანასწორდება სხვებთან. საღმრთოება მისთვის კარგავს ყოველფერ მიწვევლობას, ის აღარ ემართება არსებობის პასუხისმგებლობას, ის თავისუფლდება თავისი არსებობისაგან. ყველა არის სხვა და არაფერი არ არის თვითონ. ის კარგავს თავის თავს როგორც პიროვნება. ის არაფერია, როგორც რელიგია ის არის, ის იქნება ვფლავზე რელიგია, მაგრამ როგორც არსებობა

ის არაფერია. ის ყოველდღიური ადამიანი („ას არის ყოველდღიურობის, საშუალოების ვინა“), ის უპიროვნოა. ის არის „Man“, „Mann“ უპირო ნაცვალსაზღვარი; ქართულად რომ ვთქვათ „ამბობენ“ (man sagt—როგორც), ჩვენ არ ვგულისხმობთ გარკვეულ პიროვნებას: „ამბობენ“ არ ნიშნავს ყველა ადამიანის ჯგუფს, არც ცალკეულ პიროვნებას, ის უპიროვნოა, საზოგადოებაში გათქვეფილი, საშუალოა (გვ. 126—130). ის ყოველდღიური ყოფნა („das alltägliche Sein“).

ამ ყოველდღიურობაში იქმნება ასეთი ადამიანი. მისი დახასიათება ასეთია: ის ფაქტობს, მსჯელობს, ამბობს როგორც ყველა მსჯელობს და ამბობს. „საქმე ასე მიმდინარეობს, როგორც ამბობენ“; განიველირებული ადამიანი „დაეზობის“, მას ახასიათებს ცნობისმოყვარეობა (испытательность), ორპიროვნება. ის მალულად უფროსებს სხვას, თვალუფროს ადევნებს სხვის, ჯამუშობს, როგორც სხვა მას. ეს მდგომარეობა არ არის ერთმანეთისადმი გულგრილი დამოკიდებულება, არამედ დაქიმული, ორპიროვნის ჯამუშობა. „ერთმანეთის“ (ერთმანეთის თითქმის თანაუგრძობენ) ნიღბის ქვეშ ერთმანეთის წინააღმდეგნი არიან.

ლაყვობა, ცნობისმოყვარეობა, ორპიროვნება, ერთმანეთის თვალუფროს დევნება — ეს არის ყოველდღიური ადამიანის არსებობა (გვ. 167—180).

ასეთია ადამიანის არსებობა საზოგადოებაში.

ასეთი არსებობა დამამშვიდებელია სიკვდილის წინაშე. ყოველდღიური (durschnittlich) არსებობისათვის (ადამიანისათვის) სიკვდილი არის „შეშინებელი“. ეს ან ის, მახლობელი ან შორეული „კვდება“. ყოველ დღე და ყოველ საათს კვდება ვინმე. სიკვდილი ყველზე ცნობილია სამყაროში, ბოლოს და ბოლოს „კვდება ყველა ერთხელ“, მაგრამ, რომ „კვდებიან“, ეს მე არ შეეხება. შარბალია, კვდებიან, მაგრამ „მე გერ არა“. Man, უპიროვნო იცის, რომ სხვები კვდებიან, მაგრამ „ეს სხვებია და არა მე“. ის გურბის თავის თავის სიკვდილს, უფრო სწორად, ზრის თავის თავის სიკვდილზე: კვდებიან, მაგრამ მე „ოღვესმე მიგვიანებთ“; ის აშვილებს თავის თავს იმით, რომ განუსაზღვრელად ტყუებს „როდის“ (მოკვდება) (გვ. 252—260).

მაღდეგერი (გვ. 254) და მისი მიმდევრები მიუთითებენ ლ. ტოლსტოის მოთხრობას „ივან ილიჩის სიკვდილი“, რომელშიც აღწერილია ივან ილიჩის „კვდებიან“ (man stirbt). ივან ილიჩი მოკვდა. „მახლობელი ნაცნობის სიკვდილის ფაქტმა, — წერს ლ. ტოლსტოი, — უნებლოდ გამოიწვია მის ნაცნობებში სიხარული იმის გამო, რომ მოკვდა ის, და არა მე. ივან ილიჩი კვდება და განიცდის საშინელ შიშს, მან იცის, რომ ის

\* „Man“ არის განუსაზღვრელი, უპირო, ნაცვალსაზღვარიდან წარმოებული არსებითი სახელი.

კვდება, მაგრამ მას არ ესმის ეს\* («В глубине души — Иван Ильич знал, что умирает, но он не привык к этому, он просто не понимал, никак не мог понять этого»).

მას ხსენდება სლოგანზმის მაგალითი, რომელიც მას უსწავლია ლოგიკის სახელმძღვანელოდან: «უველა ადამიანი მოკვდავია, კიუსა ადამიანი, შამისადაჟე, კიუსი მოკვდავია». ეს სლოგანზმი, მართალია, სწორია, მაგრამ ეს ხომ ეხებოდა კიუსს და არა მას. კიუსი ადამიანია, საერთოდ, ადამიანია, და ეს დასკვნა საცხებით სამართლიანია. მაგრამ ის (ივან ილიჩი) ხომ კიუსი არ არის, ის ხომ საერთოდ ადამიანი არ არის, ის სხვა არის; კიუსი ნამდვილად მოკვდავია და იმისთვის სამართლიანია სიკვდილი და არა ჩემთვის, ამბობს ივან ილიჩი.

ესე გუბრბოდა თავის სიკვდილს ივან ილიჩი. ივან ილიჩი იტანჯება და ტანჯავს თავის მახლობლებს. ბოლოს ის მიხედება, რომ ის ტანჯავს მათ, ტანჯავს თავის თავს. «Избавить их и самому избавиться от этих страданий»... Он стал прислушиваться... А смерть? Где она? Он искал своего прежнего привычного страха смерти и не находил его. Где она? Какая смерть? Страху никакого не было, потому что и смерти не было»... «Кончено!» — сказал кто-то над ним. Он услышал эти слова и повторил их в своей душе... Кончена смерть, сказал он себе. — Ее больше нет».

პიდევერი წერს, რომ ტოლსტოიმ იღწერა მტრულა სიკვდილის წინაშე და საბოლოოდ გააჭრაწულა, დაანრგია «Мир»-ის, საშუალო ადამიანის, უპიროვნო ადამიანის დამამწვილებელი გამოთქმა «კვლებიან».

უპიროვნო არსებობა არ არის ნამდვილი არსებობა. როგორც არსებობა არის «ყოველთვის ჩემი», ისე სიკვდილი არის «ყოველთვის ჩემი»: კი არ «კვლებიან», არამედ შე ვკვლები.

«Мир»-ი არის «ჩავარდნა», დაქვეითება ადამიანის არსებობის, ის არ არის, როგორც იყო აღნიშნული, ნამდვილი არსებობა. მისი არსებობა არ არის ჭეშმარიტი არსებობა.

7). ადამიანმა უნდა მიადღიოს ნამდვილი, ჭეშმარიტი არსებობას. ის არავისზე (ღმერთზე) და არაფერზე არ არის დამოკიდებული: ის თავის თავზეა დამოკიდებული. ის უნდა გაეჭყეს Man-ს, უპიროვნო არსებობას; ის ხომ შოლოდ არსებობა არ არის არსებით წინასწარ განსაზღვრული, ის არსებობის შესაძლებლობა: მან უნდა შექმნას თავის თავიდან ის, რაც ის უნდა იყოს, განახორციელოს თავისი შესაძლებლობა. მან უნდა აირჩიოს თავის თავი იმად, რაც ის

1 Man-ი, საზოგადოებაში გათქვევდილი, საშუალო ადამიანი არ აძლევს თავის თავს უფლებას იფიქროს თავის სიკვდილზე — ასეთია პიდევერის ინტერპრეტაცია.

უნდა იყოს. ყოველდღიურობამ, საზოგადოებამ დაღარა, ჩაახშო მისი პიროვნება. მან უნდა დისძლიოს Man-ი, დაებრუნდეს თავის თავს, რაჟმელიც არსებობის სიღრმეში იმყოფება. მან უნდა გასსნას ის, რაც მასში საიდუმლოდ იმარხება და გადაწვევდოს.

მისი სიღრმიდან აღმართება — აჟ, როგორც ყოველთვის პიდევერი მისთვის ჩვეული ტერმინოლოგიით ხმარობს თავისებურა მნიშვნელობით სიტყვა «სინდისი» — ცოდნა-სინდისი (Gewissen სინდისია და ამავე დროს წარმოებულია wissen-დან — ცოდნა). სინდისი არ არის ფსიქოლოგიური ან თეოლოგიური მნიშვნელობის ცნება. სინდისი მიუთითებს დანაშაულს, ბრალს. მაგრამ ეს დანაშაული, ბრალი არ არის რაიმე ბოროტმოქმედება, არ არის რაიმე ჩვენი საქცილის შედეგი<sup>1</sup>.

ბრალი, დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი «გადაგდებულია» სამყაროში, «უპატრონოა», არარაა. არარაობა ჩვენს შიგნით არის, ჩვენს ვართ არარა. დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ არსებობა-ადამიანი დაქანინებულია (Nichtigkeit — ничтожество). «არა» უარყოფა კი არ არის, რომელსაც ჩვენ ვხმარობთ რაიმეს უარყოფის დროს, ის ლოგიკური კატეგორია კი არ არის, არამედ ონტოლოგიურია, ის «არსებობს» არარაობა არსებობს: არარაობიდან ეწნდება, არარაობა არის ჩვენი არსებობა, არარაობა არის ჩვენი დასასრული. არარაობა არის არსებობის (ადამიანის) ექსისტენციული, მარტივიდ რომ ვთქვათ, არსებობის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი.

ადამიანი გადაწვევებს განთავისუფლდეს ყოველდღიურობიდან, ის გადაწვევებს გახდეს იმად, რაც მას შეუძლია გახდეს, ის თავისუფალია და თავისუფლად ყოფნა (Freiheit) არის ჭეშმარიტი არსებობა, არის ჭეშმარიტება. ის თავისუფალია და თავისუფლად დგება სიკვდილის წინაშე. ის თავისუფლად ემორჩილება თავის ბედს და თავისუფლად მოღვაწეობს სამყაროში?

ასეთია, თურმე, ადამიანის მიერ თავის თავის შექმნა პიროვნებად, იმად, რაც ის უნდა იყოს, ის თავისუფალია, თურმე, იმით, რომ ემორჩილება თავის ბედს, თავისუფლად უხვლება სიკვდილს, თავისუფლდება სიკვდილის შიშისაგან.

<sup>1</sup> ძნელია, თითქმის შეუძლებელია ადამიანურ ენაზე ვაღმოვეცა იმ აზრების, რომლებსაც პიდევერი თავისი უცნაური ენით გამთქვაშს. «სინდისი გვეძახის, გვესაუბრება, ყვირის: ვინ ყვირის? თეოდონ: რას ყვირის? არარას ვის უყვირის? თავისთავს. არსებობა სინდისში უყვირის (ეძახის) ესაუბრება თავის თავს. ის არის, ვინც უყვირის და ის არის, ვისაც უყვირის. სინდისი საუბრობს ლაპარაკობს სინდისის მოღუსში».



ჰაიდელბერგში არ დამთავრა თავისი შრომა: „არსისა და დროის“ პირველ ნაწილს არ მოჰყვა მეორე ნაწილი, რომლის გამოქვეყნებას ის აპირებდა. სხვა მისი ნაშრომები (მეორე მოკლეობის) განმარტავენ და ზოგიერთ მომენტს განაეითაობენ (ეს განმარტება და განვითარება ხშირად უფრო ბუნდოვანია, ვიდრე მისი მთავარი შრომა).

ექსისტენციალიზმის შეფასებისას, რომელსაც ჩვენ ახლა შევუდგებით, უფრო ნათელი გახდება ამ ფილოსოფიის ზოგიერთი მხარე, რომელსაც ჩვენ ზემოთ შევხებით.

მისი მსჯელობიდან, რომელსაც ზემოთ გავცეთათ, აშკარად ჩანს რომ მას მზედულობაში

<sup>1</sup> იხ. დასაბ. ნაშრომი, გვ. 61.

არ ჰყავს ისინი, ვინც ბაქუნის გაყვას და ანარქისტად იქცა (რომ აღარაფერი ვთქვათ ე. გრეცის მსგავსი რეგენტებზე); მას არ შეიძლება მხედველობაში ჰყავდეს აგრეთვე ა. სერნო-სოლოვიევიჩი, რომელმაც, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1869 წელს თავი მოიკლა. შემდეგ, ძნელად საფიქრებელია, რომ ვეკლევიჩის მხედველობაში ჰყოლოდა ლ. მენსიკოვი და მ. ელპინინი, რადგან პირველი მათგანმა 70-იან წლებში, განსაკუთრებით კი მის შემდეგ, რაც ის იაპონიაში გაემგზავრა, მთელი თავისი დრო და ენერჯია თითქმის მთლიანად მეცნიერულ მუშაოზე (გეოგრაფიაში) მოახმარა, ხოლო ელიპინინი უკვე 70-იანი წლების პირველ ნახევარში იდეურად გაკოტრდა და ბოლოს თავისი პოლიტიკური კარიერა სავსებით სამარცხვინოდ დაამთავრა (80-იანი წლების დასაწყისში რუსეთის პოლიციის აგენტი გახდა).

დავებნა ნ. უტინი და მისი რამდენიმე მიმდევარი, რომლებმაც 1870 წელს თენგეში შექმნეს ე. მარქსის მიერ დაარსებული პირველი ინტერნაციონალის რუსული სექცია. ჩანს, კოზმინი სწორედ ნ. უტინს და მის ჯგუფს ველს-ხმობს 60-იანი წლების იმ ახალგაზრდა ემიგრანტთაგან, რომლებიც 70-იან წლებშიც განაგრძობდნენ „აქტიური მონაწილეობის მიღებას რევოლუციურ მუშაობაში“. ზედმეტია იმაზე დაპირაკი, რომ უტინმა და მისმა ჯგუფმა მართლაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს 1870—1873 წლებში ბაქუნისა და მისი მიმდევრების წინააღმდეგ პირველი ინტერნაციონალის ბრძოლაში, რასაც ისინი ძირითადად ჩერნიშევსკის პოზიციებიდან აწარმოებდნენ, მაგრამ ისიც ისტორიული ფაქტია, რომ 1873 წლიდან როგორც ნ. უტინი, ისე მისი მიმდევრები (ე. ბარტენევას გარდა) სავსებით ჩამოშორდნენ პოლიტიკურ მოღვაწეობას და ხელი აიღეს 60-იანი წლების იდეებს ყოველგვარ დატყაზზე. ნ. უტინი ჯერ ბელგიაში სწავლობდა საინჟინერო საქმეს, შემდეგ კი რუსეთში დაბრუნდა (1877 წ.). მოინანია „ქველი შეცდომები“ და სიკვდილამდე მუშაობდა რიგითი ინჟინრად ურალში. დაახლოებით იმავე ხანებში ჩამოშორდნენ პოლიტიკურ მოღვაწეობას მისი თანამაზრდენი (ა. ტრუსოვი, ა. შნებრაკოვი, ი. ლევაშევი, ე. დიმიტრიევი). თვით ბ. კოზმინის ცნობით, „Наибольшую устоячивость в политическом отношении из всех членов Русской секции проявила Е. Г. Бартневов“, მისი დამახსოვრება კი ის იყო, რომ «До конца жизни она сохранила верность демократическим идеалам своей молодости. Занималась она по возвращении в Россию литературным трудом, сотрудничая в ряде

либеральных и демократических изданий»<sup>1</sup>.

ვფიქრობთ, სურათი ნათელია. ყოველივე ზემოთნათქვამიდან ცხადად ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძის ამორიქებამ 60-იანი წლების იმ ემიგრანტთა სიიდან, რომლებიც შემდეგ ათწლეულის განავრცობდნენ მონაწილეობის მიღებას რევოლუციურ მუშაობაში, შეცდომაა და ეწინააღმდეგება ისტორიულ სინამდვილეს. მრავალრიცხოვანი, ყარგად შემოწმებული ფაქტები მოწმობენ, რომ ნ. ნიკოლაძე 70-იან და აგრეთვე 80-იან წლებში (ყოველ შემთხვევაში 80-იან წლების პირველ ნახევარში მაინც) ერთგულ რჩებოდა 60-იანი წლების იდეებსა და აქტიურად იბრძოდა ცარიზმის წინააღმდეგ, მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად, ამიტომ სავსებით მართალი იყო ცნობილი რუსი მკვლევარი ი. ზერნიაკი, რომელმაც 1955 წელს დაბეჭდილ ერთ-ერთ ნაშრომში ნ. ნიკოლაძეს უწოდა „Известный грузинский публицист, участник революционно-демократического движения шестидесятих-восьмидесятих годов прошлого столетия“<sup>2</sup>.

რა თქმა უნდა, ცალმხრივი და ტენდენციური დამოკიდებულება ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობისადმი ისეთი ცნობილი მეცნიერის მხრივ, როგორც ბ. კოზმინია, რომელსაც უდავოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის კვლევისა და გამჟღავნების საქმეში, იმის შედეგია, რომ ჯერ კიდევ არა გვაქვს სათანადოდ შესწავლილი ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობა და აზრთვება სურათად, ეჭრათღე კი მისი საზღვარგარეთული მოღვაწეობა. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ხაზგასმით მოგვაგონებს, თუ რა აქტუალურია და გადამდებელია ნ. ნიკოლაძისა და მასთან ერთად სხვა ქართველი რევოლუციონერების საზღვარგარეთ მოღვაწეობის მეცნიერულად შესწავლას საქმით.

მაგრამ მიუხედავად ქვემოთ. ერთნაღ „სოცრემენოსტის“ გამოცემა, როგორც უკვე ითქვა, ნ. ნიკოლაძის უცანასკნელი სერიოზული წამოწყება იყო 60-იან წლებში საზღვარგარეთ ყოფნისას. ჩვენი ფიქრით, ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა ემიგრანტთა შორის უთანხმოების გაჩენის დროს ის ღვე მენჩიკოვს მიეკედლა და მასთან ერთად სცემდა ზემოხსენებულ ეტრნალს, შემთხვევითი არ არის. ეს ფაქტი გვჩვენებს, რომ ნ. ნიკოლაძე იდეურად ყველაზე აბლა სწორედ მენჩიკოვთან იყო, — იმ მენჩიკოვთან, რომელიც, გ. პლუხანოვის სამართლიანი დახასიათებით, „ერთ-ერთი უკველაზე შესანიშნავი და ყველაზე სიმპატიური წარმომადგენელია სამოციანი წლების თაობისა, რომელმაც ბევრი გააყვამ ჩვენი საზოგადოებ-

<sup>1</sup> Б. П. Козьмин, «Русская секция первого интернационала», стр. 368.

<sup>1</sup> იხ. «Литературное наследство», т. 62, стр. 402.

<sup>2</sup> იქვე

რავი ცხოვრებისათვის, ზვენი მეცნიერებისა და ლიტერატურისათვის“.<sup>1</sup>

ერნალი „სოვერემენტის“, ბერი სხვა ემიგრანტული გამოცემის მსგავსად, დღემოკლე აღმოჩნდა, ის დაიხურა იმავე 1868 წლის ბოლოს. მისი დაბურვის შემდეგ ლ. მენნიკოვი ესპანეთში გაემგზავრა „ს. პეტერბურგის ველომოსტის“ კორესპონდენტად, ხოლო ნ. ნიკოლაძემ სამშობლოს მოაშურა.

ჩვენი ფიქრით, ერნალის დაბურვა და მისი ზღმძღვანელების მიერ ენევის ემიგრანტული ცხოვრების მიტოვება დაკავშირებულია იმ თვალსაზრისთან, რომელიც ნიკოლაძემ ჩამოაყალიბა წერილში „რუსეთის ემიგრაცია“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ აღარ სწამდათ, რომ რევოლუციის საქმისათვის ემიგრაციას შეეძლო რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა და კიდევაც დასტოვეს მისი რიგები.

ამასთან დაკავშირებით დროული ვაიხსენოთ ნ. ნიკოლაძის შემდეგი სიტყვები: „ვეგენი პეჩატკინმა შეატყობინა თლია სოკრატოვსს, რომ ჩერნიშევსკის აუცილებელი დატესტება მიიღოს. მან შეაძლია ფული და პასპორტი სხვის სახელზე, რომლითაც ჩერნიშევსკი შევიდოს საზღვარ-გარეთ წასვლა... ჩერნიშევსკიმ კატეგორიული უარი განაცხადა ამ თაგზიან წინადადებაზე. ის ჩემთან (საუბარში) ამტკიცებდა, რომ ემიგრანტად ვახლოით ის მოსწყიდებოდა რუსეთს, მის „საზოგადოებრივ მაჯისცემას“ და უკან ჩამორჩენილი ვადაქციოდა უსაქმო უხედათ, ბეზღუნათ. ეს მისი სიტყვები მე ცხადივც მახსოვს. ამ სიტყვებმა თითონ მე ვაღამარჩინეს შემდეგში ემიგრანტობისაგან“<sup>2</sup>.

ეფიქრობთ, ვვლადფერი ნათელია.

ესევე ვიხსენებ ალენიშნით, რომ ნ. ნიკოლაძის დაბრუნება რუსეთის იმპერიის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ ფორამალურად ის ემიგრანტად არ ითვლებოდა, არ მომხდარა ის ითვლად როგორც ეს ბ. კოხმინს წარმოუდგენია. ისეთი სანდო ავტობიოგრაფი, როგორც აქვს წერეთელია, ამ საკითხზე შემდეგს გვაცნობებს: „დაბრუნების ნება არ ჰქონდა... ბოლოს კი, როგორც იქნა, მგონი ბარათისისკი შეწყობით, მოესწრო იაკობი შვილის ნახვას“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Г. В. Плеханов, Сочинения, т. VII, стр. 329.

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწერები, ტ. I, გვ. 141.

<sup>3</sup> აკაკი, რჩ. ნაწერები, 1940 წ., გვ. 475.

შეიძლება ზოგ ვინმეს უცნაურად მოეჩვენოს აკაკის ცნობა იმის შესახებ, რომ იაკობი შვილის ნახვა მოესწრო კავკასიის მეფისნიცელის ბარათისისკის შემწვიებით, მაგრამ ამ საკვირველი არაფერია. მეფის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა აღეკვეთა ემიგრანტთა საზღვარგარეთული საქმიანობა და ამ მიზნით ზოგჯერ თვითონ უწყობდა ხელს ემიგრანტთა სამშობ-

აქედან ცხადია, რომ ნ. ნიკოლაძეს გარკვეული სიძნელეების გადალახვა მოუწევდა იმისათვის, რომ სამშობლოში დაბრუნებულად ხერხებოდა. ეს სიძნელეები კიდევ უფრო ნათლად წარმოვიდგება თუ უკრძალუბრით გადავათვალავთ მესამე განყოფილების საქმეებში დაღუპულ საბუთებს, რომლებიც, როგორც უკვე ითქვა, აშკარად მეტყველებენ ცარიზმის საიდუმლო პოლიციის განსაკუთრებულ ინტერესს ნ. ნიკოლაძის საქმიანობისადმი.

გავერთოთ ამ საბუთებს.

ზემოთ, როცა ნ. ყიფიანის რევილუციურ მოღვაწეობის ვებუბოლით, გაკერთი უკვე აღვნიშნეთ, რომ უმაღლესად დამტკიცებული გამოამიბებელი კომისია 1868 წელს დაიწინებით ეკითხებოდა დაპატიმრებულ რევილუციონერებს (ვისილ სუფმინსკის, ივ. პენკოვსკის და სხვ.), იცნობდნენ, თუ არა ისინი ნ. ნიკოლაძეს; იღვნიშნეთ ისიც, რომ კომისია ფიქრობდა, ნიკოლაძეს (ავრთევე ელბიდინს) მიწერა-მოწერა აქვს პეტერბურგში მცხოვრებ რევილუციონერებთან და ამის გამო დაადგინა, მოეცებნათ ნიკოლაძის ზღნაწერი „საეკლე წერილებთან“ მისი ხელის შესადარებლად. ქვემოთ მოყვანილი საბუთებიდან კარგად ჩანს, თუ რა ვაჟაყვიებით დაქებდნენ ცარიზმის უმაღლესი აღმინისტრაციის ჩინოვიციები ნ. ნიკოლაძის ზღნაწერს.

უმაღლესად დამტკიცებულ კომისიის ერთერთ საქმეში შიობოვება მესამე განყოფილებას რომელიც ჩინთენიის მიერ 1868 წლის 3 ოქტომბრის თარიღით კომისიის თავჯდომარისადმი ვაგზავნილი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „ელბიდინის ერთი წერილი აღმოჩნდა და, უფროსების ნებათით, ვისწრაფვი შოვართვით... რაც შეეხება ნიკოლაძეს, მისი ზღნაწერი ახლა ჩვენ არა ვაქვს, (ვაურკვი) ვტყობა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში ინახება ნიკოლაძე ნიკოლაძის თბოვნა მისთვის საზღვარგარეთის პასპორტის მიცემაზე (ბენ მინისტრის მიმართვა, — მისი კანცლარიის ხაზით, — ს. პეტერბურგის განყოფილების მთავარი უფროსისადმი 1864 წ. 26 მაისი, № 1542). თუ თქვენ ვნებათ სწრაფად შიილთ იგი არაოფიციალური ვზით, აქვე შეიძლება; ხოლო თუ არა — მაშინ შეიძლება ვაკეთდეს ფორმალური მოთხოვნა (ხელმოწერა).

ნიკოლაძის შესახებ მე კიდევ მოვებნი და როგორც ვიბოვი რაიმეს, მაშინვე ვაცნობებთ“<sup>1</sup>.

ეს ცნობა უმაღლესი კომისიის თავჯდომე-

ლოში დაბრუნებას. ცნობილია, მავლითად, რომ 1874 წელს მისში მეფის მთავრობამ ვაზეთებში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ემიგრანტებს წინადადებას აძლევდა სამშობლოში დაბრუნებულებს.

<sup>1</sup> ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 427, л. 52.

რეს მიუღია 4 ოქტომბერს და მეორე დღესვე გულჯავნიამ მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრისათვის, რომელშიც სთხოვეს მას გულჯავნიას „დედანი აქუთის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტის, ნიკოლაძის თხოვნისა, მისთვის საზღვარგარეთის პასპორტის მიცემის შესახებ“<sup>1</sup>.

მაგრამ ეტყობა შინაგან საქმეთა მინისტრისათვის არ აღმოჩენილა ნიკოლაძის განცხადება, რის გამოც უმაღლესი კომისია 11 ოქტომბერს მიმართავს პეტერბურგის ობერ-პოლიცეისტიერს შემდეგი თხოვნით: „ს. პეტერბურგის ყოფილმა გენერალ-გუბერნატორმა 1864 წლის 24 ივნისს № 1641 მიმართა გულჯავნიას შინაგან საქმეთა მინისტრს, აქუთის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტის ნიკოლაძის ნიკოლაძისათვის საზღვარგარეთის პასპორტის მიცემაზე, თანამად მისი თხოვნისა“<sup>2</sup>.

მის გამოც, რომ ჩემი თავმჯდომარეობით უმაღლესად დამტკიცებულ გამომწვებულ კომისიაში განსახილველად არის საქმე, რომელთან დაკავშირებით საჭიროა ეს თხოვნა, პატივი მაქვს უმაღლესად ეთხოვო თქვენს აღმატებულებას უბრძანოთ მოეხონნო იგი ყოფ. გენერალ-გუბერნატორის სამმართველოს საპასპორტო განყოფილებაში და გამოუგზავნოთ კომისიას, რაც შეიძლება მოკლე დროში“<sup>3</sup>.

პეტერბურგის ობერ-პოლიცეისტიერს, როგორც ეს კომისიის ქურხალის ჩანაწერიდან ირკვევა, ნ. ნიკოლაძის თხოვნის (განცხადების) მაგერ უმაღლესი კომისიისათვის გულჯავნიამ მთელი „საქმე“, რომელიც შეიცავდა მიწერ-მო-

წერას ნ. ნიკოლაძისათვის საზღვარგარეთის პასპორტის მიცემის ირგვლივ, მისი წესდებებში ეტყობა, რომ ნიკოლაძის თხოვნის მიხედვით, ობერ-პოლიცეისტიერმა, 12 ოქტომბერს თარიღით № 6594, კომისიაში გადმოგზავნა საქმე ს. პეტერბურგის ყოფილი სტუდენტის ნიკოლაძის ნიკოლაძისათვის საზღვარგარეთის პასპორტის მიცემაზე, დაადგინეს ეს საქმე განხილულ იქნას საპატიო მოქალაქის ივანე პენკოვსკის, ქალიშვილი სოლოდოვნიკოვას და სხვათა საქმესთან ერთობლივად“<sup>4</sup>.

ამ ჩანაწერიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება რომ კომისიას, — მას შემდეგ, რაც მას ზემოთხსენებული საქმე მიუღია და შეუსწავლია, — განუზრახვებელი იმ საკითხის არსებითად განხილვა (და არა მარტო ნიკოლაძის ხელის დადგენა), თუ როგორ მოახერხა ნ. ნიკოლაძემ საზღვარგარეთ წასვლა, მაგრამ რა ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით კომისიამ, ეს საქმიდან აღარ ჩანს.

ახლა გავარკვევით საკითხი, რატომ დაეძებდა ამ დროს უმაღლესი გამომწვებული კომისია ასეთი განსაზღვრებულ სიძველეთან ნ. ნიკოლაძის ხელნაწერს?

ამ საკითხის გასარკვევად, აუცილებელია მოკლედ შევხედოთ რენეგატ ივ. როზანოვისა და აგრეთვე ცნობილი რევოლუციონერის ი. ბოჩკაროვის დაპატიმრების ისტორიას, რომელიც შეიძლება არის დაკავშირებული რევოლუციონერთა ზემოთ უკვე ხსენებულ ჯგუფის სახელდობრ ივ. სოლოდოვნიკოვას, ივ. პენკოვსკის, ნ. ყოფიანის და სხვ. დაპატიმრების საქმესთან.

გზააბნეული ინტელიგენტი ივ. როზანოვი 1867 წ. შემოდგომაზე წავიდა საზღვარგარეთ და იქ დაუბრუნდა ექვთევში მცხოვრებ ემიგრანტებს, განსაკუთრებით კი მ. ელბიძის, რომლის გავლენით ერთგვარ მონაწილეობას იღებდა ემიგრანტთა საქმიანობაში და ერთხანს პირველი ინტერნაციონალის წევრიც კი იყო. 1868 წლის ივნისში როზანოვი რუსეთში დაბრუნდა და შემთხვევით კოენოში დააპატიმრეს ყალბი საკრედიტო ბილეთის გადაცემის ცდის დროს. როზანოვმა კოენოს ადგილობრივ ზღისთვლელს მისთხოვა, დაუყოვნებლივ გულჯავნიამ იგი პეტერბურგში, რადგან იმპერატორის ოჯახის წინააღმდეგ ევროპაში შეთქმულება და მისი დაამის შესახებ სასწრაფოდ მოეახსენო მთავრობას. პეტერბურგში ჩასვლისთანავე როზანოვმა მესამე განყოფილებას განუცხადა, რომ მ. ელბიძის და მისი მეგობრები თითქმის ამაღლებენ ფართო შეთქმულებას, რომლის მიზანია ჩერნიშევსკის განთავისუფლება კატორღიდან და პოლიტიკური რეფორმების გატარება რუსეთში, რისთვისაც მათ განზრახული აქვთ მეფის ოჯახის რომელიმე წევრი შეიპყრონ და ამ გზით იძულონ მთავრობა შეასრულოს რევოლუციონ-

<sup>1</sup> ЦГИАМ, ф. 59.

<sup>2</sup> აქედან (და აგრეთვე სხვა საქმეებიდან — იხ. Ф. ШО. 1 арх., оп. 5, д. 227 в. 13, л. 17) ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძის საზღვარგარეთ წასვლის ნებართვის მიღებაში ქმედითად დახმარებია პეტერბურგის შინაინტელი გენერალ-გუბერნატორი, კეთილი ხასიათის ადამიანი ა. სურგოროვი (სახელგანთქმული მხედართმთავრის შვილიშვილი), რომელიც კავკასიაში ნაშისხურა იყო და როგორც საერთოდ სტუდენტებს, ისე განსაკუთრებით კავკასიელებს მზრუნველობით ეპყრობოდა. მის შესახებ ცნობილი რევოლუციონერი ლ. პანტელევი ამბობს: „ადიდი ბედნიერებაა, რომ მაშინ პეტერბურგში გენერალ-გუბერნატორი იყო ალექსანდრე არკადის ტყ სურგოროვი. ის არ იყო ფართო შეხედულების ადამიანი, არ შეიძლება აგრეთვე ითქვას, რომ ის იყო გამჭირვანი და შორისმხედველი პოლიტიკოსი, მაგრამ სურგოროვი იყო კეთილი, ჰუმანური ადამიანი და შესანიშნავი ნიშნით ეპყრობოდა ახალგაზრდობას, სტუდენტობის მიმართ კი პირდაპირ მამობრივ მტკანონობას იჩენდა“ (ლ. პ. პანტელევი, მოგონებები, გვ. 282).

<sup>3</sup> იქვე, გვ. 122.

<sup>4</sup> ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, л. 449, ж. т. 5-я, в. 2-я, л. 121.

ნერთა მოთხოვნები. როზანოვმა დეტალურად გადუქმალა მესამე განყოფილებას შეთქმულების გეგმა, მაგრამ, მთავრობამ, როგორც ჩანს, არ დაიჯერა ეს ფანტასტიური ამბავი, თუმცა სიფრთხილის ზომები მიიღო. სიფრთხილის ერთ-ერთი ასეთი ზომა ის იყო, რომ „ყოველის შემძლე“ მესამე განყოფილებამ დაუყოვნებლივ შეაგროვა დეტალური ცნობები ემიგრაციის მოღვაწეობაზე. ამ ფრთხილ საინტერესო ამონაწერი ერთ-ერთ საიდუმლო მოხსენებიდან, რომელიც მესამე განყოფილების უფროსმა წარადგინა (1868 წლის 18 ნოემბერს) უმაღლესად დამატკეპბულ კომისიას.

„გამოძიებელი კომისიის ამა წლის 27 აგვისტოს და 5 ოქტომბრის №№ 217 და 255 მომართვების გამო, პატივი მაქვს მოგახსენოთ ქვემოთჩამოთვლილი, საზღვარგარეთ დღემდე შეგრავილი ცნობები გაქცეული პოლიტიკური დამინაშვის მიხედვით ელპიდინისა და შვეიცარიის მყოფი სხვა რუსი ემიგრანტების მოღვაწეობისა და ურთიერთ ნაცნობობის შესახებ.

ელპიდინმა, რომელიც უკვე 3 წელია ეწევაში ცხოვრობს, იქ შეისწავლა სტამბის საქმე ანუ ენა და აბუფერის“ სტამბაში. შემდეგში შეიძინა რუსული შრიფტი და გახსნა საკუთარი პატარა სტამბა, რომელშიაც მენიყოფთან, ნიკოლაქსთან და ივანოვსკისთან ერთად, ბეჭდავდა ჯერ სხვადასხვა პასკვილებს, ბიბლიურ შინაარსის ბროშურებს, შემდეგ კი რევოლუციონერი მიმართულების ფურცლებს: „პოპოლნოე სლოვო“ და „სოვრემენოსტს“. თუმცა ამ უკანასკნელ გამოცემებს არ ჰქონიათ წარმატება და ცოცხად სადღებოდნენ. უკანასკნელ დროს ელპიდინმა „სოვრემენოსტს“ გამოცემა გადასცა ნიკოლაქსს, რომელიც ახლა საცხოვრებლად ცურისში გადავიდა.

ელპიდინი მგზნებარე ნილიოსტ-კომუნისტი; მისთვის არაფერი წმინდა არ არსებობს...

რაც შეეხება პირადად ნიკოლაქსს, ის ითვლება ჰუნი და საქმიან კაცად, რომელსაც უნარი შესწევს, როგორც მისი მეგობრები ამბობენ, მოატყუოს ჩვენი მთავრობა. ეს ნიკოლაქს მოდგმით ქართველია, მან ეწევაში 1866 წელს დაბეჭდა „ნიკიფორ გ\*\*\*-ფსევდონიმით ბროშურა 1866 წლის 4 აპრილს გასართლის გამო, სათურით „მთავრობა და ახალი თაობა“.

აქმაღ არ არის აღმოჩენილი, რომ ელპიდინსა და ნიკოლაქსს რაიმე ჰქონდეთ განზრახული ამპერატორის ოჯახის წინააღმდეგ“<sup>1</sup>.

ასევე საინტერესოა ზენთიის ის ცნობები, რომელიც უმაღლეს კომისიაში ნიკოლაქსს შესახებ დაგროვდა ზემოთ უკვე ხსენებულ ივ. ბოჩკაროვის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით. მაგრამ ვიდრე ამ ცნობებს შევხებოდეთ, ორიოდე სიტყვა ვთქვათ თვით ბოჩკაროვისა და მისი დაპატიმრების შესახებ.

ივანე ბოჩკაროვი იყო 60-იანის წლების ერთ-ერთი უაღრესად აქტიური და ენერგიული რევოლუციონერთაგანი, რომელსაც 1867-1868 წლებში სამჯერ იმოგზაურა საზღვარგარეთ ამ მიზნით, რომ ცოცხალი კავშირი დაემყარებია პეტერბურგის არაღვარაღვარ რევოლუციურ წრეებსა და ემიგრანტ-რევოლუციონერებს შორის<sup>1</sup>.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ ბოჩკაროვი გაემგზავრა რევოლუციონერთა ამ არაღვარაღვარ წრის (ე. წ. „სმორგონის ავადმისი“) დავალებით, რომელშიც ხელმძღვანელ როლს თამაშობდა ვარლამ ჩერქეზიშვილი. სწორედ ამ ბოჩკაროვის საშუალებით გაუგზავნია ე. ჩერქეზიშვილს ნიკოლაქსისა და ელპიდინისათვის 50 მანეთი ზერნიშევსკის რომანის „რა ვაქეთოდ?“ გამოცემაზე<sup>2</sup>. თუ ვეფიქვართავს, ერთის მხრივ, ე. ჩერქეზიშვილის ახლო კავშირს ნიკოლოზ ყიფიანთან და სერთოდ პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა საიდუმლო სალონოსა თუ წრეებთან, ხოლო, მეორეს მხრივ, საზღვარგარეთ მყოფ ნიკოლაქსთან, ნათლად წარმოგვიდგება ურთიერთ კავშირის ის უწყვეტი უკვე, რომელიც ცარიზმის წინააღმდეგ ახლებრებულ თურგალურულთა თაობას ერთიან მებრძოლ რაზმად აკავშირებდა. მაგრამ „სმორგონის ავადმისიზე“ და მისთან ქართველი სტუდენტების, განსაკუთრებით კი ე. ჩერქეზიშვილის კავშირზე, ქვემოთ გვექნება საუბარი, ახლა კი დაუბრუნდეთ ისევ ივ. ბოჩკაროვს.

რუსეთში დაბრუნების შემდეგ, 1868 წლის 12 ოქტომბერს ი. ბოჩკაროვი დაპატიმრეს. მას უკვე დიდი ხანი ეძებდა უმაღლესი გამოძიებელი კომისია, რომელიც ე. წ. სოლოდოვნიკოვს, ივ. პენკოვსკის, ნ. ყიფიანისა და სხვა უკვედის საქმის გამოძიების პროცესში წააწვდა ივ. ბოჩკაროვის რევოლუციური მოღვაწეობის კვალს. ამ კომისიის მიერ მეფისადმი წარდგენილ ერთ-ერთ მოხსენებაში ი. ბოჩკაროვის შესახებ ნათქვამია: „ბოჩკაროვი, რომელიც კომისიის განკარგულებით, მოძებნილი და დაპატიმრებული იქნა, თავდაპირველი დაყოფის დროს უიუტად უარყოფდა არა მარტო დანაშაულებრივ საუბრებს ემიგრანტებთან, რაზედღე ლაპარაკი იყო ელპიდინის წერილში სოლოდოვნიკოვსადმი, არამედ მათთან ნაცნობობასაც კი. მხოლოდ კომისიის მიერ ხანგრძლივი, დაძინებით შეგონებისა და უცილობელი მხილობის შემდეგ, მან გადაწყვიტა ბოლოს და ბოლოს ელიარეზინა, რომ საზღვარგარეთ ყოფნისას

<sup>1</sup> დაწვრილებითი ცნობები ივ. ბოჩკაროვისა და ი. როზანოვის შესახებ იხილეთ ბ. კობინის «Революционное подполье в эпоху «Белого террора». М., 1929 г.

<sup>2</sup> იხ. იქვე, გვ. 117-118. ზოგიერთ ცნობით, ე. ჩერქეზიშვილს გაუგზავნია არა 50 მანეთი, არამედ 40 მან.



1867 და 1868 წლებში, სადაც თითქოს სლავი-ანური საკითხის შესასწავლად გაემგზავრა, მან ფენევაში გაიცნო ვერცენი, უტინი, ელკლინი და სხვა ემიგრანტები... ბოჩკარიოვი თავებდურად და-ჯიუტად ამტკიცებდა, რომ მას თითქოს არაკითხარი დანიშნულებრივი საუბრები არ უწყაროებია მათთან. მაგრამ ელკლინის წერილები და, განსაკუთრებით, ჩვენებები ჰემშინინ როზანოვისა, რომელიც ფენევაში იმყოფებოდა სწორედ ბოჩკარიოვის იქ ყოფნის დროს, საქმარის საფუძველს გაამტკიცებდა ვივულისებოთ, რომ ბოჩკარიოვი ნამდვილად უამბო ემიგრანტებს, თითქოს, რუსეთში არსებობდეს რევოლუციური განზრახვები და საზოგადოებანი<sup>1</sup>.

აქლად ჩანს ის განსაკუთრებული სიმტკიცე, რომელიც ბოჩკარიოვს დაკითხვის დროს გამოუჩენია, რის გამოც უდავოა, რომ მან შობებრბა ბევრი რამ დაეშალა კომისიისათვის, მაგრამ ციხისძის ჩინოვიციებს დიდი დახმარება გაუწვია „ჰემშინინმა როზანოვმა“, რომლის შესახებ ზემოთ უკვე გვეჩინდა საუბარი. გამოირკვა, რომ იგი, როზანოვი სწორედ იმ დროს ყოფილა ფენევაში, როცა იქ ბოჩკარიოვი ჩავიდა და ბევრი რამ სკოლნი ბოჩკარიოვის მისიისა და ემიგრანტებთან მისი ურთიერთობის შესახებ; მოლაღატემ ყველაფერი, რაც კი იცოდა, დაწერილებით უამბო კომისიას; ის პირველ დაადგა ბოჩკარიოვის და აიძულა იგი ზოგ რამეში გამოტყუებოდა.

ჭართველი მეთხველისთვის უდავო ინტერესს წარმოადგენს ნ. ნიკოლაძის შესახებ კომისიის საქმეებში გახვეული ცნობები, რომელთა უმარჯლესობა როზანოვის ნაამბობია. ნაწილი ბოჩკარიოვს ეკუთვნის<sup>2</sup>, დანარჩენი კი მესამე განყოფილების აგენტებს შეუტარებიათ.

გავეცნოთ ამ მასალებს. როზანოვის ვრცელი ჩვენებებიდან ნათლად ჩანს ნ. ნიკოლაძის აქტური როლი ემიგრაციის საქმიანობაში. „ის ელკლინის ღირსეული თანამხანაგია, — ამბობს როზანოვი ნიკოლაძეზე, — თუმცა უკანასკნელ დროს ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. ნიკოლაძე ქება-ღაღადებს ასახს ჩერნიშევსკის, რომელსაც ყველაზე მალა აუყენებს, ის ამბობს, რომ მთლად გამსჭვალულია ჩერნიშევსკის იდეებით, რომ არასოდეს არც ერთ ქვეყანას არ წარმოუშვია ისეთი იდეაინი, ისეთი ნიჭი, როგორიც ჩერნიშევსკია“<sup>3</sup>.

საინტერესოა აგრეთვე როზანოვის შემდეგი ცნობა:

«Николаде составил компанию для ЕШПИСКИ «Отечественных записок» и СТЫДИЛ

меня за мой отказ в этом участвовать, говоря, что «О. З.» будут продолжением «Современника», т. е. такого журнала, который читать необходимо каждому порядочному человеку, как необходимо дышать»<sup>1</sup>.

ეს ცნობები საქმოდ სწორ წარმოდგენას გვაძლევენ ნ. ნიკოლაძის მაშინდელ განწყობილებებზე და მის პოლიტიკურ რწმენაზე.

ასლიანსწავია, რომ როზანოვი ყველაფერს, რაც იცოდა, დაუფარავად უამბობდა კომისიას და ამდენად მისი ნაამბობი შედარებით სანდო წყაროა. რაც შეეხება ნ. ბოჩკარიოვის ჩვენებებს, მათი სანდოობა ძალიან ხშირად სავეჭოა. ბოჩკარიოვი ელილობა დაეშალა სიმართლე, რათა გადაეცილა მთავრობის ხელში ჩავარდნიისაგან ბებერბურგში მყოფი რევოლუციონერები, რომელთა დავალებითაც ის საზღვარგარეთ გაემგზავრა, ამიტომ მის ნათქვამს და მის მიერ დასახელებულ ფაქტებს კრიტიკული თვალთ უნდა შევხედოთ.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იგი ბოჩკარიოვის მეორედ ჩასვლა ფენევაში, რადგან სწორედ ამ დროს ჰქონდა მას გარკვეული დავალებები „სმოტკონის აკადემიის“ ხელმძღვანელებისაგან. აი, როგორ აუწყებს იგი გამოძვეე კომისიას ამ ჩასვლის თავის 30 ფაქტობრის ჩვენებაში:

«უტენევაში მეორედ რომ ჩავედი, ნიეთებო სადგურში დავეტოვე და რადგან განზრახული ჰქონდა იქ გაზაფხულამდე დარჩენილიყო, წავედი ოთახის საქმენულად. სასაუბრედ Cafe du Nord-ში შევედი და ხელში „პეტერბურგსკი ედმოოსტი“ ავიღე. ცოტა ხნის შემდეგ ჩემთან მოდის შამაკი... — „ნება მომიეით თქვენს შემდეგ“. — ვაკვირდები მას ყურადღებით, თითქოს ნაცნობი სხვა... — „გამიგონეთ, ჩვენ ხომ ნაცნობები ვართ“, — ამბობს შამაკი. — „სავსებით შესაძლებელია“. — „თქვენ პეტერბურგიდან ხართ?“. — თითქმის ასე შევხვედი მე ნიკოლაძეს, რომელიც უნივერსიტეტში მყოფა ნანახი და რომელიც „ნაჩოდნოე ბოგატსკის“ რედაქციაში ვაიცანი. მე მას ვუამბე, რომ ენევაში ვასულ წელსაც ვყოფი, და რომ გავეცანი ვერცენს და უტინს. — „ელკლინის რატომ აღარ ვაეცანით?“ — „არ მქონდა არც დრო, არც საჭიროება, არც შემთხვევა“ — „გინდათ, მე გადაეცნობთ მას!“ — „რატომაც არა, ოღონდ როცა შემთხვევა იქნება, განსაკუთრებით კი არ ვიზრუნებ ვაეცნო“. — „აი რა, თქვენ მთლადლოთ ჩემთვის სამახბური ვაეცნით, მე მივინდა მას რვეული და წერილი გადაეცე, მაგრამ არ მინდა ეს პირადად ვაეცნოთ, ხომ არ წაუღებდით თქვენ ვითომც ეს-ესაა რუსეთიდან მოდობართ“. ჩემთვის უბრბული იყო უარი მეთქვა და დავეთანხმე. ნიკოლაძემ დაამინიშნა შეხვედრა ხეივანში, ინგლი-

<sup>1</sup> ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 441, т. 5, л. 267.  
<sup>2</sup> ამ ცნობების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ 1929 წელს გამოაქვეყნა ბ. კოზმინმა ზე-მით უკვე დასახელებულ ნაშრომში.  
<sup>3</sup> იხ. ბ. კოზმინის დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

<sup>1</sup> იხ. ბ. კოზმინის დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

სურს ბაღის იქით, და მე, როცა საუბრზე და გაზეო ვუთხარებ, გავმზავრებ რვეული რაღაც თარგმნილი ხელნაწერი იყო, ხოლო წერილი რაღაც ისეთ გაურკვეველს ეგებოდა, რომ ვერც კი წაუკითხვებ ხირონიანდ; მახლოს მხოლოდ, რომ მასში ლაპარაკი იყო შეხვედრებაზე.

როცა ელბიდანთან მივედი, გადავეცი მას წერილი და ხელნაწერი ისე, რომ ჩემი გვარი არ მითქვამს. — „ვისგან არის ეს? — მე ვგონია თქვენ იცით, ხოლო თუ არ იცით, მეც არ უნდა გითხრობო. მე ჩამოვუვლი მასთან რამდენიმე წუთით და დავიწყებ მესაიფი“!

მკითხველი, ადვილად შეამჩნევს, რომ ბოჩკაროვის ეს ნაამბობი აშკარად სტოვეებს გამოგონილი ამბის შთაბეჭდილებას. მაგალითად, რა დასაჯერებელია, რომ ნიკოლაძემ, რომელიც თბილისში ყოველდღე ხედეზობდა ელბიდან, მინცლამანც რუსეთიდან ახლად ჩამოსული კაცი გამოიყენა, მისთვის ხელნაწერი რვეულის გადასაცემად. ეს, რა თქმა უნდა, გამოგონილია. სინამდვილეში, როგორც ეს უკვე დადგენილია, ბოჩკარიოვი ელბიდან გადასცა პეტერბურგიდან წაღებული სარეკომენდაციო წერილი და ხელნაწერი რვეული, რომელიც შეიცავდა ცნობილი ფრანგი სოციალისტის კონსიდერანის ბროშურის რუსულ თარგმანს. ეს ხელნაწერი ბოჩკარიოვმა ჩაუტანა ელბიდან იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელს რუსულ ენაზე დაეხმობა იგი თავის სტამბაში. ბოჩკარიოვის ზემოთმოყვანილი ნაამბობში აშკარად გამოგონილია აგრეთვე მის მიერ ნიკოლაძესთან კედში ვითომდა შეშთხვევით შეხვედრის ისტორია. სინამდვილეში ის ნიკოლაძესთან მივიდა, როგორც ნაცნობთან, რომელსაც ადვილად შეეძლო დაეკავშირებია იგი დანარჩენი ემიგრანტებისათვის.

მეფის ჩინოვნიკები ისე გულუბრყვიელობები არ იყვნენ, რომ ბოჩკარიოვის ნაამბობი ადვილად დაუჯერებიათ. ამით აიხსნება, რომ 6 ნოემბერს ბოჩკარიოვი კვლავ დაკითხეს. ამჯერად ვაშლიძე კომისიას განსაკუთრებით ინტერესებდა ვაგო რაიმე პეტერბურგის იმ რევოლუციონერებზე, რომლებმაც, როგორც ის საფუძვლიანად ფიქრობდა, ბოჩკარიოვი ეწვევა იმ ვაკეკვეთ დაჯავლებით ვაგზეაგის ეს დაკითხვა ქართველი მკითხველისათვის უდავოდ საინტერესოა, ამიტომ მოგვყავს ოქმის ჩანაწერი მთლიანად:

1. კითხვა: ეწვევაში ყოფნის დროს, თქვენ იქაურ ემიგრანტებთან თავს ასაღებდით სხვადასხვა რევოლუციური საზოგადოებების მონაწილედ, და ელბიდან ჩაუტანეთ ერთ-ერთი იმ საზოგადოების მეთაურისაგან სარეკომენდაციო წერილი, რომლის ნამდვილობაში, თუმცა, ელბიდან დაიკვეთილ იყო.

ივალდებულეთ ავთისნათ, სახელდობრ როშელა საზოგადოების მონაწილედ ასაღებდით

თქვენ თავს ეწვევაში. აგრეთვე ვისგან და რა შინაარსის წერილი ჩაუტანეთ ელბიდან?

1. პასუხი: არავითარი რევოლუციური ან იმის მსგავსი საზოგადოებების მონაწილედ მე თავი არ გამოსაღებია. წერილი ელბიდანს ვადავეცი სწორედ ის, რომელიც ნიკოლაძისგან მივიღე და სხვა არავითარი წერილი არ გადავიცემა; მისი შინაარსი არ ვიცი, რადგან ვხაზში რომ მივდიოდი, არ შემეძლო მისი წაკითხვა.

ივანე ბოჩკარიოვი, მეშინინი.

2. კითხვა: იმ წერილთან ერთად, რომელიც წინა კითხვაშია მოხსენებული, თქვენ ელბიდანს დასაბეჭდებლად ჩაუტანეთ ძველი ნათარგმნი ხელნაწერი, რომელიც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ კაცობრიობამ, თუ მას სურს გადაარჩეს, უნდა შექმნას მსოფლიო რესპუბლიკაციენტრალური შთავრებით, რომელიც მოაწყობდა შრომის, საზღაურისა და სიამოვნების განაწილებას.

სახელდობრ ვისგან და რა საპრობლემისთვის იშოვნეთ და წაუღეთ სხენებული ხელნაწერი ელბიდანს, და სად ინახება იგი ამჟამად?

2. პასუხი: მე ნამდვილად გადავეცი ელბიდანს რვეული, რომელიც ნიკოლაძისგან მივიღე, გადავეცი ნიკოლაძის თხოვნით, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე; მისი შინაარსი არ ვიცი, რადგან არ წამკითხავს.

ივანე ბოჩკარიოვი, მეშინინი“!

როგორც ვხედავთ, ბოჩკარიოვი მტკიცედ იღვრა თავის ნათქვამზე და არ აძლევდა საშუალებას გამოძიებულს, ვაგოთ საქმის ნამდვილი არსი. ასეთი სიმტკიცით ბოჩკარიოვმა შესძლო გადადგურებისაგან გადაეჩინა პეტერბურგის რევოლუციური ზრგანისათვის სმორგონის აკადემია, რაც მისი დიდი ისტორიულადამსახურებაა.

მაგრამ საინტერესოა გაიარეს კითხვა, ყველაფერი გამოგონილი იყო ბოჩკარიოვის ზემოთ მოყვანილ ზეგნებებში, თუ მის ნაამბობში არის სიმართლის ნაწილი? ირკვევა, რომ მის ჩვენებებში, გამოგონილი ამბებთან ერთად, ნამდვილი, მართალი ფაქტებიც მოიპოვება. ბოჩკარიოვის მის მდგომარეობაში სქირდებოდა ტყუილ-მართლის იმგვარად შეხვევა, რომ შთავარი სიმართლე დაემალა. ხოლო მეორე ხარისხოვანი ფაქტები სიმართლით ელიარებინა, რათა მის ნათქვამს ცოტად თუ ბევრად დამაჯერებელი სახე ჰქონოდა. ეს გამოძიებულ კომისიას (თავისი როზანოვითურით) ასე თუ ისე მხილებს საფუძველს გამოაცხადდა და შემდგომი ჩაკების საშუალებას წაართმევდა. ბოჩკარიოვი ამ ძველ ამოცანას წარსტეხებით გაართვა თავი, სიმართლით აღიარა რა ზოგიერთი ნამდვილი ფაქტი, რომელიც ნ. ნიკოლაძესთან

მის დამოკიდებულებას შეეხებოდა. მაინც რა ფაქტებია ეს ფაქტები?

ჯერ ვართ, ის, რომ ივ. ბოჩკარიოვი ნიკოლაძის ნაცრობი ყოფილა პეტერბურგადანევი; მეორე, — ენევეაში ჩასვლისას ის პირველად ნიკოლაძესთან მისულა და მისი საშუალებით გაუცნია ელბიძინა და მისი დანარჩენი მეგობრები (ეს სრულიად ბუნებრივია; როგორც ჩანს, პეტერბურგის რევოლუციურმა ორგანიზაციამ, იცოდა ნიკოლაძე — ბოჩკარიოვის ურთიერთ ნაცრობობის ფაქტი და სწორედ მასთან გაგზავნა ეს უკანასკნელი); შემდეგ, — ნიკოლაძეს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩენია ბოჩკარიოვისათვის, ისიც კი უკისრია, რომ მისთვის ფრანგული ენა ესწავლებია. ეს ფაქტები უმადლესმა გამოქმედებლმა კომისიამ ყოველშერე შეამოწმა, ამიტომაცაა, რომ ამ კომისიის მიერ შეფასების წარდგენილ ერთ-ერთ მოხსენებაში ნათქვამია შემდეგი:

„ბოჩკარიოვი ენევეაში შეხვდა პეტერბურგის რევოლუციურების ყოფილ სტუდენტს ნიკოლაძეს, რომელსაც იცნობდა ჯერ კიდევ რუსეთიდან; მასთან ბოჩკარიოვი სწავლობდა ფრანგულ ენას და მისივე საშუალებით გაუცნო ელბიძინა და ენევეის სხვა ემიგრანტები“<sup>1</sup>.

ამრიგად, მრავალრიცხოვანი ფაქტებით უდავოდ დასტურდება, რომ ნ. ნიკოლაძე უაღრესად აქტიურ და თვალსაჩინო როლს თამაშობდა რუსეთის ემიგრაციის წრეებში 1864 — 1868 წლების პერიოდში, ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მაშინდელი რევოლუციონერები მას სთვლიდნენ ფრიად ნიჭიერ და საქმიან მოღვაწედ, ჩერნიშევსკის ერთგულ მიმდევარად, ხოლო შეფის პოლიტიკური პოლიცია თვალს აღევნებდა მის ყოველ ნაბიჯს.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ნ. ნიკოლაძეზე მოავრობამ სასტიკი პოლიციური მეთვალყურეობა დააწესა, რის გამოც მას მუდამ დასაღვდნენ უკან პოლიციის აგენტები, მის საეჭრნალ-გაზეთო წერტილებს განსაკუთრებული სიფრთხილით იბილაგდნენ გაფრთხილებული ცენზორები, მის წინააღმდეგ ფარულად თუ აშკარად მოქმედებდნენ შეფის მოავრობის გვერდინანი ჩინოვიციები, მოქმედებდა რეაქციის მსახურთა მთელი ზროვი. მაგრამ ნ. ნიკოლაძემ მაინც ბრწყინვალედ შეასრულა თავისი მოვალეობა, ის იყო თერგდალეულთა სახელოვანი რევოლუციურ-დემოკრატიული თაობის ერთ-ერთი გამოჩენილი და ნიჭიერი ხელმძღვანელი.

ასეთია მოკლედ საკითხების ის წრე, რომელიც გასულ საუკუნის 60-იან წლებში ნ. ნიკოლაძის საზღვარგარეთ მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული.

ახლა დავუბრუნდეთ ისევ პეტერბურგის სტუდენტთა მოძრაობას.

**10. პეტერბურგის სტუდენტთა მოღვაწეობა 1869 წელს და ქართველი სტუდენტობა.**

სტუდენტობა

60-იანი წლების მიწურულს „დასავლეთის“ სტუდენტობის დასაწყისის ხანა რუსეთში რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი გამოცოცხლებით აღინიშნა. ამ გამოცოცხლების პროცესის ერთ-ერთი შედეგი გამოხატულება იყო სტუდენტთა ახალი სერიოზული მღვლეობა, რომელმაც იფეთქა პეტერბურგში 1869 წლის გაზაფხულზე.

სტუდენტთა ეს ახალი პოლიტიკური გამოსვლა მზადდებოდა თანდათან, „თეთრი ტერორის“ უძრევლეს პირობებში. ზემოთ ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ რეაქციის სასტიკი მიმდევარების მიუხედავად, პეტერბურგის სტუდენტები არ წყვეტდნენ მუშაობას და ცდილობდნენ „მეორე რაზმ“ მაინც გაეეთხებინათ რევოლუციის საქმისათვის, რისთვისაც აწყობდნენ საიდუმლო შეკრებებს, ადგენდნენ ურთიერთდახმარების სალაროებს, აარსებდნენ ბიბლიოთეკებს და ა. შ. სტუდენტებს შეგნებული ჰქონდათ, რომ ასეთი თანდათან და ბუჯითი მუშაობის გარეშე შეუძლებელი იყო მოავრობის წინააღმდეგ სერიოზული გამოსვლების მომზადება. ცნობილი რევოლუციონერი ვერა ზასულია სწორად ვადასტურებს ამ რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდობის განწყობილებას, რომელიც ტერორის ეპოქაშიც არ წყვეტდა ნაკლებ ეფექტიურს, მაგრამ აუცილებელ მოსაშადებელ მუშაობას მომავალი რევოლუციური ბრძოლებისათვის. მისი სიტყვით, რევოლუციონერი სტუდენტები ამ დროს ასე მსჯელობდნენ: „რა თქმა უნდა, ეს არ არის „საქმე“, არ არის მუშაობა „ხალხის კეთილდღეობისათვის“, არ არის „რევოლუცია“. მაგრამ მაინც არადაც“ არის, რაღაც „ცხოვრება“... სალაროებს, კაცმა რომ თქვას, მიუხედავად უკიდურესი სიღარიბისა, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლეოდა: მოეხერხებოდა მათ შექმნას — კარგია, მაგრამ თუ ვერ მოეხერხებოდა, მაინც კარგია; შეკრებები მომზადდებოდა თავისთავად“<sup>1</sup>.

ჩვენ ხელთ არსებული საარქივო მასალები მოწმობენ, რომ პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ავანგარდში მიდიოდა როგორც ტერორის ეპოქაში, როცა მზადდებოდა სტუდენტთა ახალი გამოხვლა, ისე 1869 წლის მოღვაწეობის დღეებში. ქართველი სტუდენტების რევოლუციური განწყობილება, მათი მზადყოფნა პრაქტიკულად გაერთიანებულ იყვნენ მაღალი ზონებისათვის, დარაზმულიყვნენ ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, სრულიად ვარკვევით ჩანს მაშინდელი საბუთებიდან, კერძოდ სტუ-

<sup>1</sup> ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 441. докл. т. 5-й, л. 240, 1869 г.

<sup>1</sup> Вера Засулич, Воспоминания, М. 1931 г. стр. 20—21.

დენტო მიწერ-მოწერიდან. დავაეორდეთ, მაგალითად, ამ საინტერესო სტრიქონებს:

„ერთი თვის წინად შევეჯივოდეთ ჩვენ პირველად ოცდაათამდე კაცი, ვილაპარაკეთ იმაზე, თუ როგორ მოვაწყობოთ და დავაყაროთ ერთმანეთ შორის კავშირ-ურთიერთობა. საქმე, რომელიც ჩვენ გვანტერესებდა, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფოდით, ეს იყო გაერთიანება, ჯერ-ჯერობით თუნდაც მარტო კავკასიელი ახალგაზრდობისა. ვითათბობრეთ, ვიცამათეთ, ვიყვარეთ... გადაწყვიტეთ: გვიყოფთ რამდენიმე წრედ, — თვითველში ათ-ათი კაცი, — ეს წრეები შევკრავდნენ ხოლმე კვირაში ერთხელ შაბათობით, ხოლო წრეებს შორის განცალკევება რომ არ მოხდეს, კუარაობით შეიკრიბონ ხოლმე სხვადასხვა წრის წრეები, თვითველი წრიდან რომ ან სამი წარმომადგენლის შემადგენლობით. მაგრამ ამ წრეებისაგან დამოუკიდებლად... გადაწყვიტეთ შევექმნად სალარო... ეს კარგი საქმეა, თუმცა თავისთავად სალარო მე მიანტერესებს მხოლოდ როგორც ახალგაზრდობის ორგანიზაციული გაერთიანების აბრეშუბი...“

სხვა დროს მე თქვენ დაწვრილებით ვიამბობთ იმ გვეგების შესახებ, რომელთა განხორციელება განზარაბული აქვს რამდენიმე კაცს და მათ შორის მეც<sup>1</sup>.

ეს სტრიქონები ამოღებულია ნიკოლოზ ყიფიანის წვენიდან უკვე ცნობილი წერილიდან ეარლამ ჩერქეზიშვილისადმი. წერილს უზუსტო თარიღი: 1867 წ. 18 ნოემბერი, თუმცა ავტორის გვიტ პტონია, რომ მისი წერილი აღვილად შეიძლება იცნუროს ჩავარდნილია ხელში, მაგრამ ამასაც არ მოიადგებია და საქმიად ნათლად ჩამოუყალიბებია ქართულ სტუდენტთა მამინდელი სულისკვეთება.

კიდევ უფრო საინტერესოა ე. ჩერქეზიშვილის სტუდენტი, რომლებიც ნ. ყიფიანის იმავე წერილში მოყვანილი. თუ ყიფიანი ჯერ კიდევ არ იყო მთლად დარწმუნებული, რომ სტუდენტი ახალგაზრდობის უმრავლესობა შესძლებდა მოკლე ხანში აქტიურად ჩაბმულიყო რევოლუციური მოძრაობაში, უფრო გამოცდილ ჩერქეზიშვილს ამაზე ეჭვიც არ ეპარებოდა. ის სრული რწმენით აცხადებდა, რომ ახალგაზრდობა „გამოიხენის მხადყოფნას გააყოფოს საქმედ და სიმტკიცეს ჩადგეს ცეცხლში, როცა ვაჟსმის ხმა და გაჩნდება აღამიანი, რომელიც წინ გაუძღვება მათ“<sup>2</sup>.

ასე ფიქრობდნენ, ასე ირახმებოდნენ და ვმხადებოდნენ ჩვენი სტუდენტები ნამდვილი „საქმისათვის“, ე. ი. ცარიზმის წინააღმდეგ სერიოზული პოლიტიკური გამოსვლისათვის, და ამ ასეთი გამოსვლის დღედ მალე დადგა. სტუდენტთა მოძრაობა შესამჩნევად გაძლიერდა ჯერ კიდევ 1868 წლის შემოდგომაზე, ამ-

კარა მელეუარება კი დაიწყო 1869 წლის 6 მარტს, სამედიცინო-ჭირბრევილი, ქვეყნის სტუდენტთა შორის. მალე შედგებინ: მაგალითის მიხედვით ტენოლოგიური ინსტიტუტისა და პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებმა და დაიწყო სტუდენტთა ხალხმრავალი, მელეუარე შეკრებები, რომლებიც მთელ კვირას გრძელდებოდა. სტუდენტები მოითხოვდნენ შეკრებათა თავისუფლებას, სალაროებისა და სხვა სტუდენტთა ორგანიზაციების შექმნის უფლებას, აღამიანურ მოპერობას.

აღამიანური, რომ სტუდენტთა მოძრაობათან შეიძლოდ იყო დავაეზიზებული ანარქისტული მიმართულების რევოლუციონერთა ჯგუფი, რომლის მოლაწრობა ცნობილი რევოლუციონერის სერგეი ნეჩაევის სახელთანა და დაეშორებულს. როგორც მკვლევარი შ. ლევინი მიუთითებს, „ნეჩაევი და მისი მომხრეები ცდილობდნენ შეექმნათ თავიანთი სრულიად რუსეთის ორგანიზაცია და სტუდენტთა მელეუარებას უყურებდნენ როგორც ისეთ შემთხვევას, რომელიც ხელს შეწყუობდა ამ მოციანის სწრაფად გადაჭრას“<sup>1</sup>.

ნეჩაეველებს, რომლებიც ცნობილ ანარქისტ მ. ბაქუნინის მიითვებებოთ ხელმძღვანელობდნენ, ამ დროისათვის უკვე გამოშვებულნი ჰქონდათ „რევოლუციური მოქმედების პროგრამა“, რომლის ავტორი, როგორც მკვლევარები ფიქრობენ, ან თვით ნეჩაევი იყო, ან მისი უახლოესი თანამოაზრე ტაჩევი. ამ გაბედული პროგრამის მიხედვით სტუდენტთა მოძრაობა უნდა გამხდარიყო გამოსავალი წერტილი, დასაწყისი უფრო ფართო მოძრაობისა, რომელიც 1870 წლის გაზაფხულისათვის საერთო აჯანყებად უნდა გადაქცეულიყო.

მაგრამ ნეჩაეველებმა ვერ შესძლეს სტუდენტთა მოძრაობა თავის გავლენის ქვეშ მოეციათ, რადგან უკვე მაშინ გამოშვებულა ნეჩაევის რევოლუციური შემოაბის მეთოდების იშვარად მცდარი და არსებითად პროვოკაციული ხასიათი (მოტყუება, მისტიფიკაცია, შანტაჟი).

მოთერობამ უდიდესი საფრთხე აღინახა სტუდენტთა მელეუარებაში და გადაწყვიტა ზომები მიიღო მის ჩასახშობად. სამედიცინო-ჭირბრევილი აჯანყება დახურეს; „რევოლუციაში“ მონაწილე სტუდენტთა მრავალიცხოვანი ჯგუფები დააკტიმრეს; ამოქმედეს საჯანყებო სასამართლოები, რომლებიც მასობრივად რიცხავდნენ „დამნაშავე“ სტუდენტებს უმალესი სასწავლებლებიდან. ბევრი სტუდენტი, ყანდაზმა მთეს ვანკარგულებით, დაუყოვნებლივ გაასახლეს პეტერბურგიდან.

აღამიანური, რომ პეტერბურგის სტუდენ-

<sup>1</sup> Ш. М. Левин, Общественное движение в России в 60—70-ые годы XIX века, М., 1963, стр. 261.

<sup>1</sup> ЦГИАМ, ф. 95, оп. 2, л. 355, л. 249.

<sup>2</sup> იქვე.

ტმა 1869 წლის მღელვარების ისტორია საერთოდ და კერძოდ კი ქართველების მასში მონაწილეობის საკითხი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი, ამიტომ ჩვენნი ცნობები ქართველ სტუდენტების მასში მონაწილეობაზე სრული არ არის. მიუხედავად ამისა, უკვე ის ცნობებიც, რაც ჩვენ ამჟამად ხელთ გვაქვს, საფუძვლად გვაძლევენ სრულიად გარკვევით განვსაზღვროთ, რომ ქართველ სტუდენტებს 1869 წლის მღელვარებაში უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიუღიათ, რისთვისაც ბევრი მთავანი მთავრობას მკაცრად დაუსჯია. ჩვენ საფუძველად გვაქვს განვსაზღვროთ აგრეთვე, რომ ქართველ ახალგაზრდებს და საერთოდ კავკასიელებს, მათი დაპატიმრებისა და გასამართლების დროს თავი ექიზნებოდა, როგორც ნამდვილ გამოცდილ რევოლუციონერებს. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტის სასამართლოზე მათ განუცხადებიათ: ჩვენ უარს არ ვამბობთ ჩვენს მოთხოვნილებებზე და განზრახული გვაქვს მომავალშიც მონაწილეობა მივიღოთ სტუდენტთა შეკრებებში<sup>1</sup>.

საინტერესოა ილინიშნოს, რომ მთავრობას დიდხანს ახსოვდა კავკასიელ სტუდენტთა ეს ვაგბდული განცხადება. შემდეგში, როცა დაიწყო საკითხი: ხომ არ შეიძლება პეტერბურგის უნივერსიტეტიდან გამოირიცხული კავკასიელი სტუდენტები რომელიმე სხვა ქალაქის უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხოთ სწავლის დასამთავრებლად, განათლების მინისტრი გრათი ტოლსტოი ასეთ დამოძიბის დასაშვებლად მიიწინააღმდეგა მხოლოდ ზოგიერთს, ნაკლებად დამნაშავე სტუდენტის მიმართ და ისიც შემდეგი პირობით: „უნივერსიტეტებში მიღების დროს, მათ ჩამოერთვათ ხელწერილი, რომ უარს ამბობენ თავიანი განცხადებაზე, რომელიც მათ უნივერსიტეტის სასამართლოზე შეკრების იმის შესახებ, რომ მომავალშიც განზრახული აქვთ მიიღონ მონაწილეობა სტუდენტთა შეკრებებში“<sup>2</sup>.

ახლა გვარკვევით, ვინ იყვნენ ის ქართველი სტუდენტები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს სტუდენტთა ზემოხსენებულ მღელვარებაში და მთავრობის რისხვაც დაიმსახურეს? დღემდე ცნობილი იყო, რომ მღელვარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო და მკაცრად დაისჯა სამი ქართველი სტუდენტი, სახელდობრ ბესარიონ ჯუფარიძე, თედო ბებურიშვილი და ნიკოლოზ ორბელიანი, რომლებიც შეტანილი იყვნენ ბიოპიბლიოგრაფიულ ლექსიკონში „Деятели революционного движения в России“. ამ ლექსიკონის მეორე ტომში, რომელიც ჯერ კიდევ 1928 წელს დაიბეჭდა, ხსენებული სტუდენტების შესახებ შემდეგი იყო ნათქვამი:

„ბებურიშვილი, თედორე, სპ. უნ-ტის სტუდ. 1868 — 69 წ. წ. სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებული და დაწყვეტილი იყო პეტრე-პავლეს ციხეში, 1869 წ. 27 მარტს, ეანდარმთა შეფის განკარგულებით, გადასახლებული იქნა სამშობლოში“<sup>1</sup>.

„ჯუფარიძე, ბესარიონი, სპ. უნ-ტის სტუდ. 1868 — 69 წწ. სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობისათვის იყო დაპატიმრებული, იუდა პეტრე-პავლეს ციხეში და 1869 წ. 27 მარტს გადასახლებულს ქუთაისში, ეანდარმთა შეფის განკარგულებით“<sup>2</sup>.

„ორბელიანი, ნიკოლოზ ვახტანგის ძე, თავადი, გენერალ-მაიორის შვილი, სპ. უნ-ტის სტუდ., მონაწილეობას ღებულობდა 1868 — 69 წწ. პეტრე-პ. სტუდ. მღელვარებაში, 1869 წ. დაპატიმრებული იყო და პეტრე-პავლეს ციხეში ყოფნის პერე, ეანდარმთა შეფის განკარგულებით, 27 მარტს გადასახლებული იქნა სამშობლოში თბილისის გუბ., იმვე წლის აგვისტოში მიიღო ნებართვა შესულიყო კიევის უნ-ტის იურილ. ფაკ., იყო ნატიკი ევქილი. 1879 წ. განთავისუფლდა ზედამხედველობისაგან“<sup>3</sup>.

ამჟამად ჩვენს მიერ ახლად მიკვლეული საარქივო მასალები საშუალებას გვაძლევს დაედგინოთ, რომ ზემოხსენებულ სტუდენტებს გარდა მღელვარებაში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ და მკაცრადაც ყოფილან დასჯილი შემდეგი ქართველი სტუდენტები: ნიკოლოზ ყიფიანი, დიმიტრი სულხანიშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი და ლეონ მღებრიშვილი, აგრეთვე სომეხი ახალგაზრდობის მოწინავე წარმომადგენლები, თბილისელები — სტუფანე ზარაბოვი, პავლე იზმაილოვი და ვასილ შავერლოვი.

ყველა ზემოთდასახლებული სტუდენტების შესახებ საინტერესო ცნობები მოიპოვება სპ. ქართულის ცენტრალური საისტორიო არქივის ერთ-ერთი საქმეში, რომელსაც სათაურად აქვს «О беспорядках в высш. учеб. заведениях и об исключенных из них студентах».

ამ საქმიდან ვცნობილობთ, რომ ყველა ზემოთხსენებული სტუდენტი გაურცილებლად სასწავლებელიდან და ეანდარმთა შეფის განკარგულებით გადმოუტახლებიათ ამიერკავკასიაში. სტუდენტების გადმოსახლება მომხდარა სასწრაფო წესით და თანაც მკაცრი პოლიციური წესების დაცვით ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქ. ვორონეჟშიმდე თვითველ სტუდენტს მოჰყვებოდა პოლიციის საგანგებო წარმომადგენელი, ხოლო ვორონეჟიდან დანიშნულების ადგილამდე სტუდენტები მიდიოდნენ გადასახლებულთათვის დადგენილი ჩვეულებრივი წესით. გარდა ამისა პეტერბურგის ობერ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 45.

<sup>2</sup> იქვე, 102.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 294.

<sup>1</sup> ЦГИАМ, ф. 17, д. 26, л. 75.

<sup>2</sup> იქვე.



პოლიციისტები ტრეპოვი თვითველი ვადმო-  
სახლებული სტუდენტის შესახებ გუბერნა-  
ტორს უგზავნიდა საგანგებო მიმართვას. მოგე-  
ვახს სანიმუშოდ ერთ-ერთი მიმართვის შინა-  
არსი:

„ბატონ თბილისის გუბერნატორს.

პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტთა  
არეულობასთან დაკავშირებით აუცილებლად  
იქნა ცნობილი ვადმოსახლდეს სამშობლო-  
ში ჭ. თბილისში, უნივერსიტეტიდან გამოჩი-  
ვბული სტუდენტი ნიკოლოზ ყუფიანი.

მისი იმპერატორობით უდიდებულესობის  
კანცლარის III განყოფილებაში ბნში მთავარ-  
მა უფროსმა ინება ნება დაერთო, რომ ყუფიანი  
გამოიგზავნოს ჭ. ვორონეჟამდე რკინიგზით  
პოლიციელს (полицейскому) თანხლებით, ხოლო  
იქედან დანაშნულბის ადგილამდე — დაწესე-  
ბული წესრიგით“.

შედეგების აქტიურ მონაწილე სტუდენტთა  
უპირველსება ვადმოსახლებული იყო თბილი-  
სის გუბერნიამში, ხოლო ორი სტუდენტი, სა-  
ხელდობრ თედო ბებურიშვილი და ბესარიონ  
ჯიფარიძე — ქუთაისის გუბერნიამში.

საქმიდან ჩანს, რომ გუბერნატორებმა თავ-  
დაპირველად არ იცოდნენ, რა დანაშაული  
პქონდათ ან როგორ მოპყრობოდნენ ვადმოსახ-  
ლებულბებს; ამის გამო გამართულა მიწერ-  
მოწერა ადგილობრივ ხელისუფლებასა და პე-  
ტერბურგს შორის, საიდანაც ბებური სანიტერე-  
სი ფაქტი ირკვევა: შინაგან საქმეთა მინისტრის  
განკარგვლებით, ყველა ზემოხსენებულ ვად-  
მოსახლებულ სტუდენტზე დააწესეს შკაცრი პო-  
ლიციური მეთვალყურეობა. აი, რა იყო ამის  
შესახებ ნათქვამი შინაგან საქმეთა მინისტრის  
შემატებელში გუბერნატორისადმი: „იმ ვითარე-  
ბასთან დაკავშირებით, რამაც ს. პეტერბურგი-  
დან ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში მომ-  
ხდარი არეულობის მონაწილეთა გააქვეება გა-  
მოიწვია, საქიროდ იქნა ცნობილი, რომ ამ  
არეულობის გამო ვადმოსახლებულ ბარებზე და-  
აწესდეს პოლიციური ზედამხედველობა, ამას-  
თან აეკრძალათ მათ იმ ადგილებიდან ვასვლა,  
სადაც ისინი იქნებიან ვადმოსახლებული და  
ფართოვე დედაქალაქებში და დედაქალაქების  
გუბერნიებში შესვლა“.

ცოტა უფრო გვიან ქანდარმთა შეფხა საგან-  
გებო მიმართვა გამოუგზავნა კავკასიის მე-  
ფინსაცხალს, რომელშიც დაწერილებით გან-  
მარტავდა სტუდენტთა მოძრაობის მიზეზებს,  
მითითებდა იმ საფრთხეზე, რომელსაც ეს  
მოძრაობა შეიცავდა და სთხოვდა მიეღო საგან-  
გებო ზომები იმისათვის, რომ ზაფხულში,  
არდაღებულ მყოფ სტუდენტებს არ მისცემო-  
დათ საშუალება დაეკავშირებოდნენ საზოგადოე-  
ბის „დაბალ კლასებს“. ეს დოკუმენტი ძალიან

სანიტერესთა ირა მარტო იმიტომ, რომ მასში  
კარგად ხანს, როგორც ესმოდა მთავრობას, სტუ-  
დენტთა მღელვარების აღმოცენების მიზეზები,  
არამედ განსაკუთრებით იმიტომ, რომ იმ ნათ-  
ლად გვიჩვენებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას  
ანიჭებდა მთავრობა სტუდენტთა მოძრაობას და  
როგორ ეწინააღმდეგებოდა ვანწყობილი  
სტუდენტების საქმიანობას მაშინაც კი, როცა  
მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ვადმოსახლებასა  
და პოლიციის სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ  
იმყოფებოდა. გავეცნოთ ამ დოკუმენტის ში-  
ნაარსს.

შეგის ნაცვლის მთავარსამმართველოს უფ-  
როს ბარონი ნიკოლაი 1869 წლის 25 ივნისს  
საგანგებო მიმართვას უგზავნის გუბერნატო-  
რებს, რომელშიც ნათქვამია: „ქანდარმთა შეფხა,  
მიმდ. წლის 7 ივნისს, აცნობა დიდ მთავარს,  
შეფხინაცხალს, რომ პეტერბურგის უმაღლეს  
სასწავლებელში მომხდარი არეულობა მიზეზი  
ვასდა ვრცელი საქმის შედგენისა, საიდანაც  
ჯერ-ჯერობით გამოიჩინა ორი უცილობელი  
ფაქტი:

1) სტუდენტებისთვის სრულიად ვარეშე პი-  
რები, რომლებიც სახლგარეეთ მყოფ რუსე-  
თიდან წასულბთან კავშირში იმყოფებიან,  
ცდლობდნენ ვავლენა მოეხდინათ სტუდენტებ-  
ზე, სარგებლობდნენ რა მათი გამოუცდლობით,  
იმ მიზნით, რომ მათი საშუალებით ვანწყობი-  
ელებიანთ თავიანთი მთავრობის საწინააღმდეგო  
ზრახვება. ზოგიერთებმა ამ პირთაგან, რომლე-  
ბიც თავის დროზე არ იყენენ დაბატონებულნი,  
მოასწრეს სახლგარეეთ დამალვა, საიდანაც  
ისინი უდიდესი რაოდენობით ვზავნიან იმპე-  
რიის სხვადასხვა ადგილებში ყოველად იმპე-  
რითებულ პროკლამაციებს.

2) ამ მავნე პირების პროპაგანდის ვავლენით  
ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენ-  
ტთა შორის შეიქმნა წრეები, რომელთა მიზანია  
ისარგებლონ არდაღებვისის დროთა იმისათვის.  
რომ წაეიდნენ თავიანთი ბინადრობის ადგილებ-  
ში და იქ ვასწიონ პროპაგანდა დაბალი წოდე-  
ბის ხალხში, უმთავრესად იმ მიზნით, რომ და-  
მხინჯებულად წარმოადგინონ ვლუბთა მღგო-  
მარეობა და გამოიწვიონ, თუ შესაძლებელი  
იქნა, ვავტებობა და არეულობა 1870 წლის  
დადგომასთან დაკავშირებით.

რადგანაც მომავალი 1870 წლიდან ბატონე-  
მობიდან გამოსულ ველებთა სავალდებულო  
დამოკიდებულება მემაბულესთან საბოლოო  
ისპობა, ზემოხსენებულის მსგავსი პროპაგან-  
და განსაკუთრებით საშიშია. ამიტომაც მისი  
იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანე-  
ბით, გუბერნიების ყველა უფროსს აუცილებლ  
მოვალეობად ეცისრება დააწესოს, მიმდინარე  
წლის ზაფხულში, უადრესად გულმოდგინე  
მეთვალყურეობა ახალგაზრდობაზე, განსაკუთ-  
რებით უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებ-  
ზე, რომლებიც მათი მმართველობის რაიონე-

1 ЦГИА, ф. 17, л. 26, л. 3.  
2 იქვე, ფ. 28.

იქნებინ, და თვალუფრო ადვილს მათ ურთიერთობას მოსახლეობის დაბალ კლასებთან, ამ ანგარიშით, რომ ასეთი ახალგაზრდებს მოქმედებაში თუი ოდნავ მაინც რაიმე აღმოჩნდეს დასავლობა, დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები, ვითარების მიხედვით<sup>1</sup>.

აქედან ცხადია, თუ რა დიდ საფრთხეს ხედავდა მთავრობა სტუდენტთა რევოლუციურ მოქმედებაში. ამიტომაც იყო, რომ უნივერსიტეტიდან გამორიცხულ სტუდენტებს წლების განმავლობაში არ მოაშორეს პოლიციის ზედამხედველობა და არ მისცეს საშუალება (ზოგიერთ გამონაკლისს გარდა) გავგრძელვებით სწავლა რუსეთის რომელიმე უნივერსიტეტში.

ამ მხრივ დამახასიათებელია მაგალითი ნიკოლოზ ყიფიანისა, რომელმაც, მამამისის დიდი გავლენიანობის მიუხედავად, ვერც მოახერხა წყლის გავრძელება. აჩქარვის ზემოთხსენებულ საქმეში არის ცნობა, რომ 1870 წელს 16 ანუარს დიმიტრი ყიფიანმა თვითონ მიმართა მთავრობას თხოვნით, ნება დაერთოთ მისი შეაკისთვის გავგრძელება სწავლა ოდესის ან ხარკოვის უნივერსიტეტში, თანაც მსკოვანი მოღვაწე აცხადებდა, რომ პირადად ის იქნებოდა თავდება შვილის ლიბალიზისა მთავრობის მიმართ, მაგრამ ამ თხოვნამაც არ ვასტრა.

რაც დარწმუნდა, რომ უმაღლესის დამთავრების საშუალებას მთავრობა მას აღარ მისცემდა, ნიკ. ყიფიანმა გადაწყვიტა საშხატურში შესულიყო, რისთვისაც 1870 წლის მაისში მან სათანადო თხოვნით მიმართა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს. თხოვნაში ნათქვამია:

„უკანასკნელ დრომდე მე იმედი მქონდა, რომ უმაღლესი უფროსებისაგან მივიღებდი ნებართვას ჩამებარებია რუსეთის რომელიმე უნივერსიტეტში საბოლოო გამოცდა იურიდიულ ფაქულტეტზე. მაგრამ, რადგან ეს იმედი ამ ბოლო დროს განუთხოვრებელი შეიქნა, მე გადავწყვიტე უმაღლესად ვთხოვო თქვენს აღმატებულებას, რომ არ მითხოვონ უარი და გამომიტოვონ ნებართვა შევიდო სახელმწიფო სამსახურში“<sup>2</sup>.

საქმიდან ჩანს, რომ ნ. ყიფიანისთვის (აგრეთვე ალ. მღებრიშვილისთვის) უმაღლეს მთავრობას ნება დაურთავს, შესულიყო სამსახურში, ოდნე იმ პირობით, რომ კვლავ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ დარჩენილიყო. დაახლოებით ორი წლის შემდეგ თბილისის გუბერნატორს ხელახლა აღუძრავს შეამდგომლობა, შეეცნათ ნ. ყიფიანისა და მისი მეგობრებთანთვის პოლიციური ზედამხედველობა, მაგრამ ამჯერადაც ზემდგომი ორგანოებიდან უარი მიიღია<sup>3</sup>.

ახლა ვითხოვთ, რა ხდებოდა პეტერბურგში მას შიშოთა. რაც იქ სტუდენტთა მღელვარება

ჩაახშეს და მისი აქტიური მონაწილენი გადასახლეს?

პეტერბურგში რევოლუციური შეტევაზე გადვიდდა გულწორად რა სტუდენტებს, შთაერობაში უნდა გიულად მოჰკიდა ხელა ნეჩაეველთა საიდუმლო ორგანიზაციას, ე. წ. „ნაროდნაია რასპრავსა“ განადგურებას. ჯერ კიდევ სტუდენტთა მღელვარების დროს დაპატიმრეს ამ ორგანიზაციის აქტიური წევრები პეტერბურგში, ხლო კოტა გვიან, სახელდობარ 1869—70 წწ. ზამთარში განადგურეს ნეჩაეველთა მოსკოვის ორგანიზაცია. მთავრობამ დაპატიმრებულები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ნეჩაევის მეთოდებს არ იწონებდნენ და მას ოპოზიციამ ედგნენ, პასუხისმგებანი მისცა. რევოლუციონერებს ყველგან სასტიკად სდევნიდნენ, მეფის მთავრობა გამარჯვებას ზემოზდა.

ასეთ პირობებში. ცხადია, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის ქართველი სტუდენტებო, რომლებიც სტუდენტთა მღელვარების შემდეგ შემთხვევით გადურჩნენ რეპრესიებს და ისევ პეტერბურგში ცხოვრობდნენ. ბევრი მთვანი მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობაში პოლიციას დიდი ხანა შემწინეული ჰყავდა და ისინი იმუღებული იყვნენ ვასილოდნენ პეტერბურგს. ამ უკანასკნელთა რისკს ეუფთხილდა, მაგალითად, ზვენიტის უკვე ცნობილი დავით ლოლობერიძე, რომელსაც 1870 წლის დასაწყისში დაუტოვებია პეტერბურგი და გამგზავრებული ოდესაში.

ზვენ ხელთა გვაქვს დავით ლოლობერიძის ერთ-ერთი უახლოესი მეგობრის, სტუდენტ ივანე ერისთავის სამი წერილი (რუსულად დაწერილი). რომლებიც მას 1870 წლის დასაწყისში პეტერბურგიდან გავგზავნია დავითთათვის ოდესაში. მართალია ამ წერილებში ძალიან ფრთხილად და მხოლოდ გადაკრული არის ლაპარაკი პეტერბურგის მამანდელ ქართველ სტუდენტთა პოლიტიკურ მისწრაფებებზე, მაგრამ მაინც ვარკვევით ჩანს, ჯერ ერთი, ის ატმოსფერო რომელშიც დ. ლოლობერიძეს უხდებოდა მოღვაწეობა პეტერბურგში მისი ყოფნის უკანასკნელ წლებში, ხლო მეორეც, — პეტერბურგიდან მისი წასვლის ნამდვილი მიზეზება. ვავეცნოთ რამდენიმე ამონაწერს ამ წერილიდან.

პირველ წერილში, რომელიც დაწერილია 1870 წლის 22 თებერვალს ნათქვამი: „გამარჯობა, მხოლოდ რაგორ ცხავრობ სამხრეთის თბილ და მშვენიერ ოდესაში? ხმა ვაგვეცო შენ წერილს ყველა ველოდებით... შენი წასვლის შემდეგ ჩენი სალონი საბოლოოდ დაიშალა კირილ სავსებით გადაბარგდა პეტერბურგის მხარეში... მას და ბეთანივს, ამჟომენ, დახსრულებული დისპუტებში აქვთ ანტროპოიზისა და პისარევის გამო“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> დ. ლოლობერიძის პირადი წერილების კოლექცია, ფურც. 301.

<sup>1</sup> Шт. в. 19, 26, 53 — 54.

<sup>2</sup> იქვე, ფურც. 81.

<sup>3</sup> იხ. იქვე, ფურც. 149.

მეორე წერილიდან (1870 წლის 10 მარტს) ჩვენ ვტყობილობთ თუ კიდევ ვინ შედიოდა იმ ხანებში — ზემოთხსენებულ პირებს ვარდა — ქართველი სტუდენტების სალონი ანუ წრეში. გაასკვამს რა თავის მეგობარს იმ ხანად პეტერბურგში ჩატარებულ ერთ-ერთი საინტერესო ღვეტიის ჩატარების ამბავს, წერილის ავტორი დასძინა: „დასწრეთა უმრავლესობას ღვეტიანზე შეადგინდნენ ქალები, სტუდენტები და პროფესორები. ჩვენებიდან იყვნენ ალხაზოვი, დავით-გულბარჩიხი, ნაცვალოვი და მე“<sup>1</sup>.

დაბოლოს მესამე წერილში (1870 წ. 31 მარტი) ლაპარაკია პეტერბურგიდან ქართველი სტუდენტების წრის კიდევ ორი თვალსაჩინო წევრის გიორგი ნაცვალშვილისა და კირილე ლორთქიფანიძის წასვლის შესახებ. აი, ავტორის სატყუებო:

„მეგობარო დავით! ამ საღამოს მივიღე შენი წერილი. ნამდვილად ყოჩაღი ბები მყავხარ, ყოჩაღი ხარ და ისაა ამის შესახებ მეტის თქმა აღარ შეიძლება... გაცნობებ ზოგიერთ ახალ ამბავს ჩვენი წრის შესახებ... გ. ნაცვალოვი წავიდა პეტერბურგიდან. აი ეს როგორ მოხდა. ერთი მრავალთაგანი ერისთავი, რომელსაც კახაყის ქალი ჰყავს ცოლად და კიევში ცხოვრობს, ჩამოვიდა აქ თავის საქმეებზე და წინადადება მისცა ნაცვალს ემუშავა მასთან მმართველად მისი ცოლის ერთ-ერთი მამულისა, რომელიც 2.000 დ. (რუბლიანი), ჯამაგრიით წელიწადში 500 მან. ნაცვალს მიეზღო მარტო იცხოვრებს (სახლი ექვსი ოთახისაგან მის განკარგულებაში იქნება) და მამულს თავისი შებენდულებისამებრ უხელმძღვანელებს. ის დავთანხმდა ამ წინადადებას და გაემგზავრა. წასვლის წინ ცბა მოწყვნილი იყო... ამ დღეებში, სახელდობრ ეს, შვიანი 6 აგვისტოს პეტერბურგში მოხდება არაჩვეულებრივი ამბავი... ამ დიდმანაშენელოვან დღეს განხორციელდება კირილე ლორთქიფანიძის საზეიმო წასვლა დედაქალაქიდან და შეიღო დღის შემდეგ იღებსა მიიღება მას თავის წიაღში“<sup>2</sup>.

ამ ამონაწერებიდან ჩვენ უბრველეს ყოვლისა ვტყობილობთ, რომ ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის სტუდენტობის დროიდან არსებულ ქართველი სტუდენტების სალონი ანუ პოლიტიკურ თანამაზრეთა წრე, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა და განუწყვეტლივ იცეხოდა საქართველოდან ჩასული ახალ-ახალი კადრებით, 70-იანი წლების დამდეგისათვის, ვაძლევრებულ რეაქტივის შედეგად, საბოლოოდ დაშლილა. ა. დ. ლორთქიფანიძის შემდეგ პეტერბურგს გასულიან აგრეთვე ქართული წრის ისეთი თვალსაჩინო წევრები, როგორიც იყვნენ კ. ლორთქიფანიძე და გ. ნაცვალშვილი.

ზემოთ მოყვანილი ამონაწერები საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ნაწილობრივ მინეც აქალ შექმნ პუნის ქართველ სტუდენტთა წრის შემადგენლობას; კერძოდ, ირკვევა, რამდ. დ. ლორთქიფანიძისთან, კ. ლორთქიფანიძისთან და სხვა გამოჩენილ სტუდენტ-რევოლუციონერებთან უახლოეს კავშირ-ურთიერთობაში ყოფილან ქართველ სტუდენტთა წრის შედარებით ნაკლებად ცნობილი წევრები, სახელდობრ: თვით ზემოთ ციტირებული წერილების ავტორი ივანე (ვანო) ერისთავი, ბუთანელი (ბუთანიშვილი),<sup>1</sup> იაკობ (იაშა) ალხაზიშვილი და დავით-გულბარჩიხი<sup>2</sup>. სამწუხაროდ, ამ სტუდენტთა რევოლუციურ მოღვაწეობაზე კონკრეტული ფაქტები ვერაჯერობით არ მოკვებოვება.

დაბოლოს, ამითხველის ურადლება გვინდა მივქციოთ ციტირებული წერილების ამ ადგილს, სადაც ლაპარაკია კირილე ლორთქიფანიძისა და მისი ბუთანელის „გაუთავებელ დისპუტებზე“ ანტირევიზიონისა და პისარევის გამო“. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ახალგაზრდა ქართველ რევოლუციონერებს დაუსრულებელი ლაპარაკი ჰქონიათ იმ დიდ იდეურ ბოლშევიკის ირგვლივ, რომელსაც 60-იან წლებში ადგილი ჰქონდა რუსეთის ორ უველაზე გამოჩენილ რევოლუციურ-დემოკრატიულ ირგვანოს — ეფრენალ „სოცრემნიკსა“ და ეფრენალ „რუსოკოესლოვს“ შორის. როგორც ცნობილია, „სოცრემნიკის“ მხრიდან ამ კამათში მთავარ როლს თამაშობდა ჩერნიშევსკის თანამებრძოლი მ. ანტონოვიჩი, ხოლო „რუსოკოესლოვს“ მხრიდან — დ. პისარევი. მათი კამათი შეეხებოდა მაშინდელი რუსეთის ცხოვრების მიერ დღის წესრიგში დასმულ უმნიშვნელოვანეს სოციალურ-პოლიტიკურ, ფილოსოფიურ და სხვ. პრობლემებს, რომლებიც მაშინდელი რუსეთისა და საქართველოს მოწინავე ახალგაზრდობას აღუვებდა.

ჯერ კიდევ 1866 წელს, მეფეზე კორაკოზოვის თავდასხმის შემდეგ, მთავრობამ საბოლოოდ დახურა როგორც „სოცრემნიკთა“, ასე „რუსოკოესლოვთა“ მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ეფრენალების ფერცლებზე ატეხილი იდეური კამათი მრავალი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და

<sup>1</sup> წერილში ნახსენები „ბუთანელი“, როგორც ჩანს, იგივე მიხეილ ბუთანიშვილია, რომელმაც 1869 წელს პეტერბურგში ქართულად გამოისცა ილია ჭავჭავაძის „კაცია, აღამინაი!“

თუ გავიხსენებთ, რომ ამაზე ადრე (1864 წ.) კირილე ლორთქიფანიძემ იმავე პეტერბურგში გამოისცა შესანიშნავი, რევოლუციური სულისკვეთებით გატენილი კრებული „ჩონგვისა“, გასაყები ვახლება, რომ „ქართული სალონი“ წევრები დიდ ურადლებას უთმობენ საგამომცემლო საქმიანობას.

<sup>2</sup> აქ უნდა იგულისხმებოდეს დავით ერისთავი, — გიორგი ერისთავის (გულბარჩიხის) ვაჟი.

<sup>1</sup> იქვე, ფ. 309

<sup>2</sup> იქვე, ფ. 297—298.

ღრმადედგოდა რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობაში.

და აი, ზემოთხსენებული წერილიდან ჩვენ ვეტყობილობთ, რომ 1869 წლის სასტიკი რეპრესიების შემდეგაც კი, პეტერბურგში დასრუნილი თითო-ორილა ქართველი სამოციანელი, რომლებიც უკვე სტოვებდნენ ბრძოლის ველს, ცალკე დაუსრულებლად კამათობენ მწვავე პოლიტიკურ საკითხებზე, — კამათობენ იმის შესახებ, თუ როგორ დახმარებოდნენ, რა გზით ეშველათ დახარჯონ ხალხსათვის, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ეს ფაქტი გვიჩვენებს ჩვენი ახალგაზრდა რევოლუციონერების მორალურ სიმტკიცეს, მათს დიდ ნებისყოფას და შურისყვედ რწმენას უცხოეთის მომავლისადმი.

დაბოლოს, მკითხველს გვინდა გავაცნოთ კიდევ ერთი მეთის-შეტად საინტერესო საბუთი, რომელიც ნათლად წარმოგედგინებს ახალგაზრდა ქართველი სამოციანელების მაშინდელ სული-სკვთებას. მხედველობაში გვაქვს ნიკოლოზ ყიფიანის მიერ 1869 წლის 11 სექტემბერს ქვიშხეთიდან პეტერბურგში, გ. ნაცვალაშვილის სახელზე გაგზავნილი წერილი, რომელიც, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, აღმოჩნდა დ. ლოლობერიძის პირადი წერილების ზემოთ უკვე მრავალჯერ ხსენებულ კოლექციაში.<sup>1</sup>

წერილი დაწერილია რუსულად. მასში ნათქვამია:

„ჭვირფასო მეგობარო ნაცვალოვ, სირცხვილია, ძმაო, ბევრი ჩემი ამხანაგისათვის და შენთვის ხომ სასტიკილზე უარესია, რომ არაფერი მომწერათ. ნახევარი წელიწადია არაფერი არ ვიცი, რა კეთილება მანდ თქვენთან ან თქვენ თითონ რას აკეთებთ. მაგრამ ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. თქვენთან კაცი რას გააწყობს!

ჩემი ანდერძის ამსრულებლად მას შემდეგ, რაც მე პოლიციამ პეტერბურგში სიცოცხლე მომისპო, დარჩით შენ, არლუთინსკი, ქანანოვი. მე მანდ დამარჩა: 1) ეალები წვრილ-წვრილი და დიდრონები საკმაო რაოდენობით, 2) წიგნები და სხვადასხვა ნივთები. წიგნების ნაწილი მე დაეტრევე კუბუზოვებთან, მათ ბინაში, ნაწილი ტკაჩეეთან, ნაწილი კი ხელზე აქვთ ჩვენს სივრთო ამხანაგებს და ნაცნობებს.

მინდა გთხოვოთ შენ, არლუთინსკის, კუბუზოვებს და საერთოდ ამხანაგებს შემდეგი: ვალები...“ (აქ ნ. ყიფიანი დაწერილებით ჩამოთვლის, ვის რა ელო მართებს და სიხოვის ნაცვალაშვილს, აცნობის მოულოდებლად, რომ მალე ვეღვას ვაისტუმრებს. აქვე ირყევა, რომ ნ. ყიფიანის ცოტაოდენი ვალიც ჰქონიათ მის ძლიო ამხანაგებს, სახელდობრ დათო ლოლობერიძეს, ჩერქეზიშვილს და კიდევ ვიღაც „აღ. ივ.“-ს). ...ნივთები მე ცოტა დამარჩა: წერილები, ჩანაწერები, რვეულები, პორტრეტი და

ა. შ. ვთხოვთ საერთო ძალებით შეავსოთ ყოველივე ეს, შეკრათ და გადინახოთ რომელიმე მიყრდნულ ადგილას, ვიდრე საშუალება უქნებოდეს, რომ გამოგზავნოთ. ამ ნივთებში ისეთი თემატი არის, რომლებიც მე ძალიან მჭირდება.

წიგნები: უბირველეს ყოვლისა „სოცრემენიკი“. თუ რაიმე წმინდა გავაჩინათ ამ ქვეყნად, შემიწახეთ იგი, შეავსოთ და როგორც კი ფულს გამოგზავნით, თუ საშუალება იქნება, შეავსეთ. წიგნები, რომლებიც ტკაჩეეთანაა, მის დებს ეთხოვ შემიწახონ; გამოგზავნი ფულს, რომელიც მე მმართებს ტკაჩეეთან და კომპ. და მაშინ გადმოიტანეთ ისინი რომელიმე თქვენთანთან და შემიწახეთ. ჩემი წიგნები, რომლებიც ხელზე აქვთ, რამენაირია საერთო ძალობით შევავსოთ. გერ-გერობით დაე ისინი იყოს წესრიგში და ვისაც სურს ისარგებლოს პატარა ბიბლიოთეკით, რომელიც შედგება. ფული არა მაქვს, თორემ გამოგზავნიდი ცოტას მაინც იმასათვის, რომ უდამო ჩავესათ „სოცრემენიკი“, განსაკუთრებით კი ჩერჩენიშვილის სტატიები. მართლა, ღმერთის გულისათვის არ დავაიწყებულ ზოგიერთი ხელნაწერი და ა. შ. ნივთები, მსგავსად „ჩერჩენიშვილის საყოფიერების“. — განაბედნიერებდით არა მარტო მე, რომ შეტლებდეთ და მიღმატებდეთ ზოგ რამეს ჩემს ბიბლიოთეკას, მგჯ., სკოლოვის ხელნაწერს, წიგნებს — ფრანგ. და სხვ. და ა. შ.

აი, ძმაო ნაცვალოვო, დავალბა, რომელიც რამენაირად უნდა შემიხრულოთ საერთო ძალობით. მაგრამ მთავარი დავალბაა — მომწერეთ ვინმემ რამდენიმე სტრიქონი. სხეთამორი... კეთილხე ისარლოვს, რომელსაც დაბლა თავს ეუკრავ, ვის სახელზე და ჩოდის გამოგზავნეს ფული ჯაფარიძეს, რომელზეც ის წერდა... ჯაფარიძეს იქედან ფული არ მივლია. ამის პასუხი გადაუდებლად მაყენებ. შეიტლება დაეჭვადეს ჯაფ (არბილ) მისამართი: ქართული ვაზეთის დროების რედაქციაში. იმის შესახებ, რომ ვადაცეს ამას-და ამას (ჯაფა), დააწერონ შიგნით, ის ქუთაისშია, მაგრამ ფულს ან წერილს გამოგზავნა აქ უფრო სანდოა.

გჭკარობ, ძმაო, წერას, როგორც კი მივლებ თქვენთან რომელიმესაგან წერილს, ე. ი. როცა გავიგებ, ცოცხალი ხარ თუ არა და ა. შ., მაშინ მოგწერთ ჩემს ამბავს.

მიმოკითხე ძვირფასო მეგობრები, ნიკოლოზ ყიფიანი.

11 სექტემბერი, ქიზბეთი — 1869 წ.

როგორც ვხედავთ, ამ წერილში დიდი სიზარტლითა და უშუალობით არის გადმოცემული ერთ-ერთი ძალიან აქტიური და შრავალმზარე საინტერესო ახალგაზრდა სამოციანელის განწყობილება. ავტორი თითქოს გულს ვეხსენის, საერთო სულში გვახედებს და ჩვენ ნათლად ვხედავთ არა სასჯელისაგან შეშინებულ, ცხოვრებაზე გულგატეხილ ადამიანს, არამედ მებრძოლს, რომელიც თუმცა დამარცხდა, მაგ-

<sup>1</sup> ფურც. 310—311

რამ სრულადაც არ ფიქრობს ხელი აიღოს თავის წმინდა იდეალებზე. ამასთანავე ერთად, წერილში საკმაოდ გარკვევით მოჩანს პეტერბურგის მაშინდელი ვითარების სურათი, ავტორი თითქოს ფარდას ხდის წარსულის ერთ კუთხეს და მათხველი გადასაყვს ისტორიაში, სადაც ის ხელშეწყობდა გრძნობას დიდი ცხოვრების მკაცრების, ხელაღს უყვებოდა მტრულად ბრძოლის ველს და შებრძოლთა გაფანტულ წრეს, რომელიც სულიერად ჯერ ისევ შეკრულია ერთი ფიქრითა და ერთი გრძნობით.

მეცნიერული თვალსაზრისით, ამ წერილის ღირსება ისაა, რომ საშუალებას გვაძლევს დავსაბუთოდ რაღაც მნიშვნელოვანი დებულებები. უპირველეს ყოვლისა ჩვენს ყურადღებას იქცევს ნ. ყიფიანის მდიდარი ბიბლიოთეკა. წერილიდან ამკარაა, რომ ნ. ყიფიანს აკრძალულ ლიტერატურის, ხელნაწერებისა და სხვ. გაცულებად უფრო მდიდარი ულექქია ჰქონია, ვიდრე ეს შეიძლება და გვეჩქრა პოლიციის მიერ ჩხრეკის დროს მისთვის ჩამორთმეული ლიტერატურისა და ხელნაწერების მიხედვით. ფრიად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ნ. ყიფიანის პირადი ბიბლიოთეკით, რომელშიც ყველაზე საპატიო ადგილი ჩერნიშევსკის ნაწერებს სჭირათ, ფართოდ სარგებლობდნენ ახალგაზრდა რევოლუციონერებმა, ნ. ყიფიანის შრავალ-რეცხოვანი მეგობრებმა და თანამოაზრენი.

შემდეგ, დიდ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ წერილიდან სრულიად გარკვევით ჩანს ნ. ყიფიანის ახლო ურთიერთობა ცნობილ რევოლუციონერ ტაჩჩევთან. უდავოდ მიგვაჩნია, რომ ეს სწორედ ის პ. ტაჩჩევი, რომელიც ნუჩაევთან ერთად ხელმძღვანელ როლს თამაშობდა სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში 1868-69 წლებში. რაიც ნ. ყიფიანს თავისი წიგნების ნაწილი ტაჩჩევის ოჯახში ჰქონია შენახული და თვით ტაჩჩევის ფულიც ემართა, ცხადია, ის მისი ახლო მეგობარი ყოფილა. ნ. ყიფიანის წერილის შინაარსი და ტონი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ტაჩჩევის ახლოს იცნობდა არა მარტო თვით ნ. ყიფიანი, არამედ მისი აღკვესატი\* გ. ნაეკლავილი და აგრეთვე სხვა ქართველი სტუდენტები. ქართველი სტუდენტების ასეთი დაახლოება ტაჩჩევთან, და მასთანამდე, ნუჩაევთანაც, ბუნებრივია მოხდებოდა გ. ჩერქეზიშვილის საშუალებით, რომელიც

ამ უკანასკნელთა უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი აყო.

მასთანამდე, შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ ნ. ყიფიანი და სხვა ქართველი სტუდენტ-რევოლუციონერები შემთხვევით და სტატიურად კი არ ჩამხულან სტუდენტთა 1869 წლის მღელვარებაში, არამედ დაკავშირებული ყოფილან საიდუმლო რევოლუციური ორგანიზაციის მთავარ ხელმძღვანელებთან.

დაბოლოს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესო შემთხვევითი წერილი ჩვენთვის იმის გამოა, რომ მასში სრულიად გარკვევით ჩანს მისი ავტორის ურყევი ერთგულება საშოციანი წლების პრინციპებისადმი და მისი მხალ-ყოფნა, განაგრძოს ბრძოლა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების გამარჯვებისათვის. „თუ რაიმე წმინდა გავაჩნიათ ამ ქვეყნად, შემინახეთ „სოცრემენიკო“, — ევედრება ნ. ყიფიანი თავის მეგობარს და ამ სიტყვებში ჩანს მთელი მისი პოლიტიკური შერწამის, აღსანიშნავია ისიც, რომ „სოცრემენიკო“, ჩერნიშევსკის სტატიები და სხვა პოლიტიკური ლიტერატურა ნ. ყიფიანს მარტო თავისთვის როდი სჭირებოდა და მარტო პირად საკუთრებდაც კი არ მიაჩნდა, არამედ — საერთო საგანძურად, საერთო საქმისთვის აუცილებელ საბრძოლო იარაღად; ეს კარგად ჩანს მისი სიტყვებდან: „ვისაც სურს, ისარგებლოს ჩემი ბიბლიოთეკითო“, ან „გამაბედნიერებდით არა მარტო მე, რომ შეძლებდეთ და მიუმატებდეთ რამეს ჩემს ბიბლიოთეკასო“.

ამრიგად, ნიკოლოზ ყიფიანის შემთხვევითი წერილი, ისევე როგორც მრავალი სხვა უტუფარი საბუთი მოწმობს, რომ ქართველი ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილი, მიუხედავად რეაქციის გაძლიერებისა და სტუდენტთა მღელვარების კვლავ ჩახშობისა, მიუხედავად სასჯელისა, დევნისა და გადასახლებისა, მაინც ერთგული დარჩა საშოციანი წლების რევოლუციურ დემოკრატიული იდეებისა.

დასრულდა ბოლოქარი 60-იანი წლები, გაიმარჯვა რეაქციამ, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილი, — თერგდალეულთა სახელოვანი თაობა კვლავ უმეზრად იდგა ხალხსა და ერის ინტერესების სადარაჯოზე, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წუერვილით გულანთებულნი.



მარცხ პეხნიძე

## პაოლო იაშვილი

იყო 1915 წელი. პეტროგრადის უნი-ლით ველოდით ხოლმე ამ დამატებებს ვერსიტეტის სტუდენტი ვიყავი. მოვა-და ცნობა: ქუთაისში ახალი ლიტერა-ტურული ჟურნალი „ცისფერი ყანწები“ გამოვიდაო. ჩვენ, სტუდენტებმა, რო-ლებიც ლიტერატურით ვიყავით დაინ-ტერესებულნი, ჟურნალის შინაარსისა ატყუდებდით. ვავეცით იმ აუ-ზაურის შესახებ, რაც ჟურნალმა გამო-იწვია ქუთაისის საზოგადოებაში. ეს ცნობები ვაზვიადებულად გვეჩვენებო-და. ამბობდნენ ჟურნალის მონაწილეთა ბრალად სკანდალურ გამოსვლებზე, მათ ბოჰემურ განწყობილებებზე. პოეზიის ასპარეზზე გამოსულ პოეტებს უფრო კაფეების ცხოვრებას უკავშირებდნენ. ამბობდნენ, განსაკუთრებული მტრული განწყობილებით ახალ ქროლვას პოე-ზიაში შეხვდა ქუთაისელი მანდილოს-ნების ნაწილიო, რომელსაც მაშინ კატო მიქელაძე ხელმძღვანელობდა. (კ. მიქე-ლაძე „ცისფერყანწელთა“ მოწინააღმ-დეგე დარჩა ბოლომდე, მაგრამ მისი გა-მოსვლები „ცისფერყანწელებში“ უფრო ირონიულ ღიმილს იწვევდა) როგორც გადმოგვცემდნენ, ახალ სიტყვას პოე-ზიაში მოსარჩლეც გამოუჩნდა. ეს იყო ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე. მან ინტუიციით იგრძნო ახალგაზრდა პოე-ტებში ახალი სიოს ქროლვა, მო-წონებით შეხვდა მათ გამოსვლას და კარგი მომავალი უწინასწარმეტყვე-ლა.

ჩვენც, პოეზიის მოყვარულნი, გულ-დასმით ვადევნებდით თვალყურს პრო-ცესს, რომელიც ქართული ლიტერატუ-რის განვითარებას ახასიათებდა. ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს გატაცებულ-ნი ვიყავით ახალგაზრდა პოეტების ლექ-სებით, რომლებიც უფრო ხშირად „ცნობის ფურცლის“ კვირეულ დამ-ატებებში ქვეყნდებოდა. გულის ფანქარ-

იმ იმედით, რომ წავეკითხავდით სანდ-რო შანშიაშვილის, ი. გრიშაშვილის, გ. ტაბიძის, ა. აბაშელის და სხვათა ლექ-სებს. კარგად მახსოვს, მაგალითად, რა გაცხოველებული ინტერესი გამოიწვია ჩვენს ლიტერატურულ წრეში ა. აბაშე-ლის ლექსმა სათაურით „სსს...შშშ“. აღფრთოვანებული ვიყავით ი. გრიშაშ-ვილის პოეზიით. მის ლექსებს გატაცე-ბით ვკითხულობდით ჟურნალ-გაზეთებ-ში, — სულგანაბული ვისმენდით რო-გორ კითხულობდნენ მათ სცენიდან. მეხსიერებაში შემომჩნა შაქრო ვომე-ლაური, რომელიც ქუთაისის თეატრის სცენაზე კითხულობდა ლექსს „ზღაპარი პამაკში“. სცენაზე მართლაც გააბამდა პამაკს, რომელშიც ქალი იწვა. შაქრო პამაკს აქანავებდა და თან ლექსს ამბობ-და, რაც დამსწრე საზოგადოებაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ჩვენ, მო-წაფეებს ვერც კი წარმოგვედგინა მაშინ თუ შეიძლებოდა ს. შანშიაშვილისა და ი. გრიშაშვილის გვერდით გავლა, თუ მოგვეცემოდა მათთან შეხვედრის ბედ-ნიერება. მოწიწებითა და კრძალვით, მორიდებით ვეკიდებოდით მათ სახე-ლებს, საყვარელ სახელებს.

პეტროგრადში ყოფნისას დახარბებით ვკითხულობდით ა. ბლოკის, კ. ბალმონ-ტის, მ. ვოლოშინის, ვ. ბრიუსოვის და სხვათა ლექსებს. ასე რომ ჩვენ ერთ-გვარად მომზადებულნი შეხვდით მშო-ბლიურ ქვეყანაში ახალი პოეტური სკოლის აღმოცენებას. ისიც უნდა და-ვფრთო, რომ მოწაფეობისას ჩვენი ლი-ტერატურული წრე სცემდა ხელნაწერ ჟურნალს „ჩონგურის“ სახელწოდებით. მასში მოთავსებულ ჩვენს მასალებს ახალი პოეზიის, განსაკუთრებით ი. გრი-შაშვილის ლექსების გავლენა ემჩნეოდა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ი. გრი-

შაშვილი ქუთაისში ყოფნისას ამ წრის მონაწილეებსაც შეხვდა.

„ცისფერი ყანწების“ გამოხვლას დაუფარავი სიხარულით შეეხვდით. იმ წლებში ჩემი უახლოესი ბავშვობის მეგობარი სანდრო ცირეკიძე პეტროგრადში აღარ იმყოფებოდა. ქალაქის ნისლმა და ტენიანმა ჰავამ მასზე ცუდად იმოქმედა. ფილტვები დაუზიანა, სისხლი ანთხევინა და იგი იძულებული გახდა ექიმების რჩევით დაეტოვებინა პეტროგრადი, გადასულიყო კიევის უნივერსიტეტში. მეორე ჩემი სიყრმის მეგობარი გიორგი ჟღენტი, ბესო ჟღენტის უფროსი ძმა, პეტროგრადის ჰავამ თითქმის ერთ თვეში გამოასალმა სიცოცხლეს. ასე ჩამომავორა ორი ძმასავით საყვარელი მეგობარი პეტროგრადში. და რა კარგი მომავალი იყო ორივეს წინაშე! გიორგი იყო მეტად ნიჭიერი ახალგაზრდა, ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე, იშვიათი მჭევრმეტყველი, რომელიც არა მარტო ამხანაგების, არამედ პედაგოგთა პერსონალის დიდ ყურადღებას იქცევდა. მასზე დიდ იმედს ამყარებდნენ.

ასეთივე ერუდიტული, მახვილი ნიჭისა და დახვეწილი გემოვნების პატრონი იყო სანდრო ცირეკიძე, რომელიც ადრევე ტუბერკულოზმა იმსხვერპლა. მან მოასწრო დაემსახურებინა „ცისფერყანწელთა“ ახლო ყურადღება. სანდრო ცირეკიძე დიდი ენთუზიასტი იყო ახალი სკოლისა ჩვენში. მას ჰქონდა თავისი „თეორია“. რომანს, როგორც ჟანრს, უკვე მოძველებულად თვლიდა და ამტკიცებდა, პროზაული ნაწარმოები სათაურამდე დაეაო. დიდ მნიშვნელობას აძლევდა ნაწარმოების სათაურის მოძებნას, სათაურში ხედავდა იგი მთელი ნაწარმოების ვასალებს. ს. ცირეკიძეს თავისი თეორია შემოქმედებითაც უნდოდა განემტკიცებინა: აქვეყნებდა პატარა მინიატურებს, რომლებიც რაღაც თავისებური სტილით იპყრობდნენ ყურადღებას, ჰქონდა კრიტიკული აზროვნების კარგი უნარი. დარწმუნებული ვარ, იგი დასძლევდა შინაგან

ტკივილებს, შემოქმედებით კრიზისს, და ჩვენი ახალი ლიტერატურის განვითარებაში თავის საპატიო წვლარს შეიტანდა, რომ სიკვდილი არ წამოწოდა უდროოდ. ამის თქმის საბაბს მაძლევს წერილები, რომლებსაც ვღებულობდი მისგან ქუთაისიდან. ამ წერილებში ის მიესალმებოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და იმედს გამოთქვამდა, რომ მუშაობის ფართო ასპარეზი გაეშლებოდა. ჭლებით დაავადებული, ლიტერატურით მსუნთქავი ახალგაზრდა მწერალი, საოცრად პრინციპული და ენერგიული იყო. მისი ინიციატივითა და რედაქტორობით გამოიყენა მაშინ ქუთაისში „შვილდოსანის“ რამდენიმე ნომერი. ავადმყოფი იკლებდა ყველაფერს და საკუთარი სახსრებით მოაწყო გამოქვეყნება „კირჩხიბის“ სახელწოდებით. ჟურნალის გარდა გამოსცა ახალი პოეზიის ანთოლოგია, მალარმეს ლექსების თარგმანები, მაშინდელი ქუთაისი, რომელსაც ბრიუგეს ვადარებდით, და მალარმე! ფართო გეგმები ჰქონდა მოღვაწეობისა სანდროს, რომლებიც თან წაიღო საფლავში. უნდა ითქვას, რომ მას დიდი თხოვნითა და მუდარით უხდებოდა ჟურნალისათვის მასალის მიღება თბილისელი ამხანაგებისაგან. ამას ცხადყოფს მისი წერილი ჯგუფის ერთ წევერთან: „მართალია „შვილდოსანს“ ნაკლი უფრო აქვს, მაგრამ ერთი ღირსებაცა აქვს უეჭველად. ცისფერყანწელებს (და მათ ეპიგონებს) განუშვება აღარ შეფერის. დროა საქართველოში პოეტის სახელის პრეტენდენტი თუნდაც „შვილდოსანის“ პრიმიტიულ სასწორზე აიწროს. ... კიდევ უფრო საჭიროა დადებითი მუშაობა და თეორეტიული კვლევა და პოპულარიზაცია. ბევრი მტერი გავიჩინეთ... შეცდომები მეტი დაგუშვით. თბილისელი მეგობრები იმოდენად არ გეგმობარებიან (ვერ მოიცალეს) და სამმა კაცმა ყველაფერი ვერ შეეძელით. შეიძლება მეოთხე ნომერი აღარ გამოვიდეს, რადგან მასალები არ მოგვაწოდეს. სწორედ აქაა ჩემი თხოვნა...“

ყოველივე ეს მოვიგონე ერთად-ერთი მიზნით: ახალი ჟურნალის გამოსვლას ჩვენ შევხვდით სიხარულით, ინტერესით, ყურადღებით.

მალარმეს ლექსების გამოცემაში დიდი დახმარება გაგვიწია ელო ნაზარი-შვილმა, რომელმაც მშვენიერად იცოდა ფრანგული და გვიკეთებდა ბჭყარედებს. ელო ნაზარიშვილი, ცნობილი ექიმის ნაზაროვის ქალიშვილი, ახლო მონაწილეობას იღებდა ჩვენს წრეში, იყო რომანტიკულად განწყობილი ქალი და ჩვენი კარგი ამხანაგი.

როგორც ანთოლოგია, ისე მალარმე ს. ცირეკიძემ გამოსცა მშვენიერ ქალღმერთს და დიდს გემოვნებით. დიდ დახმარებას უწევდა მას რაქდენ გვეტაძე, რომელიც სტამბაში მუშაობდა. აღნიშნულ ანთოლოგიაში მოთავსებულია სანდრო შანშიაშვილის ერთი საუკეთესო ლექსი „კახეთის დედოფალი“. იოსებ გრიშაშვილის „ტრიოლეტები შეითან ბაზარში“, „შორეულს“, „ხელთათმანის დილი“, გიორგი ქუჩიშვილის „ქუჩის მელოდია“, გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენები“, „ტყეს სკრიან“, „დედაო ღვთისაგ“, „მე და ღამე“, ნოე ჩხიკვაძის „ნ-ს“, ტიციან ტაბიძის „ავტობორტრეტი“, „ქალღმერთ ბალაგანი“, „ბირნამის ტყე“, „ვალერიან გაფრინდაშვილი“, იოსებ მქედლიშვილის „მონასტერში“ პაოლო იაშვილის „წითელი ხარი“ და „წერილი დედას“, „ვერპარნს“. ა. აბაშელის „სსს... შშშ“, „დაგვიანებული რითმა“, „ცეცხლის გალობა“, ე. გამსახურდიას „ბერლინი“, ცეზარნამის (დ. მეტუკის) „ღვინის სარდაფში“, სანდრო ყანჩელის „ახალწლის ღამე“, ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისი მესამე“, „დაისი მეხუთე“, „ღუელი ორეულთან“, ს. ფაშალიშვილის „ოქროს ჯვარი“, ელენე დარიანის „ფერადი სონეტი“, „პირამიდებში“, ივანე ყიფიანის „ზამთარი“, ლელი ჯაფარიძის „მატარებელიდან“, „თეთრ ქუჩებში“, კოლაუ ნადირაძის „ავტობორტრეტი პირველი“, „Notre Dame“, ე. ჭიჭინაძის „უცხო ქალი“, გრ. ჯაფარიძის „Requiem“, ვ.

ლენინძის „უცნობ ქალს კაბარეში“, სიმონ წეველის „წვიმა“, ლადო მამუკა-რიანის „დატირებულ ღანდემანს“, რაქდენ გვეტაძის „ადღგომის ღამე“, ნიკოლოზ მიწიშვილის „წმინდანიანი“, ხარიტონ ვარდოშვილის „მაისის ღამეში“, შალვა კარმელის „საფირონის ტრიოლეტები“, გრ. ცეცხლაძის „ლოთის სონეტი“ და ჩემი „Santa Maria“. პროზიდან: ნიკო ლორთქიფანიძის „ქალ-ვაჟიანი“, არისტო ჭუმბაძის „ლარნაკი-გული“, ჯაჯუ ჯორჯიკის „ორი ცხოვრება“, ლეო ქიანელის ფრაგმენტი „ტარიელ გოლუადან“, სერგო კლდიაშვილის მინიატურა, ღია ჩიანელის „ქეიფი და სიყვარული“, თვით სანდრო ცირეკიძის „მთვარეული“.

სანდრო ცირეკიძე, ისე როგორც საერთოდ „ცისფერყანწელები“, ყურადღებას აქცევდნენ არა იმას, თუ რომელ პოლიტიკურ ფრთას ეკუთვნოდა ესა თუ ის ავტორი, არამედ მისი ნაწარმოების ხარისხს, თუ რა იყო ნოვატორული მის ნაწარმოებში. ამიტომ სარგებლობდნენ მათ შორის დიდი სიყვარულით გ. ქუჩიშვილი და ნოე ჩხიკვაძე.

მე პირადად არ ვიცნობდი ჟურნალში არც ერთ მონაწილეს. გულწრფელად უნდა ვაღიარო: არც ვაპირებდი ლიტერატურაში მუშაობას, თუმცა ძლიერ ვიყავი გატაცებული სიმბოლისტების პოეზიით, განსაკუთრებით ზლოკით.

ეს იყო 1917 წელი. რევოლუციის წელი, როცა პეტროგრადიდან ქუთაისს დავეზბრუნდი და აქ გავიცანი პირველ ხანებში პაოლო იაშვილი, სერგო კლდიაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, რაქდენ გვეტაძე, ძმები ჯაფარიძეები და ნიკ. ნადირაძე, ხოლო შემდეგ, როცა თბილისში გადმოვედი, დაეუახლოვედი ტიციან ტაბიძეს, გიორგი ლენინძეს, ალი არსენიშვილს და სხვ.

მე მიწნდა ამ წერილში ვილაპარაკო პაოლო იაშვილზე, რომელმაც გაცნობისთანავე მიიპყრო ჩემი ყურადღება და წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს იყო მაშინდელი ქუთაისის ბოქემის კოლორიტული წარმომადგენელი.

პაოლოს, რომელსაც პარიზის სკოლა ჰქონდა გაელოლი, ბოჰემური ცხოვრება ესთეტიკურ ფენომენამდე ჰქონდა აყვანილი. მართალი რომ ითქვას, მას ყველაზე ნაკლებად ახასიათებდა, გიორგი ლეონიძის შემდეგ, დეკადენტური პოეზიის თვისებები: მისტიციზმი, ბუნდოვანება, ირეალური სამყაროს ხილვები, მისი პოეზია, პირველ ხანებშიც კი უფრო ნათელი და გამჭვირვალე იყო, ერთ-ერთი ლექსი, რომლითაც პოეტმა ბრძოლა გამოუცხადა ტრადიციულ, დაკანონებულ სახელებს, იყო:

პაოლო იაშვილს მომეწვინა ყვითელი  
დაწითი  
ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა  
შექსპირს უარი,  
რა ვქნა, რომ ჩემთვის ბეთოჰოვენი  
მხოლოდ ყრუ არი  
და რომ წარსულმა ვერ გადმოშვა შე  
ანდამატი.

ამ ლექსმა გამოიწვია მაშინდელ საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა. შეხეთ: შექსპირსა და დანტეს უარყოფსო, ბეთ-პოვენი მისთვის არაფერიაო. ამ ლექსმა გახადა მაშინ ეს დიდი ტემპერამენტის მქონე პოეტი ოდიოზურ ფიგურად. მისი გაბედული, ეფექტიანი გამოსვლები, შეშხუნა და ახლებურად ძელერი სიტყვები პოეზიაზე, მანიფესტი, რომლის მთავარი ავტორი ის იყო — საზოგადოების ერთ ნაწილში აღშფოთებასაც იწვევდა. მაგონდება ასეთი შემთხვევა: გელათში მოვაწყვეთ ექსკურსია. ჩვენს წრეში იყვნენ ლიტერატურის მოყვარული ქალიშვილები, როცა სადგურზე უკანასკნელდება პაოლო იაშვილი და **5** ნადირაძე დაინახეს — აგვიჯანყდნენ, წამოსვლაზე უარი განაცხადეს. მაშინ პაოლო და კოლაუ იძულებული გახდნენ ცალკე წამოსულიყვნენ. მაგრამ საქმარისი იყო რამდენიმე წუთს ერთად ვმსხდარიყავით გელათის ზღაპრულ ეზოში, რომ „შეურაცხყოფილი“ მოიხიბლნენ პაოლოს საუბრით, მისი ექსპრომტებით, გელათის ძეგლის ჩანახატებით და იქედან უკვე პაოლოსთან დამეგობრებულეები დაბრუნდნენ.

ვფიქრობ, რომ თავისი ბუნებით პაოლო ტრადიციების დიდი პატივისმცემელი იყო. მისი უარყოფა დანტესი და შექსპირისა ერთგვარი ნიღაბი იყო. ყურადღებამისაქცევია ის გარემოება, რომ მას გატაცებით უყვარდა და აღმერთებდა პუშკინს, რუსული კლასიკური პოეზიის ამ მშვენიერს. სიმბოლისტებიდან ის არჩევდა. ვალერი ბრიუსოვს, ვერპარნს, და განსაკუთრებით არტურ რემბოს, იმ პოეტებს, რომელთა პოეზიაში მეტი სინათლე და კლასიკური ფორმა იყო დაცული. მან თარგმნა, ვთქვათ, არა ვერლენი, თუმცა ფრანგული კარგად იცოდა, ან თუნდაც ბლოკი, არამედ პუშკინი. მისი პოეტური სიმპათიები სადღაც მაინც კლასიკური ქართული პოეზიისაკენ იხრებოდა. მინდა ასეთი შემთხვევა გავიხსენო.

ჩვენს წრეს მაშინ წესად ჰქონდა შემოღებული კვირაში ერთხელ მორიგეობით რომელიმე წევრთან შევეკრებოდათ. იყო გაუთავებელი საუბარი პოეზიაზე, ახალი ლექსების კითხვა, სიხარული და მეგობრული გულის გახსნა ერთმანეთისათვის. არასდროს დამავიწყდება, მაგალითად, ერთი საღამო. ტიციანთან ვიყავით. ზამთარი იყო. თოვლი ბარდნიდა. გაღულუნებულ ბუხარს ვუსხედით. სერგო კლდიაშვილი თავის მოთხორობას კითხულობდა. ეს იყო მისი „ფერფლი“. სულგანაბული ვუსმენდით. გატაცება ისახებოდა განსაკუთრებით ტიციანის ცისფერ თვლებში. თითქმის ამ ქვეყნად აღარ იყო. გაათავა სერგომ კითხვა და დიდხანს ხმა ვეღარ დავძარი. პირველი ტიციანი გამოერკვა, სიხარულით მიუღოცა სერგოს, მას მიჰყვანინო ტაბიძე. ასეთი შთაგონებული საღამოები მრავალი იყო ჩვენს ცხოვრებაში.

ერთხელ ჩემთან შევიკრიბენით. ყველანი იყვნენ. საუბრის დროს ერთ-ერთმა თავი გაუყადრა ილიას. პაოლომ კარგად იცოდა თავისი ფასი. ის იყო „ცისფერი ყანწების“ გამომცემი, ამ ახალ სკოლის ხელმძღვანელი და ამ ადგილს

არც არავის უთმობდა. ჯერ მოთმინებით უსმინა თავის თავში შეყვარებულს, შემდეგ მოთმინებიდან გამოვიდა და ისეთი მკვახე პასუხი გასცა, რომ აიძულა ამდგარიყო და წასულიყო. იძულებული გაგხდი, როგორც იმ დღის მასპინძელი, დავედვნებოდი და რუსთაველის პროსპექტიდან დამებრუნებინა. პაოლოს განსაკუთრებით უყვარდა აკაკი, მისი პოეზიის დიდი პატივისმცემელი იყო და ვერ იტანდა მის მიმბაძველებს, უნიჭო ეპიგონებს.

პაოლო ნამდვილი ბუნტარული ხასიათისა იყო, ამასთანავე იშვიათი მჭევრმეტყველი და იმპროვიზატორი. სამწუხაროა, რომ მისი ექსპრომტები და ეპიგრამები შადრევანივით რომ ჩქეფდა, არ ჩაიწერა თავის დროზე და დაიკარგა. ჩვენ, მისმა მეგობრებმა, ვერ ვაფუიეთ ისეთი მეგობრობა, როგორც ვთქვით, ნიკა აგიაშვილმა გაუწია შესანიშნავ პოეტს ლადო ასათიანს და მრავალი რამ შემოინახა მისი ნათქვამიდან. პაოლოს ექსპრომტები და ეპიგრამები დროის დამახასიათებელი და მეტად მჩქეფარენი იყვნენ.

რევოლუციის პირველი წლები იყო. ქუთაისში ვცხოვრობდით. პირველ ხანებში იქ სრული ანარქია იყო. წესრიგს სტუდენტები, მოწინავე მუშები და ინტელიგენციის წარმომადგენლები იცავდნენ. საშინელი ხასიათი მიიღო სპეკულაციამ, საჭირო იყო მის წინააღმდეგ ბრძოლა. პაოლომაც ამ ბრძოლის თავისებური ფორმა გამოიხატა. მახსენდება ქუთაისის ბულვარი, ქუჩები, რომლებიც მას არტყია გარს. შუა ქუჩაში ჩამდგარან პაოლო იაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სერგო კლდიაშვილი და მოდიან ყვირილით: ჰკათ ბურჟუებს, ჰკათ სპეკულანტებს! ჯგუფს ვუერთდებით ჩვენც. იგი იზრდება და კარგ ძალად იქცევა. ნამდვილი ჩხუბის თავი იყო კოლაუ ნადირაძე. ამ გამოსვლებმა ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ადგილობრივმა სპეკულანტებმა — ვაჭრებმა, როგორც მახსოვს, იჩივლეს კიდევაც: დებოშებს გვიწყობენ და გვემუქრებიანო.

განსაკუთრებული იერიში მიჰქონდა პაოლოს მაშინ რატომღაც „არშინ მალალანის“ წინააღმდეგ. ესეც ქუთაისში მოხდა. რომელიღაც დასი ჩამოვიდა და აღნიშნული ოპერეტა დაიდგა ქუთაისის თეატრში. პაოლოსაგან მივიღეთ ნიშანი მოგვეწყო თეატრში ობსტრუქცია. შევიარაღდით მყარალი სითხით. ერთ-ერთს (არ მახსოვს ვის) დაველა ელექტრომაგვთულების გადაჭრა. დავიკავეთ ჩვენ-ჩვენი ადგილები თეატრის ქანდარაზე. დაიწყო წარმოდგენა. უცერად ჩაქრა სინათლე. ვისარგებლეთ შემთხვევით და მყარალი სითხე მოვასხით თეატრში. შეიქნა აურ-ზაური. სპექტაკლი ჩაიშალა. ვაჭრების ჩივილს ეს სკანდალიც დაემატა და ქალაქის მესვეურებმა დაადგინეს ჩვენი ქალაქიდან გამოსახლება. ვადანასახლებულთა ჯგუფში ელო ნაზარიშვილიც იყო. სპექმში ჩაერთა ზოგიერთი უფროსი მეგობარი და გაძევებას გადაეჩრით. სერგო კლდიაშვილი იმ წლებში მოუსვენარი და მაშინდელი საზოგადოებრივი წესრიგის ცნობილი მტერი იყო კოლაუ ნადირაძესთან ერთად, მრავალჯერ ამოუყვია თავი მილიციაში. რამდენჯერ მიგვიმართავს დავით კლდიაშვილის ავტორიტეტისათვის, მაგრამ დავითს ცივი უარით გამოვუსტუმრებივართ: „ეგდოს იქ. ჰკუთას ისწავლის,“ — გვეტყუდა დიმილით. ამ რეპრესიების მიზეზი იგივე „ჰკათ სპეკულანტებს“ იყო. სპეკულანტები თავისუფლად ფარფაშობდნენ, კონტრბანდისტები თურქული ლირებით იტენილდნენ ჯიბეებს, სერგოს კი ერთხანს მილიციაში აყურყუტებდნენ.

ჩვენი საკვარელი შესაკრები ადგილი ქუთაისის ცენტრი იყო, მაგრამ არა ბულვარი. რატომღაც ამოჩემებული გვქოდა ე. წ. „სობორო“, რომელიც ახალი თეატრის გვერდით მდებარეობდა. ტაძარში შესასვლელ საფეხურებზე გვიყვარდა ჩამოჯდომა და... ღამის თევა. რა იყო საუბრების თემა? პოეზია. დირიჟორობას საუბარში ყოველთვის პაოლო სწევდა. მას მხარს არ უგდებდა კოლაუ ნადირაძე, რომელიც ყოველთვის



დენდივით იყო გამოწყობილი ახალ კოსტუმში, ჰქონდა ისეთი ჰალსტუხი, რომლის მსგავსი არავის არ გააჩნდა ქუთაისში და ყველას თვალს სჭრიდა.

ბაოლო ღრმა გულის პატრიოტი იყო. იცოდა სიყვარული და მეგობრობის უღელის გაწევა. ძმასავით უყვარდა ტიციანი. მათ სიამის ტყულებს ვეძახდით. მის გულში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი კოლაუ ნადირაძეს, ვალ. ვაფრინდაშვილს და ალი არსენიშვილს. სწორედ ამ სიყვარულით, ამ მეგობრული სითბოთი არის გაქვნილი მისი ლექსები, რომლებიც ტიციანს, კოლაუს და ალის უძღვნა.

საოცარი იყო ალი არსენიშვილი. ისეთ განათლებულს, პოეზიის მცოდნეს, განსაკუთრებით რუსულისას, იშვიათად შეეხვედრებოდა. ჰქონდა დახვეწილი გემოვნება. რუსი სიმბოლისტების და განსაკუთრებით ბლოკის ლექსები ზეპირად იცოდა. ცნობილია მისი წერილი ა. ბლოკთან და უკანასკნელის პასუხი. საათობით შეეძლო ესაუბრა პოეზიაზე და როგორი საუბარი იცოდა ჰქონდა საოცარი ასოციაციური აზროვნების უნარი. და კრიტიკული აზროვნების ასეთმა მცოდნე და ნიჭიერმა წარმომადგენელმა ცოტა რამ დატოვა. თავისი აზრების ქაღალდზე გადატანა არც ისე კარგად ეხერხებოდა. თუ საუბარში მისი ყოველი ფრაზა სიტყვის ქეშპარიტოსტატს შესურდებოდა — ასეთი როდი იყო თავის მცირერიცხოვან სტატეებში. ამ მხრივ ის წაგავდა შესანიშნავ მოქანდაკეს ი. ნეკოლაძეს — საუბრის დიდოსტატს.

მასხოვს ქუთაისის ხავერდოვანი ღამე, ცა, ვარსკვლავებით მოქედილი. ჰქროდა ზენა ქარი — თბილი და ყვავილთა სურნელით დაქვნილი. თეატრის წინ მდებარე კაფე დახურული იყო. ბაოლო, რომელიც ასე შესტრფოდა გაზაფხულს, მზეს, სილამაზეს — კაფედან გამოვიდა, მას მიჰყვებოდნენ ვალ. ვაფრინდაშვილი, სანდრო ცირეკიძე, რაფდენ გვეტაძე, სერგო კლდიაშვილი, კოლაუ ნადირაძე, შალვა კარმელი —

გამხდარი და მკრთალი სახის ჰქონდა. გვიან იყო. ქუჩებში ვინმე დაგვიანებულის ფეხის ხმა თუ ისმოდა და ხეების შრიალი. ბაოლო კი ტრიოლეტებისა და სონეტის ფორმას ასხამდა ქება-დიდებას.

სონეტი ტევადი ფორმაა. მას პოეტი თავის განკარგულებაში ჰყავს — ამბობდა ბაოლო, გინდა თუ არა თოთხმეტ სტრიქონში უნდა ჩაეტო. სონეტი იწერებოდა ჩვენამდეც, მაგრამ მე მხედველობაში მაქვს სწორი სონეტი, რომლის კატრენებში ოთხ-ოთხი სტრიქონი ერთმანეთს ერითმება, ხოლო ტერცინებში უფრო ჯგერდინი რითმება, საერთოდ კი ამ შემთხვევაში პოეტს მეტი თავისუფლება ენიჭება. თქმულის საილუსტრაციოდ ი. გრიშაშვილის სონეტები მოჰყავდა. მის როლს ლექსის რეფორმაში დადებით შეფასებას აძლევდა, თუმცა სონეტების ფორმის დარღვევას უკიყინებდა ზოგიერთ შემთხვევაში. სონეტს უხდებდა არა ათმარცვლოვანი, არამედ თოთხმეტმარცვლოვანი ლექსით. ამიტომ ბაოლოს მოსწონდა ი. გრიშაშვილის თოთხმეტმარცვლოვანი ლექსით სწორად დაწერილი სონეტი. ალბათ, მხედველობაში აქონდა ი. გრიშაშვილის 1910 წელს დაწერილი სამი სონეტი, რომელთაგან ორი ათმარცვლოვანია, ერთი კი თოთხმეტმარცვლოვანი და სონეტის ყველა პირობას აკმაყოფილებს.

ეკლესიაში შესასვლელ კიბეზე შედგა და მისთვის ჩვეულებრივი ტემპერამენტით წაიკითხა „სონეტი ელისი“. ეს სონეტი გამოირჩევა მზის სურნელებით, გაზაფხულის ელვარებით. მე ახლაც მომწონს იგი, განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც პოეტი მიმართავს ბალებს:

ჩემო ბალებო, აყვავილდით, იშხიარულეთ!  
გაზაფხულის დღე, შეხედრის დღე ხომ  
დავებრუნდა?

ბაოლოს გულში მზე დუღდა, ბობოქრობდა და თავის შუქით გვიანთებდა, გვათბობდა. საოცარი მეგობრობა იყო

და, არაფერს დაზოგავდა, რომ დახმარების ხელი ვაეწოდებინა მეგობრისათვის, თბილი სიტყვა ეთქვა, მხნეობა მიეცა; ფული დაგვირდებოდა — თუ ჰქონდა მოგცემდა, არ მოგთხოვდა დაბრუნებას, არც თვითონ აბრუნებდა ნასესხებს — არ ახსოვდა. ასეთი იყო არა მარტო „ცისფერყანწელთა“ მიმართ. არამის პოეტურ ტალანტს ყოველთვის უხაროდა ახალი პოეტური ნიქის გამოჩენა და მასთან ახლო კავშირის დამყარებაც იცოდა. ჯერ კიდევ თავის პოეზიის გარიჟრაჟზე დაწერა სონეტი, რომელიც ვალ. გაფრინდაშვილს მიუძღვნა და რომელშიც მან მაშინდელი ორთოდოქსი სიმბოლისტის სურათი დახატა:

გულს აღტაცებულს სურს, მგოსანო,  
მარად იჭროლო,  
ზემი სონეტი შენ — ძვირფასო ძმავ  
და ტოლო.

ამ აღტაცებულ გულს პატივსაც ვცემდით, მისი ცეცხლით ვსუნთქავდით.

საოცარი ფანტაზიის პატრონი იყო. რატომღაც უყვარდა ჰქუაშერეკილებთან და მათხოვრებთან საუბარი ან მათზე ლაპარაკი. იცოდა, რომ ერთ-ერთ მეგობარს, ვალ. გაფრინდაშვილს არ სიაშოვნებდა ეს და განგებ ჩამოუგდებდა ხოლმე მას საუბარს რომელიმე ვიყის მიერ ვითომდა ჩადენილ ამბებზე; ამით აღიზიანებდა მის ნერვებს, გამოყავდა წონასწორობიდან, შემდეგ კი იმდენ ალერსს მიაფრქვევდა, რომ მოყოლილს დავიწყებას ვაძლევდით. ვალერიანის ტუჩებს, მთელ სახეს საოცარი ღიმილი გადაეფინებოდა. ისეთი ღიმილი მე იშვიათად დამინახავს ვინმეს სახეზე. ამ ღიმილში ისახებოდა მთელი მისი მდიდარი სული, მისი შინაგანი სინაზე; ეს ღიმილი ყოველთვის რაღაც იდუმალებით იყო მოცული, ჯიოკონდას ღიმილს მოაგავდა თითქოს. თითონ ვალერიანს საოცრად უყვარდა ჯიოკონდას სურათი, დიდხანს შეეძლო ელაპარაკნა მის გამოუცნობ გამომეტყველებასზე, მის თითქოსდა ირონიულ ღიმილზე. ყველას ახსოვს ვალ. გაფრინდაშვილის განრისხება, როცა ვილა-

ცამ თავისი ქული ჩამოდგა მწერალთა კავშირის მისაღებ დარბაზში, მდებარე ჯიოკონდას ქანდაკებაზე. ვალერიანმა ეს მკრეხელობად მიიჩნია და სასტიკად გაიციხა უღირსი საქციელის ჩამდენი.

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ პაოლოს. როგორც ვთქვით, ის ამოიჩემებდა ხოლმე რომელიმე საღამოს და გამართულ სერობაზე თხოვდა ყველას მოჰყევით რამე საშინელი, ვის რა შემთხვევითა ცხოვრებაშიო. ასეთი საღამოები ჰოფმანის საღამოებს წააგავდა. ერთ-ერთი ასეთი საღამო თბილისში გავატარეთ — უკვე გვიან. ეს იყო გ. ლეონიძესთან, როცა ის ცხოვრობდა ენგელსის ქუჩაზე, ერთ დიდ ოთახში, რომელიც ქუჩაში გამოდიოდა. ყველა იქ დამსწრე მოჰყვა რაღაც შემადრწუნებელს, საშინელს. არ ვიცი მოყოლილი ამბები ფანტაზიის ნაყოფი იყო თუ მართლაც ჰქონდა მათ ადგილი სინამდვილეში. მახსოვს, ყველას ყალბზე გვედგა თები, ყველანი შიშით ვიყავით დამუხტული და ნერვებდაჭიძულები ვისხედით. გვიან დავიშალენით. ცოტა დაშორებით გ. ლეონიძის ბინიდან, რომელიღაც სახლის შესასვლელიდან რამდენიმე კაცს რაღაც მოჰქონდა. დავინახეთ, კუბოს წააგავდა. სად მიჰქონდათ, რა მიჰქონდათ — არაფერი ვიცი. ამ შემთხვევამ დაძაბული მდგომარეობიდან გამოგვიყვანა. აეუჩქარეთ ნაბიჯს და თითქმის სირბილით დავიშალენით. შემდეგ გვახელებდა პაოლო: „ეს ოინი მე მოგიწყვეთო“. მართლა ასე იყო? არ ვიცი. ნამდვილი ის არის, რომ პაოლო მისტიფიკაციების დიდი ოსტატი იყო.

პაოლომ და მისმა თანამებრძოლებმა შემოიტანეს და საპოლოოდ დანერგეს სწორი სონეტის ფორმა; თუ არ ვცდები, პირველი ტრიოლეტი, ეს მეტად მუსიკალური და მელოდიურად მკლერი ფორმა ლექსისა, პაოლოს კალამს ეკუთვნის. ცნობილია რომ „ცისფერყანწელთა“ აუხვიეს გვერდი ქართული კლასიკური პოეზიის გზას, გამოაცალეს მას სოციალური საყრდენი, მოქალაქობრივი პათოსი და დაუფარავად ატარებდნენ

თავიანთ თეორიული ხასიათის წერილებში მკვლარ თვალსაზრისის „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. მაგრამ ამ შეცდომებთან ერთად, რაც პოეზიის იდეური მხარის უგულვებელყოფაში გამოიხატებოდა, ახალი სკოლის მიმდევრებმა, უმჯველია, ლექსის ფორმის განახლებაში საგრძნობი წვლილი შეიტანეს. აკაკის შემდეგ ქართულმა ლექსმა ერთგვარად დაჰკარგა ზეგავლენის ძალა, აკაკის ბრმა მიმბაძველთა გამო ლექსს დაეკარგა მიმზიდველობა, მომხიბლველობა, გამოეცალა ფუნქცია მკითხველის ემოციების მოძრაობაში მოყვანისა. ამ ეპიგონურ პოეზიას „ცისფერუანწლებმა“ პროტესტის ნიშნად დაუპირისპირეს ახალი ლექსი, რომელშიც აქცენტირებული იყო პოეტური სახეების სიახლე, ბრძოლა ახალ გამომხატველობით საშუალებათა გამოყენებისათვის. ეს იყო ბრძოლა ახალი, მდიდარი, მელოდიური ლექსისათვის. ამ ბრძოლაში მეორე უკიდურესობაში ჩავარდნენ: ლექსში მისტიციზმისა და ავადმყოფური ჰალუცინაციების ბურუსი შეეშვეს.

მათ მიმართეს ჯვარედინ რითმებს, ცდილობდნენ არ გაერთიმათ არსებითი სახელი არსებით სახელთან, გამოეყენებინათ ასონანსები, ლისონანსები, ერთი სიტყვით, გამოეყენებინათ, ის ცდები რომლებსაც ატარებდნენ რუსი და ფრანგი სიმბოლისტები ლექსში მხატვრულა სიახლის შეტანის მიზნით. ამ ცალმხრივმა ცდებმა ლექსს ზიანიც მიაყენეს—გამომიგნეს მისი შინაარსი, მაგრამ ლექსის ტექნიკა მაღალ დონეზე აიყვანეს.

პაოლო ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ლექსის ნოვატორის როლი იკისრა. ის იყო პოეტური ფერწერის ისტატი. ცნობილია, რომ მხატვრის მადლიანი ნიჭითაც იყო დაჯილდოებული.

კეთხულობთ მის ტრიოლეტებს „ქორწილი“, რომელსაც სრულიად არ დაუკარგავს ის ელვარება, ის შექირომილითაც მან პირველ წაკითხვისას გაგვაოცა და გაგვახარა. ტყუილად როდი აქვს მიწერილი ამ ლექსს „ოცნების საღამოები“. ეს ტრიოლეტები მართლაც ნაყო-

ფია იმ საღამოებისა, რომლებიც დამშვენებულნი იყვნენ ფიქრით და ოცნებით რაღაც ახალზე. საღამოების დიდი ჩრდილი, კაფეები—ბოკემურ ცხოვრებას კი არ ნიშნავდა მხოლოდ. ამ შეხვედრებში, საუბრებში, რომლებიც კაფეში სხდომისას იმართებოდა, პაოლო ფართო ასპარეზს უშლიდა თავის არტისტულ სულს, თავის რაფინირებულ გემოვნებას, რაღაც შთამბოძნებელ ძალას პოულობდა მათში.

ანათებს დარბაზს ქალწულების  
ტანსაცმელები,  
ცეცხლისფრად ელავს ლალის ფარჩა და  
ოქროსკედი,  
ვერცხლის სურბში სჩქედს ღვინო  
და სხვა სასმელები,  
ანათებს დარბაზს ქალწულების  
ტანსაცმელები...

აქ ყველაფერია თითქოს ამტყველებული. თეთრი საქორწილო ტანსაცმელები. ლალისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი. აქ ღვინოცაა და სხვა სასმელები. მთელი სურათია დახატული ნამდვილი მხატვრის მიერ. ჩვენ „განვიცდით“ ამ სურათს, მისი საღებავების ჰარმონიას.

ავიღოთ პაოლოს აღრინდელი ლექსი „ფარშავანგები ქალაქში“, რომელიც 1916 წლით არის დათარიღებული. რით იპყრობს ყურადღებას ახლა ეს ლექსი? ვფიქრობ, რომ ის იყო ახალი სიტყვა ჩვენს პოეზიაში, როგორც მხატვრული ხერხებით, ისე, შეიძლება ითქვას, იდეური გააზრებით. ეს იყო ნამდვილი ურბანისტული ლექსი. ქარხნები, მუშები, ცხადია, ხშირად გვხვდებოდა დემოკრატიული მიმართულების პოეტთა ლექსებში, მაგრამ ქალაქური განწყობილება, კაპიტალისტური ქალაქის სული, შინაგანი რიტმი — მათში ნაკლებად იგრძნობოდა. მე სრულიადაც არ მსურს პაოლო იაშვილის პოეზიის იდეალიზაცია. მისი შემოქმედება არ იყო დაზღვეული მხატვრული ჩავარდნებისაგან. ის ვერ იცავდა ხშირად მხატვრულ წონასწორობას. აღნიშნულ ლექსში საკმაოდ გვეხვდება დეკადენტური პოეზიისათ-

ვის დამახასიათებელი ბუნდოვანი, გასა-  
შიფრი ადგილები. მაგრამ უდავოა ისიც,  
რომ კაპიტალისტური ქალაქის აურ-  
ზაური, დომხალი, ქაოსი, რომელიც მას  
(ქალაქს) ემუქრება, კარგად არის ასა-  
ხული. ლექსში ერთგვარად იგრძნობა  
ვერპარანის სული; ლექსი მრავალფერო-  
ვანია მეტრული დინებით, მეტაფორუ-  
ლი თქმებით, ახალი და მდიდარი რით-  
მებით. ისეთი ფიგურალური თქმები,  
როგორიცაა:

როგორც დამსხვრეულ შუშების  
მტვერი.

ისე ელავდა ლურჯი პაერი,

ანდა:

საყდრის გუმბათები

ცას ეშურებოან, ვით ცეცხლის ენები

პაერში შენიშნეს პაერის ანთება.

და მრავალი მიგნებული პოეტური  
ფრაზა და რითმა, მაშინ მთელ აღ-  
მოჩენას უდრიდა, ახალი იყო. ლექსში  
მკითხველს აყრუებდა „ქარხნების ყვი-  
რილი“, „ცხენების ცახცახით ქროლივა“,  
მას თვალს სჭრიდა: „სადღესასწაულო  
დროშების ფრაილი“, „ოქროს და ძვირ-  
ფასი ქვის შუშაბანდები“, „პაერის ან-  
თება“, „ხმაურობითა და სიგიჟით აესე-  
ბული ქალაქი“, „ცხელი ორთქლი“, „წი-  
თელი ფარშევანგები“.

ალიტერაციას წინათაც მიმართავდნენ  
ქართული პოეზიის დიდი წარმომადგენ-  
ლები. „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენე-  
ბულ ალიტერაციის შესახებ გამოჩენილ  
პოეტსა და რუსთაველის შემოქმედე-  
ბის მკვლევარს კონსტ. კიკინაძეს მთე-  
ლი წიგნი აქვს გამოქვეყნებული. ცნო-  
ბილია ბესიკის „ტანო ტატანო“ და  
სხვ. პაოლო იაშვილის ლექსში „ასო-  
ლასი“ ეს ხერხი მკვეთრად არის გამოვ-  
ლენილი. ამ ლექსს სხვა აზრი არაფერი  
აქვს თუ არა მუსიკალურ ბგერაზე „ლ“-  
ზე აგებული მელოდიის გადმოცემა. თი-  
ფონ პაოლო ამ ლექსს შესანიშნავად  
კითხულობდა, ყოველ სიტყვაში ხაზს  
უსვამდა „ლ“-ს.

ლეილას თვლები ელავდნენ ბნელიდან,  
დედოფალს ახლავენ მხვალნი

მეველებად;

ყვავილიც მწველია ლეილას ხელიდან,

დალანი დაშლილან ელვარე

გველებად-

პაოლო თავისი ბუნებით ნამდვილ  
ეპიკურელი იყო. მისი ახოვანება, მისი  
ბრიალა თვლები უფრო ჰედონისტურ-  
რი განწყობილების გამოხატველი იყო,  
ვიდრე მოშვებული, მიბნედილი, დაღვ-  
რემილი განწყობილებისა, თუმცა სევ-  
და რაღაც მოუხელავზე მისთვის უცხო  
როდი იყო. მან მშვენიერად გამოხატა  
თავისი თავი სონეტში „ავტობორტრე-  
ტი“, ამ ლექსში ჩვენ თვალნათლივ ვხე-  
დავთ პაოლოს სურათს როგორც ფიზი-  
კურს, ისე სულიერს. „ამპარტავანი და  
ყოველთვის პირგაპარსული“ „ღამაზ  
რითმისთვის ერთი წუთით ჩაფიქრებუ-  
ლი“ — მართლაც ასეთად გვესახებოდა  
ის. არც ამ სტრიქონში — „მათრობს  
ხაშხაშის სურნელება ძველი სპარსუ-  
ლი“ — არის მოგონილი რამ. სულ მცი-  
რე ხნით მან თავის თავზე სცადა ოპიუ-  
მის გამანადგურებელი ძალა. ცდა გ-  
მოწვეული იყო უფრო ცნობისმოყვარე-  
ობით, სურვილით თავის თავზე შეე-  
მოწმებინა ის ზეგავლენა, რასაც ოპი-  
უმს მიაწერდნენ. ეს იყო პირველ ხა-  
ნებში, როგორც ვთქვით, როცა „სა-  
ქართველოში არ იწამეს მისი დენო-  
ბა“, როცა პაოლო ეფექტური გამოსვ-  
ლებითაც გახმაურდა და თავისი ბუნტა-  
რული, ფეთქებადი ლექსებითაც. ზემოთ  
აღვნიშნე, რომ პაოლო ბუნებით, შინა-  
განი ხედვით და განცლით სრულიად არ  
უარყოფდა დიდ ტრადიციას ქართული  
პოეზიისას. შექსპირისა და დანტეს უარ-  
ყოფა — ეს იყო არტისტული ექსტი.  
ერთგვარი ნილაბი და, ვიმეორებთ ხერ-  
ხი, გამოყენებული იმისათვის, რათა შე-  
ბრძოლებოდა მუზეუმების მტვერს, მო-  
წოლილ ისტორიზმს. იქ, სადაც გულის  
სიღრმეში, ქვეცნობიერ სამყაროში კი  
იგი „ალავერდს გადადიოდა რუსთაველ-  
თან“ და პოლონელ ხალხს ასე მიმარ-  
თავდა:

ამაყო მებო! საღამო წმინდა

სალამი გრძნეულ რუსთაველისა.

საინტერესო პოეტურ მოვლენას წარ-  
მოადგენდა ეს „უცნაური ლექსი — პო-

ლონეთს“ მაშინდელ ვითარებაში. ის დაიწერა 1917 წელს, მაშინ, როცა ბოლო მოეღო თვითმპყრობელობას. აღსანიშნავია ლექსის პოლიტიკური ქდერადობა. იგი ნათელყოფს, რომ „ცისფერყანწულთა“ ჯგუფის ხელმძღვანელი პაოლო იაშვილი არ იყო მოკლებული საზოგადოებრივ აზროს, რომ მის მკერდში მოქალაქის და წრფელი პატრიოტის გული სცემდა, რომ მისი გული დაჯილდოვებული იყო უფაქიზესი გრძობით, — ხალხთა მეგობრობის გრძობით, უმღეროდა ამ მეგობრულ კავშირს რასაც ანმტყეცებდა პოლონელი და ქართველი ხალხების ბედის ერთნაირობა.

ქართული ერი და პოლონეთი —  
ორი გვირგვინი და ორი კენესა!  
ჩვენ გვაწვალებდა ოცნება ერთი  
და ჩვენ მოველით ერთნაირ მზესა.

თუ რა მზეს მოელოდა პოეტმა — ეს ნათელი გახდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას, როცა ის აღფრთოვანებული შეეგება ამ ხელისუფლებას. ამაზე შემდეგ.

1917 წელსვე დაწერა მან ღირსშესანიშნავი ლექსი „წითელი ხარი“. მაშინაც ვწერდი და ახლაც მგონია, რომ ამ ლექსში პაოლომ გამოხატა თავისი პოლიტიკური მაქსიმალიზმი. ამას არც ფარავდა. ამ ლექსში მთავარია საზოგადოებრივი პერსპექტივა, რომელსაც პაოლო ითვალისწინებდა, განიცდიდა. საერთოდ ის იყო მეტად დაუდგვარი. ძლიერი ემოციების მქონე. მშფოთვარე, მაშინდელი დაჭობებული სინამდვილეს მოძულე და ახალი ჰორიზონტების მაძიებელი ადამიანი. ის ხომ ქუთაისის გიმნაზიიდან გარიცხეს და მგლის ბილეთი მისცეს, შემდეგ იძულებული გახდა ანაპის გიმნაზიაში განეგრძო სწავლა.

ეს მშფოთება სულისა, ეს მოღანდება ახალისა, რაც არ ჰქონდა ჯერ ნათლად წარმოდგენილი, გამოხატა მან ლექსში „წითელი ხარი“. ლექსს ახასიათებს ენერგიული და დინამიკური რიტმი, რითმები, რაც მას მეტად მუსიკალურს ხდის, ლექსი დატვირთულია თუმცა

ბუნდოვანი, მაგრამ საკმაოდ გაბედული სახეებით, მისი ლექსიკაც ატლებურად ეღერს. ლექსში იგრძნობა მოლოდინი, რომელიდაც ცეცხლის, მზის ნაპერწყალთა, გახურებულ ჰაერისა, რომელსაც ნაკვერცხლები სცივია, იგრძნობა დაუსრულებელი ლტოლვა მზისაკენ. ეს მზიური განწყობილება აძლევს ლექსს თავისებურ შნოსა და იერს. და თითქოს თვითონ იწოდა მზის ნაპერწყლებით, როცა მას კითხულობდა:

გაგივდება ალით მზარე, ცისკენ  
მიპროს კენესით ხარი,  
მიწა რქებით მონათხარი  
ნაკვერცხლებად სცივია ჰაერს.  
ხარის ლანი გაჩნდა ტევრში ზღვა აღარ  
ჩანს ოჭროს მტევრში.  
მიწის სუნთქვა აქ ფრთებს ვერ შლის,  
ვერ შლის სურვილს ათასნაირს.

რას გულისხმობდა ის ამ წითელ ხარში, რომლის რქებით მონათხარი მიწა ნაკვერცხლებად სცივია ჰაერს? მთავარია აქ საერთო განწყობილება. ყოველ შემთხვევაში ლექსში რომ არის მინიმუმ რაღაც შეურთიგებლობაზე არსებულ სინამდვილესთან — ეს, ვფიქრობ, ცხადი უნდა იყოს.

პაოლო იაშვილს ჰქონდა ადრე დიდი და მწვავე შინაგანი ტკივილები, ვიტყვოდი — დიდი სევდაც. ეს იცის ყველამ, ვინც მას პირადად იცნობდა და უფრო ახლო იდგა მასთან, როგორც იყვნენ ტიციან ტაბიძე და ნიკ. ნადირაძე. ამ ტკივილს, ამ სევდას ასაზრდოებდა მისი მკვეთრად გამოხატული პატრიოტული განწყობილება, მისი ხალხის ტრაგიკული წარსული. ის სიტყვით როდი იყო პატრიოტი. თავისი უანგარო სიყვარული სამშობლოსადმი პოეტმა დაამტკიცა რევოლუციის პირველ წლებშივე, როცა თურქეთის მაშინდელმა მესვეურებმა ისარგებლეს შინაგანი არეულადრევით და ჩვენს ქვეყანას შემოესივნენ ახალციხის მხარედან. პაოლო და ტიციანი ჩადგნენ იმ მეზობლთა რიგებში, რომლებიც სისხლით იცავდნენ თავის ქვეყანას შემოსეული მტრებისაგან.

პაოლოს მრავალი ლექსი, თუ ყველა



არა, ბიოგრაფიული ხასიათისაა, მათში სინამდვილეში მომხდარი ამბები არის აყვანილი პოეზიის დონეზე. ასეთია თუნდაც მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი, რომელიც ალი არსენიშვილს მიეძღვნა. მაშინ ეს ლექსი დიდ მოწონებას იმსახურებდა, ყოველ შემთხვევაში, მის მეგობრებს შორის მაინც. მაშინ ცოტა ლექსი თუ დაბეჭდილა ვახუთში, რომ ის წინასწარ არ ყოფილიყო წაკითხული ავტორის მიერ მეგობრების წრეში. იმართებოდა ლექსებით ფარიკაობა, რომლის უფრო ხშირი მონაწილენიც იყვნენ: პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ნიკ. ნადირაძე და ვალ. ვაფრინდაშვილი. ამ ლექსების ქაზა-ჭუხი ისმოდა არა მხოლოდ ჩვენს ოთახებში, — უფრო ხშირად ქუჩებში, ქიმერიონში, განსაკუთრებით კი რუსთაველის პროსპექტზე — განთიადისას, როცა ლექსების მუსიკა უერთდებოდა ბედლებს დილის ყივივს. თითქოს ახლაც ჩამესმის ყურში პაოლოს მკაფიო კითხვა თავისი ლექსისა:

ფინტავდა კვალსა მატარებელი,  
ზყავებული ტყემლის რტობად;  
შენ სიტყვები უდარებელი  
შენ მისდევდა ქარს ლეკვობად  
და ტოვა მოხსნილს მაინც დაგშვენდა  
შენ რეტანი ლექსით ბარბაცი,  
და მოდიოდი ძვირფასო, ჩვენიან,  
ვით ლოწვრინი და ჯაბისკაცი.

ამ ლექსის ბიოგრაფია თვით ავტორს აქვს მოცემული შემდეგ წამძღვარებულ სტრიქონებში: ვაგონი, ცხენებით ხუთი გუსარი. აწყურისაკენ. პაოლო და ტიციანი ცხენოსანთა რაზმში იყვნენ და მონაწილეობას იღებდნენ აწყურთან ბრძოლაში.

პაოლო როდი იყო გამოთიშული საზოგადოებრივ ცხოვრებას, მაშინაც კი, როცა ის, ასე ვთქვათ, წმინდად იცავდა დეკადენტური პოეზიის პოზიციებს, იცავდა როგორც ლექსებით, ისე საჯარო გამოსვლებით. პაოლოს პატრიოტულად აღდგრებული ლექსი „დაცემულ ბათოშს“ იყო გამომხატურება იმ ტრაგიკულ მოვლენებისა, რომელთა ზეგავლენას მაშინ ჩვენი ქვეყანა გა-

ნიციდიდა. ასკერების მოწოლის შედეგად დაეცა ბათუმი. მინდა ამასთან დუკაშვირებით მოვიგონო ერთი ეპიზოდი, ეს იყო მგონი 1918 წელი. ბათუმს საშინაოება მოელოდა. საჭირო იყო მისი დაცვა, ამ დაცვაში მაშინ ქუთაისში მცხოვრებმა პატრიოტულად განწყობილმა, მაგრამ საომრად სრულიად მოუზადებელმა ახალგაზრდობამაც მივიღეთ მონაწილეობა. ჩვენ რაზმს მეთაურობდა ჩვენი სასიქადულო მწერალი დავით კლდიაშვილი. რაზმი იღვა ხულოსთან. თუ მეხსიერება არ მღალატობს, სწორედ ეს მომენტი აქვს აღბეჭდილი მხატვარ კროტკოვს სურათზე (ის იყო ჩვენი ხატვის მასწავლებელი რეალურ სასწავლებელში — კაცი ფრიად განათლებული და ახალგაზრდობის მოყვარული), რომელიც მან დ. კლდიაშვილის იუბილეს მიუძღვნა. დავითი გახარებული იყო ახალგაზრდობის პატრიოტული აღგზნებით, მაგრამ, როგორც მხედარმა, ისიც კარგად იცოდა, თუ რისი მაქნისი ვიყავით. მალე ჩვენი რაზმი შეცვალა ჯარის პატარა ნაწილმა, მაგრამ ფაქტი ის იყო, რომ ბათუმი დაეცა. ამ ტრაგიკულ ამბავს პაოლო გამოეხმაურა დასახელებული შესანიშნავი ლექსით; საყურადღებოა, რომ პაოლოს არც ამ ლექსში დღაღობდა ოპტიმიზმი, რწმენა, მზიური მღელვარება:

ბრძანება ისმის და სმენა ჩქარა,  
გაშალეთ მზეზე კრაილა ხმლები  
ან დაებრუნეთ ჩვენი აჭარა,  
ანდა ბათომთან დაეტოვოთ ძვლები.  
აღრე სულთან ნუ გაიხარებს,  
აღმოსავლეთის აღრეა ტაში, —  
ჩვენ დაებრუნებთ ბათომის კარებს,  
მწარე იქნება ჩვენი რევანში.

ასეთი ღია ფერებით არის შესრულებული ფინალი ლექსისა. პოეტის წინათგარძნობამ ხორცი შეისხა. 1921 წელს, ბათუმში შემოსულმა წითელმა ლაშქარმა ქართველ მებრძოლებთან ერთად ბათუმი მშობლიურ სხეულს საბოლოოდ შეუხორცეს. და რა კარგი ახალგაზრდობა გამოეთხოვა იმ დღეებში მშობლიურ მხეს, ლაყვარდება, შავი ზღვის მშფოთვარე ტალღებს ანაყ-

ლიისა და სხვა ფორტებზე...

ამავე სამწუხარო, სამგლოვიარო ამბავს გამოეხმაურა ტიცინან ტაბიძე ლექსით „ორი აპრილი“, რომელშიც პოეტის უფრო ქვეთანი ისმის, ვიდრე იმედის ნაპერწკალი:

ბათომი მისცეს და ორპირზე მოღას  
თათარი,  
ატმის უვავილით სისხლიანი სტირის  
აპრილი.  
ყვითელ სატურნის უბედობით ავად  
გამხდარი.

პოეტის სულიც საქართველოს ჯეზად  
დახრილა

უქანაყნელი აკორდი კი ამ ლექსისა ასე ეღერს:

საერთაო თავის და ქალღვას ახალ  
შერცხვენის  
ტანჯული ფიქრით სამუდამოდ  
მოიქანცები.  
ახ, მეგობრებო, ჩემი სული  
ქვართლია სხვენის,  
ცრემლით სავსეა ჩემი წილი ჩვენი  
უანწყებს.

ჩვენ ისე გვხიბლავს ანტიკურა ლიტერატურა, როგორც აღორძინების ლიტერატურა თუ ხელოვნება, ჩვენს სულს ისევე აზარებს, ამალღებს და წმენდა ნალექისაგან ლაურას, ბეატრიჩეს, ნესტანის თუ ოფელიას სახეები, როგორც ნატაშა როსტოვასი, ტატიანა ლარინასა თუ ნაზობროლასი. სილამაზის ეს ზემი არის კაცობრიობის ბედნიერება და მიისი უქვედაგებაც. ის, რაც კარგი და მომხიბლავი, ლამაზი და სულის შემპირავი იყო ახლო წარსულში, ახლაც ისეთივე ჩანს. მე მხედველობაში მაქვს პაოლოს შემოქმედების ერთ-ერთი გვირგვინი — „წერილი დედას“, რომელსაც შემორჩენილი აქვს პირვანდელი პოეტური სიციხოვლეც და პირველი სიყვარულის ძალაც.

შემდეგში დიდმა რუსმა პოეტმა ს. ესენინმა შექმნა აგრეთვე შესანიშნავი ლექსი იმავე სათაურით „წერილი დედას“ და თავის დროზე გახმაურებული

ლექსები „ხულიგანი“ და „ხულიგნის აღსარება“. ესენინმა არაფერი იცოდა, ცხადია პაოლოს დასახელებულ ლექსზე. განწყობილებები და იღვებაც ხშირად თითქოს ატმოსფერულად ვრცელდება. თუმცა აღებულ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა მხოლოდ სათაურების დამთხვევასთან, არამედ ერთგვარ სევდიან განწყობილებასთანაც, რაც გამოწვეულია ოცნებით სოფელზე, სოფლის სიწმინდეზე, რაც გამოწვეული იყო ქალაქის აურ-ზაურის გავლენით შექმნილი სულიერი დეპრესიით; გამოწვეული იყო იმ მარტოობით, რასაც განიცდიდა ქალაქში მოხვედრილი პოეტი. ჩვენ ხშირად ვთხოვდით ავტორს წაეციტხა ეს ლექსი და ისიც სიამოვნებით გვისრულვებდა თხოვნას, თვითონ უყვარდა იგი, მისი ლირიკული გული ამ ლექსში ფეთქდა უფრო თავისუფლად და კითხვისას მის ხმას ეტყობოდა საოცარი სიარბილე და ამასთან ერთად სულიერი მღელვარება.

პაქ კინტოს პროფილი,  
საეჭვო ტარნები,  
დავიცენტები  
ქალაქის ქუჩებში მე — სალახანა.

კინტოსა და ყარაჩოხელის მოტრფივლე არასდროს არ ყოფილა არც პაოლო და არც მისი ჯგუფის სხვა წევრები. მისი გემოვნება ასეთ ტიპს ვერ ურიგდებოდა, სალახანას კი თავის თავს უწოდებდა მწარე ირონიით. სოფლის სიწმინდეს მოწყვეტილი, იგი თითქოს ქალაქში ვერ პოულობდა საყრდენს. რა თქმა უნდა, მის შთაგონებაზე ამ შემთხვევაში გავლენას ახდენდა არა ქუთაისის შედარებით იდილიური ცხოვრება. არა! მის პოეტურ ფანტაზიას არ ასვენებდა, ალბათ, პარიზში მიღებული კომუნარული ჩვენებები, მათხოვრები, რომლებიც სენის „ხიდებს ქვეშ მარსელიებით ზღვებოდნენ დილას.“ არ ასვენებდა „ევროპის ქაოსი“, „სისხლი“, „დანგრეული რეიმსი“, „რეინის ირგვლივ თომათა გადაშენება“, რომელთაც ის გამოეცქია და აქ დაიტერა „სოფლის

სიწმინდე, მართალი ბათმანი“, როცა მას ქალაქში აწუხებდა „ყველა ყელსახვევი, შავი ხელთათმანი“.

მასსოვს, მაშინ, სერგო კლდიაშვილს ცრემლიც კი მოსდიოდა, როცა ჩვენ ვისმენდით ამ ლექსის ბოლო სტრიქონებს:

დედა ინახულ  
შენ წმინდა ხახულ  
წადი ფეხშიშველ,  
ქალაქში დაკარგულ შვილისთვის  
ლაშე გაათე,  
ღმერთო! აპატიე —  
მე თუ ვერ მიშველი —  
დედას, რომ დაგინთო ჩემ სიგრძე  
სანთელი,  
მისთვის, რომ ჩემს გულში  
დაუჩლდეს გრიგალი და კორიანტელი.

ჩვენ ვხედავდით თითქოს პაოლოს გაშიშვლებულ მფეთქავ გულს, რომელიც ნატრობდა მასში დატრიალებულ „გრიგალისა და კორიანტელის დაყუჩებას“.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ პაოლოს ჰქონდა დეკადენტური ლექსები და მან ამ ლექსებით მიიპყრო ყურადღება, რადგანაც სწორედ ისინი იჭრებოდნენ დისონანსად საზოგადოების მაშინდელ ესთეტიკურ შეხედულებებში. ამ საზოგადოებას ეხამუშებოდა ისეთი სიტყვა პოეზიაში, რაც არ ემთხვეოდა დაკანონებულ ტრადიციებს, ეხამუშებოდა ის სიახლე, რომელიც არღვევდა ლექსის დაკანონებულ ფორმას და გამომსახველობით საშუალებებს. როცა ახლა ვაფასებთ იმ წლებს, მშფოთვარე, მღელვარე წლებს, ვაფასებთ ისტორიული პოზიციიდან, არ შეიძლება უარყოფით წვლილი, რომელიც დასახელებულმა ჯგუფმა ქართული პოეზიის განვითარებაში შეიტანა. მაგრამ არ შეიძლება

მივაფუჩქროთ ის საშიშროებაც, რომელიც მათ შემოქმედებას ემუქრებოდა.

საქმე ისაა, რომ პირველ ხანებში სიმბოლისტებმა ჩვენში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, გვერდი აუარეს მტკივნეულ საზოგადოებრივ საკითხებს, მოვლენებს და ლექსი გაჟღინთეს ვიწრო ინდივიდუალისტური განწყობილებებით, რომლებიც სრულიად არ ემთხვეოდა საზოგადოების და მით უმეტეს მისი მოწინავე ნაწილის რევოლუციურ განწყობილებას. ისევე როგორც ყველგან, მოდერნიზმმა ჩვენშიც სახეცვლილება განიცადა. იყო გაუბედავი ცდები იმაჟინისტური, დადაისტური ლექსების წერისა. იყო ისეთი შეხედულებებიც, რომლებიც უარყოფდა პოეზიის არსებობის უფლებას. ლექსებშიც მტკიცდებოდა ნიჰილისტური დამოკიდებულება პოეზიასთან, ერთი სიტყვით იყო თვითუარყოფის საშიშროებაც. ჩვენი პოეზია საფრთხის წინაშე დგებოდა, რაც გამოხატავდა საერთოდ ბურჟუაზიული კულტურის კრიზისს. ამ კრიზისს პოეზია გადაარჩინა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ. საბჭოთა ხელისუფლებამ მხატვრულ ლიტერატურას დიდი საპატიო ამოცანა დაუსახა. „ესიფერყანწელები“, რომლებიც დეკადანსის მძიმე ტვირთით შეხვდნენ ხალხს ხელისუფლების გამარჯვებას ჩვენში, ერთბაშად არ განიარაღებულან იმისაგან, რაც წარსულიდან მოიტანეს. მათი იდეური პოზიციების დაცემა არ დაემთხვა ემოციურ განიარაღებას, იმ გრძნობების, განწყობილებების ცვლას, რასაც მათი სისხლი და გული კვებავდა. ემოციური სამყარო უფრო ჩამორჩენილი აღმოჩნდა.

შალვა აშირაძის მიერ

ანდრეი რუბლევი

ანდრეი რუბლევი თავისი დროის უდიდესი მხატვარია. თითქმის შვიდი საუკუნის წინ ცხოვრობდა და ქმნიდა იგი თავის შედეგებს, მაგრამ გენიალური რუსი მხატვრის შემოქმედება ახლაც გვიბოლავს სახეების უტყუარი ლირიულობით, სასუბოო ფერწერულ ოსტატობით. ანდრეი რუბლევის შემოქმედება ერთ-ერთი მწვერვალთაგანია რუსული კულტურის იმ პერიოდისა, როცა ყალიბდებოდა რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო და მოსკოვი ძველი რუსეთის მთავარი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი ხდებოდა. ეს იყო ნაციონალური აღმავლობის მღელვარე დრო, მოსკოვის სამთავროს სწრაფი ამაღლების ეპოქა, როცა, კულციკლის ველზე გამარჯვების შემდეგ, მოსკოვი თათრების წინააღმდეგ გამათავისუფლებელი ბრძოლის სათავეში ჩადგა და დაიწყო საუფლისწულო მანუების გაერთიანება. დიდი მხატვრის ცხოვრება და შემოქმედება ორგანულად იყო დაკავშირებული რუსული საზოგადოების მოწინავე წრებთან, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ნაციონალურ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. როგორც ცნობილია, ანდრეი რუბლევი დაახლოებული იყო სერგეი რადონევილის წრესთან, რომელიც მტრულად გამოდიოდა რუსი ხალხის დამსუსტებელ ფეოდალური კინკლაობის წინააღმდეგ. თავისი დროის საუკეთესო რუს ადამიანებთან ურთიერთობამ, ხალხთან ორგანულმა კავშირმა, თავისი ეპოქის მისწრაფებათა ღრმად გაგებამ განაპირობა დიდი რუსი მხატვრის შემოქმედება. ანდრეი რუბლევის შემოქმედება სწორედ იმითაა ძვირფასი, რომ იგი საესეებით პასუხობდა ამ დროის რუსეთში მომწიფებულ მოთხოვნებს შექმნილად გაბედული, ცხოვრებასეული და ღრმად ადამიანური ხელოვნება.

მეტაწინები და ზეპირი ვადმოცემანი მოწოდებენ, რომ ჯერ კიდევ ანდრეი რუბლევის თანამედროვეები ღრმად აფასებდნენ მის არაჩვეულებრივ ნიჭს. ხატები, რომლებსაც მის ფერჯს მიაწერდნენ, ძვირფასი რელიქვიის სახით გა-

დადიოდნენ თაობიდან თაობაზე. მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ანდრეი რუბლევის ხელოვნება დამალული იყო გვიანდელ განახლებებისა და დაფარვისაგან. მხოლოდ ჩვენს დროში შეიქმნა შესაძლებლობა ამ დიდი მხატვრის შემოქმედების შესწავლისა მას შემდეგ რაც მისი ნამდვილი ნაწარმოებები განთავისუფლდნენ მრავალგვარი სხვადასხვა დროს ჩატარებულ გადაწყვერისაგან, რაც ამბიინჯებდა ზვეს წარმოდგენას დიდ ოსტატზე.

ანდრეი რუბლევის შემოქმედების შესწავლის მთავარი სიძნელე ისაა, რომ არც მისგან და არც მისთან ერთად მომუშავე „გოროდცის ბერ პარობორისგან“ და დანილ ჩერნიისაგან ჩვენამდე არ მთაღწია არც ერთმა ხელმოწერილმა ნაწარმოებმა. 1904 წელს ტროიკო-სერგაიევის ლაერაში ე. ტულინის და ა. ოზასკოვის მიერ რესტავრატორ ვ. გუბინოვის მეთვალყურეობით „სამების“ სახელგანთქმული ხატის აღმოჩენას, რომელიც ძველთაგანვე რუბლევს მიეწერებოდა, ისტორიულ მნიშვნელობა ჰქონდა ძველი რუსული ფერწერის შესწავლისათვის. მხოლოდ ამ რესტავრაციის შემდეგ ნ. პ. ლიხაჩევმა მოგვცა რუბლევის ფერწერის პირველი სტილისტური ანალიზი, რითაც ფუძე ჩაუყარა დიდი რუსი მხატვრის შემოქმედების მეცნიერულ შესწავლას. ნ. პ. ლიხაჩევმა სტილისტური ანალიზის საშუალებით დაადგინა ის ფერწერული ხერხები, რომლებიც დამახასიათებელი იყო ნოვგოროდისა და მოსკოვისათვის სხვადასხვა ეპოქაში, და ამ დასკვნამდე მივიდა, რომ ანდრეი რუბლევის წერის „მანერა“ განუტყრელად დაკავშირებულია რუსული ფერწერის განვითარების განსაზღვრულ პერიოდთან.

რუბლევის ყველაზე ცნობილ ნაწარმოებებს, არა მარტო ფერწერულ ხატების, არამედ ფრესკულ მოხატულობის, სისტემატური აღმოჩენა დაიწყო 1918 წელს. დიდა, ძნელი და მტკბარ საპასუხისმგებლო მუშაობის ჩატარების და გვიანდელი ჩანაწერებისაგან განთავისუფლების შედეგად, გამოვლენილი და შესწავლილი იქნა

ძველი რუსული ფერწერის ის ნაწარმოებები, რომლის შემქმნაში ანდრეი რუბლევი სხვა ისტატიკებსა და ეროვნულ სტილსა და მინაწილებს.

ამჟამად ჩვენ საშუალება გვაქვს შევისწავლოთ დიდი რუსი მხატვრის შემოქმედება შემდეგი ძეგლების მიხედვით, რომელთაც შერჩაათ ნამდვილი და სავაჟდებელი ნაწარმოებები: 1) ზაგორსკის სამების ტაძრის კანკელი „სამეხობით“, რომელიც ამჟამად ტრეტიაკოვის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული; 2) ხარების ტაძრის კანკელი მოსკოვში; 3) ვლადიმერის მთაწმინდის ტაძრის ფრესკული მოხატულობა და კანკელი; 4) ზენიგოროდის მიძინების ტაძრის კანკელი და ფრესკები; 5) მე-14 საუკუნის ბოლოს მე-15 საუკუნის დასაწყისის ხელნაწერ სახარებებსა მინიატურები, რაც ინახება ლენინის ბიბლიოთეკაში და საჯარო ბიბლიოთეკაში, ლენინგრადში.

მაგრამ, ახლაც კი, როდესაც ანდრეი რუბლევის შემოქმედების შესწავლამ ფართო ხასიათი მიიღო, მხატვრის ნამდვილი ნაწარმოებების გავიყვინება არ შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულად. ცენტრალურ მუზეუმების მარაგებში ინახება მრავალი ჯერ კიდევ გამოუმუღავნებელი ხატები, რომელიც რუსეთის ტაძრის ხელოსანებმა, უცვლელ დღეს შექმნილი ახალი აღმოჩენა მოგვიტანეს, ახლებურად გააშუქეს ამ დიდი მხატვრის შემოქმედება. მაგრამ ის, რაც გამოუმუღავნებელია სარესტავრაციო და სავაჟდებელი მუშაობის შედეგად საბჭოთა პერიოდში ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ანდრეი რუბლევის. თუ შევაჯამებთ ამ შედეგებს, შეიძლება საბოლოოდ დადგინდეთ ჩვეთვლით, რომ დიდი რუსი მხატვრის შემოქმედება ჩამოყალიბდა ძველი რუსული ხელოვნების ნაციონალურ ტრადიციების საფუძველზე.

როგორც ცნობილია, ანდრეი რუბლევის მოღვაწეობა განუყოფლად დაკავშირებულია მოსკოვთან, რომელიც მე-14 საუკუნის ბოლოდან ძველი რუსეთის პოლიტიკური და კულტურული ცენტრის დაძაბული ცხოვრების ცხოვრობდა. მემატიანეთა ცნობები გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ მოსკოვში უკვე 14-საუკუნის შუა წლებში მიმდინარეობდა გაძლიერებული მუშაობა ტაძრების მოხატვა-გამაშენებისათვის, რაშიც მონაწილეობას იღებდნენ როგორც რუსი მხატვრები, აგრეთვე ჩამოსული ბერძენი ისტატიკები და ბერძენების რუსი ნაშვილები. რუსეთში, ჩამოსულ ბერძენ ფერმწერებს შორის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა იყო სახელგანთქმული ბიზანტიელი ფერმწერალი თეოდანე ბერძენი, რომელიც ერთნაირი ისტატიკით აწარმოებდა ტაძრების მოხატვას, ხატავდა ხატებს, ხელნაწერებს ამკობდა მინიატურებით და ორნამენტული დეკორით. თეოდანე ნოვგოროდიდან მოსკოვს ჩა-

მოვიდა და ერთბაშად მოახდინა მოსკოველებზე ძლიერი შთაბეჭდილება იმით, რომ თავისი ფერად ხატავდა, არ უცქერდა სხვა მხატვრებს, გორც ამას დანარჩენი მხატვრები აცხადებდნენ.

უპიფანე ბრძენი და მათიანეები ასახელებენ თეოდანეს მიერ მოსკოვში შესრულებულ ნაწარმოებებს, რომელთა შორის მოხსენებელია ხარების ტაძარი, მოხატული 1405 წელს თეოდანე ბერძენისა, გორათუვის ბერ პრიობორის და ბერ ანდრეი რუბლევის მიერ. სამწუხაროდ თეოდანეს ხელით შესრულებული არც ერთი მოხატულობა მოსკოვში არ შემოგვრჩა. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთმა კანკელმა ხარების ტაძრისა, რომლის ცენტრალური ხატების შესრულებას ყველა შეკლავარი თეოდანე ბერძენს მიაწერს. ვარაუდობენ, რომ სადღესასწაულო ხატები შესრულებული არიან პრიობორისა და რუბლევის მიერ, მაგრამ მათი ნაწარმოებების განსაზღვრა ძალიან ძნელია, რადგან ხატებში მენიშნულ ცუდად დაცული სახით მოაღწევს.

ანდრეი რუბლევი უფროდ ყურადღებით ათვალისწინებდა ყველაფერ იმას, რასაც მოსკოვში აკეთებდნენ არა მარტო რუსი ისტატიკები, არამედ ჩამოსულიც, მათ შორის თეოდანე ბერძენი, რომელთანაც იგი შეშაობდა. მაგრამ ანდრეი რუბლევის ზეიმად მოღწეულ ნაწარმოების მიხედვით, უნდა ითქვას, რომ ბერძენ ისტატიკს არ შეეძლო გადამწყვეტი მნიშვნელობის გავლენა მოეხდინა უკვე საფუძვლით ჩამოყალიბებულ რუსი მხატვრის შემოქმედებაზე. ანდრეი რუბლევის ორიგინალუბის შესწავლა ადანტიურებს რომ რუსი მხატვრის ხელოვნება თავისი მხატვრული მსოფლშეგობებით დამატრად ეწინააღმდეგება ყველაფერ იმას, რაც თეოდანე ბერძენმა შექმნა ნოვგოროდსა და შემდეგ მოსკოვში, არ შეიძლება დაეთიანებოთ ე. ვაზარის მტკიცებს, ვითომ ანდრეი რუბლევის ხელოვნება წარმოადგენს „ხელოვნებას, რომელიც ორივე ფეხით დგას ჩამოსულ ბიზანტიელ ისტატიკისა და კერძოდ უკანასკნელ მათგანის — თეოდანეს მიერ მოწოდებულ ნაიაღზარეო“, აგრეთვე ძნელია დავეთიანებოთ ვ. ლაზარევის მიერ გამოთქმულ დებულებას, რომ „თეოდანემ აზიარა რუბლევი მაღალ მიწვემეტერ ტრადიციებს, გაამაჭრა მისი შესანიშნავი კოლორიტული ნიჭი, ასწავლა მას ახალი კომპოზიციური ხერხები“. ვ. ლაზარევი და მ. ალპატოვი აღნიშნავენ, რომ რუბლევი არასოდეს არ მიაღწია სახელმწიფო მონარქულ მხატვრის, რუბლევისა, პირველმა მხატვრებს შორის, როგორც ამას სწორად შენიშნავს ვ. ლაზარევი, „გამოთყენა ბიზანტიური მეციკლერიტობა და ამავე დროს ისეთნაირად ჩაიღავნა რად გადამაშუა იგი, რომ შემდგომ მას უკვე აღარ შეეძლო მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა, არა მარტო მოსკოვის, არამედ მთელ ძველ რუსულ ფერწერის ისტორიაში. რუბლევის ხატებსა და მოხატულობაში თვითმყოფადი რუ-



სულ ნიშნების რიცხვი ახალ ხარისხს ღებულობს\*.

ანდრეა რუბლევისა და თეოფანე ბერძენის შემოქმედება დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ერთმანეთს შინაარსით და სტილით. „რუსულ ხელოვნებაში, როგორც სამართლიანად აღნიშნავს შ. ალპატოვი, არასდროს არ ყოფილა ისეთი თანამედევრული შეჯახება ორი სხვადასხვაანობის მხატვრული მიმართულებისა, როგორც თეოფანესა და რუბლევის ნამუშევარში ვხვდებით. პირველთან გაბატონებულია სახის ამაყი მედიდრობა, რომელიც გადადის ქედ-მდღობაში, მიჩქვს სიმკაცრეში, მეორესთანა — სინაზე და უწყინარობა, პარაზონული ნიშნები და სულიერი გულშემოტყრობა“.

ანდრეა რუბლევის წერის მანერას ახაფერია აქვს საერთო თეოფანე ბერძენის მიერ შესრულებულ ფრესკებისა და ხატების წერის მანერასთან. თეოფანე ბერძენა, როგორც ეს ჩვეულებრივ მინიშნულია, იყო ერთერთი იმ დიდ ბზანტიელ ოსტატთაგანი, რომლებმაც ისტორიულად შექმნილ პირობების გამო დასტოვეს თავისი სამშობლო და უცხოეთში ჰპოვეს თავისი ნიქის გამოყვანებისათვის ხელშემწყობი პირობები: თეოფანე ბერძენი იმდენად მტკიცედ შევიდა რუსულ ხელოვნებაში, რომ როგორც ვ. ლაზარევა აღნიშნა „მისა სახელი ისევე გავრცელდა მისგან, როგორც რასტრელის, კვარენგისა და როსის სახელები“.

გმიფანეს წერილში კირილე ტვერელისადმი, რომელიც დაწერილია 1378 წელს, აღნიშნულია რომ თეოფანე ბერძენმა მოხატა ორმოცზე მეტი ეკლესია, იგი მუშაობდა კონსტანტინეპოლში, ხალიკონში, ვალტაში (კონსტანტინეპოლის კეარტალი), კათაში (ფეოდოსია). განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი მუშაობა ნოვგოროდსა, მოსკოვსა და ნოვნიოვგოროდში. სამუხებროდ, ვეეაა ზემოთაზოთვლად მოხატულობადან კარგად დატულია მხოლოდ ფერციკვლების ფრესკული მოხატულობა, რომელიც შესრულებულია მის მიერ 1378 წელს და იძლევა ბრწყინვალე წარმოდგენას დიდი მხატვრის შემოქმედებაზე.

დიდი ფერწერული ნიქის მფლობელი, თეოფანე წერს მკვეთრი გაბედული მანერით; ფიგურებს ხატავს ფართო გაბედული მონასშით; გასაოცარი ოსტატობით პირველადი დაწყობის ზემოთ ღებს თეთრ, მოცისფრო-რუხს და წითელ ფერს, თეოფანე ფერმის მოდელირებისას ოსტატურად იყენებს ფერს, როგორც მძლავრ საშუალებას ემოციურ აქცენტის მისაღწევად. როგორც ექსპრესიული ზემოქმედების ფერწერულ საშუალებას. სახეჩვეულებრივ დახარულია მოქვეითებულ საღებავს. ჩრდილოვანი ნაწილი გასაოცრებელია, განათებულია, პირიქით, მეტ ტონშია გავლებული. სახის მოდელირებას თეოფანე ამთავრებს თეთრას მონას-

შით. თეოფანეს ფერადი გამა გამოირჩევა დიდი თავმჯეებულობით.

ჩემს მიერ ზემოთ იყო აღნიშნული, რომ თეოფანეს წერის მანერა არ გვხვდება არც ერთ მკვლევ, რომელიც ნამდვილად კონსტანტინეპოლიდან არის წარმოშობილი. არც იმ მკვლევებზე, რომელიც კონსტანტინეპოლის მხატვრულ ტრადიციასთანაა დაკავშირებული, თეოფანეს წერის მანერის მიუთვნება კონსტანტინეპოლის სკოლისადმი, როგორც ამას ექიბობენ, მიზანია არა სწორად. სავკუთა, რომ თეოფანე ბერძენი „გამოსული ყოფილა იოს ადრკალეოლოგიური მხატვრული კულტურის ტრადიციებიდან“ და რომ მან აქედან აიღო ფერწერული ტექნიკა\*.

სანამ შევედგებოდეთ თეოფანე ბერძენის წერის მანერის წარმოშობის გამოკვლევას, რომლის ხელოვნება მთლიანად თავის ძარებით ეყრდნობა ნოვგოროდისა და მსკოვის მხატვრულ ტრადიციებს, ვეეაა დასკინოდ აღვნიშნო, რომ კონსტანტინეპოლის სკოლის ფერწერული ტექნიკისა და წერის მანერის ისტორიული ევოლუციის გამოძიება კახრია-ჯამის მოზაიკებიდან მე-14 საუკუნის ბოლომდე შესაძლებელია წაღწეხის ტაძრისა და სტილისტურად მასთან ახლოს მყოფი ქართული ფერწერის სხვა ერთობლივი ძეგლები მოხატულობის მიხედვით, რადგან ბზანტიის დედაქალაქში იმდროინდელი მოხატულობა თუჩების მიერ იყო განადგურებული. ეს მოხატულობა, როგორც ამას ფრესკის წარწერა ქართულსა და ბერძნულ ენაზე მეტყველებს, შესრულებული იყო მანუელ ევგენიკის მიერ, რომელიც ჩამოყვანილი იყო კონსტანტინეპოლიდან სამეგრელოში სპეციალურად მისთვის ჩამოსაყვანად წასულ ქართველების — მხატვრულ ქებალიასა და ანდრონიკ ვაბისე-ლავას მიერ. ეს მოხატულობა შესრულებული იყო თეოფანეს მოხატულობის რამდენიმე წლის შემდეგ — 1384 და 1396 წლებს შუა. მოხატულობა დატულია ისე, რომ განახლებული არ ყოფილა გუმბათის ბორბალში, საერობველის აფსიდაში და კათოლიკონის კედლებზე. (ამჟამად ეს მოხატულობა ჩემს მიერ განზაღებულია მუბლიკეისისთვის). კათოლიკონის ყოველი კამარა, აგრეთვე, გუმბათის კამარა მე-17 საუკუნის შუა წლებში წაღწეხის ეპისკოპოსის ევდემონ ჯიანის დროს ხელახლა იყო მოზაიკაშეხული და მოხატული. მიუხედავად ამისა, მთლიანად შეტე-ლი იმდენად კარგადაა შემონახული, რომ ნათელ წარმოდგენას იძლევა პალეოლოგების ეპოქის ბიზანტიური მონუმენტურა ფერწერის კონსტანტინეპოლის სკოლაზე.

ამ მოხატულობის შესწავლა იძლევა საშუალებას დავადგინოთ კონსტანტინეპოლის სკოლის სტილისა და ფერწერული მანერის დამახასიათებელი თავისებურებანი. თუ შევადარებთ მანუელ ევგენიკისა და თეოფანე ბერძენის მიერ შესრულებულ წმინდანთა სახეებს, იმ დასკვნამ-

დე მივალთ, რომ ორივე ეს ოსტატი ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებას ეუფლებას, ძირითადად შივე ერთმანეთისაგან განსხვავდება. წალენჯიხის მოხატულობა შესრულებულია ბიზანტიური სტილით, ფაქობ ანტიკურულ შესრულებით, შეკავებული კოლორიტით, აკადემიურა და სტილურად ცივი, სახის და შარავანდელის პირველადი კონტრული მონასმის შემდეგ წასმულია ძირითადად ენგემიწა, რომელზეც შემდეგ გავლენულია სხეულისებრი ტონი (ღია ფერის ენგემიწა სინგურის შერვევით), ამაზე უავსფერ-წითელ საღებავით ხელახლა აღინიშნება სახის დეტალები. იმავე უავსფერ-წითელი ტონით აღინიშნება ჩრდილი სახის ერთ მხარეზე, მეორე მისი მხარე მოდელირებულია ღია მწვანე ფერით; ამავე ტონით აღინიშნულია ჩრდილი ქეთეთოს ქვევით და ცხვირისა და კისრის ჩრდილოვანი ნაწილები. ქეთეთოს ზემოთ ჩრდილი აღინიშნება უავსფერ-წითელი ფერით. შემდეგ ენგემიწაში გახავებული სინგურით აღინიშნება გახავებული სინგურით აღინიშნება თხელი თეთრათი ლაყუბზე შტრიხების აღნიშვნით. ნათელი ადგილები ყვრიშალის ძვალზე, ცხვირისა და ნიკაპზე სქელი თეთრათი აღინიშნება.

სულ სხვააზარად წერს თეოფანე—საღეთოდ, მსუბუქოდ, თეოფანე ბერძენი ძველი რუსული ხელოვნების უკვლა ისტორიკოსების მიერ მიზნეულია ტიპური წარმომადგენლად ეგრ.წოდ. „პალეოლოგიურ აღორძინებისა“ მისი სრული გაფურჩქნის პერიოდისა. პალეოლოგების სტილი, რომელმაც თავისი სახელწოდების მიხედვით ბიზანტიის პალეოლოგების დინასტიისაგან, ჩამოყალიბდა კონსტანტინეპოლში მე-14 საუკუნის დასაწყისისათვის და ფართოდ გავრცელდა სლავურ ქვეყნებსა, ძველ რუსეთსა და საქართველოში. სლავური ქვეყნების, საქართველოსა და ძველი რუსეთის მოხატულობათა შესწავლა ვკირენებს, რომ ამ ქვეყნების ხელოვნებაში ახალი სტილის აღმოცენების პროცესი მიმდინარეობდა პირადად, ამასთანავე იყო გარეყრულად დაკავშირებული თეთრულ ამ ქვეყნის ეკონომიურ და სოციალურ განვითარებასთან. ხელოვნებაში ახალი სტილის აღმოცენება რომლისთვისაც დამახასიათებელია ასეტისების შერბილება, კომპოზიციის დიდი თავისუფლება და დინამიკობა, სივრცის აგებისადმი ინტერესი, მთლიანად აიხსნება შუა საუკუნეების ასეტური მსოფლმხედველობასთან გაფორმებულ ბრძოლით, რაც ერთდროულად, მგერამ სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ბიზანტიასა, ძველ რუსეთში, ბალკანეთის ქვეყნებსა და საქართველოში. ამ ეპოქის ხელოვნება უფრო რეალისტური, უფრო აღამიანური და ემოციური ხდება. უკვლავზე ძლიერ ეს ძვრები ხელოვნებაში გამოვლადენდა მონუმენტურ ფერწერაში: საგრძნობლად ფართოვდება თემების რაალი, მოხატულობაში იქ-

რება ადგილობრივი წმინდანების ცხოვრებას ფაქტები, ამოკრიფულ სიუვეტებში მოკერულია რელიგიური სახის თავისუფალი ვაგება; წმინდანების 'ახეთა დახატვაში, ეკონომიურული კანონი ადგილს უთმობს უფრო ცხოვრებისეულ მოვლენებს. ფიგურები უფრო პროპორციული, ახთან ხდება, ხშირად დაბალი არაან ვახედულ, თავისუფლად მოპრუნებით. ღრმავდება ბრთულდება არქიტექტურული პერსპექტივა, რომელშიაც ხშირად შეაქვთ რეალური შენობების ფორმები, მთები და ხეები რეალურ ფორმას ღებულობენ. მხატვრის პალიტრა მდიდრდება, ფერწერის კოლორიტი ნათელი ხდება. ბიზანტიური „პალეოლოგების რენესანსი“ ფართოდ იყენებს ელინისტურ ტრადიციას. ძველ რუსეთში, ბალკანეთსა და საქართველოში, მრავალსაუკუნოვანი ევლტურული ერთეულითობის გამო, თუმცა იცოდნენ ბიზანტიური მხატვრული კვლტურის ახალი აღმავლობის შესახებ, ხელოვნების საერთო განვითარება ამ ქვეყნებში თავისი გზით მიდიოდა, რადგან მათი ხელოვნება დაფუძნებული იყო ადგილობრივ ტრადიციებზე, რომელიც იყო გადამწყვეტი ფაქტორი მხატვრულ განვითარებაში. თავისი ეპოქის ახალ იდეების გამოხატატი მხატვრული ენის ძიებაში, ამ ქვეყნების მხატვრებმა ადგილობრივ ძლიერ ტრადიციებზე დაყრდნობით, განავითარეს ისეთი ემოციური ზეგავლენის ნაციონალური ხელოვნება, რომ მის გვერდით მე-14 საუკუნის ბოლოს ბიზანტიური ფერწერა მოჩანს როგორც მშალა, აკადემიური და დაცემულობის ამქარა ნიშნები აქვს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თეოფანე ბერძენის ხელოვნება არაფრით არაა დაკავშირებული მონუმენტურ ფერწერის კონსტანტინეპოლის სკოლასთან, რაც კონსტანტინეპოლელი მხატვრის მანუელ ევგენიის ფერწერული ტექნიკის ანალიზიდან ჩანს. კონსტანტინეპოლის მანუელ არც საქართველოში განვითარდა. ამ სტილის და წერის მანერა ქართული ფრესკის ფერწერის შილოდ ორ ძველში აღმოჩნდა: ხობის მონასტრის ვამეყ დადიანის ეკლესიის მოხატულობასა და ნახატევეში. ამ მოხატულობის შესრულების ტექნიკის ანალიზი მოწმობს არც მარტო იმას, რომ ამ გადმოტანილია ეს მანერა, არამედ გადასხვაფერებულაცა. ვამეყ დადიანის ეკლესიის მონახატულობა იმით განსხვავდება მანუელ ევგენიის წერის მანერისაგან, რომ ამ ურყოფილია თეთრათი მოდელირება შტრიხებით და სახეების ღია ფერით მოსმა შეცვლილია მუქმწვანე ფერით, ჩრდილი გავლენულია მწვანე ტონით, სახეზე წითელი ფერა, ხაზობრივი შტრიხი ურყოფილია. ამ ეპოქის ქართული ფერწერის სხვა ძვლები ფერწერის ტექნიკის მხრივ ბიზანტიური ფერწერის გავლენის გარეშე დარჩნენ. მე-14 საუკუნის ქართული მონუმენტური ფერწერა რთული მოვლენაა, იგი წარმოდგენილია სხვადასხვა მიმართულებისა და სტი-

ლის მრავალი ძველით, ვველაზე სკინტერესოა მე-14 საუკუნის ხელოვნების ფერწერული ტექნიკის, თეოფანე ბერძენისა და მანუელ ევანგონის წერის მანერასთან შედარებით ანალიზის თვალსაზრისით, უბისის მოხატულობა, რომელიც შესრულებულია მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში შესანიშნავ ქართველი ოსტატის დამიანეს მიერ.

დამიანეს ფერწერა გამოირჩევა წერის თავისუფლებით, დიდი ოსტატობითა და გულდაჯერებით შესრულებულ სქელ მონასმით, რაც თავისებურ „ამპრესიონისტულ“ ხასიათს ანიჭებს მას. განსაკუთრებით ტიპურია მოციქულების სახეები „საიდუმლო სერობაში“, რომელიც დამიანეს მიერაა ხელმოწერილი. აქ ყოველი მონასმი, რომელიც იძლევა სახის მოდელირებას, დადებულია სქლად, და როგორც წერის ფაქტურიდან ჩანს, სწრაფად, ნათელი ადგილები მოცემულია სქელი ლაქებით; შუბლის განათებულ ნაწილზე — ორი ფართო მონასმი; ყვრილის ძვალზე — ერთი ფართო მონასმი და მთელი მონასმი — მკვეთრი შექვი ცხვირის მოთ სიგრძეზე. ასევეა მოდელირებული კისრის გაშვებულად ადგილები. თმა მთლიანი ხაზებით ეს არაა გამოყოფილი, არამედ ცალკეულ წერით მონასმით თვის კედლისა და ზეშუპის გასწვრივ. ამის გამო თმა მსუბუქად და დიდებულად გამოიფრება, რაც თავს ფერწერლობას ანიჭებს. დამიანეს წერის მანერის ანალიზი მოწმობს, რომ იგი განსაკუთრებით იყენებს ვაგებულად, სქლად დადებულ მონასმს, აღნიშნული ფერწერული ხერხი უნდა მივიღოთ, ერთი მხრივ, როგორც მე-14 საუკუნის მეორე ნახევრის ხელოვნების საერთო ტენდენცია, მეორე მხრივ — აქ შედარდება ინდივიდუალობა ისეთი დიდი ოსტატისა, როგორც იყო დამიანე.

ზემოთ მოყვანილი შედარებითი მასალა საკლებით უარყოფს თეოფანე ბერძენის ფერწერული მანერის კონსტანტინეპოლურ წარმოშობას. მემარტინის ცნობა, რომ თეოფანე ბერძენმა ნოვეგოროდში მოხატა 1378 წელს ფერტიკების ეკლესია, წარმოადგენს მის პირველ მოხსენიებას წერილობით წყაროებში. ნაკლებად დასაჯერებელია, რომ თეოფანე მისიველი ნოვეგოროდში ამ თარიღზე ადრე, რაღაც მიტონი უფროდ აღნიშნავდა მის აღრეულ ნამუშევრებს ნოვეგოროდში. საერთოდ რუსი შემოქმედები და ქართული წერილობითი წყაროები ბერძენ ოსტატების გამოჩენას ყოველთვის აღნიშნავენ, როგორც დიდ მოკლენას. ნოვეგოროდში — ძველი რუსეთის ხელოსნობის, ვაქრობისა და კულტურის ამ დიდ ცენტრში, თეოფანეს ყურადღება მიიპყრო მე-12 საუკუნის შესანიშნავმა მოხატულობამ, რომელმაც განეციფრებაში მოიყვანა იგი სახეების ვაკუაციური იერით, შესრულების გასაოცარ თავისუფლებით,

გამოსახულების სიხლით და უშუალოდ. ნოვეგოროდის სტილი და წერის მანერა განსაკუთრებული ბრწყინვალეობით მოიხასიერებდნენ მისი მოხატულობაში, რომელიც გამოირჩევა მონუმენტურობით. სხვა ეკლესიების მოხატულობა, რომელიც აგრეთვე სტილობით უახლოვდება ნერედიას, მოწმობს რომ მე-12 საუკუნის ბოლოსათვის ნოვეგოროდში ჩამოყალიბდა ფრესკისტების თავისებური სკოლა, რომელსაც სრული უფლებით შეგვიძლია ნოვეგოროდელი ეწოდოთ. რაღაც ნოვეგოროდში თათრების შემოსევის არა ქმონდა ადგილი, ამიტომ ადგილობრივი მხატვრული ტრადიცია აქ არასოდეს არ შეწყვეტილია მე-12 და 14 საუკუნეების ხელოვნების შუა.

ძველი რუსული ხელოვნების ყველა მკვლევარების მიერ აღიარებულია სტილისტური სიახლოვე თეოდორე სტრატიატის ეკლესიის მოხატულობასა ფერტიკების ეკლესიის მოხატულობასთან, რომელიც შეასრულა თეოფანე ბერძენმა. თეოდორე სტრატიატის ეკლესია, რომელიც ამჟამად იყო 1360-1361 წელსში, მოხატულია ცოტა მოკვნიებით. ა. ანასიმოვი, ი. გრაბარი, მ. კრავერი, ნ. პორფირიძე ამ მოხატულობას თეოფანე ბერძენს მიაკუთვნებენ. მათი აზრით ესაა ყველაზე ადრეული ნაწარმოები ამ შესანიშნავი ოსტატისა, რომელიც ნოვეგოროდში შეასრულა მან. ი. ალბატოვი თეოდორეს ეკლესიის ფრესკებს უახლოვებს თეოფანეს სკოლას. ვ. ლაზარევი თვლის რომ ეს ფრესკები „თეოფანეს სკოლიდანაა გამოსული“, მაგრამ შესრულებულია ნოვეგოროდელი ოსტატის, თეოდორეს მოწაფის მიერ.

თეოფანეს წერის სტილსა და მანერას თავისი ნაწილები აქვთ არა მე-14 საუკუნის კონსტანტინეპოლის სკოლის მხატვრულ ტრადიციაში, არამედ ნოვეგოროდის ხელოვნებაში და უკიდრობა ადგილობრივ ტრადიციას. ისმება საკითხი, მოახდინა თუ არა თეოფანემ გავლენა რუსულ ხელოვნებაში ახალი სტილის შექმნაზე, რაც დიდი მხატვრის ანდრეი რუბლევის „სახელთანაა დაკავშირებული“ იყო თუ არა რუბლევს, თეოფანე ბერძენის მოწაფე და მამადევალი?

ი. გრაბარი ამტკიცებდა, რომ ანდრეი რუბლევი თეოფანე ბერძენის მოწაფე იყო, მ. შტრაუტოვი, დ. აინალოვი, ბ. მიხაილოვი, ბ. პორფირი, მ. ალბატოვი უარყოფენ კიბოვნებას იმის შესახებ რომ რუბლევი თეოფანეს სკოლას ეკუთვნის, მაგრამ ამავე დროს აღიარებენ თეოფანეს ძლიერ გავლენას რუბლევეზე. ვ. ლაზარევი აინალოვის აზრს ემხრობა. თეოფანეს ხელოვნებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო რუბლევეზე, არამედ მის თანამედროვე მოსკოვულ ხატმწერზე, მაგრამ რუბლევი თავისი გზით მიდიოდა, მისი მხატვრული იდეალები სულ სხვა იყო. ასეთია ვ. ლაზარევის

შეხედულება ანდრეი რუბლევის და თეოფანე ბერძენის ურთიერთ დამოკიდებულებასზე.

ა. ნერკასოვი და ფ. შვეინფურტი სრულიად უარყოფენ რუბლევის ფოვალგეარ კავშირს თეოფანესთან. ანდრეი რუბლევის წერის მანერის შესწავლა გვარწმუნებს, რომ თეოფანე ბერძენს, რომლის გვერდით მატიანეების ცნობით რუბლევი მუშაობდა, არავითარი გავლენა მასზე არ მოუხდენია. იმ საკითხის გადაწყვეტისას თუ ვინ იყო ანდრეი რუბლევის პირდაპირი მასწავლებელი, ყოველთვის უნდა ვაფიქსივინოთ, რომ მოსკოვს ჰყავდა თავისი საკეთარი შესანიშნავი ისტატები, ჰქონდა თავისი მტკიცე, მრავალსაუკუნოვანი მხატვრული ტრადიცია. ანდრეი რუბლევი ეძვს გარეშე პირდაპირი მოწოდებებით ბერ პროხოროსა გოროდეციდან ან თავისი უფროსი თანამედრებისა ბერ დანიილისა, და არა თეოფანე ბერძენისა. თეოფანეს შემოქმედება, მისი წერის მანერა, როგორც ითქვას, ჩამოყალიბდა ნოვგოროდის ხელოვნების მრავალსაუკუნოვანი მხატვრული ტრადიციის მიხედვით. შეუხედავად ამისა მან, როგორც ამას ძველი რუსული ხელოვნების ზოგი ისტორიკოსი ანტიციებს, არ მოახდინა პირდაპირი გავლენა ანდრეი რუბლევის შემოქმედებაზე, რომელიც თავისი ძირებით მოსკოვის მხატვრული ტრადიციას ეყრდნობა.

საყვარისაა შევადაროთ ანდრეი რუბლევის „სამების“ კომპოზიცია იმავე თემის გამოსახულებას ფერისცვალების მოხატულობაზე, რომელიც თეოფანე ბერძენის მიერაა შესრულებული, რომ დავინახოთ ის უფსკრული, რომელიც ამ ორ დიდ მხატვარს შორის არსებობს. ამ თემის კომპოზიციური გადაწყვეტა, ანგელოზების თეოთეული ფიგურის მკვეთრი დახასიათება, ფართოდ ფრთავშლილი, ცენტრალური ფიგურის პირველ პლანზე წამოწევა, ფიგურების დინამიურობა, ნაოკების მკვეთრად გამოხატული სამკეთებლები, ტანსაცმლის დაკლანძობი ხაზები, ანგელოზთა სახეების სიმკაცრე და პირქუშობა — აი, რა ახასიათებს თეოფანეს სტრუსს.

რუბლევის ხატი მკურბებელს იზიდავს ანგელოზების ვასაოცარ ზემოთაგონებულობით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სამება ყველაზე პოეტური სახეა, რაც კი ძველ რუსულ ხელოვნებას შეუქმნია. ასკეტობის არავითარი ნატა-

მალიც კი, რაც ასე ახასიათებს შესაყვარის რელიგიურ ხელოვნებას. ამის მეტად დიდებულად დაეარქვნის გამო სახე მონასტრებისა და ნაზი მოხანს. აგებს რა თავისი სწავლებისა წარსებზე, რუბლევი ხატის ფიგურის საბრტყეს უფარდებს მას. მისდევს რა ძველ ტრადიციას, რუბლევი „სამება“ გამოხატა ჩუმი საუბრით გართული, ტრამებს მომსხდარი საპი ანგელოზის სახით. რუბლევი შორდება ბიზანტიურ კანონს, მან გამოტოვა აბრაამისა და სარას ტრადიციული ფიგურება, რომლებსაც არასდროს არ იფიქრებენ ბიზანტიელი მხატვრები. სამების თეოთეული ფიგურა ფაქიზადაა დახასიათებული, ღრმად ინდოვიდუალური და ამავე დროს კომპოზიციურად და ფსიქოლოგიურად ერთმანეთთან განწყურებადაა დაკავშირებული. შუაში მუდარი — ქრისტეა. იგი ჩაფიქრებულია, თავი მარცხნივ აქვს დახრილი, იგი აურთობებს უამბ, რითაც გამოხატავს მსხვერპლად შესწირად მზადყოფნას. ჩაფიქრებული და მორჩილებით აღსავთი, იგი თავს ხრის მის მარჯვნივ მუდარ მამა-ღმერთისაკენ, რომლის სახე ღრმა მწუხარებას გამოხატავს (მამა თავის შვილს სასიყვდილოდ იმეტებს), თუმცა იგი უფრო მკაცრად გამოიყურება. მესამე, — სულიწმინდა შუა ფიგურასავით თავდახრილია, მკვრამ მისი მოქნილი ფიგურა თითქოს უპირისპირდება მამის დამომულ ფიგურას.

ადამიანის სულის უფაქიზესი მოძრაობა რუბლევი გამოხატა ვასაოცარი სიღრმითა და შინაგანი ძალით. „სამება“ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ფერწერული შესრულების გობედულებით, ფერების შესამების უჩვეულო პარმონიით. მეტადრე გამოიჩინეა შუა ფიგურის ცისფერი მოსახამი, რომელიც მუქ-ალუბლისფერ კვართზეა წამოსხმული. ტანსაცმლის ღურჯი და ალუბლისფერი საღებავები საუცხოოდ ეხამება თმის ოქროსფერ ტანს. ნათელ სხვიმომყენ ტანების გამა მთლიანად ხატს ნათელ, მხიარულ ხასიათს ანიჭებს.

შენ არ ეციოთ ზუსტად „სამების“ შექმნის დრო, შვიდლება ვივარაუდოთ, რომ რუბლევი იგი შექმნა სიცოცხლის ბოლო წლებში, როგორც ხანგრძლივი მუშაობის დავიერგვინება. რუბლევის შემოქმედება, მ. ალბატოვის სამართლიანი თქმით, „რუსულ ხელოვნების განვითარების შემობრუნება კი არაა, არამედ მის ერთ-ერთ მწვერვალა“.



### მარქსიზმ-ლენინიზმის დიდი მოძღვრება

ქართულ ენაზე გამოვიდა დამხმარე სახელმძღვანელო „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები“, რომლის მიზანია საერთოდ მისაწვდომი ფორმით გააშუქოს მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც ერთიანი და მთლიანი მოძღვრების სამი უმნიშვნელოვანესი ნაწილის — მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიკისა და მეცნიერული კომუნისმის საფუძვლები, ამ წიგნის გამოცემა უაღრესად დიდნიშნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის იდეურ ცხოვრებაში.

ეს წიგნი, რომელიც დაწერილია მეცნიერთა, პარტიულ მუშაკთა და პედაგოგთა კოლექტივის მიერ ო. ე. კუბისნიის ხელმძღვანელობით, გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო წრისათვის როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

სახელმძღვანელოში მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების გადმოცემა ემყარება მარქსის, ენგელსის, ლენინის შრომებს, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებსა და დოკუმენტებს, რომლებშიც განზოგადებულია მისი მდიდარი გამოცდილება. ბევრი საკითხის გაშუქებისას გათვალისწინებულია აგრეთვე მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების გამოცდილება.

სახელმძღვანელო „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები“ შედგება წინასიტყვაობისა და ხუთი დიდი განყოფილებისაგან: 1) მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ფილოსოფიური საფუძვლები; 2) ისტორიის მატერიალისტური გავება; 3) კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიკა; 4) საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თეორია და ტაქტიკა; 5) მოძღვრება სოციალიზმისა და კომუნისმის შესახებ.

წინასიტყვაობაში მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ ჩამოყალიბებულია მარქსისტულ-ლენინური

მსოფლმხედველობის ზოგადი ნიშნები, პრინციპები და თავისებურებები.

მარქსისტულ-ლენინური თეორია, რომელიც აღმოცენდა ყველა ქვეყნის რევოლუციური გამოცდილებიდან და რევოლუციური აზრიდან, შეესაბამება მუშათა კლასის ისტორიულ მისიას, გამოხატავს მშრომელთა ინტერესებს. ამიტომ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი, აღნიშნულია სახელმძღვანელოში, სისიცოცხლო ძალის უფერფასესი წყაროა ყველა მშრომელისათვის, თვითელი პროგრესული ადამიანისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის მსოფლმხედველობით შეარჩალებული ადამიანი ძლიერია, პოლიტიკურად მტკიცეა, პრინციპულია.

სახელმძღვანელოს პირველ განყოფილებაში გაშუქებულია მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის — ფილოსოფიური მატერიალიზმის, მატერიალისტური დიალექტიკისა და შეშუქების თეორიის — ფილოსოფიური საფუძვლები, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიულ საფუძვლებს წარმოადგენს მისი ფილოსოფიური მოძღვრება — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, რომელიც ფილოსოფიური აზრის ხანგრძლივი განვითარების კანონზომიერი შედეგია.

წიგნის სპეციალურ თემა განხილულია მატერიალისტური დიალექტიკა, როგორც ყველაზე ღრმა, ყოველმხრივი და შინაარსით მდიდარი მოძღვრება მარქსიზმისა და განვითარების შესახებ, ნაწილებით, რომ მარქსისტული დიალექტიკა წარმოადგენს სამყაროს შეცნობისა და გარდაქმნის მეთოდს; მომდევნო თემა გადმოცემულია შეშუქების მარქსისტული თეორია, კერძოდ განხილულია თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის საკითხი, მოძღვრება ქვეყნარსებების შესახებ და სხვა.

მეორე განყოფილებაში — „ისტორიის მატერიალისტური გავება“ — ფართოდაა გაშუქებული ისტორიული მატერიალიზმის ზოგადი პრობლემები. მარქსიზმსა და ენგელსიზმს დიალექტიკური მატერიალიზმი გააერთიანებს საზოგადოებისა და მისი ისტორიის შესწავლაზე და შექმ-

„მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები“. დამხმარე სახელმძღვანელო. გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1960 წ.



ნეს საზოგადოებრივი განვითარების ზოგადი კანონების შეცნობული თეორია — ისტორიული მატერიალიზმი, ისტორიის მატერიალისტური გაგება. ისტორიული მატერიალიზმი გვასწავლებს, რომ საზოგადოებრივი უფიქრება ანუ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები განასაზღვრავს საზოგადოების მთელ საბუნს, მის წყობილებას, მის შევადრელებებს და დაწესებულებებს, სახელმძღვანელოში განხილულია წარმოების წესი, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური საფუძველი, განმარტებულია როგორ ვითარდება წარმოება, როგორ ურთიერთმოქმედებს ახდენენ საწარმოო ძალები და წარმოებით ურთიერთობა, ბაზისი და ზედნაშენი.

განხილავენ რა საკითხს — ისტორიული კანონზომიერება და ადამიანთა შევადრეული მოღვეწეობა — ავტორები მიუთითებენ, რომ ისტორიული მატერიალიზმი იმდენე საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების ახსნას და გვიჩვენებს მათი შეცნობისა და საზოგადოების ინტერესებისათვის გამოყენების გზებს, აქვე ნაჩვენებია ბერძენული სოციალიზმის უსუსურობა და სიყვანე, რომელიც უჩაყალს ისტორიულ კანონზომიერებათ და ამხიხუგებს სოციალური კანონების შინაირს.

სპეციალური თავი აქვს ისტორიული მატერიალიზმის მოძღვრებას კლასების, კლასობრივი ბრძოლისა და სახელმწიფოს შესახებ, აქ განხილულია ისეთი დღმნიშვნელოვანი საკითხები როგორც არის: კლასობრივი განსაკვეთბათა და კლასების ურთიერთობის არსი, სახელმწიფო, როგორც კლასობრივი ბატონობის იარაღი, კლასობრივი ბრძოლა, როგორც ექსპლოატატორული საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალა, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ძირითადი ფორმები, საეთიხი იმის შესახებ თუ როგორია ხალხის მასებისა და პირივნების როლი ისტორიაში, გაშუქებულია შეექვესე თავში. წიგნში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მარქსისტულმა თეორიამ ცხადყო მთელი სიყალბე როგორც ფაქტისტური, ისე სუბიექტივისტური წარმოდგენებისა ისტორიაზე. მარქსიზმ-ლენინიზმში, ისტორიული პროცესის კანონზომიერებანი რომ გამოააშკარაე, ხალხის მასებში დაინახა ისტორიული აუცილებლობის ძირითადი გამომახვეელი ძალა, რომელიც განსაზღვრელ როლს ასრულებს საზოგადოებრივ განვითარებაში.

სახელმძღვანელოს შესამე განყოფილებაში — „კაბიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია“ გაშუქებულია კაბიტალიზმის ძირითადი ნიშნები მისი მონოპოლისტურამდელი პერიოდიდან უმალეს და უჩანსკელ სტადიამდე — თანამდრეოე ამპროიალიზმამდე, ამ საკითხების გაშუქების ფონზე ავტორები მკითხველებს ნათლად და გასაკებად აცნობენ მარქსიზმ-ლენინიზმის ეკონო-

მიერ მოძღვრებას, რომელიც „გვიხსნის იმ ობიექტური ეკონომიური კანონების მოქმედებას, რომელთა სწორი შეცნობა ხელიაშეწავს კაბუნისტური და მუშათა პარტიების პარტიკული საქმიანობის წარმატებისათვის“ (გვ. 271).

განყოფილების მეორე თავში, რომელიც ეხება მონოპოლისტურამდელი კაბიტალიზმის დხასიათებას, გაშუქებულია კაბიტალისტური ურთიერთობის წარმოშობისა და განვითარების საკითხები, განმარტებულია სკრიალისა და ფულის არსი, ღრებულებისა და ზედმეტი ღირებულების კანონები, საზოგადოებრივი კაბიტალის კვლავწარმოება და ეკონომიური კრახისებები, კაბიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონი.

წიგნში მოცემულია იმპერიალიზმის, როგორც კაბიტალიზმის უმალესი და უჩანსკელი სტადიას დხასიათება გ. ი. ლენინის ცნობილი განსაზღვრის მიხედვით, დხასიათებულია კაბიტალიზმის საერთო კრახისი და მისი თანამდრეოე ეტაპი.

სახელმძღვანელოში მზილებულია ბერძენუბის იდეოლოგიების, — მემარჯვეწე სოციალ-დემოკრატების, რეფორმისტებისა და რევოიონისტების ყალბი მოძღვრება ე. წ. „სახალბო კაბიტალიზმის შესახებ.“ დასაბუთებულია, რომ თანამდრეოე კაბიტალიზმი თავისი დხასიათებული წინააღმდეგობებით საზოგადოებრივი პროგრესის შემაღრხებელია, უღრესად ანტიხალხური და რეაქციული სისტემა. სახელმძღვანელოში სამართლიანადაა აღნიშნული, ის რომ თანამდრეოე კაბიტალიზმის მდგომარეობისა და მისი განვითარების ძირითადი ეკონომიერებათა ანალიზი საშუალებას გვაძლევს გეავეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ ეს დრო-მოქმელი კაბიტალისტური სისტემა საბოლოო დაღუბვის ეპოქაში შევიდა.

მეოთხე განყოფილება — „საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თეორია და ტაქტიკა“ — რომელსაც წიგნის მთელი მოცულობის თითქმის მესამედი უჭირავს (10 თავი). მოძღვნილია თანამდრეოების ისეთი დღმნიშვნელოვანი საკითხებისადმი, როგორც არის: მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა, ხალხთა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლა თევისუფლებისა, დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტისათვის, ბრძოლა მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

სპეციალური თავში ნაჩვენებია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, განხილულია მისი ძირითადი ნიშნები, რომლებშიც იგი გახადეს უდიდესი გარდატეხის მომენტად კაცობრიობის ისტორიაში და რომლებიც დღემდე წარმოადგენენ მავალიის მსოფლიო მუშათა მოძრაობის სათვის.

ამ განყოფილების ცალკე თავში ფართოდაა

გაშეკებულ მარქსისტულ-ლენინური პარტიის მოღვაწეობა და მისი როლი მეშაბა კლასობრივ ბრძოლაში.

სახელმძღვანელოში გაშეკებელია ისეთი მნიშვნელოვანი თემა, როგორცია მეშაბა კლასისა და ხალხის შთელი დემოკრატიული ძალების მოქმედების ერთიანობის პოლიტიკა, კერძოდ აქ გახილულია მეშაბა კლასის მოქმედების ერთიანობის აუცილებლობა თანამედროვე პირობებში, დაწერილებითაა ნაჩვენები თუ ვინ უწლის ხელს მეშაბა კლასის მოძრაობის მოქმედების ერთიანობის დამყარებას, გაჩნეულია მეშაბა მოძრაობის მოქმედების ერთიანობის მიღწევის გზები, და ბოლოს განმარტებულია დემოკრატიული ერთიანობის პოლიტიკა სკკპ XX ყრილობაზე ანხ. ნ. ს. ზაუზნივის გამოხვლის შედეგად.

მეტად საინტერესოადა დაწერილი მე-15 თავი — „მეშაბა კლასისა და გლეხობის კავშირი კაპიტალიზმის პირობებში“. მეშაბა კლასი ისტორიულად იქმნებოდა გლეხობის გადატყვევის შედეგად. აღნიშნული თავის დასასრულს ავტორები დაასკვნან: „უკანასკნელი ათეული წლების ისტორია გვიჩვენებს, თუ რა დიდ ძალას წარმოადგენს მეშაბა კლასისა და გლეხობის კავშირი, რა ბევრი რამის მიცემა შეუძლია მის ორივე კლასისათვის და კიდევაც აძლევს მათ, ამიტომ ამ კავშირის შექმნა და განმტკიცება კომუნისტური და მეშაბა პარტიების ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა“ (გვ. 515).

შემდეგ თავებში ვრცლად არის გაშეკებული ხალხთა ეროვნულ-გამანათლებლურებელი მოძრაობა კოლონიალიზმის წინააღმდეგ, კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთა ბრძოლა სუვერენიტეტის შენარჩუნებისა და დემოკრატიის დასაცავად; ასევე ფართოადა განხილულია თანადროული მუშაბი აქტიულორი სკიოთის — ომის საფრთხე და ხალხთა ბრძოლა მშვიდობისათვის, წიგნში აღნიშნულია, რომ სოციალისტური ქვეყნების მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა მშვიდობის საიმელო დასაყრდენია.

მეოთხე განყოფილების უკანასკნელ თავში „სოციალისტური რევოლუციებზე გადასვლის სხვადასხვა ფორმების შესახებ“ ნაჩვენებია ისტორიული კანონზომიერება სოციალისტური რევოლუციისა, რომელიც კაპიტალიზმის შთავარი წინააღმდეგობის — წარმოების საზოგადოებრივი ხასიათსა და მოთვისების კერძო კაპიტალისტურ წესს შორის არსებული წინააღმდეგობის გადაჭრის შედეგია, მოცემულია, სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის არსის განმარტება. განხილულია სკიოთხ სოციალისტური რევოლუციისა და თანამედროვე სხვადასხვა სახეობის დემოკრატიულ მოძრაობათა თანაფარდობის შესახებ. სახელმძღვანელოს მეხუთე, უკანასკნელ განყოფილებაში ვაღმოცემულია მოძღვრება სოციალიზმისა და კომუ-

ნიზმის შესახებ. ეს განყოფილება მედიო თავისაგან შედგება. აქ უწინარეს ყოველისა განხილულია სკიოთხი პროლეტარიატის დიქტატორისა და პროლეტარული დემოკრატიის შესახებ, აღნიშნულია, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად ხელისუფლების იპყრობენ მშრომელები მეშაბა კლასის აუთორიტაბით და ამ ვადტრიალებით იწყება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდი. ეს ის პერიოდაა, როდესაც ხდება კაპიტალისტური საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა სოციალისტურ საზოგადოებად. წიგნში მითითებულია, რომ ის ძალა, რომელიც ასეთ გარდაქმნას ახორციელებს, შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატორი, — მშრომელთა ხელისუფლება, რომელსაც ხელმძღვანელობს მეშაბა კლასი და რომლის მიზანია სოციალიზმის ასუნება.

ავტორები მოთხველებს აცნობენ პროლეტარიატის დიქტატორის სხვადასხვა მხარეებს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში, აღნიშნავენ, რომ პროლეტარიატის დიქტატორს სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა, პროლეტარიატის დიქტატორის ფორმები ყალიბდება რევოლუციური კლასობრივ ძალთა თანაფარდობისა და მათი შეჯახების სიმძაფრის შესაბამისად“ (გვ. 695—96).

სოციალისტური წარმოების წესის ძირითადი ნიშნების გარკვევისადმი მიძღვნილია სპეციალური თავი. მასში განხილულია საზოგადოებრივი საუფროების ორი ფორმა — საერთო-სახალხო (სახელმწიფო) და სოციალურ-კომუნისტური და ნაჩვენებია მათ შორის სკიოთხი და განმასხვავებელი ნიშნები, გარკვეულია სოციალისტური წარმოების ძირითადი მიზანი, განმარტებულია სახალხო მეურნეობის გეგმავლობის, პროპორციული განვითარების კანონი, დაუგვიანეს ამოცანები და მეთოდები, სასაქონლო წარმოება და ღირებულებს კანონი სოციალიზმის დროს და სოციალისტური გადაათობული კვლავწარმოების არსი, ნაჩვენებია, რომ გადაათობული სოციალისტური კვლავწარმოება წარმოადგენს გზას კომუნისტური საზოგადოებისაკენ.

წიგნის ცალკე პარაგრაფში დახასიათებულია სოციალისტური საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალები, რომლებიც უზრუნველყოფენ განუხრე და სწრაფ პროგრესს ცხოვრების ყველა დარგში.

სახელმძღვანელოს შემდეგ თავში განხილულია მხოლოდ სოციალისტური სისტემის შექმნის ისტორიული თვისებებზე, სოციალისტურა სახელმწიფოთა ურთიერთობის პრინციპები და მხოლოდ სოციალისტური მეურნეობის ეკონომიური კანონზომიერებანი, ნათლად და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული სოციალისტური სისტემის გადამწყვეტი უპირატესობანი მსო-

ფლიო კაპიტალისტური სისტემის წინაშე. მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნის შემდეგ შემოქმედებთად იქნა გამოყენებული პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ზოგადი პრინციპები სოციალისტური სახელმწიფოს ურთიერთობის მიმართ. პროლეტარული ინტერნაციონალიზმი გამოიღრდა ახალი ისტორიული შინაარსით, ახალი თვისებებით და იგი გახდა სოციალისტურ ინტერნაციონალიზმად, რომელიც მოიცავს სოციალისტური სახელმწიფოების ურთიერთობასაც. თავში „სოციალიზმიდან კომუნისმში გადასვლის პერიოდი“ უწინარეს ყოვლისა, ნაჩვენებია მათ შორის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, და ზახვასმულია, რომ სოციალიზმი და კომუნისმი არის ერთი და იმავე საზოგადოებრივი ფორმაციის — კომუნისმის — მხოლოდ ორი ფაზა.

სახელმძღვანელოში ყურადღებას აქცობს სოციალისტური დემოკრატიის შინაარსიანი გადმოცემა. ამ პრობლემის, ისე როგორც კომუნისმის მშენებლობის სხვა პრობლემების, დახასიათებას საფუძვლად უდევს სოციალიზმიდან კომუნისმში გადასვლასთან დაკავშირებული თეორიული საკითხების ღრმა ანალიზი, რომელიც მოცემულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში სკკპ XXI ყრილობაზე და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში. წიგნის ამავე თავში კარგადაა ნაჩვენები მარქსისტულ-ლენინური პარტიის როლი კომუნისმში გადასვლის პერიოდში და სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის საერთაშორისო მნიშვნელობა.

დიდ ინტერესს იწვევს დამხმარე სახელმძღვანელოს უკანასკნელი თავი (27), რომელშიც

ავტორები იძლევიან დახასიათებას მომავალი კომუნისტური საზოგადოების შესახებ. წიგნში ზახვასმულია, რომ კომუნისმი უკუქმდის მძიმე საზოგადოებრივი წარმოების მშალად წარმის, მოხმარების საგნების სიუხვის შექმნას. ავტორები დაასკენიან, რომ „მხოლოდ სოციალიზმის პრინციპებთან შეერთებული წარმოების მაღალი ტექნიკა იძლევა ნამდვილ სიუხეს მთელი ზალისათვის. მხოლოდ მის შემდეგ, რაც საზოგადოებრივი წყობა, მატერიალური და სულიერი დოვლათის წარმოება და განაწილება სოციალისტურ, შემდეგ კი კომუნისტურ საწყისებზე გარდაამყნება, ეს სიუხვე თავის ნაყოფს მიუტანს საზოგადოების თვითველ წიგნს“ (გვ. 920).

კომუნისმი ემყარება პრინციპს „თვითველსაგან — მისი უნარის მიხედვით. თვითველს — მისი მოთხოვნილების მიხედვით“ „სახელმძღვანელოში კარგადაა ნაჩვენები ამ პრინციპის ორივე ნაწილის ურღვევი ერთიანობა. კომუნისმი ყველაზე სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილებაა, რომელიც უზრუნველყოფს აღმართა საყოველთაო ფაქტურ თანასწორობას, აღმართის პიროვნების განვითარების სრულ თავისუფლებასა და გაფურჩქნას, აღმართა მშვიდობას, ძმობასა და თანამშრომლობას. კომუნისმი ნიშნავს აღმართობის ზემს, რეალური ჰუმანისმის სრულ გამარჯვებას. კომუნისმი კაცობობის ბრწყინვალე მომავალია.

„მარქსიზმ-ლენინისმის საფუძვლები“ დიდად დაეხმარება ზვეს ელტრებს, იდეოლოგიური დარტის მუშაობას, ახალგაზრდობას და საერთოდ ფართო მკითხველს მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეში.

**ბ. ჯინაპლაშვილი**

**გამოკვლევა ქართულ სამოციანელებზე**

გამოცემლობა „ცოდნა“ გამოსცა კონსტანტინე შეძველის გამოკვლევა — „თერგდალულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები“. ეს ნაშრომი შეეხება მე-19 საუკუნის სამოციანი წლების ლიტერატურულ და საზოგადოებრივ აზროვნების ძირითად პრობლემებს. გამოკვლევა შედგება ორი წიგნისაგან. ჯერჯერობით გამოქვეყნებულია მხოლოდ პირველი წიგნი.

პირველ თავში ავტორი ვრცლად აჩვენებს სამოციანი წლების რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის მიზეზებს და მასთან დაკავშირებულ სტუდენტურ ახალგაზრდობის მისწრაფებას განმართისუფლებელი ბრძოლებისადმი. ამ თავში ვრცლადაა წარმოდგენილი 1861 წლის პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა პოლიტი-

კური დემონსტრაციის ამსახველი ახალი საარქივო დოკუმენტები. აქვეა ნაჩვენები ქართული სტუდენტების შემდეგში თერგდალულების სახელით ცნობილ მოღვაწეების მონაწილეობა სტუდენტთა მოძრაობაში.

მეორე თავში კ. შეძველია ვრცლად აღწერს ქართულ სტუდენტების კავშირს ჩერნიშევსკისთან და მის თანამებრძოლებთან, ასათყაფებს პეტერბურგში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდების — ი. ჭავჭავაძისა, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, დავით ყვიფანის, ნ. დოღობერძისა, ბ. დოღობერძის, ილია ოქრომჭედლისების, სამსონ აბაშიძის, დვით აბდუმელიშვილის, დავით ბაქრაძის ცხოვრების ადრეულ ხანას სამოციანი წლებამდე. ამ თავში არ არის განხილული კირილე ლორთქიფანიძის

ცხოვრება და მოღვაწეობა, ჩადგანაც გამოკვლევის მეორე წიგნი მთლად მიძღვნილია ამ ნაყოფად შესწავლილი პარონებისადმი.

